

მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი



ოთარ მელქაძე და მისი გუნდი

მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები

ცნობარი - ნაწილი I

თბილისი
2001

წინამდებარე ცნობარი პირველი ამგვარი გამოცემა ქართულ ენაზე. იგი მოიცავს ინფორმაციას 30 ქვეყნის სამართლებრივი სისტემის შესახებ. ცნობარში გათვალისწინებული ყველა ქვეყნის შესახებ მოცემულია მოკლე მონაცემები, განხილულია კონსტიტუციური სამართალი, საარჩევნო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები, სასამართლო ხელისუფლება და საკონსტიტუციო ზედამხედველობის თავისებურებები.

განკუთვნილია იურისტებისა და პოლიტოლოგებისთვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისთვის, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლით დაინტერესებულ პირთათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც საქმიანი ურთიერთობა აქვთ საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

შინაარსი

წინათქმა	4
შესავალი	7
ავსტრალია	21
ავსტრია	35
ამერიკის შეერთებული შტატები	51
ახალი ზელანდია	67
ბელგია	82
ბრაზილია	97
ბულგარეთი	111
ბერმანია	125
დანია	142
დიდი ბრიტანეთი	156
ესპანეთი	172
იაპონია	186
ინდოეთი	202
ირანის ისლამური რესპუბლიკა	217
ირლანდია	234
იტალია	248
კანადა	264
ლუქსემბურგი	279
მექსიკა	294
ნიდერლანდები	308
პოლონეთი	322
პორტუგალია	339
რუსეთი	355
საფრანგეთი	370
საქართველო	386
შპრინა	402
უნგრეთი	417
შვედეთი	434
შვეიცარია	451
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	467
მონაცემები ავტორთა შესახებ	483

წინათქმა

წინამდებარე ცნობარის – „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“ შექმნის იდეა ცნობილი რუსი სამართალმცოდნის, პროფესორ ფ. რეშეტინიკოვის ანალოგიური რუსულენოვანი ცნობარის¹ გაცნობის შემდეგ დაიბადა, რომლის განხორციელებასაც წლები დასჭირდა, ვინაიდან ჩვენ მისი თარგმნა არ გვექონია მიზნად. ასე რომ, რასაც მოცემულ გამოცემაში „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ გარშემო შეკრებილი ახალგაზრდა ავტორთა კოლექტივი გთავაზობთ, ორიგინალური ცნობარია, ბევრი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით.

პირველი და უმთავრესი თავისებურება ცნობარში წარმოდგენილი ქვეყნების სამართლის სტრუქტურაა, უფრო სწორად, სამართლის დარგების წარმოდგენილი კლასიფიკაცია და მათი გაშლილი შინაარსი. მიგვაჩნია, რომ უდავოდ თვალშისაცემია პოლიტიკის გავლენა სამართალზე და ამდენად, მოდელური სამართლებრივი სისტემების შიგნით გავრცელებულ ნაირსახეობებზე, როდესაც ერთ სამართლებრივ ოჯახში გაერთიანებულ სახელმწიფოთა სამართალს ძირითადი პრინციპები დარჩა საერთო, თორემ, სხვა მხრივ, განსხვავება იქნებ მსგავსებაზე არანაკლებია. პოლიტიკას კი განსაზღვრავს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების კურსი, უფრო სწორად, ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სახელისუფლებო ორგანოებში განთავსებული თავისი უმრავლესობის მეშვეობით, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ვექტორის დაქვემდებარების გზით, ახერხებენ საკანონმდებლო პროცესში საკუთარი იდეების რეალიზაციას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ამგვარი ცნობარების ტრადიციული სტრუქტურისგან განსხვავებით, სადაც ძირითადი ყურადღება სასამართლო სისტემაზე, სამოქალაქო და სისხლის სამართალზეა კონცენტრირებული და სამართლის სხვა სფეროებზე ზოგადი, მწირი ინფორმაციაა მოცემული, ჩვენ რამდენიმე ახალი ბლოკი გამოვყავით და მოცემული ფორმატის ფარგლებში, შედარებით სრულად წარმოვარჩინეთ შესაბამისი ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, საარჩევნო სამართალი, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები, საკონსტიტუციო ზედამხედველობა.

ორიგინალურია ქვეყნების სამართლებრივი სისტემების წარმოდგენის საცნობარო სქემა: ჯერ მცირე ინფორმაციაა მოცემული თავად ქვეყნის შესახებ და სამართლებრივი ოჯახისადმი მის კუთვნილებაზე; ცალკე ბლოკების სახით განხილულია ქვეყნის კონსტიტუციური სამართალი – სახელისუფლო ორგანოებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თავისებურებების ჩვენებით; საარჩევნო სამართალი; სამოქალაქო სამართალი; სისხლის სამართალი; ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები; სასამართლო სისტემა. ასეთია ქვეყნების სამართლებრივი სისტემების განხილვის

1. Решетников Ф. М., Правовые системы стран мира, Справочник, Москва, „Юридическая литература“, 1993, 255 стр.

საერთო სტრუქტურა, მაგრამ არის ზოგიერთი თავისებურებაც. ეს, პირველ რიგში, საკონსტიტუციო იუსტიციისადმი ცალკეული ქვეყნების მიდგომასთან არის დაკავშირებული. ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლი თუ ზედამხედველობა სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ხორციელდება, მასალაც ცალკე ბლოკის სახით გამოვყავით, ანდა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, სწორედ სასამართლო სისტემის ფარგლებში განვიხილეთ. რაც შეეხება ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს, მეტწილად, სადაც ასეთი შესაძლებლობა არსებობდა, ომბუდსმენის ან მისი მონათესავე ინსტიტუტების თავისებურებებიც განვიხილეთ.

ცნობარში, ყოველი ქვეყნის მასალის ბოლოს, დართულია ლიტერატურის სია, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს, ცალკეულ საკითხებზე ინფორმაციის გაფართოების მიზნით, ახალ ორიენტირებს სთავაზობს. მაგრამ წყაროების მნიშვნელობითა და სიმრავლით განსხვავებული თითოეული მათგანის ბიბლიოგრაფია იმაზეც მიანიშნებს, თუ ცნობარის გამოსაცემად მომზადებას რა სირთულეები ახლდა თან.

მთლიანად, ამ პროცესმა ორ წელზე მეტი მოიცვა, დანყებული საჭირო მასალების მოძიებით, დამთავრებული თანაავტორებთან აქტიური საქმიანი ურთიერთობებით. განსაკუთრებით გაჭირდა „სამოქალაქო სამართლისა“ და „სისხლის სამართლის“ ბლოკებისთვის საცნობარო მასალის მოპოვება. აქ, გარდა იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ფ. რეშეტნიკოვის ნიგნში მოცემული ზოგადი ინფორმაცია გამოვიყენეთ, ბევრი რამ, მათ შორის სხვა ბლოკებისთვისაც, ავტორებმა ინტერნეტის მდიდარი „საცავებიდან“ მოიძიეს.

თქვენ ხელთა გაქვთ ცნობარი, რომლის გამოსაცემად მომზადება „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ ირგვლივ შეკრებილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების – ახალგაზრდა ავტორთა კოლექტივის მეცადინეობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

ბოლო ხანებში ხშირად საუბრობენ კოლექტიური საქმიანობის გუნდურ პრინციპზე. „ცენტრის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, წინამდებარე ცნობარის ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და ყველა თემის თანაავტორია და ამიტომაც ვუნოდეთ ახალგაზრდულ კოლექტივს „ოთარ მელქაძე და მისი გუნდი“. ამ გუნდს 1966 წელს, „ცენტრის“ შექმნასთან ერთად ჩაეყარა საფუძველი. მოცემული ცნობარის ავტორთაგან ათს „ცენტრის“ მიერ „პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერიის“ სახით გამოცემულ ბიბლიოთეკაში ერთიდან სამამდე ნიგნში თანაავტორობა აქვს აქტივში, რომ არაფერი ვთქვათ, პუბლიკაციებზე იურიდიულ ჟურნალებში.

ცნობარი 30 ქვეყანას წარმოადგენს, რომელზეც 22 ავტორს აქვს შრომა განეული, მონაცემები თითოეული მათგანის შესახებ ნიგნს ბოლოში აქვს დართული. მაგრამ აქ რაოდენობა, ნამდვილად, არ არის მთავარი. აქ მნიშვნელოვანი თავად გუნდის შემადგენლობაა, მისი საშუალო ასაკი (ხელმძღვანელის გამოკლებით) 23 წელს შეადგენს, ავტორთა ჯგუფში სამი უკვე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია და თსუ-ს სამართლის თეორიისა და

კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ეწვევიან პედაგოგიურ საქმიანობას, ცხრა ამავე კათედრის ასპირანტი და ერთიც – მაძიებელია. ავტორთა კოლექტივში 13 ახალი სახეა, ძველი და ახალი ავტორებიდან 8 დღესაც სტუდენტია. ასე რომ, XX I საუკუნის ქართველ კონსტიტუციონალისტთა თაობა XXI საუკუნის საქართველოს უძღვნის კოლექტიური შრომის კონკრეტულ შედეგს, პირველი ქართული ცნობარის სახით.

ავტორთა კოლექტივი

აბულაძე კობა – ჩინეთი;
გაბეხაძე დავითი – შვეიცარია;
გამეზარდაშვილი მირიანი – ირლანდია;
გოგიაშვილი გიორგი – ბელგია;
გონაშვილი ვასილი – აშშ, ბრაზილია, მექსიკა;
დვალი ბექა – ავსტრალია, ახალი ზელანდია;
ეზუგბაია ზურაბი – უკრაინა;
თევდორაშვილი გიორგი – ესპანეთი, იტალია;
კვერენჩხილაძე გიორგი – საფრანგეთი;
ლონდარიძე დავითი – ავსტრია, დიდი ბრიტანეთი;
მახარაძე ომარი – იაპონია;
მელაძე გიორგი – ინდოეთი, ირანი;
მერაბიშვილი ლაშა – ბულგარეთი;
ნატროშვილი იოსები – დანია;
პაპუკაშვილი ნოდარი – კანადა;
რამიშვილი ნუცა – გერმანია, შვედეთი;
ყურაშვილი კახი – რუსეთი;
ჩხეტიანი ნიკოლოზი – ლუქსემბურგი;
ცხედიანი როსტომი – საქართველო;
ნითლიძე დავითი – ნიდერლანდები;
ხუციშვილი შალვა – პორტუგალია, ირანი.

ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელმა, პროფ. ოთარ მელქაძემ, გარდა იმისა, რომ მის ყოფილ თუ ამჟამინდელ სტუდენტებთან თანა-ავტორად ითანამშრომლა, თავადაც მოამზადა მასალა პოლონეთსა და უნგრეთზე, მასვე ეკუთვნის ცნობარის წინათქმა და შესავალი წერილი.

შესავალი

მსოფლიოში ორ ასეულზე მეტი ქვეყანა და ყველა თავისებურად წარმართავს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესს, თუმცა ყოველ მათგანს შერჩეული აქვს სახელმწიფო მმართველობის საორიენტაციო მოდელი, რომელშიც ადგილობრივ პირობებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრინციპული მოსაზრების გათვალისწინებით, გარკვეულწილად, თავისი კორექტივები შეაქვს, ასე ყალიბდება სახელმწიფოს უმთავრესი ბალავარი სამართლებრივი სისტემის სახით.

სამართლებრივი სისტემის გაგება სამართლებრივი მოვლენებისა და ინსტიტუტების ფართო წრეს მოიცავს, მათ შორის, საუკუნეებით ნაცადი სამართლებრივი ფენომენის მხარეებსაც და ნორმატიულ, ორგანიზაციულ თუ სოციალურ-კულტურულ ასპექტებსაც. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ მათი შესაბამისობის ხარისხი განსაზღვრავს ბალავრის სიმტკიცის კოეფიციენტს და ინვეესეროვნული სამართლებრივი სისტემების ნაირსახეობათა სიმრავლეს.

ნებისმიერი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ასახავს მოცემული საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, მის ისტორიულ, ეროვნულ, კულტურულ თავისებურებებს. ბუნებრივია, ყოველ სახელმწიფოს თავისი სამართლებრივი სისტემა აქვს, რომელსაც სხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებთან საერთო ნიშნები აქვს, ისე როგორც განსხვავებული, სპეციფიკური თავისებურებები.

ამ სიმრავლეში პრინციპული მსგავსებისა და ელემენტების ერთიანობის, ძირითადი ნიშნების ერთგვაროვნების მიხედვით, სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემები განსაზღვრული ჯგუფების სახით ერთიანდება, რომლებიც სამართლებრივ ოჯახებად იწოდებიან. მაგრამ ის, რაც გარკვეულ ჯგუფს ოჯახის სახით კრავს, განასხვავებს მას სხვისგან და აქედან გამომდინარეობს თავისებურებებიც სხვა ოჯახებთან მიმართებაში. ასე რომ, მსგავსებაცა და თავისებურებებიც ოჯახის შექმნის საფუძველია და მის პრინციპულ ორიენტირებზეა დამოკიდებული. თუმცა დღეს უკვე ისიც ცხადია, რომ თავად ოჯახებშიც, ერთგვაროვანი კრიტერიუმების შენარჩუნების პირობებში, იმდენი სპეციფიკური თავისებურება შეიქმრა, რომ სამართლებრივი სისტემების დამფუძნებელი კლასიკური ქვეყნების გარდა, ძნელია დაასახელო ქვეყანა, სადაც ასეთ შერევას გარკვეული სახეცვლილება არ გამოეწვიოს. ნამდვილად, გამოიწვია კიდევ და ოჯახების შიგნით ან სხვადასხვა ოჯახის ზღვარზე ხდება სახელმწიფოების გამოყოფა-გადაჯგუფება. მრავალი მათგანი კონტინენტური და საერთო

სამართლის ოჯახების მიჯნაზე, ერთგვარი ჰიბრიდული სისტემის სახით ჩამოყალიბდა.

ამ მცირე ჯგუფებს ჯერ მაინც არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია დამოუკიდებელი ოჯახის არსებობაზე, ვინაიდან სამართლის ოჯახი — ეს ეროვნული სამართლებრივი სისტემების მეტ-ნაკლებად ფართო ერთობლიობაა, რომლებსაც წარმომავლობის, წყაროების, ძირითადი ცნებების, იურიდიული ტექნიკის ხერხებისა და განმარტებათა საშუალებების სიახლოვე აერთიანებს. სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, მსოფლიოში არსებობს ორი ძირითადი სამართლებრივი ოჯახი, თუმცა უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მათ მიერ არ არის შემოსაზღვრული თანამედროვე სამყაროს სამართლებრივი სივრცე.

რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახი თავისი ფესვებით რომის სამართალთან არის დაკავშირებული და იგი ევროპის ტერიტორიაზე ფორმირდებოდა, კონტინენტური ევროპის სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებს აერთიანებს და ამიტომ სხვაგვარად მას კონტინენტური სამართლის ოჯახსაც უწოდებენ. მაგრამ ევროპული ქვეყნების მიერ სხვა კონტინენტებზე ტერიტორიების კოლონიზაციამ, ევროპის მიღმა კონტინენტური სამართლის „ექსპორტს“ შეუწყო ხელი. დროთა განმავლობაში, ამერიკის კონტინენტზე, ბევრ მათგანზე, საერთო სამართლის ოჯახის თავისებურებებმაც მოახდინა გარკვეული გავლენა და ახლა შერეული სამართალი მოქმედებს, მაგრამ ამ ქვეყნების დიდმა ნაწილმა რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახისადმი თავისი კუთვნილება შეინარჩუნა. ლათინური ამერიკის ქვეყნების შემდეგ, რომანულ-გერმანული სამართლის გავლენა აფრიკის კონტინენტსაც გადასწვდა. მავრიკიის კუნძული და სეიშელის კუნძულებიც ისტორიული მიზეზების გამო ამ ოჯახს ეკუთვნიან, თუმცა ისინი ბრიტანულ თანამეგობრობაში შედიან. ინგლისელების ექსპანსიამ თავისი ხელი დაატყო სამხრეთ აფრიკის სამართალს, მაგრამ რომანულ-გერმანულმა სამართალმა, რაღაც დოზით, მაინც შეინარჩუნა თავი და ახლა იგი შერეული სამართლის ქვეყანაა. რომანულ-გერმანულმა სამართალმა აზიის ქვეყნებშიც იპოვა მიმდევრები, მაგრამ მუსლიმანური ქვეყნებიდან მხოლოდ თურქეთმა შეინარჩუნა კონტინენტური სამართალი ნმინდა სახით. ირანმა, ეგვიპტემ, სირიამ, ერაყმა, ინდონეზიამ და სხვა ქვეყნებმა რომანულ-გერმანული და ისლამზე ორიენტირებული შერეული სამართლებრივი სისტემა ირჩიეს, რომელიც ახლა მუსლიმანური სამართლის ოჯახად არის ცნობილი. სულ სხვა ვითარებაა იაპონიაში, სადაც საერთო სამართალმა თავისი გავლენა იქონია, მაგრამ

იაპონია, ისევე, როგორც ტაილანდი, სამხრეთ კორეა, კამბოჯა, ლაოსი, რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახისადმი კუთვნილებას ინარჩუნებენ.

მთლიანად, რომანულ-გერმანული ოჯახი საკმაოდ ერთგვაროვანია. თუმცა არსებობს სერიოზული განსხვავებაც ამ ოჯახში დამკვიდრებული ცალკეულ სამართლებრივ სისტემებს შორის, რაც, პირველ რიგში, მოცემულ ოჯახში არაევროპული სისტემების არსებობით არის გამოწვეული. საქმე ის არის, რომ ევროპული ქვეყნები თანამდეროვე ეტაპზე მიისწრაფვიან საკუთარი კანონმდებლობის აღმშენებლობა დაუქვემდებარონ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის რეალიზაციას, საერთო-კაცობრიულ ფასეულობებსა და საერთაშორისო სამართლის პრიმატს, რასაც სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ ვიტყვით ლათინური ამერიკის, აზიის და აფრიკის ქვეყნებზე. ამ ქვეყნების დიდ ნაწილში აითვისეს და მოიარგეს ევროპული სამართალი, მაგრამ მან სრულად ვერ შეცვალა არსებული სამართლებრივი სისტემა ევროპული ნორმატიული სისტემით, თავისი სამართლებრივი ინსტიტუტებითა და ქცევის წესებით და ამიტომ ბევრმა მათგანმა გამოსავალი შერეული სისტემების დამკვიდრებაში იპოვა, იქნება ეს რომანულ-გერმანული სამართლის პრინციპების პრიმატით მასში თუ – პირიქით.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახისთვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:

- კანონი და სამართალი გაიგივებული არ არის, სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ზნეობრიობასთან;
- სამართლის ნორმების ოპტიმალური განზოგადებულობა, ანუ ნორმები ფორმულირებულია, როგორც ქცევის აბსტრაქტული წესები, თავად არ წარმოადგენს კონკრეტულ პრეცედენტს და მიმართულია განუსაზღვრელ პირთა წრისადმი;
- სამართლის დაყოფა დამოუკიდებელ დარგებად;
- კარგად დამუშავებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტების იერარქია;
- კანონთა იერარქიაში მთავარი ადგილი ქვეყნის ძირითად კანონს – კონსტიტუციას უკავია;
- ხორციელდება ნორმატიული აქტების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია;
- რამდენადაც კანონი და სამართალი გაიგივებული არ არის, განსაზღვრულ მნიშვნელობას იძენს სასამართლოთა განმარტებები;
- წყაროთა შორის სამართლებრივი ადათის შეზღუდული როლი.

კონტინენტური სამართლის ოჯახის ნევრებად აღიარებულ ქვეყნებს, რომლებიც წინამდებარე ცნობარში არიან წარმოდგენილი, ყოველ შემთხვევაში, მათ უმრავლესობას, თავისი გზა ჰქონდა ოჯახში განევრებამდე. ბევრ მათგანზე ნაპოლეონის დროინდელმა ფრანგულმა სამართალმა მოახდინა ორიენტაციის განმსაზღვრელი გავლენა. მაგალითად, ლუქსემბურგის სამართლის ჩამოყალიბება ფრანგული სამართლის „ინტერვენციით“ დაიწყო და შემდეგ ევროპულ ქვეყნებში გერმანული სამართლის გავრცელებამ, ამ ორი სამართლის სინთეზის გზით მოიყვანა კონტინენტური სამართლის ოჯახში. ესპანური სამართალი რომაული სამართლისგან არის რეცეფცირებული, ნიდერლანდები და შვეიცარია კონტინენტური სამართლის ოჯახში არიან გაერთიანებულნი, მაგრამ სხვადასხვა დოზით საერთო სამართლის გარკვეულ გავლენას განიცდიან. კერძოდ, ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი კონტინენტური სამართლის პრინციპებზეა აგებული, მაგრამ საერთო სამართლის სისტემის ინსტიტუტებსაც ითვალისწინებს.

ცალკე უნდა გამოვყოთ იაპონური სამართლებრივი სისტემა, რომელიც ყველაზე უფრო შერეული და ჭრელი გამოვიდა იმისდა მიხედვით, თუ რომელ საფუძველს, რომელი სიახლე მიუერთდა და რა მივიღეთ ორგანული კომპლექსის სახით. საქმე ის არის, რომ კონტინენტური სამართლის პრინციპულ საფუძველებზე ჩამოყალიბებულ, ფრანგული და გერმანული იდეებით გაჯერებულ სამოქალაქო სამართალზე, ისევე როგორც სისხლის სამართალზე, ამერიკელთა თანამონაწილეობით შექმნილმა 1946 წლის კონსტიტუციამ, განსაკუთრებით, სამოქალაქო კოდექსში ცვლილება-დამატებებისა თუ კანონთა ახალი პაკეტის საჭიროება გამოიწვია, რამაც საერთო სამართლის სულისკვეთების შეჭრა განაპირობა იაპონურ კანონმდებლობაში. სწორედ სამოქალაქო სამართალთან დაკავშირებით მოქმედებს იაპონიაში ადათებისა და პრეცედენტების ინსტიტუტი, ამ დროს იაპონიის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ავსტრიული სამოქალაქო კოდექსის ნიმუშზეა დამუშავებული, ხოლო სისხლის საპროცესო კოდექსი ამერიკული კოდექსის ინსტიტუტებსაც შეიცავს.

მთავარი, ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მაინც ის არის, რომ მიუხედავად შერევის განსხვავებული, შეიძლება მოჭარბებული დოზებისა, ცნობარში კონტინენტური სამართლის ოჯახს მიკუთვნებული ქვეყნების მაგალითზე, საერთო სურათი არ იცვლება, კლასიკური სამართლებრივი ორიენტაცია ტრადიციულ სახეს ინარჩუნებს, ვინაიდან შერევის ხარისხი ეჭვქვეშ არ აყენებს რომანულ-

გერმანული, ანუ კონტინენტური სამართლის ოჯახისადმი მათ კუთვნილებას.

საერთო სამართლის ოჯახი ინგლისის და მისი ნიმუშის მიმდევარი ქვეყნების სამართალს მოიცავს. ინგლისური სამართალი კონტინენტურისგან ავტონომიურად ვითარდებოდა. მისი ისტორიული აღმოცენების თარიღი 1066 წელია, როცა ინგლისი ნორმანდიელებმა დაიპყრეს, მანამდე კი ანგლოსაქსური სამართალი მოქმედებდა, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ამ სამართლებრივ ოჯახს ხშირად ანგლოსაქსურსაც უწოდებენ, არცთუ მართებულად, ვინაიდან მას შემდეგ, ამ ოჯახში ანგლოსაქსური საფუძვლები ინგლისისა და ამერიკის სამართალმა არსებითად გადაფარა.

მთლიანად, ინგლისური სამართალი საერთო სამართლის კლასიკა და რომანულ-გერმანული სამართლისგან შემდეგი ძირითადი ნიშნებით განსხვავდება და საერთო სამართლის ოჯახში ცალკეული ქვეყნების სამართალს სწორედ ისინი აერთიანებს:

– ინგლისური სამართალი არ ცნობს დაყოფას საჯარო და კერძო სამართლად;

– ინგლისური სამართლის ნორმა ნაკლებად საერთო და აბსტრაქტულია, ვიდრე ფრანგული ან იტალიური სამართლის ნორმები;

– ინგლისური სამართლის წყაროს წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკა. სასამართლოები არა მარტო იყენებენ, არამედ ქმნიან კიდევ სამართლებრივ ნორმებს სასამართლო პრეცედენტის სახით;

– ინგლისური სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ ამჟამად, აგრეთვე, პარლამენტის მიერ მიღებული აქტი-კანონი გამოდის. ამასთან დაკავშირებით, ადგილი აქვს კანონთა გარკვეულ სისტემატიზაციას, მაგრამ ეს მაინც ის არ არის, რასაც კონტინენტური სამართლის ოჯახში გაერთიანებულ ქვეყნებში ვხვდებით;

– ინგლისური სამართლის დამხმარე წყაროებია ადათი და დოქტრინა.

ისტორიული განვითარების პროცესში საერთო სამართალი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახის კონტურებით გამოირჩეოდა და ახლაც იგი, პრაქტიკულად, ყველა ინგლისურენოვან ქვეყანას აერთიანებს, ერთეული გამონაკლისით. მიუხედავად ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივ სისტემებს შორის არსებითი განსხვავებულობისა, მათ ერთად შეკრეს საერთო სამართლის ოჯახი და ამიტომაც მას სხვაგვარად ინგლისურ-ამერიკულ სამართლებრივ ოჯახსაც უწოდებენ.

საერთო სამართალმა განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა ინდოეთის, პაკისტანის და აფრიკის რიგი ქვეყნების სამართლებრივი სისტემის ფორმირებაზე. ამ დროს, რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ინგლისური საერთო სამართალი ვერ გახდა მთელი დიდი ბრიტანეთის საერთო სამართალი, ვინაიდან იგი მხოლოდ ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე მოქმედებს და არ ვრცელდება შოტლანდიაზე, ჩრდილოეთ ირლანდიაზე, ლა-მანშისა და მენის კუნძულებზე, რომლებსაც საკუთარი სამართლებრივი სისტემები აქვთ ჩამოყალიბებული.

შეიძლება ითქვას, რომ საერთო სამართლის ოჯახი რომანულ-გერმანულისგან განსხვავებით, ნაკლებად ერთიანია. უნდა გამოვყოთ ევროპული საერთო სამართალი, ინგლისისა და ირლანდიის მაგალითზე, არაევროპული საერთო სამართლისგან, ინდოეთისა და ზოგიერთი მუსლიმანური ქვეყნის მაგალითზე, სადაც იგი ნაწილობრივ იქნა მიღებული და შერეული ფორმით მოქმედებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისურისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სამართლებრივი კულტურა ჩამოყალიბდა და ამერიკულმა სამართალმა საერთო სამართლის ოჯახის შიგნით მნიშვნელოვანი ავტონომია მოიპოვა. ამიტომ აშშ-ის სამართალმა სამართლის სტრუქტურებში და ცალკეული სამართლებრივი ნორმების კონკრეტულ ფორმულირებებში საზოგადოებრივი და სახელმწიფო, ადმინისტრაციული და ტერიტორიული მოწყობის თავისებურებები გაითვალისწინა. ამერიკული სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელია კანონის მზარდი მნიშვნელობა, კანონმდებლობის სისტემატიზაცია და მათი კონსტიტუციურობის კონტროლი, რაც უცხოა ინგლისური სამართლისთვის.

ასე ჩამოყალიბდა საერთო სამართლის სისტემა, რომლის არსებითი ნიშნებია: საჯარო სამართლებრივი საფუძველი, პროცესუალური ქმედებების განსაკუთრებული მნიშვნელობა, სასამართლო სამართალშემოქმედება. ამ უკანასკნელზე უნდა ითქვას ხაზგასმით, როგორც საერთო სამართლის განსაკუთრებულ თავისებურებაზე. იმისთვის, რომ ამ სისტემისთვის სტაბილური სახე მიეცათ, რასაც რომანულ-გერმანული სამართლის სისტემაში კანონი უზრუნველყოფს, სასამართლო პრაქტიკამ სასამართლო პრეცედენტების სავალდებულო წესი დაამკვიდრა, როცა ერთხელ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შემდგომში ხდება სავალდებულო არა მხოლოდ მისი გამომტანი მოსამართლისთვის, არამედ ყველა სხვა მოსამართლისთვისაც.

ამერიკული სამართლის შერწყმამ საერთო სამართლის ოჯახში, ბევრი თავისებურებით გაამდიდრა იგი. მაგრამ ის, რომ ამერიკის შეე-

რთებული შტატებისთვის „საერთო სამართალი“, პირდაპირი გაგებით, სულაც არ ნიშნავს მთელი ქვეყნისთვის საერთო სამართალს, რომ აშშ-ში, ფედერალურთან ერთად, რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სისტემა არსებობს ცალკეულ შტატებში, თავისი კონსტიტუციით, სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოებით, რომ ყველა შტატს თავისი სამართალი აქვს, ეს ამერიკული ნოვაცია მიუღებელი აღმოჩნდა საერთო სამართლის ოჯახის ტრადიციული ქვეყნებისთვის. მაგალითად, ავსტრალიაში საერთო სამართალს გარანტიად უდგას უმაღლესი სასამართლო, რომლის მიერ საერთო სამართლის საკითხებზე ნებისმიერი შტატის სასამართლო გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა სასამართლოსთვის. იგივე ითქმის ახალი ზელანდიის სამართალზე, იმ განსხვავებით, რომ აქ, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ამერიკული მოდელის შესაბამისად, უმაღლესი სასამართლო უზრუნველყოფს ქვეყანაში იურისდიქციის ერთიანობას.

საერთო სამართლის ტრადიციულ ნევრთაგან ინდოეთის სამართლებრივი სისტემა ერთი გამორჩეული თავისებურებაა, რომელშიც არა მხოლოდ კონტინენტური, რელიგიური სამართლებრივი ოჯახების თავისებურებებია შერეული და იგი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი ოჯახის ნევრად რჩება, ფაქტობრივად, პოლისისტემურ ნაერთს წარმოადგენს: მასში ფართოდ გამოიყენება პრეცედენტების ინსტიტუტი, იმავდროულად ქვეყანაში მოქმედებს სამოქალაქო სამართლის და სისხლის სამართლის კოდექსები. ამასთან, ინდოეთის სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს სამართლის რელიგიური ნიშნით კლასიფიკაციას, კერძოდ, ჰინდუისტების, ქრისტიანებისა და მუსლიმანებისთვის ქორწინების სხვადასხვა წესს, რომლებიც სხვადასხვა წყაროს ეფუძნება და ამდენად, შარიათის კანონებიც აღიარებულია.

შერეული სამართლის ოჯახი, ძირითადად, რომანულ-გერმანული და ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი ოჯახების მიჯნაზე ფორმირდებოდა. საქმე ის არის, რომ ორივე ეს სამართლებრივი ოჯახი ვითარდებოდა პარალელურად, მაგრამ არა იზოლირებულად ერთმანეთისგან, ამიტომ პრინციპული განსხვავებების მიუხედავად, ზოგიერთი იდეა და დებულება ერთმანეთისგან ნასესხები და მოდიფიცირებული აქვთ თავიანთ სისტემაში. სწორედ ასეთი მიდგომის შედეგია ის, რომ აშშ-ში მოქმედებს კოდიფიცირებული კანონმდებლობა და მაღალია კანონის როლი, მაშინ, როცა საფრანგეთში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ქვეყნის საკასა-

ციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი ნორმების განმარტების პრაქტიკამ.

შერეული სისტემები, შერევის დონისა და ხარისხის გათვალისწინებით, გარკვეული ნაირსახეობებით გამოირჩევა. ერთია, როცა შერეული სისტემა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ცალსახად, საბაზო სამართლებრივი ოჯახის პრინციპების პრიმატის ფარგლებში მოქმედებს. შერევის მეორე ნაირსახეობა დონეებს შორის არაერთგვაროვანი სისტემების თანაარსებობას გულისხმობს, როცა სახელმწიფო დონეზე სამართლის ერთი სისტემა მოქმედებს, ხოლო მის შემადგენელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში განსხვავებული სისტემა. მსგავსი შერევის თვალსაჩინო მაგალითია გაერთიანებული სამეფო, დიდი ბრიტანეთი, თავისი ინგლისური სამართლითა და საერთო სამართლის და კონტინენტური სამართლის გარკვეული შიბრიდი — შოტლანდიური სამართალი. აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ საერთო სამართლის ოჯახს მიკუთვნებული კანადურ სამართლებრივ სისტემაში არაორგანულად ჩანერილი კვებეკის სამართალი, რომელიც კონტინენტური სამართლისა და საერთო სამართლის ოჯახების „სამეზობლო“ ზღვარზეა შემუშავებული.

უნდა ითქვას, რომ ამ ორი სამართლებრივი ოჯახების ე.წ. შერეული, შიბრიდული სამართლებრივი სისტემის ქვეყნების რაოდენობა თანდათან იზრდება, თანაც ისე, რომ ზოგიერთი ოჯახს იცვლის, ზოგიც „ოჯახურ ტრადიციებს“ ინარჩუნებს, მაგრამ მთავარი მთელ ამ პროცესში სამართლებრივი ოჯახების დაახლოების ტენდენციაა. შედეგი კი ის არის, რომ მთელ რიგ ქვეყნებში უკვე მოქმედებს სამართლებრივი სისტემები, რომლებშიც ჭარბად არის ერთმანეთში გაჯერებული და ამოქმედებული ორივე ოჯახის თავისებურებებიდან ნასესხები იდეები და ძნელია, ისინი ცალსახად, გამოკვეთილად რომელიმე ერთ ოჯახს მიაკუთვნო. ასეთი შერეული სამართლებრივი სისტემების რიგში შეიძლება დავასახელოთ იაპონური, შოტლანდიური, ისრაელის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ფილიპინებისა და რიგი სხვა სახელმწიფოების სამართალი. თუმცა ეს ჩამონათვალი, სულაც არ ნიშნავს მათი სისტემების ერთგვაროვნებას და ერთი ახალი სამართლებრივი ოჯახის კონტურებს, უბრალოდ, ყოველი მათგანის სამართალი, კონტინენტური სამართლის და საერთო სამართლის ურთიერთმიახლოების კონკრეტული ნიმუშია.

შერეულ სისტემებზე მსჯელობისას, საგანგებოდ უნდა ითქვას შერევის ისეთ მახასიათებლებსა და დონეზე, რომლებიც ცალკეული ქვეყნის სამართლებრივი სისტემის გარკვეული ინდივიდუალიზაციის

ან თუნდაც ახალი ოჯახის ფორმირების პრეტენზიას აცხადებს. ასეთი პერსპექტივა, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, მაინც უფრო შერეულ სისტემებთან არის დაკავშირებული. და თუ შერევის ერთგვაროვანი ბალანსით იმ ქვეყნების სამართლებრივი სისტემები ხასიათდება, რომელთაც ამას გარდა, ტერიტორიული მეზობლობა აკავშირებს, სწორედ მაშინ იკვეთება სამართლებრივი ოჯახის კონტურები.

სკანდინავიის ქვეყნებში რომანულ-გერმანული და ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი სისტემების რაღაც შუალედური მოდელი მოქმედებს. დანიის სამართლებრივ სისტემას, რომელიც მოცემულ ცნობარშია წარმოდგენილი, ცალსახად, ძნელად თუ მიაკუთვნებ რომელიმე სამართლებრივ ოჯახს, ცხადია, იგი შერეული სისტემაა, მაგრამ მისი განსაკუთრებულობა სწორედ შერევის თავისებურებებშია. ერთი მხრივ, სამართლის წყაროთა შორის სასამართლო პრეცედენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ზოგიერთი სამართლებრივი ინსტიტუტი პრეცედენტული სამართლის ნორმებით და არა საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება და თანაც ისე, რომ კანონმდებლობა ფართო სივრცეს უტოვებს მოსამართლეს, პირადი მოსაზრებებით მოქმედებისთვის. ყველაფერი ეს კი იმას მიანიშნებს, თითქოს დანიური სამართლის ადგილი საერთაშორისო საერთო სამართლის ოჯახში უნდა იყოს. ამ დროს, საერთო სამართლისგან განსხვავებით, დანიურ სამართალში სასამართლო პრეცედენტები მკაცრი წესებით რეგულირებას არ ექვემდებარება. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება კონკრეტულად ფორმულირდება და არა როგორც სავალდებულოდ გათვალისწინებული საერთო წესები.

ანალოგიური მოდელის პირობებში, შვედეთის სამართალში სამართლის წყაროებთან არასამართლებრივი ურთიერთობაც კი შეიმჩნევა. შვედურ კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც პრეცედენტს იურიდიულ ძალას ანიჭებს, და მაინც, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების სახით შემოსული პრეცედენტები, პრაქტიკულად, სამართლის წყაროს წარმოადგენს.

დანიური სამართლის განხილვის ფონზე, იმის გათვალისწინებით, რომ საოჯახო და მექვიდრეობის სამართლის სფეროში სხვა სკანდინავიურ ქვეყნებთან შეჯერებული კანონები მოქმედებს, საგანგებო მნიშვნელობა სწორედ სკანდინავიაში საკანონმდებლო თანამშრომლობის მეშვეობით, სამართლებრივი სივრცის ჰარმონიზაციის ტენდენციას უნდა მიექცეს. საქმე ის არის, რომ სკანდინავიური ქვეყნები: დანია, ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი, არა მხოლოდ იმის გამო, რომ თითოეული მათგანის სამართალი რომანულ-

გერმანული და ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი ოჯახების ჰიბრიდული მოდელია, უფრო მეტად უკანასკნელ ათწლეულებში ამ ქვეყნების ურთიერთობაში დამკვიდრებული კანონმდებლობის შეჯერების ტენდენციის შედეგია, რომ დღეს უკვე სკანდინავიურმა, ანუ ე. წ. „ჩრდილოეთის“ სამართლებრივმა ოჯახმა აღიარება მოიპოვა.

შერეული სამართლებრივი სისტემების სიმრავლით გამოირჩევა ლათინური ამერიკა. მოცემულ ცნობარში წარმოდგენილი ბრაზილიისა და მექსიკის შერეული სამართლებრივი სისტემისთვის ის არის დამახასიათებელი, რომ კონსტიტუციური და საჯარო სამართალი ამერიკული, ხოლო კერძო სამართალი – კონტინენტური სამართლის გავლენით ჩამოყალიბდა, თუმცა კერძო სამართალიც არ არის ერთგვაროვანი ორიენტაციის. ბრაზილიის სამოქალაქო სამართალში ესპანეთ-პორტუგალიის დიდი გავლენაა, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ლათინური ამერიკის მოდელური კოდექსის გავლენის შედეგია. რაც შეეხება ბრაზილიისა და მექსიკის სისხლის საპროცესო კოდექსებს, ისინი რომანულ-გერმანული მოდელის მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ ლათინური ამერიკის კონცეპტუალურ იდეებს ინარჩუნებს. ყოველივე აღნიშნული ცალკე სამართლებრივი ოჯახის კონტურებზე აკეთებს აქცენტირებას და შეიძლება ითქვას, სერიოზული არგუმენტია, მით უმეტეს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ცალსახად არის დაფიქსირებული რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახის ლათინურ-ამერიკული ჯგუფი, რომელიც ბრაზილიასა და მექსიკასთან ერთად, 14 ქვეყანას აერთიანებს.

მუსლიმანური სამართლის ოჯახი ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და მოქმედი ჯგუფია, რელიგიური სამართლის სისტემებს შორის. ასეთად კი ამ ქვეყნების სამართალს მოიხსენიებენ, რომლებიც თავისი საფუძვლებით უფრო რელიგიურია, ვიდრე იურიდიული, ვინაიდან მოსახლეობა რელიგიისადმი მორჩილების სულისკვეთებით ცხოვრობს და სამართალიც რელიგიასთან დაუკავშირებიათ. აქ, პირველ რიგში, აზიის ქვეყნების სამართალი იგულისხმება: ჰინდის სამართალი, უძველესი ჩინური სამართალი; ძველი იაპონური სამართალი. უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა მუსლიმანურმა სამართალმა, რომლის გეოგრაფიული განვრცობის სფერო დღესაც მოიცავს ახლო აღმოსავლეთის, აზიის და აფრიკის ნაწილს.

ისტორიულად მუსლიმანური სამართალი ისლამით არის წარმოდგენილი. რელიგია და სამართალი მასში განუყოფელია. მუსლიმანური სამართლის ტრადიციულ წყაროებს რელიგიური წარმომავლობა აქვს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე, მუსლიმანური

სამართალი არსებითად უძრავად რჩებოდა და მხოლოდ მორწმუნეთა წრეში გამოიყენებოდა.

კოლონიზაციის რეჟიმმა მუსლიმანურ ქვეყნებში სამართალსაც კვალი დაატყო. მუსლიმანურ ქვეყნებში შემოდიოდა სასამართლო ორგანოები, რომლებიც იხილავდნენ საქმეებს, რომლის თუნდაც ერთ მხარეს არამუსლიმანური წარმომავლობის პირი იყო. მოგვიანებით ამ სახელმწიფო-კოლონიებში დაიწყო დასავლური ნიმუშის კოდექსების შემოღება, როგორც ეს თავის დროზე მოხდა თურქეთში, ირანში, პაკისტანში, სუდანში, ინდონეზიაში. ამჟამად, საკუთრივ მუსლიმანური სამართალი ფართო მოქმედებაშია საუდის არაბეთში, იემენსა და კუვეითში. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ეგვიპტეში მოქმედი სამართლებრივი სისტემა მუსლიმანური სამართლისა და კონტინენტური სამართლის ერთგვარი ჰიბრიდია.

საერთოდ, მუსლიმანური სამართლის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი ის არის, რომ ამ სამართლებრივი ოჯახის წევრ ქვეყნებში სახელმწიფო და ეკლესია ერთი მთლიანია და სახელმწიფო რელიგიურ იდეოლოგიას ემყარება. ირანი საგანგებოდ შევარჩიეთ ცნობარში შესატანად, ვინაიდან სწორედ ირანის სამართლებრივი სისტემაა მუსლიმანური სამართლის კლასიკა. აქ კონსტიტუციური წყობის საფუძველი ის არის, რომ სახელმწიფოს მეთაური აყვანილია პოლიტიკური და სულიერი წინამძღოლის რანგში, ეკლესია აკონტროლებს სახელმწიფო საქმიანობის ყველა მიმართულებას, მათ შორის, უმნიშვნელო დეტალებსაც კი. სამართლის ძირითადი წყარო, კონსტიტუციასთან ერთად, არის შარიათის სამართალი. ირანული კანონმდებლობა ისეთ წყაროებს ეყრდნობა, როგორიცაა ყურანი და სუნა. ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც საჯარო თანამდებობაზე დასამტკიცებელი კანდიდატურა უნდა აკმაყოფილებდეს, ეს არის „ისლამის ღრმა რწმენა“ და ისლამურ რელიგიაში განსწავლულობა. ყოველი აღნიშნული, რა თქმა უნდა, სათანადოდ აისახება მართლმსაჯულების სფეროზეც: მოსამართლე – ყადი უფლებამოსილია, შექმნას ახალი პრეცედენტი ყველა სფეროში, ხოლო მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისას, ვალდებულია იხელმძღვანელოს ყურანის მცნებებით.

მუსლიმანური ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში რელიგიის განსაკუთრებული მნიშვნელობის საილუსტრაციოდ, ერთი ასეთი მაგალითიც იკმარება. ირანში საკონსტიტუციო კონტროლს სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, რომელთაგან 6 ცნობილი ღვთისმსახურია, ხოლო 6 იურისტი. ამიტომაც საბჭო კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების სრულყოფილების შეფასებას ორი

კრიტიკით აღასრულებს. იგი კანონებზე ზედამხედველობას ახორციელებს არა მხოლოდ ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობის, არამედ ყურანთან შეთანხმებულობის თვალსაზრისითაც. სწორედ ამ უკანასკნელთან შეთანხმებულობის მოტივით, 1982 წელს ირანის სამეთვალყურეო საბჭომ შეაჩერა აგრარული რეფორმისა და საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაციის შესახებ კანონების მოქმედება.

სოციალისტური სამართლის ოჯახის დაბადების დღე რუსეთში ოქტომბრის რევოლუციასთან არის დაკავშირებული, ხოლო აღზევება – მეორე მსოფლიო ომის შედეგებთან, როდესაც აღმოსავლეთ ევროპას სოციალიზმის მშენებელი ქვეყნები მოეფინა. საბჭოურმა სამართალმა დაამკვიდრა სოციალისტური სამართლებრივი ოჯახი, რომლის შიგნით ევროპისა და აზიის სახალხო რესპუბლიკების სამართლებრივი სისტემები დამოუკიდებელი ჯგუფების სახით იყო წარმოდგენილი. სოციალისტური ქვეყნების ბანაკისა და საბჭოთა კავშირის დაშლამ, სოციალისტური ქვეყნების რაოდენობა ერთეულებამდე დაიყვანა. ქვეყნებმა, რომლებმაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზა აირჩიეს, რა თქმა უნდა, სამართლებრივი ორიენტაციაც შეიცვალეს და კვლავაც კონტინენტური სამართლის ოჯახში დაბრუნდნენ. მათ შორის არიან კრებულში წარმოდგენილი ქვეყნები: რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, უნგრეთი და საქართველო.

მაგრამ ვიდრე თუნდაც ორი ქვეყანა განაგრძობს სოციალიზმის მშენებლობას და ამ იდეების საფუძველზე აქვს ორიენტირებული ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, მართალია მცირერიცხოვანი, მაგრამ ოჯახი მაინც დაფიქსირებულია.

სოციალისტური სამართლის ძირითადი წყარო ქვეყნის საკუთარი კანონმდებლობაა. სხვა თავისებურებებზე განზოგადებულად მსჯელობა, უბრალოდ, შეუძლებელია, სად ჩინეთი და სად კუბა – განსაზოგადებელიც აღარაფერი რჩება. ამიტომ ჩვენ ჩინეთის სამართლებრივი სისტემის გაცნობით უნდა დავკმაყოფილდეთ.

სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციების ძირითადი თავისებურებები ის არის, რომ უარყოფილია ხელისუფლების დანაწილებისა და პიროვნების უფლება-თავისუფლებების დაცვის კონსტიტუციონალიზმის კონცეპტუალური საფუძველები. ამ თავისებურებებს ვერც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია გადაურჩა. უნდა ითქვას, რომ სოციალისტური ტიპის ჩინეთის კონსტიტუცია ერთგვარად მოდერნიზებულია, იგი ბევრ სხვა ე.წ. სოციალისტურ, უფრო მეტად კი კომუნისტურ თავისებურებებს, არა მარტო ინარჩუნებს, არამედ ავითარებს კიდევ. კონსტიტუციის პრეამბულა ამკვიდრებს

პრინციპს „პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კლასობრივი ბრძოლის გაგრძელების“ თაობაზე და აქვე კონსტიტუციურად განამტკიცებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ჩინური სამართალი კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური კურსის რეალიზაციის ფუნქციას ასრულებს, რაც მრავალი ფაქტორით დასტურდება და, პირველ რიგში, ჩინური სისხლის სამართლის კოდექსით, რომლისთვისაც დამახასიათებელია, როგორც საერთო სოციალისტური, ისე წმინდა ჩინური მოდიფიკაცია პრინციპებისა, რაც იმას გულისხმობს, რომ კოდექსი შემუშავებულია „მარქსიზმ-ლენინიზმის ხელმძღვანელი კურსისა და მათ ძედუნის იდეების“ საფუძველზე. სწორედ ამის გამოა დანაშაულის ცნების განმარტებისას, წინა პლანზე გამოტანილი დანაშაულის კლასობრივ-მატერიალური შინაარსი და კოდექსი, „კონტრევოლუციურ დანაშაულთა შესახებ“ ასმუხლიანი სპეციალური თავით „გამდიდრებული“, რომელიც ფაქტობრივად, მთელი კოდექსის მეხუთედს შეადგენს.

მოცემული ცნობარი 30 ქვეყნის სამართლებრივ სისტემას წარმოადგენს, სამართლებრივი სისტემების ოჯახების ეს მცირე ანალიზი მსოფლიოში არსებულ საერთო სურათს წარმოაჩენს, რომლის საფუძველზეც, დასკვნის სახით, რამდენიმე განზოგადებული მოსაზრება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

– სამართლებრივი ოჯახების შექმნის საფუძველი ძირითადი პრინციპების ერთიანობაა, თორემ ოჯახის წრეშიც კი არ არსებობს აბსოლუტური ერთგვაროვნება, ოჯახის სახის კლასიკურ ნიმუშად მხოლოდ მისი დამფუძნებელი რჩება;

– ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის და სხვა ქვეყნების მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიოში სამართლებრივი სისტემები გაცილებით მეტია, ვიდრე სახელმწიფო არსებობს;

– ორი ძირითადი სამართლებრივი სისტემა – რომანულ-გერმანული ანუ კონტინენტური და ინგლისურ-ამერიკული ანუ საერთო – პარალელურად, მაგრამ არა ერთმანეთისგან იზოლირებულად ვითარდებოდა, თავადაც მრავალრიცხოვანი, სტაბილური ოჯახები შექმნეს, თუმცა ზოგიერთი არსებითი თავისებურების ურთიერთშეჯერების ხარჯზე, ე.წ. შერეული სამართლებრივი სისტემების დაფუძნებასაც შეუწყვეს ხელი;

– მსოფლიოში ჰიბრიდული სამართლებრივი სისტემები ჩამოყალიბდა, რომელთა ნაწილმაც „მშობლიური ოჯახისადმი“ კუთვნილება შეინარჩუნა, ზოგიც მკვეთრად აფიქსირებს თავის ინდივიდუალულობას;

– ჰიბრიდული სამართლებრივი სისტემების ე.წ. მონათესავე სახელმწიფოების ჯგუფების ტერიტორიული სიახლოვე, რაც კანონმდებლობის ჰარმონიზაციის კეთილისმყოფელ პირობებს ქმნის, მიმართულია ერთგვაროვანი სამართლებრივი სივრცის შექმნისკენ და გამოდის, რომ მეზობლური სიახლოვე, მათი ოჯახად გაერთიანების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია;

– აღნიშნული ფაქტორი და ურთიერთობა გახდა საფუძველი იმისა, რომ დღეს უკვე აღიარებულია სკანდინავიური ქვეყნების ხუთეული, ე.წ. „სამხრეთის“ სამართლებრივ ოჯახში. სამომავლოდ, ისიც რაღაცას უნდა ნიშნავდეს, რომ ლათინური ამერიკის 14 ქვეყანა, სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროში რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის ლათინური ამერიკის ცალკე ჯგუფად არის დაფიქსირებული, მით უმეტეს, რომ ჯგუფის შიგნით კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მცდელობები შეიმჩნევა;

– მაშინ, როცა რელიგიურ, კერძოდ, მუსლიმანურ სამართალში; სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობაში რელიგიის პრიმატი სამართლებრივად არის დაფიქსირებული, აღმოსავლეთში მომძლავრებული რელიგიური ფანატიზმის ტენდენციების გათვალისწინებით, ამან არ შეიძლება გარკვეული სირთულეები არ გამოიწვიოს, მათ შორის რეგიონის საზღვრებს გარეთაც;

– სოციალისტური სამართლის ოჯახის დამფუძნებელმა და მამამთავარმა, თავადვე მოუსწრაფა არსებობა მისიანების ოჯახს, ვინც გამოასწრო, ყველამ რომანულ-გერმანული სათავეებისკენ იბრუნა პირი. სოციალისტურ წრეში სიხალვათეა, მაგრამ მაინც ოჯახად მოიხსენიება, თუმცა ისიც, რაც ამ სამართლებრივ ოჯახში ხდება, განზოგადებას არ ექვემდებარება.

ოთარ გელაძე

აქსტრალია

ავსტრალია წარმოადგენს განვითარებულ, ინდუსტრიულ სახელმწიფოს, რომელიც განთავსებულია ავსტრალიის კონტინენტზე, კუნძულ ტასმანიასა და მთელ რიგ პატარა კუნძულებზე. მთლიანად ავსტრალიის სახელმწიფოს ტერიტორია 7.7 მილიონ კმ²-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 16.7 მილიონს აღწევს. ავსტრალიის მთავრობის გადანყვეტილებით, საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყანას ეწოდება ავსტრალია, ხოლო ქვეყნის შიგნით – ავსტრალიის კავშირი. ქვეყნის დედაქალაქია კანბერა, სახელმწიფო ენა – ინგლისური, ფულის ერთეული – ავსტრალიური დოლარი.

1900 წლამდე ავსტრალია ბრიტანეთის კოლონიების ერთობლიობას წარმოადგენდა და მას ინგლისი მართავდა. რეალურად, თავად ავსტრალიელების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ავსტრალიის კონსტიტუცია ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 1900 წლის 9 ივლისს და ძალაში შევიდა 1901 წლის 1 იანვარს.

ავსტრალიის სამართლებრივი სისტემის ფორმირება ინგლისური სამართლის მნიშვნელოვანი გავლენით მოხდა და რამდენადაც ავსტრალიის სამართალს ინგლისის საერთო სამართლისა და სტატუტური სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგენს, ცხადია, იგი საერთო სამართლის ოჯახს განეკუთვნება.

ავსტრალია ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრია. სწორედ ამ მიზეზის გამო, მმართველობის ფორმით პარლამენტურ მონარქიას წარმოადგენს, ხოლო ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით ფედერალური სახელმწიფოა.

კონსტიტუციური სამართალი

კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლებრივი კომპეტენცია შემდეგნაირად არის დანაწილებული: სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის დედოფალი, რომელიც თავის ხელისუფლებას მის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორის მეშვეობით ახორციელებს; საკანონმდებლო ხელისუფლებას უზრუნველყოფს პარლამენტი; აღმასრულებელ ხელისუფლებას – გენერალ-გუბერნატორი, კავშირის მთავრობასთან ერთად; სასამართლო ხელისუფლებას – ფედერალური იუსტიცია, რომელიც მოიცავს ფედერალურ და ცალკეული შტატების სასამართლოებს.

გენერალ-გუბერნატორი. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელს წარმოადგენს ბრიტანეთის დედოფალი და მისი სახე-

ლით აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მის მიერვე ხუთი წლის ვადით დანიშნული გენერალ-გუბერნატორი. მაგრამ საქმე ის არის, რომ გუბერნატორის კანდიდატურას მთავრობის მეთაური — პრემიერ-მინისტრი წარადგენს. გამოდის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმალური მეთაურის — დიდი ბრიტანეთის დედოფლის სახელისუფლო იერარქიის ქვედა სართულზე დუალიზ-მია, მართალია, კომპეტენციის ერთგვარი დანაწილებით და შეთანხმებების მექანიზმებით მოწესრიგებული, მაგრამ მაინც კონსტიტუციურად აღიარებულია ორხელისუფლებიანობა. მაგალითად, სწორედ პრემიერ-მინისტრის თანხმობით, გენერალ-გუბერნატორი უფლებამოსილია მოიწვიოს და გადადოს საპარლამენტო სესია, დაითხოვოს წარმომადგენელთა პალატა. კანონები ძალაში შესვლის მიზნით საჭიროებს მის მოწონებას, არადა, იგი უფლებამოსილია კანონი თავისი შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს. გენერალ-გუბერნატორი უფლებამოსილია, განახორციელოს დანიშვნები სახელმწიფო თანამდებობებზე, აქვს შეწყალების უფლება და ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია.

გენერალ-გუბერნატორი ნიშნავს საკონსულტაციო ორგანოს — ფედერალურ აღმასრულებელ საბჭოს, რომლის შემადგენლობაში შედის ორი ან მეტი მინისტრი და სხვა პირები, რომელთაც ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი იმ ვადით, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს. ფედერალური აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობას აკონტროლებს პარლამენტი.

ბრიტანეთის დედოფლის მონაწილეობა ავსტრალიის მართვა-გამგეობაში მხოლოდ გენერალ-გუბერნატორის პოსტით არ შემოიფარგლება, შტატების მთავრობაში მას თავისი რწმუნებულები ჰყავს ჩასმული. შტატებში დედოფლის წარმომადგენლები — გუბერნატორები დამოუკიდებელნი არიან გენერალ-გუბერნატორისგან და არ ექვემდებარებიან მის კონტროლს. ისინი საქმიანობენ მათთვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და მათი უფლებამოსილების ვადაც ხუთ წელს შეადგენს.

პარლამენტი. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საყოველთაო კენჭისყრის შედეგად არჩეული ორპალატიანი პარლამენტი. ქვედა — წარმომადგენელთა პალატა აერთიანებს 148 წევრს, ხოლო ზედა პალატა — სენატი აერთიანებს 76 სენატორს. პარლამენტის პირველი სესია მონვეულ უნდა იქნეს არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. პარლამენტის შემადგენლობაში მოქმედებენ მუდმივი და დროებითი, მათ შორის, საგამოძიებო კომისიები. პალატების უფლებამოსილებები, პრაქ-

ტიკულად, ერთნაირია, იმ გამონაკლისით, რომ სენატს არა აქვს უფლება ცვლილება შეიტანოს ფინანსურ კანონპროექტებში.

კანონპროექტს, როგორც წესი, ამზადებს საპარლამენტო მრჩეველი, მინისტრის ან პარლამენტის წევრის დავალებით. შემდეგ, მოცემული ბილის ინიციატორის შენიშვნებით პროექტი პარლამენტს გადაეცემა განსახილველად. თითოეულ პალატაში კანონპროექტი გადის რამდენიმე მოსმენას. პირველი მოსმენისას დეპუტატებს გააცნობენ პროექტის ტექსტს, მეორე მოსმენის დროს პარლამენტისთვის ხდება მისი შინაარსისა და მიზნების განმარტება. შემდეგ კანონპროექტი განიხილება და გადაეცემა კომისიებს, სადაც ხდება მისი სრულყოფა. მესამე მოსმენის დროს ბილი მონონებულ უნდა იქნეს პარლამენტის ორივე პალატის მიერ. თუ რომელიმე პალატა მასში რაიმე ცვლილებას შეიტანს, მეორე პალატა მას უნდა დაეთანხმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პალატები დანიშნავენ თავიანთ წარმომადგენლებს საერთო გადანყვეტილების შესათანხმებლად. ორივე პალატის მიერ კანონპროექტის მონონების შემდეგ, იგი დასამტკიცებლად გადაეცემა გენერალ-გუბერნატორს, რომელიც როგორც მონარქის წარმომადგენელი, ხელს აწერს კანონს.

შტატებისა და ფედერაციის საკანონმდებლო სფეროები გამიჯნულია კონსტიტუციით. თუ ფედერაციის საკანონმდებლო კომპეტენცია მკაფიოდ არის განსაზღვრული კონსტიტუციის 51-ე მუხლით, შტატები ფლობენ „დამხმარე, შემავსებელ უფლებამოსილებებს“ და, მაშასადამე, მათ პარლამენტებს აქვთ უფლება, მიიღონ ნებისმიერი კანონი, „თავიანთ მიწებზე მშვიდობის, წესრიგისა და კარგი მმართველობის უზრუნველსაყოფად.“ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შეზღუდულ კომპეტენციას განეკუთვნება ჯანდაცვის, სასკოლო განათლებისა და საგზაო მეურნეობის საკითხები. მაგრამ თუ შტატის კანონი ეწინააღმდეგება ფედერაციის კანონს, უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება. შტატები არ არიან უფლებამოსილნი ფედერაციის თანხმობის გარეშე შექმნან საზღვაო და სახმელეთო სამხედრო ძალები, დაბეგრონ გადასახადებით ფედერაციის საკუთრება, არ შეუძლიათ გამოუშვან ფული.

ავსტრალიის კანონმდებლობას შეადგენს, ერთი მხრივ, ავსტრალიის კავშირისა და, მეორე მხრივ, ცალკეული შტატების პარლამენტების მიერ მიღებული კანონები. მათ ავსებს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული აქტები. კავშირისა და შტატების კომპეტენცია კონსტიტუციით იმგვარად არის გამიჯნული, რომ სამართლებრივი ინსტიტუტების არსებითი ნაწილი

რეგულირდება შტატების კანონმდებლობით, მთელ რიგ ინსტიტუტებზე ვრცელდება კავშირისა და შტატების ერთობლივი კომპეტენცია, წინააღმდეგობის შემთხვევაში, კავშირის კანონმდებლობის პრიმატით, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი კავშირის მიერ რეგულირდება. მაგალითად, შტატების კანონმდებლობით რეგულირდება მინისა და ზოგიერთი სხვა სახის საკუთრების სამართლის, სახელმეკრულებო სამართლის, მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის, შრომის პირობებისა და ზოგიერთი სხვა საკითხი. კავშირის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენს სასამართლოების იურისდიქციის განმსაზღვრელი და მართლმსაჯულების ზოგიერთი სხვა საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობა, შრომითი ურთიერთობების, საპენსიო უზრუნველყოფის, ქორწინებისა და განქორწინების, ასევე საბანკო და საავტორო სამართლის საკითხები.

ამჟამად ავსტრალიაში მიმდინარეობს სამუშაოები საკანონმდებლო რეფორმის განხორციელების მიზნით. შტატებში შექმნილია შესაბამისი კომისიები, რომლებიც შტატების პარლამენტებს განსახილველად წარუდგენენ მოქმედი კანონების გადასინჯვის შესახებ წინადადებებს. 1970-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა საერთო ავსტრალიური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა კავშირის კომპეტენციაში შემავალი „კანონების, გადასინჯვის, შემოკლებისა და მოდერნიზაციის“, ასევე, შტატებისა და ტერიტორიების კანონმდებლობის ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მიზნით წინადადებების შემუშავება. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, თუმცა კომისიის მიერ მომზადებული მოხსენებებისა და წინადადებების საფუძველზე უკვე გამოიცა კანონები თანამდებობის პირთა მოქმედებების გასაჩივრების, ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის, მინის შექენასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის, დაზღვევისა და სხვა საკითხთა შესახებ.

მთავრობა. ავსტრალიის მთავრობის ფორმირება ხდება პარლამენტში უმრავლესობის პარტიის წარმომადგენელთაგან, ხოლო პრემიერ-მინისტრი არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერია, რომელიც, თავის მხრივ, დააკომპლექტებს კაბინეტს და შესაბამის სიას დასამტკიცებლად გენერალ-გუბერნატორს წარუდგენს. კაბინეტი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ფლობს პარლამენტის მიერ მისთვის დელეგირებულ უფლებას, გამოსცეს საკანონმდებლო აქტები, აღჭურვილია ასევე კვაზისასამართლო უფლებამოსილებით. აქ უკვე მთავრობა ახორციელებს გენერალური გუბერნატორის ზოგიერთ ფუნქციას. კაბინეტის ნევრი თითოეული მინისტრი, როგორც წესი, პასუხისმგებელია ერთ დეპარტამენტზე,

თუმცა, ერთი მინისტრი იმავდროულად შეიძლება ხელმძღვანელობდეს რამდენიმე დეპარტამენტს. მთავრობა კოლექტიურად არის პასუხისმგებელი ფედერალური პარლამენტის ქვედა პალატის წინაშე.

კავშირის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მკვეთრად არ არის გამიჯნული. მართალია, კონსტიტუციურად მხოლოდ პარლამენტი უფლებამოსილი მიიღოს კანონები, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა მიიღოს წესები, პროცედურები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც კანონების რეალურ ამოქმედებას უზრუნველყოფს, ანუ, ფაქტობრივად, კანონიერების დამკვიდრების ნაწილში, ადგილი აქვს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის საკანონმდებლო ხელისუფლების მნიშვნელოვანი ბერკეტების დელეგირებას. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა მკვეთრ გაუმიჯნაობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ პრემიერ-მინისტრი და სხვა მინისტრები პარლამენტის წევრები არიან. მთავრობის ფორმირების ეს თავისებურება ასახავს „პასუხისმგებელი მთავრობის“ პრინციპს, რომლის შესაბამისად მინისტრები უნდა წარმოადგენდნენ პარლამენტის ნაწილს და პასუხისმგებელი უნდა იყვნენ მის წინაშე.

აღმასრულებელი ხელისუფლება განაწილებულია, ერთი მხრივ, ფედერალურ მთავრობასა და, მეორე მხრივ, 6 შტატისა და 2 ტერიტორიის მთავრობებს შორის. ესენია: ახალი სამხრეთ უელსი, სამხრეთ ავსტრალია, ქუინსლენდი, ტასმანია, ვიქტორია, დასავლეთ ავსტრალია, ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორია და ჩრდილოეთის ტერიტორია.

შტატების კანონის კავშირის კანონთან შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება, ხოლო შტატის ეს კანონი ან მისი შესაბამისი დებულება ბათილად მიიჩნევა. შტატის პარლამენტი უფლებამოსილია კავშირის დაქვემდებარებაში გადასცეს საკუთარი ტერიტორიის ნებისმიერი ნაწილი. ამ შემთხვევაში, გადაცემულ ტერიტორიაზე კავშირის ექსკლუზიური ძალაუფლება გავრცელდება. შტატები მხოლოდ კავშირის პარლამენტის თანხმობის შემთხვევაში არიან უფლებამოსილნი, იყოლიონ საკუთარი საზღვაო თუ სახმელეთო სამხედრო ძალები, შემოიღონ რაიმე სახის გადასახადი კავშირის საკუთრებაზე. თავის მხრივ, არც კავშირის ხელისუფლებას უფლებამოსილი, დაანესოს რაიმე გადასახადი შტატის საკუთრებაზე.

კავშირის კანონმდებლობის დარღვევაში ბრალდებულ თუ მსჯავრდადებულ პირთა დაკავებისა და დასჯის წესებს თითოეული შტატი თავად განსაზღვრავს, ხოლო ეს წესები კავშირის პარლამენტის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის მიღების შემდეგ ამოქმედდება.

კონსტიტუციის მიხედვით, კავშირმა უნდა დაიცვას თითოეული შტატი გარეაგრესიისგან და შტატის აღმასრულებელი მთავრობის მიმართვის შემთხვევაში — ასევე შინაძალადობისგან.

კონსტიტუციის 121-ე და 124-ე მუხლები იძლევა კავშირის შემადგენლობაში ახალი შტატების მიღების შესაძლებლობას. კავშირის პარლამენტი განსაზღვრავს ასეთი შტატების მიღების პირობებს, პარლამენტის ორივე პალატაში მათი წარმომადგენლობის ნორმების განსაზღვრის ჩათვლით. ახალი შტატის შექმნა ასევე შესაძლებელია უკვე არსებული შტატიდან ტერიტორიის გამოყოფით ან ორი ან მეტი შტატის თუ მათი ნაწილის გაერთიანებით, შესაბამისი შტატების პარლამენტების თანხმობით.

საარჩევნო სამართალი

ავსტრალიის საარჩევნო სამართლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს კონსტიტუცია და კავშირის 1918 წლის „საარჩევნო კანონი“, 1983 წლის ცვლილებებით.

არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილია ავსტრალიის საარჩევნო კომისია თავმჯდომარის, საარჩევნო კომისიონერისა და კიდევ ერთი წევრის შემადგენლობით. თავმჯდომარეს ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი იმ სამი მოსამართლიდან, რომელთაც ამ მიზნით მას წარუდგენს ავსტრალიის ფედერალური სასამართლოს მთავარი მოსამართლე. კომისია უფლებამოსილია, განიხილოს არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, შეიმუშაოს და პარლამენტს, მთავრობას, დეპარტამენტებსა და კავშირის სხვა ორგანოებს წარუდგინოს მისი სრულყოფის რეკომენდაციები, რეგისტრაციაში გაატაროს პოლიტიკური პარტიები, განახორციელოს საგანმანათლებლო და საარჩევნო პროგრამები, არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებში ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვ. საარჩევნო კომისიონერი წარმოადგენს კომისიის მთავარ აღმასრულებელს. თითოეულ შტატში მოქმედ შესაბამის ორგანოებს ხელმძღვანელობენ კომისიის მიერ უფლებამოსილი საარჩევნო მოხელეები.

კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს საარჩევნო საკითხებზე შექმნილ მუდმივ საპარლამენტო კომიტეტთან, რომელიც გადაამწყვეტ როლს ასრულებს საარჩევნო სისტემის სრულყოფის საქმეში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ავსტრალიის საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, ასევე, მთელი რიგი საკანონმდებლო სიახლეების, მათ შორის, პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ამოქმედებაში.

აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ 18 წელს მიღწეული ავსტრალიის მოქალაქეები, რომლებიც ამომრჩეველთა სიებში იქნებიან შეტანილნი. ამავე კატეგორიის პირები შეიძლება ნომინირებულ იქნენ კანდიდატებად, როგორც სენატის, ასევე, წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში, ე.ი. სარგებლობდნენ პასიური საარჩევნო უფლებით.

პარლამენტის ზედა პალატა – სენატი აერთიანებს 76 წევრს, ანუ თითოეული შტატიდან წარმოდგენილია 12, ხოლო თითოეული ტერიტორიიდან – 2 წევრი, რომლებიც აირჩევიან პირდაპირი პროპორციული არჩევნებით. შტატებიდან სენატორები აირჩევიან ექვსი წლის ვადით, ამასთან, ყოველ სამ წელიწადში ხდება შემადგენლობის სანახევრო როტაცია. ტერიტორიებიდან წარმოდგენილი სენატორების უფლებამოსილების ვადა კი სამ წელს შეადგენს.

პარლამენტის ქვედა – წარმომადგენელთა პალატაში 148 წევრია. ქვედა პალატის წევრებიც პირდაპირი არჩევნების გზით აირჩევიან ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში. მათი უფლებამოსილების ვადა სამ წელს შეადგენს, მაგრამ გენერალ-გუბერნატორის გადანყვეტილებით, ეს პალატა შეიძლება ვადამდე იქნეს დათხოვნილი.

სამოქალაქო სამართალი

ავსტრალიის სამართლის დარგების უმრავლესობა, მათ შორის, სამოქალაქო სამართალი, არსებითად არ განსხვავდება ინგლისური სამართლისგან. გამოწვევებისა მხოლოდ მიწის სამართალსა და, ნაწილობრივ, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული ნორმები. ავსტრალიის სპეციფიკურმა ბუნებრივმა გარემომ, როდესაც უდაბნოებში წყალი გაცილებით ფასეულია, ვიდრე მიწის ნაკვეთის ზომები, ამ პირობებში ოქროს საბადოების არსებობამ და ამის შედეგად დროდადრო წარმოქმნილმა „ოქროს ციებ-ცხელებამ“ გამოიწვია მიწის საკუთრების უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის ინგლისური სამართლისგან განსხვავებული წესის ამოქმედება. ავსტრალიის შრომითი კანონმდებლობისთვის, რომელიც ვითარდება, ძირითადად, შრომით ძალაზე გაზრდილი მოთხოვნის ფონზე, შრომითი დავების გადანყვეტისას დამახასიათებელია იძულებითი არბიტრაჟის ფართოდ გამოყენება. 1988 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი შრომითი ურთიერთობების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის აქტიურ მონაწილეობას მენარმეებსა და მუშაკებს შორის დავების დარეგულირების პროცესში, უპირველესად, შრომითი ხელშეკრულებების დადების სტადიაზე.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ავსტრალიის საკანონმდებლო ორგანოებმა და სასამართლოებმა გააძლიერეს თავიანთი ძალისხმევა, რათა როგორც ახალგამოცემული კანონების, ასევე, საერთო სამართლის ტრადიციული ინსტიტუტების მეშვეობით, დაეცვათ მყიდველთა უფლებები არაკეთილსინდისიერი გამყიდველებისგან, ასევე, დაეცვათ რიგითი მომხმარებლები მსხვილი კორპორაციების თვითნებობისგან. კომპანიების საქმიანობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არეგულირებს 1989 წლის კანონი კორპორაციების შესახებ.

ამჟამად ავსტრალიაში მოქმედებს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას სხვადასხვა სახის დაბინძურებისგან. ამ სფეროში გამოიყენება არა მხოლოდ ფედერაციისა და შტატების უახლესი საკანონმდებლო აქტები, როგორცაა, მაგალითად, სამხრეთ ავსტრალიის შტატში 1987 წელს მიღებული კანონი ნავთობითა და სხვა მავნე ნივთიერებებით წყლის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ, არამედ ასევე საერთო სამართლის ნორმები, რომლებიც წარმოიქმნა შუა საუკუნეების ინგლისში და ოდესღაც განკუთვნილი იყო კერძო მესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად.

ავსტრალიის კანონმდებლობის ერთ-ერთ ორიგინალურ დარგს წარმოადგენს გაქრობის პირას მყოფი, ქვეყნის ძირძველი მოსახლეობის – აბორიგენების იურიდიული სტატუსის განმსაზღვრელი ნორმები. თუ 1900 წლის კონსტიტუციით მათ მინიჭებული ჰქონდათ მხოლოდ საარჩევნო უფლებები, 1967 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, ისინი ფორმალურად იქნენ ცნობილი სრულუფლებიან მოქალაქეებად. 1968 წელს შეიქმნა ფედერალური სამინისტრო აბორიგენტთა საკითხებზე. მსგავსი სამინისტროები შექმნილია ზოგიერთ შტატშიც. 1973 წელს დაფუძნდა აბორიგენტთა ეროვნული საკონსულტაციო კომიტეტი, თუმცა, ეს ორგანო არ არის აღჭურვილი რაიმე მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით. 1976 წელს ჩრდილოეთ ტერიტორიაზე დაიწყო აბორიგენტთათვის დასახლებების მშენებლობა, ზოგიერთ შტატში უკანასკნელ ხანებში მიიღეს კანონები, რომლებითაც აბორიგენტებს მიანიჭეს მიწაზე საკუთრების უფლება.

სისხლის სამართალი

ავსტრალიის სისხლის სამართლის წყაროებს წარმოადგენს კავშირისა და ცალკეული შტატების კანონმდებლობა, ასევე საერთო სამართლის ნორმები. საკავშირო დონეზე მოქმედებს 1914 წელს მიღებული და მას შემდეგ მრავალჯერ რედაქტირებული კანონი სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ. ამ კანონით დადგენილია პასუხისმგებლობა ავსტრალიის კავ-

შირის სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის. რაც შეეხება შტატებს, სისხლის სამართლის კანონმდებლობა კოდიფიცირებულია მხოლოდ ქვინსლენდში, დასავლეთ ავსტრალიასა და ტასმანიაში. დანარჩენ შტატებსა და ტერიტორიებზე გამოიწვა არა სისხლის სამართლის კოდექსები, არამედ, ინგლისის მსგავსად, კონსოლიდირებული აქტები, რომლებიც ადგენს პასუხისმგებლობას ისეთ დანაშაულთა გარკვეული სახეობების ჩადენისთვის, როგორცაა მკვლელობა, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, ქურდობა და სხვ.

ავსტრალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიაში ნამყვანი ადგილი უკავია ქვინსლენდის შტატის 1899 წლის სისხლის სამართლის კოდექსს. იგი მომზადდა სისხლის სამართლის კოდექსის იმ პროექტის საფუძველზე, რომელიც ინგლისისთვის 1877 წელს შეიმუშავა გამოჩენილმა იურისტმა სტივენმა და რომელიც არ იქნა მიღებული ინგლისის პარლამენტის მიერ. ქვინსლენდის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი ახალი რედაქციით 1913 წელს იქნა გამოცემული დასავლეთ ავსტრალიის შტატისთვის, ხოლო 1924 წელს კიდევ ერთი ახალი რედაქციით – ტასმანიის შტატისთვის. ქვინსლენდის შტატის სისხლის სამართლის კოდექსმა, ინდოეთის 1860 წლის სისხლის სამართლის კოდექსთან ერთად, ნიმუშის სახით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აფრიკასა თუ დედამიწის სხვა ნაწილებში მდებარე ინგლისის კოლონიებში სისხლის სამართლის კოდექსების შედგენისას.

ფედერაციისა და შტატების სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელების ძირითადი სახეებია: თავისუფლების აღკვეთა, პირობითი მსჯავრდება და ჯარიმა. 1985 წლიდან შტატებმა გააუქმეს სიკვდილით დასჯა და ამჟამად სასჯელის ეს სახე ავსტრალიაში არ მოქმედებს. თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელი ხშირად გამოიყენება პერიოდული დატუსალების სახით, ხშირია ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის დანარჩენი ვადის შეცვლა შრომითი სამუშაოებით. ავსტრალიაში მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა სასჯელის ისეთი ზომების გამოსაძებნად, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, რათა გამოიყენებულ იქნეს პირობითი მსჯავრდება, სასამართლო განხილვის გადავადება, განაჩენის გამოტანის, მისი აღსრულების გადავადება და სხვ.

ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები

მიუხედავად კონსტიტუციით პირდაპირ დადგენილი ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების სიმწირისა, ავსტრალიაში ადამიანის უფლებათა საკმაოდ მაღალ დონეზე დაცვას უზრუნველყოფს „საე-

რთო სამართალი" და მართლმსაჯულების სისტემა, რომლის ზემდგომი რგოლი – მაღალი სასამართლო ამ სფეროში საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებითაც არის აღჭურვილი.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ავსტრალიაში მოქმედი ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომლის უმთავრეს ფუნქციას, საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში მოქმედი ომბუდსმენების მსგავსად, წარმოადგენს მოქალაქეებსა და მმართველ აპარატს შორის ადმინისტრაციის უხეშობით, უყურადღებობითა და შეცდომებით შელახული ნდობის აღდგენა. ავსტრალიის კავშირის ომბუდსმენი სპეციფიკურ უფლებამოსილებებსაც ასრულებს, კერძოდ, მოქმედებს, როგორც შეიარაღებული ძალების ომბუდსმენი და გამოიძიებს: ავსტრალიის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს; საჩივრებს ავსტრალიის ფედერალურ პოლიციაზე; საჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებებზე; აკონტროლებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ სატელეფონო საუბრების მოსმენის შესაბამისობას 1979 წლის კანონთან „ტელეკომუნიკაციების შესახებ“; წარმოადგენს განმცხადებელს ადმინისტრაციულ აპელაციათა განმხილველი ტრიბუნალის წინაშე.

მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისას, ომბუდსმენი აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებით, რაც გარკვეული დოკუმენტებისა თუ ინფორმაციის გამოთხოვასა და ცალკეულ პირთა გამოცხადების მოთხოვნასთან არის დაკავშირებული. ომბუდსმენი გამოამკარავებელი დარღვევების თაობაზე ადგენს მოხსენებას. იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ადმინისტრაციული ორგანოსა თუ თანამდებობის პირის კრიტიკას შეიცავს, მათ გამოთქმულ კრიტიკასთან დაკავშირებით, შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ახსნა-განმარტება. მოხსენების პარლამენტისთვის გადაცემამდე დაინტერესებული მინისტრი უფლებამოსილია, გაეცნოს მას.

გამოკვლევის დასრულების შემდეგ ომბუდსმენი უფლებამოსილია თავის მოხსენებაში, შემონიშნოს შედეგად გამოვლენილი კონკრეტული ფაქტურის საფუძველზე, გააკეთოს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა: ადმინისტრაციის მოქმედება იყო მიზანშეუწონელი, უკანონო, უსამართლო, მიკერძოებული, დისკრიმინაციული, წარმოადგენდა სამართლებრივი შეცდომის შედეგს ან არ იყო მართებული. თუმცა არსებობს განსხვავებული შემთხვევა, როცა გამოვლენილი დარღვევების საფუძველი საკანონმდებლო ხარვეზებთანაა დაკავშირებული. ამ დროს ომბუდსმენმა შეიძლება დაასკვნას, რომ მოქმედება განხორციელდა კანონის შესაბამისად, მაგრამ თავად კანონი იყო მიზანშე-

უნონელი, უსამართლო, მიკერძოებითი ან დისკრიმინაციული. ომბუდსმენის რეკომენდაციები გადაეცემა დაინტერესებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს. თუ კონკრეტული ადრესატის მიერ რეკომენდაცია არ იქნა შესრულებული, ომბუდსმენი ამის თაობაზე მოახსენებს პრემიერ-მინისტრს ან პარლამენტს.

კავშირის ომბუდსმენის ქვემდებარე სამსახურები მოქმედებენ ავსტრალიის კონტინენტის ყველა შტატსა და ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიაზე.

სასამართლო სისტემა

ავსტრალიის სასამართლო სისტემა მოიცავს ფედერალურ მაღალ სასამართლოს, ფედერალურ სასამართლოს, საოჯახო საქმეთა სასამართლოს, ასევე, ზოგიერთ სპეციალურ სასამართლო დანესებულებას, ზუსტად განსაზღვრული და შემოსაზღვრული უფლებებით.

ავსტრალიის მაღალი სასამართლო შედგება თავმჯდომარისა და ექვსი წევრისგან. იგი განიხილავს კონსტიტუციის განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საქმეებს, რომლებშიც ავსტრალიის კავშირი გამოდის მხარედ; დავებს შტატებს შორის; საჩივრებს ზოგიერთი ფედერალური თანამდებობის პირის მოქმედებებზე; ავსტრალიის კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის დანაშაულთა საქმეებს; საჩივრებს ფედერალური იურისდიქციის სასამართლოების ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, განაჩენსა და ბრძანებაზე; შტატების უმაღლესი სასამართლოებისა და სხვა სასამართლოების აქტებზე, თუ ავსტრალიის კავშირის შექმნისას ისინი ექვემდებარებოდა გასაჩივრებას საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტში, რომელიც გაუქმებულია და ამჟამად აღარ ფუნქციონირებს.

ავსტრალიის ფედერალური სასამართლო, თავდაპირველად, შედგებოდა ორი – საერთო და სამრეწველო განყოფილებისგან. 1988 წელს მიღებული კანონით შრომითი ურთიერთობების შესახებ, ფედერალური სასამართლოს სამრეწველო განყოფილება, რომელიც იმთავითვე შრომით დავებს განიხილავდა, გარდაიქმნა შრომითი საქმეების დამოუკიდებელ სასამართლოდ.

ფედერალური სასამართლოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს, კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით, საჩივრების განხილვა ამავე სასამართლოს მოსამართლეების მიერ ერთპიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ტერიტორიების უმაღლესი სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ფედერალური

იურისდიქციის მატარებელი შტატების უმაღლესი სასამართლოების ზოგიერთ გადანყვეტილებაზე საჩივრების განხილვა.

ავსტრალიის საოჯახო საქმეთა სასამართლო შედგება თავმჯდომარისა და 43 წევრისგან, რომლებიც საქმეებს ერთპიროვნულად ან მცირე კოლეგიაში განიხილავენ. საოჯახო სამართლის შესახებ 1975 წლის კანონის თანახმად, მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოა უფლებამოსილი მისცეს თანხმობა განქორწინებაზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დასავლეთ ავსტრალიის შტატისა და ჩრდილოეთის ტერიტორიის გარდა, სადაც ამ ფუნქციას შესაბამისი უმაღლესი სასამართლოები განახორციელებენ. განქორწინების გარდა, საოჯახო საქმეთა სასამართლო განიხილავს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივი ხასიათის ნებისმიერ სხვა დავას მეუღლეთა ან ყოფილ მეუღლეთა შორის. სასამართლო წარმოება მიმდინარეობს დახურულ სხდომებზე. სასამართლოსთან მოქმედებენ კონსულტანტები, რომლებიც იღებენ ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად, აკონტროლებენ განქორწინების პირობების შესრულებას, განსაკუთრებით, ბავშვებთან მიმართებით და სხვ.

შტატებისა და ტერიტორიების სასამართლო სისტემები თავისებურად არის ორგანიზებული და მოქმედებენ სრულიად დამოუკიდებლად, ხოლო მათი სტრუქტურა და ცალკეული სასამართლო ინსტანციების ფუნქციები მნიშვნელოვნად განსხვავდება. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას ყველა შტატსა და ტერიტორიაზე წარმოადგენენ უმაღლესი სასამართლოები.

ზოგიერთ შტატში „შუალედური ინსტანციის“ სახით მოქმედებენ საგრაფოებისა და საოლქო სასამართლოები, რომლებიც უმაღლესი სასამართლოების მსგავსი პროცედურით განიხილავენ სერიოზულ დანაშაულობათა საქმეებს, უმძიმეს დანაშაულთა გარდა, და სამოქალაქო საქმეებს, როდესაც სასარჩელო თანხა აღემატება ქვემდგომი სასამართლოების კომპეტენციაში შემავალი დავის თანხას. რაც შეეხება ქვემდგომ სასამართლოებს, შტატებში და ტერიტორიებზე განსხვავებულია მათი დასახელება და ეწოდებათ ადგილობრივი სასამართლოები ან მაგისტრატები ან მცირე სესიის სასამართლოები. ისინი განიხილავენ მსუბუქ დანაშაულთა საქმეებს და სამოქალაქო საქმეებს, რომლებშიც სასარჩელო თანხა არ აღემატება თითოეულ შტატსა თუ ტერიტორიაზე დადგენილ ზღვრულ ოდენობას, ასევე, დავებს მესაკუთრეთა და მოიჯარეთა შორის და სხვ.

ავსტრალიის უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი აღმასრულებელ საბჭოსთან შეთანხმე-

ბით. იურიდიული განათლება არ მოეთხოვებათ მხოლოდ მომრიგებელ მოსამართლეებს, თუმცა ზოგიერთ შტატში დანიშვნის შემდეგ, ისინი სპეციალურ კურსებს გადაიან. მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ კავშირის ან შტატის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ქვეყანაში ბევრი სპეციალური სასამართლოა, რომლებიც არ შედიან საერთო სასამართლოების სისტემაში. ადმინისტრაციულ საჩივართა ტრიბუნალი – დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოა, რომელიც განიხილავს საჩივრებს ავსტრალიის კავშირის მინისტრებისა და მთავრობის ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ცალკეულ შტატებში მოქმედებენ სხვადასხვა დასახელებისა და ფუნქციის მქონე ადმინისტრაციული ტრიბუნალები. ყველა შტატში მოქმედებენ ე.წ. სამრეწველო ტრიბუნალები, რომლებიც განიხილავენ დავებს მენარმეებსა და მუშაკებს შორის, ასევე სასამართლოები არასრულწლოვანთა საქმეებზე, რომლებიც განიხილავენ მოზარდთა მიერ ან მოზარდთა და ბავშვთა წინააღმდეგ ჩადენილ მსუბუქ დანაშაულებს, მეთვალყურეობენ უსახლკარო ბავშვებს და სხვ. სპეციალური სასამართლოები იქმნება ზღვაზე გემების დაღუპვის, ზღვაში სიკვდილისა და ადამიანების დაკარგვის შემთხვევებთან დაკავშირებით.

სერიოზულ სისხლის სამართლის დანაშაულებზე, გვირგვინის ხელისუფლების სახელით, დევნას ახორციელებს გენერალური და ადგილობრივი ატორნიის უწყება. გენერალური ატორნიის წარმომადგენლებს სასამართლოებში ეწოდებათ სამეფო ბრალმძებლები. ისინი ფლობენ ფართო უფლებამოსილებებს, მათ შორის, კონკრეტულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრისა თუ გაგრძელების შესახებ.

საერთო სამართლის ავსტრალიური სისტემა არსებითად განსხვავდება ამერიკული საერთო სამართლისგან, სადაც თითოეულ შტატს თავისი საერთო სამართალი აქვს. ავსტრალიის საერთო სამართლის ერთიანობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ავსტრალიის უმაღლესი სასამართლო, რომლის მიერ საერთო სამართლის საკითხებზე ნებისმიერი შტატის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით, მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ავსტრალიის კავშირის ყველა სასამართლოსთვის. საერთო სამართლის ავსტრალიურ სისტემაში პრეცედენტის ძალა აქვს მხოლოდ ავსტრალიის უმაღლესი სასამართლოსა და შტატებისა და ტერიტორიების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებებს. მათ შესაბამისად უნდა იმოქმედოს ყველა ქვემდგომმა სასამა-

რთლომ, თუმცა თავად უმაღლესი სასამართლოები არ არიან შებოჭილნი თავიანთი წინანდელი გადაწყვეტილებებით.

ავსტრალიის მაღალი სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებითაც არის აღჭურვილი და დღემდე არაერთი საკანონმდებლო ცვლილების ინიცირებაც მოუხდენია, ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. მაგალითად, 1970-იან წლებში მაღალმა სასამართლომ გადამწყვეტი როლი ითამაშა საარჩევნო რეფორმების გატარებაში. კერძოდ, მაკ'კინლისა და მაკ'კელერის საქმეებზე სასამართლომ, ფაქტობრივად, შეცვალა წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში ელექტორატის ფარგლები, დაადგინა რა პარლამენტის მიერ კონსტიტუციის იმ დებულების შესრულების ვალდებულება, რომლის მიხედვით ამ პალატაში შტატები იმდენი წევრით უნდა იყვნენ წარმოდგენილნი, რამდენიც „პროპორციული იქნება ამ შტატის მოსახლეობის რაოდენობისა.“ ასე რომ, მაღალი სასამართლო ავსტრალიის კონსტიტუციური წეს-წყობილების მყარ და ქმედით გარანტს წარმოადგენს.

ავსტრალიაში საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე გადაწყვეტილებას ღებულობს მაღალი სასამართლო სრული შემადგენლობით, თავმჯდომარისა და 6 მოსამართლის მონაწილეობით.

ლიტერატურა:

1. ავსტრალიის კონსტიტუცია (ინგლისურ ენაზე), ინტერნეტის საიტი <http://www.scaleplus.law.gov.au>;
2. გ. გოგიაშვილი, ავსტრალია/შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ. 185-187;
3. Джинффард К., Правовая система Австралии, Москва, 1988;
4. Бойцова В.В., Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „БЕК“, 1997;
5. ავსტრალიის სამოქალაქო და სისხლის სამართალზე, ინტერნეტის საიტები:
<http://www.statusquo.org>
<http://www.aec.gov.au>.

ავსტრია

ავსტრია მდებარეობს ცენტრალური ევროპის სამხრეთ ნაწილში, მისი ტერიტორია შეადგენს 84 ათასამდე კმ²-ს, მოსახლეობის რაოდენობა 8 მილიონს აღწევს. ავსტრიას ჩრდილოეთით ესაზღვრება გერმანია და ჩეხეთი, დასავლეთით შვეიცარია და ლიხტენშტეინი, სამხრეთით იტალია და სლოვენია, აღმოსავლეთით — უნგრეთი. ქვეყნის დედაქალაქია ვენა, სახელმწიფო ენა — გერმანული, ფულის ერთეული — ავსტრიული შილინგი.

ავსტრია რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახს და იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომელთაც „დანერილი“ არაკოდიფიცირებული კონსტიტუციები აქვთ. ავსტრიაში კონსტიტუციურ სისტემას კონსტიტუციად წოდებული, 1920 წლის 1 ოქტომბერს მიღებულ ძირითად ფედერალურ კონსტიტუციურ კანონთან ერთად, სტრუქტურულად დამოუკიდებლად მოქმედი რიგი ფედერალური კონსტიტუციური კანონები აყალიბებს. მათ შორისაა: 1867 წლის 21 დეკემბერს მიღებული სახელმწიფოს ძირითადი კანონი „იმპერიის საბჭოში წარმოდგენილ სამეფოთა და მიწების მოქალაქეთა ზოგადი უფლებების შესახებ“, რომელსაც კონსტიტუციამ ფედერალური კონსტიტუციური კანონის სტატუსი მიანიჭა; 1955 წლის 26 ოქტომბერს მიღებული ფედერალური კონსტიტუციური კანონი „ავსტრიის ნეიტრალიტეტის შესახებ“; 1988 წლის 29 ნოემბერს მიღებული ფედერალური კონსტიტუციური კანონი „პირადი თავისუფლების დაცვის შესახებ“.

ავსტრია მართვა-გამგეობის ფორმით საპარლამენტო, ხოლო ქვეყნის ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის ფორმით — ფედერაციული რესპუბლიკაა.

კონსტიტუციური საგარტალი

ავსტრიაში ხელისუფლების ბალანსი მკაფიოდ არის გამიჯნული: სახელმწიფოს მეთაურობს — პრეზიდენტი; საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი; აღმასრულებელ ხელისუფლებას — ფედერალური მთავრობა; ხოლო მართლმსაჯულება აღსრულებს საერთო სასამართლოებისა და ადმინისტრაციული სასამართლოების დამოუკიდებელი სისტემების მიერ; ავსტრიაში მოქმედებს აგრეთვე დამოუკიდებელი საკონსტიტუციო ზედამხედველობის სასამართლო.

პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და აირჩევა უშუალოდ ფედერაციის მოქალაქეების მიერ, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩ-

ევრო სისტემის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, უფლებამოსილების წლიანი ვადით, მეორადი გადარჩევის უფლებით. პრეზიდენტობის კანდიდატად შეიძლება დასახელდეს ავსტრიის მოქალაქე, რომელიც სარგებლობს ეროვნულ საბჭოში არჩევის უფლებით და არჩევნების წლის 1 იანვრისთვის 35 წლის ასაკს არის მიღწეული. ფედერალური პრეზიდენტის არჩევნების ერთი თავისებურება ის არის, რომ თუ პირველი ტური გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, მეორე ტურში შესაძლებელია მოხდეს თავდაპირველი კანდიდატურის ახალი კანდიდატურით შეცვლა.

ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილებებს განეკუთვნება: ეროვნული საბჭოს მორიგი და რიგგარეშე სესიების მოწვევა, მისი დათხოვნა, დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა, სახელმწიფო ხელშეკრულებების დადება, მსჯავრდადებულ პირთა შეწყალება, სასჯელის შემსუბუქება ან შეცვლა, ნასამართლობის მოხსნა. პრეზიდენტის უფლებრივ კომპლექტში ერთი თავისებურება ის არის, რომ ფედერალური პრეზიდენტი ხელს აწერს ფედერალურ კანონებს, მაგრამ ეს მისთვის უფრო მოვალეობას ნიშნავს, ვიდრე უფლებას, ვინაიდან იგი მათზე ვეტოს უფლებით არ სარგებლობს.

ფედერალური პრეზიდენტი უფლებამოსილებებს ახორციელებს ფედერალური მთავრობის ან მის მიერ უფლებამოსილი ფედერალური მინისტრების წინადადებების საფუძველზე, ხოლო მისი გადაწყვეტილებები კონტრასიგნაციის წესით ექვემდებარება ფედერალური კანცლერის ან კომპეტენტური ფედერალური მინისტრის ხელმოწერით დამოწმებას. პრეზიდენტი თავისი საქმიანობისთვის პასუხისმგებელია ფედერალური კრების წინაშე.

იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური პრეზიდენტი სხვადასხვა მიზეზით ვერ შეძლებს უფლებამოსილებების განხორციელებას, მაშინ მათი განხორციელება 20 დღის ვადით ფედერალურ კანცლერს ეკისრება, ხოლო თუ შეთავსება უფრო მეტ ხანს გაგრძელდება, მაშინ მათი განხორციელება ეროვნული საბჭოს პრეზიდენტებისგან შემდგარ კოლეგიას დაეკისრება.

ფედერალური პრეზიდენტის ინსტიტუტის ერთი საინტერესო თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან, თუ ფედერალური კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ჩატარებულ სახალხო კენჭისყრაზე აღნიშნული წინადადება მოსახლეობის მხარდაჭერას მოიპოვებს.

პარლამენტი ორპალატიანი სტრუქტურაა და ფედერალური საკანონმდებლო ხელისუფლება, მთელი მოსახლეობის ინტერესების

დამცველი ქვედა პალატის – ეროვნული საბჭოსა და ფედერაციის სუბიექტების ინტერესების მატარებელი ზედა პალატის – ფედერალური საბჭოს მიერ ხორციელდება, რომლებიც მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ცალკეული გადაწყვეტილებების მისაღებად, ფედერალური კრების სახით ერთად იკრიბებიან.

ეროვნული საბჭო შედგება უშუალოდ ფედერაციის მოქალაქეების მიერ არჩეული 183 წევრისგან. ეროვნული საბჭოს საქმიანობას წარმართავენ მის მიერვე არჩეული ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი, მეორე და მესამე პრეზიდენტები. ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი ხსნის, დახურულად აცხადებს და თავმჯდომარეობს სხდომებს, უზრუნველყოფს სხდომის მიმდინარეობისას რეგლამენტის მოთხოვნების დაცვას. ეროვნული საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს ყოველწლიურ მორიგ სესიაზე, რომელიც მოინვევა ფედერალური პრეზიდენტის მიერ არა უადრეს 15 სექტემბრისა და უნდა დასრულდეს შემდგომი წლის 15 ივლისამდე. ეროვნული საბჭოს რიგგარეშე სესიას, საკუთარი ინიციატივით, ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს წევრთა 1/3-ის ან ფედერალური მთავრობის მოთხოვნით, ინვევს ფედერალური პრეზიდენტი, ხოლო რიგგარეშე სხდომებს, ეროვნული საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/4-ისა ან ფედერალური მთავრობის მოთხოვნით, ინვევს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი. ეროვნული საბჭოს საქმიანობის პრაქტიკაში საკმაოდ გახშირებულია მისი ვადამდე დათხოვნა, რისი უფლებამოსილებაც ფედერალურ პრეზიდენტთან ერთად თავად ეროვნულ საბჭოსაც აქვს, ვინაიდან მას შეუძლია მიიღოს ფედერალური კანონი თვითდათხოვნის შესახებ.

ფედერალური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 64 წევრით, რომლებიც აირჩევიან მინის ლანდტაგების მიერ, საკუთარი უფლებამოსილების ვადით. ამის გამო, ფედერალური საბჭოს განახლება დროში განელილი დინამიკური პროცესია, მით უფრო, რომ ფედერალურ საბჭოს უფლებამოსილების განსაზღვრული ვადა არ გააჩნია, ისევე, როგორც არ არსებობს მისი დათხოვნის შესაძლებლობა. ფედერალურ საბჭოს არ ჰყავს მუდმივი თავმჯდომარე და ამ ფუნქციებს 6 თვის ვადით ასრულებენ ცალკეული მინების წარმომადგენლები როტაციის წესით, რომელიც მინების დასახელებების ანბანური რიგითობის მიხედვით განისაზღვრება. ფედერალურ საბჭოში მინების წარმომადგენლობის საკითხი მცირე მოსახლეობის მქონე მინების არსებობის ფონზე საკმაოდ პრობლემატურია და ამის გამო დანესებულია წარმომადგენლობის მინიმალური და მაქსიმალური კვოტები, რის შესაბამისადაც თითოეულ მინას შეიძლება ჰყავდეს არა უმცირეს 3 და არა

უმეტეს 12 წარმომადგენელი, რასაც მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე წყვეტს ფედერალური პრეზიდენტი.

ეროვნულ საბჭოში, ძირითადად, სფეროების მიხედვით იქმნება კომიტეტები, რომელთა შორის უნდა გამოიყოს მთავარი კომიტეტი, რომლის წევრებიც ეროვნული საბჭოს მიერ პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე აირჩევიან. მთავარი კომიტეტი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს საკანონმდებლო ორგანოს ფედერალურ მთავრობასთან კონტაქტის თვალსაზრისით, მისი მონაწილეობით დგინდება სარკინიგზო, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო მომსახურების ტარიფები, ფედერაციის საწარმოებში მუდმივად დასაქმებულ პირთა ხელფასის ოდენობა. მთავარი კომიტეტი წარადგენს წინადადებებს საანგარიშო პალატის თავმჯდომარის და ვიცე-თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით. მთავარი კომიტეტი შეიძლება მოწვეულ იქნეს ეროვნული საბჭოს სესიებს შორის პერიოდში. მთავარი კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე ირჩევს მუდმივ ქვეკომიტეტს. მასში აუცილებლად უნდა იქნეს შეყვანილი მთავარ კომიტეტში წარმოდგენილი ყველა კლუბის (ფრაქციის) ერთი წევრი მაინც. ამ ქვეკომიტეტის ყველა წევრისთვის შეირჩევა სათადარიგო წევრი – მოადგილე. ფედერალური პრეზიდენტის მიერ ეროვნული საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში, ახალი შემადგენლობის არჩევამდე, მუდმივ ქვეკომიტეტს ეკისრება იმ აღმასრულებელი ფუნქციის განხორციელება, რომელიც ფედერალური კონსტიტუციით ეროვნულ საბჭოს ეკუთვნის.

ეროვნულ საბჭოში შეიძლება შეიქმნას საგამოძიებო კომიტეტები, რის თაობაზეც წერილობით უნდა ეცნობოს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს, იმის აღნიშვნით, თუ რა საკითხის გამოსაძიებლად იქმნება იგი. საგამოძიებო კომიტეტში უნდა შევიდეს მთავარ კომიტეტში წარმოდგენილი ყველა კლუბის ერთი წევრი მაინც. ეროვნული საბჭოს კომიტეტებს შეუძლიათ, მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოსგან. კომიტეტები თავიანთ დამფუძნებელ სხდომაზე მოიწვევიან ეროვნული საბჭოს პრეზიდენტის მიერ და ირჩევენ თავმჯდომარეს, მოადგილეებსა და მდივნებს. კომიტეტს საკითხების განსახილველად და მოხსენების გასაკეთებლად შეუძლია შექმნას ქვეკომიტეტი, საგამოძიებო კომიტეტს კი ქვეკომიტეტის შექმნა შეუძლია მხოლოდ მოხსენების პროექტის შესადგენად. მთლიანობაში ქვეკომიტეტების მუშაობის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი

სხდომები ტარდება დახურულად, თუ სხვა გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

ეროვნული საბჭოს წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით, ხოლო ფედერალური საბჭოს წევრები მათი წარმდგენი ლანდტაგის წევრების იმუნიტეტით. თუმცა ფედერალური საბჭოს წევრებს, ეროვნული საბჭოს წევრების მსგავსად, ეძლევათ გასამრჯელო, ისევე, როგორც უნაზღაურდებათ სამსახურებრივი ხარჯები. ფედერალური საბჭო, ეროვნული საბჭოს მსგავსად, ახორციელებს კონტროლს ფედერალური მთავრობის საქმიანობაზე, თუმცა საკონტროლო აქციით მოპოვებული მასალების მიხედვით, ფედერალური მთავრობისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების უფლებამოსილება მხოლოდ ეროვნულ საბჭოს აქვს.

საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კანონპროექტები, თავდაპირველად, ეროვნულ საბჭოში შედის, სადაც ჩვეულებრივ საპროცედურო ტექნოლოგიებს გადის – მოსმენების სახით და მხოლოდ მის მიერ მიღების შემდეგ გადაეცემა ფედერალურ საბჭოს. ამასთან, ფედერალური საბჭო ეროვნული საბჭოს რეგლამენტის, ეროვნული საბჭოს თვითდათხოვნის, ფედერალური ბიუჯეტის შესახებ ფედერალური კანონების მიღებაში მონაწილეობას არ ღებულობს.

ფედერალური მთავრობა ახორციელებს ქვეყნის უმაღლეს მმართველობას. ავსტრიაში ფედერალურ მთავრობას ხელმძღვანელობს ფედერალური კანცლერი, რომელიც თანამდებობაზე ფედერალური პრეზიდენტის მიერ ინიშნება. ფედერალური კანცლერი იმავდროულად ფედერალური კანცლერის უწყებასაც ხელმძღვანელობს. ამ უკანასკნელის კომპეტენციაში შედის ფედერალური მთავრობის პოლიტიკური კურსის შემუშავება და მმართველობის მიმდინარე პროცესზე ზოგადი ხელმძღვანელობის განხორციელება. ფედერალური კანცლერი სარგებლობს ფართო უფლებამოსილებებით. იგი ფედერალურ პრეზიდენტს დასანიშნად წარუდგენს ფედერალური მინისტრებისა და სახელმწიფო მდივნების კანდიდატურებს; ასევე, ფედერალურ პრეზიდენტს წარუდგენს ფედერალურ კანონებს ხელმოსაწერად; არა უმეტეს 20 დღის ვადით, ასრულებს ფედერალური პრეზიდენტის მოვალეობებს, მის მიერ მათი განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში; აქვეყნებს ფედერალური პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს და, ასევე, ოფიციალურ ბიულეტენებში აქვეყნებს ფედერალურ კანონებსა და პოლიტიკურ სახელმწიფო ხელშეკრულებებს. იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური

კანცლერი ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებას, მაშინ მას ენაცვლება ვიცე-კანცლერი, ხოლო თუ მასაც მსგავსი სიტუაცია შეექმნება, მაშინ ფედერალური პრეზიდენტი ფედერალური კანცლერის მოვალეობებს ფედერალური მთავრობის რომელიმე სხვა წევრს დააკისრებს.

ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია, მოითხოვოს ეროვნული საბჭოს რიგგარეშე სესიისა და სხდომის მოწვევა, ეროვნულ საბჭოში წარადგინოს კანონპროექტები, მათ შორის, საბიუჯეტო. ფედერალური საბჭოს საკანონმდებლო წინადადებები ეროვნულ საბჭოში მხოლოდ ფედერალური მთავრობის მეშვეობით შედის. ფედერალური მთავრობის მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ფედერალური პრეზიდენტის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ ფედერალური პრეზიდენტი მოქმედებს მხოლოდ ფედერალური მთავრობის ან მის მიერ უფლებამოსილი ფედერალური მინისტრების წინადადებებით. თუმცა, აქაც არსებობს ერთი გამონაკლისი, რომელიც პრეზიდენტის ძალმოსილებას წარმოაჩენს. საქმე ის არის, რომ ფედერალური პრეზიდენტი ასეთი წინადადებების გარეშე ღებულობს სამართლებრივად ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორც არის ფედერალური კანცლერის ან მთლიანად ფედერალური მთავრობის დათხოვნა.

ავსტრია ფედერალური სახელმწიფოა და შედგება 9 ავტონომიური სუბიექტის – მიწებისგან: ბურგენლანდი, კარინთია, ზალცბურგი, შტირია, ტიროლი, ზედა ავსტრია, ქვედა ავსტრია, ფორარლბერგი და ვენა. მიწებში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ ლანდტაგები, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას მათ მიერ არჩეული და მათ წინაშე პასუხისმგებელი მთავრობები, რომელთაც გუბერნატორები ხელმძღვანელობენ.

მიწები დაყოფილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად – თემებად. თემებს ჰყავთ არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები – თემის საბჭოს სახით და მმართველობის ორგანოები – ქალაქის საბჭოს სახით, ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვთ ბურგომისტრებს, რომლებიც ისევე, როგორც თემის მმართველობის სხვა წევრები, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას პასუხისმგებლები არიან თემის საბჭოს წინაშე.

საარჩევნო სამართალი

ეროვნული საბჭოს არჩევნები რეგულირდება 1920 წლის ფედერალური კონსტიტუციისა და 1970 წლის 27 ნოემბერს მიღებული

ფედერალური კანონით „ეროვნული საბჭოს არჩევნების შესახებ“. არჩევნები ტარდება თანასწორობის, პირდაპირობის, უშუალოების და ფარული კენჭისყრის საარჩევნო პრინციპების საფუძველზე. ავსტრიაში დამკვიდრებულია პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც გამოიყენება, როგორც ფედერალური, ასევე ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ საარჩევნო კენჭისყრაზე პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ პარტიულ სიებს. აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მოქალაქეები, რომელთაც არჩევნების წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდათ 18 წელი, ხოლო პასიური საარჩევნო უფლებით – მოქალაქეები, რომელთაც არჩევნების წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდათ 19 წელი. საარჩევნო უფლების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლო განაჩენის საფუძველზე.

ეროვნული საბჭოს არჩევნების დროს ქვეყნის ტერიტორია იყოფა 9 მრავალმანდატიან ოლქად, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი მინა წარმოადგენს ცალკე საარჩევნო ოლქს. საარჩევნო ოლქებისთვის მანდატების რაოდენობის განსაზღვრა დაკისრებული აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც აღნიშნულს მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე წყვეტს.

ფედერალური კონსტიტუციით მონესრიგებულია მინების წარმომადგენლობითი ორგანოების – ლანდტაგების არჩევნების იურიდიული მხარე. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო პროცედურის და არჩევნებში მონაწილეობის საყოველთაო სავალდებულობის განსაზღვრა ეკუთვნის მინების საკანონმდებლო კომპეტენციას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთლიანობაში საარჩევნო სისტემისა და პრინციპების, კანდიდატურების წარდგენის, ხმის დათვლის, შედეგების გასაჩივრების და სხვა ორგანიზაციული საკითხებით ლანდტაგების არჩევნები ეროვნული საბჭოს არჩევნების ანალოგიურია. მინებში აგრეთვე მოქმედებს პროპორციული საარჩევნო სისტემა. ფედერალური კონსტიტუციით, მინებს შეუძლიათ აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებით, დაანესონ განსხვავებული მოთხოვნები, რომლებიც არ უნდა იყოს ეროვნული საბჭოს არჩევნების მიმართ დაწესებულ მოთხოვნებზე უფრო მკაცრი.

ავსტრია არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა და ჰყავს 21 წარმომადგენელი ევროპარლამენტში. ევროპარლამენტის წევრების არჩევნები თითქმის ემთხვევა ეროვნული საბჭოს არჩევნებს. თუმცა, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ დროს ქვეყნის მთელი

ტერიტორია წარმოადგენს ერთიან საარჩევნო ოლქს, ხოლო არჩევნებში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით, ავსტრიის მოქალაქეების გარდა, ასევე სარგებლობენ ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებიც.

არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა საარჩევნო კომისიებს აქვთ დაკისრებული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები ფედერალური მთავრობის მიერ ინიშნებიან, ხოლო ქვემდგომი საარჩევნო კომისიის წევრები – ზემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა მინისტრი, მინებში – გუბერნატორები, ხოლო თემებში – ბურგომისტრები.

კანონის მოთხოვნების შესაბამისად, არჩევნების ჩატარებაში დიდ როლს ასრულებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც იხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ პროტესტებს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნების შედეგები იმ საარჩევნო ოლქში, სადაც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაფიქსირდება, რაც, შესაბამისად, ამ საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნების ჩატარებას გამოიწვევს.

სამოქალაქო სამართალი

ავსტრიის სამოქალაქო სამართლის ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, გერმანულ სამართალთან პირდაპირი, კონცეპტუალური კავშირია, შეიძლება ითქვას, დასაბამიდან დღემდე, და არა მხოლოდ სამართლებრივი ოჯახის ფორმალური წევრობით განპირობებული.

ავსტრიაში 1753 წლიდან დაიწყო მუშაობა სამოქალაქო სამართლის კოდექსზე, რომელიც 1811 წელს საერთო სამოქალაქო სჯულდების მიღებით დასრულდა. ამ ნორმატიული აქტით მონესრიგებულ იქნა მთელი რიგი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის საკუთრება, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, ხელშეკრულებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობის საფუძვლები, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები, მემკვიდრეობა და სხვ.

აღნიშნული ნორმატიული აქტი მას შემდეგ ძალაშია და მოქმედებს მთელი რიგი ცვლილება-დამატებებით, რომელთა შეტანა, ძირითადად, 1896 წელს გერმანიის სამოქალაქო სჯულდების მიღებამ და მოგვიანებით ფაშისტური გერმანიისგან გათავისუფლებამ განაპირობა. ცვლილებებს შორის გამოსაყოფია: 1960 წლის ცვლილება, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, თავიდან ჩამოყალიბდა შვილად აყვანის საკითხის მარეგულირებელი განყოფილებები; 1970 წელს მიღებული კანონი

„ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობის ახლებურად რეგლამენტაციის შესახებ“, რომელმაც ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები, უფლებების თვალსაზრისით, გაათანაბრა ქორწინებაში დაბადებულებთან; 1977 წელს მიღებული კანონი „მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობების ახლებურად რეგლამენტაციის შესახებ“.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ნაწილი, ასევე რიგი ნორმატიული აქტებით არის დარეგულირებული, რომლებიც საერთო სამოქალაქო სჯულდებისგან სტრუქტურულად დამოუკიდებლად მოქმედებენ. ასეთ ნორმატიულ აქტებს შორის გამოსაყოფია: 1929 წელს მიღებული კანონი „იჯარის შესახებ“, 1955 წელს მიღებული კანონი „მინის საკუთრების შესახებ“, 1975 და 1978 წლებში მიღებული კანონები „საცხოვრებელზე საკუთრების უფლების შესახებ“, 1979 წელს მიღებული კანონი „მომხმარებლის დაცვის შესახებ“, 1988 წელს მიღებული კანონი „უხარისხო პროდუქციისთვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

ავსტრიაში გაკოტრებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების წყაროებია 1977 წლის ფედერალური კანონი „გაკოტრების შესახებ“ 1982 წლის რედაქციით; „საკონკურსო წარმოების, კომპენსაციის პროცესის, გასაჩივრების შესრულების წესის შესახებ“ 1914 წლის დადგენილება 1982 წლის რედაქციით; „სამეწარმეო და სამეურნეო საზოგადოებებთან დაკავშირებით საკონკურსო წარმოების, კომპენსაციის პროცესის და მოთხოვნათა წარდგენის წესის შესახებ“ 1918 წლის დადგენილება 1982 წლის რედაქციით.

ავსტრიაში სავაჭრო კოდექსის სახით, 1938 წლიდან გერმანიის სავაჭრო სჯულდება მოქმედებს, რომელიც 1897 წელს იქნა მიღებული. სამეურნეო ურთიერთობების რეგულირებას ახორციელებს: 1955 წელს მიღებული კანონი „თამასუქების შესახებ“, 1958 წელს მიღებული კანონი „დაზღვევის შესახებ“, 1965 წელს მიღებული კანონი „აქციების შესახებ“ და სხვ. შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1974 წელს მიღებულ კანონებს „შრომითი ურთიერთობების შესახებ“ და „კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების შესახებ“.

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას, იგი უდავოდ ზრდის სასამართლოს აქტიურ როლს საქმეების განხილვისას. სწორედ ავსტრიული კანონმდებლობის საფუძველზე იქნა დამუშავებული და ახალი რედაქციით გამოცემული იაპონიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

სისხლის სამართალი

ავსტრიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1768 წელს სისხლის სამართლის კოდექსის მიღება, რომელმაც ავსტრიის იმპერატორი ქალის პატივსაცემად „ტერეზიანას“ სახელწოდება მიიღო. აღნიშნული აქტი შორს იყო სრულყოფისგან, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იგი რელიგიის ზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბებული ნორმებით იყო გაუღენთილი. ავსტრიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების შემდეგი ეტაპი 1803 წელს უკავშირდება, როდესაც ახალი სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემა ხდება. ამასთან, აღნიშნულ კოდექსში სისხლის სამართლის პროცესის მარეგულირებელი ნორმებიც იყო გაერთიანებული. ეს მდგომარეობა 1852 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად იქნა გამოსწორებული, როდესაც კოდექსს აღნიშნული ნორმები გამოეყო და საფუძვლად დაედო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებას. აღნიშნული რეფორმის შემდეგ, სისხლის სამართლის კოდექსი, იმ პერიოდში არსებული იმპერიის მთლიან ტერიტორიაზე ვრცელდებოდა და 1918 წლის შემდეგაც, როდესაც მოხდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლა, ძალაში დარჩა ავსტრიული სახელმწიფოსთვის.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლიდან ავსტრიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ახალი რეფორმა დაიწყო, რომელიც 1974 წელს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებით დასრულდა, ხოლო, შესაბამისად, 1975 წელს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იქნა მიღებული.

ავსტრიაში სასჯელების სახით, ძირითადად, გამოიყენება: თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა. რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, იგი როგორც სასჯელის სახე ჯერ კიდევ 1950 წელს იქნა გაუქმებული.

ავსტრიაში, ქვეყნის ფედერალური მონყობიდან გამომდინარე, სამართლებრივი რეგულირების საქმეში გადამწყვეტი როლი ფედერალურ კანონმდებლობას ეკისრება და არა მინების კანონმდებლობას. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხები წყდება მხოლოდ ფედერალური კანონმდებლობით.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ავსტრიაში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, როგორც შინა სახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო მექანიზმები გამოიყენება. პირველი სახის მექანიზმებს სახალხო უფლებადაცვის კოლეგია და საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენენ, ხოლო მეორეს –

ევროპის ადამიანის უფლებათა კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო.

ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით, ავსტრიელი კანონმდებელი შვედური ომბუდსმენის ინსტიტუტით დაინტერესდა. საერთოდ, ავსტრიული კონსტიტუციური სამართალი მრავალი თავისებურებით გამოირჩევა და ერთი ასეთი სიახლე სწორედ ავსტრიული კოლეგიური ომბუდსმენის ინსტიტუტია. ავსტრიის სახალხო უფლებადაცვის კოლეგია შეიქმნა 1977 წლის 24 თებერვლის კანონით „სახალხო უფლებადაცვის კოლეგიის შესახებ“, ხოლო 1985 წლიდან ანალოგიური ორგანოებით დაიქსელა ფედერაციის სუბიექტები – მინები. სახალხო უფლებადაცვის კოლეგიაში ამოქმედებულია კოლეგიურობის პრინციპი და 3 წევრისგან შედგება, რომლებიც ეროვნული საბჭოს მიერ 6 წლის ვადით აირჩევიან.

სახალხო უფლებადაცვის კოლეგია უფლებამოსილია ფედერალურ მმართველობის ორგანოთა არაკანონიერი და მიზანშეუწონელი მოქმედებები განიხილოს, იმ პირის სარჩელის საფუძველზე, რომელსაც გასაჩივრების სხვა საშუალება არ გააჩნია. ამასთან, კოლეგიას მინიჭებული აქვს უფლება, დამოუკიდებლად შეამოწმოს ფედერალური მმართველობის საქმიანობაში არსებული ხარვეზები. სარჩელის საფუძველზე თუ საკუთარი ინიციატივით განხორციელებული შემონმების შემდეგ, კოლეგია რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის ორგანოს და იმ ზომებზეც მიუთითებს, რომელთა განხორციელებაც კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია. კოლეგიის მითითებები მეტწილად სრულდება და შესაბამისი ორგანოს მიერ ამის თაობაზეც კოლეგიას მოხსენება წარედგინება. თუმცა ზოგჯერ მათი უგულებელყოფაც ხდება და ამასთან დაკავშირებით, შეუსრულებლობის მიზეზებზეც მოხსენდება. სარჩელის შემონმების შედეგები და მასთან დაკავშირებით მიღებული ზომები მოსარჩელეს ეცნობება.

სახალხო უფლებადაცვის კოლეგიას მინიჭებული აქვს უფლება, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ფედერალურ ორგანოთა დადგენილებების მიმდინარე კანონმდებლობასთან შესაბამისობის განხილვის თაობაზე. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს დავას კომპეტენციის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება უთანხმოება კოლეგიასა და ფედერალურ მთავრობას ან ფედერალურ მინისტრს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანის უფლებების დაცვას იმ თვალსაზრისით, რომ იგი უფლებამ-

ოსილია ცალკეული აქტების კონსტიტუციასთან ან მიმდინარე კანონმდებლობასთან შესაბამისობა შეამოწმოს. თუმცა მოსარჩელეს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, როდესაც სადავო აქტი მასთან მიმართებაში სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოქმედებს. სასამართლო პროცესის მსვლელობისას, მოსარჩელეს შეუძლია მხოლოდ შუამდგომლობა დააყენოს იმის თაობაზე, რომ სასამართლომ სასარჩელო აქტის კონსტიტუციასთან ან მიმდინარე კანონმდებლობასთან შესაბამისობის განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს. იმ შემთხვევაში, თუ ქვემდებარე სასამართლო მხარის აღნიშნულ შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს, საერთო სასამართლოების უმაღლესი ინსტანციის გადაწყვეტილება ცი არ ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას, თუმცა ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება ამ მოტივით შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოში იქნეს გასაჩივრებული.

სახელმწიფოს შიგნით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული ამ ხარვეზის მოგვარებას საერთაშორისო ორგანოები ახორციელებენ. კერძოდ, ამ შემთხვევაში საერთო სასამართლოების გადაწყვეტილება შეიძლება პირდაპირ ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიაში გასაჩივრდეს, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება ასეთ გასაჩივრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო მას განსახილველად არ მიიღებს. სარჩელი, თავდაპირველად, ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიაში შედის, რომელიც თუ მიიჩნევს, რომ სარჩელი დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მას ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადასცემს. უფლებადარღვეულმა პირმა აღნიშნული საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით ორი მოთხოვნა უნდა გაითვალისწინოს: შინასახელმწიფოებრივი აქტით ადამიანის ის უფლება უნდა ირღვეოდეს, რომელიც ევროპის კონვენციით არის გათვალისწინებული, ხოლო მიმართვა შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 6 თვის ვადაში უნდა მოხდეს.

სასამართლო სისტემა

ავსტრიაში სასამართლო ხელისუფლების 3 დამოუკიდებელი სისტემა არსებობს: საერთო სასამართლოები, ადმინისტრაციული იუსტიცია და საკონსტიტუციო სასამართლო. საერთო სასამართლოებს მართლმსაჯულების განხორციელება აქვთ დაკისრებული. აღნიშნული

სისტემის უმაღლეს ინსტანციას უზენაესი სასამართლო წარმოადგენს, რომელიც საკასაციო წესით – კოლეგიურად, ქვემდგომი სასამართლოების მიერ გადაწყვეტილ საქმეებს იხილავს. საერთო სასამართლოების იერარქიის ზედა რგოლს ასევე სააპელაციო სასამართლოები განეკუთვნება, რომლებიც მხოლოდ 4 ქალაქშია შექმნილი და ერთდროულად რამდენიმე მინას ემსახურება, როგორც საერთო სააპელაციო სასამართლო.

ქვედა რგოლის სასამართლოების 2 ფჯუფი არსებობს: მინების და საოლქო სასამართლოები, რომელთა რაოდენობაც 17-ს შეადგენს და საუბნო სასამართლოები, რომელთა რაოდენობაც 200-მდე აღწევს. მინებისა და საოლქო სასამართლოები მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებს წარმოადგენენ, ცალკეულ შემთხვევაში სააპელაციო წესით საუბნო სასამართლოების მიერ გადაწყვეტილ საქმეებს იხილავენ. ქვედა რგოლის სასამართლოებში საქმეები, მათი ხასიათიდან გამომდინარე, მოსამართლეების მიერ, როგორც ერთპიროვნულად, ისე კოლეგიურად იხილება.

ავსტრიაში ზედა რგოლის სასამართლოების მოსამართლეები ფედერალური მთავრობის წარდგინებით ფედერალური პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან, ხოლო ქვედა რგოლის სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან მთავრობის მიერ იუსტიციის სამინისტროს ან სასამართლოების წარდგინებით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ გამკაცრებული მოთხოვნებია დაწესებული და მოსამართლედ არ შეიძლება ის პიროვნება დაინიშნოს, რომელიც უკანასკნელი 4 წლის მანძილზე იყო ფედერალური მთავრობის, მინის მთავრობის, ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

ავსტრიაში ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემას, რომელიც ადმინისტრაციული სასამართლოსა და მინების ადმინისტრაციული სენატების სახით არის წარმოდგენილი, მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფა აქვს დაკისრებული. ადმინისტრაციული სასამართლო იხილავს მმართველობის ორგანოთა, ასევე, ადმინისტრაციული სენატების გადაწყვეტილებების უკანონობასთან, მმართველობის ორგანოთა მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ სარჩელებს. ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმეები იხილება სენატებში, რომლებიც ადმინისტრაციული სასამართლოს პლენუმის მიერ იქმნება.

ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და სხვა წევრები ფედერალური პრეზიდენტის მიერ, ფედერალური

მთავრობის წარდგინებით ინიშნებიან. ადმინისტრაციული სასამართლოს წევრად არ შეიძლება ის პირები დაინიშნონ, რომლებიც ფედერალური ან მინის მთავრობის წევრები არიან, ხოლო ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები ამ თანამდებობაზე იმ შემთხვევაშიც არ შეიძლება დაინიშნონ, თუ უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე დაკავებული თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგებიან. თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე კი არ შეიძლება ის პიროვნება დაინიშნოს, რომელიც უკანასკნელი 4 წლის მანძილზე ზემოთ აღნიშნულ ორგანოებში ენეოდა საქმიანობას.

მინებში მოქმედებენ დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატები, რომელთა წევრებიც მინების მთავრობების მიერ ინიშნებიან. ფედერალური კონსტიტუციით, ამ თანამდებობაზე მათი უფლებამოსილების მინიმალურ ვადად წელია დადგენილი. ადმინისტრაციულ სენატში სარჩელით მიმართვა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ორგანოების მიერ მისი უფლებები იქნა დარღვეული.

ავსტრიაში, აღნიშნული სასამართლოების პარალელურად, მოქმედებენ სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც საერთო სისტემაში არ შედიან. მათ რიცხვს განეკუთვნება საპატენტო სასამართლო, რომელიც მხარეთა შუამდგომლობებს იხილავს გაცემული პატენტების ბათილად ცნობის თაობაზე; სავაჭრო სასამართლო, რომელიც გაკოტრებასთან დაკავშირებულ სამეურნეო ხასიათის დავებს იხილავს; შრომის საქმეების სასამართლო, რომელიც მენარმეებსა და მუშაკებს შორის შრომით კონფლიქტებს იხილავს.

საკონსტიტუციო კონტროლი

საკონსტიტუციო იუსტიციის ამერიკულ სიახლეს, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც ევროპაში პირველი ავსტრია გამოეხმაურა. ვენის უნივერსიტეტის პროფესორების ჰ. კელზენისა და კ. ეიზენმანის კონცეფციის საფუძველზე, 1919 წლის სექტემბერში შეიქმნა ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო საკონსტიტუციო სამართალწარმოების ეს ინსტიტუტი ავსტრიულ კონსტიტუციონალიზმში 1920 წელს კონსტიტუციის მიერ იქნა აღიარებული. დღეს, ეს ავსტრიული წარმომავლობის ინსტიტუტი ევროპული მოდელის სახელით არის ცნობილი და მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს. თავად ავსტრიაში საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას, კონსტიტუციის გარდა, არეგულირებს 1953 წლის 12 მაისს მიღებული

ფედერალური კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული რეგლამენტი.

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო თავმჯდომარის, მისი მოადგილის, 12 ძირითადი და 6 სათადარიგო წევრისგან შედგება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ფედერალური პრეზიდენტი ნიშნავს. მათ შორის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, 6 ძირითადი და 3 სათადარიგო წევრის კანდიდატურებს – ფედერალური მთავრობა წარუდგენს, 3 ძირითადი და 2 სათადარიგო წევრის კანდიდატურებს ეროვნული საბჭო, ხოლო 3 ძირითადი და 1 სათადარიგო წევრის კანდიდატურებს – ფედერალური საბჭო წარუდგენს. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ფედერალური ან მინის მთავრობის, ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის დანიშვნა არ შეიძლება. ეს შეზღუდვა იმ შემთხვევაშიც ვრცელდება, თუ არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ნებაყოფლობით თავისუფლდებიან. რაც შეეხება სახელმწიფო მოხელეებს, ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად გამწესების შემდეგ სამსახურიდან უნდა გათავისუფლდნენ. არ შეიძლება თავმჯდომარედ და მის მოადგილედ დაინიშნოს პიროვნება, რომელიც უკანასკნელი 4 წლის მანძილზე ფედერალური ან მინის მთავრობის, ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის ფუნქციას ასრულებდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები უვადოდ ინიშნებიან და უფლებამოსილება იმ წლის 31 დეკემბერს უწყდებათ, როდესაც მათ 70 წელი შეუსრულდებათ. ამ ასაკის მიღწევამდე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილება შეიძლება შეუნწყდეს, თუ ზედიზედ 3 მოწვევაზე არასაპატიო მიზეზით საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება.

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს: დავა კომპეტენციის თაობაზე ცალკეულ სახელმწიფო ორგანოებს შორის; ფედერალური და მინების კანონების კონსტიტუციურობის საკითხი; აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა დადგენილებების კანონებთან შესაბამისობის საკითხი; სახელმწიფო ხელშეკრულებათა კონსტიტუციურობის საკითხი; არჩევნების გაპროტესტების საკითხები; ცალკეულ სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ კონსტიტუციის დარღვევის საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლო დადგენილებებს კანონსაწინააღმდეგოდ, ხოლო კანონებს – არაკონსტიტუციურად აცხადებს მთლი-

ანად. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს სამართლებრივი აქტი მთლიანად ცნოს ბათილად, თუ ეს შუამდგომლობის წარმდგენი მხარის სამართლებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის საკუთარი ინიციატივით გააუქმოს სამართლებრივი აქტი, თუმცა უფლებამოსილია იმ აქტის კონსტიტუციასთან ან კანონებთან შესაბამისობის საკითხი დააყენოს და იმსჯელოს, რომელსაც სამართლებრივი დავის გადანყვეტის დროს იყენებს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე თავისებურება ახასიათებს. იგი იყენებს წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმს, საქმეები განიხილება ერთიანი კოლეგიის სახით, ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის საფუძვლიანად ცნობის შემთხვევაში, იგი ახდენს სადავო აქტის ანუღირებას და ეს გადანყვეტილება ყველასთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს.

ლიტერატურა:

1. Конституция Австрийской республики // Конституции государств Европейского Союза, Москва, „Норма“, 1997 стр. 11-100;
2. Австрийская республика: Конституция и законодательные акты, Ред. И. П. Ильинский, Москва, „Прогресс“, 1985;
3. გ. გოგიაშვილი, ავსტრია // შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ. 56-58;
4. Бойцова В.В., Австрия // Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „БЕК“, 1997, стр 145-154;
5. Ильинский И.П., Парламент Австрии // Парламенты Мира, Москва, „Интерпракс“, 1991, стр. 8-62;
6. Лазарев В. В., Конституционный суд Австрии // „Государство и право“ 1993 №9, стр. 51-62.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს „დიდი რვიანის“ ლიდერი სახელმწიფოა, რომელიც მრავალეროვანი, 264 მილიონიანი მოსახლეობით, ჩრდილოეთ ამერიკის, ალასკისა და ჰავაის კუნძულების 9,4 მლნ. კმ²-ზეა განთავსებული. საკუთრივ აშშ-ის კონტინენტურ ტერიტორიას დასავლეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, აღმოსავლეთით – ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით – კანადა, სამხრეთით კი მექსიკა. ქვეყნის დედაქალაქია ვაშინგტონი, სახელმწიფო ენა – ინგლისური, ფულის ერთეული – ამერიკული დოლარი.

აშშ-ის სამართალი მიეკუთვნება საერთო სამართლებრივ ოჯახს, რომელსაც მან ბევრი მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თავისებურებები შესძინა და ამიტომ ხშირად ინგლისურ-ამერიკულ სამართლებრივ ოჯახსაც უწოდებენ. მისი ძირითადი კანონი, ფაქტობრივად, პირველი დანერილი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1787 წლის 17 სექტემბერს, რომელიც შტატების საკანონმდებლო კრებების მიერ რატიფიკაციის შემდეგ, საბოლოოდ 1790 წლის 29 მაისს შევიდა ძალაში და კონსტიტუციურ სამართალში პირველად ჩამოყალიბდა საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა, რომელიც წარმატებულად მართავს ამ საკმაოდ რთული ბუნების ფედერაციულ რესპუბლიკას.

კონსტიტუციური სამართალი

ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც, პრაქტიკულად, პირველად განხორციელდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და გაიმიჯნა ხელისუფლების სამი შტო: აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურობას სახელმწიფოს მეთაური – აშშ-ის პრეზიდენტი ითავსებს, საკანონმდებლო უფლებამოსილება კონგრესის ხელშია, ხოლო მართლმსაჯულებას – უზენაესი სასამართლო ახორციელებს.

პრეზიდენტი. აშშ-ის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს 35 წლის ასაკს მიღწეული, დაბადებით აშშ-ის მოქალაქე, მის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები სულ მცირე 14 წლის მანძილზე. ერთი და იმავე პირის არჩევა შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში, როდესაც მას ენაცვლება ვიცე-პრეზიდენტი, მისი უფლებამოსილების ვადა ამ თანამდებობაზე შეიძლება იყოს მაქსიმუმ 10 წელი. არჩევა ხდება არაპირდაპირი გზით, 4 წლის ვადით.

პრეზიდენტი არის ფლოტისა და მილიციის მთავარსარდალი, შეიარაღებული ძალების უმაღლესი თანამდებობის პირი. პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ძირითადი უფლებამოსილებაა

ელჩებისა და კონსულების „სენატის რჩევითა და თანხმობით“ დანიშვნა და მათი გამონევა; საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება; მოსამართლეთა კანდიდატურების წარდგენა სენატისთვის; მსჯავრდადებულთა სრულად ან პირობითად შეწყალება, გარდა იმპიჩმენტის წესით აღძრული საქმეებისა. პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება, მაგრამ იგი არ შეიძლება დაედოს კონსტიტუციურ კანონს. სხვა მხრივ, პრეზიდენტმა კანონი უნდა დაამტკიცოს 10 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დამტკიცებულად ითვლება. მაგრამ თუ ამ დროს კონგრესის სესია მთავრდება, პრეზიდენტს უფლება აქვს, გამოიყენოს ე. წ. „ჯიბის ვეტო“, არც დაამტკიცოს და არც უარყოს იგი და დამტკიცების საკითხი კონგრესის შემდეგ მოწვევამდე გადადოს, სადაც მისი განხილვა თავიდან უნდა დაიწყოს ყველა პროცედურის გავლით.

პრეზიდენტი, როგორც მთავრობის მეთაური, უშუალოდ მართავს უზარმაზარ აღმასრულებელ აპარატს, სენატის „რჩევითა და თანხმობით“, აქვს დეპარტამენტების მდივნების დანიშვნის უფლება, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პრეზიდენტის წინაშე და ნებისმიერ დროს შეიძლება გათავისუფლდნენ თანამდებობიდან. დაბალი თანამდებობის პირებიც პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან, მხოლოდ სენატის თანხმობის გარეშე.

ვინაიდან შეერთებული შტატები საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ე.წ. მთავრობა არ წარმოადგენს კოლეგიალურ ორგანოს, მას მხოლოდ სათათბირო უფლებამოსილება აქვს. მის შემადგენლობაში შედიან ხელისუფლების ცალკეული დარგის ხელმძღვანელები – აღმასრულებელი დეპარტამენტების მდივნები. არსებობს სულ 14 დეპარტამენტი. ამ სფეროში დიდ როლს ასრულებენ ასევე სამთავრობო უფლებამოსილი დამოუკიდებელი სააგენტოები და კორპორაციები.

პრეზიდენტს პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია კონგრესის წინაშე, რომელსაც უფლება აქვს „სახელმწიფო ღალატისთვის, მექრთამეობისთვის, სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულისა და მისდამინორობისთვის“, თანამდებობიდან გადააყენოს იგი იმპიჩმენტის საფუძველზე. საქმე იმპიჩმენტის შესახებ უნდა დაიწყოს წარმომადგენელთა პალატის რეზოლუციით, რომელიც მიიღება პალატის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. მასალები საქმის არსებითი განხილვის მიზნით, გადაეცემა სენატს, სადაც იმპიჩმენტის საკითხი განიხილება სისხლის სამართლის პროცესის წესებით. ამ დროს სხდომებს ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, დამსწრე სენატორთა 2/3-

ის თანხმობით. იმპიჩმენტის გამოტანის დროს ერთადერთი სანქცია არის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება, თუმცა მას შეიძლება საერთო საფუძველზე სისხლის სამართლის წესითაც მოსთხოვონ პასუხი.

კონგრესი აშშ-ის ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოა. წარმომადგენელთა პალატა შედგება 435 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევიან ორი წლის ვადით ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო სენატი დაკომპლექტებულია 100 სენატორისგან, ყოველი შტატი ირჩევს ორ სენატორს 6 წლის ვადით, მაგრამ არჩევნები ისეა ორგანიზებული, რომ ყოველ 2 წელიწადში ხდება მისი მესამედით განახლება. სენატორები და დეპუტატები სარგებლობენ თავისუფალი მანდატით, არ არიან პასუხისმგებელნი თავისი მოქმედებისთვის ამომრჩევლების წინაშე და არიან არა კონკრეტული ოლქის ან შტატის, არამედ მთელი ქვეყნის წარმომადგენლები, ამიტომ კონგრესის პალატებიდან მათი გამოწვევა დაუშვებელია. ისინი სარგებლობენ შეზღუდული საპარლამენტო იმუნიტეტით, არ არიან პასუხისმგებელნი კონგრესში გამოსვლებზე, მათ მიმართ დაცულია სიტყვის თავისუფლება და ხმის მიცემის უფლება. მათი მანდატი შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან.

წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარედ გვევლინება სპიკერი, რომელიც „მესამე“ თანამდებობის პირია სახელმწიფო სისტემაში პრეზიდენტისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შემდეგ. სენატს ხელმძღვანელობს ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც არ არის სენატის წევრი.

კონგრესის კომპეტენცია, ძირითადად, მოიცავს: საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო საკითხებს, სხვა სახელმწიფოებსა და შტატებს შორის ვაჭრობის რეგულირებას, სამხედრო-საზღვაო და საომარი საკითხების რეგულირებას, მილიციის შექმნას, ფედერალური მოსამართლეების დამტკიცებას, მოქალაქეობის მიღების საკითხების რეგულირებას და სხვ.

საკანონმდებლო ხელისუფლებას აქვს ისეთი უფლებამოსილებაც, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთი პალატის კომპეტენციას განეკუთვნება. მაგალითად, მხოლოდ წარმომადგენელთა პალატაში უნდა იქნეს შეტანილი საფინანსო კანონპროექტები. აქ ხდება, აგრეთვე, პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირებისათვის იმპიჩმენტის საკითხის წამოჭრა, ირჩევენ პრეზიდენტს იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. სენატიც სარგებლობს ბევრი საკუთარი

უფლებამოსილებით, რომელთა შორის აღსანიშნავია, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო უმაღლეს თანამდებობებზე დანიშნული პირების დამტკიცება, იმპიჩმენტის საკითხის გადაწყვეტა, ვიცე-პრეზიდენტის არჩევა, თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას ან პრეზიდენტის მიერ სენატორთაგან დანიშნული ვიცე-პრეზიდენტის დამტკიცება.

კონგრესის მუშაობაში დიდ როლს ასრულებენ კომიტეტები, რომელთაც განეკუთვნებიან მუდმივი, სპეციალური, გაერთიანებული, შემთანხმებელი, მთელი პალატის და ერთი პარტიის კომიტეტები და ფრაქციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიების კონფერენციების გადაწყვეტილებებით.

საკანონმდებლო ინიციატივით სარგებლობენ მხოლოდ კონგრესის წევრები. ორივე პალატაში კანონპროექტის განხილვა სამ მოსმენას მოიცავს. ჩვეულებრივი კანონის მიღება ხდება სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით, ხოლო კონსტიტუციის შესწორების – თითოეული პალატის 2/3-ით.

ამერიკული ფედერალიზმი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ერთი მხრივ, აშშ-ის სახელმწიფო-ტერიტორიულ მოწყობას აქვს ფედერაციისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ქვეყანა იყოფა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად – შტატებად, რომლებიც ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენენ; ფედერალური ორგანოების ხელისუფლებას აშშ-ის კონსტიტუცია განსაზღვრავს, ხოლო შტატების კონსტიტუციების საფუძველზე იქმნება მათი ხელისუფლების ორგანოთა სისტემა; შტატების ლეგისლატურები იღებენ კანონებს; ფედერაციის სუბიექტებს აქვთ თავისი სამართლისა და სასამართლო სისტემები; მოქმედებს ორმაგი – საკავშირო და საშტატო მოქალაქეობა. მეორე მხრივ, კლასიკური ფედერალიზმის დამახასიათებელ ამ ნიშნებთან ერთად გვხვდება ბევრი ცენტრალიზებული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ნიშანი. ცალკე არის გამოყოფილი კოლუმბიის ფედერალური ოლქი, სადაც მდებარეობს ქვეყნის დედაქალაქი ვაშინგტონი. „მამა დამფუძნებელთა“ გადაწყვეტილებით, იგი არ შევიდა არც ერთი შტატის შემადგენლობაში. ამ ტერიტორიის მოსახლეობას აქვს თვითმმართველობის უფლება. ისინი ირჩევენ ქალაქის საბჭოს და ქალაქის მერს.

ამერიკაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შტატების განმგებლობას განეკუთვნება. მის შემადგენლობაში 50 შტატია გაერთიანებული, რომელთაც აშკარად განსხვავებული ადგილობრივი

ტერიტორიული ერთეულები აქვთ. ამჟამად შეერთებული შტატები ითვლის 78 ათას სხვადასხვა ასეთ ერთეულს. ქალაქის მოსახლეობას ერთდროულად საქმე აქვს 3-4 სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონესთან. ესენია საგრაფოები, ქალაქები, თაუნები, თაუნშიპები, სოფლები და მუნიციპალიტეტები.

საგრაფოთა რაოდენობა სულ 3042-ს შეადგენს. ასეთ ერთეულებად იყოფა ყველა შტატი, გარდა კონექტიკუტისა და როდ-აილენდისა. საგრაფოები, ძირითადად, გამოყოფილია ქალაქებისგან. მათი ხელისუფლების ორგანოებია საგრაფოს საბჭოები, რომლებსაც მოსახლეობა ირჩევს. აირჩევა, აგრეთვე, შერიფი, პროკურორი, საგრაფოს მოსამართლე, ხაზინადარი, კორონერი, აუდიტორი, კლერკი, სუპერინტენდენტი და სხვ.

ქალაქების მმართველობის სამ ძირითად ტიპს განასხვავებენ: მერ-საბჭოს, რომელიც იყოფა „სუსტი მერის“ და „ძლიერი მერის“ სისტემებად და გამოიყენება ქალაქების 39%-ში, სადაც მოსახლეობა 5 000-ს სჭარბობს; ქალაქების 6%-ში მოსახლეობა 2-4 წლის ვადით ირჩევს ქალაქის კომისიას 3-7 წევრის შემადგენლობით, რომლებიც სარგებლობენ როგორც წარმომადგენლობითი, ისე აღმასრულებელი უფლებებით და მენეჯერ-საბჭოს, რომელიც წმინდა სახით იშვიათად გვხვდება და მრავალ ქალაქში კომბინირებული სახით არის ამოქმედებული.

თაუნები და თაუნშიპები, რომლებსაც პატარა ქალაქებსა და რაიონებსაც უწოდებენ, დაახლოებით 17 ათასია და, ძირითადად, გამოიყენება შეერთებული შტატების ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში. საერთოდ კი, მხოლოდ 20 შტატში გვხვდება. ხელისუფლება, ჩვეულებრივ, გადაეცემა არჩეულ საბჭოს, რომელსაც შეიძლება ხელმძღვანელობდეს თავმჯდომარე ან პრეზიდენტი, რომელიც მთავარი აღმასრულებელი პირი ან არჩეული მერია.

ადგილობრივი მართვის სისტემაში თავისი განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მუნიციპალიტეტებს, რომელთა რაოდენობა 19 ათასს შეადგენს. კონსტიტუციები მათ იურიდიული პირის ანუ კორპორაციის სტატუსს და ფართო უფლებებს ანიჭებენ. თავისებური ქარტიის – „ჰომრულის“ მიღებით, ისინი დამოუკიდებლად, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავენ თავიანთი ორგანიზაციის ფორმებს.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციის ერთი ნაირსახეობა, რომელიც უმეტესწილად შეერთებული შტატების ნიუ-ინგლენდის რეგიონში გვხვდება, ცნობილია „სადაბო კრების“ ან „თაუნ-მიტინგის“

სახელწოდებით. მართვის დასახელებული ფორმის პირობებში, წელიწადში ერთხელ – თუ საჭიროა, უფრო ხშირადაც – დაბის რეგისტრირებული ამომრჩევლები იკრიბებიან ღია სესიაზე და იხილავენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. ასეთი წესი დაახლოებით 500 ერთეულში არსებობს.

გარდა აღნიშნული ადგილობრივი ერთეულებისა, აშშ-ში არსებობს კიდევ 22 სხვა სახის ტერიტორიული ერთეული, რომლებიც სპეციალური ოლქების სახელწოდებითაა ცნობილი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასკოლო ოლქებს. ოლქების საზღვრები არ ემთხვევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვრებს.

საარჩევნო სამართალი

კონგრესის პალატების საარჩევნად გამოიყენება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო პრინციპები, ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. აქტიური საარჩევნო უფლება 18 წლიდან იწყება. წარმომადგენელთა პალატაში შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც შეერთებული შტატების მოქალაქეა სულ მცირე 7 წლის მანძილზე, მიაღწია 25 წლის ასაკს და იმ შტატის ბინადარია, სადაც მდებარეობს მისი საარჩევნო ოლქი. წარმომადგენელთა პალატის წევრთა რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული და დაახლოებით 530 ათას მოსახლეზე ერთი წევრი მოდის. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა შტატს სხვადასხვა რაოდენობის წარმომადგენელი ჰყავს, რომელთა რაოდენობა ერთიდან 45-მდე მერყეობს. წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, თითო დელეგატი კოლუმბიის ოლქიდან და იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც შეერთებული შტატების იურისდიქციას ექვემდებარებიან, რომელთაც უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ პალატის მუშაობაში – ხმის უფლების გარეშე. სენატორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც სულ მცირე 9 წელი შეერთებული შტატების მოქალაქეა, მიაღწია 30 წლის ასაკს და იმ შტატის ბინადარია, სადაც მდებარეობს მისი საარჩევნო ოლქი. სენატში ყველა შტატს ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავს. კოლუმბიის ფედერალური ოლქი აშშ-ის კონგრესში არ არის წარმოდგენილი.

კანდიდატებს პარტიები წარადგენენ, მაგრამ ასევე შესაძლებელია კანდიდატმა კენჭი იყაროს პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერის გარეშე. ამისთვის მან უნდა წარმოადგინოს პეტიცია, რომელსაც მისი მხარდამჭერი ამომრჩევლების გარკვეული რაოდენობა მოაწერს ხელს. ყველაზე გავრცელებულ ფორმად კი აშშ-ში პრაიმერიზი ითვლება,

რაც ე.წ. პირველად არჩევნებს წარმოადგენს, როდესაც ამომრჩეველი ხმას აძლევს კანდიდატს კანდიდატობისთვის, რომ შემდეგ იგი გახდეს დეპუტატობის კანდიდატი და მისი გვარი შეიტანონ საარჩევნო ბიულეტენში. პრაიმერიზი – კანდიდატების დასახელების დემოკრატიული ფორმაა: თვითონ ამომრჩეველი, პარტიული დაქვემდებარების გარეშე, წყვეტს თუ ვინ უნდა იყოს მის საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატი. 37 შტატში მხოლოდ ეს ფორმა გვხვდება, ხოლო სხვა შტატებში დასახელების პროცედურის სხვა სახეებიც არსებობს.

პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი აირჩევიან ტანდემში, არაპირდაპირი გზით – დელეგატების მეოხებით. ამომრჩეველები ხმას აძლევენ პრეზიდენტის ამომრჩეველებს (დელეგატებს) შტატებიდან. მთელ ქვეყანაში აირჩევა 538 დელეგატი, ვინაიდან ყოველი შტატიდან აირჩევა იმდენი დელეგატი, რამდენი წარმომადგენელიც ჰყავს ამა თუ იმ შტატს კონგრესში, ხოლო კოლუმბიის ფედერალურ ოლქში ასეთ პირთა რაოდენობა სამს შეადგენს. დელეგატები აირჩევიან ერთიანი სიებით, ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე. შემდგომ, არჩეული დელეგატი მისთვის სასურველ პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს ხმას. მაგრამ, როგორც 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა გვიჩვენეს, ამერიკულმა საარჩევნო სისტემამ სერიოზული ბზარი გაუჩინა საქვეყნოდ აღიარებულ ამერიკულ დემოკრატიას, როცა ხმამაღლა დაიწყეს საუბარი საარჩევნო ბიულეტენების გაყალბებაზე და ხმების დათვლა ოც დღემდე გაჭიანურდა. როგორც ჩანს, მყარი კონსტიტუციის მიერ შენარჩუნებული არქაული საარჩევნო სამართალი სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს.

არც ერთ ქვეყანაში, გარდა აშშ-ისა, არ ინიშნება არანარმომადგენლობით თანამდებობის პირთა საყოველთაო არჩევნები, იქნება ეს მოსამართლე, შერიფი, გენერალური პროკურორი, ქალაქის ხაზინადარი თუ სხვ. ამერიკელს, ნებისმიერ სხვა დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქესთან შედარებით, დაახლოებით 3-4-ჯერ მეტი არჩევნის გაკეთების უფლება აქვს, სწორედ ასეთი არჩევითი თანამდებობების სიმრავლის გამო.

რაც შეეხება არჩევნების დაფინანსებას, საპრეზიდენტო პირველადი საყოველთაო არჩევნების დროს, შესაძლებელია საზოგადოებრივი ფონდების გამოყენება. პრეზიდენტობის კანდიდატობის მძიებელს უფლება აქვს, გამოიყენოს დაფინანსება 20 შტატიდან, თითოეულში 5 000 დოლარის ოდენობით. ეს ფონდები უშუალოდ გადა-

ეცემა კანდიდატის კამპანიის კომიტეტს და არა რომელიმე პარტიის ეროვნულ კომიტეტს. ნარმომადგენელთა პალატის დეპუტატობის კანდიდატისათვის დაწესებულია 70 ათასი დოლარი, ხოლო სენატის წევრობის კანდიდატისათვის – 150 ათასი დოლარი.

სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო და საოჯახო სამართლის სფეროში ამერიკის უმრავლეს შტატში მოქმედებს არა კოდექსები, არამედ კანონები, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ სამართლებრივ ინსტიტუტებს. გამონაკლისია ლუიზიანას შტატი, სადაც ძალაშია 1870 წლის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც აგრძელებს ფრანგული სამართლის ტრადიციებს და ჯორჯიის, კალიფორნიის, მონტანას, ჩრდილო და სამხრეთ დაკოტას შტატები, რომელთა სამოქალაქო კოდექსები არეგულირებს სამოქალაქო და საოჯახო ურთიერთობათა მცირე სფეროს.

სამოქალაქო სრულწლოვანება შტატების კანონმდებლობით, ძირითადად, მერყეობს 18-დან 21 წლამდე. სერიოზული განსხვავებებია იურიდიულ პირთა (კორპორაციათა) სამართლებრივ სტატუსშიც. ბევრ შტატში გვხვდება კანონები სრული ამხანაგობის, კომანდიტური ამხანაგობის, სამომხმარებლო კორპორაციის და ერთი პირის კორპორაციის შესახებ.

1970 წელს ეროვნულ კონფერენციაზე შემუშავებულმა ერთიანმა კანონმა ქორწინებისა და განქორწინების შესახებ, დიდი გამოხმაურება პოვა მთელ რიგ შტატებში, მაგრამ ყოველი მათგანი მაინც თავისებურად წყვეტს საკითხს: ზოგიერთი შტატის კანონი ქორწინების რეგისტრაციის სამოქალაქო წესს ადგენს, ხოლო ზოგიც იურიდიულ ძალას საეკლესიო ქორწინებას ანიჭებს. ცალკეულ შტატებში კი ფიქტიური საქორწინო ურთიერთობაც იურიდიულ შედეგებს იწვევს.

განსხვავებულია მემკვიდრეობის წესებიც. მცირე თანხის მემკვიდრეობით გადაცემისას, დაწესებულია გამარტივებული წესები, ხოლო დიდ თანხასთან დაკავშირებით, დაწესებულია სასამართლო კონტროლი ქონების გადაცემისა და ანდერძის აღმსრულებლის, „პირადი ნარმომადგენლის“ ან სასამართლოს დანიშნული პირის მიერ ქონების მართვის დროს.

ეროვნული კონფერენციის მიერ სავაჭრო ურთიერთობების შესახებ, გამოცემულია ერთიანი ეროვნული აქტი. მართალია, XX საუკუნის პირველ ნახევარში შემუშავებულ იქნა კანონთა პაკეტი ფასიანი ქაღალდების, ყიდვა-გაყიდვის, პირობითი გაყიდვის შესახებ და სხვ., რომლებიც ბევრმა შტატმა მოიწონა, მაგრამ ამ სფეროში ცენტ-

რალური ადგილი ერთიანმა სავაჭრო კოდექსმა დაიკავა, რომელიც აღნიშნულ კანონებსაც მოიცავს. იგი 1978 წელს იქნა მიღებული და ცალკეული შტატების მოთხოვნით მასში რამდენიმე ცვლილება შევიდა. მცირე შესწორებებით იგი დღესაც მოქმედებს ყველა შტატში, ლუიზიანას გარდა.

რუზველტის მიერ განხორციელებული „ახალი კურსის“ შედეგად, შრომის კანონმდებლობით, მუშებისთვის გარანტირებულია პროფესიული კავშირების შექმნის, კოლექტიური ხელშეკრულების დადების და გაფიცვის უფლება, მშრომლებს ერთი და იმავე შრომისთვის ერთნაირი გასამრჯელო ეძლევათ და, საერთოდ, აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაცია რასობრივი, ეროვნული, რელიგიური კუთვნილების, წარმოშობის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის და სხვა ნიშნის მიხედვით. „ახალი კურსის“ მოქმედების პერიოდში გადანყვეტილ იქნა, ასევე, სოციალური უზრუნველყოფის მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ, დაკანონდა მოხუცებულობის პენსია; ინვალიდობის, მარჩენლის დაკარგვის, უმუშევრების დახმარება; სანარმოში მომხდარი უბედური შემთხვევისას, ინდიელებისთვის, პირებისთვის, რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებენ, ღარიბი ოჯახებისთვის და ზოგიერთი სხვა სახის დახმარება.

სისხლის სამართალი

ერთობ ძნელია აშშ-ის სისხლის სამართლის თაობაზე სრული წარმოდგენის შექმნა არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი საერთო და სტატუტური სამართლის ნორმებისგან შედგება. ამ დარგზე დიდ გავლენას ახდენს ფედერალიზმის პრინციპი — ქვეყანაში მოქმედებს 53 დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა — 50 შტატის, ფედერალური, კოლუმბიის ოკრუგის — მის ტერიტორიაზე განლაგებული ქვეყნის დედაქალაქით და „თავისუფლად მიერთებული ქვეყნის“ — პუერტო-რიკოსი, რომლებიც საკმაოდ განსხვავებულად არეგულირებენ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს და, მაშასადამე, არსებობს ამდენივე სისხლისსამართლებრივი სისტემა. შტატების სისხლის სამართლის ძირითად ნყაროებს წარმოადგენს მათი კონსტიტუციები და სისხლის სამართლის კოდექსები.

აშშ-ის კონსტიტუციაში მოცემულია ფედერალური სისხლისსამართლებრივი ნორმები ან ჩამოყალიბებულია სამართლის ამ სფეროსთან დაკავშირებული კონცეპტუალური დებულებები. აშშ-ში, ფაქტობრივად, არ არსებობს ფედერალური სისხლის სამართლის კოდექსი ჩვეული გაგებით. უბრალოდ, 1948 წლის 25 ივნისს კონგრესის მიერ

მიღებულ აქტში გაერთიანდა მანამდე მიღებული და მოქმედი კანონ-მდებლობა, რომელთა უმრავლესობაც შეტანილია აშშ-ის კანონთა XVIII კრებულის I ნაწილში – „დანაშაული და სისხლის სამართლის პროცესი“ და გამოქვეყნებულ იქნა ერთიანი კანონის სახით.

ამ სისტემური მრავალფეროვნების უნიფიკაციის მიზნით, ამაჟამად აშშ-ში მოქმედებს 1962 წელს შემუშავებული მოდელური სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც შეიცავს ნორმებს ბრალის ფორმების, დანაშაულის სტადიების, დანაშაულობის გამომრიცხავი გარემოებების, სასჯელების სახეების და ა.შ. კანონქვემდებარე აქტებიდან სისხლის სამართალს შეეხება პრეზიდენტის, ფედერალური დეპარტამენტებისა და უწყებების აქტები. თუმცა ძნელი სათქმელია, რომ ამან უნიფიკაციას უშველა, ვინაიდან განსხვავებული სისხლის სამართლებრივი სისტემები კვლავაც „ნარმატებით“ ფუნქციონირებენ.

განვიხილო პერიოდში აღნიშნულმა კოდექსებმა მნიშვნელოვნად იცვალა სახე, მათში შეტანილი დამატებებისა თუ ახალი ფედერალური კანონების მეშვეობით, ორგანიზებული დანაშაულის თემა ყველაზე აქტუალურ საკანონმდებლო მიმართულებად იქცა: 1970 წელს გამოიცა და 1986 წელს შეივსო დამატებებით კანონი ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, 1986 და 1988 წლებში კი მიღებულ იქნა ფედერალური კანონები, მიმართული ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა 1997 წელს მიღებული ფედერალური კანონი ძალადობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელმაც 18 წლის შემდეგ, 1995 წელს, სიკვდილით დასჯა აღადგინა ნიუ-იორკში.

შეერთებული შტატების სისხლის სამართლის სპეციფიკურ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ არ ხდება აქტების ზოგად და კერძო ნაწილებად დაყოფა, კანონები შეიცავს როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური სამართლის ნორმებს, მაგრამ ისინი ერთმანეთშია არეული.

რაც შეეხება სისხლისა და სამოქალაქო პროცესს, ამ შემთხვევებში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კონსტიტუციის სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმები, როგორცაა დაპატიმრებისა და დაკავების, სასამართლოში საქმის განხილვის, გასაჩივრების შესახებ და ა.შ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს დადგენილებანი სამოქალაქო, სისხლის, სააპელაციო სამართალწარმოებისა და მტკიცებულებათა შესახებ. ცალკეა ასევე გამოცემული თვით ამ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წესები. ეს აქტები და მათი დამატებები ძალაში შედის უზენაეს სასამართლოში მათი მიღების შემდეგ, თუ

კონგრესის ორივე პალატის მიერ უახლოეს სესიაზე არ იქნება გამოქმული მიღებული ნორმების მიმართ საწინააღმდეგო მოსაზრება.

ამერიკული მატერიალურ-სამართლებრივი კლასიფიკაციის მიხედვით, დანაშაულები იყოფა ორ ჯგუფად: საშიშ დანაშაულებად – ფელონიებად და ნაკლებად საშიშ დანაშაულებად – მისდომინორებად. ამ უკანასკნელს განეკუთვნება ისინი, რომლებისთვისაც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით ან ჯარიმა, ხოლო პირველს – ყველა დანარჩენი.

1962 წლის აშშ-ს მოდელური სისხლის სამართლის კოდექსი ბრალის ოთხ კატეგორიას ადგენს: მიზნობრიობა, გაცნობიერებულობა, გაუფრთხილებლობა და დაუდევრობა. რაც შეეხება დანაშაულში მონაწილეობას, აქ ორ ძირითად ფორმას განასხვავებენ: ამსრულებელს და თანამონაწილეს, თუმცა ზოგიერთ შტატში ცალკე გამოყოფენ ნამქეზებელსა და დამხმარეს, ხოლო ზოგშიც ეს ყოველივე „ძირითად თანამონაწილეობაში“ აღინიშნება.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ჯერ კიდევ 1776 წლის 7 ივლისს მიღებულმა დამოუკიდებლობის დეკლარაციამ დააფიქსირა, რომ ადამიანები თანასწორი არსებანი არიან და ისეთი ხელშეუვალი უფლებები, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ ლტოლვა, მათ ღვთის მიერ აქვთ ნაბოძები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რამდენიმე შტატმა კონსტიტუციის ტექსტს მხოლოდ იმ პირობით დაუჭირა მხარი, რომ შემდგომ მასში შეტანილი იქნებოდა ადამიანის უფლებების განმსაზღვრელი ნორმები. პირველი, რაც კანონმდებელმა გააკეთა, სწორედ კონსტიტუციის ამ ხარვეზის გასწორება იყო. 1791 წლის 15 დეკემბერს შტატების მიერ რატიფიცირებულ იქნა ათი შესწორება, რაც „უფლებათა ბილის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მიღებულ დამატებებში დიდი ყურადღება ეთმობა პოლიტიკურ და პირად უფლებებს, გარანტირებულია პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა, სიტყვის, ბეჭდვის, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, პეტიციის უფლების საფუძველზე. დადგენილია რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობა, უზრუნველყოფილია მოქალაქეების მიერ იარაღის ტარების უფლება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, „უფლებათა ბილის“ შემდგომ მიღებული დამატებები, რომლებიც ადგენს, რომ მოქალაქეთა პირადი უფლებების დაცვა გარანტირებულია იმით, რომ უქმდება მონობა, დაუშვებელია სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების შეზღუდვა სათანადო სამართლებრივი პროცედურის

გარეშე; არ შეიძლება საარჩევნო უფლების შეზღუდვა რასის, კანის ფერის ან ადრე მონურ მდგომარეობაში ყოფნის მოტივით, აკრძალულია საარჩევნო ქონებრივი ცენზი. პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიას წარმოადგენს IV შესწორება, ხოლო V დამატება ადგენს, რომ არავის არ შეიძლება ჩამოერთვას სახელმწიფოებრივი „სარგებლობისათვის კერძო საკუთრება სათანადო კომპენსაციის გარეშე“

ადამიანის უფლებათა დაცვაში დიდ როლს ასრულებენ სასამართლოები, რომლებიც კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საფუძველზე ქმნიან სასამართლო პრეცედენტებს. მაგალითად, 1972 წელს უზენაესმა სასამართლომ პირველი შესწორების საფუძველზე შემდგენიარად განმარტა ასოციაციის თავისუფლება: „თუმცა ეს უფლება პირდაპირ არ არის ფორმულირებული შესწორებაში, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ითვლება გარანტირებულად სიტყვის, შეკრებისა და პეტიციის საფუძველზე“ და ასე გადანყვიტა საკითხი. ან კიდევ, 1954 წელს უზენაესმა სასამართლომ, კონკრეტული სასამართლო საქმეების გათვალისწინებით, არაკონსტიტუციურად სცნო კანონი შავ და თეთრკანიანების ცალ-ცალკე სწავლების შესახებ.

ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში აქტიურად არის ჩართული სახალხო ინტერესების დამცველთა მთელი არმია. მართალია, შვედური ომბუდსმენის ინსტიტუტმა სახელმწიფოს დონეზე აღიარება არ მიიღო, მაგრამ აქაც შტატები თავისუფალნი არიან თავის მოქმედებაში. პირველი ომბუდსმენი 1969 წელს შეიქმნა ჰავაის შტატში, შემდეგ ამას მოჰყვა ნებრასკა, აიოვა, ალასკა და სხვა შტატები, სადაც სხვადასხვა სპეციალიზაციის ომბუდსმენები დაფუძნდა. ამას გარდა, მრავალ შტატში შეიქმნა ადმინისტრაციული აპარატისგან დამოუკიდებელი თანამდებობის პირთა ინსტიტუტი, რომელიც მოქალაქეთა საჩივრებს იხილავს და რომელსაც „აღმასრულებელ ომბუდსმენსაც“ უწოდებენ. და კიდევ, გაჩნდა ე.წ. საქალაქო ომბუდსმენი, რომლის გამოცდილება შემდგომ ქვეყნის მრავალ ქალაქში გავრცელდა. ამერიკის რამდენიმე შტატში არის რეგიონული ომბუდსმენი, ზოგან მათი სპეციალიზაცია კონცენტრირებულია ადმინისტრაციის საქმიანობის ცალკეულ სფეროებზე, იქნება ეს განათლება, ბიზნესი თუ სხვ.

სასამართლო სისტემა

აშშ-ის ფედერალური სასამართლო სისტემა შედგება: უზენაესი სასამართლოს, 13 სააპელაციო, 94 საოლქო და რამდენიმე სპეციალური იურისდიქციის სასამართლოსგან.

როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე დაბალი ინსტანციის ფედერალური სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ სენატის „რჩევითა და თანხმობით“ და თანამდებობაზე დარჩებიან მანამდე, ვიდრე თავის მოვალეობას „კეთილსინდისიერად ასრულებენ“. ეს, ფაქტობრივად, საპენსიო ასაკის მიღწევას ნიშნავს, ხოლო თუ თავის მოვალეობას არაკეთილსინდისიერად შეასრულებენ, მაშინ მათ წინააღმდეგ ამუშავდება იმპიჩმენტის მექანიზმი, რომელიც უფრო აქტიური სწორედ მოსამართლეებთან მიმართებაშია.

სასამართლო სისტემაში ზემდგომ სასამართლო ორგანოს წარმოადგენს უზენაესი სასამართლო. იგი შედგება თავმჯდომარისა და მასობრივი წევრებისგან. უზენაესი სასამართლო იხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით და საბოლოო ინსტანციით შტატებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის თაობაზე. პირველი, მაგრამ არა საბოლოო ინსტანციით კი – ყველა საქმეს, სადაც მხარეებად გამოდიან ელჩები, კონსულები, ვიცე-კონსულები, საქმეებს შეერთებულ შტატებსა და შტატებს შორის დავის შესახებ, ყველა საქმესა და სარჩელს, რომელიც წარმოიშობა შტატების მიერ მოქალაქეებისა და უცხოელების წინააღმდეგ. უზენაეს სასამართლოს აქვს სააპელაციო უფლებამოსილება ქვემდგომი სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებსა და შტატების უზენაესი სასამართლოების გადანყვეტილებებზე.

ფედერალური მართლმსაჯულების მეორე უმაღლეს დონეს ქმნიან სააპელაციო სასამართლოები, რომლებიც 1891 წელს შეიქმნა საქმეთა განაწილების გაადვილებისა და უზენაესი სასამართლოს დატვირთვის შემცირების მიზნით. შეერთებული შტატები იყოფა 13 დამოუკიდებელ სააპელაციო რეგიონად – კოლუმბიის სააპელაციო სასამართლო მოიცავს მხოლოდ კოლუმბიის ოლქს, ცალკეა ფედერალური ოლქი, რომელსაც არა რეგიონული, არამედ საერთო-ეროვნული უფლებამოსილება აქვს და 11 სხვა სააპელაციო სასამართლო, რომელთაგან თითოეული ერთდროულად რამდენიმე შტატს მოიცავს. ისინი მხოლოდ სააპელაციო იურისდიქციით სარგებლობენ.

სასამართლო სისტემის ქვემდგომ ინსტანციას 94 საოლქო სასამართლო შეადგენს. ყოველ შტატში სულ ცოტა ერთი საოლქო სასამართლო მაინც არსებობს, რომელთა წევრებიც ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ ჩვეულებრივი წესით, ხოლო გუამის, ვირჯინიის, ჩრდილო მარიანის კუნძულების მოსამართლეები ინიშნებიან 10 წლის ვადით.

აშშ-ში დროდადრო წარმოიქმნება სპეციალური დანიშნულების სასამართლოთა შექმნის საჭიროება. ისინი ცნობილნი არიან

„საკანონმდებლო“ სასამართლოთა სახელწოდებით, რადგან კონგრესის გადწყვეტილებით იქმნებიან. სპეციალურ სასამართლოთაგან აღსანიშნავია: სასარჩელო, საბაჟო სასამართლო, ბაჟისა და პატენტის სააპელაციო სასამართლო, საერთაშორისო ვაჭრობის ფედერალური სასამართლო, ფედერალური საპრეტენზიო სასამართლო, ფედერალური საგადასახადო სასამართლო.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფუნქციონირებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. იგი შედგება, ჩვეულებრივ, 12 ან 23 წევრიდან, რომლებსაც გარკვეული ვადით ირჩევს მოსახლეობა.

ცალკეული შტატების სასამართლო სისტემების შესახებ უნდა ითქვას, რომ ყველა შტატი ამ საკითხში უნიკალურია, საერთო კი ის აქვთ, რომ სასამართლო სისტემის სათავეში დგას უზენაესი სასამართლო. შემდგომ სხვადასხვა შტატში მოდის საერთო იურისდიქციის სხვადასხვა სასამართლო: სააპელაციო, საოლქო, რაიონის, უმაღლესი, საკანცლერო, საგრაფო, საერთო-სასარჩელო, რომლებიც განიხილავენ მძიმე სისხლისსამართლებრივ და რთულ სამოქალაქო საქმეებს. ისინი იმავდროულად ასრულებენ სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებს ქვემდგომი სასამართლოების საქმეებზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ დაახლოებით 17 ათასი სასამართლო ფუნქციონირებს.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი

დღეს საყოველთაოდ აღიარებული საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტი ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ ერთ-ერთი კონკრეტული საქმის „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ განხილვის დროს მიღებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბდა 1803 წელს. სწორედ მას შემდეგ და ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებული კონცეპტუალური ნორმების გამოყენების საფუძველზე დაინყეს სასამართლო ორგანოებმა კონსტიტუციის განმარტება და მასთან შეუსაბამო აქტების ბათილად ცნობა.

საკონსტიტუციო ზედამხედველობას თავის სამშობლოში მნიშვნელოვანი თავისებურებები აქვს, რომელთა განზოგადებული მახასიათებლები სრულად წარმოაჩენს მის სამართლებრივ ბუნებას. პირველ რიგში ის თავისებურება უნდა გამოვყოთ, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობა ატარებს უნივერსალურ ხასიათს, რამდენადაც რეაგირებს არა მხოლოდ კანონებზე, არამედ ხელისუფლების ყველა დონის ნებისმიერ ნორმატიულ აქტსა და განკარგულებაზე. მეორე თავისებურებად უნდა გამოიყოს ის ფაქტორი, რომ საკონსტი-

ტუციო ზედამხედველობა ხორციელდება დეკონცენტრირებულად, შეიძლება წარმოებულ იქნეს ნებისმიერი სასამართლოს მიერ ნებისმიერი საქმის განხილვის დროს. მესამე თავისებურება ის არის, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობა ატარებს კაზუალურ ხასიათს, იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვის დროს. მაგალითად, როდესაც ერთი მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარის მოთხოვნა დაფუძნებულია არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის მოქმედებაზე, სასამართლო ვალდებულია გამოთქვას თავისი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით და მისი გათვალისწინებით დააკმაყოფილოს არსებული სარჩელი. რაც იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუციურობის პრობლემა წარმოიშობა სასამართლოს მიერ სისხლის, სამოქალაქო ან სხვა საქმის გადაწყვეტის პროცესში. მეოთხე თავისებურებად შეიძლება ჩავთვალოთ საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფარდობითი ხასიათი, რამდენადაც სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ მოდავე მხარეებისთვის და არ ვრცელდება სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ყველა სუბიექტზე. იურიდიული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისას სასამართლოები განიხილავენ მას, როგორც უმოქმედოს და აღარ იღებენ მხედველობაში საქმის გადაწყვეტის დროს, მაგრამ როგორც საერთო მოქმედების ნორმა, იგი არ უქმდება. მეხუთე თავისებურებაა ის, რომ ფედერალურ უზენაეს სასამართლოს აქვს საკონსტიტუციო კონტროლის უფლება ნებისმიერი ნორმატიული აქტის მიმართ, მათ შორის, ყველა სასამართლოს მიერ ზედამხედველობის წესით გამოვლენილ შეუსაბამობებსა და მათდამი მიმართულ აქტებზეც, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. რაც შეეხება საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის დადგენის საქმეში შტატების უზენაესი სასამართლოების უფლებამოსილებას, ისინი ორუფლებიანობით ხასიათდება. მათ კონტროლის უფლება აქვთ შტატების ნორმატიული აქტების მიმართ – აშშ-ის და შტატის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენისას და ზედამხედველობის უფლება, როცა დგება ფედერალური აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, ვინაიდან საბოლოო სიტყვა ამ ნაწილში ფედერალურ უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის.

ლიტერატურა:

1. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია// მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელი ა. დემეტრაშვილი, თბილისი, „იურიდიული ლიტერატურა“, 1992, გვ. 53-105;

2. ო. მელქაძე, ვ. გონაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატები// საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, „მერანი“, 1999, გვ. 11-50;
3. გ. გოგიაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატები// შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ. 151-159;
4. ამერიკული დემოკრატია. აშშ-ის ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, ინგლისურიდან თარგმნა რ. გაჩეჩილაძემ, თბილისი, 1995;
5. ნარკვევები ამერიკის ხელისუფლების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, თბილისი, 1997;
6. США: конституция и законодательные акты, Ред. О. Л. Жидкова, Москва, „Прогресс“, 1993;
7. Бойцова В. В., США // Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „Б Е К“, 1997, стр. 279-327;
8. Лафитинский В. И., Основы конституционного строя США, Москва, „Норма“, 1998;
9. Чиркин В. Е., Основы конституционного права США // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Юристъ“ 1997. стр. 322-348;
10. Рыжов В. А., Политические институты и конституционное право США // Иностранное конституционное право, под редакцией В. В. Маклакова, Москва, „Юристъ“ 1997. стр. 3-38;
11. Баглай М. В., Основы конституционного права США // Конституционное право зарубежных стран, под общей редакцией М.В.Баглая, Ю.И.Лейбо, Л.М.Энтина, Москва, „Норма-Инфра-М“, 1999, стр. 353-398;
12. Крылова Н., Серебренникова А., Уголовное право современных зарубежных стран, Москва, „Зерцало“, 1977;
13. Козочкин И. Д., Уголовное право США // Уголовное законодательство зарубежных стран, Сборник законодательных материалов, Москва, „Зерцало“, 1999, стр 52-86.

ახალი ზელანდია

ახალი ზელანდია წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, უკავია კუკის სრუტით გაყოფილი ორი კუნძული, რომელთა ტერიტორია 268.7 ათას კმ²-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 3.8 მილიონს აღემატება. ქვეყნის დედაქალაქია უელინგტონი, სახელმწიფო ენა – ინგლისური, ფულის ერთეული ახალზელანდიური დოლარი.

ახალი ზელანდიის თანამედროვე სამართლებრივმა სისტემამ ფორმირება 1840 წლიდან დაიწყო, როდესაც ქვეყანა ინგლისის კოლონია გახდა. 1947 წელს ახალმა ზელანდიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ აქ კვლავაც მოქმედებს 1840-1947 წლების შუალედში მიღებული, ახალი ზელანდიისადმი განკუთვნილი ბრიტანული კანონები. 1986 წელს მიღებული და 1987 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ახალი ზელანდიის საკონსტიტუციო აქტის მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ წყაროს კვლავაც საერთო სამართლის სისტემა წარმოადგენს და ახალი ზელანდია საერთო სამართლის ოჯახს განეკუთვნება. მმართველობის ფორმის მიხედვით ახალი ზელანდია პარლამენტურ მონარქიას წარმოადგენს, ხოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით უნიტარული სახელმწიფოა.

კონსტიტუციური სამართალი

სახელისუფლო ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის დედოფალი, რომელიც თავის ხელისუფლებას ახორციელებს მის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორის მეშვეობით; საკანონმდებლო ხელისუფლებას უზრუნველყოფს ერთპალატიანი პარლამენტი – წარმომადგენელთა პალატა; აღმასრულებელ ხელისუფლებას – მინისტრთა კაბინეტი, პრემიერ-მინისტრით სათავეში და გენერალ-გუბერნატორთან ერთად; სასამართლო ხელისუფლებას – ერთიანი სასამართლო სისტემა, რომლის უმაღლეს ინსტანციას სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს.

გენერალ-გუბერნატორი ინიშნება 5 წლით დიდი ბრიტანეთის დედოფლის მიერ და აღჭურვილია უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლებით. თავდაპირველად, იგი უშუალოდ იღებდა ყველა გადაწყვეტილებას და პასუხისმგებელი იყო მხოლოდ დედოფლისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინაშე. მაგრამ 1926 წლის საიმპერიო კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, გენერალ-გუბერნატ-

ორს ჩამოართვეს დამოუკიდებელი მოქმედებების უფლება, კერძოდ, იგი ყველა ფუნქციას მხოლოდ ახალი ზელანდიის მინისტრთა კაბინეტის რჩევის გათვალისწინებით ახორციელებს. და მაინც, გენერალ-გუბერნატორი მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს ფლობს და ამ შეზღუდვასაც აქვს არა აბსოლუტური, არამედ წმინდა ფორმალური ხასიათი, ვინაიდან იმავე მინისტრთა კაბინეტში გენერალ-გუბერნატორიც არის გაერთიანებული და თანაც წამყვანი როლი აკისრია. ამას გარდა, იგი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, რომელიც უნდა იყოს არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი, ასევე ნიშნავს უმაღლესი თანამდებობის პირებს, მას აქვს შეწყალების უფლება, არის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, ნიშნავს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

გენერალ-გუბერნატორი მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს ფლობს საკანონმდებლო სფეროშიც. იგი მოიწვევს საპარლამენტო სესიებს, უფლებამოსილია შეწყვიტოს ან პირიქით, გააგრძელოს საპარლამენტო სხდომები. პარლამენტის მიერ გამოცემული აქტები არ შედის ძალაში, ვიდრე მათ არ მოიწონებს გენერალ-გუბერნატორი და ხელს არ მოაწერს, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მოვალეობათა კატეგორიას განეკუთვნება, ვინაიდან მას არა აქვს უფლება არ მოიწონოს ისინი. თავის მხრივ, გენერალ-გუბერნატორს უფლება აქვს, გამოსცეს სხვადასხვა აქტი, რომლებიც საჭიროებს კომპეტენტური მინისტრის კონტრასიგნებას. ფორმალურად გენერალ-გუბერნატორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის – აღმასრულებელი საბჭოს დახმარებით. თუმცა, პრაქტიკულად, გენერალ-გუბერნატორის ყველა ფუნქციას აღმასრულებელი საბჭო განახორციელებს და წარმართავს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

პარლამენტი. ახალი ზელანდიის პარლამენტის – წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობაში გაერთიანებულია 97 დეპუტატი, რომლებიც აირჩევიან სამი წლის ვადით, საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით.

პარლამენტი იკრიბება სესიებზე, რომელიც გრძელდება თითქმის მთელი წლის მანძილზე, საზაფხულო არდადეგებით. პარლამენტის სხდომები ტარდება სპიკერის თავმჯდომარეობით. იგი თვალყურს ადევნებს დებატების მიმდინარეობას, აწესებს გამოსვლების რეგლამენტს, ხელს აწერს პარლამენტის მიერ გამოცემულ დოკუმენტებს. ადრე პარლამენტი არ იყო უფლებამოსილი მიეღო აქტები, რომლებიც ბრიტანეთის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. 1947 წელს ვესტმინისტე-

რის სტატუტის მიღებით ეს შეზღუდვები მოხსნილ იქნა და ამჟამად წარმომადგენელთა პალატამ შეიძლება მიიღოს კანონი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

გარდა პლენარული სხდომებისა, ახალი ზელანდიის პარლამენტის საქმიანობის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს საკომიტეტო მუშაობა. პარლამენტში ფუნქციონირებენ კომიტეტები ვაჭრობის, განათლებისა და მეცნიერების, შრომითი და სხვა სახის დაზღვევის, საფინანსო და გასაყვლების, საგარეო საქმეთა და თავდაცვის, ასევე, ადმინისტრაციის საკითხებზე.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით სარგებლობენ დეპუტატები, თუმცა, ფაქტობრივად, კანონპროექტების აბსოლუტური უმრავლესობა შემოაქვს მთავრობას. კანონპროექტები გაივლის სამ მოსმენას. პირველი მოსმენა ეს არის კანონპროექტის შეტანა პალატაში და მისი გავრცელება დეპუტატებში. მეორე მოსმენის დროს დეპუტატები განიხილავენ კანონპროექტის ძირითად დებულებებს, რის შემდეგაც იგი გადაეცემა შესაბამის კომიტეტს დეტალური განხილვისთვის. მთელი ამ პროცესის დასრულების შემდეგ, კომპეტენტური კომიტეტი კანონპროექტის თაობაზე მოხსენებით წარდგება პალატის წინაშე. დეპუტატები მუხლობრივად განიხილავენ მას, წარმოადგენენ კანონპროექტის მუხლების მიმართ თავიანთ დამატებებსა და შესწორებებს. მესამე მოსმენა გულისხმობს კანონპროექტზე კენჭისყრის ჩატარებას. თუ კანონპროექტს მიიღებენ, მას წარუდგენენ გენერალ-გუბერნატორს, რომელიც უყოყმანოდ ახდენს მის პრომულგირებას. საკანონმდებლო უფლებამოსილებების გარდა, პარლამენტი ფლობს ექსკლუზიურ უფლებას დამტკიცოს ბიუჯეტი და შემოიღოს გადასახადები. იგი, ასევე, უფლებამოსილია კონტროლი განახორციელოს მთავრობის საქმიანობაზე. ფორმალურად, მთავრობა მანამდე იმყოფება ხელისუფლებაში, ვიდრე წარმომადგენელთა პალატის ნდობით სარგებლობს. თუ პალატა გამოიტანს უნდობლობის რეზოლუციას, მთავრობა იძულებულია გადადგეს.

მთავრობა. ახალი ზელანდიის მთავრობის ცენტრალური ორგანო — მინისტრთა კაბინეტი წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს, ხოლო გადაწყვეტილებები მის მიერ მიიღება ერთხმად. მასში გენერალ-გუბერნატორთან ერთად გაერთიანებული არიან პრემიერ-მინისტრი და მინისტრების გარკვეული ნაწილი. არიან მინისტრები, რომლებიც არ შედიან კაბინეტში, მაგრამ შეუძლიათ დაესწრონ მის სხდომებს, ცალკეულ საკითხთა განხილვას, პრემიერ-მინისტრის წინასწარი ნებართვის შემთხვევაში.

კაბინეტი იკრიბება ყოველ ორშაბათს, დანარჩენ დღეებში მუშაობა მიდის კაბინეტის კომიტეტებში. ორივე შემთხვევაში, სხდომები

კონფიდენციალურია და არაოფიციალურ ვითარებაში ტარდება. კაბინეტის სხდომაზე გამოტანილი საკითხები, როგორც წესი, წინასწარ არის განხილული კომიტეტებში. სხდომებზე არ ხდება ოქმისა თუ სხვა რაიმე ოფიციალური ჩანაწერის შედგენა, მაგრამ კაბინეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, კაბინეტის მდივანი ყოველთვის აკეთებს ფორმალურ საოქმო ჩანაწერებს. კაბინეტის სხდომებს უძღვება პრემიერ-მინისტრი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — ყველაზე მსცოვანი მინისტრი.

პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნული მინისტრები ხელმძღვანელობენ შესაბამისი სამინისტროების მუშაობას და აკონტროლებენ სამთავრობო დეპარტამენტების საქმიანობას, როგორცაა, მაგალითად, შინაშემოსავლების დეპარტამენტი, საკანონმდებლო დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევათა დეპარტამენტი. აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებასთან ერთად კაბინეტი, პარლამენტის მიერ დელეგირებული საკანონმდებლო უფლებამოსილების ფარგლებში, ეწევა ნორმაშემოქმედებით საქმიანობას. მართალია, აღნიშნული უფლებამოსილება იმით არის შემოსაზღვრული, რომ კაბინეტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები შემდგომში, პარლამენტის მიერ უნდა დამტკიცდეს, თუმცა ეს პროცედურა ფორმალურ ხასიათს ატარებს და ამდენად, კანონქვემდებარე ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა, ცალსახად, მთავრობის პრეროგატივაა. კაბინეტი განკარგავს სახელმწიფოს ფინანსებს და შეადგენს ბიუჯეტს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტს. იგი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებზე და გამოვიდეს ახალი კანონმდებლობის მიღების ინიციატივით. მინისტრთა კაბინეტი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

ახალ ზელანდიაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პროცესში საკვანძო როლი განეკუთვნება მთავრობის წევრების საქმიანობას აღმასრულებელი საბჭოს ფარგლებში. უპირველესად, სწორედ ეს ორგანოა მონოდებული უზრუნველყოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაცია. აღმასრულებელ საბჭოში ყველა მინისტრია გაერთიანებული, მიუხედავად იმისა, ირიცხება თუ არა იგი მინისტრთა კაბინეტის წევრად. ახალი კაბინეტის ფორმირებისას, მინისტრები, უპირველესად სწორედ აღმასრულებელ საბჭოში მრჩეველბად ინიშნებიან და მხოლოდ ამის შემდეგ იღებენ მინისტრის პორტფელს.

აღმასრულებელი საბჭო დროდადრო იკრიბება, რათა ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ფორმალური აქტების შესრულებას, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს მთავრობის იმ გადაწყვეტილებების რეალიზაციის მიზნით აუცილებელი ბრძანების გამოცემაში, რომელთა განხორციელება არ საჭიროებს პარლამენტის აქტებს. სწორედ მსგავს სხდომებზე ხდება საბჭოს მიერ გენერალ-გუბერნატორისთვის რჩევების მიცემა ბრძანებების ხელმოწერასთან დაკავშირებით, მაგალითად, ცალკეული დანიშვნებისა თუ კანონქვემდებარე აქტების დადგენის თაობაზე, კვირის განმავლობაში წარმოქმნილ აქტუალურ საკითხებზე პოზიციების შეჯერება.

ახალი ზელანდია უნიტარული სახელმწიფოა. ადმინისტრაციული თვალსაზრისით, იგი დაყოფილია 74 ტერიტორიულ ერთეულად. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები — რეგიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოები, ფაქტობრივად, მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს ექვემდებარებიან.

რეგიონული საბჭოები პასუხისმგებელი არიან ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, გარემოს დაცვით საქმიანობასა და რეგიონულ დონეზე განსახორციელებელ სხვა ღონისძიებათა ჩატარებაზე. საქალაქო და საოლქო საბჭოები უზრუნველყოფენ შესაბამისი ტერიტორიის კომუნალური საკითხების მოგვარებას: წყალმომარაგებას, პარკების, ნაკრძალების, გზებისა და ქუჩების მოვლას, აგრეთვე, კურირებენ საჯარო ბიბლიოთეკებს, გასცემენ ნებართვებს მშენებლობასა და გარემოს დაცვით საქმიანობაზე. ადგილებზე მოქმედებენ ასევე თემთა საბჭოები, რომლებიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფენ მოცემული თემის, რაც შეიძლება ფართო წარმომადგენლობას სახელისუფლო ორგანოებში, ხოლო, მეორე მხრივ, მეთვალყურეობენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას და მუდმივი კავშირი აქვთ შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. სხვადასხვა დონის მმართველობითი სტრუქტურების ურთიერთმიმართებაში ადგილი აქვს რეგიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოების მიერ, ზოგიერთი თემის საბჭოზე უფლებების დელეგირებას.

საარჩევნო სამართალი

ახალი ზელანდიის საარჩევნო სამართლის ძირითად წყაროს 1993 წლის საარჩევნო კანონი წარმოადგენს, რომელიც საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებისთვის დამახასიათებელი თავისებურების შესაბამისად, დეტალურად განსაზღვრავს არჩევნებთან დაკავ-

შირებულ საკითხებს. კერძოდ, აქ ვხვდებით დებულებებს საარჩევნო კომისიის, ამ სისტემაში დასაქმებული მოხელეების, წარმომადგენელთა პალატის არჩევნების, მაორების წარმომადგენლობის, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების, ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესის, საარჩევნო სიების, არჩევნების პროცედურის, საარჩევნო სამართალდარღვევების, არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული საჩივრების შეტანისა და განხილვის წესის შესახებ.

ახალ ზელანდიაში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო პრინციპების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობს 18 წელს მიღწეული ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე და მის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირი, რომლებიც სათანადო წესით შეტანილნი არიან საარჩევნო სიებში.

გენერალური საპარლამენტო არჩევნები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ, მოქმედებს შერეული საარჩევნო სისტემა, ანუ თითოეულ ამომრჩეველს აქვს ორი ხმის უფლება: პროპორციული საარჩევნო სისტემის ფარგლებში ხმას აძლევს პოლიტიკური პარტიის საარჩევნო სიებს, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ფარგლებში – პარლამენტის წევრობის კანდიდატს, რომელმაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უნდა წარმოადგინოს მოცემული საარჩევნო ოლქი. ქვეყნის ტერიტორია საარჩევნო ოლქებად არის დაყოფილი და თითოეული ელექტორატიდან პარლამენტში არჩეულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც ხმათა უბრალო უმრავლესობას მოიპოვებს.

ამა თუ იმ ელექტორატისადმი პირის კუთვნილებას მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრავს. არსებობს როგორც გენერალური, ასევე მაორის ელექტორატები. აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ახალზელანდიელ მაორებს ან მათ შთამომავლებს უფლება აქვთ, თავად აირჩიონ აღნიშნული სახის ელექტორატებიდან, თუ რომელში გამოიყენებენ თავიანთ საარჩევნო უფლებას. გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ ელექტორატში მოქმედებს საარჩევნო სია, რომელშიც 18 წელს მიღწეული ახალი ზელანდიის ყველა მოქალაქის აღნუსხვა სავალდებულო ხასიათს ატარებს.

ახალ ზელანდიაში საარჩევნო პროცესის დაუბრკოლებელ მიმდინარეობას და საარჩევნო სისტემის სრულყოფას უზრუნველყოფს ქვეყნის საარჩევნო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის ახალი ზელანდიის მთავარი მოსამართლის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატიდან გენერალ-გუბერნატორის მიერ კომისიის თავმჯდომარედ

დანიშნული მოსამართლე, სასამართლოს მდივანი, მაორების მინის სასამართლოს მთავარი მოსამართლე და გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნული კიდევ ერთი პირი.

საარჩევნო კომისიის ფუნქციებს განეკუთვნება პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია, საარჩევნო საკითხების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების მიზნით საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაცია, მინისტრისა თუ წარმომადგენელთა პალატის შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით მოხსენებების წარდგენა. კომისია უფლებამოსილია, მოახდინოს ინიცირება, გაუწიოს სპონსორობა და განახორციელოს ისეთი კვლევითი სამუშაოები, რომლებსაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, ან ამავე მიზნით ჩაატაროს სხვადასხვა სახის კონსულტაციები განსაზღვრულ პირებთან თუ პირთა ჯგუფებთან, ასევე, გამოაქვეყნოს ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ, მიმართოს რჩევისთვის, დახმარებისა და ინფორმაციისთვის ნებისმიერ სამთავრობო დეპარტამენტს თუ სახელმწიფო დაწესებულებას.

ახალ ზელანდიაში მოქმედებს ერთი ინსტიტუტი, რომელიც სამართლიანი საარჩევნო სისტემის განმტკიცებასა და საარჩევნო პროცედურის განუხრელ დაცვას უზრუნველყოფს. ეს არის ე.წ. წარმომადგენლობითი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის მთავარი მიმომხილველი, სახელმწიფო სტატისტიკის მდივანი, მთავარი საარჩევნო მოხელე, ადგილობრივი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნული წარმომადგენელთა პალატის ორი კანდიდატი – თითო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენელი, უშუალოდ კომისიის წარდგენით გენერალ-გუბერნატორის მიერ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნული პირი.

სამოქალაქო სამართალი

მიუხედავად იმისა, რომ ახალ ზელანდიაში კოდექსები არ იქნა მიღებული, კერძო სამართლის სხვადასხვა დარგი მაღალ დონეზეა სისტემატიზებული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოქმედებს სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის მარეგულირებელი კონსოლიდირებული აქტები. კერძოდ, 1870 წლიდან ახალ ზელანდიაში მოქმედებს მინის ნაკვეთის მესაკუთრეთა უფლებების გაფორმებისა და მინის იჯარით გაცემის გამარტივებული და საკმაოდ ეფექტური სისტემა. ამჟამად, ამ სფეროში შემავალ საკითხთა უმრავლესობა რეგულირდება 1952 წლის კანონით „საკუთრების უფლების შესახებ“, რომელმაც 1970 წელს გარ-

კვეული ცვლილებები განიცადა, აგრეთვე, 1952 წლის კანონით „საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ.“

სამოქალაქო სამართლის ზოგიერთი საკითხი, როგორცაა, მაგალითად, ზიანის მიყენებისგან წარმოქმნილი ვალდებულებები, დღემდე არ ქცეულა ერთიანი კონსოლიდირებული აქტის რეგულირების საგნად და მათზე ვრცელდება სხვადასხვა შინაარსის კანონები, მაგალითად, კანონები „ტრანსპორტის შესახებ“, „საავადმყოფოების შესახებ“, „გაუფრთხილებლობითი მკვლელობისას კომპენსაციის შესახებ.“ ინგლისური სამართლის მნიშვნელოვანი გავლენა შეიმჩნევა, ასევე, ახალი ზელანდიის კანონმდებლობაზე კომპანიების საქმიანობის შესახებ. ვაჭრობისა და ტრანსპორტის შესახებ, 1986 წელს მიღებულ იქნა კანონი „ვაჭრობის შესახებ“, რომელიც შედგენილია მოქმედი ავსტრალიური კანონმდებლობის გათვალისწინებით და კრძალავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს თავისუფალ კონკურენციას, ხელოვნურად მაღალი ფასების შენარჩუნებით. 1989 წელს მიღებულ იქნა კანონი „კორპორაციების შესახებ“, რომელიც კერძო კომპანიების საქმიანობისა და მმართველობის პრინციპებს განსაზღვრავს.

მრავალი თავისებურება ახასიათებს ახალი ზელანდიის საოჯახო სამართალს. 1867 წლიდან ნებადართულია განქორწინების გაფორმება სასამართლო წესით, ამასთან, განქორწინების საფუძველთა რაოდენობა თანდათანობით ფართოვდება. მაგალითად, 1960-იან წლებში, ასეთ საფუძველად შემოღებულ იქნა მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება ოთხი წლის მანძილზე. ახალზელანდიური კანონებით დაშვებულია მამობის დადგენა სასამართლო წესით და 1969 წლის კანონით „ბავშვთა სტატუსის შესახებ“, ქორწინების გარეშე შობილი ბავშვები გათანაბრებულნი არიან კანონიერ ქორწინებაში შობილ ბავშვებთან. 1900 წელს უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, მემკვიდრის ნების საწინააღმდეგოდ, უზრუნველყოს მისი ოჯახის წევრების მიერ სამკვიდროს მიღება იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მათი შენახვისთვის.

შრომითი ურთიერთობები ახალ ზელანდიაში რეგულირდება კანონმდებლობითა და კოლექტიური ხელშეკრულებებით, რომლებიც იდება მუშაკებსა და მენარმეებს შორის. ხანგრძლივი დროის მანძილზე, განსაკუთრებით, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და გაფიცვებთან დაკავშირებით, არსებობდა იძულებითი სახელმწიფო არბიტრაჟის სისტემა მუშაკებსა და მენარმეებს შორის დავების განსახილველად. 1987 წლის კანონმა შრომითი ურთიერთობების შესახებ

შემოიღო, ხელისუფლების ჩარევის გარეშე, კოლექტიური ხელშეკრულებების თავისუფალი დადების სისტემა და წესი. იგი ითვალისწინებს პროფკავშირებისა და მენარმეთა გაერთიანებების სავალდებულო რეგისტრაციას, რომლებიც უფლებამოსილი არიან, გააფორმონ კოლექტიური ხელშეკრულებები. ამავე კანონით განსაზღვრულია გაფიცვის ჩატარების წესები.

ახალ ზელანდიაში ჯერ კიდევ 1890-იან წლებიდან მოქმედებს კანონმდებლობა სოციალურ საკითხებზე. შემოსავლების ყველა სახეობის დაბეგვრით გათვალისწინებულია პენსიების გაცემა მოხუცებულობის, ინვალიდობის, უმუშევრობის საფუძველზე, ასევე, ღარიბი ოჯახებისთვის.

სისხლის სამართალი

სისხლის სამართალი არის ახალზელანდიური სამართლის ყველაზე სრულყოფილად კოდიფიცირებული დარგი. ახალ ზელანდიაში, ბრიტანეთის კოლონიად არსებობის პირველ ათწლეულებში, მოქმედებდა იმ დროისთვის მოუწესრიგებელი და სუსტად სისტემატიზებული ინგლისის სისხლის სამართლის ნორმები. 1893 წელს ახალი ზელანდიის პარლამენტმა მიიღო კანონი სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის შესახებ, რომლის საფუძველს წარმოადგენდა ცნობილი ინგლისელი იურისტის, ჯეიმს სტივენის მიერ შედგენილი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, და რომელიც ჯერ კიდევ 1878 წელს, თავად დიდ ბრიტანეთში არ იქნა მიღებული.

ახალი ზელანდიის პარლამენტმა 1961 წელს მიიღო კანონი „დანაშაულთა შესახებ“, რომელმაც შეცვალა 1893 წლის აქტი და, ფაქტობრივად, კოდექსს წარმოადგენს. იგი არეგულირებს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტებს, სისხლის სამართლის პროცესის ზოგიერთ საკითხს, განსაზღვრავს ყველა მძიმე დანაშაულის ნიშნებს, რომელთა დევნა ხორციელდება საბრალდებო აქტით და ადგენს სასჯელებს მათი ჩადენისთვის. აღნიშნული კანონისთვის დამახასიათებელია საკმაოდ მკაფიო და ვრცელი ფორმულირებები, მაგალითად, „დატაცების“ ცნებაში გაერთიანებულია ქურდობისა და თაღლითობის ყველა სახეობა. ეს აქტი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემას მხოლოდ კანონის და არა საერთო სამართლის დარღვევის შემთხვევაში, თუმცა ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანონის გამოყენებისა და განმარტებისას, შემსუბუქებულია სანქციები 1893 წლის საკოდიფიკაციო აქტით გათვალის-

წინებული მრავალი დანაშაულისთვის. ამასთან, 1961 წლის კანონი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 10 წლის ასაკიდან და სქესობრივი დანაშაულის განმეორებით ჩადენისთვის ნასამართლევ პირის პრევენციულ პატიმრობას.

პასუხისმგებლობა იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულებისთვის, რომლებსაც არ ითვალისწინებს 1961 წლის კანონი, დადგენილია 1927 წლის კანონით „საპოლიციო დარღვევების შესახებ“, რომელმაც 1965 და შემდგომ წლებში გარკვეული ცვლილება-დამატებები განიცადა, თუმცა 1961 წლის აქტის ზოგადი ნაწილის დებულებები მასზეც ვრცელდება. მოქმედი სისხლის სამართალი ფართოდ გამოიყენებს სასჯელის სახით ჯარიმასა და პირობით მსჯავრდებას, ასევე, 21 წლამდე მსჯავრდადებულების მოთავსებას სპეციალურ გამასწორებელ დაწესებულებებში. ახალ ზელანდიაში სიკვდილით დასჯა ზოგადი სისხლის-სამართლებრივი დანაშაულებისთვის გაუქმდა 1961 წლიდან, ხოლო უკლებლივ ყველა დანაშაულისთვის 1989 წლიდან.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების დატვირთვას კანონთა გარკვეული პაკეტი ასრულებს და პროცესის საკითხები რეგულირდება 1908 წლის კანონით „სასამართლო წყობილების შესახებ“, 1908 წლის წესებით „უმაღლეს სასამართლოში სამოქალაქო პროცედურის შესახებ“, სააპელაციო სასამართლოს 1955 წლის წესებით, 1947 წლის კანონით „მაგისტრატების სასამართლოების შესახებ“, და სხვა აქტებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები

ახალ ზელანდიაში მოქმედებს ორი მძლავრი მექანიზმი, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის საკმაოდ მაღალ დონეს უზრუნველყოფს. პირველ მათგანს ომბუდსმენის ინსტიტუტი წარმოადგენს. ახალ ზელანდიაში იგი პირველად 1962 წელს იქნა შემოღებული „საპარლამენტო რწმუნებულის (ომბუდსმენის) შესახებ“ აქტით. ეს იყო იმ დროისთვის მსოფლიოში რიგით მეოთხე ომბუდსმენი. თავდაპირველად, მისი იურისდიქცია შემოიფარგლებოდა ცენტრალური სამთავრობო დეპარტამენტებისა და ორგანიზაციების უკანონო მოქმედებებსა თუ უმოქმედობაზე მოქალაქეების მიერ შეტანილი საჩივრების განხილვით. 1968 წელს იურისდიქცია გაფართოვდა და საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დანესებულებების ადმინისტრაციაზე ზედამხედველობაც მოიცვა. 1975 წელს აღნიშნულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა კიდევ ერთხელ იქნა კონსოლიდირებული და სრულყოფილი, რის შედეგადაც მიღებულ იქნა აქტი „ომბუდსმენის შეს-

ახებ." ეს აქტი 1976 წლის 1 აპრილს ამოქმედდა და ომბუდსმენის იურისდიქცია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზეც გავრცელდა. ერთის ნაცვლად შემოღებულ იქნა ომბუდსმენის ორი პოსტი, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარ ომბუდსმენს წარმოადგენდა. იგი გახდა პასუხისმგებელი ომბუდსმენის ოფისის საქმიანობის წარმართვასა და თავის კოლეგასთან შრომის განაწილების უზრუნველყოფაზე.

1983 წლის ივლისში ძალაში შევიდა 1982 წლის აქტი „ოფიციალური ინფორმაციის შესახებ“, რომლის მიხედვით ომბუდსმენებს მიეცათ უფლებამოსილება, აწარმოონ გამოძიება და გადასინჯონ გადაწყვეტილებები სახელმწიფო ორგანოების, დეპარტამენტების, ორგანიზაციების, სანარმოების, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დანესებულებების მიერ მოქალაქეებისთვის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. 1988 წელს კი ძალაში შევიდა „ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაციისა და შეხვედრების შესახებ“ 1987 წლის აქტი, რითაც ომბუდსმენებს შესაძლებლობა მიეცათ, დაიცვან მოქალაქეების უფლება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით.

ახალ ზელანდიაში ომბუდსმენი ითვლება პარლამენტის მოხელედ, რომელსაც წარმომადგენელთა პალატის რეკომენდაციით, 5 წლის ვადით ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. დაიშვება მათი რამდენიმე ვადით დანიშვნა.

ახალ ზელანდიაში ადამიანის უფლებათა დაცვის მეორე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს 1993 წლის აქტი „ადამიანის უფლებათა შესახებ“, რომელიც ადამიანის დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის წინააღმდეგ არის მიმართული. იგი 153 მუხლისა და 3 თავისაგან შედგება, რომელთაგან პირველი თავი ადამიანის უფლებათა კომისიის სტატუსსა და ფუნქციებს განსაზღვრავს, მეორე — დისკრიმინაციის აკრძალულ ფორმებს, ხოლო მესამე — დისკრიმინაციასთან დაკავშირებით მოქალაქეების საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის წესს.

კომისია იქმნება მთავარი კომისიონერის, რასობრივი ურთიერთობების მომრიგებლის უფლებამოსილებით არჩეული კომისიონერის, „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ“ 1993 წლის აქტის შესაბამისად არჩეული კომისიონერისა და ადამიანის უფლებათა კიდევ სამი კომისიონერის შემადგენლობით.

აღნიშნული კომისია პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და კოორდინაციაზე. მის ფუნქციებს, ასევე, შეადგენს ადამიანის უფლებების დაცვას-

თან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე საჯარო განცხადებების გამოქვეყნება, „ადამიანის უფლებათა შესახებ“ აქტის განუხრელი შესრულების უზრუნველსაყოფად სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და გამოქვეყნება. კომისია პერიოდულად თავის რეკომენდაციებს წარუდგენს პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს.

სასამართლო სისტემა

რამდენადაც ახალი ზელანდია ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრია, უზენაეს სასამართლო ინსტანციად მიიჩნევა ლონდონში მდებარე საიდუმლო საბჭოს იურიდიული კომიტეტი. უშუალოდ ახალი ზელანდიის უმაღლესი სასამართლო ინსტანციის — უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში კი შედის ამ სასამართლოს თავმჯდომარე, სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტი და სამი მოსამართლე, რომლებიც პრეზიდენტის მსგავსად ირიცხებიან ქვეყნის უმაღლეს სასამართლოში. კონკრეტულ საქმეთა განსახილველად, მისი თავმჯდომარის მითითებით, სააპელაციო სასამართლო შეიძლება შეივსოს უმაღლესი სასამართლოს ერთი-ორი მოსამართლით. სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციამში შედის: სააპელაციო საჩივრების განხილვა უმაღლესი სასამართლოს მიერ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე, პირველი ინსტანციით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე; ზოგიერთ შემთხვევაში, უმაღლესი სასამართლოს მიერ გადაგზავნილი საჩივრების განხილვა ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ განსაკუთრებით რთულ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე; საჩივრების განხილვა, ასევე, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში — სისხლის სამართლის საქმეებზეც შეიძლება გასაჩივრდეს ლონდონში საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტში, რამდენადაც უცნაურად უნდა ჩანდეს, თავად სააპელაციო სასამართლოს ან სასამართლო კომიტეტის ნებართვით.

უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარისა და 25 მოსამართლისგან. მოსამართლეები, პირველი ინსტანციის წესით, ერთპიროვნულად ან ორ-სამწევრიანი კოლეგიის შემადგენლობით, ზოგჯერ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, განიხილავენ სერიოზულ და რთულ სამოქალაქო საქმეებს, ხოლო ნაფიცი მსაჯულების სავალდებულო მონაწილეობით, განიხილავენ სისხლის სამართლის დანაშაულთა საქმეებს, რომლებიც იდევნება საბრალდებო აქტით. სამ-

ოქალაქო საქმეთა განხილვაში, სარჩელის თანხის გათვალისწინებით, მონაწილეობს 4-დან 12-მდე ნაფიცი მსაჯული, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში – 12 ნაფიცი მსაჯული.

უმაღლესი სასამართლოს კომპეტენციაში შედის, ასევე, საჩივრების განხილვა მაგისტრატების სასამართლოების მიერ სისხლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვისას გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებზე. უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში მოქმედებს ადმინისტრაციული განყოფილება, რომლის კომპეტენციაში შედის საჩივრების განხილვა ადმინისტრაციული იუსტიციის ზოგიერთი ორგანოს დადგენილებებზე, ასევე, მინის ნაკვეთების შეფასებასთან დაკავშირებული დავების არსებითი განხილვა.

რამდენადაც ახალ ზელანდიაში მოქმედებს საერთო სამართლის სისტემა, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს სავალდებულო პრეცედენტის ძალა აქვს უშუალოდ მისთვის და ყველა ქვემდგომი სასამართლოსთვის.

ახალი ზელანდიის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობა იმითაც არის საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და კონტროლის ამერიკული მოდელის შესაბამისად, სწორედ იგი უზრუნველყოფს იურისდიქციის ერთიანობას, მაშინ როდესაც კონსტიტუციური საკითხების განხილვა ახალი ზელანდიის ყველა სასამართლოს მიერ დეცენტრალიზებული წესით და კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მიმდინარეობს.

მაგისტრატების სასამართლოები, რომლებიც ახალი ზელანდიის საერთო სასამართლო სისტემის ქვედა რგოლს შეადგენენ, განიხილვენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა ძირითად მასას. ამ სასამართლოებში, როგორც წესი, საქმიანობენ პროფესიონალი (ანაზღაურებადი) მაგისტრატები. სამოქალაქო საქმეებზე მათი კომპეტენცია შემოიფარგლება სარჩელის თანხით, თუმცა მხარეთა წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, მაგისტრატების სასამართლომ შეიძლება განსახილველად მიიღოს ნებისმიერი საქმე სახელშეკრულებო ან ზიანის მიყენებიდან წარმოქმნილი ვალდებულებიდან.

მაგისტრატების სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, განიხილონ სისხლის სამართლის საქმეები ნებისმიერი სახის დანაშაულებზე, გარდა ზოგიერთი უმძიმესი დანაშაულისა, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ღალატი, მკვლელობა და სხვ. მაგისტრატების სასამართლომ შეიძლება განიხილოს იმ დანაშაულთა საქმეები, რომელთა დევნა ხორციელდება საბრალდებო აქტით, ამასთან, იგი არ

არის უფლებამოსილი დანიშნოს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით სამ წელზე მეტი ვადით. მაგისტრატების სასამართლოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი მოსმენა იმის გადასაწყვეტად, არსებობს თუ არა ბრალდების საკმარისი მტკიცებულებები, რათა საქმე გადაეცეს უმაღლეს სასამართლოს.

მაგისტრატების სასამართლოს ფუნქცია, ანაზღაურებად მაგისტრატებთან ერთად, შეიძლება იტვირთონ მომრიგებელმა მოსამართლეებმაც, რომლებიც უფასოდ განახორციელებენ ამ ფუნქციებს. მათი კომპეტენცია შემოიფარგლება წვრილმან დანაშაულთა განხილვით, პატიმრობისა და ჩხრეკის ორდერების გაცემით, სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი მოსმენით, ფიცისა და განცხადებების მიღებით.

ყველა პროფესიონალ მოსამართლეს, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი. კანდიდატები შეირჩევიან ადვოკატთა რიგებიდან, რომლებსაც აქვთ არანაკლებ შვიდი წლის პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. ისინი თანამდებობას უმაღლესი ინსტანციების მოსამართლეების დონეზე 72 წლის ან მაგისტრატების დონეზე 68 წლის ასაკის მიღწევამდე იკავებენ და, როგორც წესი, არ ხდება მათი გადაყვანა ზემდგომ თუ სხვა სასამართლოებში. მომრიგებელ მოსამართლეებსაც, ხშირად პარლამენტის დეპუტატთაგან ასევე, გენერალ-გუბერნატორი ნიშნავს.

საერთო სასამართლო სისტემის პარალელურად, ქვეყანაში მოქმედებს მრავალი სხვა სახის სასამართლო დაწესებულება, განსხვავებული კომპეტენციით. მაორთა მინის სასამართლო განიხილავს იმ საქმეებს, რომლებიც ქვეყნის ძირძველი მოსახლეობის ინტერესებს უკავშირდება: უპირველეს ყოვლისა, ეს შეიძლება იყოს მინის საკუთრებასთან დაკავშირებული დავები, მინის ნაკვეთების გაყოფის, მაორთა მემკვიდრეობის, ასევე, ზოგიერთი არაქონებრივი ხასიათის საკითხები. ამ სასამართლოს გადანყვეტილებებზე საჩივრებს განიხილავს სპეციალურად შექმნილი მაორთა სააპელაციო სასამართლო.

მენარმეთა და მუშაკთა შორის შრომით ურთიერთობებში წარმოქმნილ ყველა დავას განიხილავს შრომის საქმეთა სასამართლო, რომლის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს მხარეთა შორის მორიგების მიღწევა. ამ სასამართლოს პარალელურად, ფუნქციონირებს ერთი მოსამართლისგან შემდგარი საკომპენსაციო სასამართლო, რომელიც განიხილავს მუშაკთა მიერ დამქირავებელთა მიმართ წარდგენილ პრეტენზიებს, საწარმოო პროცესში მომხდარ უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებით. ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან ან არასათანადოდ შესრულებასთან დაკავშირებული დავები და ქონების განადგუ-

რებასთან, დაზიანებასთან ან დაკარგვასთან დაკავშირებული სარჩელები ექვემდებარება დავების შესახებ ტრიბუნალის განხილვას. არასრულწლოვანთა სასამართლოები, ანაზღაურებადი მაგისტრატების შემადგენლობით, განიხილავენ 17 წლამდე ასაკის პირების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებს, გარდა მკვლელობისა, ასევე საქმეებს იმ მშობელთა შესახებ, რომლებიც ბავშვებს უმეთვალყურეოდ ტოვებენ. განქორწინების, ბავშვებზე ალიმენტის გაცემის, მამობის დადგენის საქმეებს განიხილავენ საოჯახო დავების სასამართლოები, რომლებშიც ასევე, ანაზღაურებადი მაგისტრატები შედიან.

ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოებს წარმოადგენენ საავტორო სამართლის, რადიოგადამცემი სადგურების, ზნეობის ხელმყოფი პუბლიკაციების, ავტომობილების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალები. 1963 წლის კანონით კომპენსაციების შესახებ ზოგიერთი სახის დანაშაულით დაზარალებულ პირებს ან მათი ოჯახის წევრებს კომპენსაცია შეიძლება მიეცეთ სპეციალურად შექმნილი ტრიბუნალის გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც განსაზღვრავს კომპენსაციის ოდენობასაც.

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას ახორციელებენ პოლიციის სპეციალური სამსახურები. გაურკვეველ გარემოებებში, ასევე, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სიკვდილის ფაქტების გამოსაძიებლად მოიწვევა კორონერების სასამართლო. სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთა დევნა ხორციელდება საბრალდებო აქტით, ბრალმდებლად გამოდის გენერალური ატორნეი, გვირგვინის სოლისიტორი ან მათ მიერ დანიშნული გვირგვინის წარმომადგენლები, ადვოკატთა რიგებიდან. დანარჩენ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში ბრალდებას მხარს უჭერენ პოლიციის მუშაკები, ზოგიერთ შემთხვევაში კი, კერძო მოქალაქეები.

ლიტერატურა:

1. ახალი ზელანდიის კონსტიტუცია (ინგლისურ ენაზე), ინტერნეტის საიტი <http://rangi.knowledge-basket.co.nz>;
2. Алваро Хиль-Роблес, Парламентский контроль за администрацией (Институт Омбудсмана), Москва, 1997, стр. 79-87;
3. ახალი ზელანდიის სამოქალაქო და სისხლის სამართალზე ინტერნეტის საიტები:
<http://www.hrc.co.nz>
<http://www.uni-wuerzburg.de/law/nz02000.html>
<http://www.elections.org.nz>

ბელგია

ბელგიის სამეფო ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში მდებარე სახელმწიფოა, მისი ტერიტორია 30,5 ათას კმ²-ს შეადგენს, მოსახლეობა – 10 მილიონს სჭარბობს. ბელგიას აღმოსავლეთით ესაზღვრება გერმანია, სამხრეთ-დასავლეთით საფრანგეთი, მის მეზობლად მდებარეობენ ნიდერლანდები და ლუქსემბურგი, ხოლო ჩრდილოეთის ზღვა მას დიდი ბრიტანეთისგან ყოფს. ოფიციალური ენებია – ფრანგული, ნიდერლანდური და გერმანული, დედაქალაქი – ბრიუსელი, ფულის ერთეული – ბელგიური ფრანკი.

ბელგია რომანულ-გერმანული ანუ კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება. პირველმა ბელგიურმა, 1831წლის კონსტიტუციამ ქვეყანაში პარლამენტური მონარქია დააფუძნა. საკონსტიტუციო რეფორმებმა, კერძოდ, რიგით მეშვიდე 1993 წლის შესწორებამ, უნიტარული ბელგია ფედერალურ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა და ამით ერთგვარად დაარეგულირა ორ ძირძველ ეთნიკურ ჯგუფს – ვალონებსა და ფლამანდებს შორის გამწვავებული ეროვნული პრობლემები. ასე რომ, ბელგია მმართველობის ფორმით პარლამენტური მონარქიაა, ხოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით – ფედერალური სახელმწიფო.

კონსტიტუციური სამართალი

ბელგიაში სახელისუფლო ორგანოების ბალანსი შემდეგნაირად ყალიბდება: სახელმწიფოს მეთაური – ბელგიის მეფე აღმასრულებელ ხელისუფლებას ფედერალურ მთავრობასთან ერთად ახორციელებს; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორპალატიან პარლამენტს; მართლმსაჯულებას ახორციელებენ მრავალდონიანი საერთო სასამართლოები, საკასაციო სასამართლოთი სათავეში, ამასთან, ქვეყანაში მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლო.

მონარქი აღჭურვილია იმ უფლებამოსილებებით, რომლებიც მას ფორმალურად დაკისრებული აქვს კონსტიტუციითა და კანონებით. მეფის კონსტიტუციური უფლებამოსილებები არის მემკვიდრეობითი – საქსენ-კობურგების დინასტიის პირდაპირი, ბუნებრივი და კანონიერი შთამომავლობის ხაზით და პირველშობილობის თანამიმდევრობით. შთამომავლობის არარსებობის შემთხვევაში, მეფე, პარლამენტის პალატების თანხმობით, თვითონ ნიშნავს თავის მემკვიდრეს. თუ იგი ამ წესით არ დანიშნავს მემკვიდრეს, სამეფო ტახტი ცხადდება ვაკანტუ-

რად. მეფეს, ფედერალური პარლამენტის თანხმობის გარეშე, არ შეუძლია იმავდროულად იყოს სხვა სახელმწიფოს მეთაური.

მეფის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი კონსტიტუციური უფლებამოსილება ხორციელდება ბელგიელი ხალხის სახელით, პასუხისმგებელი მინისტრების მიერ, რომლებიც გაერთიანდებიან საბჭოში. მემკვიდრე თავისი სამეფო უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება პარლამენტის პალატების წინაშე ფიცის დადების შემდეგ. სამეფო უფლებამოსილებების შესრულებისთვის მემკვიდრე სრულწლოვნად ითვლება 21 წლის ასაკიდან. მეფის გარდაცვალების შემთხვევაში, როდესაც მისი პირდაპირი მემკვიდრე არასრულწლოვანი აღმოჩნდება, ან მინისტრების დასკვნის თანახმად, მემკვიდრეს არ ძალუძს განახორციელოს მინიჭებული უფლებამოსილებანი, პარლამენტის პალატები ერთიან ასამბლეაში გადანყვეტენ რეგენტობისა და მზრუნველობის საკითხს. რეგენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ ერთი პირი, რომელიც თავისი ფუნქციების შესრულებას შეუდგება ფიცის დადების შემდეგ.

მეფე, სახელმწიფოს მეთაურობასთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიცაა. იგი ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს. თუ წარმომადგენელთა პალატა უნდობლობის ვოტუმს გამოუცხადებს მთავრობას და მეფეს სამთვიან ვადაში არ შესთავაზებს პრემიერ-მინისტრის სანაცვლო კანდიდატურას, მეფე დაითხოვს წარმომადგენელთა პალატას. მეფე უფლებამოსილია, დაითხოვოს წარმომადგენელთა პალატა იმ შემთხვევაშიც, თუ ეს უკანასკნელი მიიღებს ფედერალური მთავრობის გადადგომას და მეფეს არ შესთავაზებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. წარმომადგენელთა პალატის დათხოვნა ავტომატურად იწვევს სენატის დათხოვნასაც.

მეფე ნიშნავს მოსამართლეებს, ამტკიცებს და აქვეყნებს კანონებს, უზრუნველყოფს მათ შესრულებას. იგი არ ერევა რეგიონებისა და გაერთიანებების საქმიანობაში. მეფის პიროვნება ხელშეუხებელია. მეფის არც ერთ აქტს არა აქვს ძალა, თუ იგი კონტრასიგნებული არ არის კომპეტენტური მინისტრის მიერ. მეფე ამტკიცებს და პრომულგირებას უკეთებს კანონებს, იღებს რეგლამენტებსა და დადგენილებებს, რომლებიც აუცილებელია კანონების შესასრულებლად. ამასთან, დადგენილია, რომ მონარქი არ არის უფლებამოსილი შეაჩეროს თავად კანონები ან გაათავისუფლოს ვინმე მისი შესრულებისგან. მეფე ანიჭებს სამხედრო წოდებებს, ნიშნავს საერთო მმართველობისა და საგარეო ურთიერთობის საკითხებზე თანამდებობის პირებს, კანონით დადგენილი გამონაკლისის გარდა.

მეფე უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეამსუბუქოს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელები, იმ გადაწყვეტილებათა გარდა, რომლებიც გამოტანილია მინისტრების, რეგიონებისა და გაერთიანებების მთავრობის წევრთა მიმართ, რომელთა შეწყობა შეუძლია მხოლოდ წარმომადგენელთა პალატის ან შესაბამისი რეგიონისა და გაერთიანების საბჭოს თხოვნის საფუძველზე.

პარლამენტი. ფედერალური სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი: ქვედა წარმომადგენელთა პალატა და ზედა – სენატი. წარმომადგენელთა პალატა შედგება 150 წევრისგან, სენატი – 71 წევრისგან. პარლამენტის წევრი არ შეიძლება ერთდროულად იყოს ფედერაციის სუბიექტის ლეგისლაციურის წევრიც.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას ფლობს პარლამენტის ორივე პალატა და მეფე. მეფის ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტებს ჯერ იხილავს წარმომადგენელთა პალატა და შემდეგ სენატი. საკანონმდებლო პროცესში პალატების უფლებები არათანაბარია, წარმომადგენელთა პალატა დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს მოქალაქეობის ნატურალიზაციის წესების, მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობის, სამხედრო კონტინგენტის, სახელმწიფოს ბიუჯეტისა და სხვა ანგარიშების შესახებ. კანონპროექტი შეიტანება ნებისმიერ პალატაში და შემდეგ მათ შორის „ქანქარას“ პრინციპით მოძრაობს. იმ კანონპროექტებზე, რომლებსაც ორივე პალატის განხილვა ესაჭიროება, წარმომადგენელთა პალატა ფლობს სენატის ვეტოს დაძლევის უფლებას. მას, ასევე, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაითვალისწინოს სენატის შესწორებები და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

პალატებს შორის კომპეტენციის თაობაზე წარმოშობილ დავებს არეგულირებს საპარლამენტო შემთანხმებელი კომისია, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე შედგება წარმომადგენელთა პალატისა და სენატის წევრთაგან.

თუ ერთ-ერთი ლინგვისტური ჯგუფის წევრთა სამი მეოთხედი მოტივირებულ რეზოლუციას წარადგენს პარლამენტში იმის მტკიცებით, რომ განსახილველი კანონპროექტი, გარდა ბიუჯეტის კანონისა და კვალიფიციური უმრავლესობით მისაღები სხვა კანონებისა, სერიოზულ ზიანს აყენებს გაერთიანებათა ურთიერთობებს, საპარლამენტო პროცედურა შეჩერდება და რეზოლუცია გადაეცემა მინისტრთა საბჭოს, რომელმაც 30 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს თავისი დასკვნა, ან კანონპროექტის შესწორებები. ეს პროცედურა შეიძლება გამოყენებულ

იქნეს არა უმეტეს ერთისა, თითოეული ლინგვისტური ჯგუფის მიერ ერთი და იმავე კანონპროექტის მიმართ.

თუ მეფე პარლამენტის წევრს მინისტრად დანიშნავს, იგი შეწყვეტს პალატაში მოღვაწეობას და თავის მანდატს, თავის სადეპუტატო უფლებამოსილებას მეფის მიერ მისთვის მინისტრის ფუნქციების შეწყვეტის შემდეგ განაახლებს, რა თქმა უნდა, თუ ეს ერთი არჩევნების 4 წლიან ფარგლებში მოხდება. მინისტრის პოსტის გარდა, ფედერალური მთავრობის მიერ პალატის რომელიმე წევრის რაიმე ანაზღაურებად თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში, იგი შეწყვეტს პალატის მუშაობაში მონაწილეობას და დეპუტატის მანდატი მხოლოდ ახლად არჩევის შემთხვევაში შეუძლია მოიპოვოს.

ყოველი სესიისთვის პალატები ნიშნავენ თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და ქმნიან ბიუროს. გადანყვეტილებები მიიღება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, რეგლამენტით გათვალისწინებული ცალკეული გამონაკლისების გარდა, რომლებიც შეეხება არჩევნებსა და კანდიდატების წარდგენას. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, საკითხი უარყოფილად ჩაითვლება. კანონთა კენჭისყრა, ძირითადად, სახელობითია. კანდიდატთა წამოყენება და არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. გადანყვეტილებათა მიღება შესაძლებელია, თუ შეკრებილია პალატის წევრთა უმრავლესობა. სენატის ნებისმიერი შეკრება, რომელიც არ ტარდება წარმომადგენელთა პალატის სესიის პარალელურად, მოკლებულია კანონიერ ძალას.

ორივე პალატას შეუძლია აწარმოოს გამოძიება. მათ შეუძლიათ მინისტრებს გაუგზავნონ პეტიციები, რომლებზეც მინისტრები ვალდებული არიან, მისცენ განმარტებები.

პალატების არც ერთი წევრი არ შეიძლება იდევენობოდეს ან დაკავებულ იქნეს მის მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელების პერიოდში გამოთქმული აზრის ან ხმის მიცემისთვის. სესიის პერიოდში რაიმე დასჯადი ქმედობისთვის პალატის წევრთა დაკავება შესაძლებელია მხოლოდ პალატის ნებართვით, თუ არა დანაშაულის წასწრების შემთხვევაში.

კონსტიტუციური ცვლილებების ინიციატივის უფლება აქვს პარლამენტის ორივე პალატას. ცვლილებების თაობაზე პროექტს ამზადებს მათ მიერვე გამოყოფილი კომისია. მაგრამ ამ ინიციატივის შემდეგ ორივე პალატა დათხოვნილად ითვლება და კონსტიტუციაში ცვლილებებს შეიტანენ ახლად არჩეული პალატები ხმათა ორი მესამედით.

ფედერალური მთავრობა. მრავალპარტიული სისტემის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მეთაურის როლი მთავრობის ფორმირებაში, რომელიც წინასწარ კონსულტაციებსაც ატარებს საპარლამენტო პარტიების ლიდერებსა და პალატების თავმჯდომარეებთან, რაც მას პოლიტიკური მანევრის გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს. სწორედ მის ფარგლებში მოქმედებს მთავრობის დაკომპლექტების ერთობ ორიგინალური მეთოდი: მონარქი ნიშნავს ე.წ. ფორმატორს, პიროვნებას, რომელსაც იგი ავალებს მთავრობის პოტენციურ წევრთა წრის შერჩევას, ვისაც გარანტირებული ექნებოდა საპარლამენტო მხარდაჭერა. ამდენად, ფორმატორობა მეტწილად პარლამენტის მრავალრიცხოვანი ფრაქციის ლიდერს ეკისრება და თუ იგი წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ ამოცანას, როგორც წესი, პრემიერ-მინისტრობაც მას ევალება. მაგრამ ეს პროცესი ყოველთვის ასე მარტივად არ იმართება. არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს მეთაურს რამდენიმე ფორმატორის შეცვლაც კი უწევს. მაგალითად, 1981 წელს ოთხი ფორმატორი შეიცვალა, ვიდრე მ. მარტენმა მთავრობის ფორმირება მოახერხა და თავადაც პრემიერ-მინისტრის პორტფელი მიიღო.

მინისტრთა საბჭო შედგება პრემიერისა და არა უმეტეს 14 წევრისგან, რომელთა შორის თანაბრად არიან წარმოდგენილი ფრანგულ და ნიდერლანდურენოვანი მინისტრები. დაუშვებელია სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლის დანიშვნა მინისტრად.

მეფე ნიშნავს და ათავისუფლებს თავის მინისტრებს, პრემიერ-მინისტრად ნიშნავს შეთავაზებულ კანდიდატურას, რომელიც თავისი ვალდებულებების განხორციელებას შეუდგება ფედერალური მთავრობის მიერ ფიცის მიღების შემდეგ.

მინისტრები პასუხისმგებელი არიან წარმომადგენელთა პალატის წინაშე. ამ უკანასკნელს შეუძლია აღძრას ბრალდება მინისტრის მიმართ და გადასცეს საკასაციო სასამართლოს. არც ერთი მათგანი არ შეიძლება იდევნებოდეს მათ მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებისას გამოთქმული აზრისთვის.

მეფე ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერალურ სახელმწიფო მდივნებს, რომლებიც შედიან ფედერალური მთავრობის შემადგენლობაში. ისინი არიან მინისტრის მოადგილეები, მაგრამ არ არიან მინისტრთა საბჭოს წევრები. მეფე განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს და კონტრასიგნაციის უფლების ფარგლებს.

ფედერალური ხელისუფლების კომპეტენცია განსაზღვრულია კონსტიტუციით და მის საფუძველზე მიღებული კანონებით. კერძოდ,

მას მიეკუთვნება: ნატურალიზაციის წესების დადგენა, ფედერალურ მინისტრთა პასუხისმგებლობის საკითხი, სახელმწიფოს ბიუჯეტი და ხარჯები, სამხედრო საქმეები.

ფედერაციის შემადგენლობაში შედის სამი გაერთიანება და სამი რეგიონი: ფრანგული გაერთიანება, ფლამანდური გაერთიანება და გერმანულენოვანი გაერთიანება, ასევე, ვალონიის, ფლამანდიის და ბრიუსელის რეგიონები. ბელგიის მთელი ტერიტორია იყოფა ოთხ ლინგვისტურ რეგიონად: ფრანგულენოვანი რეგიონი, ნიდერლანდურენოვანი რეგიონი, გერმანულენოვანი რეგიონი და ორენოვანი ბრიუსელის რეგიონი. სახელმწიფოს ყოველი კომუნა არის ერთ-ერთი ლინგვისტური რეგიონის ნაწილი. კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, ლინგვისტური რეგიონების საზღვრები შეიძლება შეიცვალოს ან დაზუსტდეს მხოლოდ კანონით, რომელიც მიღებული იქნება თითოეული პალატის ლინგვისტურ ჯგუფში ხმათა უმრავლესობით, იმ პირობით, რომ სხდომას ესწრება ლინგვისტური ჯგუფის უმრავლესობა და ორივე ლინგვისტურ ჯგუფში მიცემულ ხმათა საერთო რაოდენობა აღწევს კენჭისყრაში მონაწილეთა ორ მესამედს.

გაერთიანებათა მთავრობები თავისი დეკრეტებით არეგულირებენ კულტურის, განათლების, საპენსიო რეჟიმისა და კომუნებს შორის ურთიერთობის საკითხებს, ასევე, კანონით განსაზღვრულ სხვა პერსონიფიცირებულ საკითხებს. ამავე საკითხებზე, მათ აქვთ ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლება. კონსტიტუცია ფრანგულ და ფლამანდურ გაერთიანებათა კომპეტენციას აკუთვნებს ენების რეგულირების უფლებას მმართველობის, სწავლების, განათლების სფეროში, ასევე, დოკუმენტაციის წარმოებისას სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად დაწესებულებებში.

ბელგიაში მუნიციპალიტეტების რიცხვი 589-ს შეადგენს. თითოეული მუნიციპალური საბჭოს წევრების რაოდენობა 5-დან 55-მდე მერყეობს. მერი თუ ბურგომისტრი შესაბამისი მუნიციპალური საბჭოს წინადადებით სახელმწიფოს მეთაურის მიერ ინიშნება.

პროვინციული და კომუნალური დაწესებულებების რეგულირება ხდება კანონით, რომელიც ადგენს მათი საქმიანობის ისეთ პრინციპებს, როგორიცაა პროვინციული და კომუნალური საბჭოების პირდაპირი არჩევნები, ადგილობრივი ინტერესების მქონე საკითხების მათ გამგებლობაში გადაცემა, უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაცია ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანოების სასარგებლოდ, მათი ბიუჯეტებისა და ანგარიშების საჯაროობა.

ფედერალური ორგანოები მხოლოდ მაშინ ერევიან პროვინციებისა და კომუნების საქმიანობაში, როდესაც ადგილი აქვს კანონების დარღვევას ან ზიანი ადგება საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. კანონის თანახმად, იქმნება კომუნათა აგლომერაციები და ფედერაციები. კანონი ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძველზე განსაზღვრავს მათ ორგანიზაციასა და კომპეტენციას. ყოველ აგლომერაციასა და ფედერაციას აქვს საბჭო და აღმასრულებელი კოლეგია. საბჭო ირჩევს აღმასრულებელი კოლეგიის თავმჯდომარეს, რომელსაც ამტკიცებს მეფე. მისი სტატუსი რეგულირდება ცალკე კანონით.

საარჩევნო სამართალი

ბელგიის საარჩევნო სამართალი რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივით არის გამორჩეული. სწორედ ბელგიაა ის ქვეყანა, სადაც მე-18 საუკუნეში დაინერგა პროპორციული საარჩევნო სისტემა. ამასთან, ქვეყანაში ყველა დონეზე წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევის მარეგულირებელი ნორმების სისტემა გაერთიანებულია ძალიან კომპაქტურ საარჩევნო კოდექსში.

ფედერალური პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის ნევრებს 4 წლის ვადით ირჩევენ მოქალაქეები საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და სავალდებულო არჩევნების გზით. ყოველ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმა. საარჩევნო კოლეგიების შექმნა რეგულირებულია სპეციალური კანონით. საარჩევნო სიების შედგენა მუნიციპალური ორგანოების საქმეა. არჩევნები ტარდება კომუნებში, ცალკეული გამონაკლისების გარდა. კანდიდატთა წამოყენება ხდება პარტიული წესდებით განსაზღვრული წინასწარი არჩევნების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობენ მხოლოდ შესაბამისი პარტიის ნევრები. ამერიკული „პრაიმერიზისგან“ განსხვავებით, ბელგიაში წინასწარი არჩევნების ჩატარება რეგულირდება მხოლოდ პარტიული წესდებით და არა კანონით. ამიტომ ბელგიაში წინასწარი პარტიული არჩევნები უნდა განხილულ იქნეს, როგორც პოლიტიკური ტრადიცია და არა სამართლებრივი ნორმა. საარჩევნო ოლქიდან წარმომადგენელთა პალატაში ასარჩევ პირთა რაოდენობა განისაზღვრება ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით, რისთვისაც ოლქის მოსახლეობის რაოდენობის დადგენის მიზნით, ყოველ 10 წელიწადში ტარდება აღწერა.

უფრო რთულია სენატის დაკომპლექტების პრინციპი: 25 წევრი აირჩევა ნიდერლანდური, ხოლო 15 – ფრანგული საარჩევნო კოლეგიისგან; 10-10 სენატორს ნიშნავენ ფლამანდური და ფრანგული საბჭოები, ხოლო ერთს გერმანულენოვანი გაერთიანება თავისი წევრ-

ებისგან; 6 სენატორს ნიშნავენ ფლამანდური საბჭოსა და გერმანული მოსახლეობისგან შერჩეული სენატორები: კიდევ 4-ს ფრანგულენოვანი, გერმანულენოვანი და ფლამანდური მოსახლეობისგან. სენატის უფლებამოსილების ვადა 4 წელია. მეფის შვილები, მათი არყოლის შემთხვევაში კი, მეფის პირდაპირი სამემკვიდრეო ნათესავები დაღმავალი ხაზით, 18 წლის ასაკიდან ხდებიან სენატორები, 21 წლის ასაკიდან იღებენ გადამწყვეტი ხმის უფლებას. თუმცა ისინი დამსწრეთა ეკორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინებიან.

პარლამენტის პალატებში ასარჩევად კანდიდატი უნდა იყოს 25 წელს მიღწეული, ბელგიაში მცხოვრები ბელგიელი მოქალაქე, რომელიც ფლობს სამოქალაქო, პოლიტიკურ უფლებებს.

ბელგიის რეგიონებისა და გაერთიანებების წარმომადგენლობითი ორგანოების – საბჭოების წევრები აირჩევიან 5 წლის ვადით. თუ კანონით სხვა რამ არ იქნა დადგენილი, საბჭოების არჩევნები ტარდება ერთდროულად და ემთხვევა ევროპული პარლამენტის არჩევნებს. საბჭოების მანდატი შეუთავსებელია წარმომადგენელთა პალატის წევრის და სენატორის მანდატთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავისი შემადგენლობიდან ფლამანდური და ფრანგული გაერთიანების საბჭოები ნიშნავენ 10-10 სენატორს, ხოლო გერმანულენოვანი გაერთიანების საბჭო – 1 სენატორს.

ფრანგულ, ფლამანდურ, გერმანულენოვან გაერთიანებათა მთავრობის წევრებს ირჩევენ მათივე რეგიონული საბჭოები. ფრანგული და ფლამანდური გაერთიანების საბჭოები და მთავრობები ამავდროულად არიან ვალონიისა და ფლანდრიის რეგიონების საბჭოები და მთავრობები.

საარჩევნო კანონით პარტიები იღებენ გარკვეულ შეღავათებს, როგორცაა გადასახადებისგან გათავისუფლება, უფასოდ გამოყოფილი საეთერო დრო სახელმწიფოს კუთვნილ ტელევიზიაში და სხვ. პალატებში წარმოდგენილი პოლიტიკური ჯგუფები თავიანთი სამდივნოების შესანახად ღებულობენ ყოველთვიურ დახმარებას.

ბელგიური საარჩევნო სამართლის ერთი განსაკუთრებული თავისებურება, მის მიერ დამკვიდრებული ამომრჩევლის მაღალი პასუხისმგებლობაა. ერთი მხრივ, ეს იმით გამოიხატება, რომ დეპუტატობის კანდიდატის დასახელება შეუძლია ერთ ამომრჩეველს, მაგრამ კანდიდატის რეგისტრაციისთვის საჭიროა კიდევ ერთი ამომრჩევლის მხარდაჭერა. მეორე მხრივ, ეს აისახება სრულწლოვანების დადგომასთან ერთად, ამომრჩევლის მიერ აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული წესების სისტემაში და მათი გამოუყენებლობისთვის დადგენილი სანქციების სისტემაში.

როცა ამომრჩეველს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არ შეუძლია არჩევნებში მონაწილეობის მიღება, წინასწარ უნდა აცნობოს და მტკიცებულებანი წარუდგინოს მომრიგებელ მოსამართლეს. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი ამას არ გააკეთებს ან მოსამართლე არ გაითვალისწინებს მის არგუმენტებს და იგი მაინც არ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, პირველი ასეთი ფაქტი იწვევს ჯარიმას 3 ფრანკის ოდენობით. ფაქტის განმეორებისას ჯარიმა განისაზღვრება 25 ფრანკამდე, ხოლო მესამე ანალოგიურ მოქმედებას ჯარიმასთან ერთად მოჰყვება ის, რომ მისი გვარი საარჩევნო უბნის თვალსაჩინოდ ადგილას გამოიფინება. თუ 15 წლის მანძილზე ერთი ამომრჩეველის მიერ 4-ჯერ დაფიქსირდება მსგავსი დამოკიდებულება არჩევნებისადმი, იგი 10 წლით კარგავს საარჩევნო უფლებებს, ამასთან, სამომავლოდ ვერ მიიღებს სამუშაოს სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივ ადმინისტრაციაში.

სამოქალაქო სამართალი

ბელგია 1830 წელს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაგრამ ამ ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველი გახდა 5 ფრანგული კოდექსი: სამოქალაქო, სავაჭრო, სისხლის, სამოქალაქო-საპროცესო და სისხლის-საპროცესო, რომლებიც გამოცემულ იქნა 1804-1910 წლებში, როდესაც ბელგიის სახელმწიფო ნაპოლეონის ხელისუფლების ხელქვეით იმყოფებოდა. ამ კოდექსებმა გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა საერთოდ ბელგიური სამართლის განვითარებაზე.

ნაპოლეონის კლასიკურმა ფრანგულმა სამოქალაქო კოდექსმა განსაზღვრა მთლიანად სამოქალაქო სამართლის ბედი მთელ მსოფლიოში. ნაპოლეონის სამხედრო გამარჯვებებთან ერთად, მისი სამოქალაქო კოდექსიც იმკვიდრებდა ადგილს ამ ქვეყნებში, შემდეგ კი ამ კოდექსს ეს ქვეყნები, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც, უმეტესად ძალაში ტოვებდნენ ან ნებაყოფლობით იღებდნენ. ბელგიამ ფრანგების ბატონობისგან გათავისუფლების შემდეგაც ძალაში დატოვა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც დღემდე მოქმედებს. კოდექსმა შეინარჩუნა საერთო სტრუქტურა, მაგრამ ამასთან ერთად, შეცვლილ იქნა ზოგიერთი თავი, შეტანილ იქნა ახალი დებულებები. გადამუშავებულ იქნა საოჯახო სამართლის საკითხები, კერძოდ კი, მეუღლეთა უფლება-მოვალეობები, გაზრდილ იქნა ქალთა ქონებრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ საკუთრებისა და ვალდებულებითი სამართლის საკითხებს არსებითი ცვლილებები არ განუცდია. კოდექსში ჩამოყალიბებული ნაპოლეონისეული საკუთრების აბსოლუტური გაგება, როგორც უფლება — იყენებდე და განკარგა-

ვდე საგნებს, უფრო მეტი აბსოლუტური სახით, საკუთრების განსაზღვრების აღიარებულ ცნებად გადაიქცა.

1872 წელს მიღებულმა ბელგიის სავაჭრო კოდექსმა არა მარტო ნაპოლეონისეული კოდექსის ძირითადი იდეების კოპირება მოახდინა, არამედ ზოგიერთი თავი პირდაპირ გადაინერა. შემდგომ, 1935 წლიდან დაწყებული, კოდექსი ყოველ ოც წელიწადში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა, გაჩნდა ცალკე ნაწილი კომპანიების შესახებ კანონის სახით, რომლის დებულებების განვითარება მოხდა უკვე 1986 წელს მიღებულ კანონში შეზღუდული პასუხისმგებლობის ინდივიდუალური ამხანაგობების შესახებ.

ბელგიაში სოციალური უზრუნველყოფის განვითარებული სისტემა მოქმედებს, რაც კანონმდებლის მიზანმიმართული საქმიანობის შედეგიანობის კონკრეტული გამოხატულებაა. უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის პრობლემებს და ამ სფეროში ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფას. კანონთა და ნორმატიული აქტების ამ პაკეტში ფუძემდებლური დატვირთვა აქვს 1971 წელს მიღებულ კანონს ბუნების შენარჩუნების შესახებ, ხოლო მათგან უნდა იგულისხმებოდეს ფუნქცია, მის საფუძველზე მეფის მიერ მიღებულ დეკრეტებს სასმელი წყლის, ცხოველთა დაცვის, თევზის მარაგების დაცვის და სხვა საკითხებზე.

სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის ზოგად წყაროს წარმოადგენს ბელგიის კონსტიტუცია, რომელიც აღიარებს სისხლის სამართლის კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, უდანაშაულობის პრეზუმფციას და აუქმებს სიკვდილით დასჯას.

ბელგიის სისხლის სამართლის ძირითადი წყაროა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1867 წელს 1810 წლის ფრანგული სისხლის სამართლის კოდექსის ზეგავლენით იქნა შედგენილი, თუმცა ზოგადი ნაწილის ზოგიერთი ინსტიტუტი, კერძოდ, მცდელობა და თანამონაწილეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ფრანგული დედნისგან.

ბელგიის სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსისთვის დამახასიათებელია სასჯელთა დიდი ინდივიდუალური ზაცია და „წმინდა უფლების“ — საკუთრების განსაკუთრებული დაცვა, რაც მემკვიდრეობით გადმოვიდა ფრანგული კანონმდებლობიდან. თუ სამოქალაქო კოდექსისთვის პრიორიტეტულია საკუთრების უფლების აბსოლუტური გაგება, სისხლის სამართალი რეპრესიის წესით უზრუნველყოფს მის დაცვას.

სისხლის სამართლის კოდექსი შედგება შემდეგი ძირითადი თავებისგან: დანაშაული და გადაცდომები; სისხლის სამართლის სასჯელი და მისი შედეგები; გამასწორებელი სასჯელები; სასჯელებისა და სხვა დამსჯელი ზომების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულებსა და სხვა სახის გადაცდომებზე; პირები, რომლებიც დასჯილნი და გათავისუფლებულ იქნენ დანაშაულისა და გადაცდომებისთვის; დანაშაული და გადაცდომები საჯარო ინტერესების წინააღმდეგ, რომელიც თავად შემდეგი ნაწილებისგან შედგება: დანაშაული და გადაცდომები სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ; კოდექსის ცალკე თავია დანაშაული და გადაცდომები კერძო პირების მიმართ, რომელიც მოიცავს პიროვნებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სახეებს.

ბელგიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულ იქნა 1878 წელს და შეიცავს მთელ რიგ თავებს საფრანგეთის 1808 წლის სისხლის საპროცესო კოდექსიდან. 1967 წელს ბელგიაში მიღებულ იქნა სასამართლო კოდექსი, რომელიც არეგულირებს სასამართლოებისა და ტრიბუნალების საქმიანობას, მათ კომპეტენციას და საქმიანობის პროცედურას. სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის ფუნქციას ასრულებს აღნიშნული სასამართლო კოდექსის მე-4 თავი — „სამოქალაქო პროცედურის შესახებ“.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

გარდა იმისა, რომ კონსტიტუციით აღიარებული და დაცულია მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ისიც საგულისხმოა, რომ თანამედროვე მონარქიებს შორის ბელგიამ ერთ-ერთმა პირველმა შეცვალა „ქვეშევრდომობა“ „მოქალაქეობით“. ამასთან, კონსტიტუცია უზრუნველყოფს: კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, ინდივიდუალურ თავისუფლებას, იდეოლოგიური და ფილოსოფიური უმცირესობების დაცვას, თვითნებური დევნისგან სასამართლო დაცვას, ბინის ხელშეუხებლობას, კულტმსახურების თავისუფლებას, კერძო ცხოვრების პატივისცემას. კონსტიტუცია კრძალავს ქონების კონფისკაციას; გაუქმებულია ასევე სიკვდილით დასჯა და იგი არ შეიძლება აღდგენილ იქნეს.

კონსტიტუციით ასევე გარანტირებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები: ადამიანის ღირსების შესაბამისი ცხოვრების უფლება, შრომისა და პროფესიული საქმიანობის თავისუფალი არჩევის უფლება, სოციალური დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრებისა

და იურიდიული დახმარების უფლება. კონსტიტუცია აცხადებს პრესის თავისუფლებას, ცენზურის დაწესება არასდროს დაიშვება; გამომცემლის მიმართ არ შეიძლება აღიძვრას დევნა, როდესაც ავტორი ცნობილია და ცხოვრობს ბელგიაში; აღიარებულია წინასწარი თანხმობის გარეშე მშვიდობიანი და უიარაღო გაერთიანებებისა და შეკრებების უფლება, ეს დებულება არ ვრცელდება ღია სივრცეში დაგეგმილ შეკრებაზე, რომელზეც მთლიანად ვრცელდება კანონმდებლობა პოლიციის შესახებ; აღიარებულია მოქალაქეთა პეტიციის უფლება, მხოლოდ დამფუძნებელ ორგანოებს შეუძლიათ კოლექტივის სახელით პეტიციით მიმართვა; დაცულია მიმონერის საიდუმლოება, კანონი განსაზღვრავს რომელი მოსამსახურეები არიან პასუხისმგებელნი საფოსტო კორესპონდენციების საიდუმლოების დარღვევაზე; უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა და მათი ასლის მიღების უფლება; ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე, ჩინოვნიკების მიმართ მათი სამსახურებრივი საქმიანობის გამო, დევნის აღძვრა.

განათლების უფლების რეალიზაციის საქმეში მნიშვნელოვნად გაფართოებულია გაერთიანებების როლი, რომლებიც სახელმწიფოსთან ერთად, პასუხისმგებელნი არიან განათლების მდგომარეობაზე. განათლება არის თავისუფალი და ნეიტრალური, რაც გულისხმობს მშობელთა თავისუფლებას შვილებისთვის განათლების შერჩევისას, მშობელთა და მოსწავლეთა ფილოსოფიური, იდეოლოგიური და რელიგიური შეხედულებებისადმი პატივისცემას, რელიგიური განათლების უფლებას. ამასთან, სავალდებულო სასკოლო განათლება უფასოა.

ადამიანის უფლებების დაცვის ფუნქცია სასამართლო სისტემას აკისრია – ძლიერი კონსტიტუციური გარანტიების მექანიზმი კონსტიტუციის მე-13–14 მუხლებშია მოცემული: „არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი ნების სანინალმდეგოდ მისთვის კანონით დადგენილი სასამართლო დაცვის უფლება“; „არანაირი სასჯელი არ შეიძლება იქნეს დადგენილი და გამოყენებული კანონიერი საფუძვლის გარეშე“

ერთობ უცნაური კია, შვედურმა გამოგონებამ ომბუდსმენის ინსტიტუტის სახით ევროპა დაიპყრო და სხვა კონტინენტებზეც ფეხი მოიკიდა, მაგრამ ბელგიაში დამკვიდრება ნამდვილად გაუჭირდა. ფედერალურ დონეზე, სამ ათეულ წელზე მეტია დგება საკითხი ომბუდსმენის შექმნაზე, 1994 წელს მთავრობამ წარმომადგენელთა პალატაში კანონპროექტიც წარადგინა, მაგრამ ჯერაც უშედეგოდ.

ამ დროს ფლამანდიაში ომბუდსმენის ინსტიტუტი მაღალი აქტივობით გამოირჩევა. იგი ადგილობრივი მთავრობის მიერ ინიშნება და უფლებამოსილებათა წრეც განსაზღვრული აქვს: იკვლევს მოქალაქეთა საჩივრებს, შედეგებზე ახდენს შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას, მთლიანობაში კი სააპელაციო ორგანოს ფუნქციებს ასრულებს და ცალკეული საჩივრების შედეგებზე შეუძლია საქმე წარუდგინოს შესაბამისი სამთავრობო დეპარტამენტის გენერალურ მდივანს. მასვე შეუძლია გასცეს რეკომენდაციები კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე, ხოლო წელიწადში ერთხელ ანგარიშს წარუდგენს ფლამანდიის მთავრობას. თავისი საქმიანობის განხორციელების დროს ომბუდსმენი დამოუკიდებელია. აღნიშნულ თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატს უნდა აქონდეს საუნივერსიტეტო განათლება და საარბიტრაჟო საქმიანობის გამოცდილება, დაუშვებელია შეთავსება და დადგენილია ზღვრული ასაკი – 65 წელი, რომლის მიღწევასაც ომბუდსმენი ტოვებს თანამდებობას.

სასამართლო სისტემა

ბელგიის სასამართლო სისტემის უმაღლესი რგოლია საკასაციო სასამართლო, რომელიც შედგება 25 მოსამართლისგან. იგი იხილავს მხოლოდ საჩივრებს ნებისმიერ სხვა სასამართლოს განაჩენებზე, 3 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის მიერ. საკასაციო სასამართლოს ქვედა რგოლია 5 სააპელაციო სასამართლო, რომლებიც იხილვენ საჩივრებს პირველი ინსტანციის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. ბელგიის სასამართლო სისტემის ძირითადი რგოლია – პირველი ინსტანციის ტრიბუნალები, მათ შორის, შრომით დავებსა და კომერციულ საქმეებზე. ტრიბუნალები ფუნქციონირებს 26 სასამართლო ოლქში. პირველი ინსტანციის ტრიბუნალები შედგება 1 ან 3 მოსამართლისგან და იხილვენ სამოქალაქო საქმეებს და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებზეც შეიძლება გამოტანილ იქნეს 7 დღეზე მეტი ვადით პატიმრობა.

არ დაიშვება განსაკუთრებული კომისიების ან სასამართლოების შექმნა. ცალკეული კანონები არეგულირებს სამხედრო ტრიბუნალების, კომერციული ტრიბუნალებისა და შრომის სასამართლოს შექმნისა და კომპეტენციის საკითხებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაწესებულია ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე, პოლიტიკურ და პრესის მიმართ ჩადენილ დანაშაულებებზე აღძრულ საქმეებზე.

მომრიგებელი და ტრიბუნალთა სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან უშუალოდ მეფის მიერ. სააპელაციო სასამართლოთა მრჩეველები და პირველი ინსტანციის სასამართლოთა თავმჯდო-

მარეები და მოადგილეები ინიშნებიან მეფის მიერ ორი სიით, რომელიც წარმოდგენილია: ერთი თავად ამ სასამართლოთა მიერ, მეორე პროვინციული საბჭოებისა და ბრიუსელის – დედაქალაქის რეგიონის საბჭოს მიერ. საკასაციო სასამართლოს მრჩეველები ინიშნებიან მეფის მიერ, ანალოგიურად, ერთი სია საკასაციო სასამართლოს, ხოლო მეორე წარმომადგენელთა პალატისა და სენატის მიერ არის წარმოდგენილი. სასამართლოები თავისი შემადგენლობიდან ნიშნავენ თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს.

მოსამართლეები ინიშნებიან კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევამდე. არ შეიძლება მოხსნილი ან გადაყენებულ იქნენ, თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებით. მოსამართლის გადაყვანას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ახალ დანიშვნასთან დაკავშირებით და მისი თანხმობით. მეფე ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლოებსა და ტრიბუნალებთან არსებული პროკურატურის ჩინოვნიკებს.

ბელგიაში პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებს და, შესაბამისად, მხარს უჭერს ბრალდებას: საკასაციო სასამართლოში პირველი გენერალური პროკურორი ან მისი თანაშემწეები, ე.წ. გენერალური ადვოკატები; სააპელაციო სასამართლოებში შესაბამისი გენერალური პროკურორები და გენერალური აუდიტორები და ა.შ.

მთელი ბელგიისთვის ფუნქციონირებს ერთი სახელმწიფო საბჭო, რომლის შემადგენლობა, კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით, რომელიც ჩამოყალიბებული პრინციპების დაცვით, მეფეს ანიჭებს ცალკეული პროცედურული საკითხების დარეგულირების უფლებას, ხოლო საბჭოს, ადმინისტრაციული სასამართლო ორგანოს სტატუსით, დადგენილებების სახით გამოაქვს გადაწყვეტილებები და იძლევა დასკვნებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

მთელი ბელგიისთვის არსებობს ერთი საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც 1988 წელს გარდაიქმნა საკონსტიტუციო სასამართლოდ. იგი შედგება 12 მოსამართლისგან და მოქმედებს ერთიანი შემადგენლობით. მოსამართლეებს სენატის წარდგინებით ნიშნავს მეფე, ფაქტობრივად კი, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებას ახდენს პარლამენტი, ვინაიდან მეფის ფუნქცია ფორმალურია. იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში ორი ძირძველი ერი – ვალონები და ფლამანდები 6-6 მოსამართლით უნდა

იყვნენ წარმოდგენილნი, ისინი შეირჩევიან სამართლის პროფესორთაგან, მოსამართლეთაგან, პარლამენტის დეპუტატთაგან და ინიშნებიან უვადოდ, 40-დან 70 წლამდე ასაკობრივი ცენზის ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილებები კანონებს, დეკრეტებსა და ნორმებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებსა და მათ კონსტიტუციურობაზე, ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა შელახვის თაობაზე. ასევე, იხილავს საქმეებს კონსტიტუციის სხვადასხვა ხასიათის დარღვევის თაობაზე.

ბელგიაში საკონსტიტუციო კონტროლის პროცედურის აღძვრის უფლება აქვს სახელმწიფოს მეთაურს, მთავრობას, პარლამენტის პალატებს, სასამართლოებს. კერძო პირების საკონსტიტუციო უფლებების დაცვა შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართული საჩივრის ფორმით იმ კანონებისა და დეკრეტების ნორმების მიმართ, რომლებიც არღვევენ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს. ბელგიაში საკონსტიტუციო იუსტიციის ერთი თავისებურება ის არის, რომ ცენტრალურ და რეგიონულ სახელმწიფო ორგანოებს შორის დავები ნორმების აბსტრაქტული კონტროლის პროცედურის საგანს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. Конституция Бельгии // Конституции государств Европейского Союза, Москва, "Инфра. М-Норма", 1999, стр. 107-144;
2. გ. გოგიაშვილი, ბელგია // შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ. 178-182;
3. Якушев А.В., Основы Конституционного права Бельгии // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, стр. 134-138;
4. Elazar J. Daniel, Federal systems of the World.
5. Delmartino, Frank, “decentralisation of Belgium”, Universitu press of Amerika. 1988.
6. Denolf, R. “federalism in Belgium as a Constitutional problem”, Res Republika. 1968.
7. Stephenson, C. “Cultural Regionalism and the Unitary state idea in Belgium”, Geographical Review, 1972.

ბრაზილია

ბრაზილია, სამხრეთ ამერიკის მონინავე სახელმწიფოა, რომლის 161 მილიონზე მეტი მოსახლეობა 8512 ათას კმ² ტერიტორიაზე ბინადრობს. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება გვიანა, სურინამი, გაიანა, ვენესუელა, ჩრდილო-დასავლეთით – კოლუმბია, დასავლეთით – პერუ, ბოლივია, სამხრეთით – პარაგვაი, არგენტინა და ურუგვაი, ხოლო აღმოსავლეთით აკრავს ატლანტის ოკეანე – რამდენიმე ბრაზილიური კუნძულით. ქვეყნის დედაქალაქია ბრაზილია, სახელმწიფო ენა — პორტუგალიური, ფულის ერთეული – კრუზეირო.

ბრაზილია, შერეული სამართლის ოჯახის ლათინურ-ამერიკულ ჯგუფს განეკუთვნება, რომლის საჯარო და განსაკუთრებით, კონსტიტუციური სამართალი – ამერიკული, ხოლო კერძო სამართალი კონტინენტური სამართლის გავლენას განიცდის. ბრაზილიის კონსტიტუცია მიღებულია სამხედრო დიქტატურის დამხობის შედეგად, დამფუძნებელი კრების მიერ, 1988 წლის 2 სექტემბერს, ხოლო 1993 წლის 7 სექტემბერს პლებისციტით იქნა განმტკიცებული. ბრაზილია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით ფედერალური სახელმწიფოა, ხოლო მმართველობის ფორმით, ამერიკის შეერთებული შტატების მოდელზე ორიენტირებული საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

კონსტიტუციური სამართალი

ხელისუფლების ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, იგი იმავდროულად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიცაა; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორელემენტიან ეროვნულ კონგრესს; სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ – უმაღლესი ფედერალური სასამართლო, მართლმსაჯულების უმაღლესი ტრიბუნალი და ფედერალური სასამართლოები.

პრეზიდენტი აირჩევა 35 წლის ასაკს გადაცილებული ბრაზილიის მოქალაქეთაგან, 5 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით და ხელმეორედ გადარჩევა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. მასთან ერთად, ტანდემში ირჩევენ ვიცე-პრეზიდენტს. ისინი ერთი პარტიის წარმომადგენლები არიან. ვიცე-პრეზიდენტი ენაცვლება პრეზიდენტს მისი ვადამდე გადაყენების ან სიკვდილის შემთხვევაში. პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულე-

ბის შეუძლებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტის პოსტი თანამიმდევრობით გადადის დეპუტატთა პალატის, ფედერალური სენატის და ფედერალური უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეებზე.

პრეზიდენტის უფლებები საკმაოდ ფართოა, ვინაიდან იგი არის ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი, დამოუკიდებლად ნიშნავს და გადააყენებს ფედერალურ მინისტრებს, დამოუკიდებლად ან სენატის თანხმობით ნიშნავს ცენტრალური ბანკის პრეზიდენტს, უმაღლეს ფედერალურ და სხვა მოსამართლეებს, ხელმძღვანელობს მთავრობას, ასრულებს უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციას, ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, აქვს საკანონმდებლო ინიციატივის, ვეტოსა და პარლამენტის მიერ მინიჭებულ სფეროში კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის უფლება, ახდენს დიპლომატიური კორპუსის აკრედიტაციას, აცხადებს საომარ, საალყო, სამშვიდობო, თავდაცვისა და ფედერალური ინტერვენციის მდგომარეობას და ადგენს მათ შესახებ მთავრობის სამოქმედო ღონისძიებებს. აუცილებელ და ვადით შეზღუდულ შემთხვევებში, პრეზიდენტი გამოსცემს კანონის ძალის მქონე დროებით აქტებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის ერთ-ერთი პალატა მაინც არ დაამტკიცებს მას, იგი უარყოფილ იქნება.

გაზრდილი უფლებების ფონზე, ერთობ მაღალია პრეზიდენტის მოვალეობებიცა და პასუხისმგებლობაც. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია იმპიჩმენტის წესით, ეროვნული კონგრესის წევრთა ხმების 2/3-ით. ერთი თავისებურება ბრაზილიური კონსტიტუციური სამართლისა ის არის, რომ ძალიან ფართოა იმპიჩმენტის სამოტივაციო წრე და სწორედ ეს მიუთითებს პრეზიდენტის პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხზე: ასე განსაჯეთ, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი შეიძლება იყოს საკანონმდებლო ხელისუფლების, სასამართლო და პროკურატურის და სხვა უფლებების უკანონოდ მითვისების, ადამიანთა უფლებების ხელყოფის, სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მოქმედების, კანონებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის ცალკეული ფაქტები. საკითხის აღძვრა ხდება დეპუტატთა პალატაში, ხოლო უმაღლესი ფედერალური სასამართლოს იურიდიული კვალიფიკაციის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილებას ფედერალური სენატი იღებს.

თავდაცვისა და საგანგებო მდგომარეობის წარმართვის მიზნით, პრეზიდენტთან იქმნება ორი საკონსულტაციო ორგანო: რესპუბლიკის საბჭო და ეროვნული თავდაცვის საბჭო. პირველი მათგანის შემადგენლობაშია: ვიცე-პრეზიდენტი, პარლამენტის პა-

ლატების თავმჯდომარეები, საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის ლიდერები, იუსტიციის მინისტრი და 35 წლის ასაკს გადაცილებული 6 ბრაზილიის მოქალაქე, რომელთაგან ორს პრეზიდენტი ნიშნავს, ორ-ორს კი პარლამენტის პალატები ირჩევენ 3 წლის ვადით. ეროვნული თავდაცვის საბჭო ეროვნული სუვერენიტეტისა და თავდაცვის საკითხებზე პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოა და შედგება ვიცე-პრეზიდენტის, ეროვნული კონგრესის პალატების თავმჯდომარეების, იუსტიციის, სამხედრო, დაგეგმვის მინისტრებისგან.

პარლამენტი ბრაზილიაში ეროვნულ კონგრესად იწოდება და მისი ქვედა – დეპუტატთა პალატა მთელი ხალხის ინტერესებს გამოხატავს, ხოლო ზედა – ფედერალური სენატი – შტატებისას.

დეპუტატთა პალატა 487 წევრისგან შედგება, რომლებიც 4 წლით აირჩევიან შტატებში, ფედერალურ ტერიტორიებსა და ფედერალურ ოლქებში მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, მაგრამ თითოეული შტატიდან არანაკლებ 8 და არა უმეტეს 70; ხოლო ფედერალური ტერიტორიებიდან 4 დეპუტატი.

ფედერალური სენატი აირჩევა მაჟორიტარული სისტემით, 81 წევრის შემადგენლობით, რომელთა უფლებამოსილების ვადა 8 წელია. თითოეული შტატი და ფედერალური ოლქი ირჩევს 3 სენატორს ყოველ 4 წელიწადში რიგრიგობით 1/3-სა და 2/3-ის განახლებით. სენატორებთან ერთად აირჩევა მათი 2 წარმომადგენელი – „ვიცე-სენატორი“, რომლებიც არ შედიან სენატის შემადგენლობაში, არ მონაწილეობენ კენჭისყრებში, მაგრამ სენატორს ეხმარებიან საქმიანობაში, ხოლო ამ უკანასკნელთა გადადგომისა და სიკვდილის შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანი ავტომატურად იკავებს მის ადგილს.

პალატები მუშაობენ ცალ-ცალკე, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს გაერთიანებული სხდომა. პალატებში იქმნება მუდმივი და დროებითი კომისიები, რომელთა ფორმირებისას გათვალისწინებულია პალატაში არჩეულ პარტიათა წარმომადგენლობის პროპორციულობის პრინციპი. შეიძლება შეიქმნას ორივე პალატის გაერთიანებული საგამოძიებო კომისია.

კონგრესმენები სარგებლობენ როგორც ინდემნიტეტით, ისე იმუნიტეტით, რომელიც შეზღუდულია დანაშაულზე წასწრებით, რომლის მოხსნა დასაშვებია პარლამენტის საგამოძიებო პალატის 2/3-ის გადაწყვეტილებით. დეპუტატის მანდატი თავისუფალია, მაგრამ შეთავსებადია მინისტრის, ფედერალური ტერიტორიის მმართველის, შტატების გუბერნატორების თანამდებობებთან.

ეროვნული კონგრესის კომპეტენციაში შედის სახელმწიფო შემოსავლებისა და გასაღვლების, ფულადი ემისიის, სამხედრო ძალთა რაოდენობის დადგენა, ამნისტიის გამოცემა, სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურის და კომპეტენციის განსაზღვრა.

მხოლოდ დეპუტატთა პალატის განმგებლობას განეკუთვნება პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და მინისტრების მიმართ იმპიჩმენტის აღძვრა, პრეზიდენტისთვის ახსნა-განმარტების წარდგენა, თუ პარლამენტის პალატები არ შეიკრიბებიან დადგენილ ვადაში, ხოლო ფედერალური სენატის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას წარმოადგენს იმპიჩმენტის საკითხის გადაწყვეტა დეპუტატთა პალატაში აღძრულ საკითხზე, ფედერალური უზენაესი მოსამართლეების, გენერალური ატორნების, გენერალური ადვოკატის მიმართ საქმის აღძვრა და თანამდებობიდან გადაყენება.

ეროვნული კონგრესი იღებს კონსტიტუციის ცვლილებებს, ორგანულ და ჩვეულებრივ კანონებს, აქტებს დროებითი ღონისძიებების შესახებ, საკანონმდებლო დეკრეტებს, რეზოლუციებს. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს პალატების ნევრებს, პრეზიდენტს, უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს, მართლმსაჯულების უმაღლეს ტრიბუნალს, გენერალურ პროკურორს და მოქალაქეებს – სპეციალურად განსაზღვრულ საკითხებზე. ბიუჯეტის პროექტი შეაქვს პრეზიდენტს ორივე პალატაში. პრეზიდენტის და ფედერალური უმაღლესი სასამართლოს ინიციატივები შედის დეპუტატთა პალატაში. ერთი პალატის მიერ მონონებული კანონპროექტი გადადის მეორე პალატაში. მასში დამატებების შეტანის შემთხვევაში, იგი ისევ პირველ პალატას უბრუნდება. კანონპროექტი მიიღება 2 ან 3 მოსმენით, ჩვეულებრივი კანონები კონგრესმენტა დამსწრე, ხოლო ორგანული კანონები სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, კონსტიტუციური ცვლილებები კი – 3/5-ის თანხმობით. ამ უკანასკნელის ინიციატივის უფლება აქვს პარლამენტის პალატათა 1/3-ს, პრეზიდენტს, შტატების საკანონმდებლო ორგანოების უმრავლესობას. მისი განხილვა და კენჭისყრა ხდება ორივე პალატაში ცალ-ცალკე და ქვეყნდება მათი პრეზიდენტების მიერ. არ შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფოს ფედერალური ფორმა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, საარჩევნო პრინციპები, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

პრეზიდენტი ვეტოს ადებს როგორც მთელ კანონს, ისე მის გარკვეულ ნაწილს, რომლის გადასალახად აუცილებელია პალატათა გაერთიანებული სხდომის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა.

მთავრობა წარმოდგენილია მინისტრთა კაბინეტის სახით, რომელიც პრეზიდენტის ხელმძღვანელობით იკრიბება და მისი სათათბირო ორგანოა. მინისტრად შეიძლება დაინიშნოს პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილი ბრაზილიის მოქალაქე 21 წლის ასაკიდან. მინისტრის ფუნქციებში შედის, პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, შესაბამისი ფედერალური დეპარტამენტის მართვა, კანონების, დეკრეტებისა და დადგენილებების აღსრულება. მინისტრებს პრეზიდენტი ნიშნავს დამოუკიდებლად. ისინი არ არიან პასუხისმგებელნი პარლამენტის წინაშე, პარლამენტის მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მათ პალატის სხდომაზე ინფორმაციის წარმოდგენა.

აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში შედის 22 სამინისტრო და ორი სამდივნო – პრეზიდენტის კომუნიკაციების და სტრატეგიულ საქმეთა. გარდა საქვეყნოდ ცნობილი დარგობრივი სამინისტროებისა, ბრაზილიაში ფუნქციონირებს ადმინისტრაციის; წყლის რესურსებისა და ამაზონის; ნავიგაციის სამინისტროები. არმიის სტრუქტურიდან ცალკეა გამოყოფილი საჰაერო ძალების სამინისტრო.

ბრაზილიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ცენტრალიზებული ფედერალიზმის პრინციპზეა აგებული, რომლის შემადგენლობაშია 26 შტატი, უშუალოდ ცენტრზე დაქვემდებარებული 3 ფედერალური ტერიტორია და ფედერალური ოლქი, რომელიც მოიცავს ქვეყნის დედაქალაქს – ბრაზილიას. ფედერაციის აღნიშნული სუბიექტები თავად აერთიანებენ მუნიციპალიტეტებს.

კონსტიტუცია დეტალურად გამიჯნავს ფედერაციისა და შტატების უფლებამოსილებას და, ფაქტობრივად, ქვეყნის მართვის სადავეების ცენტრალიზაციას ახდენს, ვინაიდან ყველა ძირითად საკითხს ფედერაცია არეგულირებს, შტატებს მხოლოდ ე. წ. „ნარჩენი კომპეტენცია“ რჩებათ მართვა-გამგებლობის სფეროდ.

ყოველ შტატს აქვს ფედერალური კონსტიტუციის შესაბამისი თავისი კონსტიტუცია, ჰყავს ხალხის მიერ არჩეული ძლიერი უფლებებით აღჭურვილი გუბერნატორი, ფუნქციონირებს ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანო და საკუთარი სასამართლო სისტემა. შტატებს არა აქვთ სუვერენიტეტი და ფედერაციიდან გასვლის უფლება. ახალი შტატების შექმნისა და გარდაქმნის საკითხები ფედერალური კანონებით წესრიგდება. მათ საზღვრებს სენატი ამტკიცებს, შტატებს კი მხოლოდ აზრის გამოთქმის „სამუშალება“ რჩებათ არსენალში, აზრისა, რომელიც ზემდგომისთვის სავალდებულო არ არის გასათვალისწინებლად.

კონსტიტუცია დეტალურად განსაზღვრავს უფლებამოსილების იმ სფეროს, რომელიც მხოლოდ ფედერაციის, ფედერაციისა და შტატების საერთო გამგებლობას ან უფლებამოსილებათა კონკურენციულ სფეროს განეკუთვნება, რომელთა შორის მოაზრებულია კულტურულ, ისტორიულ ფასეულობათა დაცვა, განათლება და სპორტი, ფაუნა და ფლორა და სხვ.

ბრაზილიის ფედერალიზმისთვის დამახასიათებელია ფედერა ლური ინტერვენცია, ანუ ფედერაციის ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა შტატების სახელისუფლო ორგანოების საქმეებში, როდესაც ეს უკანასკნელნი ვერ ან არ ასრულებენ ცენტრის გადანყვეტილებებს, რაც გამოიხატება პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, სამხედრო ზემოქმედებით და რომლის მიზანია ფინანსური დახმარება ან ფედერაციის ერთიანობის შენარჩუნება. ამ პროცესში მონაწილეობს სხვადასხვა ორგანო – ფედერალური უმაღლესი სასამართლო, უმაღლესი საარჩევნო ტრიბუნალი, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და სხვ. ყველა შემთხვევაში, დგინდება ფედერალური ხელისუფლების იურიდიული და პოლიტიკური უზენაესობა შტატებზე. ეს პროცესი ფედერაციის ინიციატივით ხორციელდება და საკმაოდ სერიოზული იარაღია მის ხელში. შტატების კონსტიტუციები კი, თავის მხრივ, მუნიციპალიტეტების საქმეებში ინტერვენციას ითვალისწინებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებს თავის თავზე ღებულობს 4300 მუნიციპალიტეტი, რომლებიც ფლობენ პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ფინანსურ ავტონომიას და ფედერალური კონსტიტუციისა და ორგანული კანონის შესაბამისად ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის ორგანიზაციას. აქ ფუნქციონირებს მოქალაქეების მიერ პროპორციული სისტემით 2–4 წლით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოები, იქნება ეს კრება თუ ხუნტა, რომლებიც იღებენ ადგილობრივი განვითარების პროგრამებს, ადგილობრივ ბიუჯეტს. მმართველობის ფუნქციებს ახორციელებს ხალხის მიერ არჩეული პრეფექტი, რომელიც როგორც ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადანყვეტილებების შესრულებაზე ზრუნავს, ისე თავის უშუალო ფუნქციებს – პოლიციის მართვას, წესრიგის უზრუნველყოფას ასრულებს. იგი არის საბჭოს თავმჯდომარე და, იმავდროულად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი შტატის ხელისუფლებაში. შტატების კონსტიტუციებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მას აქვს მუნიციპალიტეტის საქმეებში ჩარევის უფლება.

ადგილობრივი და არა მხოლოდ ადგილობრივი საქმეების მართვაში, დიდ როლს ასრულებენ მსხვილი ლატიფუნდისტები, ვის დაქვემდ-

ებარებაშიც არიან ქრისტიანები და რომლებიც, არსებითად, თვითონ წარმართავენ მთელ ადგილობრივ მმართველობას.

ინდიელი ტყვეებით დასახლებულ ადგილებში ადგილობრივი მართვის ორგანოებად ითვლება საბჭოების ან კრებების მიერ არჩეულ ტყვეთა ტრადიციული შეკრებები ან უფროსი ასაკის ტყვეთა საბჭოები. ტყვეები იმყოფებიან არა შტატის, არამედ ფედერალური ადმინისტრაციის კონტროლქვეშ.

ფედერალური ოლქის მმართველობის სისტემა შტატების ანალოგიურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას მართავს არა გუბერნატორი, არამედ არჩეული პრეფექტი, აქვს საკუთარი ადმინისტრაცია და ცენტრის მიერ დანიშნული სასამართლოები.

რაც შეეხება ფედერალურ ტერიტორიებს, მათ საკუთარი ადმინისტრაციული და მმართველობის ორგანიზაცია აქვთ. აქაც, მმართველობის ქვედა დონეს შეადგენენ მუნიციპალიტეტები. თავისებურება კი ის არის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური ტერიტორიის მოსახლეობა 100 ათასს სჭარბობს, იქმნება არჩევითი საკონსულტაციო უფლებების მქონე ტერიტორიული პალატა.

საარჩევნო სამართალი

საარჩევნო სამართალი მთელ ქვეყანაში ერთიანი ნორმების სისტემის საფუძველზე მოქმედებს. არჩევნები არის საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით. ძირითადად, გამოიყენება შერეული სისტემა, როცა ეროვნული კონგრესის ქვედა პალატა აირჩევა პროპორციული, ზედა პალატა – მაჟორიტარული სისტემით.

ბრაზილიაში აქტიური საარჩევნო უფლება იწყება 16 წლის ასაკიდან, ერთი განსაკუთრებული დათქმით იმის თაობაზე, რომ პირები 16-დან 18 წლამდე და 70 წლის ზემოთ და ე.წ. გაუნათლებლები, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 30 მილიონია, არჩევნებში თავისი ნებით მონაწილეობენ, ხოლო სხვა შემთხვევებში არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო ხასიათს ატარებს, რომლის დარღვევისთვის გათვალისწინებულია სასჯელის სხვადასხვა ზომა, მათ შორის, ჯარიმა.

პასიური საარჩევნო უფლება კი დეპუტატთა პალატის, შტატებისა და ფედერალური ოლქის საკანონმდებლო ორგანოების წევრებისთვის, მუნიციპალიტეტების პრეფექტებისა და ვიცე-პრეფექტებისთვის იწყება 21 წლის ასაკიდან, პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და სენატორებისთვის – 35, ხოლო შტატებისა და ფედერალური ოლქის გუბერნატორებისა და ვიცე-გუბერნატორებისთვის – 30 წლის ასაკიდან. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, კანდიდატი უნდა იყოს ბრაზი-

ლიის მოქალაქე, ფლობდეს სრულ პოლიტიკურ უფლებებს და მუდმივად ცხოვრობდეს იმ ოლქის ტერიტორიაზე, სადაც კენჭს იყრის.

ბრაზილიის საარჩევნო სამართლის თავისებურებაა ის, რომ მხოლოდ დაბადებით ბრაზილიის მოქალაქე შეიძლება გახდეს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, დეპუტატთა პალატისა და ფედერალური სენატის თავმჯდომარე, ფედერალური უზენაესი სასამართლოს წევრი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი და სამხედრო ძალების თანამდებობის პირი.

საარჩევნო უფლება არა აქვთ სულით ავადმყოფებს, ნასამართლებ პირებს, ასევე, პირებს, რომლებსაც არა აქვთ სრული პოლიტიკური უფლებები, კერძოდ, სამხედრო რეჟიმის ზოგიერთ წარმომადგენელს და სერჟანტის ქვემდგომი ნოდების სამხედრო მოსამსახურეებს.

შტატის საკანონმდებლო კრება აირჩევა 4 წლის ვადით, შესაბამისი შტატის საარჩევნო კანონის საფუძველზე. გუბერნატორები და ვიცე-გუბერნატორები იმავე წესით აირჩევიან, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი.

პრეფექტები, ვიცე-პრეფექტები და პროპორციული სისტემით ასარჩევი მუნიციპალიტეტის საბჭოების წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით. საბჭოების წევრთა შემადგენლობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა რაოდენობაზეა დამოკიდებული, მაგრამ არ უნდა იყოს 9-ზე ნაკლები.

ბრაზილიის კონსტიტუცია ლაპარაკობს უშუალო დემოკრატიის ისეთ ინსტიტუტებზე, როგორიც არის რეფერენდუმი და პლემისციტი, თუმცა არ აზუსტებს მათ შორის განსხვავებას. რეფერენდუმი ტარდება პარლამენტის გადაწყვეტილებით ან ამომრჩეველთა ერთი პროცენტის მოთხოვნით, მაგრამ ამ დროს წარმოდგენილი უნდა იყოს ხუთი შტატი მაინც, თავის ამომრჩეველთა არანაკლებ 0,3 პროცენტით. რეფერენდუმი ტარდება მმართველობის ფორმის საკითხზე, მაგრამ დაუშვებელია გადასახადების, ბიუჯეტის და ზოგიერთი სხვა საკითხის სარეფერენდუმოდ გატანა.

სამოქალაქო სამართალი

ბრაზილიის პირველი სამოქალაქო კოდექსი ჯერ კიდევ 1917 წელს დამტკიცდა, ხოლო ახალი კოდექსის შემუშავება 1975 წელს დაიწყო და მხოლოდ 1997-1998 წლებში იქნა მიღებული. იგი ესპანეთისა და პორტუგალიის სამოქალაქო სამართლის დიდ გავლენას განიცდის და შეიცავს სამართლის ამ დარგის ფუძემდებლურ პრინციპებს. ახალი სამოქალაქო კოდექსი იმით გამოირჩევა, რომ მასში ზედმინევენით არის დაკონკრეტებული საოჯახო სამართლის დარგი.

კოდექსი 9 ნიგნისგან შედგება. მასში განხილულია საოჯახო, საკუთრების, მემკვიდრეობის, ეკოლოგიური და სამართლის სხვა დარგები და ნორმები პერსონალური უფლებების, იურიდიული ასაკის, საქმიანი ურთიერთობების შესახებ.

საოჯახო სამართლის მიხედვით ქალებისთვის საქორწინო ასაკად 16, ხოლო მამაკაცებისთვის 18 წელია დანესებული. ამასთან, სასამართლოს შეუძლია გოგონებს ეს უფლება 14 წლიდან დართოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისინი მშობლების თანხმობას საჭიროებენ, ხოლო სრული სამოქალაქო ქმედუნარიანობა პირს 18 წლის ასაკიდან ენიჭება.

მამას არა აქვს უფლება სადავო გახადოს თავისი მამობა, სანამ ის ქორწინებაშია. დადგენილია შვილად აყვანის უფლება 25 წლის ასაკიდან, კოდექსი უცხოელებსაც რთავს ნებას, იშვილონ ბრაზილიელები. კოდექსში დარეგულირებულია მეუღლეთა პირადი ქონებრივი უფლებები, აღიარებულია ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა.

მემკვიდრეობის სამართლის სიახლეა ის, რომ ანდერძის დადებისას მონშეთა რაოდენობა 5-დან 3-მდე შემცირდა, ხოლო მოსამართლეს განსაკუთრებულ შემთხვევებში უფლება აქვს კანონიერად ჩათვალოს ანდერძი, რომლის დადებასაც არც ერთი მონშე არ ესწრებოდა.

კოდექსი მკაფიოდ განსაზღვრავს უძრავი ქონების შეძენასა და გასხვისებაზე, უკანონო მფლობელობიდან მის გამოთხოვაზე, უპატრონო ქონების სახელმწიფოს ხელში გადასვლასა და მათ ვადებზე საზედამხედველო ნორმების სისტემას.

კოდექსი ითვალისწინებს ეკოლოგიური სამართლის თანამედროვე კონცეფციებს, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყანაში ფლორისა და ფაუნის დაცვას.

ბრაზილიის ლათინურ-ამერიკულ სამართლებრივ ოჯახზე მიკუთვნებას უდავოდ ადასტურებს აქ ლათინური ამერიკის მოდელური სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენება.

სისხლის სამართალი

ბრაზილიის ლათინურ-ამერიკული სამართლებრივი ოჯახისადმი მიკუთვნების კიდევ ერთი არგუმენტია ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსი მნიშვნელოვნად შეესაბამება ლათინური ამერიკის სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც კონცეპტუალური ხასიათისაა, ძირითადი დებულებების სისტემატიზაციას ახდენს და ხუთი ტიტულისგან შედგება და მთლიანობაში 112 მუხლს მოიცავს. პირველი ტიტული აერთიანებს ნორმებს შტატებისა და სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესახებ, მის ტერიტორიულ ფარგლე-

ბს. მეორე – დანაშაულებს, კრიმინალური ქმედების ფორმას, დროს და ადგილს, საქმის წარმოებას, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქმის ქვემდებარეობას, თავებს დანაშაულის ამსრულებლისა და თანამონაწილეობის, დანაშაულის მცდელობის შესახებ. მესამე ტიტულში განხილულია ნორმები დასჯადობის შესახებ, სასჯელთა კლასიფიკაცია, უფლებებისა და უშიშროების დაცვის ღონისძიებები, განაჩენის გამოტანა, განმეორებითი დანაშაული, სასამართლოს მიერ სასჯელის ინდივიდუალიზაცია, პირობითი მსჯავრი, დამნაშავეის ზედამხედველობის ქვეშ გათავისუფლების ფორმები, უფლებათა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. მეოთხე ტიტული ეხება დანაშაულიდან გამომდინარე სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ხოლო მეხუთე – საჩივრის შეწყვეტას და ბათილობას, სასჯელთა გაუქმებას და შემცირებას.

ბრაზილიაში ჯერ კიდევ 1930 წელს იყო მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1984 წელს ახალმა აქტმა შეცვალა. ეს უკანასკნელი, ინარჩუნებს რა ლათინური ამერიკის კოდექსის კონცეპტუალურ იდეებს, გარკვეულწილად, გერმანულ-რომანული მოდელის მიხედვით არის შედგენილი და ესპანური სამართლის უამრავ ნორმას შეიცავს. მისი თავისებურებები ის არის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება 18 წლის ასაკიდან; ითვალისწინებს მცდელობისთვის სასჯელის ერთი-ორად შემცირებას, ვიდრე ეს დამთავრებული დანაშაულისთვის არის განსაზღვრული; სასჯელი შემცირებულია, ასევე, ე.წ. „შუქლებელი დანაშაულის“ შემთხვევაში, იგნორირებულია ყოველგვარი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სხვისი დანაშაულებრივი ქმედებისას უმოქმედობისთვის; მონმისთვის ფიცის დადება სავალდებულოა 14 წლის ასაკიდან; ითვალისწინებს არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს; სიკვდილით დასჯა გაუქმდა 1978 წელს, თუმცა შენარჩუნებულია სამუდამო პატიმრობა; სასჯელთა შორის ფართოდ გამოიყენება ჯარიმა. სისხლის სამართლის კოდექსით, 213 დანაშაულიდან პატიმრობით ისჯება მხოლოდ 62, 98 – პატიმრობით და ჯარიმით, 53 კი მოსამართლის სურვილისამებრ ისჯება პატიმრობით ან ჯარიმით. საჯარიმო დღეები 1969 წელს იქნა შემოღებული და 2-დან 360 დღემდე განისაზღვრება.

თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ სერიოზული დანაშაულის ჩადენის ან მოსამართლის სათანადო განკარგულების შემთხვევაში. პირის დაკავების ვადაა 5 დღე, გარდა „ოდიოზური“ დანაშაულისა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 30 დღიანი ვადა.

ბრაზილიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულია 1941 წელს.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ბრაზილიის კონსტიტუცია 4 სახის ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ითვალისწინებს – პირადს, კოლექტიურს, სოციალურს და პოლიტიკურს. ამასთან, კონსტიტუცია ადამიანის უფლებისა და თავისუფლების, ასევე, მათი გარანტიის თვალსაზრისით ნორმათა მდიდარ მრავალფეროვნებას შეიცავს, მათ შორის ისეთებს, რომლებმაც გამოხატულება ვერ პოვა სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში. მაგალითად, მე-13 მუხლი შრომის ანაზღაურების შესახებ, 6 წლამდე ბავშვების უფასო დახმარება, პენსიონერებისთვის ინფლაციის შესაბამისად პენსიის ინდექსაციის უფლება და სხვ.

კონსტიტუცია ითვალისწინებს ინდივიდთა თანასწორობას, უცხოელებს ათანაბრებს მოქალაქეებთან, გარდა გამოწაკლისებისა. აღიარებულია მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის გარანტიები.

პირადი უფლებების გარანტიას წარმოადგენს ის, რომ დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით, გარდა დანაშაულზე წასწრების შემთხვევისა და ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი უნდა მოხდეს დაკავებულის იდენტიფიკაცია, დაცულია ადვოკატის მოთხოვნის უფლება, განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, გარდა ომის პერიოდისა. დეკანონებულია „ჰაბეას დატა“-ს პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიაში მცხოვრებ ბრაზილიელებსა და უცხოელებს უფლება აქვთ, მიიღონ მის შესახებ სახელმწიფო ორგანოებში არსებული ყველა ინფორმაცია.

კოლექტიურ უფლებებში აღსანიშნავია, ე. წ. „სახალხო მოქმედება“ – სახელმწიფო ორგანოთა აქტების შეცვლის კოლექტიური მოთხოვნა. საუბარია პოლიტიკური ოპოზიციის უფლებაზე, ხელი მიუწვდებოდეს ხელისუფლების ყველა ოფიციალურ დოკუმენტზე, მისი წარმომადგენლები ჩართული უნდა იყვნენ სახელმწიფოს მთელი რიგი სათათბირო ორგანოების მუშაობაში.

თავისუფალია პროფესიული კავშირების შექმნა, აღიარებულია გაფიცვის, შრომის თავისუფლების, დასვენების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის უფლებები და მათი გარანტიები.

კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უმნიშვნელოვანეს გარანტად კი ბრაზილიაში, ძირითადად,

ფედერალური და შტატების სასამართლო ორგანოები გვევლინებიან. ყველა პირს აქვს თავისი უფლებების დასაცავად მათთვის მიმართვის იურიდიული შესაძლებლობა.

სასამართლო სისტემა

სასამართლო ორგანოები დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. კონსტიტუცია მათ ადმინისტრაციულ და ფინანსურ დამოუკიდებლობას ანიჭებს. ამ პრინციპის ეფექტურად განხორციელებისთვის კი სასამართლო ორგანოებს საკუთარი ბიუჯეტის შედგენის უფლება ეძლევათ.

ბრაზილიის სასამართლო სისტემა მოიცავს ფედერალურ და ცალკეული შტატების სასამართლო სისტემას, სადაც იერარქიული პირამიდის უმაღლეს დონეზე, თავისთავად ცხადია, უმაღლესი ფედერალური სასამართლო და მართლმსაჯულების უმაღლესი ტრიბუნალი დგას. პირველი – 11, ხოლო მეორე 33 წევრს აერთიანებს. მათ, ფედერალური სენატის აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობით, ნიშნავს პრეზიდენტი 35-65 წლის ასაკის ბრაზილიის მოქალაქეთაგან, რომელთაც იურისპრუდენციაში სათანადო ცოდნა და დადებითი რეპუტაცია აქვთ.

უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ფუნქციები კონტროლის რამდენიმე სახესა და ინსტანციას მოიცავს. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, იგი განიხილავს პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, ეროვნული კონგრესის წევრის, უმაღლესი სასამართლოს წევრის, გენერალური პროკურორის, მინისტრის სისხლისსამართლებრივ საქმეებს, თუ ამას ფედერალური სენატი დაადგენს. „ჰაბეას დატას“ წესით იხილავს პრეზიდენტის, პალატების პრეზიდენტების, კონტროლის ტრიბუნალის და გენერალური პროკურორის მიერ გამოცემულ აქტებს. მას განეკუთვნება ისეთი სასამართლო ფუნქციებიც, როგორცაა პოლიტიკური დანაშაულებისა და „ჰაბეას კორპუსის“ წესის ადამიანის უფლებათა დარღვევის საქმეები.

მართლმსაჯულების უმაღლესი პალატა არის სისხლისა და სამოქალაქო საქმეების უმაღლესი ინსტანცია. იგი პირველი ინსტანციით განიხილავს გუბერნატორების, მოსამართლეთა ფართო წრის, მათ შორის, შტატების და ოლქების მართლმსაჯულების ტრიბუნალთა წევრების, მათივე კონტროლის ტრიბუნალების წევრთა მიერ ჩადენილ სისხლისსამართლებრივ საქმეებს. „ჰაბეას დატას“ წესით წყვეტს შტატების მინისტრების აქტების, თავისი გადაწყვეტილებების და „ჰაბეას კორპუსის“ დარღვევის საქმეებს. ქვემდებარეობის მიხედვით განიხი-

ლავს დაევებს ფედერალურ ტრიბუნალებს, ფედერაციის ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. ამონებებს ფედერალური სასამართლო ორგანოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებს და შეუძლია გააბათილოს საოლქო სასამართლოთა გადაწყვეტილებები.

საოლქო ტრიბუნალი არის ფედერალური სააპელაციო ინსტანცია. „ჰაბეას დატას“ წესით განიხილავს ფედერალური სასამართლოების, თავისივე გადაწყვეტილებებს და ზოგიერთ სხვა საქმეს. ქვემდგომ ინსტანციას კი ფედერალური სასამართლოები წარმოადგენენ და განიხილავენ მთელ რიგ სისხლისა და სამოქალაქო საქმეებს.

ბრაზილიაში, საერთო სასამართლოების გარდა, ფედერალურ დონეზე ფუნქციონირებს საარჩევნო იუსტიციის უმაღლესი სასამართლო, შრომითი დავების განმხილველი უმაღლესი სასამართლო, უმაღლესი სამხედრო სასამართლო, აგრეთვე, სამხედრო საქმეების სპეციალური ტრიბუნალები და საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში სამოქალაქო საქმეების ტრიბუნალები.

შტატების სასამართლო ორგანოთა სისტემა მრავალფეროვანია და ისინი ფინანსური და ადმინისტრაციული ავტონომიით სარგებლობენ. ამას გარდა, ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ შტატ მინას-ჟერაისში ფუნქციონირებს მართლმსაჯულების, პირველი ინსტანციის, ნაფიც მსაჯულთა, სამხედრო ტრიბუნალები, სამხედრო სასამართლოები და მშვიდობის იუსტიციის ორგანოები.

პროკურატურა ბრაზილიაში ასრულებს „სახელმწიფოს იურიდიულ ფუნქციას“, იცავს დემოკრატიულ რეჟიმს, საზოგადოებისა და ადამიანთა ინტერესებს. იგი ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა გენერალური პროკურორის ხელმძღვანელობით, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი სენატის თანხმობით.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

ფედერალურ დონეზე საკონსტიტუციო ზედამხედველობას, წინასწარი და საბოლოო საკონსტიტუციო კონტროლის ფორმით ახორციელებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო, რომელიც ლეგულობს გადაწყვეტილებას ფედერალური და შტატების კანონებისა და აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე, განიხილავს დავებს სახელმწიფოსა და შტატებს შორის, სახელმწიფოსა და ფედერალურ ოლქს შორის, შტატებსა და ოლქებს შორის, სხვა სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციათა და ფედერაციას, შტატებს, ფედერალურ ოლქსა და ტერიტორიებს შორის.

კონსტიტუციური საჩივრის შეტანის უფლება აქვს პრეზიდენტს, ეროვნული კონგრესის პალატების პრეზიდენტებს, გუბერნატორებს, გენერალურ პროკურორს, ეროვნულ კონგრესში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებს, ადვოკატთა ფედერალურ საბჭოს, პროფკავშირებს და პროფესიულ ეროვნულ ასოციაციებს.

ფედერალური აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის პროცესში, აქტის ტექსტის დასაცავად, აუცილებელია გენერალური პროკურორის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობა. თუ სასამართლო კანონს ან მის ნაწილს აღიარებს არაკონსტიტუციურად, ფედერალური სენატი კრძალავს კანონის ან ნორმის აღსრულებას, ხოლო თუ აქტი, მასში ან კანონმდებლობაში ხარვეზის გამო, კონსტიტუციის შეუსაბამოდ იქნება ცნობილი, სასამართლო შეაჩერებს მის აღსრულებას და მისი მიმღები ან სხვა სახელმწიფო ორგანო, რომელსაც მიმართავს სასამართლო, ვალდებულია 30 დღის მანძილზე კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანოს აღნიშნული აქტი.

საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი მოქმედებს შტატებშიც, რომლებიც შტატების კანონებისა და მუნიციპალური ორგანოების აქტების შტატების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს წყვეტენ.

ლიტერატურა:

1. Конституция Федеративной Республики Бразилии // Конституции зарубежных стран, Москва, „Юрлитинформ“, 2000, стр. 204-289;
2. გ. გოგიაშვილი, ბრაზილია//შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ. 165-168;
3. Маклаков В. В., Политические институты и конституционное право Бразилии // Иностранное конституционное право, Москва, „Юристъ“, 1997, стр. 332-354;
4. Чиркин В. Е., Основы конституционного права Бразилии // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Юристъ“, 1997, стр. 538-562;
5. Якушев А.В., Основы Конституционного права Бразилии // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 1999, стр. 236-241;
6. Standard penal code for Latin America. Internet .<http://Wings.buffalo.edu/Law/bolo/tatspc.htm>;
7. The Europa World Year Book 1998. Volume I. Brazil. p.680-708. Europa publications limited 1998.

ბულგარეთი

ბულგარეთი აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური სახელმწიფოა. მისი ტერიტორია 111 ათას კმ²-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 10 მილიონამდე აღწევს. ბულგარეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუმინეთი, დასავლეთით – სერბეთი და მაკედონია, სამხრეთით – საბერძნეთი და თურქეთი, ხოლო აღმოსავლეთით შავი ზღვა აკრავს. ბულგარეთის დედაქალაქია სოფია, სახელმწიფო ენა – ბულგარული, ფულის ერთეული – ლევი.

ბულგარული სამართალი გერმანულ-რომანული სამართლის ოჯახს მიეკუთვნება. მისი მოქმედი, რიგით მეოთხე კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1991 წლის 12 ივლისს, რომლის თანახმად ბულგარეთი გამოცხადებულია დემოკრატიულ, სამართლებრივ, სოციალურ სახელმწიფოდ, მმართველობის ფორმით საპარლამენტო, ხოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით უნიტარული რესპუბლიკაა.

კონსტიტუციური სამართალი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანახმად, სახელისუფლო შტოებს შორის ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: სახელმწიფო მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც მინისტრთა კაბინეტთან ინაწილებს აღმასრულებელ ხელისუფლებას; საკანონმდებლო ხელისუფლება ქვეყნის სახალხო კრებას ეკუთვნის; მართლმსაჯულებას ახორციელებს საერთო სასამართლოების სისტემა; ქვეყანაში მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლო.

პრეზიდენტი, საპარლამენტო რესპუბლიკისთვის განსხვავებული წესით, საყოველთაო არჩევნებით, უშუალოდ მოსახლეობის მიერ, 5 წლის ვადით აირჩევა. იგი განასახიერებს ერის ერთიანობას და წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს დაბადებით ბულგარეთის მოქალაქე, 40 წლის ასაკიდან, რომელიც ბოლო 5 წელი მაინც ცხოვრობს ბულგარეთში. პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა ანაზღაურებად თანამდებობასთან.

პრეზიდენტი ფართო უფლებებს ფლობს სახალხო კრებასთან მიმართებაში: ნიშნავს არჩევნებს და რეფერენდუმს, იწვევს პირველ სხდომას. მართალია, პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არა აქვს, მაგრამ აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო პროცესში, აქვეყნებს კანონებს და აქვს ვეტოს უფლება, მიმართვას უგზა-

ენის სახალხო კრებას, თუ ვერ შეთანხმდებიან მთავრობის შემადგენლობაზე ან არჩევნების დანიშვნაზე, შეუძლია მისი დათხოვნა. კონსულტაციებს ატარებს სახალხო კრებაში გაერთიანებულ პარტიებთან, მინისტრ-თავმჯდომარის კანდიდატურის და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის შესახებ, ნიშნავს გენერალურ პროკურორს, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მნიშვნელოვან სახელმწიფო მოხელეებს, მინისტრთა კაბინეტის წარდგინებთ ამტკიცებს ახალ ტერიტორიულ საზღვრებს, ნიშნავს და ათავისუფლებს დიპლომატიურ წარმომადგენლებსა და სამხედრო პირებს. მას ასევე შეუძლია მიიღოს ამნისტია, დააჯილდოს მედლებით და ნოდებებით, თავმჯდომარეობს ეროვნულ საკონსულტაციო საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ეროვნული კრების თავმჯდომარე, მინისტრ-თავმჯდომარე, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები, გენერალური შტაბის ხელმძღვანელი და საპარლამენტო უმრავლესობის ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ეს ორგანო იცავს მშვიდობას და წესრიგს, აგვარებს საშინაო და საგარეო საკითხებს. პრეზიდენტი ამ უფლებების განხორციელებისას გამოსცემს აქტებს, რომელთა ნაწილი საჭიროებს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კონტრასიგნაციას.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს თავისი ფუნქციების განხორციელებაში ეხმარება ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც პრეზიდენტთან ერთად აირჩევა. კანდიდატთა ტანდემმა უნდა მოაგროვოს არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობის ხმები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორი საპრეზიდენტო ტანდემისთვის, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს, ინიშნება მეორე ტური და გამარჯვებულად ჩაითვლება ის წყვილი, რომელიც მეტ ხმას მოაგროვებს. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს აქვთ იმუნიტეტი. ისინი თანამდებობიდან გადადგებიან პირადი განცხადებით, ავადმყოფობის გამო მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის მოტივით, კონსტიტუციის დარღვევის ან სახელმწიფოს ლალატისთვის, იმპიჩმენტის წესით. იმპიჩმენტის აღძვრის უფლება აქვს სახალხო კრების დეპუტატების მეოთხედს, წინადადების დეპუტატთა 2/3-ის მხარდაჭერის პირობებში, საქმე წარიმართება საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

პარლამენტი. ბულგარეთში საკანონმდებლო ხელისუფლებას და მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლს ახორციელებს ერთპალატიანი სახალხო კრება. იგი შედგება 4 წლის ვადით არჩეული 240 დეპუტატის – სახალხო წარმომადგენლისგან და ისინი წარმ-

ოადგენენ მთელ ერს. კონსტიტუციით იმპერატიული მანდატი აკრძალულია. სახალხო წარმომადგენლები მოქმედებენ კონსტიტუციის და კანონის საფუძველზე, მათ არ შეიძლება ეკავოთ სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა. სახალხო კრების წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, თუ იგი თავისი ნებით გადადგება, დაინიშნება შეუთავსებელ თანამდებობაზე, ძალაში შევა თავისუფლების აღმკვეთი სასამართლო განაჩენი. დეპუტატი არ შეიძლება დაკავებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ბრალი ედება მძიმე დანაშაულის ჩადენაში ან წაასწრეს დანაშაულის ფაქტზე, მაგრამ მაშინაც სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა აცნობონ სახალხო კრების თავმჯდომარეს და თუ იგი არ მისცემს დაკავების ნებას, დეპუტატი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

სახალხო კრება პროფესიული, მუდმივმოქმედი ორგანოა. იგი თავად განსაზღვრავს სხდომების ჩატარების დროს და ხანგრძლივობას. პირველივე სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს, მის 5 მოადგილეს, 10 მდივანს, ამტკიცებს მუდმივ და დროებით კომისიებს და ირჩევს მათ თავმჯდომარეებს.

სახალხო კრება ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობას, ამტკიცებს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრს, მისი წინადადებებით ახდენს მთავრობის ფორმირებას, ნიშნავს პრეზიდენტის არჩევნების დღეს, ნიშნავს ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს, აცხადებს საომარ ან საგანგებო მდგომარეობას, ნებას რთავს საომარი მოქმედების წარმოებისთვის, ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციას და დენონსაციას, პრეზიდენტის წარდგინებით აცხადებს ამნისტიას.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს სახალხო კრების წევრს და მინისტრთა კაბინეტს. შემოსული კანონპროექტის განხილვა ხდება ჯერ კომისიაში, შემდეგ, თუ კრება სხვა რამეს არ დაადგენს, სხვადასხვა დღეს, ორი მოსმენით სხდომაზე. სხვა საპარლამენტო აქტებს არ სჭირდება ორი მოსმენით მიღება. პრეზიდენტს შეუძლია პროექტი შესწორებებით უკან დაუბრუნოს პარლამენტს. ამ შემთხვევაში კენჭი ეყრება ორივე ვარიანტს და თუ პირვანდელი ვარიანტი მიიღებს ხმათა უმრავლესობას, პრეზიდენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს მას. ჩვეულებრივ, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 15 დღეში.

სახალხო კრება ქვეყნის ბიუჯეტის შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ქმნის საანგარიშო პალატას. პალატა შედგება 9 წლით დანიშნული 10 წევრისგან, რომელთაგან აირჩევა თავმჯდომარე.

სახალხო კრებას, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით შეუძლია მოიწვიოს დიდი სახალხო კრება, რომელიც შედგება საერთო წესით არჩეული 400 დეპუტატისგან, რომლებიც სანახევროდ აირჩევა მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით, მის უფლებამოსილებაში შედის ახალი კონსტიტუციის მიღება, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება, ქვეყნის ტერიტორიულ ცვლილებებთან, სახელმწიფო მონყობის და მმართველობის ფორმების შეცვლასთან დაკავშირებული და ზოგიერთი სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტა.

მთავრობა ბულგარეთში მინისტრთა საბჭოს სახით ფუნქციონირებს: წარმართავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ უშიშროებას და ხელმძღვანელობს სახელმწიფო ადმინისტრაციას. მის უფლებამოსილებაში შედის ბიუჯეტის შესრულების ორგანიზაცია, სახელმწიფო ქონების მართვა, ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია და დენონსაცია. შეუძლია გააუქმოს ცალკეული მინისტრების მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები, კანონის სარეალიზაციოდ გამოსცემს განკარგულებებს და ბრძანებებს. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მინისტრ-თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და მინისტრები.

მინისტრთა საბჭოს ფორმირება იწყება კონსულტაციებით პრეზიდენტსა და სახალხო კრების ხელმძღვანელობას შორის. პრეზიდენტი, მინისტრ-თავმჯდომარის კანდიდატურას საპარლამენტო უმრავლესობიდან, ავალებს მთავრობის შემადგენლობის ფორმირებას. თუ იგი ვერ მოახერხებს 7 დღეში მის ფორმირებას, პრეზიდენტი მიმართავს სიდიდით მეორე საპარლამენტო ფრაქციას. თუ ისიც ვერ მოახერხებს, პრეზიდენტი მიმართავს სიდიდით მესამე ჯგუფს და ა. შ. ვიდრე არ ჩამოყალიბდება მთავრობა. თუ მთავრობა მაინც ვერ ჩამოყალიბდა ან პირი, რომელმაც ჩამოაყალიბა მთავრობა არ აირჩიეს თანამდებობაზე, პრეზიდენტი დაითხოვს სახალხო კრებას და ნიშნავს დროებით მთავრობას.

მინისტრთა საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ ბულგარეთის მოქალაქეები 21 წლის ასაკიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ სახალხო წარმომადგენელთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ მინისტრად აირჩევა სახალხო კრების წევრი, მას დეპუტატობა შეუჩერდება მინისტრად ყოფნის დროს.

მინისტრთა საბჭო ანგარიშვალდებულია სახალხო კრების წინაშე. ამ უკანასკნელს, ხმების მეხუთედით შეუძლია დააყენოს საკითხი მინისტრთა საბჭოსთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე, გა-

დანყვეტილება მიიღება დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით. ამ შემთხვევაში მას უფლებამოსილება უწყდება, ისევე, როგორც საკუთარი ან მინისტრ-თავმჯდომარის გადაწყვეტილებით გადადგომის თაობაზე, ამ უკანასკნელის სიკვდილის შემთხვევაში და ახალარჩეული სახალხო კრების უფლებამოსილების დადასტურებასთან დაკავშირებით.

მინისტრ-თავმჯდომარე აყალიბებს სამთავრობო პოლიტიკას, კოორდინაციას უწევს სამინისტროების მუშაობას და წარმართავს მთავრობის საქმიანობას, პასუხისმგებელია მთლიანად მინისტრთა საბჭოს ქმედებებზე, ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილეებს, მინისტრები ხელმძღვანელობენ სამინისტროებს, თუ სახალხო კრება სხვანაირად არ გადაწყვეტს მათ საკითხს.

მინისტრთა საბჭო კონკრეტულ სფეროებში ქმნის სამინისტროებს, კომიტეტებს, კომისიებს, საბჭოებს და სააგენტოებს. მინისტრთა საბჭოს აპარატს ხელმძღვანელობს მთავარი მდივანი, საპარლამენტო მდივანი კი აგვარებს მინისტრთა საბჭოსა და სახალხო კრების ურთიერთობას, პრობლემებს სახალხო კრებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურებს შორის.

ბულგარეთის ტერიტორია იყოფა 8 ოკრუგად, 128 თემად და ქალაქის თემებად. თემის თვითმმართველობის ორგანოს წარმოადგენს 4 წლის ვადით არჩეული საკრებულო, რომლის უფლებამოსილებაში შედის ადგილობრივი პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, ეკონომიკური საკითხების, ბუნების დაცვის, სოციალური, ჯანდაცვის, კულტურის, საგანმანათლებლო საკითხებისა და სხვა ადგილობრივი პრობლემების მოგვარება. საკრებულო თავის შემადგენლობიდან ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, აირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც კოორდინაციას უწევს საკრებულოს მუშაობას.

თემის აღმასრულებელ ორგანოს მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით არჩეული კმეტი წარმოადგენს, რომელიც ამავდროულად ადმინისტრაციული ცენტრია. კმეტის წარდგინებით საკრებულოს შეუძლია აირჩიოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, კმეტის წევრი უნდა იყოს ბულგარეთის მოქალაქე საშუალო განათლებით მაინც. კმეტში მოღვაწეობისას წევრი აჩერებს პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობას და სამეწარმეო საქმიანობას. კმეტი საქმიანობას წარმართავს კანონების და საკრებულოს აქტების საფუძველზე, ირჩევს თემის მდივანს, რომელსაც კმეტის საქმიანობის კოორდინატორის ფუნქცია აკისრია. კმეტის აქტების აღსრულების შეჩერების უფლება

აქვს საკრებულოს 2 თვის ვადით, მაგრამ ეს გადაწყვეტილება 7 დღის მანძილზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

რაიონებსა და სოფლებში წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციას ასრულებს მოსახლეობის საერთო კრება, რომელიც წყვეტს ადგილობრივ საკითხებს და მოინვევა მოსახლეობის მეოთხედის მოთხოვნით. ოკრუგს არ გააჩნია თვითმმართველობის ორგანო. აქ მმართველობას თავის თავზე ღებულობს ოკრუგის მინისტრთა საბჭო. იგი ახორციელებს ცენტრის პოლიტიკას, იცავს ეროვნულ ინტერესებს, კანონიერებასა და წესრიგს. მას აქვს თემების საკრებულოზე ზემოქმედების ბერკეტები, თვალყურს ადევნებს საკრებულოს აქტების კანონიერებას.

დედაქალაქის დიდი თემი გათანაბრებულია ოკრუგებთან და იგი სპეციფიკური ტერიტორიული ერთეულია. მასში გაერთიანებულია თვითმმართველობა და მმართველობა. დედაქალაქის თემი იყოფა 24 რაიონად. აქ აირჩევა საბჭოები, რომლებიც განსაზღვრავენ და აწესრიგებენ ადგილობრივ პრობლემებს. თემი ყველაზე პატარა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. აქაც არსებობს საკრებულო, რომელშიც წევრების რაოდენობა დამოკიდებულია თემის მოსახლეობის რიცხოვნობაზე და 9-დან 65-მდე მერყეობს.

საარჩევნო სამართალი

ბულგარეთში საარჩევნო სამართალი კანონთა მთელი პაკეტისგან შედგება, კერძოდ, ეს არის კანონები დიდი სახალხო კრების არჩევნების, პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნების, სახალხო წარმომადგენლების და ადგილობრივი არჩევნების შესახებ. აქტიური საარჩევნო უფლება აქვს ბულგარეთის მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან. არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი პრინციპების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. არჩევნებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო.

სახალხო კრებასა და საკრებულოში დეპუტატებად აირჩევა ბულგარეთის მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების გზით, პროპორციული სისტემით. სახალხო კრების არჩევნებს ნიშნავს პრეზიდენტი, წინა კრების უფლებამოსილების გასვლამდე არანაკლებ 50 დღით ადრე. ქვეყნის მასშტაბით იქმნება 31 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, რომლებიც საარჩევნო რაიონებად იწოდება და რომლის შემადგენლობაში ყოველ ათას ამომრჩეველზე იქმნება საარჩევნო სექტორად წოდებული საარჩევნო უბანი. ასე რომ, საარჩევნო ოლქების მიხედვით საპარლამენტო მანდატების რაოდენობა შესაბამისი ოლქის

ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლის რაოდენობის გათვალისწინებით განისაზღვრება.

პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს სახალხო კრება. პრეზიდენტის არჩევნების დროს მთელი ქვეყანა ითვლება ერთმანდატიან ოლქად. ბულგარეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ქვეყნის გარეთ იმყოფებიან, შეუძლიათ ხმა მისცენ მხოლოდ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, არჩევნებამდე გამოგზავნილი სპეციალური მოთხოვნის საფუძველზე.

კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს პოლიტიკურ პარტიას, პარტიათა კოალიციას და ბლოკებს, ასევე, 5-7 კაციან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს. რეგისტრაციაში გავლისთვის პირმა უნდა წარმოადგინოს საარჩევნო ოლქში მცხოვრები 2000, ხოლო ადგილობრივ არჩევნებში 500 ამომრჩევლის ხელმოწერა. იმისთვის, რომ პარტიამ მოიპოვოს მანდატები სახალხო კრებაში, უნდა დაძლიოს 4%-იანი ბარიერი. პრეზიდენტობის კანდიდატს წარმოადგენენ პარტია, პარტიათა ბლოკი და საინიციატივო კომიტეტი 15 ათასი ამომრჩევლის შემადგენლობით. თუ პირველსავე ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა, მეორე ტურში გადის ორი უკეთესი შედეგის მფლობელი კანდიდატი და გაიმარჯვებს ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს.

პარტიას, რომელიც დიდი სახალხო კრების არჩევნებში 50 ათასზე მეტ ხმას მიიღებს, აქვს უფლება ავანსის სახით მიიღოს არჩევნების დასაფინანსებელ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხის 50%, ხოლო სხვა პარტიებს შეუძლიათ მიიღონ მოკლევადიანი უპროცენტო სესხები. არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას გამოეყოფა დამატებითი თანხა ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებისთვის.

ბულგარეთის საარჩევნო სამართალი დიდი ყურადღებით ეკიდება რეფერენდუმის ინსტიტუტს. რეფერენდუმის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს სახალხო კრება, ნევრების მეოთხედის, პრეზიდენტის ან მინისტრთა საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე, რის შემდეგ პრეზიდენტი ადგენს რეფერენდუმის ჩატარების თარიღს. რეფერენდუმის გადაწყვეტილება ავტომატურად შედის ძალაში მხარდაჭერიდან 7 დღეში.

სამოქალაქო სამართალი

ახალი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის პირობაზე, ბულგარული სამოქალაქო სამართლის თავისებურება ის გახლავთ, რომ ამ სფეროში მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი და კანონების

უმრავლესობა სოციალისტური იდეებით არის გაჯერებული და მათი არსებითი შეცვლა ჯერაც არ მომხდარა, თუ არ გავითვალისწინებთ მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მრავალრიცხოვანი ცვლილებებითა და დამატებებით ეტაპობრივ კემსვას. მაგალითად, სავაჭრო ურთიერთობების სესხის ნაწილს არეგულირებს 1950 წელს მიღებული კანონი ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების შესახებ. მაგრამ ამ მხრივ უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია 1991 წლის 16 მაისს მიღებული სავაჭრო კოდექსის მესამე თავი, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებს არეგულირებს და მეოთხე თავი, რომელიც, გარდა იმისა, რომ სავაჭრო წარმომადგენლობების სამი ნაირსახეობა – სავაჭრო წარმომადგენლები, სავაჭრო რწმუნებულები და სავაჭრო შუამავლები შემოაქვს, ზედმინენით არეგულირებს მათ ურთიერთობას; აგრეთვე, მეთოთხმეტე თავი, რომელიც სააქციო საზოგადოებების დანესებისა და საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს.

ბულგარული კანონმდებლობის მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დასაბამი მიეცა და საკმაოდ ინტენსიურად ვითარდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზა. პირველი ასეთი ნორმატიული აქტი იყო 1991 წლის 2 მაისის კანონი კონკურენციის შესახებ, რომელშიც მოცემულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ამსახველ ქმედებათა ჩამონათვალი. კანონის თანახმად, აკრძალულია ერთდროული მონაწილეობა კონკურენტი საწარმოს მართვისა და კონტროლის ორგანოების შემადგენლობაში. არაკეთილსინდისიერ კონკურენციად კვალიფიცირებულ ქმედებებზე, კანონით გათვალისწინებულია სასამართლო ქვემდებარე პასუხისმგებლობა და ქონებრივი სანქციები. კანონის მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შეიქმნა კონკურენციის დაცვის დამოუკიდებელი კომისია, რომლის ფორმირების წესი და კომპეტენცია განსაზღვრულია 1991 წლის 15 ნოემბრის დებულებით კონკურენციის დაცვის კომისიის შესახებ.

რაც შეეხება მემკვიდრეობის სამართალს, აქ მოქმედებს 1949 წლის 29 იანვარს მიღებული კანონი მემკვიდრეობის შესახებ, მასში შეტანილი მრავალი ცვლილებითა და დამატებით.

უკანასკნელ წლებში ბულგარული სამოქალაქო სამართალი ახალი კანონებით შეივსო, კერძოდ, სანივთო სამართლის სფეროს აწესრიგებს 1991 წლის 15 ნოემბრის კანონი საკუთრების შესახებ და 1996 წლის 15 მაისის კანონი სახელმწიფო საკუთრების შესახებ.

სისხლის სამართალი

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის საკითხთა უმრავლესობას, სამოქალაქო სამართლისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს, რომელიც, ამასთან, მრავალი სიახლით გამოირჩევა. კერძოდ, მისთვის დამახასიათებელია პოსტსაბჭოური სახელმწიფოების სისხლის სამართლის კოდექსებში აქცენტირებულ ნორმათა სისტემის ზედმინევით დეტალიზაცია და სანქციითა ლიბერალიზაციის ტენდენცია. ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსი, ისევე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა ამ ქვეყნებში, ზოგადი და კერძო ნაწილებისგან შედგება და მუხლების სიმრავლით გამოირჩევა, კერძოდ, 400-მდე მუხლს მოიცავს.

ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსისთვის დამახასიათებელია სასჯელთა ლიბერალიზაციის ტენდენცია, რაც იმით გამოიხატება, რომ მთელი რიგი სასჯელების ნაცვლად, კოდექსში ხშირად გამოიყენება სისხლისსამართლებრივი სასჯელის ისეთი სახე, როგორიც ჯარიმაა. მართალია, ჯარიმა, სისხლის სამართლის დანაშაულისთვის მოქმედ სხვა სასჯელებთან შედარებით ჰუმანური ზომაა, მაგრამ მისი თანხობრივი მოცულობა ხშირ შემთხვევაში ისეთია, რომ დამნაშავეს ძალზე რთული მატერიალური პრობლემების წინაშე აყენებს. მაგალითად, ცილისნამებისა და შეურაცხყოფისთვის განსაზღვრული ჯარიმის თანხა შეიძლება 5 მილიონიდან 30 მილიონ ლევს ანუ 3 ათასიდან 18 ათას დოლარამდე შეადგენდეს. ამ დროს კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირი პირველად იქნება შემჩნეული იარაღის ტარებაში, საკითხი აქაც ჯარიმის ფორმით გადაწყდება.

მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის „დამკვრელური წესით“ მომზადებამ და მიღებამ, სერიოზული ხარვეზებით აღავსო იგი, რომელთა ერთიანი შეფასება კი იმას გულისხმობს, რომ კოდექსის ნორმების მნიშვნელოვანი ნაწილი, უბრალოდ, არ მოერგო პოსტსოციალისტური ბულგარეთის თანამედროვე რეალობას. ყოველივე ამან კი ახალი კოდექსის მიღებიდან პირველივე თვეებში, ცვლილება-დამატებების გზით მისი, არსებითი თუ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, კემსვა გამოიწვია და ასე გრძელდება დღესაც, ალბათ არცთუ უკანასკნელი ცვლილებები 1999 წლის ბოლოს იქნა მიღებული.

ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები

ბულგარეთში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა სახელმწიფო პრიორიტეტად არის გამოცხადებული. კონსტიტუციის

თანახმად, ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე, ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი. ბულგარეთის კონსტიტუცია იცავს ადამიანის სიცოცხლეს, ღირსებას, პიროვნების უფლებას და ქმნის პირობებს ადამიანის ჰარმონიული განვითარებისთვის. კონსტიტუციის თანახმად, არ შეიძლება რაიმე უპირატესობის მინიჭება რასის, სქესის, ეროვნულობის, ეთნიკური მდგომარეობის, წარმომავლობის, რელიგიის, განათლების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობისა და პირადი რწმენის გამო.

კონსტიტუციის ტექსტში არსად არ არის ცალკე გამოყოფილი მოქალაქეთა უფლებები, ყველა შემთხვევაში, კონსტიტუციურ ნორმათა სისტემა ამტკიცებს და არეგულირებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ყოველი ცალკეული პირის მიმართ, რომელიც ბულგარეთის ტერიტორიაზე იმყოფება.

კონსტიტუციაში დაწვრილებით არის წარმოჩენილი ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და თავისუფლებები. შრომა და პროფესიის არჩევა თავისუფალია და არ დაიშვება იძულება. სოციალური უფლებებიდან აღსანიშნავია სოციალური დაზღვევის უფლება და უმნიშვნელოვანესი უფლება საკუთრებაზე. კულტურული უფლებებიდან მნიშვნელოვანია განათლების უფლება, ისტორიული ძეგლების გამოყენების უფლება.

კონსტიტუცია, ზემოაღნიშნულ უფლებებთან ერთად, ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებებს, კერძოდ, ყველა მოქალაქე ვალდებულია შეასრულოს კონსტიტუციის და კანონის მოთხოვნები. ამასთან, კონსტიტუცია ამკვიდრებს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს, რომლის თანახმად არ დაიშვება ამ უფლებების ბოროტად გამოყენება ან ისეთი გამოყენება, რაც ლახავს სხვა მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, იზღუდება პირის უფლებები, თუ იგი ჩაიდენს დანაშაულს და მიესჯება თავისუფლების აღკვეთა.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მთავარი გარანტი საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოების სისტემაა. ყველა დარღვეული უფლება და თავისუფლება, ქვემდებარეობის მიხედვით შეიძლება შესაბამის სასამართლოში გასაჩივრდეს.

სასამართლო სისტემა

სასამართლო ორგანოთა საქმიანობის პრინციპები, სტრუქტურა და სისტემის ელემენტების ურთიერთმიმართება რეგულირდება კონსტიტუციით და 1994 წლის კანონით სასამართლო ხელისუფლების

შესახებ. ბულგარეთში სამრგოლიანი სასამართლო სისტემა ფუნქციონირებს: უმაღლესი საკასაციო სასამართლოთი სათავეში, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოთი და ქვემდგომი სასამართლოებით, როგორცაა სააპელაციო სასამართლოები, საოლქო სასამართლოები, რაიონული სასამართლოები და სამხედრო სასამართლოები. ძირითადი კანონი უშვებს სპეციალური სასამართლოების შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ დაუშვებლად მიაჩნია საგანგებო სასამართლოების შექმნა.

უმაღლესი საკასაციო სასამართლო, დანარჩენ სასამართლოებში კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, სასამართლო ზედამხედველობას ახორციელებს. იგი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოა სისხლის და სამოქალაქო საქმეებზე. საკასაციო სასამართლოს შემადგენლობაში შედის სისხლის, სამოქალაქო და სამხედრო კოლეგიები, რომლებიც განყოფილებებად იყოფიან.

საკასაციო სასამართლო მუშაობას ეწევა კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. თუ საქმე ეხება კანონის განმარტებას, მათ შეუთავსებლობას, ან საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის საკითხს, სხდომა მთელი კოლეგიის შემადგენლობით ტარდება. სისხლის და სამხედრო საქმეთა კოლეგიები ქმნიან საერთო კრებას, რომელსაც ესწრებიან მთავარი პროკურორი და კოლეგიების წევრები. იგი წარმოადგენს სასამართლოს უმაღლეს ორგანოს და წყვეტს უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ადმინისტრაციულ იუსტიციაში. იგი ასრულებს უმაღლესი სასამართლოს ფუნქციებს, ერთი მხრივ, მოქალაქეთა და იურიდიულ პირებს და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოებს შორის წარმოქმნილი დავების განხილვისას, ასევე, გადაწყვეტს დავებს მინისტრთა კაბინეტის, მინისტრებისა და სხვა ორგანოების მიერ გამოტანილი აქტების კანონიერების თაობაზე. სასამართლო სხდომა მიმდინარეობს სამი მოსამართლის შემადგენლობით, მაგრამ მინისტრთა კაბინეტის აქტების კანონიერების საკითხს იხილავს ხუთი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია.

სააპელაციო სასამართლო განიხილავს საჩივრებს რაიონული და საოლქო სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებსა და განჩინებებზე. ამასთან, იგი განიხილავს ქვემდგომი სასამართლოს მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. აღნიშნულ სასამართლოში იქმნება სამი – სამოქალაქო, სისხლის და სავაჭრო განყოფილებები, თითოეული სამი მოსამართლის შემადგენლობით.

არსებობს სამხედრო სააპელაციო სასამართლოც, რომელიც სააპელაციო ინსტანციით განიხილავს საქმეებს სამხედრო საკითხებზე.

საოლქო სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით გათვალისწინებულ საქმეებს, ხოლო სააპელაციო ინსტანციით საჩივრებს და პროტესტებს რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. საოლქო სასამართლოში იქმნება სამოქალაქო, სამენარმეო, სისხლის და ადმინისტრაციული განყოფილებები. ეს სასამართლო ითვალისწინებს უმცროსი მოსამართლეების ინსტიტუტს და როცა საქმე განიხილება სამი მოსამართლის შემადგენლობით, აქედან ერთი უმცროსი მოსამართლეა.

რაიონული სასამართლო პირველი ინსტანციით, მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით განიხილავს საქმეებს. ამ სასამართლოში თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მოსამართლეების გარდა, მოქმედებს მოსამართლე აღმასრულებელი, რომელსაც ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. სამხედრო საქმეებს, შესაბამისად, განიხილავენ რაიონული, სააპელაციო და საკასაციო სამხედრო სასამართლოები. სამხედრო სააპელაციო სასამართლოებს ამ სფეროში აქვთ დისციპლინური საქმეების განხილვის უფლებაც.

კონსტიტუციის 128-ე მუხლის თანახმად, პროკურატურის სტრუქტურა სასამართლო სტრუქტურას შეესაბამება, საგამოძიებო ორგანოები სასამართლო ორგანოების სისტემაში შედიან და წინასწარ გამოძიებას ახორციელებენ.

ბულგარეთის კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლეებს, პროკურორებს და გამომძიებლებს ნიშნავს, აწინაურებს, ჩამოაქვეითებს, თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი სასამართლო საბჭო, რომელიც 25 წევრისგან შედგება. საბჭოში თანამდებობრივად გაერთიანებულნი არიან უმაღლესი საკასაციო სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეები და გენერალური პროკურორი. წევრებად აირჩევიან მაღალი პროფესიული და ზნეობრივი თვისებების იურისტები, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟით. 11 წევრს ირჩევს სახალხო კრება, 11-ს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, რომელთაგან 5 მაინც უნდა იყოს მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი. საბჭოს თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი, თუმცა იგი კენჭისყრაში არ მონაწილეობს. ბულგარეთში, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენება იმ საბჭოების კომპეტენციაში შედის, რომლის შემადგენლობაშიც შეირჩევიან უმაღლეს საკასაციო სასამართლოსთან მოქმედი დისციპლინური კომიტეტის წევრები.

მოსამართლეს, პროკურორს, გამომძიებელს და სასამართლო სისტემის სხვა რგოლის მოხელეებს აქვთ იმუნიტეტი.

უმალლესი საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეს და მთავარ პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი, უმაღლესი სასამართლო საბჭოს წარდგინებით, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტი ვერ უარყოფს კანდიდატურას განმეორებითი წინადადების შემთხვევაში და იგი იძულებულია, დაამტკიცოს იგი.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

ბულგარეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი საფუძვლები ჩამოყალიბებულია 1991 წლის კონსტიტუციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ 1991 წლის 16 აგვისტოს კანონში.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის ფორმირებაში მონაწილეობს ხელისუფლების სამივე შტო. სასამართლო შედგება 12 მოსამართლისგან, რომელთაგან მესამედს ირჩევს სახალხო კრება, მესამედს ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო მესამედს ირჩევენ უმაღლესი საკასაციო სასამართლოს და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს საერთო კრებაზე. მოსამართლეები ინიშნებიან 9 წლის ვადით, ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა, როტაციის წესით, ყოველ 3 წელიწადში მესამედით განახლდება. მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს იურიდიული განათლების მქონე პირი, არანაკლებ 15 წლის იურიდიული მუშაობის სტაჟით. მოცემული თანამდებობა შეუთავსებელია სხვა ანაზღაურებად თანამდებობასთან, მოსამართლეს აქვს იმავე სახის იმუნიტეტი, რაც სახალხო კრების წევრს. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომლის სტატუსიც სახალხო კრების თავმჯდომარის სტატუსის ანალოგიურია.

საკონსტიტუციო სასამართლოს მრავალფეროვანი კომპეტენცია აქვს: რომელთა შორის, მთავარია კანონის და კონსტიტუციის მუხლების განმარტების უფლება; განიხილავს და ევებს პარლამენტს, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის; საარჩევნო და ევებს პირველი ინსტანციით; მთლიანობაში გამოდის როგორც უმაღლესი საარჩევნო სასამართლო, რომელიც არჩევნების, სახალხო ინიციატივის, რეფერენდუმის ჩატარების კანონიერებას

ამონმებს; იძლევა დასკვნებს იმპიჩმენტის პროცედურასთან დაკავშირებით; იხილავს პოლიტიკური პარტიების კანონიერების საკითხს.

საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტია საერთაშორისო ხელშეკრულებები. ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს გადანყვეტილებები, ერთი მხრივ, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმავდროულად კანონების შესაბამისობაზე საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაო აღიარებულ ნორმებთან, საერთაშორისო სამართლის პრინციპების პრიმატის დაცვით. სწორედ აქ იყენებს ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლო წინასწარი კონტროლის მექანიზმს, აუმოქმედებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რაც ხსნის ყოველგვარ შესაძლო კოლიზიას ეროვნულ და საერთაშორისო სამართალს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის უფლება აქვთ სახალხო კრების წევრთა მეზუთედს, პრეზიდენტს, მინისტრთა საბჭოს, უმაღლეს საკასაციო სასამართლოს, უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოს, გენერალურ პროკურორს, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს ორგანოს და მოქალაქეს.

ლიტერატურა:

1. Конституция республики Болгария, „Правоведение“ 1991, №6;
2. Андреева, Г.И., Основы конституционного права Болгарии //Конституционное (Государственное) право зарубежных стран, т.3, страны Европы, Рук. Авт. коллектива и авт. ред. Б.А. Страшун, Москва, „БЕК“, 1997, Стр. 606-682;
3. Андреева Г.И., Административное право Болгарии //Административное право зарубежных стран, Москва, „Спарк“, 1996, стр. 200-212;
4. Андреева Г.И., Политические институты и конституционные право Болгарии //Иностранное конституционное право, ред. Маклаков В.В., Москва, „Юристъ“, 1996, стр. 475-503;
5. И. Неповски, М. Жабинска, Конституционный суд Болгарии, „Государство и право“, №9, стр. 74-79;
6. Якушев А.В., Основы конституционного права Болгарии, //Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 2000г. стр. 216-222.

გერმანია

გერმანია მსოფლიოს „დიდ რვიანში“ შემავალი, მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, რომლის 81 მილიონზე მეტი მრავალეროვანი მოსახლეობა დასავლეთ ევროპის 356,2 ათას კმ² ტერიტორიაზე ბინადრობს. გერმანიას აღმოსავლეთით პოლონეთი ესაზღვრება; სამხრეთით — ჩეხეთი, ავსტრია და შვეიცარია; დასავლეთით — საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ბელგია და ნიდერლანდი, ხოლო ჩრდილოეთით — დანია, ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვები. ქვეყნის დედაქალაქია ბერლინი. სახელმწიფო ენა — გერმანული; ფულის ერთეული — გერმანული მარკა.

გერმანია რომანულ-გერმანული ანუ კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, რომელიც 1949 წლის 23 მაისს იქნა მიღებული, 1990 წლის 3 ოქტომბრიდან, როდესაც განხორციელდა გერმანიის გაერთიანება, უკვე მთელი გერმანიის კონსტიტუციად იქცა.

სახელმწიფო წყობა ქვეყნის ძირითადი კანონით დამკვიდრებულ ხუთ ძირითად პრინციპს ეფუძნება: გერმანია არის დემოკრატიული, ფედერაციული, სოციალური სამართლებრივი რესპუბლიკა — პარლამენტური მმართველობის ფორმით.

კონსტიტუციური სამართალი

გერმანიაში ხელისუფლების ბალანსი ასეთი სახით ჩამოყალიბდა: სახელმწიფოს ჰყავს ფორმალური მეთაური — ფედერალური პრეზიდენტი; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ბუნდესტაგს, რომელსაც პარტნიორობას უწევს ბუნდესრატი; აღმასრულებელი ხელისუფლება ბივალენტურია: პრეზიდენტის მცირე აღმასრულებელი ფუნქციების კვალობაზე მოქმედებს და ფედერალური მთავრობა — სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაურით — კანცლერით სათავეში; მართლმსაჯულებას ახორციელებს ფედერალური უმაღლესი სასამართლო და ფედერალური სასამართლოები. ქვეყანაში მოქმედებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.

პრეზიდენტი აირჩევა ირიბი არჩევნებით 5 წლით და ხელმეორედ არჩევა დაიშვება მხოლოდ ერთხელ. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს 40 წელს მიღწეული „ყოველი გერმანელი“. იგი არ შეიძლება შედიოდეს ფედერაციის ან რომელიმე მიწის მთავრობის ან

საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობაში. მას არ შეიძლება ეკავოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, მისდევდეს რაიმე ხელობას ან ახორციელებდეს პროფესიულ საქმიანობას.

პრეზიდენტის უმთავრესი უფლებამოსილებაა კანცლერის კანდიდატურის ბუნდესტაგისთვის წარდგენა, შემდეგ, კანცლერის წარდგინებით, ფედერალური მინისტრების დანიშვნა და გათავისუფლება. პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერალურ მოსამართლეებსა და ფედერალურ მოხელეებს. ცალკეულ შემთხვევებში, ახორციელებს შეწყალების უფლებას. პრეზიდენტი არ არის პასუხისმგებელი თავისი ქმედებებისთვის. მისი ყველა აქტი უნდა იყოს კონტრასიგნებული კანცლერის ან კომპეტენტური მინისტრის მიერ. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი სარგებლობს ხელშეუხებლობით, დაუშვებელია მისი დევნა და პირადი თავისუფლების შეზღუდვა.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი შეიძლება გათავისუფლდეს, თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს მის მიერ კონსტიტუციის ან ფედერალური კანონის განზრახ დარღვევის ფაქტს. მოსარჩლე შეიძლება იყოს ბუნდესტაგი ან ბუნდესრატის, ხმების მეოთხედით მაინც. ბრალდების წარდგენისას საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია პრეზიდენტი დროებით გადააყენოს თანამდებობიდან. ბრალდების წარდგენას სჭირდება ერთ-ერთი პალატის ხმების 2/3 მაინც. ბრალდების აღძვრის შემდეგ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია პრეზიდენტს დროებით აღუკვეთოს თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელება; ხოლო როცა ბრალდებას დაადგენს შეუძლია გამოაცხადოს პრეზიდენტისთვის თანამდებობის ჩამორთმევის თაობაზე.

პარლამენტი. ძირითადი კანონი არ აღიარებს პარლამენტის ორპალატიანობას. ფაქტობრივად, გერმანიის პარლამენტს პირდაპირ ხალხის მიერ არჩეული ერთადერთი უმაღლესი სახელმწიფო სტრუქტურა — ბუნდესტაგი წარმოადგენს. ბუნდესრატს, ფედერაციის სუბიექტების ინტერესების დაცვის მიზნით, „საკუთარი წვლილი“ შეაქვს კანონშემოქმედებასა და ქვეყნის მართვაში. მაგრამ ბუნდესრატი მეორე საკანონმდებლო ორგანო უფროა, ვიდრე პარლამენტის პალატა. ეს უფრო ზუსტი განსაზღვრებაა ამ „ფარული ორპალატიანობის“ სამართლებრივი ბუნებისა.

ბუნდესტაგი აირჩევა 4 წლით საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული არჩევნების გზით. დეპუტატები ფლობენ თავისუფალ მანდატს, ემორჩილებიან მხოლოდ საკუთარ სი-

ნდისს. ამჟამად ბუნდესტაგში 672 დეპუტატი მოღვაწეობს. მათი საქმიანობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობებთან, მათ ეკრძალებათ პოსტების დაკავება კერძო ფირმებში. ბუნდესტაგის დეპუტატი ფლობს იმუნიტეტს, მაგრამ შეიძლება დაკავებულ იქნეს პარლამენტის თანხმობის გარეშე დანაშაულის ჩადენის ადგილზე ან ამ შემთხვევიდან მეორე დღეს.

ბუნდესტაგის წევრები უფლებამოსილების ვადით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტიები, რომლებსაც ჰყავთ ბუნდესტაგის შემადგენლობაში წევრთა 5% მაინც, ქმნიან ფრაქციებს. ბუნდესტაგის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და ფრაქციების 23 წარმომადგენელი, პროპორციულობის პრინციპით, ქმნიან უხუცესთა საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს სხდომების დღის წესრიგს, აგვარებს პროცედურულ საკითხებს.

ბუნდესტაგის ფუნქციებია კანონმდებლობა, სახელისუფლო ორგანოების ფორმირება, კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე. ბუნდესტაგი საქმიანობის დიდ ნაწილს ახორციელებს კომიტეტებსა და კომისიებში. 22 კომიტეტი იქმნება სამთავრობო სტრუქტურების შესაბამისობით, დროებითი კომისიები — სამინისტრო უწყებების მიმართ საკონტროლო და საგამომძიებლო ფუნქციებით.

ბუნდესრატის 68 წევრი ინიშნება მიწების მთავრობების მიერ საკუთარი შემადგენლობიდან და განწევვაც მათ მიერ ხდება. მიწების წარმომადგენლობა ბუნდესრატში მათი მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული და 3-დან 6-მდე მერყეობს. კონსტიტუცია არ ადგენს ბუნდესრატის უფლებამოსილებების ვადას, ამიტომ იგი დინამიკურად ცვალებადი ორგანოა. ბუნდესრატის პრეზიდენტი როტაციით აირჩევა და ერთწლიანი შეთავსებადი თანამდებობაა. პრეზიდენტი იწვევს და ხელმძღვანელობს პლენარულ სხდომებს, თავის სამ მოადგილესთან ერთად ქმნის პრეზიდიუმს, რომელიც პასუხს აგებს ბუნდესრატის ბიუჯეტზე და აგვარებს შინაგან საკითხებს. პრეზიდიუმთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოში ყველა მიწის წარმომადგენელი გაერთიანებული. აქაც, სამთავრობო სტრუქტურების შესაბამისობით, შექმნილია 17 მუდმივი კომისია.

ბუნდესტაგში კანონპროექტი შეიტანება ფედერალური მთავრობის, ბუნდესტაგის წევრების ან ბუნდესტაგის მიერ. მას სამი მოსმენით იხილავს ბუნდესტაგი და მიღების შემდეგ გადასცემს ბუნდესრატს. ამ უკანასკნელის თანხმობის შემდეგ, კანონი ითვლება ძალაში შესულად. თუ ბუნდესრატს კანონპროექტის მიმართ ცვლილებები აქვს, შეუძლია მოითხოვოს ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის წევრებისაგან

შემდგარი შემთანხმებელი კომისიის მოწვევა, რომელსაც შემოაქვს კომპრომისული წინადადება. თუ კომისია დააყენებს საკითხს კანონპროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ, ბუნდესტაგმა განმეორებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

ბუნდესრატს აქვს უფლება, ე.წ. განსაკუთრებული საკანონმდებლო ვითარების პირობებში, ბუნდესტაგის თანხმობის გარეშე, მთავრობის მოთხოვნით მიიღოს კანონი. პრეზიდენტს კი შეუძლია, ფედერალური მთავრობის წინადადებით და ბუნდესრატის თანხმობით ბუნდესტაგის მიერ უარყოფილი კანონპროექტის მიმართ გამოაცხადოს ე.წ. განსაკუთრებული საკანონმდებლო ვითარება. თუ ამის შემდეგ ბუნდესტაგი ხელახლა უარყოფს კანონპროექტს ან მიიღებს მას ფედერალური მთავრობისათვის მიუღებელი რედაქციით და თუ ბუნდესრატიც დაეთანხმა, მაშინ კანონი ჩაითვლება ამოქმედებულად.

ფედერალური მთავრობა აერთიანებს და წარმართავს აღმასრულებელი ორგანოების დაქსაქსულ სისტემას. ფედერალური მთავრობის უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებაა საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება და ბუნდესრატის თანხმობით, ცალკეულ საკითხებზე კანონის ძალის ბრძანებულებების გამოცემა.

ფედერალური კანცლერი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და კისრულობს პასუხისმგებლობას მათ გამო. თითოეული ფედერალური მინისტრი, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, წარმართავს თავის საკურაციო დარგისა თუ სფეროს საქმიანობას. საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა გადადის ფედერალური კანცლერის ხელში. რეალურად მისგანვე მოდის მნიშვნელოვანი ნაწილი მარეგულირებელი აქტებისა. კანცლერს, ისევე როგორც ფედერალურ მინისტრს, უფლება არა აქვს, შეითავსოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, მისდევდეს რაიმე ხელობას და ახორციელებდეს პროფესიულ საქმიანობას.

ბუნდესტაგსა და მთავრობას შორის არსებული უნდობლობის პირობებში აქ შემოდის „კონსტრუქციული ვოტუმის“ იდეა, რომლის თანახმად, ბუნდესტაგს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს ფედერალურ კანცლერს, თავისი ნევრების უმრავლესობის მიერ მისი შემცვლელის არჩევის გზით. პრეზიდენტი მოვალეა დააკმაყოფილოს ბუნდესტაგის უმრავლესობის თხოვნა და დანიშნოს არჩეული პირი თანამდებობაზე.

კანცლერს შეუძლია ბუნდესტაგის წინაშე დააყენოს მთავრობის ნდობის საკითხი მაშინ, როდესაც იგი ვერ ღებულობს მის მხარდაჭე-

რას ბიუჯეტის პროექტთან ან სამთავრობო პროგრამასთან დაკავშირებით. თუ ფედერალური კანცლერის განცხადებას მისთვის ნდობის გამოხატვის შესახებ, მხარს არ დაუჭერს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობა, ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია ფედერალური კანცლერის წინადადებით, დაითხოვოს ბუნდესტაგი. თუმცა ეს უფლება ძალას კარგავს, როგორც კი ბუნდესტაგი თავისი წევრების უმრავლესობით აირჩევს ახალ კანცლერს.

გერმანიის ფედერაცია აერთიანებს 16 მხარეს, მათ შორის, გერმანული „ლანდების“, ქართული შესატყვისით „მინებად“ წოდებულ 13 ერთეულს და მათთან გათანაბრებულ 3 ქალაქს — ბერლინს, ჰამბურგს და ბრემენს. გერმანიის ფედერაცია ორდონიანი სტრუქტურისაა: პირველი — ეს არის ფედერაციის დონე, რომელშიც სუბიექტები გაერთიანებულნი არიან ძირითადი კანონის ნორმათა შესაბამისად; მეორეა — მინების დონე, რომლებიც თანასწორნი არიან, მაგრამ ტოლფასნი არ არიან ფედერაციისა. ამ დროს, გერმანიის სახელმწიფოს ადმინისტრაციული საქმიანობა ხორციელდება ხუთ დონეზე: პირველი, უმაღლესი საფეხური ეს არის ფედერაციის ორგანოები, მეორე საფეხური — მინების ორგანოები, მესამე — მინის გამგებლობაში შემავალი ოლქები, მეოთხე — რაიონები და რაიონული დაქვემდებარების ქალაქები, ხოლო მეხუთე — თემების დონე.

ფედერაციის სუბიექტებს აქვთ საკუთარი კონსტიტუცია და კანონმდებლობა, რომელსაც ქმნის შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანო, იქნება იგი ლანდტაგად, სამოქალაქო კრებად თუ დეპუტატთა პალატად წოდებული და აირჩევა 4 ან 5 წლით საყოველთაო, თანაბარი, პირდაპირი, ფარული არჩევნების გზით. ყველა მინაში იგი — ერთპალატიანია, გარდა ბავარიისა, სადაც ორპალატიანი ლანდტაგი ფუნქციონირებს. ლანდტაგის დეპუტატის მანდატი თავისუფალია, მათზე ვრცელდება იმუნიტეტი და ინდემნიტეტი. ლანდტაგი ლებულობს კანონებს, მეთვალყურეობს მათ შესრულებას და აკონტროლებს ადმინისტრაციული ხელისუფლების საქმიანობას.

მინის მთავრობები, ხშირად კაბინეტად წოდებული, შედგება მინისტრ-პრეზიდენტისა (პრემიერ-მინისტრი) და მინისტრებისგან. მინასთან გათანაბრებულ ქალაქებში მინისტრები სენატორებად იწოდებიან. მინისტრებს ნიშნავს მინისტრ-პრეზიდენტი, რაც შემდეგ ლანდტაგებს მოხსენდება. გერმანიის 16 მინა 50 ტერიტორიულ სამთავრობო ოკრუგად იყოფა და მინების ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფება. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია რაიონი და

სამართლებრივი სტატუსით რაიონებთან გათანაბრებული ქალაქები, რომელთა რიცხვი, შესაბამისად 460-ს და 180-ს შეადგენს. რაიონები იყოფა თემებად, ხოლო ბევრ ქალაქს თავად აქვს თემის სტატუსი.

ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, გარდა ოკრუგისა, არსებობს წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ირჩევენ 4-დან 6 წლამდე. ოკრუგის სათავეში დგას მიწის მთავრობის მიერ დანიშნული სამთავრობო პრეზიდენტი. იგი ერთპიროვნული მმართველია და თავისი აპარატის მეშვეობით ზედამხედველობს ფედერაციისა და მიწის კანონებისა და მთავრობათა აქტების შესრულებას.

რაიონის წარმომადგენლობითი ორგანოა კრაისტაგად ან კრაისტრატად წოდებული რაიონული კრება. რაიონის მეთაური — ლანდრატი აირჩევა უშუალოდ მოსახლეობის მიერ, ხოლო ზოგიერთ რაიონში — ირიბი წესით, რაიონული კრების მიერ.

რაიონის ქვემდგომი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია თემი. მისი მოსახლეობა იშვიათად სჭარბობს 30 ათასს. თემი, თავისი საქმიანობით, საჯარო მართვის განსაკუთრებული თვისებების დამოუკიდებელი მატარებელია მოცემულ ტერიტორიაზე. თემებში ადმინისტრაციას მეთაურობს ლანდრატი, ხოლო მთავარი წარმომადგენლობითი ორგანო მუნიციპალური საბჭოა, რომელსაც ბურგომისტრი ხელმძღვანელობს. იმ თემებში, სადაც მოსახლეობა 50 ათასს სჭარბობს, მუნიციპალური საბჭოს ხელმძღვანელი ობერბურგომისტრად იწოდება. მისი უფლებამოსილების ვადა სხვადასხვა მიწის კანონმდებლობით 8-დან 12 წლამდე მერყეობს.

გერმანიაში თემების მართვის ორგანიზაციის ხუთი განსხვავებული მოდელი ფუნქციონირებს: სამხრეთგერმანული მოდელი, ბადენ-ვიურტემბერგისა და ბავარიის მიწებში; კოლეგიური აღმასრულებელი ორგანოს — მაგისტრატის მოდელი ჰესენის მიწის, ბრემენისა და ჰამბურგის ტერიტორიებზე, შლეზვიგ-ჰოლშტაინის ქალაქებში; ბურგომისტრის ინსტიტუტი რაინლანდ-ჰფალცის, ზაარის საქალაქო და სასოფლო თემებში, ბრემენისა და ჰამბურგის ტერიტორიაზე არსებულ თემებში; „საბჭო-მმართველის“ ჩრდილოგერმანული მოდელი ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიასა და ქვემო საქსონიაში; ახალი ფედერალური მიწის კომუნალური მონყობის მოდელი.

მუნიციპალური ორგანოების საქმიანობაზე სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, აგრეთვე, იერარქიულად ზემდგომი სხვადასხვა სამინისტროს საოკრუგო და რაიონული სამმართველოები.

საარჩევნო სამართალი

გერმანიის საარჩევნო სამართალში შერეული საარჩევნო სისტემა გამოიყენება და ბუნდესტაგის დეპუტატთა ნახევარი არჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით, მეორე ნახევარი — პროპორციული სისტემით. თუ პროპორციულ არჩევნებში პარტია მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით მიიღებს 5%-ზე ნაკლებ ხმებს, ცალკეულ ოლქში მოპოვებული ხმების რაოდენობის მიუხედავად, იგი მანდატების გარეშე დარჩება. ყოველი ამომრჩეველი ფლობს 2 ხმას და ბიულეტენსაც ორს ლებულობს — ერთს საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ხოლო მეორეს — პარტიული სიის მხარდასაჭერად.

ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პოლიტიკურმა პარტიამ ან ამომრჩეველთა არანაკლებ 200 კაციანმა ჯგუფმა შეიძლება დაასახელოს მხოლოდ ერთი კანდიდატი. მიწების მიხედვით, პროპორციული არჩევნებისთვის კანდიდატების სია შეიძლება წარმოადგინოს მხოლოდ პოლიტიკურმა პარტიამ. ყოველი კანდიდატი შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ერთი მიწის მიხედვით წარდგენილ ერთ პარტიულ სიაში, ან ერთ მაჟორიტარულ ოლქში.

რაც შეეხება საარჩევნო ცენზს, კონსტიტუციის თანახმად, არჩევის უფლება აქვს 18 წელს მიღწეულ პირს, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს სრულწლოვანი პირი. 1975 წელს მიღებულმა საარჩევნო კანონმა დააზუსტა აქტიური საარჩევნო უფლება იმ დათქმით, რომ იგი ვრცელდება პირზე, რომელიც შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ბინადრობის სამთვიანი ცენზის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

არჩევნებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი. როცა გამოთავისუფლდება სადეპუტატო მანდატი, მისი მფლობელი ხდება პარტიული სიით ბოლო დეპუტატის შემდეგი კანდიდატი. ეს წესი, ერთმანდატიანი ოლქის დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში, ვრცელდება იმ პარტიის სიაზე, რომლის წევრადაც ამ მომენტისათვის გამოკლებული დეპუტატი ითვლებოდა. თუ თავისუფლდება უნიომინალური კენჭისყრის ოლქში არჩეული დამოუკიდებელი დეპუტატის ადგილი, 60 დღეში უნდა ჩატარდეს ნაწილობრივი არჩევნები.

ფედერალურ პრეზიდენტს ირჩევს ფედერალური კრება, რომელიც შედგება ბუნდესტაგის წევრებისა და ლანდტაგის წევრთაგან შერჩეული დეპუტატებისგან. კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს ფედერალური კრების ნებისმიერ წევრს. კრება, წინასწარი განხილვის გარეშე, პირდაპირ გადადის კენჭისყრაზე. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს ფედერალური კრების

ნევრთა ხმების უმრავლესობას. ორი ცდის შემდეგ, მესამე ტურში გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს.

არჩევნებში პოლიტიკური პარტიების მატერიალური მხარდაჭერის იდეა ერთ-ერთმა პირველმა, გერმანელმა კანონმდებელმა დააკანონა 1967 წლის კანონში პარტიების შესახებ, რომელიც არეგულირებს წინასაარჩევნო კამპანიების დანახარჯების ანაზღაურებას, ე.წ. შანსების გათანაბრების მიზნით ითვალისწინებს საბიუჯეტო თანხებიდან დახმარებას იმ პარტიებზე, რომლებიც საწევროებისა და შენაწირების სახით უმნიშვნელო თანხებს ლეზულობენ. 1977 წლიდან ოპოზიცია ლეზულობს ძირითადი სუბსიდიიდან 25%-იან დანამატს, რაც ცალსახად წარმოაჩენს ოპოზიციის როლის აღიარებას გერმანულ საპარლამენტო სისტემაში. ამას გარდა, 1994 წლის კანონი პარტიების დაფინანსების შესახებ, ბუნდესტაგში, ლანდტაგებსა და ევროპარლამენტში არჩევნებისას მიღებული 5 მლნ ნამდვილი ხმების ფარგლებში, პარტიები ყველა ხმაზე 1,3 მარკას, ხოლო ყოველი დამატებული ხმისათვის 1 მარკას ლეზულობენ.

სამოქალაქო სამართალი

1896 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსი იყო გერმანიის ისტორიაში სამოქალაქო სამართლის საერთოგერმანული კოდიფიკაციის პირველი მცდელობა, მცდელობა, რომლის შედეგმა, ნაპოლეონის კოდექსთან ერთად, არსებითი ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ კონტინენტური სამართლის სისტემაზე, რომელსაც სწორედ ამის გამო სხვაგვარად რომანულ-გერმანულს უწოდებენ, არამედ მისი გავლენის გაფართოებაზე, კონკრეტულად კი იაპონიის, ჩინეთის, ბრაზილიისა და რიგი სხვა ქვეყნების კანონმდებლობაზე, მსოფლიო აღიარება მიიღო და იურიდიული აზროვნების უდიდეს მიღწევად არის მიჩნეული.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აერთიანებს 2 385 პარაგრაფიან 5 წიგნს: ოთხ წიგნში მოთხრობილია სამოქალაქო-სამართლებრივი იურიდიული ინსტიტუტების შესახებ, ხოლო ყველა ინსტიტუტისათვის საერთო ნორმები თავმოყრილია ცალკე წიგნში.

კოდექსის პირველი წიგნი — ზოგადი ნაწილი, პირველ რიგში ფიზიკური და იურიდიული პირების სტატუსს განსაზღვრავს. გერმანელმა კანონმდებლებმა 60-ზე მეტი პარაგრაფი მიუძღვნეს იურიდიულ პირებს — საზოგადოებებსა და დაწესებულებებს, 80 პარაგრაფი არეგულირებს იურიდიული გარიგებების საკითხს.

კოდექსის მეორე წიგნის თავისებურება ის გახლავთ, რომ იგი არღვევს სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტების ტრადიციულ თანამიმდევრობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კოდექსში ვალდებულებითი სამართალი დაყენებულია სანივთო სამართლის წინ, რაც ხაზს უსვამს კაპიტალისტური ბრუნვის მზარდ მნიშვნელობას, რომლის ინტერესების წინაშე უკან იხევს საკუთრებისა და ფლობის სამართლის ტრადიციული ინსტიტუტები, რომელთა ბატონობა გამოკვეთილია ნაპოლეონის კოდექსში. ამავე წიგნში რეგულირდება სოციალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, ე.წ. უნებართვო ქმედებების ნორმები.

კოდექსის მესამე წიგნში ჩართულია სანივთო სამართალი და, გარდა საკუთრებისა და ფლობის სამართლისა, აქ, რეგლამენტირებულია მოძრავ-უძრავი ქონების გირავნობის ფორმები.

კოდექსის მეოთხე წიგნის შინაარსი მოიცავს საქონწინო-საოჯახო სამართალს. აქ მოცემულია წესები, რომლებიც დაკავშირებულია ქორწინების პირობებთან, მეუღლეთა პირად და ქონებრივ ურთიერთობებთან, აგრეთვე, განქორწინების პირობებთან. ამ წიგნის სხვა განყოფილებებს შორის საყურადღებოა მშობელთა უფლება-მოვალეობების ინსტიტუტი, ბავშვების იურიდიული მდგომარეობა და მეურვეობის საკითხი.

კოდექსის მეხუთე წიგნი ეძღვნება მემკვიდრეობის სამართალს. მასში რეგლამენტირებულია ორი – კანონითა და ანდერძით მემკვიდრეობის ძირითადი წესი: მემკვიდრის იურიდიული მდგომარეობა; მემკვიდრეობითობის განსაკუთრებული ხელშეკრულება და ე.წ. აუცილებელი მემკვიდრეობის სავალდებულო წილის წესი.

სამოქალაქო კოდექსის ძირითად ტექსტთან ერთად მიღებულ იქნა 218 მუხლიანი განსაკუთრებული შესავალი კანონი, რომელიც კოდექსის მოქმედებასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს არეგულირებს. კერძოდ, მისი ამოქმედების დროის საკითხს; გერმანიაში საზღვარგარეთული კანონების და საზღვარგარეთ გერმანული კანონების გამოყენებას; კანონის, ძველ, იმპერიულ კანონმდებლობასთან დამოკიდებულებას და სხვ. 1949 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ სამოქალაქო სამართალმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. საქმე ის არის, რომ კოდექსის რიგმა ნორმებმა დროთა განმავლობაში ან დაკარგა მნიშვნელობა, ან შეცვლილ იქნა ახალი კანონების მიღებისა თუ ცვლილება-დამატებების შეტანის გზით. ერთი თვალსაჩინო მაგალითის სახით შეიძლება მოვიხსენიოთ ვაჭრობის სფერო. სამოქალაქო კოდექსთან თითქმის ერთდროულად, 1897 წლის 10 მაისს იქნა მიღებული

გერმანიის სავაჭრო კოდექსი. მაგრამ შემდეგ მას მოჰყვა მრავალი კანონი, რომლებიც სავაჭრო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის რეგულაციონირებას ახდენენ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია 1965 წლის კანონს სააქციო საზოგადოების შესახებ, რომელიც თავად ხუთი წიგნისაგან შედგება. ისიც ნიშანდობლივია, რომ ერთდროულად მოქმედებს 1909 წლის კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ და 1957 წლის კანონი კონკურენციის შეზღუდვებთან ბრძოლის შესახებ, სხვათა შორის, ორივე – შემდგომი ცვლილებებით.

კონსტიტუციის მიღებიდან განვლილ პერიოდში ბევრი სიახლე განიცადა სამოქალაქო სამართალმა და მასთან დაკავშირებულმა დარგებმა; იქნება ეს შრომითი სამართალურთიერთობები თუ ეკოლოგიური სამართალი, ხელშეკრულებების სრულყოფის საკითხები თუ შრომითი სამართალი და მრავალი სხვ.

სისხლის სამართალი

გერმანიის სისხლის სამართლის წყაროებს წარმოადგენს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი, სპეციალური სისხლის სამართლის ფედერალური კანონები, მინების სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანეს ფედერალურ კანონს წარმოადგენს კოდექსი, რომელიც 1871 წელს იქნა მიღებული. პრაქტიკულად, უკვე 1949 წლიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნისა და მისი კონსტიტუციის მიღებიდან, დაიწყო აღნიშნული კოდექსის რეფორმის მზადება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ქვეყნის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. საკმაოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო განხორციელდა და 1987 წლის 10 მარტის ცვლილება-დამატებების შეტანის შემდეგ, ფაქტობრივად, დღესაც 1871 წლის კოდექსი მოქმედებს, მისი ახალი რედაქციით. მოგვიანებით, 1998 წლის 1 აპრილს, კოდექსმა ცვლილებები განიცადა, მაგრამ ისინი ძირითადად საერთო, ზოგად ნაწილს ეხებოდა.

გერმანიის ძირითადი კანონის თანახმად (მუხლი 74, აბზაცი 1), სისხლის სამართალი შეიცავს ნორმებს სასჯელის აღსრულების შესახებ და განეკუთვნება საკონკურსო კანონმდებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლის ეს სფერო შეიძლება რეგულირდებოდეს როგორც ფედერალური, ისე მინების კანონმდებლობით. თუმცა ფედერაციის კომპეტენცია აქ „პირობითად“ ცხადდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ფედერალური კანონმდებელი აღნიშნულ სფეროში ებმება მხოლოდ

იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ საკითხის ერთიანი რეგულირების აუცილებლობა დგება მთელ გერმანიაში.

ყველა შემთხვევაში ფედერალური რეგულირების აუცილებლობის დადგენა კონსტიტუციამ (მუხლი 72) თავად ფედერალური კანონმდებლობის კომპეტენციას განაკუთვნა. ეს უკანასკნელი კი სისხლის სამართლის კოდექსის ახალი რედაქციის შემდეგ, საკმაოდ ხშირად იყენებს ამ უფლებას ახალი კანონების მიღებისა, თუ კოდექსში ცვლილება-დამატებების შეტანის მიზნით.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდიფიკაცია არ არის სრული. დამატებით სისხლის სამართლად ითვლება ყველა ის კანონი, რომელიც არ შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ ასეთი სამართლებრივი დატვირთვა აქვს და გარკვეულ მოქმედებებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფასებას აძლევს. ასეთი სისხლისსამართლებრივი ნორმები არსებობს მრავალ კანონში. თავად გერმანელი სამართალმცოდნეები ასახელებენ 1000-მდე კანონს, რომელთა შორის 30-მდე მთავარი დამატებითი კანონია. უმრავლესობა ამ კანონებისა შეიცავს ნორმებს, რომლებიც არეგულირებს არა სისხლისსამართლებრივ, არამედ საჯარო-სამართლებრივ და სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს.

გერმანიის სისხლის სამართლის საერთო ნაწილი მეტნაკლებად სისტემატიზებულია და მისი ხუთი განყოფილება და მათში შემავალი თავები ზოგადი ნორმების სისტემას ქმნიან.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმა ჯერაც არ დასრულებულა და იგი ძირითადად მის კერძო ნაწილს შეეხება, რომელიც 30 განყოფილებისგან შედგება და მათი თანმიმდევრობა 1871 წლის კოდექსისგან ბევრი არაფრით განსხვავდება.

რეფორმირებული სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებისას გარკვეული სირთულეები წარმოიქმნა 1990 წელს, გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით. სამართლებრივ სისტემებს შორის არსებითი განსხვავებულობის გამო სისხლის სამართლის კოდექსი, 1987 წლის რედაქციით, ახალი ფედერალური მიწების ტერიტორიებზე და ბერლინის ყოფილ აღმოსავლეთ ზონაში ამოქმედდა ზოგიერთი გამოწვევისა და პირიქით, გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, ძალაში რჩება ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი ნორმები, როგორცაა მშვიდობის, კაცობრიობისა და ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ მიმართული და სამხედრო დანიშნულებისათვის ხანგრძლივობის ვადის მიუღებლობა, სასამართლო დამოუკიდებლობის შეზღუდვა.

უკანასკნელი ნოველები გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა 1994-1995 წლებში მიღებული ხუთი კანონით, კოდექსში და ზოგიერთ სხვა არაკოდიფიცირებულ კანონში ცვლილებებისა თუ დამატებების შესახებ. ზოგად ნაწილში შეტანილ იქნა ნორმა დეპუტატების მოსყიდვის თაობაზე, ამოღებულ იქნა პასუხისმგებლობა პომოსექსუალური მოქმედებებისთვის და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმების არასრული კოდიფიკაცია ქმნის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის გარკვეულ კოლიზიურ სისტემას, თვით გერმანელი იურისტები მიიჩნევენ, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის დამატებითი კანონების გამოყენების დამატებითი სირთულეები.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

შემთხვევითი არ არის, რომ გერმანიის კონსტიტუციის პირველი განყოფილება — „ძირითადი უფლებები“, ადამიანის ღირსების განმსაზღვრელ, მარეგულირებელ და დამცველ ნორმათა სისტემას წარმოადგენს. „ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი პატივისცემა და დაცვა ყველა სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა“, — ასეთია გერმანიის კონსტიტუციური სამართლის ამოსავალი დებულება, სახელმწიფო ადამიანისათვის და არა პირიქით, — ასეთია მისი დედააზრი, რომელიც მთელ კონსტიტუციას წითელ ზოლად გასდევს.

კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 19, აბზაცი 4), საჯარო მმართველობის მიერ პიროვნების უფლებათა ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, გერმანიის მოქალაქე უფლებამოსილია, მიმართოს შესაბამის სასამართლო ინსტანციას, ხოლო სასამართლო ორგანოები მოვალენი არიან, გააკონტროლონ საჯარო მმართველობის დანებებულებათა საქმიანობა, გააუქმონ მათი ადმინისტრაციის ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ლახავს პიროვნების უფლებას, ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. გერმანიაში კანონმდებლობით გარანტირებულია ნებისმიერი მოქალაქის უფლებათა დაცვა სასამართლო წესით.

ამას გარდა, კონსტიტუცია ადამიანის უფლება-თავისუფლებების დაცვის გარანტიების მთელ კომპლექსს ითვალისწინებს: კონსტიტუციაში ჩამოთვლილ უფლებებს და თავისუფლებებს პირდაპირი მოქმედება აქვთ და ისინი სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისათვის; უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონით; სახელმწიფო ან უწყება, რომლის სამსახურშიც იმყოფებიან მესამე პირის მიმართ თავისი სამს-

ახურებრივი მოვალეობის დამრღვევი პირები, თავის თავზე ლებულობს მათი მოსამსახურის მოქმედებაზე პასუხისმგებლობას.

შვედური ომბუდსმენის პოპულარობის ბუმმა გარკვეული გამოცახილი პოვა გერმანიაშიც. მისი ერთი ნაირსახეობაა ბუნდესტაგის რწმუნებული თავდაცვის საკითხებში, რომლის სპეციალიზებულმა ფორმამ სამხედრო სფეროში საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მაგრამ ეს არ არის ომბუდსმენი — სახალხო დამცველი ფართო გაგებით. მან მხოლოდ რეგიონული აღიარება მიიღო: 1974 წელს სამოქალაქო ადმინისტრაციის ომბუდსმენი დაინიშნა რეინლანდ-პფალცის მიწაზე, მოგვიანებით, ბერლინში, ჰესენსა და ზარში დააფუძნეს რწმუნებულები სამოქალაქო საქმეებზე, რომლებიც მერის ან პრემიერის მიერ ინიშნებიან და ლანდტაგების კომიტეტთან ერთად მოქალაქეთა საჩივრების შესწავლას ახდენენ.

ფაქტობრივად, გერმანია ერთადერთი მსხვილი ევროპული სახელმწიფოა, რომელსაც პერსონიფიცირებული საპარლამენტო კონტროლის ეს ფორმა არ გააჩნია. თუმცა ბუნდესტაგთან არსებობს პეტიციების კომიტეტი, რომელსაც გერმანელი კონსტიტუციონალისტები კოლეგიურ ომბუდსმენად მიიჩნევენ. პეტიციის უფლება ხელს უწყობს მოქალაქეთა ურთიერთობის მონესრიგებას ბუნდესტაგში. პეტიციის კომიტეტი საშუალოდ 50 განცხადებას და საჩივარს ლებულობს დღეში. დიდი აქტივობით მოქმედებენ ანალოგიური კომიტეტები ლანდტაგებთან. მაგრამ ომბუდსმენისაგან იმ განსხვავებით, რომ პეტიციის კომიტეტები არ არიან აღჭურვილნი უფლებით, რათა საქმეები საკუთარი ინიციატივით განიხილონ, მათი აქტივობის წყარო, ყველა შემთხვევაში, მხოლოდ პეტიცია უნდა იყოს. თუმცა 1975 წლის კანონით, პეტიციების კომიტეტის უფლებამოსილების შესახებ, ამ უკანასკნელს უფლება მიეცა, განახორციელოს ადმინისტრაციული სააგენტოების ადგილობრივი სამსახურების ინსპექტირება.

გერმანელი სპეციალისტების აზრით, პეტიციების კომიტეტის სისტემას სამოქალაქო ომბუდსმენის მიმართ, გარკვეული უპირატესობა აქვს, როგორც სახელმწიფო მმართველობის გერმანული ტიპისთვის დამახასიათებელი მაღალი დეცენტრალიზაციის ბუნებისათვის მეტად შესატყვისი. ამას გარდა, ომბუდსმენის ინსტიტუტის ფართო დანერგვის კონტრარგუმენტად, პირველ რიგში, გერმანული სასამართლო სისტემა მოიხსენიება, მისი ყოვლისმომცველობითა და მისთვის არაორგანული სამართლისმქმნელი სტრუქტურების შეუთავსებლობით.

სასამართლო სისტემა

კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, ძირითადი კანონით გათვალისწინებული ფედერალური სასამართლოებისა და მინის სასამართლოს მეშვეობით. კონსტიტუცია განიხილავს იუსტიციის ხუთ შტოს:

— ფედერალური სასამართლო პალატა, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემას ხელმძღვანელობს და ინსტანციების სახით აერთიანებს უზნის სასამართლოს, მინის სასამართლოსა და მინის უმაღლეს სასამართლოს;

— ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო — ინსტანციებით: ადმინისტრაციული სასამართლოსა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს სახით;

— ფედერალური საფინანსო სასამართლო, რომლის ინსტანციას ადგილობრივი სასამართლოები წარმოადგენს;

— ფედერალური შრომის საქმეთა სასამართლო — ინსტანციებით: შრომის საქმეთა სასამართლოს, მინის შრომის საქმეთა სასამართლოსა და უმაღლესი შრომის საქმეთა სასამართლოს სახით;

— ფედერალური სოციალურ საქმეთა სასამართლო — ინსტანციებით: სოციალურ საქმეთა სასამართლო, მინის სოციალურ საქმეთა სასამართლო და უმაღლესი სოციალურ საქმეთა სასამართლოს სახით.

საერთო კომპეტენციის სასამართლოები განიხილავენ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებს; შრომის საქმეთა სასამართლოები დავეხს ცალკეულ მენარმეებსა და დაქირავებულ მუშაკებს შორის, პროფკავშირებსა და შრომის დამქირავებელთა კავშირებს შორის; ადმინისტრაციული სასამართლოების სფეროს კონსტიტუციურ-სამართლებრივის გარდა, განეკუთვნება ყველა საჯარო-სამართლებრივი დავა და, პირველ რიგში, მოქალაქეთა სარჩელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს მიმართ, დავები სახელმწიფო მოხელეთა უფლებებზე, ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის წარმოქმნილი დავები, აგრეთვე, ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოებისათვის სხვადასხვა მასობრივი ღონისძიების — გამოსვლებისა და დემონსტრაციების ჩატარებაზე ნებართვის მიცემა, გარემოს დაცვა, პოლიტიკური თავშესაფრის მიკუთვნება და სხვ; სოციალურ საქმეთა სასამართლოები განიხილავენ მოქალაქეთა სარჩელს სახელმწიფო ორგანოებზე პენსიებისა და სხვადასხვა სოციალური დახმარების გაცემის თაობაზე.

გერმანიის სასამართლო სისტემას არც ფედერაციის ფარგლებში და არც მინის მიხედვით არ გააჩნია საერთო უმაღლესი სასამართლო ორგანო. ამიტომ მართლმსაჯულების განხორციელების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია აღნიშნული იუსტიციის ხუთი შტოს, ხუთი სასამართლოს სენატი, რომელიც ერთგვარად ახორციელებს სისტემის წარმართვასა და კოორდინაციას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო შტოებს შორის არსებით სამართლებრივ საკითხებზე უთანხმოება წარმოიშვება და საჭირო ხდება სენატის გადანიშნულებული სასამართლო პრაქტიკის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით. სენატის საქმიანობის საკითხებს აწესრიგებს ფედერალური კანონი.

რაც შეეხება პროკურატურის ორგანოებს, იგი კონსტიტუციის ყურადღების მიღმა რჩება, რადგან არ არის ცალკე სისტემა და მისი სტრუქტურები ორგანიზაციულად და, ფაქტობრივად, ორგანულადაც დაკავშირებულია საერთო სასამართლო სისტემის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებთან.

მთლიანობაში, სასამართლო ხელისუფლება გერმანიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი კორპუსის სახით არის წარმოდგენილი: 500-ზე მეტ ფედერალურ მოსამართლეს 20 ათასზე მეტი მინის მოსამართლე ემატება. კონსტიტუცია მოსამართლეების დანიშვნის საკითხს სასამართლო, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა ურთიერთობის მიჯნაზე არეგულირებს. სასამართლო სისტემის ხუთივე შტოს მოსამართლეების დანიშვნის საკითხს წყვეტს მოცემულ სფეროში კომპეტენტური მინისტრი, მოსამართლეების შემრჩევ კომიტეტებთან ერთად. სამართალწარმოების მართვის ორგანოების გადანიშნულებების მიღების საქმეში მონაწილეობენ მოსამართლეთა ე.წ. წარმომადგენლობითი ორგანოები: პირველი — ეს არის პრეზიდენტური საბჭო, რომელიც იქმნება მოსამართლეთა დანიშვნა-არჩევის საქმეში და საერთო თუ სოციალური ხასიათის საკითხების გადანიშნულებაში მონაწილეობისათვის. მეორე — პრეზიდენტი, რომელიც საზღვრავს სასამართლოს კოლეგიის შემადგენლობას, არეგულირებს მოსამართლეთა ვაკანსიების შევსების წესს და აწინააღმდეგებს მოვალეობებს.

გერმანული მართლმსაჯულების სისტემის ერთი თავისებურება სასამართლო სამსახურის საქმეთა ფედერალური სასამართლოა. ეს არის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სპეციალური პალატა, რომელსაც გადანიშნულებები გამოაქვს დისციპლინური ხასიათის საკითხებზე და განსაზღვრულ საქმეებზე, რომლებიც მოსამართლეთა

დამოუკიდებლობის ან მათი სამსახურის თავისებურებებთან კავშირში სამსახურებრივ სამართალს ეხება.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

გერმანიის ძირითადი კანონის თანახმად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავად სასამართლო ხელისუფლების შემადგენელი ნაწილთაგანია. საკონსტიტუციო ზედამხედველობის არეალი გერმანიაში იმდენად ვრცელია, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გარდა, ამ საქმეს საკონსტიტუციო სასამართლოების მთელი სისტემა მეთვალყურეობს: საკონსტიტუციო სასამართლოები შექმნილია ყველა მიწის ხელისუფლებაში, გარდა შლეზვიგ-ჰოლშტაინისა. საკონსტიტუციო იუსტიციის ქვესისტემა თუმცა ორ ელემენტს აერთიანებს, იგი არ შეიძლება ერთიან, ორდონიან სისტემად მივიჩნიოთ, ვინაიდან მათ შორის პირდაპირი დაქვემდებარება არ არსებობს.

საკონსტიტუციო სასამართლო მოწყობის საკითხები და სასამართლო წარმოების წესი, კონსტიტუციით განსაზღვრულ ჩარჩოებში რეგულირდება 1985 წლის 12 დეკემბერის კანონით ფედერალური კონსტიტუციის სასამართლოს შესახებ. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას:

— ძირითადი კანონის განმარტების შესახებ ფედერალური უმაღლესი ორგანოს ან სხვა მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის შესახებ წარმოშობილი დავის გამო;

— ფედერალური და მიწის სამართლის ძირითად კანონთან ფორმითა და შინაარსით შესაბამისობის შესახებ, აგრეთვე, მიწების სამართლის ფედერალური სამართლის სხვა ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე, როცა საკითხი დგება ფედერალური მთავრობის, მიწის მთავრობის ან ბუნდესტაგის წევრთა მესამედის შუამდგომლობით;

— მიწების მიერ ფედერალური სამართლის ნორმების შესრულებისა და ფედერალური ზედამხედველობის განხორციელებისას ფედერაციისა და მიწების უფლება-მოვალეობების შესახებ აზრთა სხვადასხვაობის არსებობისას.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის თანახმად, იგი იყოფა ორ სენატად 8-8 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან თითოეულ სენატში სამი მოსამართლე აირჩევა უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მოსამართლეთაგან, აღნიშნულ ორგანოში არანაკლებ სამი წლის მუშაობის გამოცდილებით.

ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ბუნდესრატი ირჩევს პირდაპირი წესით, ხოლო ბუნდესტაგი — ირიბი წესით,

სპეციალური კომისიის მიერ. ორივე შემთხვევაში საჭიროა ხმების 2/3. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი და მისი მოადგილე აირჩევა მონაცვლეობით ბუნდესტაგისა და ბუნდეს-რატის მიერ. კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბუნდესტაგში არჩევის უფლება, იურიდიული განათლება და თანაც წარმატებით გაიაროს საკვალიფიკაციო გამოცდები. მოსამართლის უფლებამოსილების ვადა 12 წელია, ქვედა ასაკობრივი ზღვარი 40 წელი, ხოლო ზედა ზღვარი — საპენსიო ასაკი. ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს შეუძლია მოითხოვოს თანამდებობიდან გადადგომა ნებისმიერ დროს. მისი შემცვლელი ერთი თვის მანძილზე უნდა აირჩიოს იმ ფედერალურმა ორგანომ, რომელმაც შემადგენლობიდან გასული მოსამართლე აირჩია. ამ ხნის განმავლობაში ძველი მოსამართლე განაგრძობს მოვალეობის შესრულებას.

ლიტერატურა:

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, თარგმნა რ.მიგრიაულმა, თბილისი, „ნორმა“, 1995;
2. ო. მელქაძე, ნ. რამიშვილი, გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, „მერანი“, 1999;
3. ო. მელქაძე, ნ. რამიშვილი, გერმანია// საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, „მერანი“, 1999, გვ.51-87;
4. გ. გოგიაშვილი, გერმანია // შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ. 168-174;
5. Германия: Конституция и Законодательные акты, Москва, „Прогресс“, 1981;
6. Государственное право Германии, Т. I-II, Институт Государства и права АН России, Москва, 1994;
7. Бойцова В.В., Германия // Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „БЕК“, 1997, стр.96-113;
8. Савельев В.А., Гражданский Кодекс Германии, Москва, „Юристъ“, 1994;
9. Шапп Я., Основы Гражданского права Германии, Москва, „БЕК“, 1996;
10. Уголовное Законодательство зарубежных стран. Сборник Законодательных материалов, Москва, «Зерцало», 1999, стр.237-306.

დანია

დანია მსოფლიოს უძველესი ევროპული ქვეყანაა, რომლის 5,2 მილიონიანი მოსახლეობა 43043 კმ² ტერიტორიაზე ბინადრობს. დანიას უჭირავს იუტლანდიის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი, დანიის არქიპელაგი, რომელშიც შედის ბალტიის ზღვის კუნძულები: ზელანდია, ფიუნი, ლოლანი, ფალსტერი, მენი, ბირინჰოლმი. დანიის შემადგენლობაშია, ასევე, კუნძული გრენლანდია და ფარერის კუნძულები. დანიას დასავლეთით აკრავს ჩრდილოეთის ზღვა, აღმოსავლეთით – ბალტიის ზღვა, დანიას ნორვეგიისგან გამოყოფს სკაგერაკის სრუტე, შვედეთისგან – კატეგატისა და ერესუნის სრუტეები, ხოლო სამხრეთით გერმანია ესაზღვრება. დანიის დედაქალაქია კოპენჰაგენი, სახელმწიფო ენა – დანიური, ფულის ერთეული – დანიური კრონა.

დანია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით უნიტარული სახელმწიფოა, ხოლო მმართველობის ფორმით შეზღუდული კონსტიტუციური, პარლამენტური მონარქიაა, რომელსაც დასაბამი რევოლუციური მოძრაობის შედეგად მიღებულმა 1840 წლის კონსტიტუციამ დაუდო. 1953 წლის 5 ივნისს მიღებული, მოქმედი კონსტიტუცია რიგით მეხუთეა. კონსტიტუციურ აქტად არის მიჩნეული 1953 წლის 27 მარტის კანონი „გვირგვინის მემკვიდრეობის შესახებ“.

დანიური სამართალი კონტინენტური და საერთო სამართლის შერეული სახით ჩამოყალიბდა. მისი არსებითი თავისებურება ის არის, რომ კანონმდებლობასთან ერთად, სამართლის წყაროთა შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლო პრეცედენტები. ამასთან, ზოგიერთი სამართლებრივი ინსტიტუტი რეგულირდება მხოლოდ პრეცედენტული სამართლის ნორმებით და არა საკანონმდებლო აქტებით. საერთო სამართლისგან განსხვავებით დანიაში, სასამართლო პრეცედენტების რეგულირება არ ექვემდებარება მკაცრ წესებს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება ფორმულირდება კონკრეტულად და არა როგორც სამომავლოდ გასათვალისწინებელი საერთო წესები. ამჟამად, სკანდინავიის ქვეყნებს შორის სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაციის შედეგად, დანიური სამართალი უკვე აღიარებულ სკანდინავიურ, ანუ ე.წ. „ჩრდილოეთის“ სამართლებრივ ოჯახს მიეკუთვნება.

კონსტიტუციური სამართალი

1953 წლის 5 ივნისის კონსტიტუციის მიხედვით, დანია, როგორც კონსტიტუციური მონარქია, შეზღუდულობის ხარისხის გათვალისწინ-

ნებით, დუალისტურ მონარქიას წარმოადგენს, ანუ მონარქი მენილის სახით გამოდის, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში და ამიტომ სახელისუფლო ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს. სახელმწიფოს მეთაურია მონარქი, საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს პარლამენტთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლება – მეფეს და მთავრობას, ხოლო სასამართლო ხელისუფლება დანიის უზენაეს სასამართლოს და ადგილობრივ სასამართლოებს.

მონარქი სახელმწიფოს მეთაურია და ამდენად, დანიური კანონმდებლობა, ერთი მხრივ, მის უფლებამოსილებებს არეგულირებს, ხოლო, მეორე მხრივ, ვალდებულებებსაც განსაზღვრავს. კონსტიტუცია, სახელმწიფოს მეთაურს – მეფეს ანიჭებს უმაღლეს ხელისუფლებას ქვეყნის მმართველობაში. მეფე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრს, მთავრობის წევრებს და უმაღლესი თანამდებობის პირებს, ხსნის პარლამენტის სხდომებს, შეუძლია პარლამენტის დათხოვნა. იგი ამტკიცებს კანონებს, ხოლო საგანგებო მდგომარეობის პირობებში, როცა ფოლკეტინგს არ შეუძლია შეკრება, უფლებამოსილია, მიიღოს დროებითი კანონები, იმ პირობით, რომ ისინი არ იქნებიან კონსტიტუციის საწინააღმდეგო, დაუყოვნებლივ გადაეცემა ფოლკეტინგს, რომელიც პირველი შეკრებისთანავე მიიღებს ან უარყოფს მას. მეფე უმაღლესი მთავარსარდალია და წყვეტს საგარეო პოლიტიკის საკითხებს, მაგრამ პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეუძლია საერთაშორისო შეთანხმებების დენონსირება, ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს მიმართ და ა.შ. მეფე უფლებამოსილია, გამოსცეს ამნისტიისა და შეწყალების აქტები, ფოლკეტინგის თანხმობით შეიწყალოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული მინისტრი. მის მიერ გამოცემულ ყველა აქტზე უნდა იყოს პრემიერ-მინისტრის ან კომპეტენტური მინისტრის ხელმოწერა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ აქტების შესრულებაზე პასუხისმგებლობა მათზე გადადის და, საერთოდ, მეფე თავის მოქმედებაზე არავის წინაშე პასუხს არ აგებს. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მეთაურის როლი მთავრობის ფორმირებაში. იგი წინასწარ კონსულტაციებს ატარებს პარტიების ლიდერებსა და პარლამენტის თავმჯდომარესთან, რაც მას პოლიტიკური მანევრირების გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს.

რაც შეეხება ვალდებულებებს, იგი, ძირითადად, მემკვიდრეობითობის მარეგულირებელ სისტემაშია ჩაწერილი. მეფის ხელისუფლება გადაიცემა ქალის და მამაკაცის ხაზით, მემკვიდრეობის შესახებ კანონით განსაზღვრული წესებით. კერძოდ, მეფის გარდაცვალ-

ების შემდეგ, ხელისუფლება გადაეცემა მის ვაჟიშვილს ან ქალიშვილს. თუ რამდენიმე ერთი სქესის შვილი რჩება, უპირატესობა მიენიჭება ასაკით უფროსს, ხოლო თუ გარდაცვლილ მეფეს შვილი არ დარჩება, ხელისუფლება გადაეცემა მის ძმას ან დას. უპირატესობა ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, მამრობითი სქესის წარმომადგენელს ენიჭება. მეფის ერთ-ერთი შვილის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი უფლებებით სარგებლობს გარდაცვლილის შვილი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კანონიერად არც ერთ პირს არ შეუძლია დაეუფლოს გარდაცვლილი მეფის გვირგვინს, მაშინ მონარქის ტახტზე ადგილს დაიკავენ უახლოესი ნათესაური ხაზით არსებული პრეტენდენტი, რომელსაც ფოლკეტინგი აირჩევს მეფედ და სამომავლოდაც დაადგენს შემდგომი მემკვიდრეობის წესს.

მხოლოდ კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს შეუძლიათ მეფის ხელისუფლების მემკვიდრეობით მიღება, მეფეს კი არ შეუძლია ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე დაქორწინდეს. თუ პირი, რომელსაც მემკვიდრეობით ეკუთვნის მეფის ხელისუფლება, მეფის თანხმობის გარეშე მოიყვანს ცოლს, მასაც, მის შვილებს და შთამომავლობასაც ჩამოერთმევა მეფედ კურთხევის უფლება.

კონსტიტუციის თანახმად, ფოლკეტინგის ნებართვის გარეშე, მეფეს არ შეუძლია სხვა ქვეყანაში მეფობა. მეფე უნდა ეკუთვნოდეს ევანგელურ ლუთერანულ ეკლესიას. იგი სრულწლოვნად ჩაითვლება 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ. იგივე წესი ვრცელდება მემკვიდრეზეც.

პარლამენტი. დანიაში საკანონმდებლო ხელისუფლებას მონარქთან ერთად ახორციელებს ფოლკეტინგი – ერთპალატიანი პარლამენტი, რომლის შემადგენლობაში 179 დეპუტატია. აქედან 2 – 2 დეპუტატი წარმოადგენს ფარერის კუნძულებს და გრენლანდიას, ხოლო ერთი თავისუფალი დეპუტატია. ფოლკეტინგი აირჩევა 4 წლით საყოველთაო, პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით.

პარლამენტი თავის პირველ სესიაზე მოიწვევა დღის 12 საათზე, არჩევნების ჩატარებიდან თორმეტი კვირის შემდეგ, მაგრამ მეფეს შეუძლია უფრო ადრეც მოიწვიოს იგი. კონსტიტუციის თანახმად, ყოველი მორიგი სესია ოქტომბრის პირველ სამშაბათს იწყება და გრძელდება შემდგომი წლის ოქტომბრის პირველ სამშაბათამდე, მაგრამ, ფაქტობრივად, მხოლოდ გაზაფხულამდე გრძელდება. რიგგარეშე სესიები ტარდება პრემიერ-მინისტრის ან დეპუტატთა 2/5-ის ინიციატივით. ფოლკეტინგის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და მისი მოადგილეებისგან. პალატის თავმჯდომარე აირჩევა ერთი სესიით. ქვეყნის პოლიტიკის

მნიშვნელოვანი მიმართულებებისა და სფეროებისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით, იქმნება მუდმივი კომიტეტები, რომლებიც ფორმირდება ფრაქციების წარმომადგენლებისგან. ამავე წესით იქმნება დროებითი და სპეციალური საგამომძიებო კომიტეტები.

საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის მეფეს, მინისტრთა საბჭოს, დეპუტატებს და პარლამენტის მუდმივ კომიტეტებს. კონსტიტუციის თანახმად, ფოლკეტინგს შეუძლია ნებისმიერ სფეროში მიიღოს კანონები. კანონპროექტები, ძირითადად, მზადდება მთავრობის მიერ. პარლამენტში, პირველი მოსმენით მათი განხილვის დროს ფიქსირდება კანონპროექტის დასახელება და მიიღება გადაწყვეტილება შესაბამის კომიტეტში გადაცემის თაობაზე, რასაც მოჰყვება დებატები კომიტეტის სხდომაზე. მეორე მოსმენისას პარლამენტში ხდება კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა. მესამე მოსმენისას ხდება კანონპროექტის მთლიანი სარედაქციო განხილვა და კენჭისყრა. კანონპროექტები მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. კანონპროექტი მეფეს ეგზავნება, რომელიც 30 დღის განმავლობაში ახდენს მის პრომულგირებას. პრაქტიკულად კი, კარგა ხანია მონარქის ეს უფლება მის მოვალეობად იქცა.

ფოლკეტინგს ფართო უფლებამოსილება აქვს ფინანსურ სფეროში, მხოლოდ მას შეუძლია გადასახადების დანესება. ფინანსური წლის დამთავრებიდან 6 თვის მანძილზე მინისტრთა საბჭო ფოლკეტინგს წარუდგენს ანგარიშს შემოსავლებისა და გასავლების შესახებ. იგი, შემდგომი შეფასების მიზნით, გადაეცემა პარლამენტის მიერ დანიშნულ აუდიტორებს. მინისტრთა საბჭოს ანგარიში და აუდიტორების დასკვნა განიხილება ფოლკეტინგის სესიაზე. ბიუჯეტის პროექტი მინისტრთა საბჭომ უნდა წარადგინოს პარლამენტში განსახილველად საფინანსო წლის დაწყებამდე 4 თვით ადრე. თუ პირველ აპრილამდე ბიუჯეტი არ დამტკიცდება, მინისტრთა საბჭო შეიტანს პარლამენტში კანონპროექტს დროებითი ასიგნებების შესახებ.

პარლამენტი ამტკიცებს თავის შინაგან რეგლამენტს, რომლის მიხედვითაც წარმართავს სესიებს. ფოლკეტინგის სხდომა ღიაა, მაგრამ თავმჯდომარეს, წევრების გარკვეულ რაოდენობას ან მინისტრს შეუძლიათ მოითხოვონ სხდომის დახურვა. ფოლკეტინგი იღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ, თუ კენჭისყრაში მონაწილეობს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ფოლკეტინგის წევრებს იცავს იმუნიტეტი და ფოლკეტინგის ნებართვის გარეშე მათ არ შეიძლება წარედგინოს ბრალდება და დაპატიმრებულ იქნენ, თუ არა მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთ-

ხვევაში. ამასთან, არც ერთი პარლამენტის წევრი, ფოლკეტინგის თანხმობის გარეშე, არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში.

მრავალპარტიული სისტემის პირობებში, სხვადასხვა საპარლამენტო ფრაქციის მხრიდან მთავრობისადმი თავისი დამოკიდებულების გამოვლინების გათვალისწინებით, დანიაში იქმნება უმრავლესობის ან უმცირესობის მინისტრთა საბჭო. უკანასკნელის ფორმირება ხდება იმ ვითარებაში, როდესაც არ ხერხდება საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერაზე დაფუძნებული მმართველი კოალიციის შექმნა. უმცირესობის მთავრობა ხელისუფლებაში მოდის, როგორც წესი, ისეთი პარტიების მხარდაჭერით, რომლებიც უშუალოდ არ შედიან მთავრობის შემადგენლობაში.

მთავრობა. მეფე თავის აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა საბჭოს მეშვეობით. იგი ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრს და სხვა მინისტრებს, განსაზღვრავს მთავრობის შემადგენლობასა და მის საქმიანობას, რის შემდგომ მინისტრები თავად აგებენ პასუხს მთავრობის საერთო საქმიანობასა და პირად მოქმედებებზე. მინისტრთა საბჭოს ფართო უფლებები აქვს სახელმწიფოს მართვაში. ფაქტობრივად, იგი მეფის ბევრ ფუნქციას ასრულებს. პრემიერ-მინისტრად შეირჩევა პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი, რომელიც შემდეგში ქმნის მთავრობას. მინისტრი შეიძლება, მაგრამ არ არის სავალდებულო იყოს ფოლკეტინგის დეპუტატი. თუ ფოლკეტინგი უნდობლობას გამოუცხადებს მინისტრს, იგი თავის ადგილზე ვერ დარჩება. მაგრამ მინისტრების მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისთვის ბრალდების წაყენების უფლება აქვს მეფეს ან ფოლკეტინგს. ეს ბრალდება განიხილება უზენაესი სასამართლოს მიერ.

მინისტრთა შეკრებას, რომელსაც მეფე თავმჯდომარეობს, სახელმწიფო საბჭო ეწოდება. მეფე სწორედ სახელმწიფო საბჭოს მეშვეობით მართავს სახელმწიფო საქმიანობას. საბჭოს სხდომას მეფის სრულწლოვანი მემკვიდრეც ესწრება. სახელმწიფო საბჭოს რამდენიმე განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია: საგანგებო მდგომარეობის დროს იგი თავის ხელში იღებს მთავრობის ფუნქციებს, ამასთან, ყველა კანონი და მნიშვნელოვანი საქმეები განიხილება სახელმწიფო საბჭოზე. მაგრამ სახელმწიფო საბჭოს სხდომები იშვიათობაა, და თუ მეფეს არა აქვს შესაძლებლობა, ჩაატაროს სახელმწიფო საბჭოს სხდომა, მას შეუძლია საკითხი განიხილოს მინისტრთა საბჭოსთან ერთად, რომელსაც პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს. გადანყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით, რომლის შემდეგ მეფე თვითონ გადანყვეტს, დაეყრდნოს მინისტრთა საბჭოს წინადადებას თუ საკითხი მანაც განიხილოს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე.

მინისტრთა საბჭოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივა და ადმინისტრაციული უფლებამოსილება. ის შეიმუშავებს უამრავ კანონპროექტს და პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერით, გააქვს პარლამენტის სხდომაზე, ხოლო სესიებს შორის პერიოდში, განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში, თვითონვე გამოსცემს კანონის ძალის დროებით აქტებს, რომელიც შემდეგ ფოლკეტინგმა უნდა დაამტკიცოს. მინისტრებს შეუძლიათ, დაესწრონ და სიტყვითაც გამოვიდნენ პარლამენტის სხდომაზე. პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს მოსთხოვოს აუცილებელი სესიის მოწვევა და თვითონ განსაზღვროს დღის წესრიგი.

მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს სამინისტროებს და დეპარტამენტებს, ახორციელებს სახელმწიფო აპარატის ფორმირებას, შეუძლია გააუქმოს ძველი და შექმნას ახალი დეპარტამენტი. კონსტიტუცია იცავს სახელმწიფო მოხელეს, როცა ადგენს, რომ მათი გადაყვანა სხვა თანამდებობაზე, ნაკლები ანაზღაურებით, დაუშვებელია. მთავრობა აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოს საერთაშორისო ცხოვრებაში: დებს საერთაშორისო შეთანხმებებს, მეფის ნებართვით ნიშნავს სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

დანია უნიტარული სახელმწიფოა, აქ მოქმედებს ორრგოლიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის სისტემა, რომლის გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორია 14 ადმინისტრაციულ ერთეულად – ამტად, ჩვენი გაგებით – ოლქად, არის დაყოფილი, რომლებიც, თავის მხრივ, კომუნებად იყოფა. თითოეული ამტის სათავეში დგას, მთავრობის წარდგინებით, მეფის მიერ დანიშნული ამტის უფროსი, რომელიც ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების წარდგინების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს კომუნის უხუცესებს და მუნიციპალიტეტის ბურგომისტრებს. ადგილებზე წარმომადგენლობითი ორგანოებია ამტების, კომუნების და მუნიციპალიტეტების კრებები, რომლებიც მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით აირჩევა.

დანიაში ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – მუნიციპალური საბჭოს წევრთა რიცხვი 5-დან 35-მდე მერყეობს და მხოლოდ კოპენჰაგენის საბჭო აერთიანებს 55 წევრს. მუნიციპალური საბჭოები ადგილებზე ირჩევენ ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს – აღმასრულებელი აპარატის უფროსის სახით. გრენლანდია და ფარერის კუნძულები თვითმართვადი ტერიტორიებია. ასევე ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად არიან გამოყოფილი დედაქალაქი – კოპენჰაგენი და ქალაქი ფრედერიკსბერგი.

საარჩევნო სამართალი

საარჩევნო კანონმდებლობა რეგლამენტირებულია კონსტიტუციით. ფოლკეტინგის არჩევნებში მონაწილეობის აქტიური ხმის უფლება აქვს დანიაში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანებას და არ იმყოფება მეურვეობის ქვეშ. კანონით განსაზღვრულია დანაშაულები, რომლის ჩადენის შემთხვევაში მოქალაქეს ჩამოერთმევა საარჩევნო უფლება.

ფოლკეტინგში შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც პასიური ხმის უფლება აქვს და არ ჩაუდენია დეპუტატისთვის უღირსი ქმედება. დანიური კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს რეგიონული ან ადგილობრივი საბჭოების წევრების შეთავსებადობის შეზღუდვებს და დეპუტატის მანდატის შეუთავსებლობის საკითხი აქ არ დგება. ფოლკეტინგის წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით, საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, ცალკეულ ოლქებში არჩევნების ჩატარებისას, საარჩევნო კანონი განსაზღვრავს, პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენების შემთხვევებს. მანდატების ტერიტორიული ნიშნით განაწილების დროს გათვალისწინებულია ამომრჩეველთა რაოდენობა და მოცემულ საარჩევნო ოლქში მოსახლეობის სიმჭიდროვე.

საარჩევნო კანონი განსაზღვრავს სპეციალურ ნორმებს, პარლამენტის წევრებთან ერთად მათი მოადგილეების არჩევის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ხელახალი არჩევნების დანიშნვის თაობაზე. კანონით დაშვებულია ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობა ფოსტით. საარჩევნო სიების შედგენა მუნიციპალური ორგანოების საქმეა.

კანონით შეიძლება განსაზღვრულ იქნეს განსაკუთრებული წესები ფოლკეტინგში გრენლანდიის წარმომადგენლებისთვის. მეფეს შეუძლია ნებისმიერ დროს დანიშნოს ახალი არჩევნები, რომლის დაწყებისთანავე პარლამენტის მანდატები კარგავს ძალას. მაგრამ ახალი მინისტრთა კაბინეტის არჩევის შემდეგ, ახალი არჩევნები არ დაინიშნება, ვიდრე პრემიერ-მინისტრი არ გაეცნობა ფოლკეტინგს.

თუ ფოლკეტინგის წევრი კარგავს დეპუტატად არჩევის უფლებას, მისი მანდატი კარგავს ნამდვილობას. ნიშანდობლივია, რომ ფოლკეტინგი თვითონ წყვეტს დეპუტატად არჩევის ნამდვილობას, ისევე, როგორც ამა თუ იმ პარლამენტის წევრის შემდგომ არჩევნებში მონაწილეობის უფლების საკითხს.

პარლამენტის ყოველი ახალი წევრი იძლევა საქვეყნო დაპირებას, რომ დაიცავს კონსტიტუციის ნორმებს. ფოლკეტინგი ხელშეუხებელია. ის, ვინც ხელს აღმართავს მის უსაფრთხოებასა და თავისუფლ-

ბაზე, ვინც გასცემს ასეთ ბრძანებას და ვინც აღასრულებს, დაისჯება, როგორც სახელმწიფოს მოღალატე.

უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან რეფერენდუმი განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საკანონმდებლო პროცესში. კონსტიტუციის ნებისმიერი ცვლილება გადის რეფერენდუმზე, ხოლო ჩვეულებრივი კანონის შემთხვევაში, საჭიროა ფაკულტატიური რეფერენდუმი. რეფერენდუმზე კენჭისყრა ტარდება კანონპროექტის მხარდასაჭერად ან წინააღმდეგ და ეს პოზიცია სარეფერენდუმოდ დასმულ კითხვაში უნდა იყოს ფორმულირებული. კანონპროექტის უარყოფას სჭირდება კენჭისყრაში მონაწილე მოსახლეობის უმრავლესობის, მაგრამ საარჩევნო ხმისუფლებიან ამომრჩეველთა არანაკლებ 30% -ის მხარდაჭერა. რეფერენდუმის განხილვის საგანი არ შეიძლება იყოს კანონპროექტი ხელფასებთან, პენსიებთან და, საერთოდ, საფინანსო და ზოგიერთ სხვა საკითხთან დაკავშირებით.

სამოქალაქო სამართალი

დანიამი, პირველ რიგში, სწორედ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება პრეცედენტული სამართლის ნორმებით. განსაკუთრებულია ადათების, როგორც სამართლის წყაროს მნიშვნელობა საზღვაო და სავაჭრო-სამართლებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად. ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, დანიის სამოქალაქო სამართალში მოქმედებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტებიც. კერძოდ, ეს არის უძრავი ქონების საკუთრების შესახებ 1926 წლის კანონი მინების რეგისტრაციის შესახებ, ხოლო ვალდებულებით და სავაჭრო ურთიერთობების სფეროში 1906 წლის კანონი ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ, 1930 წლის კანონი დაზღვევის შესახებ და 1966 წლის კანონი ვაჭრობის შესახებ. და მაინც, ამ აქტებშიც იგრძნობა პრეცედენტული სამართლის გავლენა. კერძოდ, მათში, ზოგიერთ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა არ ექცევა ხელშეკრულებების დადების ფორმას. სამოქალაქო სამართალდარღვევის სფეროში არ არსებობს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, აქაც მოქმედებს პრეცედენტული სამართლის ნორმები, რომელიც აგებულია ბრალეულობის პასუხისმგებლობაზე და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენება სხვა პირების მოქმედების პასუხისმგებლობა.

დანყებული XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებით დანიის სამართალი ჩაერთო პროცესში, რომელიც სხვა სკანდინავიური ქვეყნების სამართალთან დაახლოების მიზნით წამოიწყო. იურისტთა გაერთი-

ანებული კომისიის მიერ შემუშავებული წინადადებების საფუძველზე, ამ ქვეყნებში მიღებულ იქნა ანალოგიურ ნორმათა სისტემაზე დაფუძნებული საკანონმდებლო აქტები. ამჟამად საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის სფეროში მოქმედებს სხვა სკანდინავიურ ქვეყნებთან კონსულტაციების შედეგად პერიოდულად განახლებადი კანონები: 1969 წლის — ქორწინების და განქორწინების შესახებ, 1966 წლის — ბავშვების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, 1956 წლის — შვილად აყვანის შესახებ და სხვ.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება კოლექტიური შეთანხმებების შედეგად, რომელიც ფორმდება მუშების წარმომადგენლებს პროფკავშირებიდან და საწარმოს მფლობელებს შორის საერთო-ეროვნულ ან დარგობრივ დონეზე, ან კონკრეტულ საწარმოში, უშუალოდ, მუშებსა და მფლობელებს შორის. დანიური სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია, ფინანსირდება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებით, მენარმეების შენატანებით და ბიუჯეტის ასიგნებებით. ეს სისტემა შეიცავს პენსიების, უმუშევრობის და ინვალიდობის თანხებს, კომპენსაციას საცხოვრებელი სახლის დანახარჯსა და ბავშვების აღზრდაზე, უფასო სამედიცინო დახმარებაზე და სხვ.

დანიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს დაცვის და საერთოდ ეკოლოგიის პრობლემებს. ყველანაირი დაბინძურებისგან, ფლორის, ფაუნის, მცენარეების და ცხოველების ადგილსამყოფლის დაცვის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია 1985 წლის კანონით გარემოს დაცვის შესახებ. ამ სფეროში ცალკეული საკითხები რეგულირდება ისეთი კანონებით, როგორცაა ნადირობის წესების შესახებ, თევზჭერის შესახებ, ტყეების შესახებ, სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების შესახებ, წყალმომარაგების შესახებ და სხვ.

სისხლის სამართალი

დანიური სამართლის ერთი თავისებურება ის არის, რომ კოდიფიცირებულია დანიის სამართლის მხოლოდ ზოგიერთი დარგი და მათ შორის სისხლის სამართლის კანონმდებლობა. 1930 წლის დანიის სისხლის სამართლის კოდექსი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა XX საუკუნის პირველი ნახევრის ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ვინაიდან მასში განხორციელდა სისხლის სამართლის „ნეოკლასიკური“ და სოციოლოგიური სკოლების კონცეფციების შეხამების მცდელობა. ამ კოდექსით გათვალისწინებულია მოსამართლის მოქმედების ფართო საზღვრები. ამა-

სთან, კოდექსით დასაშვები იყო კანონის ანალოგიით გამოყენება, რაც იმით იყო მოტივირებული, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული დანაშაულის შემადგენლობის დანვრილებითი აღწერა.

დანიში სიკვდილით დასჯა კანონმდებლობით 1978 წელს გაუქმდა, მაგრამ, ფაქტობრივად, არც მანამდე გამოიყენებოდა, თუ არ ჩავთვლით ნაცისტების და კოლაბორაციონისტების მიმართ 1950 წელს გამოყენებულ ამ ზომას.

არსებითი განსაკუთრებულობით გამოირჩევა ავტონომიურ რესპუბლიკა გრენლანდიაში მოქმედი სამართალი, ვინაიდან აქ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში დანიურ კანონებთან ერთად, ნაწილობრივ ინარჩუნებს ძალას ადგილობრივი ადათობრივი სამართალი. ზოგიერთ სხვა საკითხთან ერთად, სწორედ იგი არეგულირებს ქორწინების სამართლებრივ შედეგებს. სპეციალურად გრენლანდიისთვის არის გამოცემული რიგი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, ე.წ. „დანის სისხლის სამართლის კოდექსი გრენლანდიისთვის“. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით არის შედგენილი, აგრეთვე, 1954 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის მიღებამდე გრენლანდიაში გამოიყენებოდა ზეპირსიტყვიერად გადმოცემული ადათები და ჩვეულებები. გრენლანდიაში არასოდეს ყოფილა ციხე, როგორც ასეთი, ხოლო მოსახლეობის მცირერიცხოვნებამ და მკაცრმა ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა მრავალი არსებითი თავისებურება, რომლითაც გამოირჩევა აღნიშნული კოდექსი.

გრენლანდიის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსს თავისებური სტრუქტურა აქვს: განსაკუთრებული ნაწილის შემდეგ მოდის „დანაშაულის სამართლებრივი შედეგები“. ზოგადი ნაწილი შედგება მხოლოდ 10 პარაგრაფისგან. გრენლანდიის კოდექსით, ისევე როგორც დანიის კოდექსით, გათვალისწინებულია კანონის ანალოგიით გამოყენება. განსაკუთრებულ ნაწილში მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის აღწერაა მოცემული, მათზე კონკრეტული სანქციების მითითების გარეშე, კოდექსში არ არის მოხსენიებული არა მარტო სიკვდილით დასჯა, არამედ თავისუფლების აღკვეთაც. „დანაშაულის სამართლებრივი შედეგებით“ გათვალისწინებული ძირითადი ზომებია: თავისუფლების აღკვეთის გარეშე, იძულებითი სამუშაოები და ჯარიმა, ასევე განსაზღვრულ ადგილზე ცხოვრების აკრძალვა. მხოლოდ „განსაკუთრებით საშიში“ და „ჩვეულებად ქცეული“ დამნაშავე შეიძლება მოათავსონ, სხვებისგან მონყვევით, რომელიმე სათავსოში ან პოლარულ ბანაკში, თუ ამას მოითხოვს „საერთო უსაფრთხოების ინტერესები“.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

კონსტიტუციის თანახმად, პიროვნების თავისუფლება ხელშეუხებელია. არც ერთი დანიის მოქალაქე არ შეიძლება მოკლებული იყოს პირად უფლებებსა და თავისუფლებებს პოლიტიკური, რელიგიური შეხედულებების და თავისი წარმომავლობის გამო. თავისუფლების აღკვეთა მოქალაქეს შეეფარდება მხოლოდ კანონით. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ახორციელებს ქვეყნის სასამართლო სისტემა და ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც 1953 წლის კონსტიტუციამ აღიარა. ამას 1954 წლის 11 სექტემბერს მოჰყვა „დანიის ფოლკეტინგის ომბუდსმენის შესახებ“ კანონი, რომელიც ეტაპობრივად იხვეწებოდა შესწორებადამატებებით. ამჟამად მოქმედებს 1996 წლის 12 ივნისის კანონი „ომბუდსმენის შესახებ“, რომლის თანახმადაც ყოველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ, ან ვაკანსიის შემთხვევაში, ფოლკეტინგი ირჩევს ომბუდსმენს. ომბუდსმენის სიკვდილის შემთხვევაში, ფოლკეტინგის სამართლებრივი ურთიერთობების კომიტეტი, ახალი კანდიდატის არჩევამდე, გადაწყვეტს მოვალეობის შემსრულებლის საკითხს.

ომბუდსმენის ინსტიტუტზე, კონსტიტუციით დამკვიდრებული სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციაზე ზედამხედველობის ფუნქციის რეალიზაციამ ის გამოიწვია, რომ პარლამენტი ორ ომბუდსმენს ნიშნავს, სამოქალაქო და სამხედრო სპეციალიზაციით. სხვა მხრივ, კანონი ომბუდსმენის შესახებ მათ თანაბარ პირობებში აყენებს. ომბუდსმენს უნდა ჰქონდეს იურიდიული განათლება, არ უნდა ითავსებდეს რაიმე თანამდებობას და არც ადგილობრივი საბჭოს წევრობას. ფოლკეტინგის ნდობის დაკარგვის შემთხვევაში, ომბუდსმენს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება. ომბუდსმენმა, ნებაყოფლობით გადადგომის თაობაზე 6 თვით ადრე უნდა განაცხადოს. მას ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება 70 წლის შესრულებისთვის ბოლომდე. საქმე, რომელიც სამოქალაქო პროცესის ფორმით აღიძრება ომბუდსმენის წინააღმდეგ, მისი გადაწყვეტილების, განცხადების გამო, შეიძლება მისივე თხოვნით შეწყდეს.

დანიური ომბუდსმენი სამართალდამცავი ორგანოების კატეგორიას განეკუთვნება და ამის გათვალისწინებით არის დარეგულირებული მისი უფლებამოსილებები. თუმცა სხვა სკანდინავიური ქვეყნების ანალოგიურ ორგანოებთან შედარებით, ერთგვარად შეზღუდულია, ვინაიდან ზედამხედველობს სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობას, მაგრამ არ ერევა მოსამართლეთა მოქმედებაში. და მინც, მსოფლიო ქვეყნებისთვის ომბუდსმენის ინსტიტუტი დანიური გამოცდილების სახით გახდა ხელმისაწვდომი.

ომბუდსმენის იურისდიქცია ვრცელდება სახელმწიფო ადმინისტრაციის ყველა შტოზე, მაგრამ არა სასამართლო ხელისუფლებაზე, იგი არ განიხილავს საჩივრებს იმ საბჭოების წინააღმდეგ, რომლებიც კერძო მხარეთა დავებზე დამაკმაყოფილებელი ფორმით იღებენ გადაწყვეტილებებს, ხოლო თუ კომპანიები, დანესებულებები და ასოციაციები ადმინისტრაციულად ექვემდებარებიან კანონს სახელმწიფო ადმინისტრაციის, სახელმწიფო ადმინისტრაციის მასალებზე მისაწვდომობის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის მონაცემთა დაცვის შესახებ, ომბუდსმენს შეუძლია ორგანოებზე თავისი იურისდიქცია კომპეტენციის ფარგლებში გაავრცელოს. ომბუდსმენის იურისდიქცია ვრცელდება ასევე ეკლესიის საქმიანობაზე, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც საეკლესიო დოგმებს და დოქტრინებს პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება.

ომბუდსმენი წარუდგენს ფოლკეტინგს ყოველწლიურ მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდება. ომბუდსმენი, მოქმედ კანონებში, ადმინისტრაციულ აქტებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ან გამოძიებით სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობაში გამოვლენილი შეცდომების შესახებ, აცნობებს შესაბამისად ფოლკეტინგს, მინისტრს, შესაბამის ადგილობრივ ორგანოს.

ნებისმიერ პირს, რომელსაც პირადი თავისუფლება აღეკვეთა, უფლება აქვს წერილობით მიმართოს ომბუდსმენს. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს გასაჩივრებული ქმედების ჩადენიდან 12 თვის მანძილზე. ამასთან, საჩივარი ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც შესაძლებელია გასაჩივრდეს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, არ შეიძლება შეტანილ იქნეს ომბუდსმენთან, ვიდრე ეს ორგანო ამ საკითხზე გადაწყვეტილებას არ გამოიტანს. ომბუდსმენი თვითონ წყვეტს, შეიცავს თუ არა საჩივარი საკმარის საფუძველს გამოძიების დაწყებისთვის. თუ საჩივარი არ იძლევა საფუძველს რეკომენდაციისთვის, საქმე შეიძლება დაიხუროს.

ომბუდსმენი ამოწმებს, ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ან მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ პირთაგან ხომ არ ჰქონდა ადგილი კანონმდებლობის სანინააღმდეგო ქმედებას, შეცდომას ან მოვალეობის აღსრულებიდან გადახვევას. ომბუდსმენს შეუძლია საკუთარი ინიციატივით დაიწყოს გამოძიება, ჩაატაროს ზოგადი გამოძიება ხელისუფლების ორგანოს მიერ საქმის წარმოების თაობაზე. თუმცა ომბუდსმენმა არ უნდა გამოხატოს კრიტიკული დამოკიდებულება ან მიიღოს რაიმე რეკომენდაცია, სანამ ხელისუფლების ორგანოს

ან პიროვნებას, ვისაც ეს ეხება, განცხადების გაკეთების შესაძლებლობა აქვს. ომბუდსმენი მოვალეა დაიცვას ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მას მისი უფლებამოსილებების განხორციელებისას გაანდეს.

სასამართლო სისტემა

დანიის სასამართლო ხელისუფლების პირამიდას ჯერ კიდევ 1661 წელს შექმნილი სამეფოს უმაღლესი სასამართლო ადგას გვირგვინად, რომლის შემადგენლობაში შედის არა უმეტეს 15 უხუცესი მოსამართლე და ამდენივე მოსამართლე, რომლებიც 6 წლის ვადით აირჩევიან ფოლკეტინგის მიერ პროპორციული წარმომადგენლობითი პრინციპით. სამეფოს უმაღლესი სასამართლო ირჩევს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან. პარლამენტის წევრი არ შეიძლება არჩეულ იყოს სამეფოს უმაღლესი სასამართლოს წევრად. თუ უზენაესი სასამართლოს რომელიმე წევრს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, მაშინ საქმის განხილვაში მონაწილეობიდან განთავისუფლდება ფოლკეტინგის მიერ არჩეული იმდენივე მოსამართლე. თუ რაიმე საქმე შეტანილია სამეფოს უმაღლეს სასამართლოში განსახილველად, ფოლკეტინგის მიერ არჩეული წევრები ინარჩუნებენ ადგილს სასამართლოში ამ საქმის განხილვის დროს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი უფლებამოსილების ვადა უკვე გავიდა.

სამეფოს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვს პრეცედენტების ძალა, რომელიც სავალდებულო შესასრულებელია ქვემდგომი სასამართლოებისთვის. ამასთან, იგი განიხილავს ბრალდებებს, რომლებიც წაეყენება მინისტრებს მეფის ან ფოლკეტინგის მიერ. მეფეს ასევე შეუძლია, პარლამენტის თანხმობით, სხვა პირებს წაუყენოს ბრალდება სახელმწიფოსთვის საშიში დანაშაულის ჩადენის მოტივით.

საფეხურიტ დაბლა აღმოსავლეთ და დასავლეთ მიწების ორი სააპელაციო სასამართლოა, რომლებიც იხილავენ აპელაციებს 84 სასამართლო ოლქში მოქმედი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. თითოეული მათგანი შედგება ერთი ან რამდენიმე პროფესიონალი მოსამართლისგან. სამოქალაქო საქმეებს მოსამართლეები განიხილავენ ერთპიროვნულად, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს ორი მსაჯულის, შეფენის მონაწილეობით. დანიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ერთხელ. გამონაკლის შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, უზენაეს სასამართლოს შეუძლია მიიღოს უკვე მეორე ინსტანციით განხილული

საქმე. მნიშვნელოვანი ადგილი დანიის სასამართლო სისტემაში განეკუთვნება საზღვაო და სავაჭრო საქმეთა სასამართლოებს. მოსამართლეები ინიშნებიან მეფის მიერ, იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით, იმ პირთა წრიდან რომელთაც აქვთ 15-20 წლის პროფესიული საქმიანობის სტაჟი. დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, მოსამართლეები ხელმძღვანელობენ მხოლოდ კანონით. ისინი შეიძლება განთავისუფლდნენ თანამდებობიდან მხოლოდ მოსამართლეთათვის კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის დადგომასთან დაკავშირებით, აგრეთვე, სასამართლოს განაჩენით ან სასამართლოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

პროკურატურა შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. მის სათავეში იმყოფება „მეფის ადვოკატი“ – გენერალური პროკურორი, რომელიც გამოდის სამეფოს უმაღლეს სასამართლოში, მისი მოადგილე და 7 „სახელმწიფო ადვოკატი“ – ადგილობრივი პროკურორები, რომლებიც ასევე ბრალდებას უჭერენ მხარს უზენაეს სასამართლოში. უმდაბლეს სასამართლოში კი ბრალდების მხარდამჭერად გვევლინება „პოლიციამისტერი“ – პოლიციის უფროსი.

დანიის კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი არათუ საკონსტიტუციო იუსტიციაზე, არამედ სასამართლოს უფლებაზე განახორციელოს საკონსტიტუციო ზედამხედველობა. და მაინც, დრომ თავისი ხელი დაატყო დანიურ მართლმსაჯულებას და აქ კონსტიტუციური იუსტიციის ამერიკული მოდელი დამკვიდრდა: ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს განიხილავს ნებისმიერი სასამართლო, მაგრამ პრიორიტეტი უმაღლეს სასამართლო ინსტანციას ეკუთვნის, ვინაიდან სწორედ დანიის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ქვეყნის ყველა სასამართლოსთვის და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში უმაღლესი სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი, ფაქტობრივად, წყვეტს მოქმედებას.

ლიტერატურა:

1. Конституция Королевства Дании // Конституции государств Европейского Союза, Москва, „Инфра. М-Норма“, 1997, стр.295-314;
2. გ.მიქანაძე, დანიის საპარლამენტო ომბუდსმენი, კანონი დანიის საპარლამენტო ომბუდსმენის შესახებ // ევროპის ომბუდსმენი, თბილისი, 1999, გვ. 58-81;
3. Магунова М. А., Государственный строй Дании, Москва, 1962.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოს „დიდ რვიანში“ შემავალი მაღალგანვითარებული სახელმწიფოა, რომელიც დასავლეთ ევროპაში ბრიტანეთის კუნძულებსა და მცირე არქიპელაგებზეა განლაგებული და 244,1 ათას კმ²-ს მოიცავს, მოსახლეობა – 58 მილიონს აღწევს. დედაქალაქია ლონდონი, სახელმწიფო ენა – ინგლისური, ფულის ერთეული – გირვანქა სტერლინგი.

დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო აერთიანებს 49 სახელმწიფოს და მიუხედავად ამისა, სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით, წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს, ხოლო მართვა-გამგეობის ფორმით – პარლამენტურ მონარქიას.

დიდი ბრიტანეთი საერთო სამართლის ოჯახს განეკუთვნება, მხოლოდ იმ თავისებურებით, რომ შოტლანდიური სამართალი კონტინენტური და საერთო სამართლის ოჯახების ზღვარზე, შერეული სამართლებრივი სისტემის სახით ვითარდება. ამასთან, იგი „დაუნერელი“ კონსტიტუციის მქონე ქვეყანაა, მოქმედებს 4 განსხვავებული ჯგუფის წყაროების კონსტიტუციური კომპლექტი: სტატუტები, სასამართლო პრეცედენტები, კონსტიტუციური შეთანხმებები, დოქტრინალური წყაროები.

კონსტიტუციური სამართალი

დიდ ბრიტანეთში ხელისუფლების განაწილების პრინციპი შემდეგნაირად არის რეალიზებული: სახელმწიფოს მეთაურობს – მონარქი, საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი, მთავრობას მეთაურობს – პრემიერ-მინისტრი, მართლმსაჯულება კი ხორციელდება დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მიერ.

მონარქი დიდ ბრიტანეთში წარმოადგენს ერის ერთიანობის სიმბოლოს, მას ფორმალურად შენარჩუნებული აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობა. მონარქის უფლებამოსილებათა შორის უმნიშვნელოვანესად არის აღიარებული პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლება, თუმცა დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად, ამ თანამდებობას ყველა შემთხვევაში იკავებს თემთა პალატის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი, ხოლო მონარქის ამ უფლების რეალიზაციას გასაქანი მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც არჩევნები გამარჯვებულს ვერ ავლენს.

მონარქი ახორციელებს პარლამენტის მიერ მიღებული აქტების პრომულგირებას. თეორიულად მონარქს აქვს აბსოლუტური ვეტოს

უფლება, თუმცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისმა გამოუყენებლობამ პრომულგირების უფლება უფრო მოვალეობად გადააქცია. გარდა ამისა, მონარქს პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე, შეუძლია თემთა პალატის დათხოვნა. მონარქი ნიშნავს უმაღლესი რგოლის მოსამართლეებს, მისი სახელით აღიძვრება და წარმოებს სისხლის სამართლის საქმეები, აქვს ამნისტიისა და შეწყალების უფლება, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, აყალიბებს დიპლომატიურ კორპუსს, აცხადებს ომს და დებს ზავს. მონარქი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. იგი თანამდებობებზე ნიშნავს სამხედრო მოსამსახურეებს და ანიჭებს მათ სამხედრო წოდებებს.

მონარქის უფლებამოსილებების მნიშვნელოვან შეზღუდვას იწვევს სახელმწიფოში დამკვიდრებული კონტრასიგნაციის მექანიზმი, მონარქის მიერ გამოცემულ ნებისმიერ აქტზე, ყველა შემთხვევაში, აუცილებელია პრემიერ-მინისტრის თანხმობის დამადასტურებელი ხელმოწერა. მონარქი მოქმედებს პრემიერ-მინისტრისა და სხვა მინისტრების რეკომენდაციების საფუძველზე, მაგრამ სრული პასუხისმგებლობა მმართველობაში მიმდინარე პროცესებზე ამ უკანასკნელთ ეკისრებათ. სწორედ ასეთი ურთიერთობა უდევს საფუძვლად ბრიტანულ დოქტრინაში ჩამოყალიბებულ კონცეფციას, რომ „მეფემ არ შეიძლება ჩაიდინოს არაკანონიერი მოქმედება“ და, შესაბამისად, მას არ ეკისრება სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი მოვალეობა, რომელიც მონარქს სახელმწიფოსგან აქვს დაკისრებული. იმის გამო, რომ მონარქი მიჩნეულია სარწმუნოების მცველად, იგი აუცილებლად უნდა იყოს პროტესტანტი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი იმყოფება ქორწინებაში, პროტესტანტი უნდა იყოს მისი მეუღლეც.

მონარქთან შექმნილია და მოქმედებს წარსულში სახელმწიფო ორგანოების სისტემაში დიდი გავლენის მქონე ორგანო – საიდუმლო საბჭო. და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო საუკუნეებმა მას დაუკარგეს უწინდელი გავლენა, საბჭოს ბრძანება მაინც ერთადერთი ფორმაა იმისათვის, რომ იურიდიული ძალა მიენიჭოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების აქტებს.

პარლამენტი. დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საქმიანობა მონესრიგებულია 1911 და 1949 წლებში მიღებული აქტებით „პარლამენტის შესახებ“. პარლამენტის ქვედა – თემთა პალატა შედგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 5 წლის ვადით არჩეული 659 წევრისგან. თემთა

პალატის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით და თავისუფალი მანდატით. ისინი თანამდებობიდან დათხოვილნი შეიძლება იქნენ მხოლოდ თემთა პალატის გადანყვეტილების საფუძველზე, რომლის კანონიერების განხილვის უფლება არც ერთ სასამართლოს არა აქვს. თემთა პალატის შინაორგანიზაციულ საქმიანობას აწესრიგებს მის მიერვე მიღებული მუდმივი წესები.

თემთა პალატას ხელმძღვანელობს სპიკერი, რომელსაც ჰყავს 3 მოადგილე. სპიკერი აირჩევა თემთა პალატის მიერ, საკუთარი უფლებამოსილების ვადით, რომელმაც პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად, თანამდებობაზე არჩევის შემდეგ, უნდა დატოვოს პარტიის რიგები. სპიკერის დამოუკიდებლობას ხელს უწყობს ისიც, რომ თანამდებობის დატოვების შემდეგ, იგი ღებულობს ბარონის ტიტულს და ღორდთა პალატის წევრობას. სპიკერი წარმართავს თემთა პალატის სხდომებს და მათი მიმდინარეობისას უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. თუმცა იგი არ მონაწილეობს საპარლამენტო დებატებში და არ შეუძლია კითხვით მიმართოს მთავრობის წევრს, ხოლო კენჭისყრაში მხოლოდ ხმების გაყოფისას მონაწილეობს, თავისთავად ცხადია, გადამწყვეტი ხმის უფლებით. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ XXI საუკუნის მიჯნაზე ჩაერთო ელექტრონიკა კენჭისყრის პროცესში.

ღორდთა პალატა ყველაზე მრავალრიცხოვანი ზედა პალატაა მსოფლიოში და შედგება 1000-ზე მეტი წევრისგან. მას ხელმძღვანელობს ღორდ-კანცლერი, რომელსაც ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. ღორდ-კანცლერი, თემთა პალატის სპიკერისგან განსხვავებით, მონაწილეობს დებატებსა და კენჭისყრაში. ღორდთა პალატა შედგება 2 კატეგორიის წევრებისგან: მემკვიდრეობითი პერებისა და პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე დანიშნული პერებისგან, რომელთაც არა აქვთ ამ ტიტულის მემკვიდრეობით გადაცემის უფლება, ასევე ზოგიერთი თანამდებობის პირისგან, რომლებმაც თანამდებობის დატოვებისას ავტომატურად მიიღეს ღორდთა პალატის წევრობა.

ღორდთა პალატის წევრები არ ღებულობენ გასამრჯელოს, თუმცა უნაზღაურდებათ სამსახურებრივი ხარჯები, ხოლო თემთა პალატის წევრები კი მათგან განსხვავებით არა მარტო ღებულობენ გასამრჯელოს, არამედ უფლება აქვთ, მოითხოვონ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. ღორდთა და თემთა პალატები ახორციელებენ კონტროლს მთავრობის საქმიანობაზე და შეუძლიათ შეკითხვებით მიმართონ მთავრობის წევრებს,

თუმცა მთავრობას პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ თემთა პალატის წინაშე და მხოლოდ მას შეუძლია გამოუტანოს მთავრობას უნდობლობის ვოტუმი. რაც შეეხება პალატების სტრუქტურას, ორივე პალატაში იქმნება კომიტეტები და ფრაქციები.

კანონპროექტები შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქვედა, ასევე ზედა პალატაში, თუმცა კანონპროექტების დიდი ნაწილი, თავდაპირველად, შეიტანება თემთა პალატაში, ხოლო ფინანსური კანონპროექტი შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ თემთა პალატაში. კანონპროექტი განიხილება და მიიღება 3 მოსმენით, რის შემდეგაც გადაეცემა მეორე პალატას, სადაც მის მიმართ წარმოებს ანალოგიური პროცედურა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე პალატა მასში შეიტანს ცვლილებას, კანონპროექტი უბრუნდება თავდაპირველ პალატას. პალატებს შორის ასეთი ურთიერთობა გაგრძელდება მანამ, სანამ კანონპროექტი არ იქნება ორივე პალატის მიერ ერთნაირი ფორმით მიღებული. ლორდთა პალატას არ შეუძლია კანონპროექტის მიღების დაყოვნება 1 წელზე, ხოლო ფინანსური კანონპროექტისა 1 თვეზე მეტი ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული აქტი მონარქის თანხმობით პირდაპირ შედის ძალაში.

დიდ ბრიტანეთში ინგლისის სამართლის პარალელურად, მოქმედებს შოტლანდიის სამართლის დამოუკიდებელი სისტემა, თავისებურებებით ხასიათდება ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი ინგლისის სამართალიც. შოტლანდიის სამართალი ჩამოყალიბდა სრულიად დამოუკიდებლად ინგლისის სამართლისგან. ისტორიულად მისი ფორმირება შოტლანდიის სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული პრეცედენტების მეშვეობით ხდებოდა, რომლებიც უმთავრესად ადგილობრივ ტრადიციებს ეფუძნებოდა. ამჟამად შოტლანდიის სამართლის სისტემაში პოზიტიური კანონმდებლობის სახით მოქმედებს, როგორც შოტლანდიის პარლამენტის მიერ მიღებული და დღესაც ძალაში მყოფი აქტები, ასევე, შეერთების შემდეგ ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული ის აქტები, რომელთა მოქმედებაც სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება ან რომლებიც მხოლოდ შოტლანდიისთვის არის მიღებული. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტი შოტლანდიის სამართალში შედარებით სრულყოფილად არის დამუშავებული, რაც ზოგჯერ საფუძვლად ედება ინგლისის სამართალში მათ რეცეფციას. ჩრდილოეთ ირლანდიაში სამართლის წყაროდ გვევლინება არა მხოლოდ ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული აქტები, არამედ აგრეთვე 1921 წლამდე ირლანდიის, ხოლო ამის შემდეგ 1972 წლამდე

არსებული ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტის მიერ მიღებული აქტები და ირლანდიის სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული პრეცედენტები.

მთავრობა. დიდ ბრიტანეთში მთავრობის ფორმირების, მინისტრთა კოლექტიური და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის წესი, კაბინეტის სამართლებრივი მდგომარეობა და სხვა საკვანძო საკითხები დარეგულირებულია კონსტიტუციური შეთანხმებების მეშვეობით. მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი, რომელიც დამოუკიდებლად აყალიბებს მთავრობის შემადგენლობას და ნიშნავს მინისტრებს, თუ არ გავითვალისწინებთ ფორმალურ თანხმობას მონარქის მხრიდან.

მთავრობის წევრები იყოფიან 4 ჯგუფად: ძირითადი სამინისტროების მინისტრები; უპორტფელო მინისტრები და ზოგიერთი ტრადიციული თანამდებობის პირები – ლორდი-საბჭოს თავმჯდომარე, ლორდი ბეჭდის მცველი და სხვა; სახელმწიფო მინისტრებად ნოდებული მინისტრის მოადგილეები; მცირე მინისტრები ანუ საპარლამენტო მდივნები, რომელთა მეშვეობითაც მყარდება ურთიერთობები მინისტრებსა და პარლამენტს შორის.

პრემიერ-მინისტრი დამოუკიდებლად წარმართავს ქვეყანაში მმართველობის პროცესებს და არ არის ვალდებული, იმოქმედოს საკუთარი პარტიის მითითებებით, თუმცა არც უმაგისობაა. თემთა პალატაში უნდობლობის ვოტუმის კენჭისყრაზე დაყენების შემთხვევაში, მთავრობის ბედი მთლიანად უმრავლესობაზე დამოკიდებული. უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება, კონკრეტული ადრესატის შესაბამისად, იწვევს მთავრობის მთლიანი შემადგენლობის გადადგომას ან მისი კონკრეტული წევრის გადაყენებას. მეორე შემთხვევაში, საკითხს იმის თაობაზე, მთავრობა მთლიანად თუ ნაწილობრივ იქნეს გადაყენებული, წყვეტს პრემიერ-მინისტრი. უნდობლობის ვოტუმის გამოტანის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრს რჩება შესაძლებლობა, ამოქმედოს ურთიერთშეკავების მექანიზმი და მონარქს მოსთხოვოს თემთა პალატის დათხოვნა.

მთავრობასთან ერთად აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს კაბინეტი. თუ მთავრობა მოიცავს წევრთა ფართო შემადგენლობას, კაბინეტის შემადგენლობა განისაზღვრება პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული 20-მდე წევრით. მთავრობა მთლიანი შემადგენლობით იშვიათად იკრიბება და ამდენად გაზრდილია კაბინეტის მნიშვნელობა, რომელიც მთავრობის სახელით იღებს უმრავლეს გადაწყვეტილებას. კაბინეტის ძირითადი ფუნქციებია: პარლამენტისთვის საბოლოო პოლიტიკური კურსის წარდგენა,

კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაზე, სამინისტროებისა და სხვა ცენტრალური უწყებების საქმიანობის სფეროებისა და კომპეტენციის განსაზღვრა.

დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში, ინგლისის გარდა, შედიან შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სისტემა დიდ ბრიტანეთში დეცენტრალიზებულ პრინციპზეა აგებული: ინგლისი, გარდა ლონდონისა, იყოფა 39 საგრაფოდ და 296 ოლქად, ადგილობრივი ორგანოების ყველაზე ქვედა რგოლს აქ წარმოადგენენ სამრევლოები, რომელთა რაოდენობაც 10ათასს აღემატება; უელსი იყოფა 8 საგრაფოდ და 37 ოლქად, ყველაზე ქვედა რგოლს აქ თემები წარმოადგენენ; შოტლანდია იყოფა 9 რეგიონად, 53 ოლქად და 1343 თემად; ჩრდილოეთ ირლანდია კი დაყოფილია 6 საგრაფოდ და 26 ოლქად. ლონდონის ადგილობრივი ორგანიზაცია სრულიად განსხვავებულად არის მოწყობილი და მას შემდეგ, რაც 1986 წელს გაუქმებულ იქნა ლონდონის დიდი საბჭო, მმართველობა აქ მხოლოდ რაიონებში მიმდინარეობს. საუკუნის ბოლოს კი ლონდონს მოსახლეობის მიერ არჩეული პირველი შერი მოევლინა.

ადგილობრივ ორგანოებში იქმნება საბჭოები, რომლებიც საგრაფოებსა და ოლქებში აირჩევა 4 წლის ვადით, ხოლო თემებსა და სამრევლოებში 3 წლის ვადით. საბჭოები არ იქმნება იმ თემებსა და სამრევლოებში, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 150-ს არ აღემატება. ამ დროს საბჭოს ფუნქციებს ასრულებს ამომრჩეველთა საერთო კრება, რომელიც ირჩევს თავმჯდომარეს. საბჭოს ხელმძღვანელობა აკისრიათ თავმჯდომარეებს, რომლებიც აირჩევიან 1 წლის ვადით. საგრაფოებსა და ოლქებში საბჭოები ირჩევენ ვიცე-თავმჯდომარეებს, რომლებიც თავმჯდომარეებს ენაცვლებიან მათ მიერ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში. საბჭოებს ჰყავთ კომიტეტები და ქვეკომიტეტები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში.

ადგილობრივი ორგანოების სამართლებრივი ბუნება ცენტრალური ორგანოებისგან დამოუკიდებლობით ხასიათდება, თუმცა ისინი მოვალენი არიან, იმოქმედონ კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რაც ცენტრალური ორგანოების მიერ კონტროლდება.

საარჩევნო სამართალი

დიდ ბრიტანეთში საარჩევნო სამართალი საყოველთაობის, თანასწორობის, პირდაპირობის და ფარული კენჭისყრის პრინციპებს

ემყარება. საარჩევნო სისტემის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ქვეყანაში დამკვიდრებული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, ხმების ფარდობითი უმრავლესობით. პარლამენტის თემთა პალატის არჩევნების დროს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იქმნება 659 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი. შესაბამისად, ინგლისში იქმნება 539 საარჩევნო ოლქი, შოტლანდიაში – 61, უელსში – 41, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიაში – 18. არჩევნების ჩატარების ორგანიზება დაკისრებული აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ამ მიზნით საარჩევნო ოლქებში ნიშნავს სპეციალურ საარჩევნო რწმუნებულებს.

კანდიდატურის წარდგენის მექანიზმი საკმაოდ გამარტივებულია და ამისთვის საკმარისია, შესაბამის განცხადებას ხელს აწერდეს ამ საარჩევნო ოლქში მცხოვრები 10 ამომრჩეველი მაინც, „შემთხვევითი“ კანდიდატურების გაცხრილვის მიზნით, დაწესებულია სპეციალური საარჩევნო შენატანი – თანხა, რომლის ოდენობაც 1985 წლიდან 500 გირვანჯასტერლინგით განისაზღვრება. აღნიშნული შენატანი კანდიდატს ეკარგება, თუ იგი ვერ შეძლებს ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტის მოგროვებას.

დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველთა სიების შედგენა ყოველწლიურად ხდება და ისინი გამოიყენება წლის განმავლობაში ჩატარებული, საპარლამენტო თუ ადგილობრივი არჩევნების დროს. აქტიური საარჩევნო უფლებით მოქალაქეები სარგებლობენ 18 წლის ასაკიდან. ეს უფლება არ გააჩნიათ უცხოელებს, სულით ავადმყოფებს, მსჯავრდადებულ პირებს. პასიური საარჩევნო უფლებით მოქალაქეები სარგებლობენ 21 წლის ასაკიდან. ეს უფლება არ გააჩნიათ: ფსიქიურად დაავადებულ, სახელმწიფო ლალატისათვის პასუხისგებაში მყოფ და მატერიალურად გაკოტრებულ პირებს. ადგილობრივი არჩევნების დროს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით ასევე სარგებლობენ ევროკავშირის ნევრი სახელმწიფოების მოქალაქეები, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებთან სრულ თანაბარ პირობებში.

საარჩევნო სისტემის ბრიტანულ მოდელში დამკვიდრებული მაჟორიტარული სისტემის პირობებში უზომოდ დიდია პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა. ქვეყანა კლასიკური ორპარტიული სისტემით ცხოვრობს, სადაც პოლიტიკურ პალიტრაში განსაკუთრებით „დაფასებულია“ ოპოზიციური პარტიების როლი. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ პარტიების დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება, 1975 წლიდან მოქმედებს დახმარების სპეციალური სისტემა, მხოლოდ ოპოზიციური პარტიებისთვის.

სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება ხდება პრეცედენტული სამართლისა და იმ სამართლებრივი აქტების მეშვეობით, რომლებიც მის ცალკეულ დარგებსა და ინსტიტუტებს შეეხება, მაგრამ არ არის კოდიფიცირებული ერთიანი აქტის სახით. საქმე ის არის, რომ სამოქალაქო სამართლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი — სახელშეკრულებო ანუ ვალდებულებითი სამართალი, ძირითადად, პრეცედენტულ სამართალთან არის დაკავშირებული. ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი პრეცედენტული სამართლის მეშვეობით რეგულირდება, თუ არ გავითვალისწინებთ კონკრეტულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მიღებულ სამართლებრივ აქტებს.

სანივთო სამართალთან დაკავშირებით მიღებულ და მოქმედ სამართლებრივ აქტებს შორის უდავოდ გამოსაყოფია 1925 წელს მიღებული ორი აქტი: „საკუთრების შესახებ“, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამართივა საკუთრების შექმნის და გასხვისების პროცესი და „ქონების მართვის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა ამ სახის სამართლებრივი ურთიერთობების მთელი რიგი ასპექტები. უკანასკნელი აქტის სამართლებრივ მნიშვნელობას ხაზს ისიც უსვამს, რომ დიდ ბრიტანეთში განსაკუთრებული გავრცელება პოვა მესამე პირთა სასარგებლოდ მინდობილი ქონების მართვის ინსტიტუტმა.

დიდ ბრიტანეთში საოჯახო სამართალი ის სფეროა, რომელიც შედარებით სრულყოფილად არის მონესრიგებული წერილობითი სამართლებრივი აქტების მეშვეობით. ასეთ აქტებს განეკუთვნება: 1949 წელს მიღებული აქტი „ქორწინების შესახებ“, 1971 წელს მიღებული აქტი „მეუღლეთა განქორწინებისა და განცალკევებული ცხოვრების შესახებ“, 1971 წელს მიღებული აქტი „ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ“, 1973 წელს მიღებული აქტი „მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის შესახებ“, 1987 წელს მიღებული აქტი „საოჯახო სამართლის რეფორმის შესახებ“.

მემკვიდრეობის სამართლის სფეროში აღსანიშნავია 1857 წელს მიღებული აქტი „ანდერძის შესახებ“, რომელმაც დაანესა, რომ წერილობით ანდერძს იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შედგენილია არანაკლებ 2 მოწმის თანდასწრებით.

სავაჭრო და საფინანსო სამართლის სფეროში ყურადღებას იმსახურებს 1881 წელს მიღებული აქტი „თამასუქის შესახებ“ და თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ — 1974 წელს მიღებული აქტი „სამომხმარებლო

კრედიტის შესახებ". ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვნად შეავსო პოზიტიურ კანონმდებლობაში არსებული ვაკუუმი.

სამენარმეო სამართლის სფეროში დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ 1844 წელს მიღებულია აქტი „სააქციო კომპანიების შესახებ". ამ სფეროს რეგულირება ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულად არის მიჩნეული იმ მიზეზით, რომ სამენარმეო კომპანიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში. ამ სფეროს მარეგულირებელი აქტებიდან ყურადღებას იმსახურებს ისეთი მნიშვნელოვანი აქტი, როგორც არის 1985 წელს მიღებული აქტი „კომპანიების შესახებ". ამ აქტით დეტალურად არის მონესრიგებული ცალკეული სახის კომპანიების იურიდიული სტატუსი; დაფუძნების, რეგისტრაციის და ლიკვიდაციის პირობები და წესი; კომპანიების ურთიერთშერწყმის და გაყოფის წესები; კომპანიების თანამდებობის პირთა სტატუსი და უფლებამოსილებანი; მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მექანიზმები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

შრომის სამართალში უკანასკნელი ათწლეული ადამიანისადმი ზრუნვის გაძლიერებით ხასიათდება. ამის დასტურია 1980, 1982 და 1988 წლებში მიღებული აქტები „დასაქმების შესახებ"; 1980 წელს მიღებული აქტი „პიკეტირების შესახებ"; 1980 და 1983 წლებში მიღებული აქტები „დახურული საამქროს შესახებ"; 1984 წელს მიღებული აქტი „პროფკავშირების შესახებ"; 1986 წელს მიღებული აქტი „ხელფასის შესახებ".

სისხლის სამართალი

დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართლის თავისებურება ის არის, რომ ქვეყანას, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, დღემდე არ გააჩნია ერთიანი კოდექსი, ამ მხრივ სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა 1830-1880 წლებში. ჯერ იყო და, ინგლისის და უელსის სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის პირველი მცდელობა განხორციელდა 1833-1849 წლებში, როდესაც მომზადებულ იქნა 2 მნიშვნელოვანი კანონპროექტი: პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ და ქურდობის შესახებ, რომლებიც მოგვიანებით 1861 და 1853 წლებში იქნა მიღებული. რეფორმის შემდგომი ეტაპი განხორციელდა 1878-1880 წლებში, რაც მთელი რიგი ახალი კანონპროექტების პაკეტის მომზადებაში გამოიხატა. აღნიშნულმა რეფორმამ მძლავრი იმპულსი მისცა ამ სფეროს შემდგომ განვითარებას. ნახევარსაუკუნოვანი რეფორმის შედეგად, მრავალი მოძველებული აქტი იქნა გაუქმებული, თუმცა აქვე შენარჩუნებულ იქნა ზოგიერთი მათგანი. ასე მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სისხლის სამართლის სფერ-

ოში მოქმედ უძველეს აქტს წარმოადგენს 1351 წელს მიღებული აქტი „სახელმწიფოს ღალატის შესახებ“.

1981 წლიდან მოყოლებული სისხლის სამართლის კოდიფიცირების ახალი ეტაპი დაიწყო. უკვე 1984 წელს მისი განხილვა სამართლებრივ კომისიაში დაიწყო, ხოლო სერიოზული გადამუშავების შემდეგ, 1989 წელს ლორდ-კანცლერს გადაეცა ინგლისისა და უელსის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, რომელიც დღესაც ელოდება პარლამენტის დამტკიცებას, საქმე კი არ იძვრის, როგორც ჩანს, იმ მართივი მიზეზით, რომ დიდ ბრიტანეთში სამართლის არც ერთი დარგის ყველა ინსტიტუტი არ რეგულირდება კოდექსით.

დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართალი სამართლის ის დარგია, სადაც განსაკუთრებით არის გამოკვეთილი პოზიტიური კანონმდებლობის მძლავრი როლი. ფაქტობრივად, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობების უდიდესი ნაწილი რეგულირდება სპეციალურად მიღებული აქტებით, განსაკუთრებით, ეს შეეხება სისხლის სამართლის ზოგად ნაწილს. გამონაკლისებს, რომელთაც ამ სფეროში სასამართლო პრეცედენტები არეგულირებს, მცირე ადგილი უკავია და ისეთი საკითხები რეგულირდება, როგორიცაა ბრალის ფორმები და შერაცხადობის განსაზღვრის კრიტერიუმები.

სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში 1908 წელს მიღებულ იქნა აქტი „მოსალოდნელი დანაშაულების გაფრთხილების შესახებ“, ხოლო 1967 წელს აქტი „სისხლის სამართლის შესახებ“, რომელმაც გააუქმა წარსულის მავნე გადმონაშთის სახით არსებული დანაშაულების ცნობილი დაყოფა ფელონიისა და მისდამინორის კატეგორიებად. პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდა ის დანაშაულები, რომელთა ჩადენისთვისაც მე-18 საუკუნის მინურულს სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა, ქონების კონფისკაციით, ხოლო დანაშაულის მეორე კატეგორიას ყველა სხვა სახის დანაშაულები. მოგვიანებით, 1977 წელს მიღებულმა აქტმა „სისხლის სამართლის შესახებ“, შემდგომი ცვლილება-დამატებები შეიტანა სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში. საყურადღებოა 1973 წელს მიღებული აქტი „სისხლის სამართლის სასამართლოების კომპეტენციის შესახებ“; 1974 წელს მიღებული აქტი „დამნაშავეთა გამოსწორების შესახებ“; 1981 წელს მიღებული აქტი „დანაშაულის მცდელობის შესახებ“ გარდა ამისა, სასჯელის დანიშვნისა და გამოყენების საკითხები, ასევე, მოცემულია პარლამენტის მიერ 1948, 1967, 1982, 1988 და 1991 წლებში მიღებულ აქტებში, რომლებიც იწოდება „კანონები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ“

სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, ე.ი. კონკრეტულ დანაშაულთა განმსაზღვრელ აქტებს შორის აღსანიშნავია: 1837 წელს მიღებული აქტი „მეკობრეობის შესახებ“; 1861 წელს მიღებული აქტი „პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ“; 1957 წელს მიღებული აქტი „მკვლელობის შესახებ“; 1956, 1967, 1976 და 1985 წლებში მიღებული აქტები „სქესობრივი დანაშაულების შესახებ“; 1968 და 1978 წლებში მიღებული აქტები „ქურდობის შესახებ“; 1971 წელს მიღებული აქტი „ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შესახებ“; 1974 წელს მიღებული აქტები „გარემოს დაცვის დაბინძურებაზე კონტროლის შესახებ“ და „გარეული ცხოველებისა და მცენარეების შესახებ“; 1976 წელს მიღებული აქტი „რასობრივი ურთიერთობის შესახებ“; 1979 წელს მიღებული აქტი „საბანკო საქმის შესახებ“; 1981 წელს მიღებული აქტი „ყალბი ფულის ჭრის შესახებ“; 1984 წელს მიღებული აქტი „ბავშვთა მოტაცების შესახებ“; 1986 წელს მიღებული აქტები „საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ“ და „ნარკოტიკების დანაშაულებრივი გავრცელების შესახებ“; 1988 წელს მიღებული აქტები „ცრუშეტყობილების შესახებ“, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთა შესახებ“.

დიდ ბრიტანეთში ძირითად სასჯელებად გამოიყენება: თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა. ასევე ფართოდ გამოიყენება სასჯელის ისეთი სახე, როგორც არის – პრობაცია და რომელიც გულისხმობს, რომ დამნაშავის მოთავსება პენიტენციალურ დაწესებულებაში არ ხდება, თუმცა მას წარედგინება შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნები, ისეთი შეზღუდვები, როგორცაა: არ მოინახულოს ცალკეული ადგილები, არ შეხვდეს ცალკეულ პირებს და სხვ. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობამ განიცადა პუმანიზაცია, როდესაც სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, 1965 წელს დროებით, ხოლო 1969 წელს სამუდამოდ გააუქმა იმის საფუძველზე, რომ ამის შედეგად, სტატისტიკურად, ამოთხი წლის ფარგლებში, მძიმე დანაშაულების რაოდენობამ არ იმატა. თუმცა მიუხედავად გაუქმებისა, არსებობს აქტები, რომლებიც ცალკეული დანაშაულის ჩადენისთვის ფორმალურად ითვალისწინებს სასჯელის ამ სახეს. ეს არის: სახელმწიფოს ღალატი, მეკობრეობა და სახელმწიფო გემების დაწვა.

ზემოთ წარმოდგენილი კანონების ნუსხა და მათი მიღების თარიღები იმის დასტურია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფა ხანგრძლივი და დაუსრულებელი პროცესია, აღნიშნულს კიდევ ერთხელ ადასტურებს თუნდაც 1997 წელს მიღებული კანონები პოლიციის შესახებ და დანაშაულის შესახებ. ასე რომ, სისხ-

ლის სამართლის კოდექსის მიღების უშუალოდ მცდელობის შემდეგ, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ტრადიციული გზით, ცალკეული ნორმატიული აქტების მიღებით ვითარდება.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ 1689 წელს იქნა მიღებული „ბილი უფლებათა შესახებ“. სხვა მხრივ, ადამიანის უფლებების დიდი ნაწილი პრეცედენტული სამართლისა და კონსტიტუციური ჩვეულებების მეშვეობით რეგულირდება პრინციპით — „ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი, რაც სამართლებრივი აქტებით პირდაპირ არ არის აკრძალული“.

დიდ ბრიტანეთში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით არ არსებობდა რაიმე სერიოზული მექანიზმები. ამით, ძირითადად, დაკავებულნი იყვნენ ადმინისტრაციული ტრიბუნალები და პარლამენტის წევრები, რომლებიც წელიწადში საშუალოდ 500 საჩივარს ღებულობდნენ, თუმცაღა მხოლოდ შეკითხვების მეშვეობით რეაგირებდნენ. ამან მოქალაქეების მხრიდან აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ გახშირებული საჩივრების გამო დღის წესრიგში დააყენა ომბუდსმენის ინსტიტუტის ბრიტანულ სინამდვილესთან შესაბამისობის გათვალისწინებით გადმოღება. ომბუდსმენის ბრიტანული მოდელი მთელი 10 წლის მანძილზე 1957-1967 წლებში მუშაუბოდა და იხვეწებოდა, რის საფუძველზეც 1967 წელს პარლამენტი, მართლმსაჯულების კომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე, ღებულობს აქტს „საპარლამენტო რწმუნებულის შესახებ“. დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო რწმუნებული ინიშნება 4 წლის ვადით მონარქის მიერ, პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე.

ბრიტანული საპარლამენტო რწმუნებულის სამართლებრივი ბუნება იმის მაჩვენებელია, რომ იგი არ არის მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებული ომბუდსმენის ინსტიტუტის ანალოგი. მსგავსება ის არის, რომ საპარლამენტო რწმუნებული იცავს ადამიანის უფლებებს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, ხოლო განსხვავება კი ის, რომ საპარლამენტო რწმუნებული საჩივრებს ღებულობს არა უშუალოდ მოქალაქეების, არამედ თემთა პალატის წევრებისგან, რომელთაც წარედგინებათ მოქალაქეთა საჩივარი თავდაპირველად და რომლებიც წყვეტენ მისი საპარლამენტო რწმუნებულისთვის გამოსაძიებლად გადაცემის საკითხს. საპარლამენტო რწმუნებული საქმის გამოძიების შემდეგ თემთა პალატის შესაბამის წევრს წარუდგენს მოხსენებას, შეუძლია პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გააშუ-

ქოს მიმდინარე მოვლენები, ხოლო მთლიანად თემთა პალატას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას განუღი მუშაობის შესახებ. ამასთან, რწმუნებული იხილავს არა მარტო ისეთ საქმეებს, სადაც მმართველობა მიმდინარეობს კანონის მოთხოვნების დარღვევით, არამედ ისეთებსაც, სადაც კანონის მოთხოვნების დაცვით განხორციელებულმა მმართველობამ გამოიღო უსამართლო შედეგები.

საპარლამენტო რწმუნებულის ინსტიტუტის ცხოვრებაში დამკვიდრებამ წამოჭრა წინადადება იმის თაობაზე, რომ მომხდარიყო რწმუნებულთა სპეციალიზაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეფორმა შეეხო ჯანმრთელობის დაცვას და 1973 წელს დანიშნულ იქნენ რწმუნებულები ამ სფეროში. რეფორმა ასევე შეეხო ადგილობრივ ადმინისტრაციას და 1974 წელს დანიშნულ იქნენ ადგილობრივი რწმუნებულები ინგლისში, უელსსა და შოტლანდიაში. ადგილობრივი რწმუნებულის ინსტიტუტმა განიცადა არსებითი ცვლილება, როდესაც 1981 წელს – ინგლისის, 1982 წელს – უელსის, ხოლო 1984 წელს – შოტლანდიის კანონმდებლობაში „ადგილობრივი რწმუნებულის შესახებ“ შევიდა ცვლილებები და რწმუნებულებს მიენიჭათ უფლება საბჭოში და მისი წევრის წინასწარი განხილვის გარეშე მიეღოთ საჩივარი გამოსაძიებლად. აღნიშნული უფლებით ასევე სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დანიშნული რწმუნებულები. თუმცა პირდაპირი მიმართვის შემოღებამ არ გამოიწვია რწმუნებულების უფლებამოსილებების გაზრდა. კერძოდ, საქმის გამოძიების შემდეგ რწმუნებულები ადგილობრივ ორგანოებს მიმართავენ რეკომენდაციებით საქმესთან დაკავშირებით, ხოლო უარის მიღების შემთხვევაში, რჩებათ შესაძლებლობა ისარგებლონ პრესისა და ტელევიზიის საშუალებებით.

სასამართლო სისტემა

დიდ ბრიტანეთში ამჟამად მოქმედი აქტი „სასამართლოების შესახებ“ მიღებულ იქნა 1971 წელს. სასამართლოების სისტემის სათავეში იმყოფება ლორდთა პალატის სასამართლო, რომელსაც ლორდ-კანცლერი ხელმძღვანელობს. აღნიშნული სასამართლო სააპელაციო წესით იხილავს ზედა რგოლის სასამართლოების, ასევე შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის უმაღლესი სასამართლოების მიერ გადაწყვეტილ საქმეებს. ამასთან, შოტლანდიის უმაღლეს სასამართლოსთან მიმართებაში უფლებამოსილია, განიხილოს მხოლოდ სამოქალაქო საქმეები, ვინაიდან შოტლანდიაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე უმაღლეს სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენს შოტლან-

დიის უმაღლესი სასამართლო. დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის სასამართლო, სარჩელის განხილვისა და დასკვნის გამოტანის შემდეგ მას იმ სასამართლოს გადასცემს, რომლის გადაწყვეტილებაც გასაჩივრებულ იქნა და სწორედ ამ უკანასკნელს, ლორდთა პალატის სასამართლოს რეკომენდაციების შესაბამისად, გამოაქვს მასზე საბოლოო გადაწყვეტილება.

დიდი ბრიტანეთის სასამართლო სისტემის ერთ-ერთ ზედა რგოლს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო, რომელიც სააპელაციო წესით იხილავს ქვემდგომი სასამართლოების მიერ გადაწყვეტილ საქმეებს. შედგება იგი სისხლის სამართლის საქმეთა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განმხილველი განყოფილებებისგან. სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში შედიან ლორდ-კანცლერი, ყოფილი ლორდ-კანცლერები, სამოქალაქო სამართლის განყოფილების ხელმძღვანელი ლორდი-მთავარი მოსამართლე და სხვა ლორდები.

დიდი ბრიტანეთის სასამართლო სისტემის იერარქიის ზედა რგოლის ინსტანციებს წარმოადგენენ უმაღლესი სასამართლო და სამეფო სასამართლო. უმაღლესი სასამართლო იყოფა სამეფო სკამის, კანცლერის და საოჯახო საქმეთა განყოფილებებად. სამეფო სკამის განყოფილება იხილავს მნიშვნელოვან სამოქალაქო საქმეებს. სამეფო სკამის განყოფილების შემადგენელი ნაწილის სახით ფუნქციონირებენ საადმირალო სასამართლო, რომელიც იხილავს საზღვაო გადაზიდვებთან, გემების დაჯახებებთან და კავშირებით წარმოშობილ, აგრეთვე, სხვა ურთიერთობებს და კომერციული სასამართლო, რომლის იურისდიქციაშიც შედის სავაჭრო ხასიათის მთელი რიგი საქმეები. კანცლერის განყოფილება, ძირითადად, იხილავს კომპანიების მოღვაწეობასთან, გაკოტრებასთან დაკავშირებულ საქმეებს. კანცლერის განყოფილებაში ფუნქციონირებს საპატენტო სასამართლო, რომელიც იხილავს საპატენტო ხასიათის ურთიერთობებს. საოჯახო განყოფილება კი იხილავს საოჯახო-საქორწინო ურთიერთობებს.

სამეფო სასამართლოს ინსტიტუტი შეიქმნა 1971 წელს და იხილავს მძიმე სისხლის სამართლის საქმეებს. სამეფო სასამართლოში საქმეები იხილება უმაღლესი სასამართლოს სამეფო სკამის მოსამართლეების, საგრაფო მოსამართლეების ან იმ ადვოკატების მიერ, რომელთაც სულ ცოტა 10 წლის გამოცდილება აქვთ. უმაღლესი სასამართლოს და სამეფო სასამართლოს დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ ისინი მნიშვნელოვანი ხასიათის საქმეებს იხილავენ პირველი ინსტანციით და საქმეს მოსამართლე წყვეტს ერთპიროვნულად, ხოლო სააპელაციო წესით ქვემდგომი რგოლის სასამართლოების მიერ

განხილულ და გადაწყვეტილ საქმეებს, იხილავს 2-3 მოსამართლის-გან შემდგარი კოლეგია.

ქვედა რგოლის სასამართლოებს შეადგენენ საგრაფო სასამართლოები, რომელთა რაოდენობა 350-ს აღემატება, ისინი იხილავენ მხოლოდ ნაკლებად მნიშვნელოვან სამოქალაქო სამართლის საქმეებს და მაგისტრატების სასამართლოები, რომლებიც იხილავენ უმნიშვნელო სისხლის სამართლის საქმეებს.

ზედა რგოლის მოსამართლეები ინიშნებიან მონარქის მიერ, ლორდ-კანცლერის რეკომენდაციით, ხოლო ქვედა რგოლის მოსამართლეები უშუალოდ ლორდ-კანცლერის მიერ. მოსამართლეები თავიანთ საქმიანობაში სრულიად დამოუკიდებელი არიან, რასაც ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ ისინი ინიშნებიან უვადოდ და თანამდებობიდან თავისუფლდებიან 72 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ. თუმცა, ლორდ-კანცლერს აქვს უფლებამოსილება ამ ასაკის მიღწევამდე გაათავისუფლოს მოსამართლე თანამდებობიდან, თუ იგი ჩაიდენს არაკანონიერ მოქმედებას ან ცნობილ იქნება ქმედუუნაროდ.

დიდ ბრიტანეთში შექმნილია ადგილობრივი ტრიბუნალებიც, რომლებიც იხილავენ შრომითი ურთიერთობების და სხვა სფეროებში აღმოცენებულ საქმეებს. მათი კომპეტენცია, ფაქტობრივად, მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ დადგინდეს, აქვს თუ არა ესა თუ ის უფლება პიროვნებას, მათი გადაწყვეტილებები ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას. აღმასრულებელ ხელისუფლებაში შექმნილია ტრიბუნალის საბჭო, რომელიც შედგება ლორდ-კანცლერის მიერ დანიშნული 14 წევრისა და საბჭოს თავმჯდომარის მიერ დანიშნული ერთი წევრისგან. ტრიბუნალის საბჭოს აქვს საზედამხედველო ფუნქციები ადგილობრივი ტრიბუნალების საქმიანობასთან დაკავშირებით.

ინგლისსა და უელსში გვხვდება სამხედრო სასამართლოები, რომლებიც იხილავენ სამხედრო მოსამსახურეთა არამართლზომიერ მოქმედებებთან დაკავშირებით აღძრულ საქმეებს და საეკლესიო სასამართლოები, რომლებიც იხილავენ სასულიერო პირების უზნეო ქმედებებს.

დიდ ბრიტანეთში, ქვეყნის თავისებურებიდან გამომდინარე, არ არსებობს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სისტემაში დამკვიდრებული საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტი. თუმცა ამ მხრივ ინტერესს იმსახურებს საიდუმლო საბჭოს მიერ განვითარებული პრაქტიკა, რომელიც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ამონმებდა გაერთიანებული სამეფოს კოლონიებისა და დომინიონების კანონების

იმპერიის კონსტიტუციურ სამართალთან შესაბამისობას. 1931 წელს, ვესტმინსტერის სტატუსის მიღების შემდეგ, საიდუმლო საბჭო ასეთ შემონმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენს, თუ დომინიონი ქვეყანა თავად გამოთქვამს ასეთ სურვილს.

ლიტერატურა:

1. Конституционные акты Великобритании // Конституции зарубежных государств, Москва, „БЕК“ 1996, стр.71-87;
2. ო. მელქაძე, დ. ლონდარიძე, დიდი ბრიტანეთი//საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, „მერანი“, 1999, გვ. 88-127;
3. გ. მიქანაძე, დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო რწმუნებული // ევროპის ომბუდსმენები, თბილისი, 1999, გვ. 82-154;
4. Крылова Н.С., Английское государство, Москва, „Наука“, 1981;
5. Гарнер Д., Великобритания: Центральное и местное управление, „Прогресс“, 1984;
6. Чиркин В. Е., Основы конституционного права Великобритании // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Юристъ“ 1997, стр. 349-370;
7. Албастрова И. А., Осавелюк А. М., Политические институты и конституционное право Великобритании // Иностранное конституционное право, под редакцией В.В. Маклакова, Москва, „Юристъ“, 1997, стр. 39-68;
8. Толстопятенко Г. П., Основы конституционного права Великобритании и Северной Ирландии // Конституционное право зарубежных стран, под общей редакцией М.В.Баглая, Ю.И.Лейбо, Л.М. Энтина, Москва, „Норма-Инфра:М“, 1999, стр. 399-435;
9. Якушев А.В. , Основы государственного (конституционного) права Великобритании. Особенности Британского права и судебной системы Великобритании // Конституционное права зарубежных стран, Москва, „Приор“, 1999, стр. 88-101;
10. Крылова Н. Серебренникова А. Уголовное право современных зарубежных стран , Москва, „Зерцало“, 1997;
11. Голованов Н. А., Уголовное право Англии // Уголовное законодательство зарубежных стран, сборник законодательных материалов, Москва, „Зерцало“, 1999, стр.3-51.

ესპანეთი

ესპანეთის სამეფო მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში და უჭირავს პირინეის ნახევარკუნძული, ბალეარის კუნძულები ხმელთაშუა ზღვასა და კანარის კუნძულები ატლანტის ოკეანეში. ესპანეთს ჩრდილოეთით აკრავს ბისკაის ყურე, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით – ატლანტის ოკეანე, სამხრეთით და აღმოსავლეთით – ხმელთაშუა ზღვა. პირინეის მთები ქმნიან ესპანეთის ბუნებრივ საზღვარს საფრანგეთთან, დასავლეთით მას ესაზღვრება პორტუგალია, სამხრეთით კი გიბრალტარი. სახელმწიფოს ტერიტორია შეადგენს 505 ათას კმ²-ს, მოსახლეობა 39 მილიონს აღწევს. ქვეყნის დედაქალაქია მადრიდი, სახელმწიფო ენა – ესპანური, ფულის ერთეული – პესეტა.

ესპანეთის სამართალი რომაული სამართლისგან არის რეცეფციონებული და ამდენად რომანულ-გერმანულ ანუ კონტინენტურ სამართლის ოჯახს განეკუთვნება. ესპანეთის კანონმდებლობა კოდიფიცირებულია დარგების მიხედვით და მას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. მოქმედი, 1978 წლის კონსტიტუცია რიგით მეცხრეა და იმ კონსტიტუციათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებშიც სრულად აისახა ევროპაში ტოტალიტარული რეჟიმების დამხობის შემდგომ წარმოჩენილი ტენდენციები.

ესპანეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმით უნიტარული სახელმწიფოა, უფრო ზუსტად კი, მისი ახალი, რეგიონალური მოდელია, ხოლო მმართველობის ფორმით პარლამენტური მონარქიაა.

კონსტიტუციური სამართალი

კონსტიტუციაში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ძალთა ბალანსი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე რეგულირდება: სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებანი ეკუთვნის მონარქს, საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებას – მთავრობა, მართლმსაჯულებას ახორციელებს ესპანეთის უმაღლესი სასამართლო და საერთო სასამართლოების სისტემა, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლს – საკონსტიტუციო სასამართლო.

მონარქი. ესპანეთში გვირგვინის ხელისუფლება „სახელმწიფო ინსტიტუტების სწორი ფუნქციონირების გარანტს“ წარმოადგენს,

ხოლო თავად მონარქი – სახელმწიფოს მეთაური ქვეყნის სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და სტაბილურობის სიმბოლოდ გვევლინება. კონსტიტუცია განსაზღვრავს ესპანეთის ტახტის მემკვიდრეობის წესს და ადგენს, რომ მონარქის გვირგვინი მემკვიდრეობით გადაეცემათ ხუან კარლოს პირველის, ბურბონის მემკვიდრეებს.

ესპანეთის მონარქის უფლებამოსილებანი ტიპურია პარლამენტური მონარქიის ფორმის მქონე სახელმწიფოსთვის. მეფე, გარდა იმისა, რომ ესპანეთის სახელმწიფოს მეთაურია, ამავდროულად შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიცაა. კონსტიტუციის თანახმად, მეფე ახორციელებს კანონების სანქციონირებას და პრომულგაციას; იწვევს და დაითხოვს გენერალური კორტესების ორივე პალატას; აცხადებს გადაწყვეტილებას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ; მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის წევრებს; წარმოადგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირებს; ანიჭებს საპატიო ტიტულებს; შეინიშნავს მსჯავრდადებულთ; ნიშნავს ელჩებს და იღებს უცხოეთის ელჩების აკრედიტაციას; ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; გენერალური კორტესების უფლებამოსილებით აცხადებს საომარ მდგომარეობას და დებს ზავს. მონარქის მიერ მიღებული აქტები საჭიროებს მთავრობის თავმჯდომარის, შესაბამისი მინისტრის და დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარის კონტრასიგნაციას, მათივე პასუხისმგებლობს ქვეშ. მონარქის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა დეპუტატთა კონგრესისთვის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა, რასაც წინ უძღვის საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებთან კონსულტაციები. მონარქის ეს აქტიც პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარის კონტრასიგნაციას მოითხოვს.

პარლამენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება ორპალატიან პარლამენტს – გენერალურ კორტესებს ეკუთვნის. გენერალური კორტესები „წარმოადგენს ესპანელ ხალხს,“ კანონმდებლობს, ახორციელებს მთავრობის საქმიანობის კონტროლსა და კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. ქვედა პალატა – დეპუტატთა კონგრესი პროპორციული საარჩევნო სისტემით, ხოლო ზედა პალატა – სენატი ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპით ოთხი წლის ვადით აირჩევა.

გენერალური კორტესების შინაორგანიზაცია ტიპურია ევროპული პარლამენტებისთვის. ორივე პალატა თავისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს თავმჯდომარეს, მის ოთხ მოადგილეს და ოთხ მდივანს. დეპუტატები აყალიბებენ საპარლამენტო ფრაქციებს, რომელთა შექმნისთვის სენატში აუცილებელია სულ ცოტა ათი წევრის, ხოლო

დეპუტატთა კონგრესში – თხუთმეტი დეპუტატის გაერთიანება. პარლამენტართა საქმიანობა ხორციელდება პლენარულ სხდომებსა და კომისიებში მუშაობის ფორმით.

კორტესების პალატები ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობისა და დარგობრივი სპეციალიზაციის პრინციპით ქმნიან მუდმივ კომისიებს, რომელიც გამსხვილებული სფეროების მიხედვით, ემთხვევა ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურას. მათი რიცხვი სენატში შეადგენს ცამეტს, ხოლო დეპუტატთა კონგრესში – თოთხმეტს. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხთა განსახილველად შეიძლება შეიქმნას დროებითი, შერეული და საგამოძიებო კომისიები.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნის მთავრობას და თითოეული პალატის 25 წევრს. პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონი, რომლის ძალითაც იგი ახდენს მთავრობისთვის თავისი ხელისუფლების ნაწილობრივ დელეგირებას, რომელიც ორი ფორმით ხორციელდება – შესაბამისი კანონის მიღებით და მთავრობის მიერ კანონდებულებების გამოცემით.

გენერალურ კორტესებში, კონსტიტუციის თანახმად, იქმნება მუდმივი დეპუტაცია, რომელიც ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის საწყისებზე ყალიბდება. მუდმივ დეპუტაციაში შედის, სულ ცოტა, 21 წევრი. იგი მოქმედებს სესიათა შორის პერიოდში, როდესაც პარლამენტის პალატების უფლებამოსილება ამოიწურება ან ისინი დათხოვნილი არიან. სესიათა შორის პერიოდში დეპუტაციები ახორციელებენ პალატების უფლებამოსილებას, ხოლო როდესაც პარლამენტი დათხოვნილია ან მისი უფლებამოსილება ამოიწურა, დეპუტაციები აღიჭურვებიან პარლამენტის იმ უფლებამოსილებით, რომელსაც ეს უკანასკნელი ფლობს საგანგებო მდგომარეობის პირობებში. მუდმივი დეპუტაციის მუშაობას ხელმძღვანელობს შესაბამისი პალატის თავმჯდომარე. დეპუტაციას უფლება აქვს მოითხოვოს პალატის მოწვევა საგანგებო სესიაზე. მას შემდეგ, რაც შესაბამისი პალატა შეიკრიბება მორიგ სესიაზე, განუული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დეპუტაცია ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მთავრობა. აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – მინისტრთა საბჭო, უფლებამოსილია განახორციელოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, უხელმძღვანელოს სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციას და სახელმწიფო თავდაცვას.

მთავრობა კანონის ფარგლებში გამოსცემს შესაბამის აქტებს, კორტესების მიერ დელეგირებული ხელისუფლების ძალით აღებული კანონის ძალის მქონე აქტებს, ხოლო აუცილებლობის შე-

მთხვევაში, დროებით კანონ-დეკრეტებს. თუმცა ეს უკანასკნელი არ შეიძლება ეხებოდეს მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე, ავტონომიურ გაერთიანებათა სტატუსს და საყოველთაო საარჩევნო უფლებას. კანონ-დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტის ქვედა პალატას, რომელმაც 30 დღის მანძილზე უნდა დაამტკიცოს ან გააუქმოს იგი.

ესპანეთის მთავრობა შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, მინისტრებისა და კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირებისგან. მთავრობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წევრები ლებულობენ სახელმწიფო მინისტრის ტიტულს.

მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს მთავრობის მუშაობას, ახდენს მისი წევრების საქმიანობის კოორდინირებას, უფლება აქვს: დეპუტატთა კონგრესის თანხმობის შემთხვევაში, შესთავაზოს მონარქს წინადადება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ; შესთავაზოს მონარქს კორტესების ერთ-ერთი ან ორივე პალატის დათხოვნა; შუამდგომლობა აღძრას საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე. მთავრობის თავმჯდომარეა ის ფიგურა, რომელის მიმართ დეპუტატთა კონგრესმა შეიძლება მიიღოს გაკიცხვის რეზოლუცია.

მთავრობასთან დამხმარე ორგანოების მთელი სისტემა ფუნქციონირებს: მთავრობის საკონსულტაციო ორგანო – სახელმწიფო საბჭო, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმის შემმუშავებელი ეკონომიკური დაგეგმვის საბჭო და სახელმწიფოს ფინანსურ ანგარიშებსა და ეკონომიკურ მმართველობაზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი – საანგარიშო პალატა.

სახელმწიფო წყობილების ფორმით ესპანეთი უნიტარული ქვეყანაა, თუმცა დეცენტრალიზაციის ხარისხის მიხედვით ფედერაციულსკენ იხრება. კონსტიტუციის თანახმად, მის ტერიტორიულ ერთეულებს – 17 ავტონომიურ გაერთიანებას სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური, ფინანსური და საკანონმდებლო დამოუკიდებლობა აქვთ მინიჭებული. მაგრამ ესპანეთს, როგორც რეგიონალისტურ სახელმწიფოს, ერთი თავისებურება ახასიათებს: მცირე ავტონომიური ერთეულები უფრო დიდი ავტონომიური ერთეულების შემადგენლობაში შედიან. ამასთან, კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია ავტონომიური გაერთიანებების ფედერაციის შექმნა.

ავტონომიური გაერთიანების საქმიანობის მარეგულირებელი აქტია „ავტონომიის წესდება“, რომელიც ავტონომიური გაერთიანების პარლამენტის მიერ მიიღება და ავტონომიის ძირითადი კანონია, ხოლო შემდეგ კორტესების მიერ მტკიცდება და ამავდროულად ესპანეთის

სტატუტია. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ნესდებით დადგენილია ავტონომიის მმართველობითი ინსტიტუტები: საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს, აღმასრულებელი ხელისუფლება – ავტონომიური გაერთიანების თავმჯდომარეს და მთავრობას. პარლამენტი აირჩევა ოთხი წლის ვადით რეგიონში მცხოვრები სრულწლოვანი მოქალაქეების მიერ საყოველთაო არჩევნებით, ძირითადად, პროპორციული სისტემით. მათი მოქმედების ვადა, შემადგენლობა და სხვა საკითხები ავტონომიებში განსხვავებულად წყდება. პარლამენტი ნიშნავს ავტონომიური გაერთიანების მთავრობის თავმჯდომარეს, რომელსაც ამტკიცებს მონარქი. თავმჯდომარე, თავის მხრივ, ნიშნავს ავტონომიური გაერთიანების მთავრობის წევრებს.

ავტონომიების შექმნის უფლება ესპანეთში აქვს მეზობლად მდებარე პროვინციებს და კუნძულოვან ტერიტორიებს, რომლებიც ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საერთო ნიშნებით ხასიათდებიან. კონსტიტუციით დაშვებულია ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ავტონომიების შექმნა.

კონსტიტუცია აღიარებს და გარანტიებსაც აღუთქვამს ეროვნებებისა და რეგიონების ავტონომიებს. გარდა იმისა, რომ აქ მკაფიოდ არის გამიჯნული სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებამოსილებები (32 პუნქტი) და ავტონომიის შესაძლო უფლებამოსილებები (22 პუნქტი), არ არის გამორიცხული სახელმწიფოსგან მისი უფლებამოსილებების დელეგირება ავტონომიებზე.

ადგილობრივი მმართველობის საფუძვლები განსაზღვრულია კონსტიტუციით, რომელიც ადგენს, რომ პროვინცია წარმოადგენს მუნიციპალიტეტების გაერთიანებას, რომელიც იურიდიული პირის უფლებით სარგებლობს და მოქმედებს სახელმწიფოს განსაზღვრულ ტერიტორიაზე. 50-ვე პროვინციის უფლებამოსილება განისაზღვრება საერთო-ეროვნული კანონებითა და ავტონომიურ გაერთიანებათა კანონმდებლობით. პროვინციის უფლებამოსილებაში შედის მუნიციპალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია, მუნიციპალიტეტებისათვის ეკონომიკური, იურიდიული და ტექნიკური დახმარების განევა. თავად მუნიციპალიტეტი იურიდიული პირია, რომლის კომპეტენციამაც შედის განათლების სფერო, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური, ჯანმრთელობის დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ტურიზმი.

საარჩევნო სამართალი

1978 წლის კონსტიტუციით, ესპანეთის პარლამენტის ორივე პალატა აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით,

ფარული კენჭისყრით. დეპუტატთა კონგრესში 50 პროვინციიდან თითოეული სულ ცოტა ორი დეპუტატით არის წარმოდგენილი, რასაც ყოველ 175 ათას მოსახლეზე ემატება ერთი დეპუტატი და მისი შემადგენლობა 400 ნევრამდე აღწევს.

სენატი შედგება 208 არჩეული და 43 მონარქის მიერ დანიშნული ნევრისგან. თითოეული პროვინცია ირჩევს ოთხ სენატორს. სამი უდიდესი კუნძული სამ-სამი ნევრით არის წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენი კუნძულები თითო ნევრით. ავტონომიური გაერთიანებების საკანონმდებლო ორგანოები ერთ მილიონ მოსახლეზე დამატებით თითო სენატორს ნიშნავენ. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება ესპანეთის მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან ენიჭება. ერთი პიროვნება არ შეიძლება იყოს ორივე პალატის შემადგენლობაში.

დეპუტატთა კონგრესის ნევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნევრი, ეკავოს სახალხო დამცველის თანამდებობა, კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობები, გარდა მინისტრის თანამდებობისა; არ შეიძლება იყოს სამხედრო სამსახურში, პოლიციის ან უშიშროების სამსახურის თანამშრომელი, მოსამართლე, პროკურორი, მაგისტრი და საარჩევნო კომისიის ნევრი.

ესპანეთში არჩევნების პერიოდში იქმნება ცენტრალური, პროვინციის და ზონალური საარჩევნო ხუნტები, აგრეთვე, საოლქო პრეზიდიუმები. სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის დაქვემდებარებაში იმყოფება ამომრჩეველთა აღრიცხვის ბიურო, რომელიც თავის საქმიანობას ცენტრალური საარჩევნო ხუნტის მეთვალყურეობის ქვეშ ახორციელებს.

დეპუტატთა კონგრესში არჩევნებისას, კანდიდატებს წარადგენენ რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიები, ასოციაციები, ფედერაციები, მათი კოალიციები. კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სულ ცოტა 0,1%-ს. ქვედა პალატის ნევრების არჩევა ხდება პროპორციული სისტემით. დეპუტატები ქალაქებიდან — მელილია და სუეტა აირჩევიან ხმათა შედარებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით. კონგრესის არჩევნებისას პარტიული სიებისთვის დადგენილია სამპროცენტიანი ბარიერი.

სენატორების კანდიდატების წარდგენა ხდება იმავე წესით, როგორც დეპუტატთა პალატაში არჩევნებისას, განსხვავებულია მხოლოდ მონაცვლეობის წესი, კორტესების ქვედა პალატაში, ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში, მას მექანიკურად ავსებს პარტიულ სიაში დასახელებული მომდევნო კანდიდატი. სენატში ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში, შესაბამის საარჩევნო ოლქში ტარდება დამატებითი არჩევნები.

მუნიციპალიტეტების საბჭოების წევრთა რაოდენობა მის ტერიტორიაზე მცხოვრებთა რაოდენობით განისაზღვრება. ისინი აირჩევიან პროპორციული სისტემით და არჩევნებისას მოქმედებს ხუთპროცენტიაანი ბარიერი.

ესპანეთში პარტიათა დაფინანსება ხდება, როგორც სახელმწიფო სუბსიდიების საფუძველზე, ასევე, კერძო წყაროებითაც, იქნება ეს პარტიის წევრების შენატანები, ცალკეული შემოწირულობები თუ პარტიის საკუთრებაში არსებული ქონებიდან მიღებული შემოსავალი. პარტია ვალდებულია აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა და უზრუნველყოს მისი თავისუფალი გაცნობის შესაძლებლობა.

სამოქალაქო სამართალი

ესპანეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელსაც საფრანგეთის 1804 წლის კოდექსი დაედო საფუძვლად, 1843–1846 წლებში იქნა შემუშავებული, მაგრამ მხოლოდ 1889 წელს შევიდა ძალაში და იგი დღესაც მოქმედებს.

კოდექსის შესავალში დახასიათებულია მასში თავმოყრილი სამართლებრივი ნორმები და განხილულია მათი გამოყენების წესები. პირველი ნიგნი – „პირების შესახებ“ – არეგულირებს მოქალაქეობასთან, ქორწინებასა და განქორწინებასთან, საოჯახო ურთიერთობებთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეორე ნიგნი მთლიანად საკუთრების ინსტიტუტს ეთმობა. მესამე ნიგნში ქონების მიღებასთან დაკავშირებული საკითხებია მოწესრიგებული. მეოთხე ნიგნი – „ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების შესახებ“ – ვალდებულებების წარმოშობასა და შეწყვეტასთან დაკავშირებულ საერთო საკითხებს არეგულირებს, ამავე თავში გაერთიანებულია ნორმები სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების შესახებ.

მას შემდეგ სამოქალაქო სამართლის კოდექსმა გარკვეული ცვლილება-დამატება განიცადა და ახალი კანონების მთელი პაკეტით შეივსო. 1973 წელს გამოიცა შესავალი დებულებების ახალი რედაქცია, რომელმაც სამართლებრივი ნორმების განმარტების წესები დააზუსტა. 1975 წელს მიღებულმა კანონმა საგრძნობლად გააუმჯობესა დაქორწინებული ქალის სამართლებრივი მდგომარეობა, გაფართოვდა მისი უფლებების სრე. 1978 წლის კონსტიტუციის მიღების შედეგად, გაიზარდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, რამაც ქვეყნის სამოქალაქო კოდექსში გარკვეული ცვლილებები განაპირობა. ესპანეთში იპოთეკა 1889 წლის სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება, მაგრამ 1981 წლის 13 მაისის კანონმა „იპოთეკის შესახებ“ მნიშვნელოვანი

ცვლილებები შეიტანა არსებულ სისტემაში და მისი დებულებები ინტერკორპორირებულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამის მუხლებში.

შრომითი ურთიერთობების რეგულირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საკუთრივ 1978 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც განვრცობილია 1980 წლის კანონში „მშრომელთა უფლებების სტატუსის შესახებ“. აღნიშნულ კანონში დარეგულირებულია შრომითი ხელშეკრულების დადების პირობები, შრომის ანაზღაურების განსაზღვრასთან, სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებული საკითხები, სამსახურიდან უსაფუძვლოდ დათხოვნისგან დაცვის გარანტიები. ცალკეა გამოყოფილი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების პროცედურასთან დაკავშირებული ნორმები.

ესპანეთში მოქმედებს სავაჭრო კოდექსი, რომელიც 1885 წელს იქნა მიღებული. აღნიშნული აქტი დეტალურად არეგულირებს საზღვაო ვაჭრობის, თამასუქის და სადაზღვევო სამართლის საკითხებს. თავისი მოქმედების მანძილზე მან არაერთი ცვლილება და დამატება განიცადა. კერძოდ, არსებითი ცვლილებები იქნა შეტანილი 1988 წლის 28 ივლისის კანონით „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ და 1989 წლის 24 დეკემბრის კანონით „სააქციო საზოგადოებების შესახებ“. საფონდო ბირჟის ინსტიტუციონალური მოწყობის მიზნით, შეიქმნა ახალი ორგანო საფონდო ბირჟის ნაციონალური კომისიის სახით და ახალი საშუაშაველო ორგანოები სააგენტოებისა და ამხანაგობების სახით, რომლებიც საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვილ, ბირჟის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენენ.

სისხლის სამართალი

ესპანურ სამართალში ერთი ყველაზე სერიოზული და, როგორც ჩანს, ყველაზე რთულად მოსაგვარებელი სფერო სისხლის სამართლის კოდექსია. ამაზე მათი ვარიანტების სიმრავლე და ცვლილება-დამატებების ხშირი ნაკადი მეტყველებს. სისხლის სამართლის პირველი კოდექსი ესპანეთში 1822 წელს მიიღეს. მას შემდეგ არაერთი კოდექსი იქნა მიღებული და კიდევ უფრო ხშირი იყო ცვლილებები.

1995 წლის 24 ნოემბრის რიგით მეექვსე სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა 1996 წლის 24 მაისს. მასში აისახა არა მხოლოდ ესპანეთის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგები, არამედ ის დიდი ცვლილებებიც, რომელიც ქვეყანამ ფრანკოს დიქტატურის დასრულების შემდგომ დემოკრატიული განვითარების გზაზე განიცადა.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის სისტიმას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა კლასიფიცირება დანაშაულად და ცდომილებად. დანაშაულებრივ ქმედებათა ამგვარი გამოჯვნა მოხდა მათთვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების მიხედვით. 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსი შედგება სამი ნიგნისა და 639 მუხლისგან. პირველი ნიგნი შეიცავს ზოგადი ხასიათის დებულებებს, რომლებიც შეეხება როგორც დანაშაულებს, ასევე – ცდომილებებს. დანარჩენი ორი ნიგნი მოიცავს განსაკუთრებული ნაწილის დებულებებს, შესაბამისად, მეორე ნიგნი დანაშაულების და მესამე ნიგნი ცდომილებების შესახებ. სისხლის სამართლის კოდექსის ამგვარი სტრუქტურა ტრადიციულია ესპანეთის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსის პირველ ნიგნში დეტალურად არის განხილული ზოგადი ხასიათის სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტები. სხვა ქვეყნების გამოცდილებისგან განსხვავებით, სადაც გახშირდა იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ესპანეთის სისხლის სამართლის კანონი ტრადიციების ერთგული დარჩა და კვლავაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ფიზიკურ პირებზე განაგრძო.

კოდექსის მეორე ნიგნი აერთიანებს 24 განყოფილებას და იწყება ნორმებით მკვლელობაზე პასუხისმგებლობის შესახებ, შემდეგ მოდის აბორტზე, სხეულის დაზიანებაზე პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები. ამავე ნიგნში მოცემულია განყოფილებები ადამიანის უფლებების ხელყოფისთვის, ქონებრივი დანაშაულებისთვის, მშრომელთა უფლებების წინააღმდეგ, ასევე, საზოგადოებრივი წესრიგისა და მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა შესახებ. კოდექსის მეორე ნიგნი მოიცავს კონსტიტუციის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მშვიდობის, ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა შესახებ ნორმების სისტიმას.

მესამე ნიგნში თავმოყრილია ცდომილებათა შემადგენლობების განმსაზღვრელი ნორმები, რომლებიც ხუთ განყოფილებად არის წარმოდგენილი და, პირველ რიგში, პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი ცდომილებებით იწყება.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსში იურიდიული გაფორმება პოვა სისხლის სამართლის თანამედროვე განვითარების ბევრმა პუმანისტურმა თუ დემოკრატიულმა ტენდენციამ. ახალი კოდექსის ავტორთა უპირველეს მიზანს წარმოადგენს ინდივიდთა კერძო ცხ-

ოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის შეზღუდვა და ამით მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

ესპანეთში სისხლის სამართლის პროცესის სფეროში სხვადასხვა აქტი მოქმედებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ჯერ კიდევ 1982 წელს მიღებული კანონი სისხლის სამართლის სამართალწარმოების შესახებ, რომელშიც უამრავი ცვლილება და დამატება იქნა შეტანილი. აღსანიშნავია ასევე, 1985 წლის ორგანული კანონი „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ესპანეთის კონსტიტუციაში ნორმების მნიშვნელოვანი ნაწილი, 5 თავად წარმოდგენილი 45 მუხლი, ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს ეთმობა, რომელთა ნაირსახეობა და მოცულობა საკმაოდ ფართოა.

ესპანეთში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის სამი ფორმა უნდა გამოიყოს: მოქალაქეთა უფლება, მიმართონ საერთო იურისდიქციის სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს და სახალხო დამცველს. ეს უკანასკნელი ომბუდსმენის ინსტიტუტის ნაირსახეობაა, რომელიც ხუთი წლის ვადით ინიშნება თანამდებობაზე კორტესების მიერ და მისი უმაღლესი კომისარია.

სახალხო დამცველის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ესპანეთის მოქალაქე, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანებას და სარგებლობს სრული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით. კანდიდატისადმი ასეთი მარტივგანზომილებიანი მოთხოვნების პირობებში, სწორი არჩევანი გარანტირებულია შერჩევის რთული მრავალსაფეხურიანი სისტემით. თანამდებობაზე დანიშნულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კონგრესის წევრთა ხმების სამ მეხუთედს და ეს გადაწყვეტილება უახლოეს 20 დღეში ხმების აღნიშნული უმრავლესობით იქნება რატიფიცირებული სენატის მიერ.

სახალხო დამცველი უფლებამოსილია, იურიდიული ან ფიზიკური პირების მოთხოვნით, დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობისა და მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამოძიება, თუ ეს უკანასკნელი არღვევს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს. სახალხო დამცველის უფლებამოსილება ვრცელდება ნებისმიერი პირის სამსახურებრივ საქმიანობაზე, რომელიც იმყოფება საჯარო სამსახურში და მისი საქმიანობის შედეგად ირღვევა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები. დარღვევების, შეცდომების და დისკრიმინაციის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, სახალხო დამცველს უფლება აქვს, მათი შეცვლა-გაუქმების მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ თანამდებობის პირებს

ან, უკიდურეს შემთხვევაში, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, პარლამენტს და საჭიროებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს. იგი ანგარიშვალდებულია გენერალური კორტესების წინაშე და ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს განეული საქმიანობის შესახებ.

სახალხო დამცველი არ არის შეზღუდული სავალდებულო მანდატით და არ იღებს არავითარ მითითებებს ხელისუფლების ორგანოებისგან, ის ახორციელებს თავის უფლებამოსილებას დამოუკიდებლად, საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, სახალხო დამცველის დამოუკიდებლობას მისი იმუნიტეტიც განაპირობებს.

სასამართლო სისტემა

ესპანეთის კანონი „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“ არეგულირებს საერთო იურისდიქციის სასამართლოთა სისტემის საქმიანობას. ესპანეთში სასამართლო სისტემის მართვა ეკისრება გენერალურ საბჭოს, რომელსაც უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე თაოსნობს. საბჭოს შემადგენლობაში შედის 20 წევრი, რომელსაც ხუთი წლის ვადით ნიშნავს მონარქი. გენერალური კორტესების თითოეული პალატა საბჭოში დასანიშნად წარადგენს ათ-ათ კანდიდატს, ექვსს მოსამართლეთაგან, ოთხს კი – პროკურორებისა და სხვა იურისტებისგან, რომლებსაც სპეციალობით მუშაობის 15 წლის სტაჟი მაინც აქვთ. გენერალური საბჭო მონარქს დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას.

სასამართლო სისტემის იერარქიის სათავეში დგას ესპანეთის უმაღლესი სასამართლო, რომელიც აერთიანებს 6 პალატას, შვიდიდან თორმეტამდე მოსამართლით. პალატები სპეციალიზებული არიან სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, სოციალური, შრომითი კანონმდებლობის, აგრეთვე, სამხედრო დანაშაულის საქმეებზე.

სასამართლო სისტემის ვერტიკალური სტრუქტურის შუალედურ დონეს წარმოადგენს ეროვნული სასამართლო, რომელიც აგრეთვე შედგება ექვსი პალატისგან და განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე შეტანილ საჩივრებს. ამას გარდა, ავტონომიებში მოქმედებენ უმაღლესი სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საქმეებს. პროვინციებში მოქმედებს პროვინციის სასამართლო და განიხილავს სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებს. ესპანეთში პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვას სხვადასხვა დონეზე ახორციელებენ პირველი ინსტანციის სასამართლოები, მუნიციპალური სასამართლოები და მომრიგებელი მოსამართლე. თი-

თოეულ პროვინციაში მოქმედებს ადმინისტრაციული სასამართლო, თავისუფლების აღკვეთის ადგილების სასამართლო და არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო. როგორც ჩანს, ერთობ რთული სისტემა ჩამოყალიბდა და 1989 წლის 15 დეკემბრის სამეფო დეკრეტით, მისი გამარტივების მიზნით, სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც სასჯელი, სავარაუდოდ, 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას არ აღემატება, მოსამართლეთა ერთპიროვნულ განხილვას დაექვემდებარა.

კონსტიტუცია მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას ნაფიც მსაჯულთა სახით უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში. ნაფიც მსაჯულთა საქმიანობა სავალდებულოა, ექვემდებარება ანაზღაურებას და რეგულირდება 1995 წლის ორგანული კანონით ნაფიც მსაჯულთა ტრიბუნალის შესახებ. ტრიბუნალის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, რომელიც პროფესიონალი მოსამართლეა, ცხრა ნაფიცი მსაჯული და ორი სათადარიგო მსაჯული. ნაფიცი მსაჯული შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული ესპანელი, რომელმაც იცის წერა-კითხვა და არ ხასიათდება ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლოვანებით.

ესპანეთის კონსტიტუციის თანახმად, მაგისტრატებს, მოსამართლეებსა და პროკურორს უფლება არა აქვთ ეკავით სხვა თანამდებობა, იყვნენ პოლიტიკური პარტიისა თუ პროფკავშირული გაერთიანების წევრი, ამგვარი შეზღუდვა მიზნად ისახავს, უზრუნველყოს მათი სრული დამოუკიდებლობა და მხოლოდ კანონისადმი მორჩილება.

პროკურატურის მოვალეობაში შედის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოებისთვის კანონების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე, საჯარო ინტერესების დაცვაში დახმარების აღმოჩენა. ესპანეთის გენერალურ პროკურორს გენერალურ საბჭოში მისი კანდიდატურის წინასწარი განხილვის შემდეგ და მთავრობის წარდგინებით ნიშნავს მონარქი.

საკონსტიტუციო კონტროლი

ევროპული მოდელის სახით ცნობილი ავსტრიული ნოვაცია — სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთი პირველი ესპანეთში შეიქმნა 1931 წელს. ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმის დამხობის შემდეგ, ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა და 1978 წლის კონსტიტუციის ძალით მისი საზედამხედველო ფუნქცია კონტროლის ფუნქციად გარდაისახა.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება მონარქის მიერ ცხრა წლის ვადით დანიშნული 12 წევრისგან, რომელთაგან ოთხ წევრს წარადგენს დეპუტატთა კონგრესი, ოთხს — სენატი, ორ-ორს მთა-

ერობა და გენერალური საბჭო. ყოველ სამ წელიწადში ხდება სასამართლოს წევრთა მესამედის განახლება. მისი წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ მოსამართლე, პროკურორი, სამართლის პროფესორი, საჯარო ადმინისტრაციის თანამდებობის პირი და ადვოკატი, იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟით.

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა მიმდინარეობს პლენარულ და პალატების სხდომებზე. სასამართლოში ფუნქციონირებს ექვს-ექვსი მოსამართლისგან შემდგარი ორი პალატა, ხოლო თავად პალატებში სექციებია შექმნილი თავმჯდომარისა და ორი წევრის შემადგენლობით. პლენარულ სხდომას უძღვება სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე ან უხუცესი წევრი, ხოლო პალატების სხდომებს ხელმძღვანელობენ თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. თუ პალატა მიიჩნევს, რომ კანონი ცნობილი უნდა იყოს არაკონსტიტუციურად, ის განსახილველად გადაეცემა პლენუმს, რომელიც გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას. სექციები კი წყვეტენ განცხადებების განსახილველად მიღების საკითხს და მცირე მნიშვნელობის საქმეებს.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს არა მხოლოდ სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის საკითხს, არამედ მოქალაქეთა საჩივრებსა და შუამდგომლობებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში. მოქალაქეთა საჩივრები განიხილება, ე.წ. „ამპაროს“ წესით გათვალისწინებული პროცედურით.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ საკონსტიტუციო იუსტიციის პრაქტიკაში არსებული ყველა სიახლე მიიღო არსენალში. წინასწარი კონტროლის გარდა, რომელსაც ექვემდებარება კონსტიტუციური და ორგანული კანონები, ეს არის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონით მინიჭებული კონსტიტუციური ნორმების განმარტების უფლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუციის ნორმების ინტერპრეტირებული განმარტება საკონსტიტუციო სასამართლოს კანონშემოქმედებით ფუნქციასაც აკისრებს.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოსა და სტრუქტურას, სახელმწიფოსა და ავტონომიურ ფორმირებებს შორის კომპეტენციის თაობაზე წარმოშობილ დავებს, იგი უფლებამოსილია, განიხილოს დავა, ერთი მხრივ, სენატს, დეპუტატთა კონგრესსა და, მეორე მხრივ, სასამართლო ხელისუფლების სახელმწიფო საბჭოს შორის. ამ შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება შესაბამისი ორგანოს კომპეტენციის თაობაზე და აუქმებს დავის გამომწვევ აქტს.

კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება შეიძლება მოითხოვოს მთავრობის თავმჯდომარემ, სახალხო დამცველმა, პროკურორმა, 50 დეპუტატმა ან 50 სენატორმა, ავტონომიათა აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიალურმა ორგანომ და ავტონომიის ასამბლეამ.

საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება წარმოებს შეჯიბრობითობის პრინციპზე, მხარეებს სასამართლოში წარმოადგენენ ადვოკატები და რწმუნებულები. გადანყეტილებას საკონსტიტუციო სასამართლო იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. თავმჯდომარის ან სასამართლოს სხვა წევრების განსხვავებული აზრი ქვეყნდება სახელმწიფოს ოფიციალურ ორგანოში, მაგრამ ხმის მიცემის საიდუმლოება სასამართლოში გადანყეტილების მიღების დროს დაცულია.

ლიტერატურა:

1. Испания: Конституция и законодательные акты. Москва, „Прогресс“, 1982;
2. ო. მელქაძე, გ. თევდორაშვილი, ესპანეთი // საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი „მერანი“, გვ. 128-163;
3. მ. გოგიაშვილი, ესპანეთი // შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ. 71-76;
4. გ. მიქანაძე, ესპანეთის სახალხო დამცველი // ევროპის ომბუდსმენები, თბილისი, 1999, გვ.179-207;
5. Маклаков В.В., Основы конституционного права Испании // Конституционное (государственное) право зарубежных стран, т. 3, Особенная часть, Страны Европы, руководитель авторского коллектива и ответственный редактор Б. А. Страшун, Москва, „Бек“, 1997, стр. 176 – 258;
6. Маклаков В.В., Институты и конституционное право Испании // Иностранное конституционное право, под ред. В. В. Маклакова, Москва, „Юрист“, 1997, стр. 191 – 220;
7. Орлов А. Т., Основы конституционного права Испании // Конституционное (государственное) право зарубежных стран, под общей редакцией М. В. Баглая, Ю. М. Лейбо, Л. М. Энтина, Москва, „Норма-Инфра-М“, 1999, стр. 578 – 606;
8. Якушев А.В., Основы конституционного права Испании, // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 2000. стр. 143-148;
9. Уголовный кодекс Испании, Москва, „Зерцало“, 1998.

იაპონია

იაპონია აზიის ყველაზე განვითარებული, მსოფლიოს „დიდ რვიანში“ შემავალი კაპიტალისტური სახელმწიფოა. იგი მდებარეობს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, აზიის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, იაპონიის კუნძულებზე, რომელთა რიცხვი დაახლოებით 4 ათასამდეა. ყველაზე დიდი კუნძულებია: ჰონსიუ, ჰოკაიდო, კიუსიუ, სიკოკუ. იაპონიას აკრავს წყნარი ოკეანე, ოხოტის, იაპონიისა და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვები. სანაპირო ხაზის საერთო სიგრძე დაახლოებით 30 ათასი კილომეტრია. ქვეყნის ტერიტორია 372,2 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 123,8 მილიონი. ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქია ტოკიო, სახელმწიფო ენა — იაპონური, ფულის ერთეული — იენა.

იაპონია რომანულ-გერმანული ანუ კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება და სამართლის სხვადასხვა სფეროში აქტიურად იყენებს ცალკეული ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილებას. მაგრამ მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, იაპონიის კონსტიტუციის შექმნაში ამერიკელთა მონაწილეობამ, მოქმედ ძირითად კანონზე საერთო სამართლის გავლენაც განაპირობა და სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებაში ადათებმა და პრეცედენტებმა გარკვეულწილად ასეთი ფუნქცია შეინარჩუნა. მონარქის ნაჩუქარი, პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუცია 1946 წლის 3 ნოემბერს მანვე სპეციალური დეკრეტით გამოაქვეყნა, რომელიც 1947 წლის 3 მაისს ამოქმედდა.

იაპონია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონყობის ფორმით უნიტარული სახელმწიფოა, ხოლო მმართველობის ფორმით კონსტიტუციური, პარლამენტური მონარქია.

კონსტიტუციური სამართალი

იაპონიაში ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი ასეთი სახით არის ჩამოყალიბებული: სახელმწიფოს ჰყავს ფორმალური მეთაური — მონარქი; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს (კოკუვაი), რომელიც შედგება ორი — ქვედა — წარმომადგენელთა (სიუშინი) და ზედა — მრჩეველთა (ვანშინი) პალატებისგან; აღმასრულებელი ხელისუფლება ბივალენტურია, რომელსაც ახორციელებს იმპერატორი — მცირე აღმასრულებელი ფუნქციებით და ქვეყნის მთავრობა — მინისტრთა კაბინეტი — პრემიერ-მინისტრით სათავეში; მართლმსაჯულებას აღასრულებს უზენაესი სასამართლო.

იმპერატორი, იაპონიის კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურია. იგი გამოცხადებულია სახელმწიფოსა და ეროვნებათა ერთიანობის სიმბოლოდ, მოკლებულია სახელმწიფო პოლიტიკის საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობას, სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებული მოქმედებები შეიძლება განახორციელოს მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის — მთავრობის რჩევითა და თანხმობით, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელია პასუხისმგებელი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე.

იმპერატორი, ძირითადად, ასრულებს საგარეო პოლიტიკური ხასიათის საცერემონიო ფუნქციებს, ესწრება ოფიციალურ ზეიმებს, ეროვნულ დღესასწაულებს, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ახდენს კონსტიტუციის შესწორებებისა და კანონების პრომულგირებას, აქვეყნებს მთავრობის ბრძანებულებებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ინვესტს პარლამენტის მორიგ და რიგგარეშე სესიებს და ნიშნავს პარლამენტის არჩევნების თარიღს, ადასტურებს მინისტრებისა და ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნასა და გათავისუფლებას, ამტკიცებს ელჩებისა და დესპანების უფლებამოსილებებს, ღებულობს უცხოელი ელჩების რწმუნების სიგელებს, ამტკიცებს ამნისტიის გამოცხადებას, უბოძებს ჯილდოებსა და საპატიო ნოდებებს, პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო ამ უკანასკნელის წარდგინებით — მინისტრთა კაბინეტის წევრებსა და უზენაესი სასამართლოს მთავარ მოსამართლეს.

კონსტიტუციით იმპერატორის პიროვნება ხელშეუხებელია და არ ეკისრება არც სისხლის, არც სამოქალაქო და არც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. მას, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, არა აქვს საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მიღებულ კანონებზე ვეტოს დადების უფლება. ამდენად, მისი პრომულგირების ეტაპზე ჩართვა, ანუ ხელმოწერის ტექნიკური ფუნქცია — ეს უფრო მოვალეობაა, ვიდრე უფლება, რომელიც, ამასთან, მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული: იმპერატორმა 30 დღის მანძილზე ხელი უნდა მოაწეროს კანონს და გამოაქვეყნოს იგი. სახელმწიფო აქტების განხორციელებისას, იმპერატორი უნდა ხელმძღვანელობდეს „რჩევებით“ და ღებულობდეს წინასწარ „თანხმობას“ მინისტრთა კაბინეტისგან. სწორედ ამ ფორმალური პროცედურების შემდეგ პასუხისმგებლობა მიღებული აქტის შესრულებაზე მის ხელმოწერა პრემიერ-მინისტრსა და შესაბამის მინისტრზე თუ მინისტრებზე გადადის.

პარლამენტი ორპალატიანი სტრუქტურაა და მისი ქვედა — წარმომადგენელთა პალატა 500 დეპუტატისგან შედგება, ხოლო ზედა — მრჩეველთა პალატის 252 დეპუტატს აერთიანებს.

პარლამენტის მთავარ ფუნქციას, ამ ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი კომპეტენციის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ, კანონ-შემოქმედება, სახელმწიფო ბიუჯეტის განსაზღვრა და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი წარმოადგენს. კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი ქვეყნის ერთადერთი საკანონმდებლო ორგანოა. საკანონმდებლო პროცესში მთავარ როლს წარმოადგენელთა პალატა ასრულებს, რამდენადაც გარკვეულ დამოუკიდებლობას ფლობს და ცალკეულ შემთხვევებში ზედა — მრჩეველთა პალატის თანხმობის გარეშე ლეზულობს კანონებს.

საკანონმდებლო ინიციატივის სუბიექტი შეიძლება იყოს მთავრობა, 20 დეპუტატი ან 10 მრჩეველი, მაგრამ რეალურად მომზადებული კანონპროექტების უმრავლესობა მთავრობაზე მოდის. კანონპროექტები, ჩვეულებრივ, სამინისტროების დეპარტამენტებში მუშავდება და მათი აქტიური პოზიცია პარლამენტში განხილვის დროსაც გრძელდება. მხოლოდ კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხდება კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე განსახილველად, სადაც ჩვეულებრივ, ორი მოსმენით მიიღება. პირველი მოსმენისას ერთდროულად ზოგადი დისკუსია და მუხლობრივი განხილვა იმართება, ხოლო მეორე მოსმენის დროს, მისი მთლიანად მიღება ხდება. ყოველივე ამის შემდეგ, კანონპროექტი გადაეცემა ზედა პალატას, რომელმაც 60 დღის მანძილზე უნდა მოიწონოს ან უარყოს ქვედა პალატის მიერ მიღებული პროექტი. იმ შემთხვევაში, თუ ზედა პალატა ქვედა პალატის მიერ მიღებულ კანონპროექტს ვეტოს დაადებს, ქვედა პალატას განმეორებითი კენჭისყრის დროს დამსწრეთა ხმების ორი მესამედით, მაგრამ პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის უმრავლესობის მხარდაჭერით შეუძლია მაინც მიიღოს იგივე კანონი.

რაც შეეხება საფინანსო კანონპროექტს და, კერძოდ, პროექტს ბიუჯეტის შესახებ, წარმომადგენელთა პალატას აქაც წამყვანი როლი ეკისრება. ბიუჯეტის განხილვა ხდება პრემიერ-მინისტრისა და ყველა მინისტრის აუცილებელი მონაწილეობით. იმ შემთხვევაში, თუ მრჩეველთა პალატა 30 დღეში არ მოიწონებს ქვედა პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, პალატების ერთობლივ სხდომაზე არ იქნება მიღებული შეთანხმება, კანონი ბიუჯეტის შესახებ მიღებულად ითვლება ქვედა პალატის რედაქციით. ასეა თუ ისე, მიღებული კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 20 დღის შემდეგ, თუ თავად კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

პარლამენტის ქვედა პალატა მთავრობის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს პლენარულ სხდომებზე შეკითხვების ფორმით,

ასევე მუდმივი კომისიებისთვის, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ყველა საინტერესო საკითხთან დაკავშირებით კომისიების სხდომებზე მინისტრების ინფორმაციის მოსმენის ფორმით. მაგრამ კონტროლის მთავარ მექანიზმად მაინც ინტერპელაცია ითვლება, რომლის ამოქმედებაც პალატის თავმჯდომარის მეოხებითაა შესაძლებელი. ინტერპელაცია ჩვეულებრივი შეკითხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ ის ინვესტს კამათს და რეზოლუციის მიღებით მთავრდება. ნარმოდგენილი ახსნა-განმარტებით პალატათა დაუკმაყოფილებლობის რეზოლუცია გაკიცხვის ხასიათისაა და განხილვა უნდობლობის გამოცხადებით მთავრდება.

საპარლამენტო კონტროლის ფორმად ითვლება, აგრეთვე, ყოველი სესიის დასაწყისში მთავრობის პოლიტიკის შესახებ საერთო დისკუსიების გამართვა, როდესაც მთავრობის საქმიანობის შესახებ წერილობითი მოხსენებით წარდგება პრემიერ-მინისტრი, ხოლო მასთან ერთად თავიანთი უწყებების პოლიტიკის შესახებ სიტყვით გამოდიან საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები.

იაპონიის პარლამენტის მორიგი სესიები მოიწვევა წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე სესიის მოწვევა შესაძლებელია მინისტრთა კაბინეტის ინიციატივით ან ერთ-ერთი პალატის წევრთა საერთო რაოდენობის მეოთხედის მოთხოვნით, რომლის დროსაც მეორე პალატაც იკრიბება სავალდებულო წესით.

მთავრობა. აღმასრულებელი ხელისუფლების სტატუსის დეტალიზებას კონსტიტუციის ფარგლებში ახდენს 1947 წლის კანონი „კაბინეტის შესახებ“, ხოლო მის კონცეპტუალურ საფუძვლებსა და ორგანიზაციულ თავისებურებებს განსაზღვრავს და განაწესობს 1948 წლის კანონი „სახელმწიფო მართვის ორგანიზაციის შესახებ“, ორივე ერთად კი არეგულირებს მინისტრთა კაბინეტის და მთლიანად აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას.

იაპონიაში მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება მინისტრთა კაბინეტს ეკუთვნის. ის შედგება პრემიერ-მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ სამინისტროებს. ყველა მინისტრს ჰყავს თითო საპარლამენტო ვიცე-მინისტრი, ხოლო ფინანსთა, საგარეო ვაჭრობისა და ზოგიერთ სხვა მინისტრს — ორ-ორი, რომლებიც ცვლიან მინისტრს. პრემიერი-მინისტრის კანცელარიის განყოფილებებს ხელმძღვანელობენ უპორტფელო მინისტრები.

კონსტიტუციის შესაბამისად, მინისტრების ნახევარი მაინც პარლამენტის წევრთა შემადგენლობიდან აირჩევა, თუმცა თანამდებო-

ბის დაკავებისთანავე მათი სადეპუტატო მანდატი ძალადაკარგულად ითვლება. მთავრობის ფორმირებაში პარლამენტის ორივე პალატა მონაწილეობს, მაგრამ ოფიციალურად პრემიერ-მინისტრის დანიშვნა იმპერატორის ბრძანებულებით ფორმდება. თავდაპირველად, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წამოყენების უფლება ორივე პალატას აქვს და ამდენად, კანდიდატურის თაობაზე მათი აზრთა სხვადასხვაობა დასაშვებია, მაგრამ საბოლოოდ პალატებს შორის ურთიერთობა კომპრომისული გზით უნდა განვითარდეს, საჭიროებისას იქმნება ორივე პალატის გაერთიანებული შემთხვევითი კომისია. თუ შეთანხმება არ შედგება, მაშინ ისინი ხელმეორედ დაუბრუნდებიან აღნიშნულ საკითხს და ამის შემდეგ წარმომადგენელთა პალატის გადანყვეტილება ჩაითვლება პარლამენტის გადანყვეტილებად. ამიტომ მთავრობა, ფაქტობრივად, პასუხისმგებელია პარლამენტის ქვედა პალატის წინაშე. მთავრობის დანარჩენ წევრებს — მინისტრებს პრემიერ-მინისტრის წარდგინების საფუძველზე ფორმალურად ნიშნავს იმპერატორი. პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში, მინისტრებიც უნდა გადადგნენ თანამდებობიდან.

ფორმალურად, საკანონმდებლო ორგანოს უფლება აქვს, გააკრიტიკოს მთავრობის საქმიანობა და პრემიერ-მინისტრისადმი თუ მთლიანად მთავრობისადმი გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ნდობა-უნდობლობის მექანიზმის ამოქმედებით. თუმცა მინისტრთა კაბინეტს მნიშვნელოვანი უფლებები აქვს, რომელიც მისადმი გარკვეულად დამოკიდებულს ხდის პარლამენტს. ჯერ ერთი — იაპონიაში პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ფაქტობრივ პრომულგირებას, იმპერატორის მიერ მისი საბოლოო ხელმოწერამდე ახდენს მთავრობა და მეორე — კანონით დადგენილ შემთხვევაში, მთავრობას შეუძლია მიიღოს გადანყვეტილება პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი განსაკუთრებული, ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში წამყვანი ფიგურაა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, ვინაიდან გარდა იმისა, რომ იგი უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირია იაპონიაში, იმავდროულად, საპარლამენტო უმრავლესობის პარტიის ლიდერიცაა და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია. კაბინეტის ბრძანებულებებს ხელს სწორედ პრემიერ-მინისტრი და კომპეტენტური მინისტრი აწერენ. პრემიერ-მინისტრი უზრუნველყოფს კაბინეტის საქმიანობის ერთიანობას, არეგულირებს მის წევრებს შორის უთანხმოებებს. მინისტრთა კაბინეტის სხდომა რეგულირდება ადათებით, ხოლო გადანყვეტილებები მიიღება მეტწილად კენჭისყრის

მემკვიდრით — ერთხმად ან კონსენსუსის საფუძველზე. განსხვავებული აზრის პირობებში, თუ პრემიერ-მინისტრი აუცილებლად მიიჩნევს გადაწყვეტილების მიღებას, განსხვავებული აზრის მქონე მინისტრს შეუძლია შესთავაზოს გადადგომა, რა თქმა უნდა, თუ აზრთა სხვაობა პრინციპულ საკითხთან არის დაკავშირებული.

იაპონიაში მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორ-რგოლიანი სისტემა: პრეფექტურები და მუნიციპალიტეტები, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ჩვეულებრივ ორგანოებს და რომელთა გვერდით, კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, შეიძლება შეიქმნას ადგილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელი ორგანოები, ისეთი სტრუქტურების სახით, როგორიცაა განსაკუთრებული სადედაქალაქო რაიონები, რეგიონული განვითარების კორპორაციები და საფინანსო-სამრეწველო ოლქები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ოთხი ძირითადი სისტემისაგან შემდგარ საპრეფექტურო დონეს ეწოდება „ტოდოფუკენ“. საქმე ის არის, რომ ეს სახელწოდება რთული შემადგენლობისაა და იაპონური ტერმინოლოგიისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, მისი თითო მარცვალი ცალკე სისტემას აფიქსირებს ამ საერთო ტერმინში. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ერთი სპეციალური — დედაქალაქის ტოკიოს პრეფექტურა („ტო“), ჰოკაიდოს გუბერნია („დო“), ოსაკას და კიოტოს ორი პრეფექტურა ერთად („ფუ“), იაპონიის დანარჩენი მთელი ტერიტორია, რომელიც დაყოფილია 43 პრეფექტურად („კენ“). ფაქტობრივად, ამ პრეფექტურების სამართლებრივ სტატუსში განსხვავება არ არსებობს. ტერმინოლოგიური წარმოდგენის ამგვარი ნაირსახეობები აიხსნება ისტორიულ-კულტურული მოტივაციით, ფიზიკურ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებით.

მუნიციპალურ დონეს განეკუთვნებიან ქალაქები („სი“), დაბები („ტი“) და სოფლები („სონ“). მათ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ე.წ. საბაზო დონეს, ეწოდება „სიტესონ“. ადგილობრივი მმართველობის მუნიციპალური დონის ყველა ერთეულს, მიუხედავად მათი არაერთგვაროვნებისა, ერთნაირი სამართლებრივი სტატუსი აქვს.

განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი აქვთ მინიჭებული ე.წ. „სიტეი ტოტშ“-ის სპეციალურ ქალაქებს. მათ რიცხვს, მთავრობის ბრძანებულებათა შესაბამისად, განეკუთვნება ქვეყნის თორმეტი ქალაქი, რომელთა მოსახლეობა ნახევარ მილიონს სჭარბობს (ოსაკა, ნა-

გოია, საპორო, კიოტო და სხვა). 1956 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, ფაქტობრივად, გათანაბრდა ჩვეულებრივი და სპეციალური ქალაქების სტატუსი, თავად ამ უკანასკნელს გაუთანაბრდა განსაკუთრებული სადედაქალაქო რაიონებიც.

პრეფექტურაში ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურია გუბერნატორი, ქალაქსა და დაბაში — მერი, ხოლო სოფელში — მამასახლისი. ყველა ეს თანამდებობის პირი აირჩევა პირდაპირი არჩევნების წესით, უშუალოდ მოცემულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით. რაც შეეხება მათი განთავისუფლების საკითხს, აქ მოქმედებს დაქვემდებარებულობის იერარქიული სისტემა, რომლის შესაბამისად, პრეფექტურის გუბერნატორი თანამდებობიდან შეიძლება გადაყენებულ იქნეს პრემიერ-მინისტრის მიერ, ხოლო ქალაქის მერი და სოფლის მამასახლისი — გუბერნატორის მიერ.

ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურები, დელეგირებული ფუნქციების შესრულებისათვის, მათი ნაირგვაროვნების გათვალისწინებით, ანგარიშვალდებულნი არიან მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი მინისტრების წინაშე.

საარჩევნო სამართალი

1950 წლის კანონი საჯარო თანამდებობის პირთა არჩევნების შესახებ, შემდგომში მასში შეტანილი ცვლილებებითურთ, დეტალურად არეგულირებს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი შეიცავს 273 მუხლს და მასში კოდიფიცირებულია ადრე მოქმედი დაახლოებით ოცი კანონი არჩევნების შესახებ. იაპონიის პარლამენტის არჩევნებს, მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით, ნიშნავს იმპერატორი. აქტიური საარჩევნო უფლება აქვს ოც წელს მიღწეულ იაპონელს, რომელიც არანაკლებ სამი თვისა ცხოვრობს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე და შეტანილია საარჩევნო სიებში. პასიური საარჩევნო უფლება ქვეყნის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატაში 25 წელია, ხოლო მრჩეველთა პალატაში — 30 წელი.

იაპონიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატა შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩევა 4 წლის ვადით. 1994 წლის იანვარში რეფორმირებული საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე, 1996 წელს, უკანასკნელი არჩევნებისას ქვედა პალატის სადეპუტატო მანდატების ოდენობა 500-მდე შემცირდა. 300 დეპუტატი აირჩა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ფარდობითი უმრავლესობის მაჟო-

რიტარული სისტემით, ხოლო დანარჩენი 200 მანდატი 11 მსხვილ რეგიონულ ოლქში პროპორციულად განაწილდა. თითოეული ამ ოლქიდან საშუალოდ 19-20 დეპუტატი აირჩევა. ამგვარი შერეული სისტემის პირობებში ამომრჩეველი, ფაქტობრივად, ორ ბიულეტენს ღებულობს და, მაშასადამე, ორ ხმას ფლობს.

იაპონიის საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარლამენტის ზედა — მრჩეველთა პალატაში 252 დეპუტატი აირჩევა 6 წლის ვადით, ყოველ 3 წელიწადში შემადგენლობის სანახევრო განახლებით. 152 მრჩეველი აირჩევა პრეფექტურების საარჩევნო ოლქებსა და დედაქალაქის 48 საარჩევნო ოლქში. თითოეული საარჩევნო ოლქიდან აირჩევა 2-დან 6-მდე მრჩეველი. ამომრჩეველი თავის ხმას აძლევს ოლქში წარმოდგენილი კანდიდატებიდან ერთ-ერთს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს საარჩევნო კვოტის შესაბამის ხმებს. ეს უკანასკნელი განისაზღვრება ხმათა ნამდვილი უმრავლესობის გაყოფით ოლქში ასარჩევ მრჩეველთა რიცხვზე. დანარჩენი 100 მრჩეველი აირჩევა საერთო-ეროვნულ საარჩევნო ოლქებში პარტიული სიების მიხედვით, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით. ამრიგად, იაპონიის პარლამენტის ორივე პალატა შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ყალიბდება.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩევნები ტარდება თითქმის იმავე წესით. ისინი აირჩევიან 4 წლის ვადით. პრეფექტურის გუბერნატორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე და 30 წელს მიაღწია, ხოლო მერად და მამასახლისად არჩევისთვის 35 წლის ასაკობრივი ცენზია დადგენილი.

სამოქალაქო სამართალი

იაპონიაში სამოქალაქო სამართლის პირველი კოდექსი ფრანგული კანონმდებლობის ნიმუშით, 1891 წელს იქნა დამუშავებული, მაგრამ მას მიღება არ ეწერა. გერმანული მოდიფიკაციის კოდექსმა უარყოფილი ფრანგული ვარიანტის მრავალი დებულება შეითვისა და 1898 წლიდან შევიდა ძალაში. ანალოგიური ბედი ეწია ფრანგულ-გერმანული ნაკრები იდეების სახით 1899 წელს მიღებულ სავაჭრო კოდექსს. იაპონიის საუკუნოვანი სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსები დღესაც მოქმედებს, თუმცა მათში მრავალი ცვლილება-დამატებაა შესული მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როცა 1946 წლის კონსტიტუციაში მეუღლეთა თანასწორობის დეკლარირება მოხდა, ხოლო ვაჭრობისა და კომპანიების საქმიანობის რეგულირების სფეროში არსებითი შეიქნა ამერიკული სამართლის გავლენა.

იაპონიის სამოქალაქო კოდექსი 5 ნაწილიანია — ზოგადის გარდა ცალკე ნაწილები ეძღვნება სანივთო, ვალდებულებით, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალს. მათში ასახვა პოვა კერძო საკუთრების უფლების დაცვის, ხელშეკრულების თავისუფლების და სხვა თანამედროვე პრინციპებმა.

იაპონიის სავაჭრო კოდექსი შედგება ოთხი ნაწილისგან, რომლებშიც ზოგად საკითხებთან ერთად, დარეგულირებულია სავაჭრო კომპანიებთან, სავაჭრო გარიგებებსა და საზღვაო ვაჭრობასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები. სავაჭრო-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისთვის იაპონიაში დროთა განმავლობაში მიღებულ იქნა კანონთა მთელი პაკეტი. მათ შორის მნიშვნელოვანია 1899 წლის კანონები ლიცენზირების შესახებ, სავაჭრო ნიშნებისა და საავტორო უფლებების შესახებ, 1921 წლის კანონები მიწის იჯარის შესახებ, საცხოვრებელი სახლის იჯარის შესახებ, 1948 წლის კანონი ფასიანი ქაღალდების ბრუნვის შესახებ, 1952 წლის კანონი კომპანიის აღდგენის შესახებ, აგრეთვე, 1955 წლის კანონი საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობით გამონვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ. 1947 წელს მიღებული იქნა კანონი კერძო მონოპოლიის აკრძალვისა და კერძო ვაჭრობის მხარდაჭერის შესახებ.

სწორედ სამოქალაქო სამართალთან დაკავშირებით ხდება საერთო სამართლის თავისებურებების შეჭრა, არსებითად კონტინენტურ სამართალზე ორიენტირებულ იაპონურ სამართალში და იწყებს მოქმედებას ადათები და, გარკვეულწილად, პრეცედენტების მექანიზმი. მართალია, სასამართლოს გადანყვეტილებები არ არის აღიარებული სამართლის წყაროდ, მაგრამ რეალურად პრეცედენტების ინსტიტუტი მუშაობს, ხოლო უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება მიიღება როგორც უთუო შესასრულებელი აქტი, არა მხოლოდ ქვემდგომი სასამართლოების, არამედ სახელმწიფო დანესებულებების მიერ.

1890 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1926 წელს ახალი რედაქციით გამოიცა. იგი ავსტრიული კანონმდებლობის საფუძველზე დამუშავდა, რითაც გაიზარდა სასამართლოს აქტიური როლი საქმის განხილვისას.

სამოქალაქო სამართლის მონათესავე დარგებიდან ყველაზე უფრო სრულყოფილია შრომისა და ეკოლოგიური კანონმდებლობა. მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებები იაპონიაში რეგულირდება რიგი ნორმატიული აქტების საფუძველზე. 1946 წლის კონსტიტუცია აცხადებს შრომითი ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის თავისუფლებას, 15 წლამდე ასაკის ბავშვების სამუშაოდ დაქირავების აკ-

რძალვას, ქალთა და მამაკაცთა შრომის თანაბარ ანაზღაურებას და სხვა დემოკრატიულ დებულებებს. 1947 წელს მიღებული კანონი შრომითი სტანდარტების შესახებ შრომის პირობების, სამუშაო და დასვენების დროის ხანგრძლივობას ამკვიდრებს. მშრომელთა გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება კანონით პროფკავშირების შესახებ. იაპონიაში არსებობს საპენსიო კანონმდებლობის ურთულესი სისტემა: 10-მდე კანონი მოხუცებულობის პენსიის გადახდასთან დაკავშირებით, არეგულირებს სადაზღვევო შენატანების მოცულობებს და პენსიათა სხვადასხვა ოდენობას, რაც მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული.

სულ უფრო იზრდება იაპონიაში ნორმატიული აქტების რაოდენობა, რაც გარემოს დაცვის პრობლემებს ანესრიგებს. თუ ადრე ამგვარი აქტები მხოლოდ მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოების მიერ მიიღებოდა, დანყებული 1958 წლით ამ სფეროში ხდება საერთოსახელმწიფოებრივი აქტების მიღება, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ: 1958 წლის კანონი სამრეწველო ნარჩენებით წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ, 1962 წლის კანონი გარემოში კვამლისა და ორთქლის ოდენობის კონტროლის შესახებ, 1967 წლის ე.წ. ფუძემდებლური კანონი გარემოს დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ. ყოველივე ამას, უკვე 70-იან წლებში მოჰყვა კანონები გადამუშავებული ზეთებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ვიბრაციის რეგულირების შესახებ და სხვ.

სისხლის სამართალი

იაპონიის სისხლის სამართალი ომის შემდგომ პერიოდში, ისევე როგორც ომამდე, რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ოჯახს განეკუთვნება, რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირ აისახება მისი წყაროების ხასიათზე. მაგრამ აქაც, კოდექსის გარდა, სისხლის სამართლის წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილის ბუნება ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი სისტემის გავლენით არის ჩამოყალიბებული. მართალია, 1907 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი კვლავაც ძალაშია, მაგრამ ცხადია, რომ 1946 წელს იაპონიის ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ კოდექსში შეტანილი ცვლილება-დამატებები თუ ახალ კანონთა პაკეტი სწორედ საერთო სამართლის აღნიშნული მოდიფიკაციის სულისკვეთების მატარებელია.

იაპონიის დემოკრატიული ძალების დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ისეთი ფასეულობების კონსტიტუციური აღიარება, როგორიცაა ადამიანის ძირითად უფლებათა ურღვეობა, პიროვნების პატივის-

ცემა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, შეკრების, გაერთიანებების, სიტყვის, ბეჭდვისა და აზრის გამოხატვის სხვა საშუალებათა თავისუფლებები.

სიკვდილით დასჯა იაპონიის კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე სახის დანაშაულისათვის, თუმცა ფაქტობრივად, სასჯელის ეს ფორმა მხოლოდ მძიმე მკვლელობისათვის გამოიყენება და ისიც იშვიათად.

იაპონიის კონსტიტუცია, სისხლის სამართლის სამართალწარმოების სფეროში, მოქალაქეთა ისეთ უფლებებს აღიარებს, როგორიცაა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის გარეშე სასჯელის გამოყენების დაუშვებლობა, ნებისმიერი ბრალდების სასამართლო განხილვის უფლება, უკანონო დაპატიმრების აკრძალვა, დაცვის უფლება, უკანონო ჩხრეკის აკრძალვა, წამებისა და სასტიკი სასჯელების გამოყენების აკრძალვა და სხვ. ეჭვმიტანილთა ელემენტარული უფლებების დარღვევის გავრცელებული პრაქტიკის გათვალისწინებით, კონსტიტუციაში დამკვიდრდა ნორმა, რომლის მიხედვითაც არავინ არ შეიძლება იქნეს იძულებული, მისცეს ჩვენება თავის წინააღმდეგ. აღიარება, რომელიც მიღებულია იძულებით, წამებით ან მუქარით, ან კიდევ გაუმართლებლად ხანგრძლივი პატიმრობის ან დაკავების გამო, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მტკიცებულება.

როგორც ითქვა, იაპონიაში დღემდე მოქმედებს 1907 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც 1947 წელს მნიშვნელოვნად იცვალა სახე მთელმა რიგმა მუხლებმა. ისინი შეეხებოდა იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრების ხელშეუხებლობას, აგრეთვე, ზოგიერთ აშკარად მოძველებულ დებულებას.

აღნიშნულის გარდა, ახალი კონსტიტუციის რიგ მუხლებში, სისხლისსამართლებრივი სფეროსთვის პრინციპული დებულებებია მოცემული. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის წყაროთა სისტემაში ძირითადი ცვლილებები იმ ნორმებსა და აქტებს შეეხო, რომელიც ყველაზე ოდიოზური იყო, როგორც აგრესიული და რეაქციული პოლიტიკის შედეგი. თავისთავად ცხადია, 1947 წელს განხორციელებულმა რეფორმამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ მთლიანად ამ სფეროს კანონმდებლობაში.

1946 წლის კონსტიტუციის ბაზაზე გადაისინჯა სისხლის სამართლის სფეროს საკანონმდებლო აქტები. სისხლის სამართლის წყაროს ფუნქციას აღნიშნული კოდექსის გარდა, ასრულებს 1948 წლის კანონები მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულთა შესახებ და არასრულწლოვანთა შესახებ. 1947 წელს მიღებულმა კანონმა პოლიციის შესახებ გააუქმა პო-

ლიციის მკაცრად ცენტრალიზებული სისტემა და იგი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კონტროლს დაუქვემდებარა.

1948 წელს ძალაში შევიდა იაპონიის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამერიკული სისხლის სამართლის რამდენიმე ინსტიტუტს მოიცავდა და რომელმაც წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან შედარებით გააძლიერა ეჭმიტანილისა და ბრალდებულის უფლებების დაცვა. ამავე პერიოდში იქნა მიღებული კანონი სასამართლო წყობილების შესახებ, პროკურატურის შესახებ, ადვოკატურის შესახებ. ყველა მათგანი, მნიშვნელოვანი ცვლილებებითურთ, დღესაც მოქმედებს. გარდა ამისა, უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცა „სისხლის სამართლებრივი საპროცესო წესები“, რომელშიც განვრცობილი და დეტალიზებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მრავალი დებულება.

50-იანი წლების ბოლოდან იაპონიაში რეალიზდება სისხლის სამართლის პროცესის ინტენსიფიკაციის იდეა. პროცესის დაჩქარების მიზნით, სასამართლო განხილვამდე ერთი კვირით ადრე იმართება ე.წ. „წინასწარი მომზადება“ ანუ მოსამართლის, პროკურორისა და დაცვის თათბირი. თათბირი განიხილავს მრავალ პროცესულ მოქმედებას, დოკუმენტურ მტკიცებულებებს, მოწმეთა მიახლოებით რიცხვს, მათი გამოსვლის რეგლამენტის საკითხს და ა.შ. ინტენსიფიკაციის მიზნით, იაპონიაში ხდება კონკრეტული საქმის სასამართლო განხილვის მკაცრი გრაფიკის დადგენა. ინტენსიური სასამართლო განხილვა, რომელიც სასამართლოს სხდომის ოქმით შემოკლებულ გარემოებასაც გულისხმობს, სრულიად იაპონიის მასშტაბით გამოიყენება 1962 წლის პირველი იანვრიდან.

აღამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

პიროვნების სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია იაპონიის კონსტიტუციის მესამე თავში, სადაც ამ ქვეყნის კონსტიტუციონალიზმში პირველად არის განმტკიცებული ზოგიერთი კონცეპტუალური ფასეულობა. მისი ძირითადი იდეები და დებულებები გამომდინარეობს თანდაყოლილი ბუნებითი უფლებების კონცეფციიდან. პიროვნების სამართლებრივი სტატუსის რეგულირებაში ზემოთ აღნიშნულის პარალელურად, ასახულია სახელმწიფოს მიერ უფლებებით აღჭურვის კონცეფციაც. კონსტიტუციაში მითითებულია, რომ პიროვნების აღნიშნული უფლებები გარანტირებულია. საბოლოოდ, აღამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას იაპონიის

კონსტიტუცია უკავშირებს საზოგადოების როლს, ხალხის მოღვაწეობას. ამდენად, ნორმების გარკვეული ნაწილი, იქნება იგი მიმართული უფლებების თუ მოვალეობების ამოქმედებაზე ან დაცვაზე, ადრესატად განსაზღვრავს არა ცალკე პირს, ინდივიდს, არამედ მთლიანად იაპონელ ხალხს.

კონსტიტუცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს: აღიარებულია კანონის წინაშე ყველას და ყოველის თანასწორობა, განსაკუთრებით, ორივე სქესის ადამიანთა თანასწორუფლებიანობა; რაიმე მიზეზის ან პრივილეგიის გამო დისკრიმინაციის დაუშვებლობა; აკრძალულია მონობა, იძულებითი სამუშაოები, გარდა დამნაშავეის დასჯისა; ლიკვიდირებულია სათავადაზნაურო ტიტულები.

ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიის საშუალებათა არსენალიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს სასამართლო დაცვის უფლება, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება, როგორც ინდივიდის უფლებათა უზრუნველყოფის სახელისუფლო მექანიზმი, და თუნდაც იმიტომ, რომ იაპონიაში ომბუდსმენის ინსტიტუტი საერთოდ არ არსებობს.

კონსტიტუციის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულის დაცვა უნდა განხორციელდეს ადვოკატის მიერ. თუ ბრალდებულს არ ძალუძს ადვოკატის მიერ განეული სამუშაოს ანაზღაურება, ამ სახსრებს სახელმწიფო გაიღებს. სამოქალაქო პროცესში სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ პირებისთვის ხდება სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება ან იაპონიის სამართლებრივი დახმარების ასოციაციის მიერ უფასო ადვოკატის დანიშვნა, იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მოგების პერსპექტივა არსებობს.

სასამართლო სისტემა

იაპონიის თანამედროვე სასამართლო სისტემა ჩამოყალიბდა 1947-1948 წლების რეფორმების შედეგად. იგი იერარქიულად მოიცავს უზენაეს სასამართლოს, უმაღლეს, ტერიტორიულ, საოჯახო და პირველად სასამართლოებს.

იაპონიის უზენაესი სასამართლო, როგორც უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, კონსტიტუციური ზედამხედველობის უმაღლესი ორგანოცაა. ამას გარდა, იგი მთელი სასამართლო სისტემის თვითმმართველობის გარკვეულ უფლებამოსილებებს ფლობს და მეთოდური ცენტრის ფუნქციასაც ახორციელებს, როცა განავრცობს სასამართლო პრაქტიკას, გამოსცემს ქვემდგომი სასამართლოების მიმართ მითითებებს, სა-

სამართლო დისციპლინის თაობაზე აქტებს, დებულებებს სასამართლოს-თან მოქმედი პროკურატურის შესახებ, ადგენს არა მხოლოდ სასამართლოების, არამედ ადვოკატთა მუშაობის წესებსაც. მათ მიერ გამოცემული წესებით უნდა ხელმძღვანელობდნენ პროკურორებიც.

უზენაესი სასამართლო მდებარეობს ტოკიოში და შედგება თავმჯდომარისა და 14 წევრისგან. იგი, როგორც საბოლოო ინსტანცია, განიხილავს საჩივრებს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და განაჩენებზე, 5 მოსამართლის შემადგენლობით იგი განიხილავს სამართლის და არა ფაქტობრივი გარემოებების საკითხებზე შემოტანილ საჩივრებს. უზენაესი სასამართლო სრული შემადგენლობით განიხილავს საჩივრებს საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული აქტების არაკონსტიტუციურობის შესახებ, აგრეთვე, საქმეებს, რომელთა შესახებაც საჭიროა კონსტიტუციური განმარტება, ან მასში ცვლილებების შეტანა, ან თუ საჭიროა უზენაესი სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების შეცვლა.

ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში განლაგებული 8 უმაღლესი სასამართლო სააპელაციო ინსტანციით სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს ქვემდგომი სასამართლოების მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე საჩივრებს, 11 ინსტანციის სასამართლოთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და განაჩენების ჩათვლით. გარდა ამისა, 5 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია უფლებამოსილია, განიხილოს ზოგიერთი სახელმწიფო დანაშაულის საქმე.

იაპონიის სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია ტერიტორიული სასამართლოები, რომლებიც განლაგებულნი არიან 47-ივე პრეფექტურის ცენტრში. ისინი განიხილავენ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციით, გარდა იმისა, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა შედის უმაღლესი და პირველადი სასამართლოების კომპეტენციაში. მათ უფლება აქვთ, განიხილონ საჩივრები პირველადი სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების შესახებ.

იაპონიის სასამართლო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საოჯახო სასამართლოებს, რომლებიც იმავე ქალაქებში იქმნება. მათ კომპეტენციაში შედის მეუღლეთა შორის ქონებრივი და არა-ქონებრივი ხასიათის დავების, მემკვიდრეობის, 20 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ საქმეების განხილვა და სხვ. საოჯახო სასამართლოში საქმეს, როგორც წესი, ერთპიროვნულად იხილავს მოსამართლე და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში კანონით დასაშვებია სამი მოსამართლისგან შემ-

დგარი კოლეგიის მიერ საქმის განხილვა. ხშირად საოჯახო სასამართლოები იყენებენ მორიგებით პროცესებს.

600-მდე პირველადი სასამართლო ქვედა სასამართლო ინსტანციაა, რომლებიც განიხილავენ სამოქალაქო საქმეებს მცირე თანხობრივი სარჩელით; სისხლის სამართლის საქმეებს, რომელთა განხილვის შედეგად შეიძლება დაინიშნოს სასჯელი ჯარიმის სახით; ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულთა შესახებ საქმეებს, რომელთა ჩადენისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე. პირველად სასამართლოებში საქმეებს მოსამართლეები განიხილავენ ერთპიროვნულად.

ომისშემდგომ კონსტიტუციათა შორის იაპონურმა — პირველმა განუსაზღვრა უზენაეს სასამართლოს საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია, მაგრამ ეს მხოლოდ მისი პრეროგატივა როდია, ქვემდგომი სასამართლოები ბოლო ათწლეულების მანძილზე არაერთხელ გამოსულან პროგრესული პოზიციით არაკონსტიტუციურად ყოფილიყო ცნობილი ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სამთავრობო დადგენილება, შინა თუ საგარეო პოლიტიკის სფეროდან.

მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან 10 წლის ვადით. მათი დანიშვნა სასამართლოთა უმრავლესობაში ხდება მინისტრთა კაბინეტის მიერ (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება იმპერატორის მიერ). ხელშეორედ მოსამართლის პოსტის დაკავება მოქმედი კანონმდებლობით დაიშვება მხოლოდ იმ პირობით, რომ დადგენილი ასაკის (65 და 70 წელი) მიღწევასას მოსამართლე გადადგება.

კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად, მოსამართლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება დაუშვებელია საჯარო განხილვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა, სასამართლო წესით, მოსამართლე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად გამოცხადდება გონებრივად ან ფიზიკურად ქმედუუნაროდ. ამ ნორმას ორი დატვირთვა აკისრია: ერთი მხრივ, მოსამართლეთა კორუპტსზე მაქსიმალურად მოქმედებს მათი კოლეგის ქმედების საჯარო განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ფონი; მეორე მხრივ, საზოგადოებრივი აზრი იცავს მოსამართლეს არაობიექტური გადაწყვეტილებისგან.

იაპონიის კონსტიტუცია მოსამართლეთა ავტორიტეტის ამაღლებისაკენ მიმართულ მთელ რიგ ზომებს ითვალისწინებს და აქაც, საზოგადოებრივ აზრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს წევრად კანდიდატის დანიშვნა ექვემდებარება ე.წ. „სახალხო გადასინჯვას“ წარმომადგენლობითი პალა-

ტის მორიგი არჩევნების დროს. თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა გამოთქვამს ამა თუ იმ მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების ინიციატივას, მოსამართლე კარგავს თანამდებობას. ასეთი პროცედურა ყოველი მოსამართლის მიმართ იმართება 10 წელიწადში ერთხელ.

ლიტერატურა:

1. Конституция Японии // Конституции зарубежных государств, Москва, „Бек“, 1996, стр.433-456;
2. ო. მელქაძე, ო. მახარაძე, იაპონია//საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, „მერანი“, 1999, გვ. 164-199;
3. Инако Цунео, Современное право Японии, Москва, „Прогресс“, 1981;
4. Савельев В.И., Высшие органы власти Японии, 1998; Москва, „Юристъ“, 1967;
5. Чиркин В.Е., Основы конституционного права Японии // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Юристъ“, 1997, стр. 474-494;
6. Осавелюк А.М., Политические институты и конституционное право Японии // Иностранное Конституционное право, под редакцией В.В. Маклакова, Москва, „Юристъ“, 1997, стр. 256-282;
7. Кузнецов О. А., Кузнецова Т. О., Основы конституционного права Японии // Конституционное право зарубежных стран, под общей редакцией М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, „Норма-Инфра-М“, 1999, стр. 554-577;
8. Козырин А.Н.,Административное право Японии // Административное право зарубежных стран, под редакцией А.Н. Козырина, Москва, „Спарк“, 1996, стр. 151-184;
9. Еремин В.Н., Уголовное право Японии/Уголовное законодательство зарубежных стран, Сборник законодательных материалов, Москва, „Зерцало“, 1999, стр. 305-346.

ინდოეთი

ინდოეთი მსოფლიოს განვითარებად სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება. ქვეყნის 800 მილიონიანი მოსახლეობა 3 287 263 კმ² ტერიტორიაზე ბინადრობს. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება პაკისტანი, ჩრდილოეთით – ჩინეთი, ტიბეტი, ნეპალი და ბუტანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – შრი-ლანკა და ბენგალის ყურე, დასავლეთით კი არაბეთის ზღვა და ინდოეთის ოკეანე. ინდოეთის დედაქალაქია დელი, სახელმწიფო ენა – ჰინდი და ინგლისური, ხოლო ცალკეულ შტატებში ისტორიულად არსებული ენებიც, ფულის ერთეულია ინდური რუპია.

ინდური სამართალი საერთო სამართლის ოჯახს განეკუთვნება. ინდოეთის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1949 წლის 26 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1950 წლის 26 იანვარს. ინდოეთი მმართველობის ფორმით საპარლამენტო, ხოლო მოწყობის ფორმით ფედერაციული რესპუბლიკაა.

კონსტიტუციური სამართალი

სახელმწიფო ხელისუფლების ბალანსი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, მის ხელთაა თავმოყრილი აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო მინისტრთა კაბინეტი მისი სათათბირო ორგანოა; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორპალატიან პარლამენტს, რომლის შემადგენლობაშიც შედის პრეზიდენტი; მართლმსაჯულებას ახორციელებს ინდოეთის უზენაესი სასამართლო, შტატების უმაღლესი სასამართლოები, საოლქო და რაიონის, აგრეთვე, სპეციალური სასამართლოები.

პრეზიდენტი ინდოეთში, სხვა საპარლამენტო რესპუბლიკებისგან განსხვავებით, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაურია და შედის პარლამენტის შემადგენლობაში ე.წ. მესამე პალატის სახით, აგრეთვე, აღმასრულებელ ხელისუფლებასაც არაფორმალურად მეთაურობს და არა მხოლოდ იმის გამო, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის სახელით რეალიზდება, არამედ იმიტომაც, რომ კონსტიტუციის შესაბამისად მის მიერ ერთპიროვნულად ხორციელდება, უშუალოდ ან დანიშნული წარმომადგენლების მეშვეობით.

პრეზიდენტი არის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში და სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი, გადარჩევაზე შეზღუდვის გარეშე, აირჩევა 5 წლის ვადით, ამომრჩევლთა

კოლეგიის მიერ, რომელიც შედგება პარლამენტის პალატების და შტატების საკანონმდებლო ასამბლეების ნევრთაგან, შტატების მოსახლეობის პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ინდოეთის მოქალაქე, არანაკლებ 35 წლისა. იგი არ შეიძლება ითავსებდეს სხვა თანამდებობას სახელმწიფო ორგანოში და ჰქონდეს სხვა შემოსავალი.

პრეზიდენტის ძირითადი უფლებამოსილებებია: საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერის პრემიერ-მინისტრად და მისი წარდგენით სხვა მინისტრების დანიშვნა, ინდოეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და მასთან შეთანხმებით სხვა წევრების, აგრეთვე, შტატების გუბერნატორებისა და უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, გენერალური პროკურორის და გენერალური აუდიტორის, არჩევნების მთავარი კომისრის, ოფიციალური ენის და საფინანსო კომისიების წევრების დანიშვნა. პრეზიდენტს შეუძლია, დაითხოვოს მინისტრები და შტატების გუბერნატორები. რაც შეეხება თანამდებობის სხვა პირებს, მათთვის სპეციალური წესი მოქმედებს. პრეზიდენტი ახორციელებს შეწყალების უფლებას, თავის აქტებს გამოსცემს ერთპიროვნულად და თავადაა პასუხისმგებელი თავის საქმიანობაზე, კონსტიტუციით მიკუთვნებულ საერთო კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს კანონის ძალის აქტებს.

პრეზიდენტი სარგებლობს ხელშეუხებლობით, დაუშვებელია მისი დევნა და პირადი შეზღუდვა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს შესაძლებელია ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება, თუ იგი ფიზიკურად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ან იმპიჩმენტის წესით გადაყენებული იქნება კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის გამო. იმპიჩმენტის აღძვრის უფლება აქვს ორივე პალატას, იმპიჩმენტის აღძვრის თაობაზე პრეზიდენტის საქმის კურსში ჩაყენებიდან 14 დღის შემდეგ, შესაბამისი პალატის წევრთა 1/4-ით მიღებული რეზოლუციის საფუძველზე, ხოლო გადაწყვეტილება იმპიჩმენტის აღძვრის თაობაზე მიიღება ბრალმდებელი პალატის სრული შემადგენლობის ხმათა არანაკლებ 2/3-ით. ბრალდების წაყენების შემდგომ, მეორე პალატა იწყებს საპარლამენტო გამოძიებას, შესაძლოა პრეზიდენტის დასწრებით. თუ გამოძიების შედეგებზე დაყრდნობით გამოძიებელი პალატა ხმათა 2/3-ით მიიღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის ბრალეულობის შესახებ, იგი გადადგება.

პარლამენტის ორივე პალატა 5 წლის ვადით აირჩევს ვიცე-პრეზიდენტს, რომლის უმთავრესი ფუნქცია, პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი შენაცვლებაა.

პარლამენტი, კონსტიტუციის თანახმად, ერთადერთი კანონმდებელია ინდოეთში. იგი შედგება პრეზიდენტისა და ორი: ზედა – შტატების საბჭოსა და ქვედა – სახალხო პალატისგან. პრეზიდენტს უფლება აქვს, დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის მუშაობაში, მთავრობის რჩევით, თავისი აქტივით მოიწვიოს პალატათა გაერთიანებული სხდომა, მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო პროცესში. ზედა პალატის თავმჯდომარე, კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის ნევრია და ამდენად, როგორც სპიკერი დიდ უფლებამოსილებებს ფლობს. შტატების საბჭო არჩევითი და დანიშნითი ნაწილებისგან შედგება: შტატების საკანონმდებლო ასამბლეების მიერ არჩეული პირებისა და პრეზიდენტის მიერ ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში გამოჩენილ და საზოგადოებრივ საქმიანობაში გამოცდილების მქონე პირთაგან დანიშნული 12 ნევრისგან. პირველ შემთხვევაში, წარმომადგენლობა, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, განისაზღვრება ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო კრებების მიერ. შტატების საბჭოს ნევრებს აქვთ ერთი ხმა დელეგირების უფლებით და მათი რაოდენობა 238-ს არ უნდა აღემატებოდეს. შტატების საბჭოში ყოველ ორ წელიწადში ხდება ნევრთა 1/3-ის განახლება.

პარლამენტის ქვედა სახალხო პალატა შედგება შტატის მცხოვრებთაგან პირდაპირი, ფარული, თანასწორი და საყოველთაო წესით არჩეული დეპუტატებისგან, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 530-ს, აგრეთვე, საკავშირო ტერიტორიებიდან არჩეული 20 დეპუტატისგან. პალატაში ანგლოინდური საზოგადოების 2 წარმომადგენელს ნიშნავს პრეზიდენტი. ნევრები აირჩევიან 5 წლის ვადით და შტატების საბჭოს ნევრებისგან განსხვავებით, საგანგებო ვითარების პირობებში, სახალხო პალატა შესაძლებელია პრეზიდენტის მიერ ვადაზე ადრე იქნეს დათხოვნილი. პალატის ნევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ სპიკერს და მათ მოადგილეებს, რომელნიც მთავრობასთან კონსულტაციების შემდეგ, ადგენენ დღის წესრიგს და ხელმძღვანელობენ პალატათა მუშაობას.

პარლამენტის პალატებში იქმნება მუდმივი კომიტეტები და ქვეკომიტეტები, აგრეთვე, ორივე პალატისთვის საერთო კომიტეტები. მუდმივ კომიტეტებს შეუძლიათ მოიწვიონ

თანამდებობის პირები, მაგრამ არა მინისტრები. კომიტეტის მიერ განხილულ კანონპროექტთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრის პირობებში, უმცირესობას შეუძლია პალატის სხდომაზე წარსადგენ ძირითად მოხსენებას დაურთოს საკუთარი კერძო აზრი. პალატებში დეპუტატები, პარტიულობის პრინციპის საფუძველზე, ქმნიან ფრაქციებს, რისთვისაც სახალხო პალატაში საჭიროა დეპუტატთა საერთო რაოდენობის 30%, ხოლო შტატების საბჭოში 15%. პალატების სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ნევრთა მეათედი მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სპიკერს უფლება აქვს გადაიტანოს ან გადადოს სხდომა კვორუმის შეკრებამდე. პარლამენტის ძირითადი პრეროგატივაა საკანონმდებლო საქმიანობა და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს პარლამენტის ნევრს, მთავრობას და შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი პალატისადმი მიმართვით. საკანონმდებლო წინადადების შეტანის შემდგომ, განმხილველი პალატა ატარებს 3 მოსმენას კანონპროექტზე და შემუშავებულ ვარიანტს გადაუგზავნის მეორე პალატას, სადაც იგი გაივლის იმავე ეტაპებს. ერთი პალატიდან მეორეში გადასვლის შემდგომ, კანონპროექტი 6 თვის ვადაში უნდა იყოს განხილული და თუ პალატათა შორის შეუთანხმებლობის გამო, ეს პროცედურა არ იქნება დაცული, მაშინ პრეზიდენტს უფლება აქვს, მოიწვიოს პალატათა გაერთიანებული სხდომა, სადაც საკითხი დამსწრეთა საერთო ხმების უმრავლესობით გადაწყდება. გაერთიანებული სხდომის მოწვევა არ შეიძლება საკონსტიტუციო შესწორების მიღებასთან დაკავშირებით. პარლამენტის პალატების მიერ მიღებული კანონპროექტი პრომულგირებისთვის გადაეგზავნება პრეზიდენტს. პრეზიდენტს უფლება აქვს წარმოდგენილ კანონპროექტში შეიტანოს შესწორებები და დააბრუნოს კვლავ განსახილველად, მაგრამ მასთან ხელმეორედ მიბრუნებული კანონპროექტის შეჩერება მას უკვე აღარ შეუძლია და თუ მაინც არ მოაწერს ხელს, კანონი მიღებულად ჩაითვლება.

განსაკუთრებული წესია გათვალისწინებული საფინანსო-საბიუჯეტო კანონპროექტების დამტკიცებასთან დაკავშირებით. ასეთ პროექტს განიხილავს მხოლოდ სახალხო პალატა და 14 დღით უგზავნის შტატების საბჭოს, რომელსაც მხოლოდ რეკომენდაციის მიცემის უფლება აქვს. კანონპროექტის საბოლოო დამტკიცება სახალხო პალატის პრეროგატივაა და მისთვის შტატების საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება სავალდებულო არ არის.

ინდოეთში, იმის გათვალისწინებით, რომ დეპუტატი პარტიის წარმომადგენლად ითვლება, პარტიის წევრობის დაკარგვასთან ერთად კარგავს დეპუტატის მანდატსაც. სახალხო პალატაში პარლამენტის წევრობა შეუთავსებელია ფედერაციის სუბიექტის ლეგისლაციურის წევრობასთან. დეპუტატის იმუნიტეტი მოქმედებს სესიების მსვლელობის პროცესში და 40 დღე-ღამის მანძილზე მის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ.

ფედერალური მთავრობა წარმოადგენს ერთიან, ცენტრალიზებულ, კოლეგიურ ორგანოს პოლიტიკური პასუხისმგებლობით. მას მინიჭებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივისა და კანონქვემდებარე ხასიათის აქტების გამოცემის უფლება, პრეზიდენტის მიერ დადგენილი ფორმით. მთავრობა წარმოდგენილია მინისტრთა საბჭოს სახით, პრემიერ-მინისტრით სათავეში.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, წარმართოს მთავრობის საქმიანობა, გაანანილოს ფუნქციები მინისტრებს შორის და შეეცადოს, რომ მთავრობაში თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი მაღალი და დაბალი კასტები. მინისტრები ერთდროულად უნდა იყვნენ პარლამენტის წევრები, მაგრამ თუ მინისტრი პარლამენტართაგან არ შეირჩევა, მაშინ მინისტრად დანიშნვიდან 6 თვის ვადაში უნდა იქნეს არჩეული დეპუტატად, თუ არადა, უნდა დატოვოს თანამდებობა.

მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელია სახალხო პალატის წინაშე და ამ უკანასკნელის მიერ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში, იგი შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის მიერ. თუმცა პრეზიდენტს შეუძლია პრემიერ-მინისტრის რჩევით ვადაზე ადრე დაითხოვოს სახალხო პალატა. ინდოეთში მინისტრთა საბჭო 50-60 წევრისგან შედგება, მაგრამ სათათბირო ფუნქციას მათგან მხოლოდ 15-20 მინისტრი ასრულებს, რომელნიც მინისტრთა კაბინეტს შეადგენენ. კაბინეტის მუშაობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. გადაწყვეტილებები სხდომაზე უბრალო შეთანხმებით, ფორმალური ხმის მიცემის პროცედურის გარეშე მიიღება. ინდოეთში არიან მინისტრები, რომელთაც ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეების კურირება ევალებათ და არ შედიან კაბინეტის შემადგენლობაში. მათ სახელმწიფო მინისტრები ეწოდებათ. არსებობს „უპორტფელი მინისტრის“ თანამდებობაც, რომელთაც სამინისტროს ხელმძღვანელობა არ ეკისრებათ, მაგრამ მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებენ.

კონსტიტუციაში მთავრობის უფლებამოსილება ზუსტად განსაზღვრული არ არის და მას სათათბირო ფუნქცია ეკისრება, მაგრამ, ფაქტობრივად, მთავრობა საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენ-

ელია პრეზიდენტთან და ბევრ საკითხზე ზენოლაც შეუძლია განახორციელოს, ვინაიდან რეალურად ფლობს ქვეყნის მართვის ბერკეტებს.

ინდოეთი ორდონიანი სტრუქტურის ფედერაციაა: პირველი – ეს არის ფედერაციის, ხოლო მეორე – შტატების დონე, რომელსაც უთანაბრდება საკავშირო ტერიტორია. ინდოეთის ფედერაცია აერთიანებს 25 შტატსა და 7 საკავშირო ტერიტორიას, რომელთა რიცხვს განეკუთვნება ინდოეთის დედაქალაქი დელი. ამასთან, ინდოეთში ადმინისტრაციული საქმიანობა ხორციელდება ხუთ საფეხურად: პირველი – ეს თავად არის ფედერაციის საფეხური, მეორე – შტატებისა და საკავშირო ტერიტორიების საფეხური, მესამე – საოლქო მნიშვნელობის ადმინისტრაციული ორგანოები, მეოთხე – რაიონისა და რაიონული მნიშვნელობის ქალაქის ორგანოები და მეხუთე – სოფლის დონე.

ინდოეთში შტატები ეროვნულ-ლინგვისტური და რელიგიური ფაქტორების გათვალისწინებით იქმნება. ამდენად, ფედერაცია ასიმეტრიულია და უფლებამოსილებათა მოცულობით შტატები სამ ჯგუფად იყოფა. ორი შტატი – ჯამშუ და ქაშმირი, აგრეთვე, სიკიმი უდიდესი უფლებებით არიან აღჭურვილნი. პირველ ორზე არ ვრცელდება ფედერალური კონსტიტუციის მუხლების მესამედი და აღნიშნული საკითხები სხვაგვარად რეგულირდება. რაც შეეხება სიკიმის უფლებამოსილებებს, ამ შტატთან დაკავშირებული კანონები ფედერალურ პარლამენტს მხოლოდ მისი ლეგისლაციური თანხმობით შეუძლია მიიღოს, ხოლო საგანგებო მდგომარეობისა და საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებისთვის საჭიროა შტატის მთავრობის თანხმობა. მეორე, მრავალრიცხოვანი ჯგუფი – ეს ის შტატებია, რომელთა მდგომარეობა საკანონმდებლო ავტონომიის დონეზე, არსებითად, კონსტიტუციით არის დადგენილი. მესამე ჯგუფი ასამის შტატიდან გამოყოფილი ოთხი მცირე შტატია – მეგჰალაია, ნაგალენდი და სხვა, რომლებიც მცირე უფლებებს ფლობენ, ვინაიდან მთელი უფლებამოსილებანი ცენტრიდან დანიშნული გუბერნატორის ხელთაა თავმოყრილი. ამასთან, ნაგალენდში, რელიგიასთან, მართლმსაჯულების აღსრულებასთან, მინათმფლობელობასთან დაკავშირებული საკავშირო კანონმდებლობა არ გამოიყენება და რეგულირდება შტატის დონეზე.

შტატებსა და ფედერაციის ორგანოებს შორის ურთიერთობები რეგულირდება ერთიანი საკანონმდებლო ბაზის მეშვეობით და ყველა სუბიექტი ემორჩილება ქვეყნის კონსტიტუციას. მაგალითად, შტატის ტერიტორიის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხზე ცენტ-

რალური ხელისუფლება, ადგილობრივად, აზრს გამოიკითხავს, მაგრამ იგი სავალდებულოდ გასათვალისწინებელი არ არის და წყდება ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული ჩვეულებრივი კანონით. იმის გამო, რომ ფედერაციის სუბიექტებს არა აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, ქვეყნის ძირითად კანონში ცალკე განყოფილება ეძღვნება სახელმწიფო ორგანოების სისტემას და მათ საფუძველზე იქმნება შტატებსა და საკავშირო ტერიტორიებში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები. გამონაკლისია შტატი: ჯამუ და ქაშმირი, სადაც მოქმედებს ადგილობრივი კონსტიტუცია და მის საფუძველზე იქმნება ადგილობრივი ორგანოები. საკანონმდებლო ორგანოს მეორე დონეს წარმოადგენს ლეგისლატურა, რომელიც რამდენიმე შტატის: ბიჰარის, მაჰარაშტრას, კარნატაკას და უტარ პრადეშის გარდა, ყველგან მონოკამერულია და საკანონმდებლო ასამბლეად იწოდება, ხოლო ბიკამერალურში ერთი საკანონმდებლო ასამბლეაა, მეორე კი საკანონმდებლო საბჭო.

საკანონმდებლო ასამბლეა აირჩევა 5 წლით და შესაძლებელია საგანგებო ვითარების არსებობისას დათხოვნილიც იქნეს, არა უმეტეს 1 წლით. რაც შეეხება საკანონმდებლო საბჭოს, იგი სპეციალური ელექტორატის მიერ აირჩევა 6 წლით და ყოველი 2 წლის შემდეგ ნევრთა მესამედი განახლდება. აქ იქმნება კომიტეტები და ქვეკომიტეტები. ნევრები სარგებლობენ თავისუფალი მანდატითა და ხელშეუხებლობის უფლებით. ლეგისლატურა ლებულობს კანონებს და აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას.

შტატის მთავრობა შედგება გუბერნატორების, მინისტრთა საბჭოს, კომისრისა და ადვოკატისგან. შტატის გუბერნატორი ინიშნება პრეზიდენტის მიერ და აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას. მინისტრთა საბჭო გუბერნატორის სათათბირო ორგანოა და შედგება მის მიერვე დანიშნული მთავარი მინისტრისა და მინისტრებისგან. კომისრის უფლებამოსილებებში შედის რამდენიმე ოლქში გადასახადების აკრეფის, ჯარში განვევის, დახმარებათა გაცემის და სხვა საკითხების გაკონტროლება. ადვოკატის ძირითადი ფუნქციაა მთავრობის საქმიანობის კონტროლი, რათა არ შეიღახოს კანონი.

ზოგიერთ შტატში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სამრგოლიანი სისტემა მოქმედებს. შტატები იყოფა ოლქებად, ხოლო ეს უკანასკნელნი – რაიონებად და სოფლებად. ინდოეთში 72 მსხვილი ქალაქი გამოყოფილია საოლქო დაქვემდებარებიდან და იმართება დამოუკიდებელი მუნიციპალური კორპორაციების მიერ, ხოლო ქალაქში, სადაც 10 000 და მეტი მცხოვრებია, იქმნება მუნიციპალური

საბჭოები და მათი რაოდენობა 1500-ს აღწევს. ინდოეთის 95%-ს მოიცავს პანჩაიატების სისტემა, რომელიც 3 დონისგან შედგება: უმაღლესი – ზილა პარიშადი – ძველად ოლქის დონე და ასეთი 274-ია; საშუალო – პანჩაიატ სამიტი – ძველად ტალუკის დონე და ასეთი 4414-ია; უმაღლესი – მაგრამ საბჭი – ძველად სოფლის პანჩაიატი – სოფლის დონე, რომელთა რაოდენობა 225 832-ს შეადგენს. პანჩაიატი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. პანჩაიატში სპეციალური ადგილები აქვთ რეგისტრირებული თემისა თუ კასტის წარმომადგენლებს და ადგილების მესამედი ეკუთვნით ქალებს.

საარჩევნო სამართალი

ინდოეთში არჩევნების გზით ყალიბდება საერთო-სახელმწიფოებრივი, ფედერალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები. ქვეყანაში იზიარებენ დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ პრინციპებს. თუმცა თავად არჩევნების ჩატარების წესებით, კანდიდატისთვის დადგენილია წინასაარჩევნო შესატანი 500 რუპიის ოდენობით, რაც დაბალი ფენების წარმომადგენელთ პასიური საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობას უსპობს.

პასიური ხმის უფლება ეძლევათ პირებს 25 წლის ასაკიდან, თუმცა შტატების საბჭოსა და შტატის საკანონმდებლო საბჭოში ასაკობრივი ცენზი 30 წელს შეადგენს. ამასთან, იგი უნდა იყოს ინდოეთის მოქალაქე და უნდა ცხოვრობდეს იმ საარჩევნო ოლქში, სადაც იყრის კენჭს, არ უნდა იყოს: შეურაცხადი, ნასამართლავი, არ უნდა ეკავოს ადგილი სხვა ანაზღაურებად თანამდებობაზე. აქტიური ხმის უფლება ენიჭება ყველა 18 წლის მოქალაქეს, ქმედუუნაროთა და მსჯავრდადებულთა გარდა.

ინდოეთში მოქმედებს ამომრჩეველთა მუდმივი რეგისტრაციის სისტემა, ხოლო თავად არჩევნები ტარდება, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი წესით. პირდაპირი არჩევნებით, ძირითადად, მაჟორიტარული სისტემით აირჩევიან დეპუტატები პარლამენტის სახალხო პალატაში, ხოლო შტატების საბჭოში ირიბი წესით, ანუ შტატებს საბჭოში წარმოადგენენ საკანონმდებლო ასამბლეის დეპუტატები, რომლებსაც ირჩევს ასამბლეა 6 წლის ვადით, სამ წელიწადში სანახევრო განახლებით. „ხმის გადაცემის უფლების“ პრინციპის თანახმად, შტატის საკანონმდებლო და შტატების საბჭოში არჩეულ პირებს ეძლევათ საკუთარი ხმის დელეგირების უფლება. არჩევნები ფარულია, თუმცა ხდება ბიულეტენების გადანომვრა, რაც ფარულობის პრინციპ-

ჰს გამორიცხავს. დეპუტატობის კანდიდატის წარდგენა საკმაოდ დემოკრატიული წესით ხდება. საკმარისია ერთმა პირმა წარადგინოს კანდიდატი, ხოლო მეორემ მხარი დაუჭიროს, რომ პირმა მოიპოვოს არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლება.

ინდოეთში არსებობს სპეციალური ელექტორატის ცნებაც და ეს ნათლად ვლინდება შტატის საკანონმდებლო საბჭოს არჩევისას, სადაც დეპუტატთა 1/3 აირჩევა შტატის საკანონმდებლო ასამბლეის მიერ; 1/3 მუნიციპალური ორგანოების მიერ; 1/12 საუნივერსიტეტო განათლების მქონე პირთა მიერ; 1/12 უმაღლესი და საშუალო სკოლების მასწავლებლების მიერ, რომელთაც მუშაობის 3 წლის სტაჟი აქვთ; 1/6 ინიშნება შტატის გუბერნატორის მიერ.

ინდოეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის პროპორციულად წარმოდგენის პრინციპს საკანონმდებლო ორგანოებში, რის გამოც ხდება ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამის მიხედვით დეპუტატთათვის ხმათა გადანაწილება, მაგალითად, პრეზიდენტს ირჩევს სპეციალური კოლეგია: პარლამენტის არჩეული წევრები და შტატების საკანონმდებლო ასამბლეის წარმომადგენლები, რომელთაგან თითოეული ფლობს იმდენ ხმას, რამდენი მეთასედიც უგროვდება შტატის მოსახლეობის საკანონმდებლო ასამბლეის წევრთა რაოდენობაზე გაყოფისას მიღებული რიცხვიდან. არჩევნებს აქაც საარჩევნო კომისიები ატარებენ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ანუ როგორც მას ინდოეთში უწოდებენ – არჩევნების მთავარ კომისარს ნიშნავს პრეზიდენტი.

სამოქალაქო სამართალი

საერთო სამართლის ოჯახისთვის დამახასიათებელ თვისებებს ყველაზე კარგად სწორედ სამოქალაქო სამართალი ავლენს და ამასთან, ინდოეთში მას ერთი ის თავისებურებაც ახლავს, რომ იგი განსხვავებული ფორმით არსებობს სხვადასხვა რელიგიური კუთვნილების პირებისთვის.

ინდოეთის სამოქალაქო სამართალი არ არის სისტემატიზებული ერთ აქტში. მის წყაროს წარმოადგენს კონსტიტუცია, ფედერალურ ან შტატის დონეზე მიღებული აქტები და პრეცედენტები. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ სახელშეკრულებო სამართალი თითქმის მთლიანად ემყარება პრეცედენტს. იგი ერთ-ერთია იმ დარგებს შორის, რომელიც გამოირჩევა თავისი მოცულობით. მისი საბაზისო ელემენტები, ანუ ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები, რომელთა შორის ნების ნამდვილობას უდიდესი ყურადღება ექცევა, აგრეთვე ხელშეკრულებათა ფორმები

ეფუძნება, როგორც ინდურ, ისე ინგლისურ პრეცედენტს და მათი შეჯერების საფუძველზეა შექმნილი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საოჯახო სამართალი, ვინაიდან აქ ყველაზე კარგად ვლინდება რელიგიური ნიშნით სამართლის კლასიფიკაცია, კერძოდ, ჰინდუისტების, ქრისტიანებისა და მუსლიმანებისთვის სხვადასხვა ქორწინების წესია გათვალისწინებული და პირველი ეფუძნება დამკვიდრებულ ტრადიციებს, მეორე – 1872 წელს მიღებულ კანონს „ქორწინების შესახებ“, მესამე – შარიათის კანონებს.

საინტერესოა მემკვიდრეობის სამართლის თავისებურებები. ნამდვილ მემკვიდრეობად ითვლება ანდერძით მემკვიდრეობა, ხოლო ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, მუსლიმანებისთვის მოქმედებს 1925 წლის კანონი მემკვიდრეობაზე, ხოლო სხვა რელიგიების წარმომადგენელთათვის მიღებულია 1956 წლის კანონი.

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთში მოქმედებს ყველა ის საბაზო კონვენცია, რომლითაც მოწესრიგებულია სამრეწველო საკუთრებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული ურთიერთობები.

საპროცესო სამართალი წარმოდგენილია 1908 წელს მიღებული საპროცესო კოდექსით, რომელიც ძალიან ბევრ შტატში მხოლოდ 50-იან წლებში შევიდა ძალაში, რაც გამომწვეული იყო ხანგრძლივი მსჯელობით და ადგილობრივ თავისებურებებთან მისი უკეთ შეთავსების მიზნით.

სისხლის სამართალი

ინდოეთი საერთო სამართლის ოჯახს მიეკუთვნება და მის სამართლებრივ სივრცეში ფართო გამოყენება აქვს პრეცედენტს, მაგრამ მიუხედავად ამისა სახელმწიფოში მოქმედებს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები.

სისხლის სამართლის კოდექსი 1860 წლის 6 ოქტომბერს იქნა ხელმოწერილი გენერალ-გუბერნატორის მიერ და შევიდა ძალაში. კოდექსი შედგება 500-მდე მუხლისგან. იგი იწყება პრეამბულით, სადაც აღნიშნულია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ინდოეთისთვის ერთიანი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავება და ამ მიზნით განსაზღვრულია, რომ კანონს ეწოდოს ინდოეთის სისხლის სამართლის კოდექსი და მისი მოქმედების სფეროდ განისაზღვროს მთელი ინდოეთის ტერიტორია, ერთი შტატის – ჯამუს და ქაშმირის გამოკლებით.

პირველ თავში მოცემულია კოდექსის ზოგადი აღწერა და ძირითადი დებულებების განმარტება. აქ აღნიშნულია, რომ პირი ჩაითვლება დამნაშავედ მხოლოდ ამ კანონის ნორმების დარღვევის შემთხვევაში და აღიარებულია ექსტერიტორიულობის პრინციპი. აქვე ხაზგასმულია, რომ სპეციალურ სუბიექტებზე, როგორებიც არიან სამხედრო პირები, მეზღვაურები და სხვა, ვრცელდება საგანგებო კანონმდებლობის მოქმედება.

მეორე თავიც, ასევე, აღწერილობითი სახისაა და აქ განმარტებულია ყველა ის ტერმინი, რომელიც მოცემულია კოდექსში და კომენტარის სახითაა წარმოდგენილი.

კანონის მესამე თავი შეეხება სასჯელს და აღნიშნულია, რომ ინდოეთში გამოიყენება ხუთი სახის სასჯელი: სიკვდილით დასჯა; სამუდამო პატიმრობა; პატიმრობა, რომელიც ორი სახისაა: მკაცრი, მძიმე ფიზიკური შრომის თანხლებით, მარტივი; ქონების კონფისკაცია და ჯარიმა. კოდექსის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ძალიან ხშირად მუხლს თან ახლავს კომენტარი, ამა თუ იმ ცნებასთან დაკავშირებით, მაგალითად, დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანის მიმართ პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი განმარტებულია, რომ ეს არ ნიშნავს თითქოს არასრულწლოვანს არ შეუძლია დანაშაულის ჩადენა და რომ კანონში მის მიერ ჩადენილი ქმედება არ ითვლება დანაშაულებრივად. ყოველი ასეთი კომენტარი კოდექსში იწოდება ილუსტრაციად.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს პროცესის წარმოების წესს და მხარეთა უფლებამოსილებებს. იგი მიღებულ იქნა 1973 წელს და რამდენიმე შტატის გამოკლებით დამტკიცდა 1974 წლის 25 იანვარს და მხოლოდ 1994 წელს კანონის მოქმედება გავრცელდა სიკიმიზე.

ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები

ინდოეთში ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტი ქვეყნის კონსტიტუციაა, რომელიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების საკმაოდ დეტალურ ჩამონათვალს შეიცავს. მათ მიეკუთვნება: თანასწორობის უფლება, რომელიც მოიცავს თანასწორობას კანონის წინაშე, წოდებების გაუქმებას და სხვ; პირად თავისუფლებას, რომელშიც ერთიანდება სიტყვისა და პირადი ხელშეუხებლობის, აგრეთვე, სხვა უფლებები; რწმენის თავისუფლება, კულტურული და საგანმანათლებლო უფლებები და სხვ.

კონსტიტუციაში გათვალისწინებულია მოვალეობებიც, რომელთა შორისაა კონსტიტუციისა და მასში მოცემული იდეალების, ასევე,

სახელმწიფო სიმბოლიკის პატივისცემა, ქვეყნის ერთიანობაზე ზრუნვა და დაცვა, რეფორმისტული იდეების ქვეყნის საკეთილდღეოდ მხარდაჭერა, კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა და სხვადასხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფს შორის ჰარმონიული ურთიერთობების დამკვიდრების ხელშეწყობა და სხვ.

ადამიანის უფლებათა დაცვის უმიშვნელოვანესი გარანტია სასამართლო, რომელიც ზედამხედველობას ეწევა, რომ ქვეყანაში მოქმედი აქტები შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და არ არღვევდეს ადამიანის უფლებებს.

ინდოეთის ზოგიერთ შტატში მოქმედებს ომბუდსმენის ინსტიტუტი, მაგრამ არა ისეთი სრულყოფილი, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია და ამდენად, არც ეროვნული ომბუდსმენის ინსტიტუტის საჭიროებამდე მისულა საქმე.

სასამართლო სისტემა

ინდოეთში სასამართლო სისტემა, სხვა ფედერაციული რესპუბლიკებისგან განსხვავებით, ცენტრალიზებული და ერთიანია. მართალია, ინდოეთში 25 შტატი არსებობს და ყოველ მათგანს თავისი უმაღლესი სასამართლო აქვს, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველა სასამართლო ინდოეთის უზენაეს სასამართლოს ემორჩილება და მისი გადაწყვეტილება ყველა სასამართლოსთვის სავალდებულოა. უზენაესი სასამართლო შედგება პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარის – ინდოეთის მთავარი მოსამართლისა და 17 წევრისგან, რომელთაც მთავარ მოსამართლესთან შეთანხმებით ნიშნავს პრეზიდენტი.

მოსამართლედ შეიძლება იყოს 65 წლის ასაკამდე ინდოეთის მოქალაქე, ცნობილი იურისტი, შტატის უმაღლეს სასამართლოში მუშაობის 5 წლიანი სტაჟით, ან იმავე თუ თანამიმდევრულად ორ სასამართლოსთან ადვოკატად მუშაობის 10 წლიანი სტაჟით. კონსტიტუციის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება გამიჯნულია სასამართლო ხელისუფლებისგან, მაგრამ დამკვიდრდა პრაქტიკა, როდესაც პრეზიდენტი პირადად იღებს მონაწილეობას სასამართლოს მიერ ცალკეული გადაწყვეტილების გამოტანაში.

უზენაესი სასამართლო განიხილავს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, ასევე, სპეციალურად მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებს, აპელაციის წესით განიხილავს შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებებს, განაჩენებსა და დადგენილებებს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. სისხლის სამართლის საქმეებზე აპელაცია განიხილება, თუ უმაღლ-

ესმა სასამართლომ პირს გამამართლებელი განაჩენი შეუცვალა სიკვდილით დასჯით, ან თუ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოიტანა ნებისმიერი რგოლის სასამართლომ.

ინდოეთში, როგორც საერთო სამართლის ქვეყანაში, სასამართლო პრეცედენტები აქტიურად მოქმედი სამართლის წყაროა. საქმე ის არის, რომ ინდოეთის უზენაესი სასამართლო მოქმედებს არა მხოლოდ როგორც „პარალელური ლეგისლატურა“, არამედ, ძალიან ხშირად, როგორც დამფუძნებელი ხელისუფლების პარალელური ორგანო.

უზენაეს სასამართლოს აქვს სპეციალური იურისდიქცია, რათა განიხილოს დავები: ინდოეთის მთავრობასა და შტატის მთავრობას შორის; ინდოეთის მთავრობას და მის პოზიციაზე მდგომ შტატს ან შტატებს შორის და განსხვავებულ პოზიციაზე მდგომ შტატებს შორის; ასევე, თავად შტატების ჯგუფებს შორის.

სასამართლო ხელისუფლებაში შემავალი შემდეგი რგოლია შტატის უმაღლესი სასამართლო, რომლის წევრებსა და თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი ინდოეთის მთავარ მოსამართლესა და შტატის გუბერნატორთან შეთანხმებით. წევრები ადგილს იკავებენ 62 წლის ასაკის მიღწევამდე და საკუთარი სურვილით, პრეზიდენტის მიერ სხვა სასამართლოში გადაყვანისას ან გადაყენებისას, შესაძლებელია ვადაზე ადრეც გათავისუფლდნენ. შტატის უმაღლეს სასამართლოში ინიშნება ინდოეთის მოქალაქე, რომელსაც აქვს სასამართლო სისტემაში ან ადვოკატად მუშაობის 10 წლის სტაჟი. შტატის უმაღლესი სასამართლო განიხილავს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს მეორე ინსტანციით. პირველი ინსტანციის სასამართლოებს წარმოადგენენ სესიისა და მაგისტრატთა ანუ პანჩაიატების სასამართლოები, სადაც წევრებს ნიშნავს შტატის გუბერნატორი, შტატის უმაღლეს სასამართლოსთან შეთანხმებით. წევრად ასარჩევ პირს უნდა ჰქონდეს 7 წლის იურიდიული საქმიანობის პრაქტიკა და დანიშვნის შემდგომ არ უნდა ითავსებდეს სხვა შემოსავლიან სამსახურს. პირველი ინსტანციის სასამართლოებზე კონტროლს ახორციელებს შტატის უმაღლესი სასამართლო. სასამართლო სისტემაში შედის, აგრეთვე, საოლქო, მუნფისებისა და ინდუსების სასამართლოები, რომელნიც განიხილავენ სხვადასხვა სირთულის საქმეებს. ამ სტრუქტურებისთვის დამახასიათებელია გარკვეული რელიგიური ელემენტები.

პროკურატურა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ძალზე რთული, მრავალსაფეხურიანი ფედერალური სისტემა, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს შორის მტკიცე

უფლებრივი გაუმიჯნაობის პირობებში, როცა ეს ორი ხელისუფლება, როგორც ფედერალურ, ისე შტატების დონეზე ერთიანი სისტემის სახითაც კი აღიქმება, უდავოდ ექცევა ასეთი ვითარების გავლენის ქვეშ. ამასთან, თუ პროკურატურა თვითონ ან წარმომადგენელთა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას, დანაშაულის გახსნა-გამოძიებას აწარმოებენ პოლიციის ჩინოსნები, რომლებიც აღმასრულებელ სტრუქტურებს ექვემდებარებიან.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

ინდოეთში საკონსტიტუციო იუსტიცია 1949 წლის კონსტიტუციით არის აღიარებული, თუმცა რაიმე სპეციალური ორგანო საკონსტიტუციო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით არ შექმნილა. ამ ფუნქციას, ზოგადი კონსტიტუციური ნორმების ძალით, ქვეყნის უზენაესი სასამართლო ითავსებს. რაც შეეხება საკონსტიტუციო ზედამხედველობის პრაქტიკას, აქ ბევრი რამ სასამართლო პრეცედენტების სახით იშვა და დამკვიდრდა.

უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებათა მთელი კვანძი საკონსტიტუციო ზედამხედველობაზეა მიმართული. მას უფლება აქვს, განმარტოს კონსტიტუციის ნებისმიერი მუხლი და შექმნას სავალდებულო პრეცედენტი კონსტიტუციის კომენტირების საფუძველზე, განახორციელოს საარჩევნო სამართლისა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვა. პრეზიდენტს უფლება აქვს, ჩაერთოს კონსტიტუციის ნორმების კომენტირების პროცესში, გამოთქვას აზრი, თავადაც ისარგებლოს კონსულტაციებითა და მიმართოს უზენაეს სასამართლოს მისი დასკვნებით სამართლის ან ფაქტის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც საჯარო მნიშვნელობა აკისრია. კონსტიტუციის მიღებიდან სამი ათწლეულის მანძილზე ასეთი მიმართვა შვიდჯერ განხორციელდა.

სწორედ ამ ურთიერთობების დონეზე, ერთობ შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც გამოიყენება წინასწარი კონტროლის ფორმა, როდესაც უზენაესი სასამართლო პრეზიდენტის მოთხოვნის საფუძველზე კანონის თუ სხვა აქტის პროექტის კონსტიტუციურობის შემოწმებას ახდენს. თუ უზენაესი სასამართლო აქტის პროექტის კონსტიტუციურობაზე საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებს, მისი დასკვნა არავისთვის არ ატარებს სავალდებულო შესასრულებელ ხასიათს.

უზენაეს სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს როგორც ფედერალური, ისე შტატების კანონების კონსტიტუციურობა. მართ-

ალია, კანონმდებლობით არ იყო დადგენილი უზენაესი სასამართლოს მიერ შტატების კანონების შემოწმების უფლება, მაგრამ თავად უზენაესმა სასამართლომ 1950 წელს შექმნა პრეცედენტი და ასე დაფუძნდა იგი.

ინდოეთის უზენაესი სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებას. თუ ჩვეულებრივი საქმეების განხილვისთვის იქმნება კოლეგია სამი მოსამართლის შემადგენლობით, საკონსტიტუციო ზედამხედველობის საქმეთა განხილვის მიზნით, იკრიბება კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით. უზენაესი სასამართლოს მიერ კანონის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად გამოცხადება მისი ბათილობის ტოლფასია.

საკონსტიტუციო იუსტიციის ამერიკულმა პრაქტიკამ გარკვეული მოდიფიცირება განიცადა ინდოეთში. ფედერალური სასამართლოს გარდა, საკონსტიტუციო ზედამხედველობას და კონტროლს ადგილობრივ კანონმდებლობაზე შტატების უმაღლესი სასამართლოებიც ახორციელებენ, აქტის კონსტიტუციურობაზე უზენაესი სასამართლოს საბოლოო შეფასებით.

ლიტერატურა:

1. ინდოეთის კონსტიტუცია (ინგლისურ ენაზე), ინტერნეტის საიტი <http://www.alfa.nic.inconst/a1.html>;
2. Басу Д.Д., Основы конституционного права Индии, Москва, 1986;
3. Кашкин С.Ю., Основы Конституционного Права Индии// Конституционное право зарубежных стран, под общ. ред. Баглая Н.В, Лейбо Ю.И, Эпшина Л.М., Москва, „Норма-Инфра-М“, 1999, стр. 644-670;
4. Чиркин В.Я., Основы Конституционного Права Индии//Конституционное право Зарубежных Стран, Москва, „Юристъ“, 1977, стр. 495-519;
5. Якушев А.В., Основы Конституционного Права Индии// Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 1999, стр. 260-264;
6. სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსები (ინგლისურ ენაზე), ინტერნეტის საიტი <http://www.indianlegal2000.com>;
7. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი (ინგლისურ ენაზე), ინტერნეტის საიტი <http://www.indianlegal2000.com>.

ირანის ისლამური რესპუბლიკა

ირანი სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყანაა, რომლის 58,1 მილიონი მოსახლეობა 1648 ათას კმ²-ზე ბინადრობს. ირანს აღმოსავლეთით ესაზღვრება ავღანეთი და პაკისტანი, სამხრეთით – სპარსეთისა და ომანის ყურეები, დასავლეთით – ერაყი და თურქეთი, ხოლო ჩრდილოეთით სომხეთი, აზერბაიჯანი, კასპიის ზღვა და თურქმენეთი. ქვეყნის დედაქალაქია თეირანი, სახელმწიფო ენა – სპარსული, ფულის ერთეული – რიალი.

ირანი მუსლიმანური სამართლის ოჯახში შემავალი სახელმწიფოა. მოქმედი კონსტიტუცია 1979 წლის 2-3 დეკემბერს საერთო-სახალხო რეფერენდუმზე იქნა მიღებული და დღესაც 1989 წლის ცვლილებებითა და დამატებებით მოქმედებს. ირანი მმართველობის ფორმით თეოკრატიული ისლამური, ხოლო სახელმწიფო მონყობით უნიტარული რესპუბლიკაა. სახელმწიფო სისტემა აგებულია ისლამურ ტრადიციებსა და ყურანის ძირითად დებულებებზე დაყრდნობით. კონსტიტუციის თანახმად, სუვერენიტეტი ხალხს ნაბოძები აქვს ღვთისგან, რომელსაც იგი არჩევნების, რეფერენდუმის და ძირითადი კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით ახორციელებს.

კონსტიტუციური სამართალი

რელიგიური პრინციპებიდან გამომდინარე ხელისუფლების ბალანსი ამგვარად ყალიბდება: სახელმწიფო მეთაურის ინსტიტუტი ირანში ორსახოვანია, უზენაესი ხელისუფლება თავმოყრილია უმაღლესი სულიერი წინამძღოლის და სანინამძღოლო საბჭოს ხელში, რომელიც თავის თავში მთელ პოლიტიკურ და რელიგიურ ძალაუფლებას აერთიანებს და ასეთი ტანდემის სახით სახელმწიფოს მეთაურად მოიაზრება, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა პრეზიდენტად ნოდებული მეთაურით სათავეში, რომელიც ამასთან, კოორდინაციას უწევს ხელისუფლების სამივე შტოს მუშაობას და მათ ურთიერთობას სახელმწიფოს რელიგიურ მეთაურთან; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან ისლამური საბჭოს კრებას; მართლმსაჯულებას აღასრულებს სასამართლო სისტემა უმაღლესი სასამართლოს თაოსნობით, ხოლო კონსტიტუციურ ზედამხედველობას – სამეთვალყურეო საბჭო.

სახელმწიფოს მეთაური, როგორც ასეთი, ორსახა, ორსუბიექტიანი ინსტიტუტის სახით მოქმედებს: ერთი მხრივ, ეს არის ქვეყნის და ერის სულიერი წინამძღოლი, სახელმწიფოს ფორმალური და ფაქ-

ტობრივი ლიდერი, რომელიც რელიგიურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას; მეორე მხრივ, ეს არის რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, წინამძღოლის შემდეგ ქვეყანაში უმაღლეს ოფიციალურ პირად ითვლება. იგი, გარდა იმისა, რომ კოორდინაციას უწევს ხელისუფლების სამივე შტოს მუშაობასა და მათ ურთიერთობას სახელმწიფოს რელიგიურ მეთაურთან, როგორც ქვეყნის ფორმალური მეთაური — პრეზიდენტი, მთავრობასაც მეთაურობს და პასუხისმგებელია კონსტიტუციის შესრულებაზე.

უმაღლესი სულიერი წინამძღოლი ირანში პოლიტიკურ და რელიგიურ ხელისუფლებათა კონსოლიდაციისა და სახელმწიფო სისტემის ისლამურ პრინციპებზე მონყობის სიმბოლოს წარმოადგენს და მთელი რიგი თავისებურებით ხასიათდება. ირანის პირველი ფაყიჰი, აიათოლა ჰომეინი თავის თავს ირანის რესპუბლიკის დამაარსებელს და მის სულიერ წინამძღოლს უწოდებდა და შედეგად, მისი გარდაცვალების შემდეგ, ფაყიჰს ერის სულიერი წინამძღოლის სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა. ამასთან, განისაზღვრა, რომ სულიერი წინამძღოლის თანამდებობაზე ასარჩევი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა: მეცნიერული კომპეტენტურობა, სამართლიანობა და ღვთისმოსაობა, ჯანსაღი პოლიტიკური თვალსაზრისი, გონიერება, სიმამაცე, ხელმძღვანელობის უნარი და წინამძღოლისთვის საჭირო ძლევამოსილება.

ირანის კონსტიტუციის ერთი თავისებურება ის არის, რომ არც სულიერი წინამძღოლის და არც პრეზიდენტის კანდიდატურისადმი წაყენებულ მოთხოვნებში მითითებული არ არის ასაკობრივი, მოქალაქეობრივი თუ სხვა სახის ცენზი. სულიერი წინამძღოლის კანდიდატურას შეარჩევს ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი ექსპერტთა საბჭო და წარუდგენს ხალხს, რომელიც აღიარებს მას სულიერ წინამძღოლად. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა საბჭო ვერ შეთანხმდა ერთ კანდიდატურაზე, მაშინ ირჩევს 3-5 წარჩინებულ პირთა ჯგუფს, რომელიც წინამძღოლის ფუნქციით შედის საწინამძღოლო საბჭოს შემადგენლობაში.

წინამძღოლის არჩევა ხდება სიკვდილამდე, თუ, რა თქმა უნდა, არ წარმოიშვა კონსტიტუციით გათვალისწინებული გადარჩევის საფუძველი, როგორიცაა: პირის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა, ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებების დაკარგვა, ან თუ გამოვლინდება, რომ ასეთი თვისებები მას თავიდანვე არ ჰქონდა. წინამძღოლის სიკვდილის, მისი გადადგომის ან გადაყენების

შემთხვევაში, ახალი წინამძღოლის არჩევამდე, წინამძღოლის ფუნქციებს ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრისგან შექმნილი სპეციალური საბჭო, რომელსაც პარლამენტი ხმათა 3/4-ით ამტკიცებს.

სულიერი წინამძღოლის კომპეტენციაში შედის: ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ, ქვეყნის საერთო პოლიტიკური კურსის განსაზღვრა და მის განხორციელებაზე ზედამხედველობის დანერგვა; ბრძანების გამოცემა რეფერენდუმის ჩატარების შესახებ; შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლობა; თავდაცვის უმაღლესი საბჭოს შექმნა და მისი წარდგინებით ომის, მშვიდობის და შეიარაღებულ ძალთა მობილიზაციის გამოცხადება; ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობათა მონესრიგება; რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის შემდეგ მისი დამტკიცების ბრძანებაზე ხელმოწერა; რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება. სულიერი წინამძღოლი განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს ფაქციების, სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, რადიო-ტელევიზიის ხელმძღვანელის, სამხედრო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის უფროსის, სამხედრო და მართლწესრიგის ძალების უმაღლესი სარდლების დანიშვნისა და გადაყენების, სასამართლოს წარდგინებით ბრალდებულთა შეწყალების ან სასჯელის შეცვლის საკითხებს. წინამძღოლს შეუძლია მოახდინოს ზოგიერთი უფლების თავის წარმომადგენლებზე დელეგირება. წინამძღოლი პასუხისმგებელია ქვეყანაში არსებულ საერთო მდგომარეობაზე.

საწინამძღოლო საბჭო ფუნქციონირებს სულიერ წინამძღოლთან და მის ძირითად ფუნქციას სულიერი წინამძღოლის არჩევა და კონსტიტუციურ ნორმათა ინტერპრეტაცია წარმოადგენს. საბჭო წყვეტს, აგრეთვე, სულიერი წინამძღოლის გადაყენების საკითხს და უწევს მას კონსულტაციებს მისი ფუნქციების განხორციელებისას.

საწინამძღოლო საბჭო 1982 წელს დაფუძნდა და იგი შედგება 83 წევრისგან, რომელნიც აირჩვიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რვა წლის ვადით. საწინამძღოლო საბჭოს წევრებს მოეთხოვებათ მეცნიერული კომპეტენტურობა და ღვთისმოსაობა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი შორსმჭვრეტელობა და ხელმძღვანელობის უნარი.

პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, 4 წლის ვადით, ერთჯერადი გადარჩევის უფლებით. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ

იქნეს წარმოშობით ირანელი, ირანის მოქალაქე, რომელსაც უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციული მართვის გამოცდილება, სამართლიანობის გრძნობა და უმნიველო წარსული, იყოს მორწმუნე, გამოირჩეოდეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებისა და ქვეყნის ოფიციალური რელიგიისადმი ერთგულებით. ჩვეულებრივ, პრეზიდენტი აირჩევა რელიგიურ და პოლიტიკურ მოღვაწეთა წრიდან და ამ პოსტზე ყოფნისას მას ეკრძალება ნებისმიერი სხვა საქმიანობის შეთავსება, გარდა პედაგოგიურისა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია: დაამტკიცოს და მთავრობას შესასრულებლად გადასცეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები და სხვა აქტები; ხელი მოაწეროს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კონვენციებსა და შეთანხმებებს, მას შემდეგ, რაც ისინი რატიფიცირებული იქნება პარლამენტის მიერ; გადასცეს და მიიღოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა რწმუნების სიგელები; დანიშნოს მინისტრები ან სამინისტროს მეურვეები და დასამტკიცებლად წარუდგინოს პარლამენტს, დაამტკიცოს ან საჭიროების შემთხვევაში, უკან დააბრუნოს მთავრობის დადგენილებები და ინსტრუქციები. პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, თავისი შეხედულებისამებრ იწვევს და თავმჯდომარეობს მინისტრთა კაბინეტის სხდომებს, ხელმძღვანელობს ეროვნული უშიშროების უზენაესი საბჭოს სხდომებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის ბიუჯეტისა და სხვა გეგმების შემუშავების პროცესში და პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე. პრეზიდენტს ჰყავს პირველი მოადგილე, რომელიც ვიცე-პრეზიდენტად იწოდება და სხვა მოადგილეები, ვისზეც შეუძლია ადმინისტრაციულ და საკადრო საკითხთა დელეგირება.

პრეზიდენტი არ სარგებლობს რაიმე განსაკუთრებული იმუნიტეტით და მის მიერ ჩვეულებრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პარლამენტისთვის შეტყობინების შემდეგ, საქმეს საერთო სასამართლოები განიხილავენ.

პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, მაგრამ პარლამენტს უფლება არა აქვს უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადოს პრეზიდენტს, ვინაიდან იგი ხალხის მიერ აირჩევა, გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმპიჩმენტის პროცესის მეშვეობით, რომლის საფუძველი შეიძლება გახდეს პარლამენტის მიერ მისი საქმიანობის არაკომპეტენტურად ცნობა. საკითხის აღძვრის უფლება აქვს მეჯლისის ნევრთა სიითი შემადგენლობის 1/3-ს, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა

პარლამენტის სიითი შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა. პრეზიდენტის გადაყენების უფლება მინიჭებული აქვს სულიერ წინამძღოლს, რომელიც ამ უფლებამოსილებას სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე ახორციელებს.

ვიცე-პრეზიდენტი ინიშნება პრეზიდენტის მიერ, პარლამენტთან შეთანხმებით, იგი პრეზიდენტის თანხმობით უძღვება მინისტრთა საბჭოს და კოორდინაციას უწევს სხვა მოადგილეთა საქმიანობას. პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის, პრეზიდენტის გარდაცვალების და ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე ითავსებს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე.

პარლამენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან ისლამური საბჭოს სათათბიროს – მეჯლისს, რომელიც 4 წლის ვადით არჩეული 270 დეპუტატისგან შედგება. დეპუტატობა შეუთავსებელია ყველა სხვა სახელმწიფო თანამდებობასა და სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიურისა. დეპუტატები არ სარგებლობენ იმუნიტეტით – 1988 წლის კანონის თანახმად, ისინი პასუხს აგებენ საერთო საფუძვლებით, მაგრამ დაუშვებელია მათი დევნა პოლიტიკური შეხედულებებისა და პარლამენტში გამოთქმული აზრის გამო. სადეპუტატო რწმუნება პირადია და მისი დელეგირება დაუშვებელია. დეპუტატები სარგებლობენ თავისუფალი მანდატით და პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ ღვთის წინაშე. რელიგიური რწმენა და ღვთისმოსაობა არის დეპუტატის განანჯისის მთავარი პირობა.

მეჯლისი, თავისი უფლებამოსილების ვადით, ირჩევს თავმჯდომარეს, მის ორ მოადგილეს, რამდენიმე მდივანსა და ადმინისტრატორს, რომელთა რაოდენობაც იცვლება სხვადასხვა მოწვევის პარლამენტში. აღნიშნული პირები უზრუნველყოფენ პარლამენტის საქმიანობის ორგანიზებასა და წარმართვას. ახლად არჩეული მეჯლისის უფლებამოსილება მხოლოდ მას შემდეგ დასტურდება, როდესაც დეპუტატების რწმუნებას დაამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

მეჯლისში ფუნქციონირებს 22 მუდმივმოქმედი კომიტეტი, თითოეული 9-დან 15-მდე დეპუტატის შემადგენლობით, რომლებიც სამთავრობო სტრუქტურების შესაბამისად კურირებენ კონკრეტულ დარგებს, გამონაკლისს წარმოადგენს პეტიციათა კომიტეტი, რომელიც 15-დან 31-მდე წევრისგან შედგება და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ მიმართულ მოქალაქეთა საჩივრებს განიხილავს. მეჯლისში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დროებითი კომიტეტების შექმნა.

მეჯლისის კომპეტენცია მოიცავს: საკანონმდებლო საქმიანობას, ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცებას და მის შესრულებაზე კონტროლს, მთავრობისთვის ნდობის ვოტუმის გამოცხადებისა და ინტერპელაციის მექანიზმების ამოქმედებას, პრეზიდენტის კომპეტენტურობის საკითხის განხილვას, აგრეთვე, მოქალაქეთა საჩივრების შემოწმებას.

საკანონმდებლო პროცესი იწყება მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული და მეჯლისში შეტანილი კანონპროექტის ან არანაკლებ 15 დეპუტატის მიერ შეტანილი საკანონმდებლო წინადადების განხილვით. კანონის მიღების ჩვეულებრივი პროცედურა კომიტეტებში განხილვის შემდეგ ორ სასესიო მოსმენას მოიცავს, რის შემდეგ კანონი პარლამენტის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს გადაეცემა, რომელიც 10 დღის ვადაში გადაწყვეტს კონსტიტუციასა და ყურანთან მისი შესაბამისობის საკითხს. საბოლოოდ, პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს. არსებობს კანონის მიღების გამარტივებული პროცედურებიც, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის გამო კანონს იღებს: მხოლოდ საპარლამენტო კომიტეტი; პლენარული სხდომა 2 მოსმენით, წინასწარი საკომიტეტო განხილვის გარეშე; განსაკუთრებულ შემთხვევებში წინადადების განხილვა ხდება მისი შეტანისთანავე, ერთი მოსმენით. ასეთ დროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან, დაესწრონ პარლამენტის სხდომას, რათა რატიფიკაციის პროცესი არ გაინელოს.

პარლამენტთან არსებობს სპეციალური საანგარიშო სასამართლო, რომელიც ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ფინანსების ხარჯვაზე.

მთავრობა. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი 1989 წლის კონსტიტუციური შესწორებით, რომელმაც გააუქმა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი და მთელი მისი უფლებამოსილება პრეზიდენტს გადასცა.

მინისტრთა კაბინეტი, პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, კოორდინაციას უწევს და წარმართავს მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას ქვეყანაში, გარდა სამხედრო სფეროსი, რომელიც სულიერი წინამძღოლის – უმაღლესი მთავარსარდლის კომპეტენციაა და ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს მიერ იმართება. ქვეყნის უშიშროების სხვა საკითხების გადაწყვეტა ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს ფუნქციებში შედის, რომლის დადგენილებები იურიდიულ ძალას წინამძღოლის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ იძენს.

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიან პრეზიდენტის მოადგილეები და 22 მინისტრი. მინისტრებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი. ისინი პასუხისმგებელი არიან პრეზიდენტის წინაშე თავიანთ საკურაციო დარგებზე. თითოეული მინისტრი თავისი უფლებამოსილებით გამოსცემს ცირკულარს ან შეიმუშავებს დებულებას, მაგრამ ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობის პოლიტიკურ კურსს.

მინისტრები ინდივიდუალურად და კაბინეტი კოლექტიურად პასუხისმგებელი არიან მეჯლისის წინაშე. მათზე კონტროლი ხორციელდება ინტერპელაციისა და უნდობლობის ვოტუმის მეშვეობით. საპარლამენტო ინტერპელაციის ირანული მოდელის მიხედვით, მინისტრი ვალდებულია უპასუხოს არანაკლებ 10 დეპუტატის მიერ დასმულ შეკითხვას. მოპასუხე მინისტრმა ყოველი პასუხის შემდეგ უნდა მოითხოვოს ნდობის ვოტუმის დადასტურება და თუ ნდობას ვერ მიიღებს, თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება. შეკითხვა შეიძლება დაისვას პრეზიდენტის მიმართაც და ეს უკანასკნელი ვალდებულია უპასუხოს მას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება დაუშვებელია.

მინისტრის გადაყენებისას პრეზიდენტს, მეჯლისის თანხმობის გარეშე, შეუძლია დანიშნოს სამინისტროს მეთურვე, არა უმეტეს 3 თვის ვადით. სამინისტროთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ისლამური ორიენტაციისა და ბრძოლის სამინისტროს.

პრეზიდენტის მოადგილეები უზრუნველყოფენ პრეზიდენტის კონკრეტული დავალებების შესრულებას და კურირებენ სხვადასხვა დარგს. გარდა ამისა, პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფება 8 სააგენტო და ორგანიზაცია, რომელთა კომპეტენციაა სახელმწიფო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს დაგეგმვა, სამთავრობო კადრების მომზადება და სახელმწიფო სტრუქტურების უზრუნველყოფა. მინისტრებსა და პრეზიდენტის მოადგილეებთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებათ პრეზიდენტის მიერ კაბინეტის თანხმობით დანიშნულ საგანგებო წარმომადგენლებს, რომლებიც, აგრეთვე, მის კონკრეტულ დავალებებს ასრულებენ. მინისტრთა კაბინეტს, თავისი მოვალეობების შესრულების მიზნით, შეუძლია შექმნას მინისტრთა სპეციალური კომისიები, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ სტრუქტურას წარმოადგენენ, თუმცა

მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი პრეზიდენტის დამტკიცების შემდეგ ლებულობს იურიდიულ ძალას.

მინისტრებს, პრეზიდენტის მოადგილეებს, აგრეთვე, სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო მოხელეებს არა აქვთ არანაირი შეთავსების უფლება, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, მათვე ეკრძალებათ ყველანაირი სამენარმეო საქმიანობის ხელმძღვანელობა.

კონსტიტუციის თანახმად, სულიერი წინამძღოლის, პრეზიდენტის, მისი მოადგილეებისა და მინისტრების, მათი მეუღლეებისა და შვილების ქონება, სამსახურის დანყებად და მის შემდეგაც აღრიცხული უნდა იქნეს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, რათა ამ პირებმა კანონით დადგენილზე მეტი სიმდიდრე არ დააგროვონ.

ირანის ისლამური რესპუბლიკა აერთიანებს 24 პროვინციას, რომლებიც დაყოფილია 195 გუბერნიად და მოიცავს 500 მაზრას. მაზრები, თავის მხრივ, იყოფა რაიონებად, რაიონები – სოფლებად, რაც ადგილობრივი მმართველობის ყველაზე დაბალი დონეა.

ირანში ადგილობრივი თვითმმართველობა ადმინისტრაციული დაყოფის ყველა დონეზე წარმოდგენილია საბჭოების, ხოლო სოფლებში – მამასახლისის სახით. საბჭოების დეპუტატები აირჩევიან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ამომრჩეველების მიერ.

ტერიტორიულ ერთეულებში წარმომადგენლობითი ორგანოების სახით მოქმედებენ საბჭოები, რომლებიც გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისა, უფლებამოსილნი არიან, შეიმუშაონ კანონპროექტები, რომლებიც მთავრობის მეშვეობით შეიძლება წარედგინოს მეჯლისს. აღმასრულებელი ხელისუფლება ადგილებზე ხორციელდება ცენტრალური მთავრობის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორისა და გუბერნატორის მეშვეობით. მაზრის უფროსი ინიშნება გენერალ-გუბერნატორის მიერ, გუბერნატორის წარდგინებით, ხოლო რაიონის ხელმძღვანელი ინიშნება გუბერნატორის მიერ მაზრის უფროსის წარდგინებით. გენერალ-გუბერნატორი ყველაზე მაღალი მოხელეა ადგილობრივ მმართველობაში და უფლებამოსილია გააკონტროლოს ქვემდგომი ადმინისტრაციული დანაყოფების მუშაობა, მასვე ექვემდებარებიან ცენტრალური სამინისტროების ადგილობრივი უწყებები. იგი ვალდებულია თავის საგამგებლო ტერიტორიაზე უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკის გატარება და პასუხს აგებს პროვინციაში არსებულ საერთო მდგომარეობაზე.

ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივ მმართველობაზე მკაცრი კონტროლი ხორციელდება და მინისტრთა კაბინეტში ამ სფეროს შინაგან საქმეთა მინისტრი კურირებს. რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს ადგილობრივი ორგანოები მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩადენის შემთხვევაში.

საარჩევნო სამართალი

ირანის საარჩევნო სამართალი სრულად იზიარებს ისეთ საერთაშორისოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებს, როგორცაა: პირდაპირობა და საყოველთაობა, ფარული კენჭისყრა არჩევნებში. მოცემული პრინციპების საფუძველზე ხდება მეჯლისის ფორმირება და მისი 270 მანდატი განსხვავებული დეპუტაციების სახით წარმოადგენს სხვადასხვა პროვინციას, ვინაიდან მათი რიცხვი პროპორციულია მოსახლეობის რაოდენობისა და ყოველ 150 ათას სულ მოსახლეზე აირჩევა ერთი წარმომადგენელი. მეჯლისში ცალკე ადგილებია გამოყოფილი ეროვნულ უმცირესობათათვის, ხოლო ცეცხლთაყვანისმცემლებს, იუდეველებსა და ქალდეველ ქრისტიანებს უფლება აქვთ, აირჩიონ დამატებით თითო წარმომადგენელი. მათგან განსხვავებით, სომეხ ქრისტიანებს, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, ორი წარმომადგენლის არჩევის უფლება მიეცათ. რელიგიურ უმცირესობათა მიერ წარდგენილი კანდიდატები უნდა გამოირჩეოდნენ ღრმა რწმენით და მაღალი ავტორიტეტით.

დეპუტატები სარგებლობენ იმუნიტეტით, თუმცა არ გააჩნიათ თავისუფალი მანდატი. დეპუტატობის კანდიდატობა შეუთავსებელია სახელმწიფო თანამდებობასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მსურველმა სახელმწიფო მოხელემ წინასწარ უნდა დატოვოს დაკავებული თანამდებობა. კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს 25 წელს მიღწეული ირანის მოქალაქე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რელიგიისადმი დამოკიდებულებას და ღრმა რწმენის მოთხოვნა წაეყენება ყველა რელიგიის მიმდევარს. კანდიდატები ვალდებულნი არიან, ფლობდნენ სპარსულ ენას და ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოსახლეობაში. დეპუტატების არჩევის შემდეგ, ყოველი მათგანის უფლებამოსილებას ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. აქტიური საარჩევნო უფლება ირანის მოქალაქეებს ეძლევათ 15 წლის ასაკიდან. ამომრჩეველს აქვს ერთი ხმა და იგი დელეგირებას არ ექვემდებარება. ქალები მამაკაცებთან თანაბარი უფლებით სარგებლობენ. არჩევნების გამართვა დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობისა და ომიანობის დროს.

პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი არჩევნების საფუძველზე. კანდიდატი შეიძლება წარდგენილ იქნეს რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ და მოწონებული უნდა იქნეს სულიერი წინამძღოლის მიერ. კონსტიტუცია პირდაპირ არ განსაზღვრავს პრეზიდენტობის კანდიდატის ასაკობრივ ცენზს, მაგრამ მის მიერ ფორმულირებული სხვა მოთხოვნები განაპირობებს, რომ იგი საკმაოდ ასაკოვანი უნდა იყოს. პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაცია ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზაციაზე.

პრეზიდენტი აირჩევა ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. თუ პირველ ტურში გამარჯვებული არ გამოვლინდა, ერთი კვირის თავზე იმართება მეორე ტური, სადაც მონაწილეობას იღებენ მაღალი პროცენტის მქონე კანდიდატები და გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მეტ ხმას დააგროვებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ტარდება მეჯლისის არჩევის პრინციპით, მაგრამ ერთი თავისებურება ირანის საარჩევნო სამართლისა ის არის, რომ კონტროლს პარლამენტისა და ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო პროცესზე ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო.

რაც შეეხება უშულო დემოკრატიის მეორე ფორმას – რეფერენდუმს, იგი ინიშნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული საკითხების საკანონმდებლო წესით გადასაწყვეტად, სულიერი წინამძღოლის მიერ, მეჯლისის დეპუტატთა 2/3-ის მოთხოვნით.

სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო სამართლის განვითარება საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა და ისლამური ტრადიციების დიდ გავლენას განიცდიდა, შედეგად სამოქალაქო სამართალი მოიცავს ისეთი სამართლის წყაროების ერთობლიობას, როგორცაა: მეჯლისის მიერ მიღებული კანონები, რელიგიური სამართლის წყაროები და სასამართლო პრეცედენტები.

მეჯლისის მიერ მიღებულ კანონთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშავდებოდა და თუ პირველი ნაწილი 1928 წელს იქნა მიღებული, მეორე და მესამე მხოლოდ 1932-1935 წლებში დამტკიცდა. 1939 წელს მეჯლისმა დაამტკიცა საპროცესო კოდექსი

და საკმაოდ მყარი სამოქალაქო-სამართლებრივი ბაზა შეიქმნა. ამასთან, 1932 წელს გამოიცა კომერციული კანონი.

რელიგიური სამართლის წყაროთაგან აღსანიშნავია ყურანი, ფეთვა, რომელთა ცნებებიც დიდ ზეგავლენას ახდენს არა მარტო პრეცედენტის, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის შექმნაზეც. აღნიშნულ რელიგიურ წმინდა წიგნთა გამოყენება, გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლოს მიერაც არის დაშვებული.

პრეცედენტს დიდი ძალა აქვს ირანში და იქმნება მოსამართლეთა და სასულიერო პირთა მიერ, სასულიერო კანონების ინტერპრეტაციის შედეგად. პირები, რომელნიც განმარტავენ სასულიერო წიგნებს, უღემებად იწოდებიან, ხოლო განმარტების შედეგად მიღებულ პრეცედენტს – იჯმას უწოდებენ და იგი ერთგვარი მოთხრობის სახეს ატარებს, სადაც მოცემულია, როგორც კაზუსი, ასევე გადაწყვეტის გზა.

სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფორმირება, აგრეთვე, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა და 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ, მოქმედმა კანონებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, თუმცა პროცესი 1991 წელს, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებით დასრულდა.

ირანის სისხლის სამართალი საკმაოდ კრიმინალიზირებულია, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 109 დანაშაულისთვის გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, მათ შორის ისეთი დანაშაულისათვისაც, როგორიცაა ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგ გამოსვლა. კოდექსი სრულიად ემყარება კონსტიტუციას და დანაშაულის ბევრი ცნებაც სწორედ კონსტიტუციაშია მოცემული, კერძოდ, პოლიტიკური და პრესის მიერ ჩადენილი დანაშაულის ცნებები.

ირანში მოქმედებს საპროცესო კოდექსიც, რომელიც, შეიძლება ითქვას, პარლამენტის მიერ მიღებული შარიათია, იმისდა მიუხედავად, რომ ბევრი საპროცესო გარანტია კონსტიტუციაშია მოცემული. ამასთან, უნდა ითქვას, რომ თავისთავად საპროცესო ნორმები დემოკრატიული ფორმითაა ჩამოყალიბებული, თუმცა მათი გამოყენების ფორმების და სფეროების ერთი შეხედვაც სრულიად აქარწყლებს ამ მოსაზრებას.

ირანში დიდი ყურადღება ექცევა რწმენის პრიმატს და მისი გავლენა დიდია სისხლის სამართლებრივ ნორმებზეც, რაზეც მიუთითებს

თუნდაც ის ფაქტი, რომ დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული არა მარტო ნარკომანობა, არამედ სპირტიანი სასმელების მოხმარებაც, რაზეც სპეციალური კანონია მიღებული.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სასჯელთა სახეები, როცა სიკვდილით დასჯის აქტიური და ხშირი გამოყენების გვერდით მინც შემზარავად გამოიყურება ისეთი სასჯელების არსებობა, როგორიცაა სხეულის ორგანოს მოკვეთა, საჯარო გამათრახება და სხვ.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის მესამე თავი „ხალხის უფლებები“, ადამიანის უფლებათა განსაზღვრულ უმაღლეს ნორმათა ერთობლიობას წარმოადგენს და ყველა იმ უფლებასა და თავისუფლებას აღიარებს, რომელსაც ძირითადი კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს.

მუსლიმანური სახელმწიფოებისთვის და მათ შორის ირანისთვის, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა საზოგადოებაში ქალის ადგილის განსაზღვრა, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაა. ამასთან დაკავშირებით ისლამური კონსტიტუციის საკმაოდ ვრცელ პრეამბულაში სპეციალური პარაგრაფია ჩამოყალიბებული – „ქალი კონსტიტუციაში“, ხოლო 21-ე მუხლის თანახმად, ყოველმხრივ დაცულია ქალის უფლებები. კონსტიტუციური აღიარება იმისა, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან, ისლამური რევოლუციის ერთ ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად ითვლება, თუმცა ეს ტენდენცია ჯერ კიდევ შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის, ე.წ. „თეთრი რევოლუციის“ დროს დაიწყო, რომელმაც 1963 წელს საარჩევნო კანონით ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიანიჭა.

მიუხედავად იმისა, რომ ისლამი წარმოადგენს ირანის ოფიციალურ რელიგიას, კონსტიტუცია აღიარებს რწმენის თავისუფლებას და იძლევა რელიგიურ, ეროვნულ თუ სხვა უმცირესობათა დაცვის გარანტიებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტს წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლება, „რომელიც სამართლიანობის საფუძველზე იცავს საზოგადოებისა და პიროვნების უფლებებს“. მის ფუნქციებში შედის დარღვეულ უფლებათა აღდგენა, კანონიერი სამართლიანობისა და თავისუფლებათა დამკვიდრება. ამისთვის სასამართლო სისტემის შემადგენლობაში შექმნილია სპეციალური ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლო, რომელიც განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებს „სახელმწიფო ინსტრუქციებით მოქმედი

მოხელეებისა და ორგანოების მიმართ“, კონსტიტუციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან დაკავშირებით და ისლამური მართლმსაჯულების საფუძველზე გამოაქვს განაჩენი, რომელიც სავალდებულო იქნება ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციისთვის.

მართალია ირანის სამართალი არ იცნობს ომბუდსმენის ინსტიტუტს, მაგრამ მის მაგივრობას სწევს მეჯლისში არსებული მუდმივმოქმედი პეტიციათა კომიტეტი. კონსტიტუციის 90-ე მუხლის თანახმად, ეს ორგანო განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებს პარლამენტის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით და უფლებამოსილია პასუხი მოსთხოვოს ნებისმიერ მოხელესა და ორგანოს, მათ შორის – სასამართლოსაც. პეტიციათა კომიტეტის საქმიანობა ეფუძნება მხოლოდ მოქალაქეთა ინიციატივას, რომელიც მოქალაქეთა წერილობით საჩივართან უნდა იყოს დაკავშირებული და შეიძლება ეხებოდეს როგორც პიროვნების უფლებების ინდივიდუალური შელახვის ფაქტს, ასევე საერთო ინტერესთა შელახვასაც და თუ ის საერთო ინტერესის საგანია, შესწავლის შედეგები ქვეყნდება საჯაროდ.

სასამართლო სისტემა

კონსტიტუციის თანახმად, „სასამართლო ხელისუფლება არის დამოუკიდებელი ორგანო“, რომელიც ქმნის სასამართლოების, პროკურატურისა და სხვადასხვა ორგანიზაციის რთულ და სპეციფიკურ ერთიანობას. ირანის უზენაესი სასამართლო და მისი ქვემდგომი სააპელაციო, საერთო, სამხედრო და რევოლუციური სასამართლოები, მათთან არსებული პროკურატურის ცენტრალიზებული დანაყოფები, ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლო და მთელი რიგი სპეციალური ორგანოები ირანის სასამართლო სისტემის განუყოფელი, შემადგენელი სტრუქტურებია.

მთელი ამ რთული სასამართლო სისტემის სათავეში დგას სასამართლო ხელისუფლების მეთაური – გამგებელი. სასამართლო ხელისუფლების გამგებელი მეტად მნიშვნელოვანი თანამდებობის პირია და კონსტიტუციის თანახმად, „ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა“. იგი ინიშნება სულიერი წინამძღოლის მიერ 5 წლის ვადით და იურისპრუდენციაში განსწავლული უმაღლესი რანგის სასულიერო პირია, რომლის ფუნქციებში შედის: მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაციულ საკითხთა გადაწყვეტა, სასამართლო კანონპროექტების შემუშავება და მოსამართლეთა თანამდებობებზე

დანიშვნა-გათავისუფლება და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ამასთან, გამგებელი თანამდებობრივად არის: კონსტიტუციის გადასინჯვისა და მოდიფიკაციის საბჭოს მეთაურის მოვალეობათა შემსრულებელი; ექსპერტთა საბჭოს, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი; ირანის რადიოსა და ტელევიზიაზე ზედამხედველი; სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის, მისი მოადგილეების, მინისტრების და მათი ოჯახების წევრთა ქონებაზე ზედამხედველი; სახელმწიფოს გენერალური ინსპექციის ორგანიზაციის ზედამხედველი და სხვა პირებთან ერთად იღებს პრეზიდენტის ფიცს. თავად სასამართლო ხელისუფლების გამგებელი პასუხისმგებელია წინამძღოლის წინაშე.

სასამართლო ხელისუფლების გამგებელს შეუძლია თავისი უფლებამოსილების გარკვეული სფეროს დელეგირება მოახდინოს იუსტიციის მინისტრზე, რომელიც გარდა იმისა, რომ მინისტრთა კაბინეტის წევრია და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოიაზრება, სასამართლო სისტემის შემადგენელ ერთეულს წარმოადგენს. მისი დანიშვნა ხდება იმ კანდიდატთაგან, რომელსაც გამგებელი წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს. იუსტიციის მინისტრს, სასამართლო ხელისუფლების გამგებლის რწმუნებით, შეუძლია დანიშნოს სასამართლო სისტემის ყველა ადმინისტრაციული და საფინანსო მოხელე, ამასთან, იგი „პასუხისმგებელია ყველა საკითხზე, რომელიც ეხება სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობას აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან“.

სასამართლოებში კანონიერების განხორციელებაზე კონტროლის და ერთიანი სასამართლო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში მოქმედებს უზენაესი სასამართლო, რომელიც უმაღლესი საკასაციო ინსტანციაა, მაგრამ პირველი ინსტანციით განიხილავს პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას.

უზენაეს სასამართლოში მოქმედებს 33 განყოფილება, რომელთაგან ორი მეშვედაში, დანარჩენი კი თეირანშია განლაგებული. თითოეული განყოფილება ორი მოსამართლისგან შედგება, იშვიათ შემთხვევებში შეიძლება დაინიშნოს ერთი დამხმარე მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს ძირითად სტრუქტურულ ერთეულად გენერალური ასამბლეა გვევლინება. გენერალური ასამბლეა სამი მიმართულებით მუშაობს, რომელთაგან ყოველ მიმართულებას მოსამართლეთა განსხვავებული ჯგუფი წარმართავს: სამოქალაქო საქმეებს უძღვებიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სამოქალაქო საქმეებზე მომუშავე განყოფილებების სასამართლოს

თავმჯდომარეები; სისხლის სამართლის საქმეებს – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე განყოფილებათა თავმჯდომარეები; სასამართლო პრეცედენტების შემუშავებაზე მუშაობენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სისხლის და სამოქალაქო საქმეების განყოფილებათა თავმჯდომარეები და მრჩეველები.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება სასამართლო ხელისუფლების გამგებლის მიერ, მოსამართლეებთან შეთანხმებით, 5 წლის ვადით და წარმოადგენს იურისპრუდენციაში განსწავლულ უმაღლეს სასულიერო პირს.

საერთო სასამართლოების მეორე რგოლს ქმნიან პროვინციების სააპელაციო სასამართლოები, ხოლო ყველაზე ქვედა რგოლს წარმოადგენენ მაზრის სასამართლოები, რომლებიც საქმეს პირველი ინსტანციით განიხილავენ.

საერთო სასამართლოების სისტემაში შედის სამხედრო სასამართლოები, რომელიც ორგვარია: პირველი განიხილავს პოლიციის, უანდარმერიის და მართლწესრიგის დამცველ ორგანოებში მომხდარ დანაშაულებს, მეორე კი განაჩენებს აფასებს სააპელაციო უფლებამოსილებით.

რევოლუციური ტრიბუნალები ქვეყნის ერთიანი სასამართლო სისტემის ნაწილია. მათი ფუნქცია, ძირითადად, პოლიტიკური და პრესის მიერ ჩადენილი დანაშაულების განხილვით შემოიფარგლება.

სასამართლო ხელისუფლების გამგებლის ზედამხედველობის ქვეშ, დამოუკიდებლად, საკუთარი რეგლამენტით მოქმედებს ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლო, რომლის კომპეტენცია სახელმწიფო მოხელეთა მიერ მოქალაქეთა უფლებების დარღვევის საკითხის განხილვაა. მის შემადგენლობაში მოქმედებს 22 განყოფილება, სააპელაციო კოლეგია და გენერალური საბჭო. თითოეულ განყოფილებაში თავმჯდომარე და ერთი მოსამართლეა. სააპელაციო კოლეგია შედგება ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლოს თავმჯდომარის, 6 განყოფილების თავმჯდომარისა და არჩეული მოსამართლისგან, მის კომპეტენციაშია განყოფილებების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა სააპელაციო წესით განხილვა. გენერალური საბჭო ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლოს მთავარი ორგანოა და კოორდინაციას უწევს მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას.

მოსამართლედ ინიშნება 25 წლის ასაკს მიღწეული ირანის მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული და სასულიერო განათლებით და უმნი-

კვლო წარსულით, ამასთან, აუცილებელია, რომ მას მოხდელი ჰქონდეს სამხედრო სამსახური. მოსამართლეები ხელშეუხებელნი არიან და ისლამური ტრადიციების ფარგლებში გადანყვეტილების მიღებისას სარგებლობენ სრული დამოუკიდებლობით. მათი თანამდებობიდან გადაყენება, დანიშნულება და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლო ხელისუფლების გამგებლის კომპეტენციაა.

პროკურატურა შედის სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობაში და მკაცრად ცენტრალიზებული ორგანოა, რომლის სათავეში დგას, სასამართლო ხელისუფლების გამგებლის მიერ უმაღლეს სასულიერო პირთაგან 5 წლის ვადით დანიშნული გენერალური პროკურორი. მას ჰყავს ორი მოადგილე. გენერალური პროკურორი ერთპიროვნულად წარმართავს ამ ორგანიზაციის საქმიანობას, ასევე მონაწილეობს სასამართლო სისტემის ხელმძღვანელობაში. დამოუკიდებლად, მაგრამ გენერალური პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ, მოქმედებენ მთავარი სამხედრო პროკურორი და მთავარი დისციპლინური პროკურორი, რომელიც უმაღლეს დისციპლინურ სასამართლოსთან მოქმედებს. პროკურატურის ორგანოები შექმნილია ყველა სასამართლო ინსტანციასთან და მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებაზე ზედამხედველობა სასამართლოს პრეროგატივაა, პროკურატურა ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს.

სასამართლო სისტემის შემადგენლობაშია სახელმწიფოს გენერალური ინსპექციის ორგანიზაციები, ნოტარიატის განყოფილებები და სასჯელაღსრულებითი ორგანიზაცია, რომლებიც სასამართლო ორგანოების სისტემურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ.

კონსტიტუციური ზედამხედველობა

მეჯლისის მიერ მიღებული კანონებისა და დაგენილებების კანონად აღიარება დამოკიდებულია არა მხოლოდ მეჯლისზე, არამედ სამეთვალყურეო საბჭოზეც, რომელიც, ფაქტობრივად, პარლამენტის ზედა პალატის ფუნქციებით არის აღჭურვილი. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 12 პირისგან, რომელთაგან 6 სასულიერო პირია, ხოლო 6 სამოქალაქო იურისტი და მათ აქვთ მინიჭებული უფლება, განიხილონ მეჯლისის მიერ მიღებული ნებისმიერი სამართლებრივი აქტის შესაბამისობის საკითხი ისლამურ კანონმდებლობასა და კონსტიტუციასთან. სამეთვალყურეო საბჭოში რელიგიური პირები აირჩევიან წინამძღოლის ან სანინამძღოლო საბჭოს მიერ, ხოლო სამოქალაქო იურისტებს ირჩევს მეჯლისი უზენაესი სასამართლოს

მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 6 წელია, მაგრამ სულიერ წინამძღოლს უფლება აქვს საბჭოში წარმოდგენილ სასულიერო პირს გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა.

მეჯლისი ვალდებულია ყველა სამართლებრივი აქტი გადაუგზავნოს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც თავის მოსაზრებას ამ აქტთან დაკავშირებით აქვეყნებს 10 დღის მანძილზე, რის შემდგომაც იგი ან დაამტკიცებს აქტს ან დაუბრუნებს მეჯლისს ხელახალი განხილვისთვის. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული ვადა გაიზარდოს. ამა თუ იმ აქტის მუსლიმანურ სამართალთან შესაბამისობის საკითხს წყვეტს სასულიერო პირთა უმრავლესობა, ანუ 4 ხმა, მიუხედავად იმისა, ესწრებიან თუ არა სხდომას სამოქალაქო იურისტები, მაშინ, როცა მიღებული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის ხმა. საბჭოს აქვს ვეტოს უფლება.

გართულებული წესია დადგენილი კონსტიტუციის გადასინჯვისთვის და ეს ხდება მხოლოდ სულიერი წინამძღოლის ბრძანების საფუძველზე, განსაკუთრებული ორგანოს – კონსტიტუციის გადასინჯვისა და მოდიფიკაციის საბჭოს მიერ, რომელიც შედგება: სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, ხელისუფლების სამივე ორგანოს ხელმძღვანელების, პრეზიდენტის, პარლამენტის და სასამართლო ხელისუფლების წევრების, მინისტრთა საბჭოს 3 წევრის, უნივერსიტეტის 3, ექსპერტთა საბჭოს 5 და წინამძღოლის მიერ დანიშნული 10 წევრისგან. ცვლილების პროექტი წარედგინება წინამძღოლს და მის მიერ მოწონების შემთხვევაში, გაიტანება საერთო-სახალხო რეფერენდუმზე და დამტკიცდება კენჭისყრის გზით.

ლიტერატურა:

1. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, თბილისი, 1992;
2. გ. ჭიპაშვილი, ირანის სახელმწიფო წყობილება, თბილისი, 1990;
3. The Judiciary System of The Islamic Republic of Iran, the objectives, organizations and jurisdiction, ირანის უზენაესი სასამართლოს საგარეო ურთიერთობათა ბიუროს პუბლიკაცია, 1998;
3. ირანის სახელმწიფო მოწყობა (ინგლისურ ენაზე), ინტერნეტის საიტი www.netiran.com;
4. ირანის სამართლის წყაროების საინფორმაციო ბაზა (ინგლისურ ენაზე), ინტერნეტის საიტი www.mfa.gov.org.ir.

ირლანდია

ირლანდია დასავლეთევროპული სახელმწიფოა, რომლის 3,5 მილიონი მოსახლეობა, ირლანდიის კუნძულის უდიდეს ნაწილზე – 70,3 ათას კმ²-ზე ბინადრობს. ირლანდიას ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით ატლანტის ოკეანე აკრავს, აღმოსავლეთით ირლანდიის ზღვა, წმინდა გიორგისა და ჩრდილოეთის სრუტეები, რომლებიც ირლანდიას დიდი ბრიტანეთის კუნძულებისგან გამოყოფენ. ქვეყნის დედაქალაქია დუბლინი, სახელმწიფო ენებია ირლანდიური და ინგლისური, ფულის ერთეული – ირლანდიური გირვანქა.

ირლანდიის სამართალი საერთო სამართლის ოჯახს განეკუთვნება. ირლანდიის მოქმედი კონსტიტუცია მიღებულ იქნა საყოველთაო რეფერენდუმზე, 1937 წლის 29 დეკემბერს და მას შემდეგ მრავალი ცვლილება განიცადა, მათ შორის, უკანასკნელი 1995 წელს.

ირლანდიის სახელმწიფო წყობა კონსტიტუციით დამკვიდრებულ შემდეგ ძირითად პრინციპებს ეფუძნება: ირლანდია არის სუვერენული, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპით – უნიტარული, მმართველობის ფორმით – საპარლამენტო რესპუბლიკა.

კონსტიტუციური სამართალი

ირლანდიაში ხელისუფლების შტოთა შორის ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: სახელმწიფოს ჰყავს მეთაური-პრეზიდენტი; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს და ორპალატიან პარლამენტს; აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა, პრემიერ-მინისტრით სათავეში; სასამართლო ხელისუფლებას აღასრულებს უზენაესი სასამართლო და პირველი ინსტანციის სასამართლოების მთელი სისტემა.

პრეზიდენტი აირჩევა შვიდი წლით, პირდაპირი არჩევნების გზით და ხელმეორედ გადარჩევა დაიშვება მხოლოდ ერთხელ. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ოცდათხუთმეტ წელს მიღწეული ირლანდიის მოქალაქე.

პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი უფლებამოსილების მატარებელი, თუმცა უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე სახელმწიფოს ცერემონიული მეთაური. პრეზიდენტი ზოგიერთი თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში სარგებლობს სახელმწიფო საბჭოს დახმარებით და კონსულტაციით. სახელმწიფო საბჭო

ყალიბდება პრეზიდენტის მიერ ყოფილი პრეზიდენტების, მთავრობის წევრებისა და უმაღლესი მოსამართლეებისაგან.

ჩვეულებრივ, პრეზიდენტი მოქმედებს მთავრობის რჩევითა და წინასწარი თანხმობით. წარმომადგენელთა პალატის მითითებით პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო ამ უკანასკნელის თანხმობით და წარმომადგენელთა პალატის წინასწარი მხარდაჭერით – მთავრობის ყველა სხვა წევრს. ამ ორმაგი თანხმობის გარეშე, მას მთავრობის წევრების განთავისუფლებაც კი არ შეუძლია. პრეზიდენტი მთავრობის რჩევით ნიშნავს მოსამართლეებს, ასევე, მთავრობის ან მისი მეთაურის რჩევით, პრეზიდენტი ინვესტს და დაითხოვს პარლამენტს, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებს, არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და ნიშნავს არმიის ყველა ოფიცერს. კონსტიტუციით გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტის უფლებამოსილება სრულად ატარებს დისკრეციულ ხასიათს და გამოიხატება პრეზიდენტის უფლებით, უარი უთხრას პრემიერ-მინისტრს წარმომადგენელთა პალატის დათხოვნაზე, რომლის უმრავლესობის მხარდაჭერაც ამ უკანასკნელმა დაკარგა.

ირლანდიის პრეზიდენტი მონაწილეობს კანონშემოქმედებით პროცესში, თუმცა არ ფლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას. მას შეუძლია მიმართოს პარლამენტს გზავნილებით, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფო საბჭოსთან და უნდა დაიმსახუროს მთავრობის მონონება. პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს, მაგრამ შეუძლია უარი თქვას კანონპროექტის პრომოულგირებაზე, თუ მიიჩნევს მას ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის აქტად, რომელიც საერთო სახალხო განხილვისთვის გატანილ უნდა იქნეს რეფერენდუმზე. თუმცა, პრეზიდენტის მიერ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს სენატის წევრთა უმრავლესობის პეტიციისა და წარმომადგენელთა პალატის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნის შემთხვევაში. პრეზიდენტს უფლება აქვს, ხელი მოაწეროს კანონპროექტს, თუ იგი მონონებულია რეფერენდუმზე ან წარმომადგენელთა პალატის ახალი შემადგენლობის მიერ.

პრეზიდენტი არ არის პასუხისმგებელი არც ერთი პალატის და არც ერთი სასამართლოს წინაშე, თავისი უფლებამოსილების განხორციელების ან რაიმე მოქმედებისთვის, რომელიც მან ჩაიდინა ან განზრახული ჰქონდა ჩაედინა. პრეზიდენტის გარდაცვალების, საზღვარგარეთ გამგზავრების, მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობისა ან თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში, მისი უფლებამ-

ოსილებები გადადის მთავარი მოსამართლისა და პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებისგან შემდგარ კომისიაზე.

პარლამენტი ირლანდიაში ორპალატიანია და შედგება წარმომადგენელთა პალატისა და სენატისგან. წარმომადგენელთა ანუ ქვედა პალატა შედგება ას სამოცდაექვსი დეპუტატისგან, ხოლო სენატი ანუ ზედა პალატა შედგება სამოცი დეპუტატისგან. ორივე პალატის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

კონსტიტუციური სტატუსით, პარლამენტი საკანონმდებლო ინსტიტუტია და იგი აღჭურვილია უფლებით, განახორციელოს კონტროლი სახელმწიფო ფინანსებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე, ამასთან, პარლამენტს უფლება აქვს, აღჭურვოს სხვა ორგანოები ნორმაშემოქმედებითი უფლებამოსილებით, მაგრამ იტოვებს მთლიანად მათი კონტროლის უფლებას. სასამართლო ხელისუფლებას არა აქვს უფლება მასზედ, რომ მიუთითოს ან ურჩიოს პარლამენტს, როგორ უნდა შეასრულოს მან თავისი საკანონმდებლო ფუნქციები.

საპარლამენტო სესიები მოიწვევა წელიწადში ერთხელ. პალატის სხდომები, როგორც წესი, საჯაროა, თუმცა დეპუტატთა ორი მესამედის მოთხოვნით, პალატას შეუძლია ჩაატაროს დახურული სხდომა. თითოეული პალატა თავის წევრთა რიგებიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, ყველა საკითხი წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

საპროცედურო კრიტერიუმების თვალსაზრისით პარლამენტის, საკანონმდებლო საქმიანობა ოთხ მიმართულებას მოიცავს: ჩვეულებრივი კანონშემოქმედება; საფინანსო-საბიუჯეტო საკანონმდებლო საქმიანობა; ნორმაშემოქმედება ექსტრემალურ სიტუაციაში, როცა კანონის მიღების პროცესი გამარტივებულია, მაგრამ კანონები მიიღება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში სამოქმედოდ; კონსტიტუციაში შესწორებების შეტანა.

წარმომადგენელთა პალატის მიერ მოწონებული ყოველი კანონი იგზავნება სენატში, რომელმაც ოთხმოცდაათი დღის მანძილზე, ერთ-ერთი ქვემოთ ფორმით უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება: კანონი მთლიანად უარყოს; კანონში შეიტანოს ცვლილება-დამატებები და დაუბრუნოს წარმომადგენელთა პალატას; დადგენილ ვადაში კანონის მიმართ არავითარი მოქმედება არ განახორციელოს; კანონი მოიწონოს. სენატის მიერ მოცემულ კანონზე ნეგატიური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წარმომადგენელთა პალატას შეუძლია უარი თქვას მის მიღებაზე ან კატეგორიულად მოითხოვოს, რომ იგი შევიდეს ძალაში. თუ სასურველია მეორე ვარიანტი, მაშინ

კონსტიტუციის თანახმად, წარმომადგენელთა პალატას ეძლევა შესაძლებლობა გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს სენატის აზრი. კანონი ამ შემთხვევაში ძალაში შედის ას ოთხმოცი დღის შემდეგ, როცა ამოინურება სენატში მისი ყოფნის ოთხმოცდაათდღიანი ვადა.

ირლანდიის პარლამენტის პალატები არათანაბარძალოვანი სტრუქტურებია და, ფაქტობრივად, საპარლამენტო საქმიანობის მთელი ტვირთი წარმომადგენელთა პალატის წილად მოდის, ხოლო სენატი – პარლამენტის მეორე პალატა, როგორც ეს კონსტიტუციური ნორმებით არის განპირობებული, გაცილებით ნაკლებ როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და მთელ რიგ ურთიერთობებში წარმომადგენელთა პალატის ერთგვარი დამატების სახით წარმოჩინდება. საქმე ის არის, რომ ირლანდიაში დამკვიდრებული კანონშემოქმედებითი მექანიზმი სენატს ართმევს შესაძლებლობას, ეფექტურად წინ აღუდგეს წარმომადგენელთა პალატის საკანონმდებლო საქმიანობას, მაგრამ იგი, როგორც საკონსულტაციო ორგანო, აძლიერებს ქვედა პალატის მუშაობის ეფექტურობას. თუმცა სენატიც ფლობს რიგ მექანიზმებს საკანონმდებლო პროცესთან მიმართებაში. კერძოდ, მხოლოდ სენატის თანხმობის პირობებში შეუძლია მთავრობას, სთხოვოს პრეზიდენტს კონსტიტუციით დადგენილ ხუთდღიან ვადამდე მოაწეროს ხელი კანონს. კერძო კანონპროექტები, საჯაროსგან განსხვავებით, შედის მხოლოდ სენატში და მხოლოდ მისი მხარდაჭერის შემდეგ გადაეცემა წარმომადგენელთა პალატას.

მოცემული სქემა განსაზღვრავს საერთო ჩარჩოებს, რომელშიც მოქმედებს ირლანდიის პარლამენტი. მასში ჩადებული კონტროლისა და ბალანსირების მექანიზმი საიმედოდ იცავს სიტუაციას გართულებისგან, რაც მნიშვნელოვანი პირობაა ქვეყნის საშინაო ცხოვრების სტაბილურობის გარანტირებისთვის.

მთავრობა ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მთავრობის მეთაურის, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წამოაყენებს წარმომადგენელთა პალატა და ინიშნება პრეზიდენტისკ მიერ. მთავრობის შემადგენლობა შემოსაზღვრულია შვიდიდან თხუთმეტამდე წევრით, რომლებსაც ინიშნავს ასევე პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია წარმომადგენელთა პალატის წინაშე, სრულად ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს, როდესაც სარგებლობს მისი უმრავლესობის მხარდაჭერით, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გადადგეს. მთავრობა მოქმედებს

როგორც კოლეგიური ორგანო და პოლიტიკურად პასუხისმგებელი საქმეზე, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი წევრი მინისტრი ან უწყება. მთავრობა არ ფლობს საკანონმდებლო ინიციატივას, თუმცა პარლამენტის დავალებით, კაბინეტის ცალკეულ წევრებს შეუძლიათ განახორციელონ კანონშემოქმედებითი საქმიანობა.

მთავრობა ყოველწლიურად ამზადებს სახელმწიფო შემოსავლებისა და გასაღების ნუსხას და ოდენობას, ყოველი საფინანსო წლის დაწყებამდე წარუდგენს მას განსახილველად წარმომადგენელთა პალატას. იგი ასევე ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ვალდებულია განსახილველად წარუდგინოს პარლამენტს. ასე რომ, ფაქტობრივად, საკანონმდებლო ინიციატივა ფინანსებისა და ბიუჯეტის სფეროში მთავრობის ხელშია. პრაქტიკულად, ირლანდიის საგარეო პოლიტიკა მთლიანად მთავრობის მიერ განისაზღვრება და მთავრობის მეთაური საშინაო და საგარეო საქმიანობის კურსში აყენებს პრეზიდენტს. პრემიერ-მინისტრი მთავრობის წევრებიდან ერთ-ერთს ნიშნავს თავის მოადგილედ, რომელიც ენაცვლება მას ყველა საქმეში, მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათ შორის მისი გარდაცვალების დროს, ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.

პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილე და ფინანსთა მინისტრი, უნდა იყვნენ წარმომადგენელთა პალატის წევრები. მთავრობის სხვა წევრები უნდა იყვნენ წარმომადგენელთა პალატის ან სენატის წევრები, მაგრამ სენატის წევრი შეიძლება იყოს არა უმეტეს ორისა. მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს დაესწროს სხდომას და სიტყვით გამოვიდეს პარლამენტის ორივე პალატაში. პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განაცხადოს გადადგომის შესახებ და პრეზიდენტს გადასცეს განცხადება ამის თაობაზე. მთავრობის სხვა წევრებს შეუძლიათ გადადგნენ და თავიანთი განცხადება გადადგომის შესახებ გადასცენ პრემიერ-მინისტრს, რათა მან ეს განცხადება წარუდგინოს პრეზიდენტს. პრეზიდენტი ვალდებულია, დაეთანხმოს მთავრობის წევრის გადადგომას და შეიძლება არ გაიზიაროს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნა გადადგომაზე. პრემიერ-მინისტრს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მთავრობის წევრის გადადგომა, ამ უკანასკნელის მიერ აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი პრეზიდენტის მიერ ჩამოცილებული იქნება თანამდებობას.

პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში, მთავრობის მთელი შემადგენლობა ითვლება გადამდგარად, მაგრამ ვალდებულნი არიან შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ახალი მთავრობის ფორმირებამდე.

კონსტიტუციით გათვალისწინებულია, სამართლებრივ საკითხებში მთავრობის მრჩეველის – გენერალური ატორნეის თანამდებობა. მას ნიშნავს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, მაგრამ გენერალური ატორნეი არ არის მთავრობის წევრი, იგი ხელმძღვანელობს დანაშაულის გამოძიების საქმეს და ბრალმძებელია სასამართლო პროცესზე.

ირლანდიაში ადგილობრივი მართვის სტრუქტურულ-ფუნქციური სისტემა გარკვეული მობილურობით გამოირჩევა. აქ აირჩევა ოცდაცხრა საგრაფო საბჭოს, საგრაფოების ხუთი საქალაქო კორპორაციის, ხუთი დამოუკიდებელი საქალაქო კორპორაციის, ორმოცდაცხრა საქალაქო საოლქო საბჭოს ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე, ოცდაექვსი საქალაქო კომისარიატის ორგანო. ასე რომ, თითოეულ საგრაფოში არის საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს მოცემული საგრაფოს ან ქალაქის საქმეებს, როგორცაა ადგილობრივი ფინანსები, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, სანიტარია, მშენებლობა და სხვ. ქალაქისა და საგრაფოების საბჭოები ადმინისტრაციულად არ ექვემდებარებიან საგრაფოებს. საბჭოები აირჩევიან ხუთი წლით, პარლამენტის არჩევნებისთვის დადგენილი წესით.

საგრაფოები, თავის მხრივ, იყოფიან ოლქებად და ქალაქებად. თვითმმართველობის ორგანოებად აქაც აირჩევა შესაბამისი საბჭოები, რომლებიც უფრო შეზღუდულნი არიან თავიანთ საქმიანობაში. ოლქების საბჭოები განიხილავენ სკოლებისა და გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის, ბიბლიოთეკების შენახვის და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. საგრაფოების საბჭოებში შედის ოციდან ოცდარვაამდე წევრი, საქალაქო კორპორაციის საბჭოში თხუთმეტიდან ორმოცდათორმეტამდე წევრი, ხოლო საქალაქო და სხვა საბჭოები შედგება არა უმეტეს თორმეტი წევრისგან.

საგრაფოების სათავეში დგანან დანიშნული მმართველები – უშუალო ხელმძღვანელები ადგილებზე და საქმის არსიდან გამომდინარე, წყვეტენ ყველა საკითხს. მმართველები ინიშნებიან სამთავრობო კომისიების მიერ. არავის არ შეუძლია გადააყენოს მმართველი თავისი პოსტიდან, გარდა აღნიშნული კომისიისა. მმართველი თავისი შეხედულებისამებრ ნიშნავს ჩინოვნიკებს ადგილობრივ ადმინისტრაციაში და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას.

საარჩევნო სამართალი

საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ამონურვამდე არა უადრეს სამოცი დღისა. არჩევნებში მონა-

წილე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი, გარდა ყოფილი პრეზიდენტისა, უნდა წარადგინოს არანაკლებ ოცმა პარლამენტის პალატათა წევრმა, ან წარდგენილ უნდა იქნეს არანაკლებ ოთხი ადმინისტრაციული საგრაფოს ქალაქის საბჭოს მიერ. ყოფილ პრეზიდენტს შეუძლია თვითონვე წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის თანამდებობაზე წარდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატი, იგი კენჭისყრის გარეშე, ავტომატურად ცხადდება პრეზიდენტად.

წარმომადგენელთა პალატა აირჩევა ხუთი წლის ვადით საყოველთაო, პირდაპირი არჩევნების გზით, პროპორციული საარჩევნო სისტემით. პარლამენტის ამომრჩეველთა აღრიცხვიანობის დაზუსტება ხდება ყოველ მეთორმეტე წელს, რაც შემდგომ განსაზღვრავს ამომრჩეველთა ზუსტ რაოდენობას ყოველ მოცემულ ოლქში. წარმომადგენელთა პალატის ერთი წევრი არჩეულ უნდა იქნეს ოციდან ოცდაათათასამდე ამომრჩევლის მიერ. მთლიანად, პალატის ას სამოცდაექვსი წევრი აირჩევა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შექმნილ ორმოცდაერთ საარჩევნო ოლქში, რომელთაგან თორმეტ ოლქში აირჩევა სამ-სამი დეპუტატი, თხუთმეტ ოლქში – თითოეულში, ოთხი და თოთხმეტ ოლქში – თითოეულში ხუთი დეპუტატი.

1992 წლის საარჩევნო კანონის თანახმად, ქვედა პალატის არჩევნებში კანდიდატისთვის დადგენილია საარჩევნო შენატანი სამასი ირლანდიური გირვანქის სახით, რომელიც მას უკან უბრუნდება, თუ იგი თავის ოლქში დააგროვებს ამომრჩეველთა ხმების მეოთხედს მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს თანხა შედის სახელმწიფო ხაზინაში.

არჩევნების შედეგებს აჯამებს საარჩევნო კომისია. ირლანდიის კანონმდებლობის თანახმად, როდესაც საარჩევნო ოლქში კანდიდატებისა და ოლქზე გამოყოფილი პარლამენტის მანდატების რაოდენობა ერთმანეთს ემთხვევა, არჩევნები არ ტარდება და კანდიდატები ავტომატურად არჩეულად ითვლებიან.

მთელ ქვეყანაში საყოველთაო საპარლამენტო არჩევნები ტარდება ერთ დღეში. საოლქო საარჩევნო კომისიები თვითონ განსაზღვრავენ ხმის მისაცემი პუნქტების სამუშაო რეჟიმს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი დღის განმავლობაში თორმეტი საათი უნდა იყოს გაღებული.

წარმომადგენელთა პალატისგან განსხვავებით, კონსტიტუციით დადგენილია არა მარტო სენატორების რაოდენობა – სამოცი, არამედ განსაზღვრულია სენატის ფორმირების შერეული სისტემა: ირლანდიის სენატის წევრი შეიძლება გახდეს ქვეყნის რჩეული მოქალაქე დანიშნით ან არჩევის შემდეგი სამი გზით: სენატში პრემიერ-მინისტ-

რის ნომინაციით; საუნივერსიტეტო არჩევნებით; პროფესიული ან საზოგადოებრივი სიებიდან გასვლით.

სენატორების არჩევნების წესს არეგულირებს 1997 წელს მიღებული კანონი. თერთმეტი სენატორი ინიშნება პრემიერ-მინისტრის წინასწარი თანხმობით. სამ-სამი აირჩევა ირლანდიის ეროვნული უნივერსიტეტის და დუბლინის უნივერსიტეტის მიერ. პროცედურულად გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს პროფესიული სიებით სენატორების არჩევა. საყოველთაო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, კონსტიტუციის შესაბამისად, დგება კანდიდატების ხუთი სია, რომელთა მიხედვითაც აირჩევა ორმოცდასამი სენატორი. კანდიდატთა სიები აერთიანებს საქვეყნოდ ცნობილ პირებს: კულტურისა და განათლების სფეროში; სოფლის მეურნეობის სფეროში; მშრომელთა (მუშათა) წრიდან; მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროში; საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მმართველობის სფეროში.

პრეზიდენტისა და წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვს ირლანდიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ირლანდიის მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს. ბრიტანეთის მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ ირლანდიის ტერიტორიაზე, შეუძლიათ ხმა მისცენ წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში. წარმომადგენელთა პალატაში შეიძლება არჩეულ იქნეს ოცდაერთ წელს მიღწეული ირლანდიის მოქალაქე, ხოლო სენატის არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია თვრამეტი წლის ასაკს გადაცილებულ პირს, საუნივერსიტეტო ხარისხით. ეს უკანასკნელი დათქმა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ცვლის მითითებულ ქვედა ზღვარს.

სამოქალაქო სამართალი

ამჟამად ირლანდიაში მოქმედებს სამი ჯგუფი კანონებისა: კანონიერ ძალას ინარჩუნებს ჯერ კიდევ 1800 წლამდე დუბლინის პარლამენტის მიერ გამოცემული აქტები და 1801–1922 წლებში ლონდონის პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, რომლებშიც 1922 წლის შემდეგ, დამოუკიდებელი ირლანდიის პარლამენტის მიერ გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე, ირლანდიაში მიღებულ იქნა რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს არეგულირებს. მინის სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1965 წლის კანონს „მინის შესახებ“ და 1964 წლისა და 1980 წლის კანონებს, რომლებიც არეგულირებს საკუთრების უფლების რეგისტრაციას მინაზე, მინის მესაკუთრისა და

მოიჯარის ურთიერთდამოკიდებულებას. ქვეყნებში, რომლებიც ინგლისური სამართლის გავლენას განიცდიან, ერთ-ერთ ყველაზე დანერჩილებით შემუშავებულ აქტად, რომელიც ზიანის ანაზღაურებას ეხება, აღიარებულია ირლანდიის კანონი „სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის სფეროში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1963 წლის კანონს „კომპანიების შესახებ“, 1965 წლის კანონს ფასების შესახებ, აგრეთვე 1980 წლის კანონს საქონლის ყიდვა-გაყიდვისა და მომსახურების განევის შესახებ.

ირლანდიის სამართლის მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს 1977 წელს „უსამართლოდ დათხოვნის შესახებ“ კანონის მიღება, რომელმაც სახელმძღვანელო პრინციპად აღიარა ნორმა, რომლის თანახმადაც, ყოველ მუშაკს აქვს უფლება, თავი დაიცვას, რათა თვითნებურად და უსამართლოდ არ იყოს დათხოვნილი დამქირავებლის მიერ.

კათოლიკური ეკლესიის გავლენით, კონსტიტუციით აკრძალულია განქორწინება, დასაშვებია მხოლოდ მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება. უკანასკნელ წლებში მიღებულ იქნა მთელი რიგი აქტებისა, რომლებიც მიმართულია ქალთა და მამაკაცთა უფლებების გათანაბრებისკენ, კერძოდ, 1976 წლის კანონი „ოჯახის დაცვის შესახებ“ და 1980 წელს მიღებული კანონი „გათხოვილი ქალის საკუთრების შესახებ“.

1987 წელს, განქორწინების აკრძალვასთან დაკავშირებით მიღებული კანონი განსაზღვრავს ბავშვების სტატუსს და უფლებრივად ათანაბრებს ქორწინების გარეშე და ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს, მშობლებთან ყოველგვარ ურთიერთდამოკიდებულებაში.

შრომითი ურთიერთობები მნიშვნელოვნად განსაზღვრულია ირლანდიის ეროვნული აღორძინების პროგრამით, რომელიც შედგენილია 1987 წელს მთავრობის, ირლანდიის ტრედუნიონების კონგრესის და მენარმეთა ფედერალური კავშირის მონაწილეობით. იგი აფიქსირებს შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ სივრცეს, რომლის შიგნით მოქმედებს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები და არეგულირებს დაქირავებისა და დათხოვნის, შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავის გადაწყვეტის და სხვა საკითხებს. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მოიცავს მოხუცებულობის და ინვალიდობის პენსიებს, სამედიცინო მომსახურებაზე დახმარებებს და უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფას, ძირითადად, ფინანსდება მშრომელთა და მენარმეთა სადაზღვევო შენატანებით.

გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს 1976 წელს მიღებული კანონი ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვის

შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და რეგულირების საკითხებს. 1987 წელს მიღებულ იქნა კანონი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ეხება ზღვის ნავთობპროდუქტებით დაბინძურებას და ითვალისწინებს ირლანდიის პორტებში შემავალი ნავთობით დატვირთული ყველა ხომალდის სავალდებულო დაზღვევას.

სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის სფეროში, რომელიც არა კოდიფიცირებულია, ისევე როგორც ირლანდიური სამართლის სხვა სფეროებში, ერთდროულად მოქმედებს ძველი ინგლისური და ახალი ირლანდიური კანონები. კერძოდ, თუ პასუხისმგებლობა ქურდობასთან დაკავშირებით განისაზღვრება ინგლისური კანონით „საკუთრების გატაცების შესახებ“, რომელიც მიღებულია 1916 წელს, პასუხისმგებლობა გაძარცვისთვის რეგულირდება ირლანდიის 1976 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ძალაში რჩება 1861 წლის ინგლისური კანონი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობების შესახებ, თუმცა სასჯელები გათვალისწინებულია ირლანდიის 1964 წლის კანონით „სისხლის სამართლის იუსტიციის შესახებ“. მთლიანობაში, ირლანდიური კანონებით განისაზღვრება პასუხისმგებლობა დანაშაულისთვის, რომელიც მიმართულია სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ. ასეთი სახის აქტებს შორის შეიძლება დავასახელოთ 1939 წელს მიღებული კანონები „ლალატის შესახებ“ და „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობის შესახებ“. ამ უკანასკნელში ჩამოთვლილია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულობები. მსგავსი კატეგორიის აქტებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე 1963 წლის კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შესახებ“

ირლანდია მიეკუთვნება დასავლეთევროპული ქვეყნების იმ მცირე რიცხვს, სადაც სისხლის სამართალში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება შვიდი წლის ასაკიდან. სიკვდილით დასჯა ირლანდიაში გაუქმებულია 1990 წლიდან. თუმცა სასიკვდილო განაჩენები, რომლებიც გამოტანილი იყო ტერორისტების მიმართ, ჯერ კიდევ 1954 წლიდან, სისრულეში არ მოყვანილა.

სისხლის სამართლის საპროცესო საკითხები ირლანდიაში რეგულირდება 1923 წელს მიღებული კანონით „მტკიცებულებათა შესახებ სისხლის სამართალწარმოებაში“. ამასთან, პერიოდულად გამოიცემა კანონები „მართლმსაჯულების შესახებ“ – ერთნაირი დასახელებით, მაგრამ განსხვავებული შინაარსით, რომელთაგან უკანასკნელი,

დღეს მოქმედი, 1967 წელს იქნა მიღებული. 1985 წლის კანონში „პოლიციელთა უკანონო მოქმედების თაობაზე საჩივრის განხილვის შესახებ“, გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ორგანოების მიერ საჩივრების განხილვის პროცედურა.

სისხლის სამართლის სფეროში სასამართლოთა იურისდიქციისა და ორგანიზაციის, აგრეთვე, სამოქალაქო პროცესის საკითხებთან დაკავშირებით, განსაკუთრებულია 1961 და 1981 წლებში „სასამართლოს შესახებ“ და „სასამართლო დანესებულებების მოწყობის შესახებ“ მიღებული კანონების მნიშვნელობა.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ირლანდიის კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს. სახელმწიფო კანონის მთელი ძალით იცავს: სიცოცხლეს, პიროვნებას, კეთილ სახელს და საკუთრების უფლებას. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველად ირლანდიის სასამართლო სისტემა გამოდის.

ადამიანის დაცვის ინსტიტუციურ სისტემაში გავრცელებული შვედური ომბუდსმენის ბუმბა, ირლანდიაშიც პოვა გამოხმაურება. ირლანდიაში ომბუდსმენი ინიშნება მთავრობის რჩევით, პრეზიდენტის სპეციალური რეზოლუციის საფუძველზე. ომბუდსმენი შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს თანამდებობიდან პრეზიდენტის მიერ ან უფლებამოსილების გასვლის შემდგომ, ყველა სხვა შემთხვევაში, იგი თანამდებობიდან თავისუფლდება სამოცდაშვიდი წლის ასაკში. ომბუდსმენი არ შეიძლება ითავსებდეს სხვა თანამდებობას ან ენეოდეს სხვა რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას. იგი დამოუკიდებელია თავისი ფუნქციების შესრულებისას, ხოლო მისი ქვემდებარე საქმეები აღიძვრება მისი ინიციატივით ან მოქალაქის საჩივრის საფუძველზე. ომბუდსმენს შეუძლია ჩაატაროს გამოძიება დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელიც ჩადენილია სამთავრობო დეპარტამენტების, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო სამსახურების და თანამდებობის პირთა მიერ.

ომბუდსმენს უფლება აქვს წინასწარი გამოძიების ჩატარების დროს, მიიღოს გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, ან უარი თქვას გამოძიების გაგრძელებაზე, იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიჩნევს რომ: საჩივარი არის ცილისმწამებლური; მომჩივანი არასაკმარისად არის დაინტერესებული ამ საქმით; მომჩივანს ომბუდსმენის მიერ მიღებული ზომების შედეგად აუნაზღაურდა ზარალი. ომბუდსმენი ვალდებული არ არის ჩაატაროს გამოძიება საქმეზე, თუ იგი მიიჩნევს,

რომ აღნიშნული საქმე განიხილებოდა, განიხილება ან განხილული იქნება მის მიერ სხვა საქმის გამოძიების ჩარჩოებში. ყოველთვის, როცა ომბუდსმენთან შედის საჩივარი ამა თუ იმ მოქმედებაზე და იგი წყვეტს საკითხს საქმის აღძვრის ან არააღძვრის თაობაზე, მან ეს უნდა გააკეთოს წერილობითი ფორმით, ვინაიდან, იგი ვალდებულია ყველა საქმესთან დაკავშირებით გაუგზავნოს დაინტერესებულ პირს ისეთი წერილობითი დასაბუთება, რომელსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ.

კანონი იცავს ომბუდსმენის საქმიანობას და ადგენს, რომ არავის, თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით, არ შეუძლია გაართულოს ან გააჭიანუროს ომბუდსმენის მიერ მისი ფუნქციების შესრულება.

ომბუდსმენის აპარატში მომუშავე პირები წარმოადგენენ სახელმწიფო მოხელეებს და რამდენადაც თავად ომბუდსმენი წარმართავს მათ საქმიანობას, მას უფლება აქვს მასთან მომუშავე ჩინოვნიკს გადასცეს ნებისმიერი თავისი ფუნქცია.

სასამართლო სისტემა

ირლანდიაში მართლმსაჯულება ხორციელდება საჯაროდ და მხოლოდ სასამართლოების მიერ. ირლანდიის სასამართლო სისტემას სათავეში უდგას უზენაესი სასამართლო, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და ხუთი წევრისგან. უზენაესი სასამართლოს შემდეგ მოდის მაღალი სასამართლო, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და თექვსმეტი წევრისგან და შეუძლია განიხილოს პირველი ინსტანციით ნებისმიერი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმე. სისხლის სამართლის საქმის განხილვა მაღალ სასამართლოში ხორციელდება ერთპიროვნულად მაღალი სასამართლოს წევრის მიერ ან თორმეტი მსაჯულის მონაწილეობით და ამ შემთხვევაში, მას ეწოდება ცენტრალური სისხლის სამართლის სასამართლო.

სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს მსაჯულები იმავე რაოდენობით მონაწილეობენ, მაგრამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო არ არის კონსენსუსი, როგორც ეს სისხლის სამართლის საქმეებზეა, საკმარისია მხოლოდ ცხრა მსაჯულის თანხმობა. მაღალი სასამართლოს ძირითადი ფუნქციაა სასამართლო ოლქის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე საჩივრების განხილვა.

საჩივრები სისხლის სამართლის განაჩენებზე, რომელიც გამოტანილია საოლქო სასამართლოების ან ცენტრალური სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ, განიხილება სისხლის სამართლის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც უზენაესი და მაღალი სასამართლოების სისტემების ერთგვარ გამაერთიანებელ რგოლს წარმოადგენს. მის შე-

მადგენლობაში შედის უზენაესი სასამართლოს ერთი და მაღალი სასამართლოს ორი წევრი, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება მხოლოდ უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდეს.

საერთო იურისდიქციის სასამართლოა საოლქო სასამართლო ორმოცდაექვსი მოსამართლის შემადგენლობით. ქვეყანა დაყოფილია ოცდასამ სასამართლო ოლქად, რომლებშიც მოსამართლეები ერთპიროვნულად განიხილავენ უმნიშვნელო სისხლის სამართლის საქმეებს, ადებენ ჯარიმას ათას ირლანდიურ გირვანქამდე, უსჯიან თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ან ორივეს ერთად. საოლქო სასამართლოს სათავეში დგას თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად მაღალი სასამართლოს მოსამართლეა.

გაცილებით სერიოზულ საქმეებს განიხილავს სასამართლო ოლქის სასამართლო, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და ჩვიდმეტი მოსამართლისგან. ქვეყანა დაყოფილია რვა სასამართლო ოლქად. აღნიშნული სასამართლო იხილავს სამოქალაქო სარჩელებს ოცდაათი ათას ირლანდიურ გირვანქამდე, მაგრამ მხარეების შეთანხმებით შეიძლება განიხილოს გაცილებით მეტ თანხაზე. მის კომპეტენციაში არ შედის მკვლელობის, ლაღატისა და მეკობრეობის საქმეები. სისხლის სამართლის საქმის მოსმენისას სასამართლო ოლქის სასამართლო მოქმედებს თორმეტი მოქალაქისგან შემდგარი ჟიურის მონაწილეობით. იგი სააპელაციოა საოლქო სასამართლოების მიმართ.

ირლანდიაში ყველა მოსამართლე თავის პოსტზე ინიშნება პრეზიდენტის მიერ, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, პირთაგან საადვოკატო პრაქტიკის არანაკლებ ათწლიანი სტაჟით. ისინი თანამდებობიდან თავისუფლდებიან სამოცდახუთი-სამოცდაათი წლის ასაკში, იმისა და მიხედვით, თუ რა დონის სასამართლოში მოღვაწეობენ. მანამდე კი შეიძლება გადაყენებულ იქნენ მხოლოდ პარლამენტის ორივე პალატის მოთხოვნით. ერთი თავისებურება ირლანდიური სასამართლო სისტემისა ის არის, რომ მსაჯულები აუცილებლად უნდა იყვნენ შეძლებულთა ფენიდან, მაგრამ არა ქალები, თუ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთა მსაჯულობის აუცილებლობა გამოწვეული არ არის კონკრეტული საქმის ინტერესით.

იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა, ირლანდიის კანონმდებლობა, დასაშვებად მიიჩნევს სპეციალური სისხლის სამართლის სასამართლოების შექმნის შესაძლებლობას, თუ მთავრობა მიიჩნევს, რომ ჩვეულებრივი სასამართლო ვერ შეძლებს საზოგადოებაში წესრიგის დაცვის მიზნით, მართლმსაჯულების ეფექტურ განხორციელებას.

მუდმივი ხასიათი აქვს სასამართლოს, რომელიც განიხილავს შრომით დავებს. ამ სასამართლოს შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს მთავრობა და ორ-ორი წევრი, რომლებიც წარმოადგენენ პროფკავშირებს და მენარმეთა ორგანიზაციას. ეს სასამართლო არა მხოლოდ შრომითი კონფლიქტების არბიტრია, არამედ ოფიციალურად კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებებს არეგულირებს.

1974 წელს ირლანდიაში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი დევნის დირექტორის სამსახური, რომლის თანამშრომლები სასამართლოში „ხალხის სახელით“ მხარს უჭერენ ბრალდებას, ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც განიხილება საუბნო სასამართლოებში, სადაც ბრალდებას მხარს უჭერს პოლიცია ან კერძო პირები. დევნის უწყებას უფლება აქვს, შეიტანოს პროტესტი სასამართლო დადგენილებაზე, რომელიც ეხება სისხლის სამართლის საქმეს, თუმცა მოკლებულია უფლებას, გაასაჩივროს გამამართლებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ.

ირლანდიაში საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებს უზენაესი სასამართლო და მის პრაქტიკაში ერთდროულად მოქმედებს წინასწარი და შემდგომი კონტროლის მექანიზმები. პირველ შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება აქვს უზენაეს სასამართლოს გაუგზავნოს კანონპროექტი, მისი კონსტიტუციურობის შემოწმების მიზნით. მეორე შემთხვევაში კი, უზენაეს სასამართლოს შეუძლია განიხილოს, საკითხი, შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას უკვე მიღებული კანონები და ადმინისტრაციული დადგენილებები. გადაწყვეტილების მიღება კონსტიტუციურ საკითხებზე საჭიროებს მაღალ კვორუმს, ვინაიდან საკითხის გადაწყვეტა ითხოვს უზენაესი სასამართლოს ექვსი წევრიდან ხუთის მხარდაჭერას. გარდა ამისა, მაღალ სასამართლოსაც აქვს უფლება საქმის წარმოებით განიხილოს არაკონსტიტუციურად აღიარებული კანონი და სხვა აქტები.

ლიტერატურა:

1. Конституция Ирландии // Конституции государств Европейского Союза, Москва, „Инфра.М-Норма”, 1997, стр.317-356;
2. Углов А.А., Государственный строй Ирландии, Москва, „Госюриздат”, 1959;
3. Ткаченко С.Л., Парламент Ирландии, Вестник Межпарламентской Ассамблеи, 1996, №2 (13), стр.190-206;
4. Ирландия, Закон об омбудсмене // Омбудсмены мира, Сборник законов (на русском языке), Варшава, 1999, стр.145-160.

იტალია

იტალიის რესპუბლიკა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში და უჭირავს აპენინის ნახევარკუნძული, კუნძულები: სარდინია, სიცილია და სხვა მცირე კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში. იტალია მცირე სახმელეთო საზღვრით უკავშირდება საფრანგეთს, შვეიცარიას, ავსტრიასა და სლოვენიას. ქვეყნის ტერიტორია 301 ათას კმ²-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 57,2 მილიონს აღწევს. ქვეყნის დედაქალაქია რომი, სახელმწიფო ენა – იტალიური, ფულის ერთეული – იტალიური ლირა.

იტალიური სამართალი, ცხადია, რომანულ-გერმანული ანუ კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება. მოქმედი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1947 წლის 22 დეკემბერს დამფუძნებელი კრების სხდომაზე, რომლის თანახმად, იტალია საპარლამენტო რესპუბლიკაა, ხოლო ტერიტორიული მოწყობით დეცენტრალიზებული, უნიტარული, რეგიონალიზმზე ორიენტირებული სახელმწიფო.

კონსტიტუციური სამართალი

იტალიის სახელისუფლო ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი; საკანონმდებლო ხელისუფლება წარმოდგენილია ორპალატიანი პარლამენტით; აღმასრულებელი ხელისუფლება ითვალისწინებს პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოს ერთგვარად შეთანხმებულ ფუნქციონირებას; ხოლო სასამართლო ხელისუფლებას, საერთო სასამართლოებთან ერთად, ახორციელებს საკმაოდ მრავალფეროვანი სპეციალიზებული სასამართლო ორგანოთა სისტემა; სასამართლო ორგანოთა სისტემისგან განცალკევებით ფუნქციონირებს იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო.

პრეზიდენტი, კონსტიტუციის თანახმად, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ასახიერებს ეროვნულ ერთიანობას და სახელმწიფოს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში. იგი აირჩევა საარჩევნო კოლეგიის მიერ 7 წლის ვადით და სხვა საპარლამენტო რესპუბლიკების პრეზიდენტებისგან განსხვავებით, არსებითი თავისებურებებით გაჯერებული კომპეტენცია აქვს. მათ შორის უმთავრესი ის არის, რომ იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობასაც ითავსებს.

იტალიის პრეზიდენტს ფორმალურად არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მაგრამ საკანონმდებლო პროცესის აქტიური მონაწილეა, ვინაიდან სწორედ იგი წარმართავს სამთავრობო კანონპ-

როექტებს. მასვე ევალება კანონების პრომულგაცია, სახალხო რეფერენდუმის თარიღის დანიშვნა, სარგებლობს სუსპენზიური ვეტოს უფლებით. პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ამ უკანასკნელის რეკომენდაციით, თანამდებობაზე ნიშნავს მინისტრებს და სახელმწიფო მდივნებს, შეუძლია გამოვიდეს რიგგარეშე სესიის მოწვევის ინიციატივით, დაითხოვს პარლამენტის პალატებს და ნიშნავს ახალ საპარლამენტო არჩევნებს, მაგრამ პარლამენტი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვის ფარგლებში, თუმცა ეს წესი არ მოქმედებს, თუ პრეზიდენტის და პარლამენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვე ერთმანეთს დაემთხვა. პრეზიდენტი იღებს უცხოეთის ელჩების აკრედიტაციას, პარლამენტის პალატების წინასწარი თანხმობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას. იტალიის პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია და თავმჯდომარეობს თავდაცვის უმაღლესი საბჭოს სხდომებს, პარლამენტის გადაწყვეტილებით აცხადებს საომარ და საგანგებო მდგომარეობას. პრეზიდენტს შეუძლია, დეპუტატებისა და სენატორების ერთობლივი კომისიის დასკვნის საფუძველზე, დაითხოვოს საოლქო საბჭოები.

პრეზიდენტი ხელმძღვანელობს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს საქმიანობას, ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის მესამედს, მინიჭებული აქვს შეწყალების უფლება, ფლობს გარკვეულ უფლებამოსილებებს სასამართლო სფეროში, შეუძლია ცვლილებები შეიტანოს სასამართლოს განაჩენში.

კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ პრეზიდენტის ნებისმიერი აქტი კონტრასიგნებული უნდა იყოს კომპეტენტური მინისტრის მიერ და მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ამ აქტის კანონიერებაზე. სახელმწიფოს ლალატის ან კონსტიტუციის დარღვევაში მხილების შემთხვევაში, პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომაზე საერთო შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება პრეზიდენტისთვის წაყენებული ბრალდების სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს თავის სამუშაო აპარატს – პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რომელიც თავის მხრივ, იყოფა სამხედრო და სამოქალაქო სამსახურებად.

პარლამენტი. იტალია მმართველობის ფორმის მიხედვით კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკაა და, რაც მთავარია, კონსტიტუციურ ორგანოთა შორის მხოლოდ პარლამენტი აირჩევა პირდაპირი

არჩევნების გზით. იტალიის პარლამენტი შედგება ორი პალატისგან – ქვედა – დეპუტატთა პალატისა და ზედა – რესპუბლიკის სენატისგან. ორივე პალატას თანაბარი უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული, როგორც კანონშემოქმედებითი საქმიანობის, ასევე, მთავრობის საქმიანობაზე კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით. კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული ქვედა პალატის პრიორიტეტული მდგომარეობა ფინანსური ხასიათის კანონპროექტების განხილვისა და მიღების დროს. მოქმედი კანონმდებლობა არც პალატებს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის მექანიზმებს ითვალისწინებს. როდესაც ხდება ერთ-ერთი პალატის საგანგებო სესიაზე მოწვევა, მეორე მექანიკურად – „საკუთარი უფლებით“ იკრიბება. ორივე პალატა შეიძლება დათხოვნილ იქნეს ერთად ან ცალ-ცალკე.

ერთადერთი ფაქტორი, რომლის გამოც პალატებს შორის თანასწორუფლებიანობა ირღვევა, პალატების წევრთა განსხვავებული რაოდენობითაა გამოწვეული და ეს მაშინ ხდება, როდესაც ისინი ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას, ვინაიდან დეპუტატთა პალატის შემადგენლობაშია 630 წევრი, ხოლო სენატში 315 სენატორია წარმოდგენილი.

თითოეული პალატა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პალატის თავმჯდომარეს, მის ოთხ მოადგილეს, სამ მდივანს და სამ კვესტორს და ყველა ერთად წარმოადგენს პალატის ბიუროს. დეპუტატთა პალატაში იქმნება 14 მუდმივი კომისია, ხოლო სენატში – 12, უფლებამოსილების ორწლიანი ვადით. მუდმივი კომისიები საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი და მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას პალატების პლენარულ სხდომებზე შემდგომი განხილვისთვის წარმოდგენილი კანონპროექტების მომზადება, განხილვა და მხარდაჭერა წარმოადგენს.

ნებისმიერი კანონპროექტი განიხილება ერთ-ერთ პალატაში და მისი მხარდაჭერის შემთხვევაში, ანალოგიური პროცედურებისთვის იგზავნება მეორე პალატაში. ზოგადად კანონშემოქმედებითი პროცესი შედგება ოთხი ეტაპისგან: საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტის მხარდაჭერა ერთ-ერთი პალატის მიერ, მისი მიღება მეორე პალატაში და პრომულგაცია.

კონსტიტუცია ითვალისწინებს კანონის მიღების ორ პროცედურას: ჩვეულებრივს, როდესაც კომისიებში კანონპროექტის განხილვისა და მონონების შემდეგ იგი მიიღება პალატის სხდომაზე და სასწრაფოს, როდესაც, თუკი მთავრობა ან შესაბამისი პალატის წევრთა მეთაფი

არ ითხოვს საწინააღმდეგოს, კანონპროექტის მიღება ხდება თავად კომისიის მიერ. ასე რომ, იტალიის პარლამენტში, პალატებისა და მუდმივი კომისიების დონეზე 28 კანონშემოქმედებითი ცენტრი მოქმედებს.

იტალიის პარლამენტი ფლობს მთავრობის საქმიანობის კონტროლის საკმაოდ განვითარებულ და მრავალფეროვან საშუალებებს: ტრადიციული პროცედურების გარდა, როგორცაა უნდობლობის ვოტუმის გამოტანა, ინტერპელაციის გზით გაკიცხვის რეზოლუციის მიღება და ა.შ., პალატების არსენალშია პალატების სხდომებზე ან კომისიებში აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა მოხსენებების მოსმენა, მინისტრებისგან დოკუმენტების და სხვადასხვა ინფორმაციის გამოთხოვის უფლება, დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნა და მისი მასალების განხილვა.

იტალიის კონსტიტუციური პრაქტიკა, ძირითადად, ეყრდნობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. თუმცა ცალკეულ საგანგებო შემთხვევაში, საშუალებას აძლევს მთავრობას მიიღოს კანონის ძალის მქონე დეკრეტები, რომლებიც მიღებისთანავე წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად. ასეთ შემთხვევაში, თუნდაც დათხოვნილი იყოს, პარლამენტი ხუთი დღის ვადაში უნდა შეიკრიბოს. თუ სამთავრობო დეკრეტი პარლამენტის მიერ უარყოფილ იქნება სამოცი დღის ვადაში, იგი გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ითვლება. ამასთან, პარლამენტს შეუძლია საკანონმდებლო გზით არეგულიროს ის ურთიერთობები, რომელთა რეგულირებასაც ისახავდა მიზნად უარყოფილი დეკრეტი.

მთავრობა. ძირითადი კანონის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება მინდობილი აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას, რომელსაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. მინისტრთა საბჭო პოლიტიკურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

მართალია, იერარქიული თვალსაზრისით მთავრობის თავმჯდომარე არ არის აღჭურვილი რაიმე სამართლებრივი უპირატესობით მთავრობის სხვა წევრებთან შედარებით და წარმოადგენს „პირველს თანასწორთა შორის“, სინამდვილე ეწინააღმდეგება თეორიულ დანაწესს და პრემიერი ცენტრალური ფიგურაა მთავრობაში. იგი უძღვება მთავრობის საერთო პოლიტიკას და პასუხისმგებელია მასზე, უზრუნველყოფს პოლიტიკური და ადმინისტრაციული მიმართულე-

ბების ერთიანობას და კოორდინაციას უწევს მინისტრთა საქმიანობას.

მთავრობა, საპარლამენტო უმრავლესობის ნებიდან გამომდინარე, მართავს ქვეყანას: ასრულებს კანონებს, რისთვისაც ლეზულობს დადგენილებებს, დეკრეტებს და მმართველობისთვის აუცილებელ სხვა დოკუმენტებს. კონსტიტუციით პრეზიდენტისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს, პრაქტიკულად, მთავრობა ახორციელებს. მინისტრთა საბჭო იტალიაში ფლობს საკმაოდ ფართო ფუნქციურ ავტონომიას და თავის უფლებამოსილებებს გაცილებით ფართოდ ახორციელებს, ვიდრე სხვა საპარლამენტო რესპუბლიკების მთავრობები.

მინისტრებთან ერთად, რომლებიც მათთვის მინდობილ კონკრეტულ დარგებს ხელმძღვანელობენ, მთავრობაში შედიან, ასევე, „უპორტფელო მინისტრები“. მათი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა დანარჩენი მინისტრების ანალოგიურია.

მინისტრების მოადგილეები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით. დამკვიდრებული ტრადიციით, მინისტრის მოადგილეები არიან პარლამენტის წევრები და მთავრობაში წარმოადგენენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას.

მთავრობა და თითოეული მინისტრი, პრაქტიკულად, პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ამგვარი პასუხისმგებლობის ძირითად ფორმას წარმოადგენს მთავრობის, როგორც კოლექტიური მმართველობითი ორგანოს მიერ, პარლამენტის მხრიდან პოლიტიკური ნდობის მოპოვება, რაც გამოიხატება მისთვის ნდობის ვოტუმის გამოცხადებით.

მთავრობასთან ფუნქციონირებს დამხმარე ორგანოების მთელი სისტემა: ეკონომიკის და შრომის ეროვნული საბჭო, რომელსაც აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და მონაწილეობას იღებს ეკონომიკური და სოციალური ხასიათის კანონპროექტების შემუშავებაში; სათათბირო ორგანო – სახელმწიფო საბჭო, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო ფუნქციებს ადმინისტრაციული სამართლის სფეროში; საანგარიშო პალატა, რომელიც ორიენტირებულია ბიუჯეტის შესრულების კონტროლსა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობის შემოწმებაზე.

მოქმედი კონსტიტუცია იტალიას განიხილავს, როგორც ერთიან და განუყოფელ სახელმწიფოს. ამასთან, ძირითადი კანონი არათუ აღიარებს ადგილობრივ ავტონომიებს, არამედ გარანტირებულად აცხადებს ყველაზე ფართო ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას. იტალია

ადმინისტრაციულად 20 ოლქს მოიცავს. ოლქები იყოფა პროვინციებად, ხოლო პროვინციები – კომუნებად. აქედან ხუთი ავტონომია – ტრენტინო-ალტო ადიჯე, ვალე დაოსტა, ფრიული-ვენეცია ჯულია, სიცილია და სარდინია – უფლებათა სტატუსის შინაარსითა და მოცულობით უფრო ახლოს დგანან პოლიტიკურ ავტონომიასთან.

კონსტიტუციის თანახმად, ოლქები წარმოადგენენ ავტონომიურ ფორმირებებს საკუთარი ხელისუფლებითა და განსაზღვრულ პრინციპებზე დამყარებულ ფუნქციათა სისტემით. თითოეულ ოლქს აქვს თავისი წესდება, რომლითაც განსაზღვრულია საოლქო რეგულირებას მიკუთვნებული სფეროები, ოლქის კომპეტენცია და შინაორგანიზაცია, საკანონმდებლო ინიციატივისა და რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნის უფლებამოსილების გათვალისწინებით.

კონსტიტუციაში მკაფიოდ არის გამიჯნული სახელმწიფოსა და ოლქების საკანონმდებლო უფლებამოსილებანი. ოლქების საკანონმდებლო რეგულირების სფეროს განეკუთვნება ადმინისტრაციულ დაწესებულებათა საქმიანობის ორგანიზაცია, ოლქის ტერიტორიული მოწყობა, ადგილობრივი ქალაქისა და სოფლის პოლიცია, ბაზრობები და ბაზრები, სანიტარული და სამედიცინო სამსახურები, საქველმოქმედო დაწესებულებები, ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმები და ბიბლიოთეკები, ქალაქთმშენებლობა, ტურიზმი, საავტომობილო გზები, ასევე, სხვა საკითხები, რომელთა რეგულირების უფლებაც შეიძლება კონსტიტუციური კანონით ოლქს მიენიჭოს.

ოლქები სარგებლობენ მნიშვნელოვანი ფინანსური დამოუკიდებლობით. ოლქების განმგებლობას განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და საერთო, სახელმწიფო გადასახადების გარკვეული ნაწილი. თუმცა მთელი რიგი გადასახადებისა და მოსაკრებლების დამოუკიდებლად დადგენა საოლქო ხელისუფლებას ეზღუდება.

საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვილია საოლქო საბჭო, რომელიც ხუთი წლის ვადით აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით. საოლქო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივნებს. საბჭოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და შეუძლია შეიტანოს საკანონმდებლო წინადადებები იტალიის პარლამენტის პალატებში.

საოლქო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საოლქო ჯუნტას, რომელიც ოლქის აღმასრულებელი ორგანოა. ჯუნტის თავმჯდომარე ახორციელებს, როგორც აღმასრულებელ, ასევე, წარმომად-

გენლობით ფუნქციებს. კერძოდ, წარმოადგენს ოლქს, ახდენს საოლქო კანონებისა და რეგლამენტის პრომულგირებას, ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებს ოლქის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს პროვინციებსა და კომუნებში წარმოადგენენ არჩევითი საბჭოები, ჯუნტები, ჯუნტის თავმჯდომარეები და კომუნებში არჩევითი მერები. ცენტრის კონტროლი საოლქო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ხორციელდება სამთავრობო კომისრის მიერ, რომელიც მუდმივად იმყოფება ოლქის ცენტრში.

საარჩევნო სამართალი

იტალიის კანონმდებლობით, აქტიური საარჩევნო უფლება მოქალაქეებს მინიჭებული აქვთ 18 წლიდან, გამონაკლისს წარმოადგენს სენატის არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ 25 წლის ასაკიდან. არჩევნები საყოველთაო და პირდაპირია, ცენზები არ მოქმედებს. თუმცა საარჩევნო უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში: ქმედუნარობის მოტივით, ამორალური ქმედობისთვის, აგრეთვე, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სასამართლოს განაჩენით მოქალაქეს ჩამოერთმევა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

პრეზიდენტი აირჩევა არაპირდაპირი არჩევნებით საარჩევნო კოლეგიის მიერ, როცა პალატების ერთობლივ სხდომაზე, გარდა პარლამენტის წევრებისა, მონაწილეობს სამ-სამი დელეგატი თითოეული ოლქიდან, მხოლოდ ვალე დ'აოსტას ოლქია წარმოდგენილი ერთი დელეგატი. არჩევნები ტარდება სამ ტურად, ფარული კენჭისყრით. კანდიდატის ასარჩევად აუცილებელია ხმების 2/3-ის უმრავლესობა. თუ რომელიმე კანდიდატმა ვერ მოიპოვა ასეთი მხარდაჭერა, შემდეგ ტურში საკმარისია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა.

კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის არჩევნები ტარდება წინა მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების გასვლამდე, არა უგვიანეს 70 დღისა და არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 20 დღისა მოიწვევა ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს იტალიის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი, ხოლო სენატში არჩევისთვის – 40 წელი. კონსტიტუცია კრძალავს ერთდროულად ორივე პალატის წევრობას. პარლამენტის წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საკო-

ნსტიტუციო სასამართლოს წევრი, საოლქო საბჭოს წევრი, პრეფექტი, ვიცე-პრეფექტი, ოლქში მთავრობის წარმომადგენელი, დიპლომატი, კონსული, პოლიციის მოხელე, ასევე, შეიარაღებული ძალების უმაღლესი ნოდების ოფიცერი და მაგისტრი.

წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები ყველა დონეზე ტარდება შერეული საარჩევნო სისტემით. პარლამენტის ორივე პალატის წევრები აირჩევიან ხუთი წლის ვადით. დეპუტატთა პალატის 630 წევრისგან, 475 დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სისტემით, ხოლო 155 დეპუტატი – პროპორციული სისტემით. ზედა პალატაში 315 სენატორია. სენატის ფორმირების სამი წყარო არსებობს: სენატში საკუთრივ არჩეული სენატორების გარდა, წარმოდგენილია პრეზიდენტის მიერ სახელმწიფოს წინაშე საქმიანობის სხვადასხვა სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისთვის დანიშნული ხუთი სენატორი და ყოფილი პრეზიდენტები, რომლებიც გადადგომის შემდეგ საკუთარი ნებით აგრძელებენ მოღვაწეობას სენატში. სენატორთა აღნიშნული ორი კატეგორიის უფლებამოსილება სიცოცხლის ბოლომდეა განსაზღვრული.

საოლქო და პროვინციის საბჭოებში არჩევნების შედეგად, ადგილების 80% ნაწილდება პროპორციული სისტემით, ხოლო 20% – მაჟორიტარულით. თითოეულ ოლქში მოქმედებს საკუთარი საარჩევნო კანონი, რომლითაც ოლქი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საოლქო საბჭოს წევრთა რაოდენობას.

სამოქალაქო სამართალი

იტალიაში მოქმედი სამოქალაქო კოდექსი 1942 წელს იქნა მიღებული, აერთიანებს სამოქალაქო და სავაჭრო სამართალს და ექვსი წიგნისგან შედგება. პირველ წიგნში – „პირები და ოჯახი“ შესულია 14 განყოფილება: „ფიზიკური პირები“, „იურიდიული პირები“, „დომილაცია და საცხოვრებელი ადგილი“, „უგზო-უკვლოდ დაკარგვა და პირის გარდაცვლილად გამოცხადება“, „ნათესაობა“, „ქორწინება“, „ბავშვის წარმოშობის დადგენა“, „სრულწლოვანის შვილად აყვანა“, „მშობლების უფლებამოსილებანი“, „მზრუნველობა და ემანსიპაცია“, „მეურვეობა“, „ჭკუასუსტობა, ქმედუნარიანობის შეზღუდვა და ჩამორთმევა“, „შემწეობის მიცემის ვალდებულება“, „მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია“.

სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნი – „მემკვიდრეობა“ აერთიანებს 5 განყოფილებას: „ზოგადი დებულებანი მემკვიდრეობის შესახებ“,

„კანონით მემკვიდრეობა“, „ანდერძით მემკვიდრეობა“, „სამკვიდროს გაყოფა“ და „ჩუქება“.

მესამე წიგნი – „სანივთო სამართალი“ 9 განყოფილებით არის წარმოდგენილი: „ქონება“, „საკუთრების უფლება“, „სუპერფიცია“, „ემფითევისი“, „უზუფრუქტი, სარგებლობის უფლება და ბინადრობის უფლება“, „მინასთან დაკავშირებული სერვიტუტები“, „საერთო საკუთრება“, „მფლობელობა“, „სამუშაოთა წარმოების წინააღმდეგ გამოსვლა და სავარაუდო ზიანის მიყენების შესახებ განცხადება“.

მეოთხე წიგნი – „ვალდებულებები“, ასევე, 9 განყოფილებას მოიცავს: „ზოგადი დებულებანი ვალდებულებების შესახებ“, „ზოგადი ვალდებულებანი ხელშეკრულებათა შესახებ“, „ხელშეკრულებათა ცალკეული სახეები“, „ცალმხრივი ვალდებულებანი“, „ფასიანი ქალაქები“, „სხვის საქმეთა წარმოება მინდობილობის გარეშე“, „ზედმეტის გადახდა“ „უსაფუძვლო გამდიდრება“, „ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებები“.

მეხუთე წიგნი – „შრომა“ აერთიანებს 11 განყოფილებას: „შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი წესები“, „საწარმოში მუშაობა“, „დამოუკიდებელი მუშაობა“, „დაქვემდებარებული მუშაობის ცალკეული სახეები“, „ამხანაგობა“, „კოოპერატიული საწარმოები და ურთიერთდაზღვევის საზოგადოებები“, „გაუმხელელი ამხანაგობა“, „საწარმო, როგორც ქონებრივი კომპლექსი“, „უფლებები ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგებზე და სამრეწველო გამოგონებანი“, „კონკურენციისა და სინდიკატების რეგულირება“, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სინდიკატებსა და კომპანიებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე“.

სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნი – „უფლებათა დაცვა“, ხუთი განყოფილებისგან შედგება: „გარიგებათა რეგისტრაცია“, „მტკიცება“, „ქონებრივ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული მოთხოვნა, მოთხოვნის დაკმაყოფილების რიგითობა და მოვალის ქონებიდან კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მოლოდინის დაცვა“, „უფლებების სასამართლო დაცვა“, „უფლებების შეწყვეტა და დაფარვის ხანდაზმულობა“.

სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი დამატების სახით მოქმედებს 1942 წლის კოდექსი ნავიგაციის შესახებ, რომელიც არეგულირებს საზღვაო, სამდინარო და სახმელეთო გადაზიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მათ შორის, ამ სახეობების ტრანსპორტთან დაკავშირებულ შრომით ურთიერთობებს.

კათოლიკური ეკლესიის გავლენით, სამოქალაქო კოდექსი და კანონი ქორწინების შესახებ წლების მანძილზე არ არეგულირებდნენ განქორწინებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და უბრალოდ ითვალისწინებდნენ მეუღლეთა განკერძოებული ცხოვრების იურიდიულ გაფორმებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მხოლოდ 1970 წლის კანონით, ცალკეულ იმვით შემთხვევებში, სასამართლოს შეეძლო მეუღლეთა 5-7 წლის მანძილზე ცალ-ცალკე ცხოვრების შემდეგ განქორწინების ნება დაერთო. 1987 წლის კანონმა 3 წლის მანძილზე ცალ-ცალკე ცხოვრება მეუღლეთა განქორწინების საკმარის საფუძვლად მიიჩნია.

იტალიის სამოქალაქო პროცესუალური კოდექსი 1942 წელს შევიდა ძალაში და მოგვიანებით უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა.

სისხლის სამართალი

იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. კოდექსი ჩადენილი დანაშაულისთვის, დადგენილ სასჯელებთან ერთად, ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომების გამოყენებას სოციალურად საშიში პირების მიმართ. სისხლის სამართლის კოდექსთან ერთად მიღებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც ბრალდებულის მიმართ საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვა სამართალდამცავი ორგანოები, კერძოდ, პოლიცია და პროკურატურა.

ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, ახალი კონსტიტუციის მოთხოვნათა კონტექსტში სისხლის სამართლის კანონმდებლობამ მრავალი არსებითი ცვლილება განიცადა, რომელთა უმრავლესობა კანონმდებლობის სერიოზულ ლიბერალიზაციაზე იყო ორიენტირებული. კერძოდ, იტალიის 1947 წლის კონსტიტუციით, გაუქმებული იქნა სიკვდილით დასჯა მშვიდობიან დროს, გაფართოვდა მოსამართლეების უფლებამოსილება სასჯელის შემსუბუქებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყველა იმ ქმედებისთვის, რომლის ჩადენისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო ჯარიმა, შეცვლილ იქნა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით. ხანმოკლე ვადით თავისუფლებააღმკვეთი სანქციები შეიცვალა სასჯელებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. იმავდროულად, მიღებულ იქნა მთელი რიგი აქტები, რომელთა თანახმად, გამკაცრდა რეპრესიული ღონისძიებები და შეიზღუდა პროცესუალური გარანტიები, რაც გამოწ-

ვეული იყო მაფიისა და ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრების აუცილებლობით. კერძოდ, 1965 წლის კანონი „იმ პირთა კონტროლის შესახებ, რომლებიც ექვემიტანილნი არიან მაფიისადმი კუთვნილებაში“; 1975 წლის კანონი „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ“, რომელმაც გააფართოვა პოლიციის უფლებები; 1980 წლის კანონი „დემოკრატიული წესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის საჭირო საგანგებო ზომების შესახებ“, რომელიც ნებას რთავს სამართალდამცავ ორგანოებს ტელეფონის საშუალებით მიიღონ დაპატიმრებისა და ჩხრეკის ნებართვა და სხვ.

1988 წელს გამოცემულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელშიც დეტალურად არის რეგლამენტირებული პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი სტატუსი. მტკიცებულებების შეგროვებისა და შეფასების საკითხები, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული საკითხები, განაჩენისა და სხვა სასამართლო აქტების გასაჩივრების წესი.

გარდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტებისა, როგორსაც წარმოადგენს საკუთრივ კოდექსები, იტალიაში კერძო გამომცემლობები ხშირად აქვეყნებენ გარკვეული სფეროს მარეგულირებელ კანონთა კრებულებს, რომლებსაც ასევე კოდექსებს უწოდებენ, კერძოდ, ასე გამოიცემა ადმინისტრაციული კოდექსი, საგზაო, აგრარული, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების კოდექსები და სხვ.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ახალი იტალიური ძირითადი კანონის მრავალმა ნორმამ, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვასთან არის დაკავშირებული, იგი ერთ-ერთ ყველაზე სოციალურ და დემოკრატიულ კონსტიტუციად აქცია.

იტალიის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებები და მოვალეობები მათი სამართლებრივი და სოციალური შინაარსის მიხედვით წარმოდგენილია ოთხ თავად: მოქალაქეობრივი ურთიერთობები, ეთიკურ-სოციალური ურთიერთობები, ეკონომიკური ურთიერთობები, პოლიტიკური ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ იტალიის ძირითადი კანონის 139 მუხლიდან მესამედზე მეტი, ეთმობა ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც თავისი რეალური დატვირთვით აღემატება უფლებათა და თავისუფლებათა კლასიკურ ნუსხას.

იტალიის კონსტიტუციაში გამოიწვლია ორი კატეგორიის უფლებები და თავისუფლებები. განუყოფელ უფლებებსა და თავისუფლებებს კანონმდებელი მხოლოდ აკონკრეტებს, გამოსცემს რა კანონებს მათი გამოყენების შესახებ. მეორე კატეგორია საკმაოდ შეზღუდულია და მას განეკუთვნება ეკონომიკური ხასიათის უფლებები, როგორცაა გაფიცვის უფლება, საკუთრების უფლება, მშრომელთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ საწარმოს მართვაში და ა.შ.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები იტალიის ძირითად კანონში საკმაოდ სრულად და დეტალურად არის წარმოდგენილი. მოქალაქეები სარგებლობენ საარჩევნო უფლებით, პოლიტიკური გაერთიანებების შექმნის თავისუფლებით, ამასთანავე, კონსტიტუცია მოითხოვს ამ ტიპის ორგანიზაციათაგან დემოკრატიული წყობილების ფუნდამენტური პრინციპებისადმი ერთგულებას. ეს ნორმები ხელს უწყობს ხელისუფლებას, რათა დაუპირისპირდეს ნეოფაშისტური პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობას.

მნიშვნელოვნად გამოიყოფა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის უფლებები და თავისუფლებები – შრომის უფლება, უფასო დაწყებითი განათლების მიღების უფლება და სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულება, უზრუნველყოს ამ უფლების განხორციელება. კონსტიტუცია ითვალისწინებს მოქალაქეთა უფლებას ანაზღაურდეს მათი შრომა, განუული შრომისა და ხარისხის თანაზომიერად. ძირითადი კანონი აღიარებს მოქალაქეთა უფლებას, შექმნან პროფესიული კავშირები, ისარგებლონ გაფიცვის უფლებით, რომელიც განმტკიცებულ იქნა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 1960 წელს გამოცხადებული გადაწყვეტილებით.

1947 წლის კონსტიტუცია ცნობს საკუთრების უფლების ორ ფორმას – სახელმწიფო და კერძო საკუთრებას. ძირითადი კანონი აღიარებს სახელმწიფოს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებას კერძო საკუთრების ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით. ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების პროცესის განვითარების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კონსტიტუციური დებულებები იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს საკუთრებით ურთიერთობებში „საზოგადოებრივ ინტერესებში“ და „საზოგადოების სასარგებლოდ“

თუმცა კონსტიტუციაში ნათლად არ არის საუბარი მასში გაცხადებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების მატერიალურ გარანტიებზე, მაგრამ სახელმწიფოზე დაკისრებული მოვ-

ალეობების შესრულება შეუძლებელია სახელმწიფო სახსრების გამოყენების გარეშე.

ერთგვარ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ, რომ იტალიაში, ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოში, საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე არ ფუნქციონირებს ომბუდსმენის ინსტიტუტი. თუმცა, რამდენიმე ოლქში, კერძოდ, ტოსკანაში, სამხრეთ ტიროლასა და სხვა ოლქებს, პროვინციებსა და კომუნებში ორ ათეულ წელზე მეტია არსებობს ადგილობრივი სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომელმაც ვერ პოვა განვითარება მთლიანად ქვეყნის მასშტაბით.

სასამართლო სისტემა

იტალიის სასამართლო ორგანოთა სისტემაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოს – მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს. მისი კონსტიტუციური ამოცანა – მაგისტრატების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაა. საბჭოს ძირითადი ფუნქციაა: სხვადასხვა რგოლის მოსამართლეთა დანიშვნა, საპატიო ვიცე-პრეტორის დანიშვნა და გამოწვევა, მოსამართლეებისთვის დისციპლინური სანქციების დაკისრება, პროკურორებისა და ადვოკატების საკასაციო სასამართლოს წევრებად დანიშვნა.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა რესპუბლიკის პრეზიდენტს უკავია. მის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე და გენერალური პროკურორი, ასევე, 30 არჩეული წევრი. წევრების არჩევა ხდება შერეული წესით, ოთხი წლის ვადით.

იტალიის სასამართლო სისტემის ძირეულ რგოლს წარმოადგენს მომრიგებელი მოსამართლე, რომელიც წყვეტს სამოქალაქო-სამართლებრივ დავებს და მოქმედებს ყველა კომუნაში. პირველი ინსტანციის სასამართლოს განეკუთვნება პრეტორთა სასამართლო, რომელიც მოქმედებს პროვინციებში. მათი ქვემდებარეა სამოქალაქო საქმეები, რომელთა სასარჩელო ღირებულება 750 ათას ლირას არ აღემატება. პრეტორთა სასამართლო განიხილავს ასევე ზოგიერთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს. ამჟამად იტალიაში პრეტორთა ათასამდე სასამართლო მოქმედებს.

იტალიის სასამართლო სისტემის საფუძველს წარმოადგენს ტრიბუნალი. ტრიბუნალი პირველი და სააპელაციო ინსტანციებით განიხილავს სამოქალაქო საქმეებს, ასევე, ინდივიდუალურ, შრომით დავებს და სისხლის სამართლის საქმეებს. სააპელაციო სასამართლო

ოსგან განცალკევებულად ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა საქმეების ტრიბუნალი.

სააპელაციო სასამართლოები იქმნება ოლქებში და განიხილავენ აპელაციებს პირველი ინსტანციით განხილული სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გამოტანილ სასამართლო აქტებზე. ყოველ სააპელაციო სასამართლოში ცალკე სექციის სახით წარმოდგენილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც აპელაციის წესით განიხილავს ქვედა რგოლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოდგენილია ორი პროფესიული და ექვსი „სახალხო“ მოსამართლით, რომლებიც საქმის განხილვისას შეადგენენ ერთ კოლეგიას.

საერთო სასამართლოების სისტემაში უმაღლეს ინსტანციას განეკუთვნება უმაღლესი საკასაციო სასამართლო, რომლის მთავარი ფუნქციაა სასამართლო პრაქტიკის ერთიანობის უზრუნველყოფა და კომპეტენციის შესახებ ქვედა რგოლის სასამართლოთა დავების განხილვა. უმაღლესი სასამართლო საკასაციო ინსტანციაა სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებზე. იგი შედგება 6 პალატი-სგან. აქედან სამი იხილავს სისხლის სამართლის, ხოლო სამი – სამოქალაქო საქმეებს. რთული საქმეები განიხილება პალატების გაერთიანებული ჟიურის სხდომაზე 15 მოსამართლის შემადგენლობით.

საერთო სასამართლო ორგანოთა სისტემისგან გამიჯნულია ადმინისტრაციული იუსტიცია, რომლის ზედა რგოლია სახელმწიფო საბჭო – ერთგვარი საკონსულტაციო და იმავდროულად სასამართლო ორგანო. იგი განიხილავს მთავრობისა და სამინისტროების აქტების კანონიერებას და საჩივრებს საოლქო ადმინისტრაციულ ტრიბუნალებზე, რომლებიც ფუნქციონირებს ყველა ოლქში, როგორც ადმინისტრაციული იუსტიციის პირველი ინსტანციის ორგანო და იხილავს საჩივრებს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების დადგენილებებსა და ქმედობებზე.

მეტად საინტერესოა პროკურატურის ადგილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. იტალიის პროკურატურა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტია და სასამართლოებთან ერთად ქმნის მაგისტრატურას. პროკურატურის ორგანოთა უფლებამოსილებათა სივრცეში მთავარი ის არის, რომ იგი ახორციელებს ზედამხედველობას კანონის დაცვაზე, მართლმსაჯულების დროულ და სრულყოფილ განხორციელებასა და სახელმწიფო ინტერესების დაცვაზე, ასევე, სისხლისამართლებრივ დევნას.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნება 1947 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთ პროგრესულ ნოვაციად განიხილება. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 წლის ვადით არჩეული 15 წევრისგან, რომელთა მესამედს ნიშნავს პრეზიდენტი, მესამედს ირჩევენ პარლამენტის პალატები ერთობლივ სხდომაზე და მესამედს უმაღლესი საერთო და ადმინისტრაციული სასამართლო ორგანოები. თხუთმეტივე მოსამართლე ერთ პალატაშია გაერთიანებული.

მსგავსად ესპანეთისა, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო არ შედის სასამართლო ორგანოთა ერთიან სისტემაში. კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემდებარედ მოიაზრება სამი კატეგორიის საქმე. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს დავებს კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შემთხვევაში, აქტი კარგავს ძალას გადანყვეტილების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ დებულებებში პირდაპირ არის მითითებული, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება არ უნდა შეიცავდეს პოლიტიკური ხასიათის შეფასებებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემდებარეა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე წარმოშობილი დავები, ასევე, სახელმწიფოსა და ოლქებს შორის კომპეტენციის ირგვლივ წარმოშობილი დავები. თავისი გადანყვეტილებით სასამართლო განსაზღვრულ ორგანოს უმტკიცებს სადავო კომპეტენციას. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტული აქტი დარღვევით იქნა მიღებული, იგი აუქმებს მას.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანო განიხილავს რესპუბლიკის პრეზიდენტის და ცალკეული მინისტრების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს. ცხადია, ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ სახელმწიფო ლალატსა და კონსტიტუციის დარღვევის ბრალდებებზე. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა იზრდება 16 მოსამართლით, რომლებიც აირჩევა კენჭისყრის საფუძველზე პარლამენტის მიერ შედგენილი რიგით მოქალაქეთა სიიდან.

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეუდგეს საქმის განხილვას, თუ სხდომას ესწრება არანაკლებ 11 მოსამართლისა. რაც შეეხება სასამართლო გადანყვეტილებას, იგი მიიღება ხმათა

აბსოლუტური უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

თუ საერთო სასამართლოში საქმის განხილვისას ერთ-ერთი მხარე, პროკურორი ან თავად სასამართლო, საკმარისი საფუძვლის არსებობის პირობებში, დასევამს საკითხს იმის თაობაზე, რომ კანონი ან კანონის ძალის მქონე აქტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ საქმეზე გადანყვეტილების გამოსატანად, ენინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო უფლებამოსილია საქმის მასალები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაუგზავნოს. ამასთან, საქმის განხილვა შეჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონკრეტული გადანყვეტილების გამოტანამდე.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეთა წარმომადგენლობას და ინტერესების დაცვას უნდა ახორციელებდნენ მხოლოდ პროფესიონალი ადვოკატები.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება გამოაქვს ხალხის სახელით. გადანყვეტილებას ხელს აწერენ საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეები და სხდომის მდივანი.

ლიტერატურა:

1. იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია//მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელი ა. დემეტრაშვილი, ნიგნი I, თბილისი, 1992, გვ. 159-215;
2. ო. ბეჟიტაშვილი, ო. მელქაძე, იტალიის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, „უფლება“, 1997 წელი;
3. ო. მელქაძე, ო. ბეჟიტაშვილი, იტალია//საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, „მერანი“, 1999, გვ. 200-235;
4. Италия: Конституция и законодательные акты, Ред. В.А. Туманов, Москва, „Прогресс“, 1988;
5. Карлов Ю. Н., Основы конституционного права Италии // Конституционное право зарубежных стран, под общей редакцией М. В. Баглая, Ю. М. Леново, Л. М. Энтина, Москва, „Норма-Инфра-М“, 1999, стр. 524-553;
6. Маклаков В.В., Политические институты и конституционное право Италии, // Иностранное конституционное право, под редакцией В. В. Маклакова, Москва, „Юристъ“, 1997, стр. 161-190;
7. Бойцова В.В., Италия // Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „БЕК“, 1997, стр 140-145.

კანადა

კანადა მსოფლიოს „დიდ რვიანში“ შემაჯავალი, მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, რომლის 26 მილიონზე მეტი მრავალეროვანი მოსახლეობა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის 9976 ათას კმ²-ზე ბინადრობს. კანადას ჩრდილოეთით ყინულოვან ოკეანესთან ერთად ესაზღვრება, არქტიკული არქიპელაგი, აღმოსავლეთით – ატლანტის ოკეანეში გაშლილი ნიუფაუნდლენდის, პრინც ედუარდის, ანტიკოსტის, მაღლენისა და სხვა კუნძულები, ასევე, წყნარი ოკეანის კუნძულები ვანკუვერის, დედოფალ შარლოტას და სხვათა ჩათვლით – დასავლეთით. კანადას სამხრეთით ერთადერთი მეზობელი ქვეყანა – ამერიკის შეერთებული შტატები აკრავს, ხოლო ჩრდილოდასავლეთით მისივე ალასკა. ქვეყნის დედაქალაქია ოტავა. სახელმწიფო ენა ინგლისური და ფრანგული. ფულის ერთეული – კანადური დოლარი.

კანადა საერთო სამართლის ოჯახს განეკუთვნება, მაგრამ ფრანგულენოვანი კვებეკის პროვინციის კონსტიტუციური სამართალი რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის ოჯახების კავშირის ზღვარზე ძვეს, შერეული სამართლებრივი სისტემის სახით. ქვეყანას აქვს დაწერილი არაკოდიფიცირებული ძირითადი კანონი, შემდგარი მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებისგან – 1867 წლიდან, ვიდრე დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ 1982 წელს მიღებული კანადის კონსტიტუციური აქტის ჩათვლით, რომელმაც კანადის სახელმწიფო სუვერენიტეტი განამტკიცა, მის საკანონმდებლო დამოუკიდებლობას მისცა დასაბამი და საუკუნის მანძილზე მიღებულ აქტთა კრებულს კონსტიტუციის სახე მიანიჭა.

კანადა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შედის, სახელმწიფო მოწყობის ფორმით – ფედერაციას, ხოლო მმართველობის ფორმით თავისებურ კონსტიტუციურ, კერძოდ, პარლამენტურ მონარქიას წარმოადგენს.

კონსტიტუციური სამართალი

ხელისუფლების შტოთა ბალანსი ასეა წარმოდგენილი: სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის დედოფალი, რომელიც თავის ხელისუფლებას მის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორის მეშვეობით ახორციელებს; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის გენერალ-გუბერნატორს და პარლამენტს; აღმასრულებელი ხელისუფლება ,

ასევე, გენერალ-გუბერნატორს და სახელმწიფოს ფაქტობრივ მეთაურს – ფედერალურ მთავრობას – პრემიერ-მინისტრით სათავეში; მართლმსაჯულებას ახორციელებენ კანადის უზენაესი სასამართლო, ფედერალური სასამართლო, პროვინციული უმაღლესი და სხვა სასამართლოები.

გენერალ-გუბერნატორი – კანადის პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ინიშნება დიდი ბრიტანეთის დედოფლის მიერ 5 წლის ვადით. იგი საიდუმლო საბჭოს მეშვეობით ასრულებს კანადის პარლამენტში მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამასთან, მას ორი კონსტიტუციური პრეროგატივა აქვს: პირველი – ეს არის დედოფლის მიერ ნაბოძები უფლება – გადაწყვიტოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო მეორე – გამოცეს ნორმატიული აქტები. სხვა მხრივ, მისი საქმიანობა ერთგვარად ბლოკირებულია, ვინაიდან უფლებამოსილებათა უმეტეს ნაწილს იგი მთავრობის „რჩევით“ ახორციელებს.

კანადის კონსტიტუციაში დღესაც არ არის განხილული პრემიერ-მინისტრის და მინისტრთა კაბინეტის ადგილი და როლი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების საქმეში. ამ დროს, 1867 წლის კონსტიტუციური აქტი, ერთი მხრივ, განიხილავს გენერალ-გუბერნატორთან არსებულ საიდუმლო საბჭოს, რომელიც „საკონსულტაციო“ ფუნქციის მატარებელია, ხოლო მეორე მხრივ, გენერალ-გუბერნატორთან არსებულ საბჭოზე მიუთითებს და აქ, საიდუმლო საბჭოს კვალობაზე მინისტრთა კაბინეტის ფუნქციონირება იგულისხმება, ვინაიდან კანადაში სწორედ პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი ასრულებენ სახელისუფლო სტრუქტურების მოვალეობებს, თუმცა კონსტიტუციის თანახმად, ხელისუფლება ეკუთვნის დედოფალსა და გენერალ-გუბერნატორს. მთელ ამ სქემაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მხოლოდ გენერალ-გუბერნატორის კომპეტენციაა, შესთავაზოს პრემიერ-მინისტრის პოსტი საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერს და მასვე ანდობს მთავრობის ფორმირებას.

ფორმალურად, გენერალ-გუბერნატორის კომპეტენციას განეკუთვნება თემთა პალატის დათხოვნა, თუმცა, ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ იურიდიულად აფორმებს მთავრობის მეთაურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ამას გარდა, გენერალ-გუბერნატორს უფლება აქვს, დანიშნოს რომელიმე ლეიტენანტ-გუბერნატორი ან ადმინისტრატორი მისივე მოვალეობების და ფუნქციების შესასრულებლად, თუ თავად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას ავადმყოფობისა თუ სხვა მიზეზის გამო.

პარლამენტი ორპალატიანია, რომელიც თემთა პალატასა და სენატს მოიცავს. ფაქტობრივად, კანადის პარლამენტს პირდაპირ ხალხის მიერ არჩეული ერთადერთი უმაღლესი სახელმწიფო სტრუქტურა – თემთა პალატა წარმოადგენს. რაც შეეხება ზედა პალატას – სენატს, იგი ჩამოყალიბდა როგორც კანადის ფედერაციის სუბიექტების ინტერესების გამომხატველი და დამცველი წარმომადგენლობითი სტრუქტურა, თუმცა ამ ფუნქციას იგი სრულად ვერ ახორციელებს.

თემთა პალატა აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. დეპუტატები ფლობენ თავისუფალ მანდატს. ამჟამად თემთა პალატაში 301 წევრი მოღვაწეობს, რომელთა საქმიანობაც შეუთავსებელია სხვა ნებისმიერ სახელმწიფო თანამდებობასთან, გარდა მინისტრის პოსტისა. თემთა პალატის დეპუტატი ფლობს იმუნიტეტს, თუმცა დაკავება შეიძლება ქვეყნის კანონების უხეში დარღვევის შემთხვევაში, მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.

თემთა პალატის ფუნქციებია: კანონმდებლობა, კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე, სახელისუფლო ორგანოების ფორმირებაში მონაწილეობა. თემთა პალატის წევრები უფლებამოსილების ვადით ირჩევენ სპიკერს, მის მოადგილეს და აყალიბებენ ფრაქციებს. თემთა პალატის სხდომებზე გამოიყენება კანადის ორივე ოფიციალური ენა – ინგლისური და ფრანგული. ორივე ენაზეა გამოქვეყნებული პალატის პროცედურების ძირითადი წყარო-რეგლამენტი.

თემთა პალატა თავისი საქმიანობის ძირითად მოსამზადებელ ნაწილს მრავალრიცხოვანი საკომიტეტო სისტემის მეშვეობით ახორციელებს, სადაც 25 მხოლოდ მუდმივი კომიტეტია ჩამოყალიბებული. მათი ფორმირების მიზნით საგანგებოდ იქმნება სპეციალური კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს ყველა კომიტეტის წევრთა სიებს და დასამტკიცებლად წარუდგენს თემთა პალატას. თითოეული კომიტეტი შედგება 7-დან 15-მდე წევრისგან, რომელთაგანაც აირჩევიან კომიტეტის თავმჯდომარეები. საკომიტეტო მოსმენებისას კვორუმისათვის აუცილებელია კომიტეტის წევრთა უმრავლესობის დასწრება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კვორუმი არ შედგება, კომიტეტს შეუძლია გააგრძელოს მუშაობა, მაგრამ რაიმე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. დეპუტატებს შეუძლიათ განეწინააღმდეგონ რამდენიმე კომიტეტში.

1867 წლის აქტის თანახმად, სენატი შედგება პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით, გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნული 104 წევრისგან, მათ შორის, ამავე წესით დანიშნული სპიკერისგან. სენატში პროვინციებისა და ტერიტორიების წარმომადგენლობა მათი მოს-

ახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული და სწორედ აქედან გამომდინარე, ცალკეული ტერიტორიული ერთეულებისთვის 1-დან 24-მდე მერყეობს. მისი უფლებამოსილების ვადა არ არის განსაზღვრული, იმდენად, რამდენადაც სენატორი თანამდებობაზე რჩება 75 წლამდე. სენატის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ უფლებამოსილების კვორუმი აქ სპიკერის ჩათვლით, 16 სენატორია.

კანადაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით მინისტრთა კაბინეტი და თემთა პალატისა და სენატის წევრები სარგებლობენ. თემთა პალატაში შეტანილი კანონპროექტი განიხილება 3 მოსმენით და მიღებული კანონპროექტი გადაეცემა სენატს, სადაც უნდა გაიაროს იგივე სტადიები, რაც ქვედა პალატაში. იმ შემთხვევაში, თუ სენატორები შესწორებებს შეიტანენ კანონპროექტში, იგი კვლავ ბრუნდება თემთა პალატაში განსახილველად. თუ ბილების ორივე ვარიანტში შედარებით არსებითი განსხვავებები გამოვლინდება, შეიძლება მოწვეულ იქნეს კონფერენცია სენატორებისა და თემთა პალატის წევრების მონაწილეობით, რომელიც დროებითი შემთანხმებელი კომიტეტის ფუნქციის მატარებელია.

მიღებული კანონპროექტი გადაეცემა გენერალ-გუბერნატორს, რომელიც დედოფლის სახელით ამტკიცებს ბილს. ეს უკანასკნელი ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე, თუ თავად კანონის მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ფინანსური კანონპროექტების შეტანის უფლება მხოლოდ მთავრობას ეკუთვნის. ზოგჯერ იგი განიხილება მთელი პალატის კომიტეტის სხდომაზე, რაც კომიტეტის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. ფინანსური კანონპროექტი მიიღება მთავრობისავე თანხმობით, რეკომენდაციის სახით.

ფედერალური მთავრობა კანადაში, ტრადიციულად, „კაბინეტური მთავრობის“ სახელწოდებას ატარებს. პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტი ასრულებენ დედოფლის უფლებამოსილებას, რომელშიც იგულისხმება პარლამენტის მოწვევა და დათხოვნა, შეწყალების განხორციელება, სენატორების, მოსამართლეების, სამინისტროთა თუ სხვა სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელთა დანიშვნა.

მთავრობაში განსაკუთრებული ფიგურაა პრემიერ-მინისტრი, რომელიც თემთა პალატაში თავისი პარტიის მიერ მოპოვებული მანდატების უმრავლესობით და მთავრობაში ძალთა განლაგებით, უპრობლემოდ ატარებს მის მიერ შემუშავებულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რითაც ფაქტობრივად, ფლობს უფრო მეტ უფლებამოსილებას, ვიდრე პრეზიდენტი საპრეზიდენტო რესპუბლიკაში. თითოეული ფედერალური მინისტრი ვალდებულია, განახორციელოს

საკონტროლო ფუნქციები შესაბამისი დეპარტამენტისა და სამინისტროს მოღვაწეობაზე, გამოყოს საერთო მიმართულებები, განსაზღვროს პრიორიტეტები და გამოსცეს ბრძანებები.

კანადა იყოფა რესპუბლიკური ტიპის 10 პროვინციად და 3 ტერიტორიად, რომლებსაც აქვთ თავიანთი კონსტიტუციები და შეიცავენ ყველა სიმბოლოსა და ელემენტს, რაც უნდა ახასიათებდეს ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ სუბიექტებს. 1867 წლის აქტის მიხედვით, თითოეულ პროვინციაში აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნულ ლეიტენანტ-გუბერნატორს, რომელიც არ შეიძლება განვეულ იქნეს წლის მანძილზე. გამონაკლისს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი შემთხვევა, რაც ერთი თვის მანძილზე უნდა ეცნობოს ლეიტენანტ-გუბერნატორს. ყოველი ლეიტენანტ-გუბერნატორი, სანამ თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგება, წარმოთქვამს და ხელს აწერს ფიცს გენერალ-გუბერნატორის ან მისი წარმომადგენლის წინაშე.

პროვინციებში, ისევე როგორც ფედერალურ მთავრობაში, აღმასრულებელი ხელისუფლება კონსტიტუციურად ლეიტენანტ-გუბერნატორის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ რეალურად პროვინციის მთავრობას ხელმძღვანელობს პროვინციული ასამბლეის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის მიერ შექმნილი მინისტრთა კაბინეტი და პრემიერ-მინისტრი, რომელიც გამარჯვებული პარტიის ადგილობრივი სტრუქტურის ლიდერია. პროვინციების აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც კოლეგიურ, ისე ერთმართველობის საფუძველზე მოქმედ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებშიც იგულისხმება სამინისტროები, დეპარტამენტები, პროვინციული საბჭოები, კომისიები და ა.შ.

კანადაში ყველა პროვინციას თავისი ლეგისლატურა აქვს, პროვინციების უმრავლესობაში იგი ერთპალატიანი არჩევითი ორგანოა, ხოლო განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი კვებეკის საკანონმდებლო ხელისუფლება შედგება ლეიტენანტ-გუბერნატორისა და ორი პალატისგან, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო საბჭოს და საკანონმდებლო კრებას. საკანონმდებლო საბჭო შედგება ლეიტენანტ-გუბერნატორის მიერ დანიშნული 24 წევრისგან, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

პროვინციების ლეგისლატურების პროცედურული წესები, როგორცაა სპიკერის არჩევა, კვორუმის ნორმები, სპიკერის მოვალე-

ეობის შესრულება და სხვა ორგანიზაციული საკითხები, დარეგულირებულია აქტით კანადის პარლამენტის შესახებ. ამ აქტის მიხედვით, პროვინციის საკანონმდებლო კრებების განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება: პროვინციის ფარგლებში შემოსავლების მიღების მიზნით პირდაპირი დაბეგვრა; პროვინციული თანამდებობების დაფუძნება, ამ თანამდებობებზე შესაბამისი პიროვნებების დანიშვნა და მათთვის ხელფასის განსაზღვრა; კუთვნილი სახელმწიფო მიწების განკარგვა და მართვა; სასჯელის სახით საგადასახადო ჯარიმების დანესება და საერთოდ ყველა ის საკითხი, რომელიც თავის ხასიათით პროვინციულ პრეროგატივას განეკუთვნება.

კანადაში ადგილობრივი არჩევითი მუნიციპალური ორგანოების რაოდენობა 5 ათასს აღწევს. განასხვავებენ 4 ტიპის მუნიციპალურ ორგანოს – სითი, თაუნი, ვილიჯამი, სასოფლო მუნიციპალიტეტი. მათ უმრავლესობაში მოქმედებს მოდელი მმართველობის ფორმით „საბჭო-მმართველი“, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ისეთი ორგანიზაციით, სადაც აირჩევა, ერთი მხრივ, მუნიციპალური საბჭო, ხოლო, მეორე მხრივ, ერთპიროვნულად – ქალაქის მთავარი თანამდებობის პირი – მერი, რომელსაც ფართო უფლებამოსილებები აქვს. ეს სისტემა მოიცავს ქვეყნის 150-მდე მცირე და საშუალო ქალაქს. თუმცა მუნიციპალიტეტთა ნაწილი ზოგიერთ პროვინციაში მხარს უჭერს არჩევის ისეთ მექანიზმს, სადაც მოსახლეობა მერს თვით საბჭოს ნევრთაგან აირჩევს. ასეთივე ფორმით იქმნება საგრაფოების ხელმძღვანელობა ონტარიოსა და კვებეკში, სადაც ძალიან თავისებურია საგრაფოების მართვა. საგრაფო აქ წარმოდგენილია, როგორც მუნიციპალური მართვის მეორადი ზედნაშენური დონე, სადაც ხდება მუნიციპალური ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია.

საარჩევნო სამართალი

არჩევნები კანადაში ტარდება ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. მასში ყველა კანდიდატი გამოდის, როგორც კერძო პირი. კანდიდატს არჩევნებისაკენ გზას უხსნის მხარდამჭერი 25 ამომრჩევლის ხელმოწერა, რომლებიც მონმეების მიერ უნდა იყოს დამტკიცებული, აგრეთვე, გამოსასყიდი თანხა 200 კანადური დოლარის ოდენობით. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მოაგროვებს.

1970 წლის კანადის არჩევნების შესახებ კანონის მიხედვით, საარჩევნო ხმის უფლება ენიჭება 18 წელს მიღწეულ კანადის მოქალაქეს, გარდა შეურაცხადად ცნობილი და თავისუფლების აღკვეთის ადგი-

ლებში მყოფი პირებისა, აგრეთვე, არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირებისა და გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნული მოსამართლეებისა. საკუთარი კანდიდატურის წამოყენება შეუძლია საარჩევნო უფლებამოსილების მქონე კანადის ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, იმ პირთა გამოკლებით, რომლებიც არიან პროვინციათა და ტერიტორიული ერთეულების საკანონმდებლო ორგანოების დეპუტატები და სახელმწიფო მოსამსახურეები. ჩინოვნიკს საკუთარი კანდიდატურა შეუძლია წამოაყენოს იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პერიოდში დატოვებს თანამდებობას. არჩევნებში მონაწილე კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ხელმძღვანელობენ არჩევნების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობით, რომელიც მათგან მოითხოვს შემოსავლებისა და გასავლების შესახებ სრული მონაცემების დეკლარირებას.

კანადაში არჩევნები ინიშნება გენერალ-გუბერნატორისა და პრემიერ-მინისტრის კონსულტაციების შედეგად. მართალია, თემთა პალატის უფლებამოსილების ვადა ხუთ წელს შეადგენს, მაგრამ, ფაქტობრივად, საპარლამენტო არჩევნები, საპარლამენტო უმრავლესობის მეცადინეობით, ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება, რამდენადაც ხელისუფლებაში მყოფი პარტიის ხელმძღვანელობა ცდილობს არჩევნები ჩაატაროს მისთვის უფრო ხელსაყრელ პერიოდში.

კანადაში საყოველთაო არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც პარლამენტის ორგანოს წარმოადგენს. დემოკრატიული და თანასწორუფლებიანი არჩევნების ჩატარების ძირითად გარანტიას მთავრობისა და პოლიტიკური პარტიებისგან მისი დამოუკიდებლობა წარმოადგენს. ეს დამოუკიდებლობა იმიტაც არის განპირობებული, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თემთა პალატაში არსებული პარტიების თანხმობის შედეგად ინიშნება, ხოლო გადაყენებული შეიძლება იქნეს გენერალ-გუბერნატორის მიერ, მხოლოდ თემთა პალატისა და სენატის ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე.

სამოქალაქო სამართალი

კანადის სამოქალაქო სამართლის სფეროში ფედერალურ და პროვინციულ დონეზე, კვებეკის პროვინციის გამოკლებით, მოქმედებს არა მთელი დარგის მომცველი კოდექსი, არამედ ჯერ კიდევ ბრიტანეთის პარლამენტის მიერ „ნაჩუქარი“ ცალკეული საკანონმდებლო აქტების პაკეტი, რომლებიც, როგორც წესი, მსხვილ სამართლებრივ ინსტიტუტებს არეგულირებს. ამასთან, უკანასკნელ

ათნლეულებში გამოიკვეთა სულ უფრო ფართო რეგულირების საგნების შესახებ კანონების გამოცემის ტენდენციები, მაგალითად, კანონი კომპანიების შესახებ, გაკოტრების შესახებ, ხოლო მათთან ერთად რჩება მცირე სამართლებრივი ინსტიტუტები, რომლებიც ცვლავინდებურად საერთო სამართლის ძირითადი ნორმებით რეგულირდება.

კანადურ ოჯახებში ინგლისური წეს-ჩვეულებებით არის რეგლამენტირებული ქორწინება, განქორწინება, ოჯახური ურთიერთობები და მემკვიდრეობის საკითხები. თუმცა დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეს სფერო რეგულირდება როგორც ფედერალური, ისე პროვინციული კანონმდებლობით. და საერთოდ, ბოლო ხანებში, კანადის სამოქალაქო სამართლის ამ და ზოგიერთ სხვა სფეროში არსებითი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა. უპირველესად, 1968 წლის კანონით განქორწინების შესახებ, გაფართოებულ იქნა განქორწინებისთვის წმინდა ფორმალური შეზღუდვების საფუძვლები. ამას მრავალ პროვინციაში მოჰყვა საოჯახო სამართლის სფეროში რეფორმების განხორციელება, მიღებულ იქნა კანონები, რომლებმაც გააფართოეს მეუღლეების ქონებრივი დამოუკიდებლობა, შეზღუდეს საანდერძო თავისუფლება და უზრუნველყვეს დაქვრივებული მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილების სამემკვიდრეო უფლებები.

სავაჭრო და საკორპორაციო საქმიანობის რეგულირების სფეროში მოქმედებს მთელი რიგი აქტები, რომლებიც შემუშავებულია შესაბამისი ინგლისური კანონმდებლობის ნიმუშების, ამერიკული კანონების გამოცდილებისა და საკუთარი საქმიანობის პრაქტიკის საფუძველზე, მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ფედერალური კანონები კორპორაციების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების შესახებ, რომელთა ნაწილი ყოველ ათ წელიწადში ერთხელ სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს. რაც შეეხება ამერიკულ სამართლებრივ დოქტრინას, მისი გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის სფეროში.

1866 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი დღესაც მოქმედებს, მაგრამ მისი გათანამედროვეება არა მხოლოდ ცვლილება-დამატებებით ხდება, არამედ იგი სიახლეებითაც მდიდრდება.

კანადაში, საინფორმაციო მომსახურებაში ინტერნეტის აქტიური როლის დაფუძნებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, გარკვეული ცვლილებები განიცადა სამოქალაქო სამართალმაც. მისი ძალით შეიძლება პასუხისმგებლობა დანესდეს ინტერნეტში საქმიანობით ვისიმე რეპუტაციაზე ზიანის მიყენების შემთხვევაში, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევისა და

არასწორი ინფორმაციის გავრცელებისთვის, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით საიდუმლო მონაცემების გავრცელებისთვის.

სამოქალაქო სამართალში რიგი არსებითი თავისებურებები ახასიათებს კვებეკის პროვინციას. აქ, ფრანგული კანონები და სამართლებრივი ჩვეულებები მოქმედებდა 1866 წლამდე, ვიდრე არ მიიღეს და ფრანგულ და ინგლისურ ენებზე არ გამოსცეს კვებეკის პროვინციის სამოქალაქო კოდექსი. ფაქტობრივად, იგი წარმოადგენს საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის ჰიბრიდულ ასლს, რომელშიც ასევე ჩართულია სავაჭრო სამართლის ნიგნიც. კვებეკის 1866 წლის სამოქალაქო კოდექსი დღესაც მოქმედებს. უკანასკნელი ათწლეულების ცვლილებები უპირატესად შეეხო საოჯახო სამართალს და განაპირობა მათი დაახლოება ფედერალურ კანონმდებლობასთან (დაქორწინებული ქალების, ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების გაფართოება). რაც შეეხება სავაჭრო სამართალს, მასში ცვლილებები განხორციელდა დამატებითი კანონების მიღებით და არა სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნაწილში ცვლილებების შეტანით.

სისხლის სამართალი

განსხვავებით სამოქალაქო სამართლისგან, სისხლის სამართალი კანადაში უნიფიცირებულია და მთელი ქვეყნის მასშტაბით იმთავითვე მოქმედებდა 1774 წელს მიღებული ინგლისის სისხლის სამართლის სახით, ასე რომ, იგი გავრცელდა თვით კვებეკშიც. და როგორც გარანტია ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემის ერთიანობისა, 1867 წლის კონსტიტუციურმა აქტმა დაადგინა, რომ სისხლის სამართლისა და პროცესის საკითხები ფედერალური მმართველობის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნებოდა. 1892 წლის პირველ კანადურ სისხლის სამართლის კოდექსს საფუძვლად დაედო ინგლისის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, რომელიც შეადგინა ცნობილმა კრიმინალისტმა ჯორჯ სტივენსმა და რომელიც 1878 წელს წარედგინა ბრიტანეთის პარლამენტს, მაგრამ არ იქნა მოწონებული. აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსი მოწესრიგებულად წარმოადგენდა ინგლისური და კანადური საერთო სამართლის ნორმების სისტემას, რომლებიც ეხებოდა დანაშაულთა სახეებისა და სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ძირითად ინსტიტუტებს.

1955 წელს გამოცემულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძველი კანონმდებლობის, სასამართლოების მიერ მათი გამოყენების გამოცდილების გათვალისწინებით, განხორციელებული

კარდინალური გადამუშავების შედეგს წარმოადგენდა. ამასთან, ახალ კოდექსს საფუძვლად დაედო სხვა სახელმწიფოების კოდექსების, შედარებითი-სამართლებრივი ანალიზის შედეგად მოკვლეული მდიდარი ფაქტობრივი მასალა. 1955 წლის კოდექსმა აკრძალა სისხლის სამართლებრივი დასჯის გამოყენება იმ ქმედობებისათვის, რომლებიც მასში არ არის ჩამოთვლილი და განხილულია მხოლოდ საერთო სამართლის ნორმებით. სასიკვდილო განაჩენი გაუქმებულ იქნა 1976 წელს და, ფაქტობრივად, უკანასკნელი განაჩენი 1962 წლის შემდეგ აღარც კი ყოფილა სისრულეში მოყვანილი.

კოდექსში არ არსებობს დანაშაულებრივი ქმედობების ფორმალური დაყოფა, თუმცა სქესობრივი, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთასთან დამატებით შენარჩუნებულ იქნა ისეთი სასჯელები, როგორცაა ტალიონის დასჯის მეთოდები, რომლებიც ინგლისში 1967 წლამდე მოქმედებდა, როგორც XVIII საუკუნის სისხლის სამართლის გადმონაშთი. ეს კოდექსი მოიცავს ბარბაროსული დასჯის მეთოდებს, მათ შორის, უმეტეს დანაშაულებზე თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივ ვადას, ხოლო გამოუსწორებელი რეციდივისტებისა და სექსუალური ფსიქოპათებისათვის – პრევენციულ სასჯელს განუსაზღვრელი ვადით. კოდექსი ასევე მოიცავს მატერიალური სისხლის სამართლისა და პროცესის ნორმებს, სასამართლოების იურისდიქციის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

არსებით როლს არა მარტო სისხლის, არამედ სამოქალაქო სამართლის საკითხებში, ასევე თამაშობს კანადის კანონი მტკიცებულებების შესახებ.

ცხოვრებისეულ სიახლეებს თავისებური კორექტივები შეაქვს სისხლის სამართლის კოდექსში. სწორედ ასეთნაირად, ინტერნეტის, როგორც მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროს, დამკვიდრებამ, კოდექსშიც პოვა სათანადო ასახვა. კერძოდ, იგი ითვალისწინებს ინტერნეტში შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური ინფორმაციის გადაცემისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამგვარი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სავაჭრო მარკებზე უფლებათა დამრღვევი ინფორმაციისა და ბავშვებისთვის პორნოგრაფიის ინტერნეტით გადაცემისთვის.

აღამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

1982 წლის კანადის კონსტიტუციურ აქტში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიას, რომელმაც

შეცვალა ადრე მოქმედი, კონსტიტუციური ძალის არმქონე 1960 წლის ბილი უფლებების შესახებ. ქარტიაში დეტალურად არის განხილული პირადი უფლებები და თავისუფლებები. ქარტია მოქალაქეთა ძირითად თავისუფლებად აღიარებს: სინდისის და რელიგიის; აზრის, მრწამსის, გაგებისა და გამოხატვის, აგრეთვე, ბეჭდვითი სიტყვის და სხვა კომუნიკაციური საშუალებების თავისუფლებას. ქარტია, კანადის ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, ოფიციალურ სახელმწიფო ენებად აღიარებს ინგლისურსა და ფრანგულს, რითაც თანაბარ პირობებს უქმნის ფრანგ და ინგლისელ კანადელებს.

აღნიშნულ უფლებათა და თავისუფლებათა ნაკრები არა მხოლოდ განხილულია, არამედ გარანტიებითაც არის გამაგრებული. ძირითადი პრინციპების დაცვის პირობებში, პროვინციების კანონმდებლობა მთელ რიგ საკითხებში მაინც განსხვავებულია, თუმცა მთლიანობაში ადამიანის უფლებების დაცვა კანადაში ფედერაციისა და პროვინციების საერთო გამგებლობას განეკუთვნება. დისკრიმინაციის პროცესში შელახული უფლებების აღდგენის მიზნით, კანადაში მოქმედებს ადამიანის უფლებების საბჭო, რომელიც კულტურის სამინისტროსთან არსებული პროვინციის ადამიანის უფლებათა სააგენტოს წარმოადგენს. ამას გარდა, დისკრიმინაციის არსებული ფაქტების განმხილველი კომისიები ჩამოყალიბებულია ავტონომიური სტრუქტურების სახით და აქედან გამომდინარე, ისინი არ შედიან სასამართლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემებში.

ადამიანის უფლებების საბჭოს მიერ გამოძიების პროცესის საფუძველი საბჭოში შეტანილი საჩივარია, რა თქმა უნდა, თუ იგი ეხება საბჭოს კომპეტენციას. მას შემდეგ, რაც საჩივარი განხილულია, ხოლო ფაქტები დადასტურებული, ადამიანის უფლებების საბჭოს მიერ რწმუნებული თანამშრომელი ღებულობს ზომებს, მხარეების მორიგების გზით, დავის გადაწყვეტისთვის. ამ შემთხვევაში ის გამოდის, როგორც შუამავალი, მაგრამ თუ შუამავლობა უშედეგო აღმოჩნდა, საბჭო ქმნის ტრიბუნალს ამავე საკითხის გადასაწყვეტად.

ჩვეულებრივ, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც წესი, ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი შეეხება ინდივიდის უფლებების დაცვას, ხოლო მეორე – იმ ობიექტის თუ ადამიანთა ჯგუფის კოლექტიურ უფლებებს, რომელსაც წარმოადგენს ინდივიდი. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბჭო გამოსცემს ბრძანებულებას კონკრეტული პირის მიმართ დისკრიმინაციული მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რომელსაც შემდეგ რეგისტრაციაში გაატარებს პროვინციის უმაღლესი სასამართლო და ის

სრულდება, როგორც ჩვეულებრივი სასამართლო გადანყვეტილება. ვინაიდან, საბჭოს გადანყვეტილების მეორე ნაწილი ეხება კოლექტიური უფლებების დაცვას, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბჭო, ჩვეულებრივ, ავალდებულებს მოპასუხე მხარეს, განახორციელოს გარკვეული კონკრეტული ქმედებანი ამასთან დაკავშირებით. კოლექტიური უფლებების დაცვის ყველაზე ეფექტურ მექანიზმად ითვლება საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე გაცემული დავალების შესრულება, როცა საბჭოს წარუდგინენ რეგულარულ ანგარიშებს ადამიანის უფლებების შესახებ კანონის შესრულების თაობაზე.

აღნიშნული საბჭო ერთი ნაწილია კანადაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით შექმნილი მთელი სისტემისა. ჯერ კიდევ 1918 წელს შეიქმნა ომბუდსმენის ტიპის ინსტიტუტი საჯარო სამსახურის საკითხების კომისიის სახით. მოგვიანებით აქტიურად მოიკიდა ფეხი შვედური ომბუდსმენის კანადურმა მოდელმა. 1967 წელს იგი დაფუძნდა ალბერტას და ნიუ-ბრანსუიკის პროვინციებში, შემდეგ ათიოდ წლის მანძილზე ომბუდსმენი დამკვიდრდა კიდევ 7 პროვინციაში. კანადის ოფიციალური ენების შესახებ კანონის შესაბამისად, 1969 წელს დაინიშნა ოფიციალური ენების რწმუნებული. ამას მოჰყვა მსჯავრდადებულთა ომბუდსმენი, ინფორმაციის საკითხთა ომბუდსმენი, ხოლო უკვე 1986 წელს, კანადის ეროვნული ომბუდსმენი. თითოეულ მათგანს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს, მაგრამ ყველა ომბუდსმენი ლეგისლაციურის თანამდებობის პირია.

სასამართლო სისტემა

სასამართლო ხელისუფლება კანადაში ანგლოსაქსური სასამართლო სისტემის ერთი განტოტებაა, ფაქტობრივად კი, მისი ისტორიული განვითარების ერთი კონსერვატიული ასლია, რომელმაც ზოგი არსებითი და ზოგიც პოლიტიკური მოტივაციიდან გამომდინარე, გარკვეული ცვლილება-დამატებები მხოლოდ მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან განიცადა, და თანაც ისე, რომ ძირითადი კონსტრუქცია მაინც უცვლელი დარჩა, ისევე, როგორც ის თავისებურება, რომ სასამართლო პრეცედენტები ქვეყნის კონსტიტუციური სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ.

ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა კანადის უზენაესი სასამართლო, რომელიც შედგება გენერალ-გუბერნატორის მიერ სიცოცხლის ბოლომდე დანიშნული და საიდუმლო საბჭოს მიერ დამტკიცებული 9 მოსამართლისგან, რომელთა შორის 3 აუცილებლად უნდა

იყოს კვებეკის პროვინციიდან, 3 – ონტარიოდან, 2 – დასავლეთიდან და 1 – ატლანტიკური კანადიდან.

ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს კანადის ფედერალური სასამართლო, რომელიც 1970 წელს შეიქმნა და თავის შემადგენლობაში აერთიანებს 13 მოსამართლისგან შემდგარ სასამართლო განყოფილებას და სააპელაციო განყოფილებას 9 მოსამართლის შემადგენლობით. მთელ სასამართლო კორპუსს სიცოცხლის ბოლომდე ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი. ფედერალურ სასამართლოს ხელმძღვანელობს სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

ფედერალურ დონეზე მართლმსაჯულებას კანადის საგადასახადო სასამართლოც ახორციელებს. იგი 1983 წელს ჩამოყალიბდა, რომლის იურისდიქციაც გადასახადებსა და საშემოსავლო საკითხებზე ვრცელდება.

კანადის ეროვნული თავდაცვის აქტით გათვალისწინებულია ფედერალური სამხედრო სასამართლოს ფუნქციონირება. მას ხელმძღვანელობს მოსამართლე, რომელიც არის შეიარაღებული ძალების მიერ საგანგებოდ მომზადებული ოფიცერი. სასამართლოს შემადგენლობაში, ასევე შედის სამიდან ხუთამდე ოფიცერი, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება, განიხილონ მსჯავრდადებულის ბრალეულობა და ვითარების შესაბამისად გამოიტანონ ვერდიქტი.

რაც შეეხება პროვინციებს, მათ აქვთ პროვინციული უმაღლესი სასამართლოები, ზოგიერთში მოქმედებს საოლქო, კვებეკში კი პროვინციულ სასამართლოდ წოდებული საგრაფოების სასამართლოები. ზოგიერთ პროვინციაში, ასევე, მოქმედებენ სპეციალური სასამართლოები არასრულწლოვანთა საქმეებზე და საოჯახო სასამართლოები. ცალკეულ პროვინციებში ისინი გაერთიანებულნი არიან და საერთო სასამართლოების პროცესუალური წესების დაცვით განიხილვენ დავებს ბავშვებსა და სასარჩელო აღიშენებებზე, აგრეთვე, არასრულწლოვანთა საქმეებს.

კანადის უზენაესი სასამართლო განიხილავს საჩივრებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების დადგენილებებზე, რომლებიც გამოტანილ იქნა პროვინციების უმაღლესი სასამართლო ინსტანციების, ფედერალური სასამართლოს მიერ და გამოაქვს მათზე საბოლოო გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლო განიხილავს საჩივრებს მხოლოდ უფრო მძიმე სისხლის სამართლის საქმეებზე, თუ პირველადი გამამართლებელი განაჩენი გაუქმებულ იქნა ზემდგომი სასამართლოს მიერ, ან საქმის განხილვისას წარმოიშვა დავა უფლების საკითხზე.

ფედერალურ სასამართლოში განიხილება სასარჩელო პრეტენზიები ფედერალურ ხელისუფლებასთან და მათი სახელით დავები მოქალაქეობაზე, საჩივრები სავაჭრო ნიშნების შესახებ. ეს ერთადერთი სასამართლოა კანადაში, რომლის საქმიანობაც შემოიფარგლება მხოლოდ ფედერალური კანონების გამოყენებით. ყველა დანარჩენი სასამართლო იყენებს როგორც ფედერაციის, ისე პროვინციის კანონებს.

ათივე პროვინციის უმაღლესი სასამართლო განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოდის როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, ასევე განიხილავს სააპელაციო საჩივრებს პროვინციების ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. საოლქო და კვებეკის საგრაფოების სასამართლოები პირველი ინსტანციით განიხილავენ სამოქალაქო საქმეებს, როდესაც სარჩელი, როგორც წესი, დაკავშირებულია 300-დან 3000-მდე დოლართან, ასევე სისხლის სამართლის საქმეებს საშუალო სიმძიმის დანაშაულებზე (ქურდობა, ავტოსატრანსპორტო დანაშაული). სამოქალაქო საქმეები 300 დოლარამდე თანხით – განიხილება მცირე სასარჩელო სასამართლოებში.

კანადაში არ არსებობს ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა, საჩივრები ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე განიხილება პროვინციებისა და ფედერაციების საერთო სასამართლოებში.

კანადაში კონსტიტუციური სამართალწარმოება არ გამოიყოფა საერთო სასამართლოების შემადგენლობიდან. საკონსტიტუციო ზედამხედველობა ხორციელდება უზენაესი სასამართლოს მიერ, ხოლო პროვინციების კანონების მიმართ – შესაბამისი პროვინციის უმაღლესი სასამართლოს მიერ, გადაწყვეტილების ქვეყნის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების უფლებით. ასეთ შემთხვევაში, ან როცა პროვინციის მთავრობა ამა თუ იმ მიზეზით, განსაკუთრებით დაინტერესებულია უზენაესი სასამართლოს განსახილველი საკითხით, ამის შესახებ უნდა ეცნობოს პროვინციის გენერალ ატორნეის, რომელიც მოისმენს საქმეს, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს. აღნიშნულმა დებულებამ ასახვა პოვა პროვინციების კანონმდებლობაში.

კანადაში კანონის კონსტიტუციურობის შესახებ დავის აღძვრა არ აჩერებს საქმის განხილვას. ნებისმიერმა სასამართლომ, სადაც წარმოიშვა საკითხი კანონის კონსტიტუციურობის შესახებ, ბოლომდე უნდა მიიყვანოს საქმის განხილვა, გადაწყვიტოს იგი არსებითად და შემოიფარგლოს გადაწყვეტილებაში კანონის კონსტიტუციურობის

შემონების მოთხოვნის ასახვით. ვინაიდან კანონმდებლობით არ იყო დადგენილი ასეთი საქმეების გადაცემის წესი, უზენაესმა სასამართლომ სპეციალური გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ მოსამართლემ, რომელიც განიხილავს ასეთ საქმეს, მოთხოვნაში, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკუთარი აზრი უნდა შეიტანოს.

გენერალ-გუბერნატორის ან მთავრობის თხოვნით, უზენაესმა სასამართლომ, შეიძლება განიხილოს კონსტიტუციური აქტების განმარტებასთან, პარლამენტის და პროვინციების საკანონმდებლო კრებების მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის გადასინჯვასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე მათ შორის დავები კომპეტენციის შესახებ.

კონსტიტუციის მიხედვით, ყველა მოსამართლე თანამდებობაზე ინიშნება ფედერალური ხელისუფლების მიერ, გამონაკლისს წარმოადგენენ მაგისტრატის მოსამართლეები, რომლებსაც ნიშნავენ პროვინციის ხელისუფალნი. მოსამართლის გათავისუფლება თანამდებობიდან ხდება გენერალ-გუბერნატორის მიერ ფედერალური პარლამენტის მოთხოვნით.

ლიტერატურა:

1. Конституционные акты Канады // Конституции зарубежных государств, Москва, „БЕК“, 1996, стр. 315-401;
2. ო. მელქაძე, ნ. პაპუკაშვილი, კანადა // საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, „მერანი“, 1999, გვ. 236-271;
3. გ.გოგიაშვილი, კანადა // შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ.58-61;
4. Мишин А. А., Парламент Канады // Парламенты Мира, Москва, „Интерпракс“, 1991, стр. 204-246;
5. Данилов С. Ю., Шило В.Е., Политико-государственный механизм современной Канады, Москва, „Наука“, 1991, стр. 29-93;
6. Лидин А.И., Государственный строй Канады, Москва, „ЮРИЗДАТ“, 1960, стр.25-64;
7. Бойцова В.В., Канада // Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „БЕК“, 1997, стр 239-279.

ლუქსემბურგი

ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო – დასავლეთ ევროპის მცირე სახელმწიფოა, რომლის ტერიტორია 2,6 ათას კმ²-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 400 ათასს მცირედით აღემატება. ლუქსემბურგს სამხრეთით ესაზღვრება საფრანგეთი, ჩრდილო-დასავლეთით – ბელგია, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი — გერმანია. ქვეყნის დედაქალაქია – ლუქსემბურგი, ფულის ერთეულია — ლუქსემბურგული ფრანკი. ლუქსემბურგის ძირითადი კანონი არ აფიქსირებს სახელმწიფო ენას, მაგრამ პრაქტიკულად ასეთებს განეკუთვნება არა მხოლოდ – ფრანგული და გერმანული. 1984 წელს სახელმწიფო ენის რანგში აყვანილ იქნა ლუქსემბურგული დიალექტი, ე.წ. ფრანსიკ-მოზელანი.

ლუქსემბურგის სამართლებრივი სისტემა რომანულ-გერმანულ ანუ კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება და მისი სხვადასხვა განშტოების სინთეზის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ლუქსემბურგის კონსტიტუცია, ერთ-ერთი უძველესი მსოფლიოში, მიღებულ იქნა 18ნწ წლის 17 ოქტომბერს, რომელმაც პარლამენტური მონარქია დაამკვიდრა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით ლუქსემბურგი უნიტარული სახელმწიფოა.

კონსტიტუციური სამართალი

ლუქსემბურგის სახელისუფლებო ორგანოების ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: ქვეყნის ფორმალური მეთაური – დიდი ჰერცოგი, აგრეთვე, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმალური მეთაურია, რეალურ ხელისუფლებას კი ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე – სახელმწიფო მინისტრის რანგში; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ლუქსემბურგის პარლამენტს – დეპუტატთა პალატას; მართლმსაჯულებას აღასრულებენ უმაღლესი სასამართლო, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, საოლქო სასამართლოები და სამომრიგებლო (საერო) სასამართლოები.

დიდი ჰერცოგი. კონსტიტუციის პირველ თავში დანვრილებით არის დარეგულირებული დიდი ჰერცოგის ტახტზე ასვლის ცერემონიული და ორგანიზაციული წესები. ჰერცოგის სრულწლოვანება დგება მის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ. ტახტზე ასვლისას ჰერცოგი ვალდებულია დეპუტატთა პალატის წინაშე დადოს ფიცი. ჰერცოგის სიკვდილის შემთხვევაში, მემკვიდრე უფლისწულის არასრულწლოვანების შემთხვევაში ინიშნება რეგენტი.

რეგენტი დაინიშნება იმ შემთხვევაშიც, თუ ჰერცოგს, გარკვეულ მიზეზთა გამო, არ შეუძლია თავისი ფუნქციების განხორციელება. ჰერცოგს უფლება აქვს თვითონ დაინიშნოს თავისი რეგენტი.

მიუხედავად იმისა, რომ 1919 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ შეზღუდა დიდი ჰერცოგის უფლებები, მას მაინც დარჩა წარმომადგენლობითი და ზოგიერთი სხვა უფლებამოსილება: დიდი ჰერცოგი წარმოადგენს სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, უფლება აქვს, პარლამენტის თანხმობით, გამოაცხადოს ომი ან დადოს სამშვიდობო-საზავო ხელშეკრულება, ნიშნავს და აუცილებლობის შემთხვევაში ათავისუფლებს თანამდებობიდან მთავრობის წევრებს. დიდ ჰერცოგს აქვს ამნისტიისა და შეწყალების უფლება, გარდა იმ სასჯელებისა, რომელიც დაედო მთავრობის წევრებს. კანონის თანახმად, ჰერცოგი უფლებამოსილია მოჭრას თავისი ფული, უბოძოს სათავადაზნაურო ტიტულები, დააჯილდოს სამხედრო და სამოქალაქო ორდენებით. დიდი ჰერცოგის მონაწილეობა საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში ირიბ ხასიათს ატარებს, მაგრამ მისი უფლებრივი არსენალი მას საკმაოდ აქტიურ პოზიციებს აკუთვნებს. სახელმწიფოს მეთაურს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მიღებულ კანონთა დამტკიცებისა და გამოქვეყნების პრეროგატივა. აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილება მას გამოაქვს საპარლამენტო კენჭისყრიდან სამი თვის ვადაში. ჰერცოგი ხსნის და ხურავს სესიებს, უფლება აქვს, გადადოს პარლამენტის სხდომა, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია მოინვიოს დეპუტატთა პალატის რიგგარეშე სესია, უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილ პირობებში, საერთოდ დაითხოვოს პარლამენტი.

დიდი ჰერცოგი კანონების შესრულების მიზნით გამოსცემს რეგლამენტებსა და დადგენილებებს, მაგრამ უფლება არა აქვს, შეაჩეროს კანონის მოქმედება ან გაათავისუფლოს მისი შესრულებისგან რომელიმე იურიდიული ან ფიზიკური პირი. ხელშეკრულებების შესრულების მიზნით იგი, აგრეთვე, იღებს რეგლამენტებსა და დადგენილებებს, მაგრამ არ იჭრება თავად მისი განხორციელების პროცესში, რაც კონსტიტუციით კანონის პრეროგატივაა. ასე რომ, 1919 წლის შეზღუდვების შემდეგაც დიდ ჰერცოგს ფართო უფლებამოსილებანი შერჩა, რომ არა 1989 წლის მონიშნის კონსტიტუციური დამატება, რომლის თანახმადაც, მისი განკარგულებები კონტრასიგნებული, ხელმოწერილი უნდა იყოს პასუხისმგებელი მთავრობის წევრის მიერ. ეს ახალი კონსტიტუციური დათქმა, ერთი მხრივ, იმის მიმანიშნებელია, რომ დიდი ჰერცოგი

მოქმედებს მთავრობის რჩევით, მაგრამ, მეორე მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ იგი არ არის პასუხისმგებელი თავის ქმედებათა გამო. ამიტომ კონსტიტუციური ნორმა, რომ დიდი ჰერცოგი მარტო ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ძალიან პირობითია.

პარლამენტი. კონსტიტუციის თანახმად, ლუქსემბურგში მოქმედებს პარლამენტარული დემოკრატიის რეჟიმი. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ლუქსემბურგის პარლამენტი — დეპუტატთა პალატა, წარმომადგენლობითი ერთპალატიანი ორგანო, რომელიც აირჩევა ხუთი წლით, საყოველთაო, პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე. პალატის შემადგენლობაში 61 დეპუტატია.

დეპუტატები ფლობენ თავისუფალ მანდატს და ხელმძღვანელობენ ქვეყნის საერთო ინტერესებით, თავისი ფუნქციების განხორციელებას იწყებენ ფიცის დადებით დიდი ჰერცოგისადმი ერთგულებაზე. თუ დეპუტატი მთავრობის მიერ დაინიშნება რომელიმე ანაზღაურებად თანამდებობაზე, მას ჩამოერთმევა დეპუტატის მანდატი და დეპუტატობას ის შეიძლება დაუბრუნდეს მხოლოდ შემდგომ არჩევნებში არჩევის შემთხვევაში.

საკანონმდებლო ინიციატივით უფლებაააღჭურვილი სუბიექტი ორია: დიდი ჰერცოგი და დეპუტატთა პალატა. უფრო სწორად, კონსტიტუცია მათ მოიაზრებს ერთიანი ტანდემის სახით, ანუ როგორც ორ პარტნიორს ერთიან საქმეში, როცა, ერთი მხრივ, ადგენს, რომ „დიდი ჰერცოგი წინადადებებითა და კანონპროექტებით მიმართავს დეპუტატთა პალატას, რომლებიც მას სურს წარადგინოს მათ მხარდასაჭერად“ და, მეორე მხრივ, თავად „დეპუტატთა პალატას აქვს უფლება შესთავაზოს დიდ ჰერცოგს კანონპროექტები.“

კანონების მიღების პროცედურული ტექნოლოგია შემდეგი თანამიმდევრობით ვითარდება: ამა თუ იმ კანონპროექტის კენჭისყრაზე დაყენებამდე დეპუტატთა პალატა ვალდებულია, გადასცეს კანონპროექტი შესაბამის სექციას. მას შემდეგ, რაც სექციის წევრები გამოიტანენ თავის დასკვნას, კანონპროექტი გატანილი იქნება კენჭისყრაზე. კანონპროექტი მიღებულად ითვლება ერთი და იმავე უფლებამოსილების პარლამენტის მიერ ორჯერადი კენჭისყრით მხარდაჭერის პირობებში. ყველა კანონპროექტი ექვემდებარება ხელმეორე კენჭისყრას, თუ დეპუტატთა პალატა, სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით, სხვა რამეს არ დაადგენს. ინტერვალი ორ კენჭისყრას შორის არ უნდა იყოს 3 თვეზე ნაკლები. კანონპროექტი, პარლამენტის მიერ მიღების შემთხვევაში, უნდა დამტკიცდეს ჰერცოგის

მიერ და შესაბამისი მინისტრის ხელმოწერით. საერთო წესის მიხედვით, კანონი შედის ძალაში მისი გამოქვეყნების შემდეგ სამი დღის ვადაში.

პარლამენტი მის მიერვე მიღებული რეგლამენტით ადგენს თავისი უფლებამოსილების განხორციელების წესს, ყოველ სესიაზე პარლამენტი ირჩევს თავის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და ქმნის ბიუროს. დეპუტატთა პალატის სხდომები ღია ხასიათს ატარებს, თუ რეგლამენტით და კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ნებისმიერი რეზოლუცია მიღებული უნდა იყოს პარლამენტის წევრთა უმრავლესობის დასწრების პირობებში, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ ხმები გაიყოფა, კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი უარყოფილად ჩაითვლება. მთლიანობაში კანონები მიიღება სახელობითი კენჭისყრით და მხოლოდ მისი მუხლობრივი განხილვის შემდეგ. კანონპროექტის განხილვის პროცესში, დეპუტატთა პალატას შეუძლია, შეცვალოს და დაყოს შემოთავაზებული მუხლები და შესწორებები.

ლუქსემბურგის კონსტიტუციით, დაუშვებელია დეპუტატის დევნა მისი აზრებისა და კენჭისყრაში მონაწილეობისთვის. სისხლისსამართლებრივი დევნა სესიის პერიოდში დაიშვება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას დანაშაულის ჩადენის დროს წაასწრებენ. დეპუტატისთვის თავისუფლების აღკვეთა და მისი სხვაგვარი დევნა შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატთა პალატა სესიის დროს მოითხოვს ამას. დიდი პერცოგი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა, ისევე როგორც იგი ვალდებულია, მოიწვიოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დეპუტატთა ერთი მესამედის მოთხოვნით. დიდ პერცოგს უფლება აქვს, გადადოს პალატის სესია, მაგრამ გადადების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს. პალატის დათხოვნის შემთხვევაში, ახალი არჩევნები ტარდება დათხოვნიდან სამი თვის ვადაში.

კონსტიტუციის მე-10 თავში ჩამოყალიბებულია დებულებები, რომელთა შორის რამდენიმე პრინციპული ნორმაა დადგენილი, რათა გარანტირებულ იქნეს სტაბილური საკონსტიტუციო რეჟიმი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 113-ე მუხლის არსი, რომლის ძალით მასში დაფიქსირებულია აკრძალვა კონსტიტუციის ნებისმიერი მითითების შეჩერების შესახებ. აქვე, კონსტიტუციის 112-ე მუხლით დადგენილია, რომ არც ერთი კანონი, საერთო ან კომუნალური ადმინისტრაციის არც ერთი დადგენილება ან რეგლამენტი არ არის სავალდებულო, ვიდრე

ისინი არ იქნება გამოქვეყნებული კანონით დადგენილი ფორმით. 114-ე მუხლით, დადგენილია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესი. საკანონმდებლო ხელისუფლებას შეუძლია გამოაცხადოს, კონსტიტუციით დადგენილი ამა თუ იმ დებულების თუ ნორმის გადახედვის დანყება. მაგრამ, როგორც კი დეპუტატთა პალატა განაცხადებს თავისი ასეთი განზრახვის შესახებ, ხდება დეპუტატთა პალატის ავტომატური თვითდაშლა და იგი ითვლება დათხოვნილად. კონსტიტუციის ნორმებითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით ახალარჩეული პალატა დიდ ჰერცოგთან შეთანხმებით იწყებს კონსტიტუციის შეცვლის პროცედურას. ამ შემთხვევაში პალატა უფლებამოსილია შეუდგეს საქმიანობას, თუ სხდომას ესწრება დეპუტატთა სამი მეოთხედი მაინც. საკონსტიტუციო ცვლილება მიიღება, თუ მას მხარს დაუჭერს პალატის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა.

მთავრობა. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ლუქსემბურგის მთავრობა, რომელიც კონსტიტუციაში უბრალოდ ასე მოიხსენიება — „დიდი ჰერცოგის მთავრობა“ და კონსტიტუცია დაადგენს რა აღნიშნულს, პრაქტიკულად, მთავრობას გადასცემს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების სადავეებს.

დიდი ჰერცოგი თავად განსაზღვრავს თავისი მთავრობის ორგანიზაციას. მთავრობა შედგება თავმჯდომარისგან, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ეწოდება და მინისტრებისგან. კონსტიტუცია მოითხოვს, რომ მთავრობის წევრთა რაოდენობა არ იყოს სამზე ნაკლები. ზემო ზღვარი დადგენილი არ არის, მაგრამ ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთი ქვედა ზღვარი უკვე არცთუ მრავალრიცხოვანი მთავრობის შემადგენლობას უნდა ნიშნავდეს ნებისმიერ ვითარებაში. მთავრობის წევრთა დანიშვნა და მათი განთავისუფლება, ასევე, დიდი ჰერცოგის პრეროგატივაა. მთავრობის წევრი ანუ მინისტრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს დეპუტატთა პალატის წევრი, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ლუქსემბურგი, პრაქტიკულად, ჯუჯა სახელმწიფოა და მისი მთავრობის შემადგენლობა, როგორც წესი, ძალიან მცირერიცხოვანია. დამკვიდრებული ტრადიციიდან გამომდინარე, თითოეულ მთავრობის წევრს, მინისტრს აბარია რამდენიმე სამინისტრო და უწყება.

კონსტიტუცია ადგენს, რომ მთავრობის წევრი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობისთვის. კონსტიტუციის 79-ე მუხლიდან უდავოდ იკითხება, რომ მთავრობის წევრებს აქვთ უშუალო ურთიერთობა დიდ ჰერცოგთან, ვინაიდან, როგორც კონსტიტუცია ამ შემთხვევაში ცალსახად ადასტურებს, მათ შორის რაიმე საშუაშაგლო სახელისუფლო

ორგანოს არსებობა გამოირიცხულია. მთავრობის წევრებს ან მათ შემცველ რწმუნებულებს უშუალო ურთიერთობა აქვთ დეპუტატთა პალატასთან. მათ უფლება აქვთ, გამოვიდნენ პარლამენტის სესიებზე, ხოლო პალატა ვალდებულია, მოისმინოს მათი მოხსენება. პალატას, თავის მხრივ, აქვს უფლება განახორციელოს დევნა მთავრობის წევრთა მიმართ, რაც დეტალურად არის რეგლამენტირებული კანონმდებლობით, რომელიც საზღვრავს პასუხისმგებლობის შემთხვევებს, მათზე მიმართულ სასჯელებს და დევნის საქმეთა წარმოების წესს. დიდ ჰერცოგს უფლება აქვს შეინყალოს მთავრობის წევრი მხოლოდ დეპუტატთა პალატის შუამდგომლობის შემთხვევაში.

ლუქსემბურგის სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში ძალზე მნიშვნელოვანი, ერთობ მრავალფუნქციური როლი ეკუთვნის სახელმწიფო საბჭოს. იგი ცალკე მდგომი ორგანოა და სახელისუფლო შტოების კომპეტენციიდან ამოკრეფილ გარკვეულ უფლებამოსილებათა კონგლომერატს მოიცავს. ამიტომ მისი შემადგენლობა საკმაოდ მრავალფეროვანია და მისი წევრები, როგორც წესი, არიან პროკურატურისა და სასამართლოების უმაღლესი ჩინოსნები და სხვა ცენტრალური სახელმწიფოებრივი დაწესებულებების უმაღლესი თანამდებობის პირები. სახელმწიფო საბჭოს წევრებს სამუდამოდ ნიშნავს თვით დიდი ჰერცოგი, თუმცა მასვე აქვს უფლება ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს ისინი თანამდებობიდან.

სახელმწიფო საბჭოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია არის კანონროექტების განხილვა და ადმინისტრაციული იუსტიციის განხორციელება. გარდა კანონპროექტებისა, საბჭო განიხილავს ცვლილებებს ამა თუ იმ კანონთან დაკავშირებით და გამოაქვს დასკვნები. ნებისმიერი კანონპროექტი, სანამ ის მოხვედება პალატაში, წინასწარ განხილულ უნდა იქნეს სახელმწიფო საბჭოს მიერ, რომელიც ცვლილებებს გადაუგზავნის დიდ ჰერცოგს, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გადაგზავნის მათ დეპუტატთა პალატაში. საკანონმდებლო პროცესში სახელმწიფო საბჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ასევე, იმით გამოიხატება, რომ მას კანონპროექტის მიმართ არა მარტო დასკვნის წარდგენის და თავისი აზრის გამოხატვის უფლება აქვს, არამედ მას შეუძლია გამოიყენოს ვეტოს უფლება.

სახელმწიფო საბჭოს სხვა ფუნქციათაგან აღსანიშნავია მის მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვა. ასეთ შემთხვევებში, იგი წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს ორგანოს, ხოლო მასთან არსებული დავების განმხილველი იურიდიული კომიტეტი თავად არის უმაღლესი სასამართლო ორგანიზაცია ადმინისტრაციის სფეროში. სახელმწიფო საბჭოს-

თან შექმნილი ეს კომიტეტი განიხილავს ადმინისტრაციულ დაეებს, სარჩელებს თანამდებობის პირთა ქმედობასთან დაკავშირებით, გამოიყენებს დისციპლინურ სასჯელებს სახელმწიფო მოხელეთა მიმართ.

ლუქსემბურგი უნიტარული სახელმწიფოა. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის მოწყობის საკითხებს არეგულირებს კონსტიტუციის მე-9 თავი „კომუნების შესახებ“ ტერიტორიულობის პრინციპზე დაყრდნობით, კომუნები ქმნიან დამოუკიდებელ ავტონომიურ კოლექტივებს, რომლებიც იურიდიული პირის უფლებამოსილებებს ფლობენ. კონსტიტუციის მიხედვით, კომუნის მმართველობა ხორციელდება კომუნის ორგანოების მიერ, საკუთარი სახსრებით, თავისსავე ინტერესებში. ყოველ კომუნაში არსებობს წარმომადგენლობითი ორგანო კომუნალური საბჭოს სახით, რომელიც აირჩევა უშუალოდ კომუნის მოსახლეობის მიერ.

საბჭოს ფუნქციათაგან უმნიშვნელოვანესია კომუნის ყოველწლიური ბიუჯეტის მიღება და ანგარიშების დამტკიცება. დიდი პერცოგის თანხმობით, საბჭო უფლებამოსილია, დაადგინოს გადასახადები კომუნის ტერიტორიაზე. საბჭო იღებს კომუნის რეგლამენტებს. დიდ პერცოგს უფლება აქვს, დაითხოვოს კომუნის საბჭო. კომუნას მართავს ბურგომისტრთა და მათ მოადგილეთა – ეშევენთა კოლეგია, რომლის წევრებიც აირჩევიან კომუნის საბჭოს წევრთაგან. ბურგომისტრებისა და ეშევენთა კოლეგიის წევრთა მიმართ მოქალაქეობის თაობაზე მოთხოვნებს ადგენს კანონი, რომელიც მიიღება ე.წ. უმაღლესი კონსტიტუციური სინჯით, როცა პალატის სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ სამი მეოთხედისა და პროექტს მხარს უჭერს დამსწრეთა ორი მესამედი.

კომუნის ორგანოთა კომპეტენციის, მოწყობისა და შემადგენლობის საკითხები რეგულირდება კანონით. კანონითვეა დადგენილი კომუნის მუშაკთა სტატუსი და წესი, რომლის თანახმად, კომუნა მონაწილეობს მის ტერიტორიაზე განათლების სისტემის მოწყობასა და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. ერთობ ორიგინალურია კომუნალურ მმართველობაზე კონტროლის განხორციელების პროცესი, რომელიც კანონით რეგულირდება და რაც მთავარია, მოითხოვს კომუნალური ორგანოების ზოგიერთი აქტის შემოწმება-შეფასებას კონტროლის ორგანოების მიერ. ამასთან, გათვალისწინებულია მათი გაუქმება ან შეჩერება უკანონობისა თუ საერთო ინტერესებთან შეუსაბამობის მოტივაციით, მაგრამ ისე, რომ კონტროლის სუბიექტი არ უნდა შეიჭრას საერთო იურისდიქციისა და ადმინისტრაციულ სასამართლოთა უფლებამოსილებაში.

საარჩევნო სამართალი

ლუქსემბურგის საარჩევნო სამართალი, ერთი მხრივ, ითვალისწინებს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, დეპუტატთა პალატის, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილებზე კომუნალური საბჭოების არჩევნების სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხების რეგულირებას. ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში – დეპუტატთა პალატაში აირჩევა 60 დეპუტატი. არჩევნები პირდაპირია, დეპუტატები აირჩევიან საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე, 5 წლის ვადით. ხმის მიცემა ხდება საარჩევნო ოლქებში პარტიული სიებით პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით.

ქვეყანა იყოფა ოთხ საარჩევნო ოლქად, თითოეული ორი ან მეტი საარჩევნო ცენტრებით: სამხრეთ ოლქი (ეში-ალზეტზე, კარელანი), ცენტრალური ოლქი (ლუქსემბურგი და მერში), ჩრდილოეთ ოლქი (დიკირხი, რედანუი, ვილცი, კლერვო და ვიანდანი), დასავლეთ ოლქი (გრევენმახერი, რემიხი და ესტერმახი). დეპუტატთა რაოდენობას, რომელნიც არჩეულ უნდა იქნენ საარჩევნო ოლქებში, განსაზღვრავს კანონი.

აქტიური საარჩევნო უფლება ეკუთვნის 18 წელს მიღწეულ ლუქსემბურგის მოქალაქეს, რომელსაც აქვს პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები და საჰერცოგოში ფლობს საცხოვრისს. სხვა არავითარი მოთხოვნა გათვალისწინებული არ არის. პასიური საარჩევნო უფლება ზოგ კანტონში 20 და ზოგში 21 წელია. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ პირებს, რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთაც წვრილმანი გადაცდომისთვის სასამართლოს განაჩენით ჩამორთმეული აქვთ არჩევის უფლება, აგრეთვე, მეურვეობის ქვეშ მყოფ სრულწლოვანებს. დეპუტატის მანდატი შეუთავსებელია მთავრობის, სახელმწიფო საბჭოს, კონტროლის პალატის წევრობასთან, სამხედრო მოსამსახურეობასთან, გადასახადთა ამკრეფისათვის. თუმცა ყველა აღნიშნულ თანამდებობის პირს აქვს უფლება, გააკეთოს თავისი არჩევანი: დათმოს შეუთავსებელი თანამდებობა დეპუტატის მანდატის სასარგებლოდ.

მთავრობის წევრად არჩეული დეპუტატი, სამთავრობო თანამდებობის დატოვების შემდეგ, რა თქმა უნდა, თუ ეს პარლამენტის ერთი უფლებამოსილების ფარგლებში ხდება, სრული უფლებით პირველ მოადგილედ შედის იმავე სიაში, რომლითაც იგი არჩეული იყო დეპუტატად. ასეთი წესი ვრცელდება დეპუტატის მოადგილის მიმართაც, თუ იგი ხელახლა მოწვეულ იქნება მთავრობის შემადგენლო-

ბაში და დატოვებს დეპუტატის მანდატს. თუ ასეთი უფლებით ერთდროულად რამდენიმე მოადგილე სარგებლობს, სიაში შეტანისას უპირატესობა იმას მიენიჭება, რომელმაც მეტი ხმები მოიპოვა არჩევნებში.

უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან — კონსტიტუცია, არჩევნებთან ერთად, რეფერენდუმსაც ალიარებს. კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-7 პუნქტი ადგენს, რომ კანონით დადგენილ შემთხვევებში, ამომრჩევლები შეიძლება მოწვეულ იქნენ, რათა რეფერენდუმის საშუალებით გამოთქვან თავისი აზრი. უშუალო დემოკრატიის კიდევ ერთი ინსტიტუტია პეტიცია, რომელიც მნიშვნელოვნად სცდება კერძო ინტერესების კორიდორს და ფართოდ იჭრება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობაში, როგორც ჯგუფური პრობლემების ერთობლივი მოგვარების, საკანონმდებლო ორგანოს მთავრობაზე კონტროლის ფორმა. სწორედ ასეთად წარმოადგენს პეტიციას კონსტიტუციის 67-ე მუხლში ჩადებული ნორმათა ერთობლიობა. ის ფაქტი, რომ კონსტიტუცია კრძალავს პირადი პეტიციების წარდგენას პალატაში, ამ მექანიზმის კატეგორიას განაპირობებს, რათა იგი ჩვეულებრივი განცხადებებისა თუ საჩივრების დონეზე არ ჩამოქვეითდეს. პალატა მისდამი მიმართულ პეტიციებს მთავრობის ნევრებს გადასცემს, რომლებმაც განმარტება უნდა მისცენ მათ შინაარსთან დაკავშირებით, როცა პალატა ამას მოითხოვს. პალატა არ განიხილავს პეტიციებს, რომელთაც პირადი ინტერესი უდევთ საფუძვლად, თუ არა ის განსაკუთრებული შემთხვევები, როცა ეს პეტიციები ეხება მთავრობის ან ხელისუფლების სხვა ორგანოების კანონსაწინააღმდეგო აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ან როცა გადაწყვეტილება ჩარევის თაობაზე არ შედის პალატის კომპეტენციაში.

სამოქალაქო სამართალი

1804 წლის ნაპოლეონის სამოქალაქო სამართლის კოდექსმა სხვა ქვეყნების მსგავსად ლუქსემბურგზეც არსებითი გავლენა მოახდინა და დღესაც, ნაკლები ცვლილებებით, ვიდრე თვით საფრანგეთში, აგრძელებს მოქმედებას. აღნიშნული, კერძოდ, ეხება კოდექსის იმ ნაწილს, რომელიც არეგულირებს საქორწინო, საოჯახო და მემკვიდრეობით ურთიერთობებს. ლუქსემბურგში ძირეული ცვლილებები შეეხო მხოლოდ იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს მოძრავ ქონებასა და კრედიტებს. ამ შემთხვევაში, ლუქსემბურგელი კანონმდებელი იძულებული შეიქნა, დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გადაეხვია პირვანდელი დებულებებიდან და შეექმნა ახალი კანონმდებლობა.

ლუქსემბურგში კვლავაც აგრძელებს თავის მოქმედებას საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსი, მაგრამ მისი შინაარსი, გარდა ზოგიერთი ძირეული დებულებისა, მნიშვნელოვნად შეიცვალა. ლუქსემბურგში, სამოქალაქო სამართლის დარგში, გარდა ფრანგული კანონებისა, ფართოდ გამოიყენება ასევე მისი უახლოესი მეზობლის — ბელგიის კანონმდებლობითი გამოცდილება. ასე, მაგალითად, დაწყებული 1915 წლიდან გამოცემულ იქნა რამდენიმე კანონი, რომელიც სააქციო საზოგადოებათა საქმიანობას არეგულირებს. ეს კანონები გამოკვეთილ ბელგიურ ხასიათს ატარებს.

ყოველივე ზემოთ თქმული სრულიადაც არ იძლევა იმის უფლებას, ვიფიქროთ, რომ ნებისმიერი ლუქსემბურგული სამართლებრივი აქტი მხოლოდ უცხო ქვეყნიდან არის გადმოღებული. სუფთა ლუქსემბურგული წარმოშობისაა 1900, 1915, 1945 წლების კანონები სოფლის სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომლებმაც გარკვეული გავლენა იქონია სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობაზეც. 1973 წელს ლუქსემბურგში კომპანიათა შესახებ კანონების სრული რეფორმა განხორციელდა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დიდად განვითარდა სოციალური კანონმდებლობა. 1901-1911 წლებში შემოღებულ იქნა ავადმყოფობებისა და საწარმოში უბედურ შემთხვევათა დაზღვევა, სიბერისა და ინვალიდობის პენსიები. 1921 წელს იძულებითი უმუშევრობის პირობებში შემოღებულ იქნა უმუშევართა სოციალური დახმარებები ზოგიერთი პროფესიის წარმომადგენლებზე, მოგვიანებით სოციალურმა დახმარებებმა მოსახლეობის უფრო ფართო წრეები მოიცვა. 1925 წელს გამოცემულ იქნა სოციალურ დაზღვევათა კოდექსი. მომდევნო წლებში სოციალური კანონმდებლობა კიდევ უფრო აქტიურად ვითარდებოდა და სიახლეებიც მნიშვნელოვან სფეროებს შეეხო. 1965 წელს გამოცემულ იქნა კანონი შრომის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ, რომელიც დეტალურად არეგულირებს ამ ურთიერთობებს. 1980 წელს გამოიცა კანონი ინდივიდუალური შრომით ხელშეკრულებათა შესახებ, რომელიც გარკვეულწილად იცავს დაქირავებულს დაქირავებლის თვითნებობისგან. 1982 წელს მიღებული კანონი „სამსახურიდან კოლექტიური დათხოვნის შესახებ“, ითხოვს საკითხის შეთანხმებას საწარმოში მუშათა წარმომადგენლობით ორგანოსთან. 1987 წელს შემოღებულ იქნა საპენსიო უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელმაც მოიცვა არა მხოლოდ დაქირავებული მშრომელები, არამედ ფერმერები, ბიზნესმენები, ვაჭრები და ხელოსნები.

უკანასკნელ წლებში ლუქსემბურგში გატარებულ იქნა ბუნების დაცვასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ღონისძიებანი. სოციალური ხასიათის კანონმდებლობის შემდეგ, ეს მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ლუქსემბურგის სამოქალაქო სამართალში. ბუნების დაცვის საქმეში მდგომარეობის გამძაფრებამ აიძულა კანონმდებელი ყურადღება მიექცია ამ პრობლემისთვის. 1980 წელს გამოცემულ იქნა კანონი ბუნების დაცვისა და ტოქსიკურ ნარჩენთა განადგურების შესახებ. 1982 წელს მიღებულ იქნა კანონი ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ, რის საფუძველზეც 1986 წელს დიდმა ჰერცოგმა გამოაცხადა დადგენილება ტყეთა დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

სისხლის სამართალი

ფრანგული კანონმდებლობის ზეგავლენა საკმაოდ ძლიერი იყო ლუქსემბურგის სისხლის სამართლის სისტემაზეც. საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ლუქსემბურგში რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მოქმედებდა. მის სანაცვლოდ 1879 წელს, როგორც ნაციონალური კოდექსი, შემოღებულ იქნა ბელგიის 1867 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. ბელგიური კოდექსის მიღებას ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ ლუქსემბურგელ კანონმდებლებს ის ყველაზე მისაღებ ვარიანტად მიაჩნდათ. ბელგიის სამართლებრივი სისტემა ყველაზე უფრო მიახლოებული იყო ლუქსემბურგის სამართლისა და სასამართლო სისტემებთან. გარდა ამისა, ენობრივი და ნაციონალური სხვაობის არარსებობა განაპირობებდა ბელგიური კოდექსის უმტკივნეულო ათვისებას და მის შერწყმას ლუქსემბურგის საკანონმდებლო სისტემასთან. აღნიშნულს, თუნდაც ის ფაქტი ამტკიცებს, რომ ლუქსემბურგელმა კანონმდებლებმა მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანეს ბელგიური კოდექსის ტექსტში და ეს ცვლილებები უმთავრესად სასჯელ-აღსრულებითი დანესებულებების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების სისტემას შეეხებოდა.

ფრანგული კოდექსიდან ბელგიურ კოდექსზე დინამიკური გადასვლა იმანაც განაპირობა, რომ თავად ეს უკანასკნელი 1810 წლის ნაპოლეონისეული ფრანგული სისხლის სამართლის კოდექსიდან არის ნაწარმოები, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგან, მათ შორის, უმთავრესად, კოდექსის ზოგადი ნაწილის ისეთი ინსტიტუტების განმარტების თვალსაზრისით, როგორიცაა თავდასხმა, თანამონაწილეობა და ა.შ., რაც გამოწვეული იყო სასჯელის ინდივიდუალიზაციის იდეის ამოქმედების სურვილით.

1879 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა მრავალჯერ განიცადა ცვლილება-დამატებები. სწორედ ამ მიზნით, 1894 წელს მიღებულ იქნა კანონი პირობითი პატიმრობის შესახებ, რომელშიც, თავის მხრივ, 1952 წელს ცვლილებები იქნა შეტანილი, ხოლო 1971 წელს კანონი არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ. ლუქსემბურგის სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, რომელიც თავიდან საფრანგეთის 1808 წლის კოდექსს ეფუძნებოდა, მრავალჯერ იქნა შეცვლილი. მის შესავსებად 1877 წელს გამოცემულ იქნა კანონი წინასწარი პატიმრობის შესახებ, ხოლო 1885 წელს კანონი სასამართლო მოწყობის შესახებ. სიკვდილით დასჯა გაუქმდა 1979 წელს, თუმცა უკვე 1949 წლიდან სასიკვდილო განაჩენი არ აღსრულებულა.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ქვეყნის კონსტიტუციის მეორე თავი – „ლუქსემბურგელებისა და მათი უფლებების შესახებ“ მთლიანად დათმობილი აქვს ადამიანის უფლებებს და მათი დაცვის გარანტიებს. მოცემული თავი კონსტიტუციურ ნორმათა ერთობლიობით განამტკიცებს ლუქსემბურგის საპროცესო მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს. კონსტიტუციის მე-9 მუხლი მთლიანად დათმობილი აქვს მოქალაქეობის ინსტიტუტის დადგენას. 1994 წელს ევროკავშირის ქვეყნების საკანონმდებლო სისტემების, მასტრიხტის ხელშეკრულებასთან მისადაგებასთან დაკავშირებით, ლუქსემბურგელმა კანონმდებლებმა კონსტიტუციის მე-9 მუხლს დაუმატეს ცალკე დებულება, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებს უცხოელებს. მასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ევროკავშირის წევრ ქვეყანათა მოქალაქეების პოლიტიკური უფლებების განხორციელებას კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უცხოელებს, არამოქალაქეებს მიენიჭათ აქტიური საარჩევნო უფლება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს. აღნიშნულმა ცვლილებამ არსებითად გააფართოვა კონსტიტუციის ძირითად დებულებებში იმთავითვე დამკვიდრებული დამოკიდებულება უცხოელებისადმი, რომლის თანახმად (მუხლი 111) დიდი საპროცესო ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი უცხოელი სარგებლობს პიროვნული და ქონების დაცვით, რა თქმა უნდა, კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა.

ლუქსემბურგის კონსტიტუცია არ ცნობს არანაირ წოდებრივ სხვაობას და კანონის წინაშე იძლევა მოქალაქეთა სრული თანასწორობის გარანტიას, აგრეთვე, უზრუნველყოფს მათი კონსტიტუციური

უფლებების დაცვას. კანონი უზრუნველყოფს უფლებას შრომაზე, ვაჭრობისა და წარმოების თავისუფლებას, პროფესიულ კავშირებში გაერთიანების უფლებას. კანონითვეა დაცული სოციალური უზრუნველყოფის და მშრომელთა ჯანდაცვის უფლებები. კონსტიტუცია უზრუნველყოფს: ინდივიდუალურ თავისუფლებას, საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობას, რწმენის და სინდისის თავისუფლებას, აზრის გამოთქმისა და შეკრების თავისუფლებას, გაერთიანების უფლებას, პირადი მომონერის საიდუმლოებას. მხოლოდ საერთო-საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით არის დასაშვები კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვა, მაგრამ ამ შემთხვევაში, იგი აუცილებლად უნდა იყოს კომპენსირებული. ქონების კონფისკაცია, როგორც სასჯელის ნაირსახეობა, გაუქმებულია. კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთა განათლება, ხოლო დანყებითი განათლება უფასო და სავალდებულოა. მოქალაქის პირადი ბუნებრივი უფლებების დაცვის გარანტი სახელმწიფოა. კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების სასამართლო დაცვას, რაც რამდენიმე კონკრეტული ნორმით არის დარეგულირებული კონსტიტუციის თავში „მართლმსაჯულების შესახებ“. მოქალაქის უფლებებთან საერთოდ და მათ შორის, პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებული დავები მხოლოდ სასამართლოს ქვემდებარეა. შრომითი დავებისა და სოციალური დაზღვევის საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით, კონსტიტუციის თანახმად, კანონი განსაზღვრავს სასამართლო ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის საკითხებს.

სასამართლო სისტემა

საერთო სასამართლოების სისტემას სათავეში უდგას მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო პალატა, რომელიც ფუნქციონირებს როგორც აპელაციური სასამართლო ან საკასაციო სასამართლო. თუ უმაღლესი სასამართლო მოქმედებს აპელაციური წესით, მაშინ საქმის განხილვაში მონაწილეობს 5 მოსამართლე და განიხილება სარჩელები საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე. თუ უმაღლესი სასამართლო მოქმედებს საკასაციო წესით, საქმის განხილვაში მონაწილეობს 7 მოსამართლე და განიხილება ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მიღებული სარჩელები.

განსაკუთრებული მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს მოიწვევა, ეგრეთ წოდებული „ასიზთა“ სასამართლო,

რომელიც შედგება 6 ნევრისგან, შემდეგი პროპორციების დაცვით: 2-3 ნევრი უმაღლესი სასამართლოსგან და 3-4 საოლქო სასამართლოსგან. მსჯავრდადებულის დამნაშავედ ცნობის თაობაზე გადანყვეტილების მისაღებად საჭიროა 4 ხმა. „ასიზთა“ სასამართლოს გარკვეული პერიოდით ადგენს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე. ლუქსემბურგის უდიდეს ქალაქებში ლუქსემბურგსა და დიკირხეში არსებობს 2 საოლქო სასამართლო, რომელთაც სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს ეწოდებათ „გამასწორებელი ტრიბუნალები“. მათ კომპეტენციაში შედის პირველი ინსტანციით საშუალო სიმძიმის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა, ყველა სამოქალაქო სამართლის საქმეების, გარდა მცირე მნიშვნელობის საქმეებისა. საოლქო სასამართლოები აპელაციური წესით განიხილავენ სარჩელებს, რომლებიც ეხება მომრიგებელი სასამართლოების გადანყვეტილებებს.

ლუქსემბურგის სასამართლო სისტემის ქვედა დონეს წარმოადგენენ სამომრიგებლო სასამართლოები, რომელთა კომპეტენციაში შედის მცირემნიშვნელოვან საქმეთა განხილვა, რომლებისთვისაც სასჯელის სახით არა უმეტეს 7 დღის პატიმრობაა დადგენილი. ასეთი საქმეების განხილვისას მათ „საპოლიციო ტრიბუნალები“ ეწოდებათ და მომრიგებელი მოსამართლეები ერთპიროვნულად იხილავენ. ამასთან, სამომრიგებლო სასამართლოები განიხილავენ მცირემნიშვნელოვან სამოქალაქო და სავაჭრო დავის მცირე სასარჩელო საქმეებს და ასრულებენ ზოგიერთ სხვა ფუნქციას, როგორცაა ქონებაზე ყადაღის დადება და მოხსნა, არაქმედუნარიანთა ინტერესების დაცვა და სხვ.

მენარმეებსა და მუშებს შორის კონფლიქტების მოგვარების მიზნით, დანესდა სამი მომრიგებელი კომისია, თითოეული მომრიგებელი მოსამართლის თავმჯდომარეობით და ორი მსაჯულის მონაწილეობით, რომლებიც კონფლიქტში მონაწილე მხარეების წარმომადგენლები არიან. არსებობს, აგრეთვე, სხვადასხვა ტრიბუნალი, რომლებიც იხილავენ სოციალური დაზღვევის საკითხებზე დავებს, ადმინისტრაციულ საქმეებს და სხვ. ამ დროს, კონსტიტუცია კრძალავს ნებისმიერი დასახელების საგანგებო კომისიებისა და სასამართლოების შექმნას. თუმცა ცალკე ადგენს სამხედრო სასამართლოების შექმნის შესაძლებლობას და აწესრიგებს ამასთან დაკავშირებულ საკითხებს. სასამართლო დანესებულებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სახელმწიფო საბჭოს იურიდიულ კომიტეტს. აღნიშნული კომიტეტი შედგება სახელმწიფო საბჭოს 7 ნევრისგან,

რომლებიც აუცილებლად უნდა ფლობდნენ სამართლის დოქტორის ხარისხს. როგორც ითქვა, სახელმწიფო საბჭოს იურიდიული კომიტეტი ქვეყნის ადმინისტრაციული იუსტიციის უმაღლესი ორგანოა. ლუქსემბურგში გამოძიებას აწარმოებენ საოლქო სასამართლოს საგამოძიებო მოსამართლეები ან პოლიცია გენერალური პროკურორის მეთვალყურეობის ქვეშ. ლუქსემბურგში პროკურორი აღჭურვილია დისკრეციული უფლებამოსილებით და გარკვეული პირობების არსებობისას საზოგადოებრივი ბრალმდებელი – პროკურორი თავად წყვეტს, განახორციელოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა. უმაღლეს სასამართლოში ბრალდებას ახორციელებს გენერალური პროკურორი ან მისი მოადგილე, რომელთაც „გენერალურ ადვოკატებსაც“ უწოდებენ, საოლქო სასამართლოში – სახელმწიფო პროკურორი ან მისი მოადგილე, ხოლო საპოლიციო ტრიბუნალში – პოლიციის კომისარი.

სასამართლოებში კანონის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა პრაქტიკულად გამორიცხულია, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო საბჭოს იურიდიული კომიტეტის უფლებამოსილებებში, ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებაზე, საჩივრის განხილვის გარდა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებაზე, საჩივრების განხილვაც იგულისხმება, რომელთა შორის მოიხსენიება საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნების შედეგები. ლუქსემბურგში ყველა მოსამართლეს ნიშნავს უშუალოდ დიდი ჰერცოგი, მათ შორის, უმაღლესი სასამართლო პალატის წევრები, საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები უმაღლესი სასამართლო პალატის დასკვნის საფუძველზე. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გარანტირებულია კონსტიტუციით: ისინი აირჩევიან სიცოცხლის ბოლომდე, ხელშეუხებელნი არიან, ვინაიდან კონსტიტუცია მათ შეუცვლელად აცხადებს იმდენად, რომ გადაადგილებაზეც კი მათივე თანხმობაა საჭირო, ხოლო განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ძალით.

ლიტერატურა:

1. Конституция Великого Герцогства Люксембург // Конституции государств Европейского Союза, Москва, „Инфра, М-норма“ 1997, стр.453-468;
2. Шафин М. А., Государственный строй Люксембурга, Москва, 1958.

მექსიკა

მექსიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთი განვითარებული ლათინურ-ამერიკული ქვეყანაა, რომლის 70 მილიონი მოსახლეობა ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ-დასავლეთის 1958,2 ათას კმ² ტერიტორიაზე ბინადრობს. მექსიკას ჩრდილოეთით ესაზღვრება აშშ; სამხრეთ-აღმოსავლეთით – გვატემალა და ბელიზი; დასავლეთით და სამხრეთით აკრავს ნყნარი ოკეანე; აღმოსავლეთით – ატლანტის ოკეანე. ქვეყნის დედაქალაქია მეხიკო, სახელმწიფო ენა – ესპანური, ფულის ერთეული – პესო.

მექსიკა, შერეული სამართლის ოჯახის ლათინურ-ამერიკულ ჯგუფს განეკუთვნება, რომლის საჯარო და, განსაკუთრებით, კონსტიტუციური სამართალმა – ამერიკული, ხოლო კერძო სამართალმა კონტინენტური სამართლის გავლენა განიცადა. მოქმედი, რიგით მესამე მექსიკის „პოლიტიკური კონსტიტუცია“ მიღებულ იქნა 1917 წელს, როგორც „მუდმივი“ აქტი, რომლის არც შეჩერება შეიძლება და არც შეცვლა. მექსიკაში ბოლო მოელო პოლიტიკურ არამდგრადობას, როცა მმართველობის და წყობილების ფორმები ხშირად ენაცვლებოდა ერთმანეთს: ჯერ იყო ფედერაცია, შემდეგ უნიტარიზმი და ისევ ფედერაცია, ამას მოჰყვა რესპუბლიკის მონარქიით შეცვლა, შემდეგ დიქტატორული რეჟიმი და ხშირი სამხედრო გადატრიალებები. მას შემდეგ მექსიკის შეერთებული შტატები ფედერალურ პრინციპზე აგებულ საპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოადგენს.

კონსტიტუციური სამართალი

მექსიკაში სახელისუფლო ბალანსი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი, ამავედროულად აღმასრულებელ ხელისუფლების მეთაურიც არის, საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორპალატიან კონგრესს, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს ფედერალური უზენაესი სასამართლო.

პრეზიდენტი წლით, პირდაპირი არჩევნებით, სენატთან ერთად აირჩევა. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს დაბადებით 35 წელს მიღწეული მექსიკელი მშობლების შვილი, რომელიც თავადაც დაბადებით მექსიკის მოქალაქეა და მთელი საარჩევნო წლის განმავლობაში ცხოვრობს მექსიკაში, არ აქვს სასულიერო ნოდება და არ ემსახურება რომელიმე რელიგიურ კულტს. პრეზიდენტის, ისევე როგორც

შტატების სახელისუფლო ორგანოებში, უფლებამოსილების მეორე ვადით არჩევა დაუშვებელია.

პრეზიდენტის უმთავრეს უფლებამოსილებას განეკუთვნება: თავისი შეხედულებით დანიშნოს და გადააყენოს სახელმწიფო მდივნები, რესპუბლიკის, ფედერალური ოლქისა და ფედერალური ტერიტორიების გენერალური პროკურორები, დანიშნოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა თანამდებობის პირები, კონგრესის თანხმობით დანიშნოს ელჩები, გენერალური კონსულები, არმიის უმაღლესი ოფიცრები, ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვის საჭიროებისას გამოიყენოს და მართოს სამხედრო ძალები, კონგრესის მიერ შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ გამოაცხადოს ომი, აწარმოოს დიპლომატიური ურთიერთობები და დადოს ხელშეკრულებები, რომელთა რატიფიკაციასაც სენატი ახდენს, გამოაცხადოს ამნისტია, დეპუტატთა პალატას დასამტკიცებლად წარუდგინოს ფედერალური ოლქისა და ტერიტორიის უმაღლესი ტრიბუნალის წევრები, დანიშნოს და სენატს დასამტკიცებლად წარუდგინოს ფედერალური უზენაესი სასამართლოს წევრები.

პრეზიდენტს, კონგრესის თანხმობის გარეშე, არა აქვს ქვეყნის დატოვების უფლება. პრეზიდენტის თანამდებობიდან განთავისუფლება შეიძლება კონგრესის შესაბამისი განცხადებით, რომელსაც კონგრესის შეფასებით სერიოზული საფუძვლები უნდა ჰქონდეს და ეს საფუძველი შეიძლება იყოს სახელმწიფოს ღალატი და სხვა მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული. საქმე აღიძვრება დეპუტატთა პალატაში, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას სენატი იღებს. ასეთია საპრეზიდენტო იმპიჩმენტის მექანიზმი, თუმცა კონსტიტუციურად იგი ასეთად არ არის აღიარებული და მხოლოდ პრეზიდენტის პასუხისმგებლობის მექანიზმის სახით არის დაფიქსირებული.

პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ მისი არჩევიდან გასულია 2 წელზე ნაკლები, კონგრესი, პალატების საერთო სხდომაზე, კონგრესმენტა ხმების 2/3-ით დაუყოვნებლივ ირჩევს დროებით პრეზიდენტს, ხოლო 10 დღის ვადაში ნიშნავს პრეზიდენტის არჩევნებს, რომლის უფლებამოსილება წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით განისაზღვრება, ხოლო თუ დარჩენილია 4 წელზე ნაკლები, კონგრესი იმავე წესით, დარჩენილი ვადით ირჩევს პრეზიდენტის თანამემნეს.

თავად ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი, ამავედროულად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიცაა, რეალურად იმას იწვევს, რომ ინსტიტუციურად მთავრობა, როგორც ასეთი,

პრეზიდენტის ნებისა და უფლებამოსილებების ხლართშია გაბმული. აღმასრულებელი ფუნქციის განსახორციელებლად პრეზიდენტი თავად მართავს მთავრობას და მთავრობაც მხოლოდ მის წინაშეა პასუხისმგებელი. მთავრობის შემადგენლობაში 18 სამთავრობო ერთეულია, მათ შორის, გენერალური კონტროლიორი და გენერალური პროკურორი და სხვადასხვა დარგისა თუ სფეროს 16 სამდივნო, როგორცაა შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, ეროვნული თავდაცვის, ფინანსებისა და სახელმწიფო კრედიტების, ნავიგაციის, ეროვნული რესურსებისა და თევზჭერის, აგრარულ საკითხთა, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების და სხვ. აღნიშნულ თანამდებობებზე პრეზიდენტი პირადი შეხედულებით ნიშნავს სახელმწიფო მდივნებს.

პრეზიდენტის ყველა დადგენილებას, დეკრეტსა და ბრძანებას ხელს აწერს კომპეტენტური სახელმწიფო მდივანი. სახელმწიფო მდივანი ყოველი სესიის დაწყებისას კონგრესს წარუდგენს მოხსენებას მის უწყებაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ნებისმიერ პალატას უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს სახელმწიფო მდივანი განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, თუ სხვა საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად.

პარლამენტი – კონგრესი ორელემენტიანი სტრუქტურაა და შედგება ქვედა – დეპუტატთა პალატისგან, რომელიც ხალხის ინტერესს წარმოადგენს და ზედა – სენატისგან, რომელიც შტატების ინტერესების გამომხატველია. კონგრესმენები სარგებლობენ იმუნიტეტით, ინდემნიტეტით, უფლება არა აქვთ შესაბამისი პალატის თანხმობის გარეშე დაიკავონ სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა.

საკანონმდებლო ინიციატივით სარგებლობენ პრეზიდენტი, კონგრესმენები, შტატების საკანონმდებლო ორგანოები. კვორუმს სენატში წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 შეადგენს, ხოლო დეპუტატთა პალატაში – სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. სესია გრძელდება პალატის მიერ დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის ამონურვამდე. კონგრესი იღებს კანონს ან რეზოლუციას, რომელიც ორივე პალატის თავმჯდომარეთა და ერთ-ერთი პალატის მდივნის ხელმოწერის შემთხვევაში, გადაეცემა პრეზიდენტს პრომულგაციაზე. თუ პრეზიდენტი არ ეთანხმება წარმოდგენილ კანონპროექტს ან მის ცალკეულ მუხლებს, თავისი შენიშვნებითურთ უბრუნებს კონგრესს, რომელიც განმეორებით ცალკე განიხილება პალატებში და მიიღება ორივე პალატაში ხმების 2/3-ით. კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად აუცილებელია

ფედერალური კონგრესის ორივე პალატის დამსწრე წევრთა 2/3-ის თანხმობა და ფედერაციის სუბიექტების – შტატების საკანონმდებლო კრებების უმრავლესობის დასტური.

კონგრესის კომპეტენციას განეკუთვნება ახალი შტატებისა და ფედერალური ტერიტორიების საზღვრების განსაზღვრა, შტატებს შორის ვაჭრობის რეგულირება, საეკონომიკური პოლიტიკის წარმოება, გადასახადების დანესება, გადაწყვეტილების მიღება პრეზიდენტის გადადგომის შესახებ. მხოლოდ დეპუტატთა პალატის უფლებამოსილებაში შედის ხაზინის კონტროლიორის უწყების უმაღლესი თანამდებობის პირთა დანიშვნა, ბიუჯეტის დამტკიცება, სისხლის სამართლის ნიშნების არსებობისას იმპიჩმენტის წესით საქმის აღძვრა. მხოლოდ სენატის გამგებლობაში მოიაზრება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაცია, პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი ელჩების, გენერალური კონსულების დამტკიცება, ეროვნული გვარდიის გამოყენებაზე პრეზიდენტისთვის თანხმობის მიცემა, შტატებს შორის პოლიტიკური პრობლემების მოგვარება, უმაღლესი სასამართლოს წევრების დამტკიცება, იმპიჩმენტის წესით პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა.

სესიებს შორის პერიოდში მოქმედებს კონგრესის მუდმივი კომისია, რომელიც დეპუტატთა პალატის 15 წევრსა და 14 სენატორს აერთიანებს. მას საკმაოდ ფართო უფლებები აქვს. მაგალითად, ეროვნული გვარდიის გამოყენებაზე თანხმობის მიცემა, უმაღლესი სასამართლოს წევრთა დამტკიცება და სხვ. კონგრესის პალატებში იქმნება საპარლამენტო ჯგუფები (ფრაქციები), პარლამენტის კომიტეტები, სპეციალური საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები.

სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს, ფედერაციის სუბიექტების სახით, მიეკუთვნება 29 შტატი; ერთი ფედერალური ოლქი, რომლის ტერიტორიაც მოიცავს ქვეყნის დედაქალაქს – მეხიკოს და მის ირგვლივ განთავსებულ რამდენიმე პატარა ქალაქს; აგრეთვე, ორი ფედერალური ტერიტორია. შტატების სახელმწიფო სისტემა აგებულია რესპუბლიკურ, წარმომადგენლობით და სახალხო მმართველობის პრინციპებზე და იმართებიან საკუთარი კონსტიტუციებით. შტატებს აქვთ სახელმწიფოებრიობის მრავალი ნიშანი, მაგრამ არა აქვთ მექსიკის შეერთებული შტატებიდან გასვლის უფლება.

შტატების აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, გუბერნატორი პირდაპირ მოსახლეობის მიერ აირჩევა 6 წლით, დაბადებით მექსიკის მოქალაქე, რომელსაც 5 წლის მანძილზე და არჩევნების დღისთვის უცხოვრია შესაბამის შტატში.

შტატის საკანონმდებლო ორგანო – დეპუტატთა პალატა აირჩევა პირდაპირ, 3 წლის ვადით. პალატის წევრთა რიცხოვნობის განსაზღვრა ხდება შტატის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, მაგრამ მოსახლეობით ყველაზე მცირერიცხოვან შტატშიც კი წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს შეიღზე ნაკლები.

კონსტიტუციის თანახმად, საკითხები, რომლებიც ფედერალური ხელისუფლების გამგებლობას არ განეკუთვნება, შედის შტატების კომპეტენციაში და ამდენად, ყოველი შტატი თავისი ნებით ლებულობს გადაწყვეტილებას. შტატებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ თავის საზღვრებზე და მხოლოდ ფედერალური კონგრესის დასტურით შეცვალონ იგი. შტატებს არა აქვთ უფლება შექმნან კავშირები და კოალიცია, დადონ ხელშეკრულებები ერთმანეთთან და სხვა სახელმწიფოებთან, მოჭრან ფული, გამოუშვან საფოსტო მარკები და გერბიანი ქალაქები, მათ ტერიტორიაზე გამავალ ტვირთებს დაადონ გადასახადები. შტატებს შეუძლიათ კონგრესთან შეთანხმებით დაანესონ მოსაკრებლები და გადასახადები ექსპორტ-იმპორტზე, შეინახონ მუდმივი ჯარი და სამხედრო ხომალდები.

კონსტიტუციის მიხედვით, ფედერალური ოლქი იმართება პრეზიდენტის მიერ, სხვადასხვა ორგანოს მეშვეობით. იგი ინარჩუნებს ახლანდელ ტერიტორიას, ხოლო თუ ფედერალური ხელისუფლება თავის ადგილსამყოფელს შეიცვლის, მაშინ აღნიშნული ტერიტორია ფედერალური კონგრესის მიერ განსაზღვრულ საზღვრებში შტატ ვალე დე მებოკოს გადაეცემა.

ფედერალურ ტერიტორიას მართავს გუბერნატორი, რომელიც პრეზიდენტის მიერ ინიშნება და ყველა გადაწყვეტილებას მასვე უთანხმებს. ფედერალური ტერიტორია შედის ფედერაციის ერთიან სისტემაში და მოიცავს ორივე ზღვის კუნძულებს, ასევე, წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულებს – გვადელუპეს და ჰიპედოს. ამ კუნძულებზე ვრცელდება ფედერალური მთავრობის იურისდიქცია, ზოგიერთზე კი – შტატის ხელისუფლება.

შტატები და ფედერალური ტერიტორიები იყოფა მუნიციპალიტეტებად, რომლის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საბჭო. ისინი სარგებლობენ იურიდიული პირის სტატუსით და დამოუკიდებლად განკარგავენ თავის ქონებას, სამხედრო ძალებს, რომლებსაც შტატის ხელისუფლება განაგებს, მაგრამ მის ტერიტორიაზე იმყოფება.

საარჩევნო სამართალი

მექსიკაში აქტიური საარჩევნო უფლება სრულწლოვანების მიღწევადან ამოქმედდება და სავალდებულო ხასიათს ატარებს. ამდენად, მისი დარღვევა სამოქალაქო უფლებების ერთი წლით შეჩერებას იწვევს. საარჩევნო უფლება არა აქვთ ნარკოტიკების მომხმარებლებს, პირებს, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებიან, რომელთა მიერ ჩადენილ ქმედებას შეიძლება თავისუფლების აღკვეთა მოჰყვეს, მანანნალებს და სისტემატურ მსმელებს.

მექსიკის კონგრესის დეპუტატთა პალატა აირჩევა 3 წლით, პირდაპირი არჩევნების გზით, შტატების, ფედერალური ტერიტორიებისა და ფედერალური ოლქის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად – 250 ათას მოსახლეზე ერთი დეპუტატი, მაგრამ თითოეულ შტატში არანაკლებ ორისა, ხოლო ფედერალურ ტერიტორიაზე – ერთი მაინც. მთლიანობაში დეპუტატთა პალატის შემადგენლობაში 500 წევრია, რომელთაგან 300 დეპუტატი მათი მოადგილეებითურთ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში აირჩევა, მაჟორიტარული სისტემით, ხოლო 200 – პარტიული სიებით, პროპორციული სისტემით. დეპუტატთა პალატის წევრად შეიძლება აირჩეს დაბადებით მექსიკის მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, თუ არჩევნებამდე ხთვის განმავლობაში ცხოვრობდა შესაბამის შტატსა თუ ტერიტორიაზე და არ არის რელიგიური კულტის მიმდევარი. გუბერნატორს, გადადგომის შემთხვევაშიც კი, არა აქვს თავის შტატში დეპუტატთა პალატის წევრად არჩევის უფლება. არჩევის მსურველი შტატის თანამდებობის პირები არჩევნებამდე 90 დღით ადრე უნდა გადადგნენ თანამდებობიდან.

სენატი აირჩევა 6 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნების გზით, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების ხმების უბრალო უმრავლესობით. პასიური საარჩევნო უფლება აქვს 35 წლის დაბადებით მექსიკის მოქალაქეს, დეპუტატთა პალატის წევრისთვის განსაზღვრული შეზღუდვებით. სენატორი, ისევე როგორც დეპუტატი, არ შეიძლება არჩეულ იქნენ ზედიზედ მეორე ვადით. სენატის შემადგენლობაში 128 სენატორია – ყოველი შტატიდან, ტერიტორიიდან და ფედერალური ოლქიდან 4-4 წარმომადგენელი, რომლებთან ერთად აირჩევიან მათი მოადგილეებიც, რომლებიც სენატორის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ადგილს იკავებენ.

არჩევნები ყოველთვის აგვისტოში ტარდება. არჩევნების ჩატარებას კონტროლს უწევს ფედერალური საარჩევნო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა მდივანი, ხოლო კომისიის შემადგენლობაში შედიან: კონგრესის პალატების მიერ დანიშნული თითო წევრი,

სახელმწიფო ნოტარიუსის კომისიის მიერ დანიშნული ერთი პირი, რომელიც საარჩევნო კომისიის მდივანია. ამას გარდა, კომისიაში წარმოდგენილია თითო უფლებამოსილი პირი პოლიტიკური პარტიებიდან, მაგრამ თუ პარტია პირობითად არის რეგისტრირებული, მის წარმომადგენელს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება აქვს, ამასთან, კომისიაში შედიან პარლამენტისა და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის თითო თანაშემწე. ფედერალური საარჩევნო კომისია შტატების საარჩევნო კომისიებში ნიშნავს 4-4 უფლებამოსილ პირს, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს, ერთ-ერთს ადგილობრივი ნოტარიუსებიდან. შტატების კომისიების შემადგენლობაში გაერთიანებული არიან პარტიების წარმომადგენლები და ყველა აღნიშნული პირის თანაშემწეები. ფედერალური საარჩევნო კომისია მონაწილეობას იღებს ასევე ოლქების საარჩევნო კომიტეტების დაკომპლექტებაში, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებს ნიშნავს ოლქის საარჩევნო კომიტეტი ადგილობრივი, პოლიტიკურად ქმედუნარიანი მოსახლეობისგან, რომელთაც დადებითი რეპუტაცია და შესაბამისი ცოდნა აქვთ. არჩევნების შედეგების სამართლიანობის დადგენის მიზნით, აქ შექმნილია საარჩევნო პროცესის დავათა განმხილველი სპეციალური სასამართლო.

საარჩევნო პროცესს აწესრიგებს 1977 წლის კანონი „პოლიტიკური ორგანიზაციებისა და საარჩევნო პროცესის შესახებ“, რომელიც 10 საარჩევნო სტადიას გამოყოფს. ამომრჩეველი ხმას აძლევს საცხოვრებელი საარჩევნო უბნის მიხედვით, მაგრამ კონგრესის არჩევნებში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ ოლქის ყოველ უბანში, ხოლო პრეზიდენტის არჩევნებში – ქვეყნის ნებისმიერ ადგილას.

პოლიტიკური პარტიის სტატუსი საარჩევნო კანონით რეგულირდება, რომლის მიხედვით პარტია იურიდიული პირია, თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისგან და საარჩევნო აგიტაციის წარმართვისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გარკვეულ თანხას იღებს.

პარტიის რეგისტრაციას ახდენს ფედერალური საარჩევნო კომისია ორი ფორმით: საბოლოო და პირობითი რეგისტრაციით. საბოლოო რეგისტრაციისთვის პარტიას უნდა ჰყავდეს 60 ათასი წევრი მაინც და დადგენილი რაოდენობის საარჩევნო კანდიდატები. პირობითი რეგისტრაციისთვის აუცილებელია წარმოდგენილი გაერთიანება უკანასკნელი 4 წლის მანძილზე დაინტერესებული იყოს პოლიტიკური საქმიანობით ან იყოს ეროვნულ-პოლიტიკური ასოციაცია. პირობითი რეგისტრაცია მხოლოდ ერთ კონკრეტულ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აკუთვნებს გაერთიანებას, მაგრამ, თუ ეს უკანასკნელი არჩევნებში ხმათა 1,5%-ს მაინც მოიპოვებს, მაშინ იგი დარეგისტრირდე-

ბა საბოლოოდ. პოლიტიკური გაერთიანების ცალკე სახეა პოლიტიკური ასოციაცია, რომელიც პოლიტიკური იდეოლოგიის საკითხების დასამუშავებლად იქმნება და აერთიანებს წათას წევრზე მეტს. იგი არჩევნებში მხოლოდ პარტიებთან ბლოკში მონაწილეობს.

სამოქალაქო სამართალი

მექსიკა, ე.წ. „სამოქალაქო სამართლის“ ქვეყანაა, მაშინ, როცა აშშ და კანადა „ჩვეულებითი სამართლის“ სახელმწიფოებად იწოდება. მათ შორის ძირითადი განსხვავება, სამართლის ამ სფეროში სამართალწარმოებასა და საერთაშორისო შეთანხმებათა როლშია.

მექსიკაში სულ 32 სამოქალაქო კოდექსი მოქმედებს – 1 ფედერალური და 31 ფედერაციის სუბიექტებისა. გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს 1984 წლის აქტი „საავტორო უფლებების შესახებ“, რომელშიც 1991 წელს შევიდა ცვლილებები, 1994 წლის აქტი „სამრეწველო საკუთრების შესახებ“, რომელიც მოიცავს ნორმებს პატენტების, სავაჭრო ნიშნებისა და სავაჭრო საიდუმლოების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მექსიკის კომერციული კოდექსი და ცალკეული აქტები ინტელექტუალური სამართლის შესახებ.

მექსიკის კომერციული კოდექსი, როგორც მისი ტექსტი ადგენს, არის სამოქალაქო კოდექსის დამატება იმ საკითხებში, რაც მისი რეგულირების სფეროს გარეთ რჩება. მაგალითად, იგი არეგულირებს ნივთების ნაკლთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება, მისი პირობები და ვადები. სამოქალაქო კოდექსი კი უფრო დანვრილებით ასახავს სახელშეკრულებო ურთიერთობებს და ადგენს, ე.წ. „ქვანთი მინორის“ პირობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ნასყიდობა მაშინ იქნება კანონიერი, თუ მყიდველი იმ ფასს იხდის, რასაც ნაკლის ცოდნის შემთხვევაში გადაიხდიდა. ასევე, დადგენილია გამყიდველისა და მყიდველის უფლებები და ვალდებულებები, თუ მათ იცოდნენ ნივთის ნაკლის შესახებ.

ინტელექტუალური სამართლის საკითხებს არეგულირებს კანონი „საავტორო უფლებათა შესახებ“, რომელიც 200-მდე მუხლისგან შედგება და ითვალისწინებს კონტრაქტების რეგისტრაციის, უფლებათა განხორციელების, ტრანსფერებისა და ლიმიტების, დოკუმენტების რეგისტრაციის, საგამომცემლო, კომპიუტერული და სამუსიკო, აუდიოვიზუალური, ხმის ჩანერის, თარგმანთან დაკავშირებული უფლებების დაცვის გარანტიებს. მექსიკის საავტორო სამართალი, ასევე, განსაზღვრავს მორალურ და

ეკონომიკურ უფლებებს. ეკონომიკურ უფლებებში იგულისხმება სხვა პირთა მიერ რეპროდუქციის, გამოქვეყნების, გასხვისების და სხვა საავტორო უფლებების დაცვა. საავტორო უფლებების არაკანონიერი გამოყენება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 6 წლამდე.

სისხლის სამართალი

მექსიკის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1931 წელს იქნა მიღებული, გერმანულ-რომანული მოდელის მიხედვითაა შედგენილი. რა თქმა უნდა, ასეთივე გავლენის ქვეშ შეიქმნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც, რომელიც 1934 წელს იქნა მიღებული.

1997 წელს მექსიკის სისხლის სამართალში სერიოზული რეფორმები იქნა გატარებული და სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებმა უამრავი ცვლილება განიცადა. მანამდე კი ცვლილებათა პროექტები 1958, 1963, 1980, 1991 წლებში იყო წარმოდგენილი.

მკაცრად განისაზღვრა საგამოძიებო უფლების მქონე ორგანოები და მათი კომპეტენცია, დაკავებისა და დაპატიმრების ვადები და წესი, დაკავებულისა და ეჭვიმტანილის საპროცესო უფლებები და გარანტიები.

ცვლილებები განიცადეს სასჯელთა სახეებმაც. თუ 1931 წლისთვის პატიმრობის ვადა 3 დღიდან 30 წლამდე იყო შემოსაზღვრული, ეს უკანასკნელი ეტაპობრივად მკაცრდებოდა და მოხდა ისე, რომ მოგვიანებით იგი 40-მდე გაიზარდა, 1989 წელს – 50 წელი გახდა, ხოლო ბოლო რეფორმის შედეგად უკვე 60 წელს მიაღწია. როგორც სასჯელის ერთი ნაირსახეობა – საჯარიმო დღეები შემოღებულ იქნა 1984 წელს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 18 წლის ასაკიდან იწყება.

სისხლის სამართლის კოდექსში დიდი ყურადღება ეთმობა ინფორმაციის საიდუმლოების დაცვას, რისთვისაც დაწესებულია ჯარიმა 5-დან 50 პესომდე და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა, უფრო მძიმე დანაშაულისთვის კი – 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 50-დან 500 პესომდე. ბავშვის მოტაცების ფაქტზე დამნაშავე 20 წლით ისჯება, ხოლო დამამძიმებელი გარემოებებით სასჯელი 40 წლამდე იზრდება. მკვლელობისთვის სასჯელის საწყისი ოდენობაც 20 წელია.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

მექსიკის კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები 3 ჯგუფად იყოფა. ესენია: ადამიანის პირადი,

პოლიტიკური და სოციალური უფლებები. ამასთან, კონსტიტუციაში ცალკე თავი ეძღვნება შრომასა და სოციალურ უზრუნველყოფას.

პირადი უფლებებიდან გარანტირებულია პიროვნების სიცოცხლის, ხელშეუხებლობის, სინდისის, თავდაცვის, თავისუფალი გადაადგილების უფლებები. დაუშვებელია გაუთვალისწინებელი სასჯელის, ჯარიმების, ქონების კონფისკაციის და სხვა უჩვეულო სასჯელების გამოყენება. აკრძალულია სიკვდილით დასჯა, გარდა სახელმწიფო გადატრიალების, ზოგიერთი სახის მკვლელობისა და სამხედრო დანაშაულის შემთხვევებში.

სასამართლო, გამოძიების ნებისმიერ სტადიაზე, მკაცრად იცავს ექვმიტანილის უფლებებს, კანონმდებლობის მიერ განსაზღვრულია დაკავებისა და დაპატიმრების ვადები და მათი ამოქმედების წესი.

ჯერ კიდევ 1857 წლის მექსიკის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული სისხლისსამართლებრივი პროცედურა ჩამოჰყავდა „ჰაბეას კორპუს“-ს. იგი იცავდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს რამდენიმე ასპექტით. აქ საქმე გავქვს „ამპარო-ლიბერტი“-სთან, რომელიც საშუალებას აძლევს პატიმარს, მიმართოს მოსამართლეს კანონიერების დასაცავად.

თავდაცვის მიზნით, კანონითვე დადგენილია, რომ გამონაკლისების გარდა, მექსიკის ყველა მცხოვრებს გარანტირებული აქვს იარაღის ტარების უფლება, ისევე, როგორც ყველა მოქალაქეს აქვს ქვეყნიდან გასვლის, შემოსვლის, გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის უფლება.

პოლიტიკური უფლებების გარანტიას წარმოადგენს მოქალაქეების მიერ პოლიტიკურ საკითხებზე პეტიციის უფლება, რაზეც თანამდებობის პირმა მოკლე ხანში უნდა გასცეს წერილობითი პასუხი. არ შეიძლება შეიზღუდოს ქვეყნის მოქალაქეების უფლება, შეიკრიბონ საჯაროდ, უიარაღოდ და კანონით დადგენილი მიზნით.

სოციალური უფლებებიდან გარანტირებულია: განათლების უფლება – დანყებითი განათლება სავალდებულოა, სახელმწიფო სწავლება – უფასო; პროფესიისა და საქმიანობის არჩევის თავისუფლება. განსაზღვრულია სამუშაო დღის ხანგრძლივობა, ღამის, ქალთა და 16 წლამდე პირთა შრომის გარანტიები. აღიარებულია გაფიცვის თავისუფლება, კანონით დადგენილი მიზნებით.

მექსიკაში ადამიანის უფლებების დაცვა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სასამართლო ორგანოების პრეროგატივაა, მაგრამ ქვეყანაში

განხორციელებული რეფორმების შედეგად შეიქმნა ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ თავისი უფლებამოსილებებითა და საქმიანობის თავისებურებებით, ე.წ. კოლექტიური ომბუდსმენის ერთგვარი ანალოგია და ქვეყნის ფარგლებში კომისიური წესით ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს.

სასამართლო სისტემა

მექსიკაში სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციული მონ-
ესრიგებულობის საქმეს განაგებს და სასამართლოების საქმიანობაზე
ზედამხედველობის ფუნქცია აკისრია სამართალშემოქმედების
საბჭოს. მთლიანობაში კი მექსიკის სასამართლო სისტემაში განსახი-
ლველ საქმეთა კონკრეტული სფეროებისადმი კუთვნილების
მიხედვით, განასხვავებენ საერთო და სპეციალური იურისდიქციის
სასამართლოებს.

ფედერალური საერთო იურისდიქციის სასამართლოების სათავეში
უზენაესი სასამართლო დგას. იგი შედგება 21 ნევრისგან და მოქმედებს
პლენუმისა და 2 — სისხლისა და სამოქალაქო, აგრეთვე, ადმინისტრა-
ციული და შრომის კოლეგიათა სახით. გარდა ამისა, მის შემადგენლ-
ობაშია 5 სათადარიგო ნევრი, რომლებსაც არც ერთ შემთხვევაში არა
აქვთ პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის უფლება. უზენაესი სასამა-
რთლოს სხდომები საჯაროა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

უზენაესი სასამართლოს ნევრობის კანდიდატი, არჩევის დროის-
თვის შეიძლება იყოს 35-დან 65 წლამდე ასაკის, დაბადებით მექსიკის
მოქალაქე, უნდა ფლობდეს სრულ პოლიტიკურ და სამოქალაქო
უფლებებს, ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, დადებითი
რეპუტაცია, არ უნდა იყოს გასამართლებული დანაშაულისთვის,
სასჯელით 1 წელზე მეტი ვადით, უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში უკა-
ნასკნელი 5 წლის მანძილზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მექსიკის
სამსახურშია ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ამ შემთხვევაში, სავალდებ-
ულოა მხოლოდ ექვსთვიანი ბინადრობის ცენზი.

უზენაესი სასამართლოს ნევრებს თანამდებობაზე ნიშნავს
პრეზიდენტი და დასამტკიცებლად წარუდგენს სენატს. თუ პრეზიდენტის
მიერ ორჯერ წარდგენილ სხვადასხვა კანდიდატურას სენატი არ დაამტ-
კიცებს, პრეზიდენტი ნიშნავს მოსამართლის მოვალეობის დროებით შე-
მსრულებელს, რომელიც სენატმა უნდა დაამტკიცოს. თუ ამ შემთხვევაში
სენატი რეაგირებას არ მოახდენს, მოსამართლე დამტკიცებულად ითვლ-
ება. უზენაესი სასამართლოს ნევრის გარდაცვალების, გადადგომის ან

მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, იმავე წესით ინიშნება ახალი წევრი. თუ მოსამართლის დამტკიცების პროცედურას დაემთხვევა სენატის არდადეგები, პრეზიდენტს, სენატის შეკრებამდე, თანხმობას მუდმივი კომიტეტი აძლევს. უმაღლესი სასამართლო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომლის გადარჩევა იმავე თანამდებობაზე შეზღუდული არ არის.

ფედერალური უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება ფედერალურ მთავრობასა და შტატებს შორის დავის და ყველა იმ საქმის განხილვა, სადაც დაინტერესებულ მხარედ ფედერაცია გვევლინება, ასევე, ფედერაციის სასამართლოებში, მათსა და შტატების და შტატების სასამართლოებს შორის წარმოშობილი სამართალწარმოების საქმეები. უზენაესი სასამართლო იხილავს, ასევე, საჩივრებს რაიონის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, თუ სისხლის სამართლის საქმეზე სარჩელი ეხება სასჯელის არასწორ გამოყენებას და ფედერალური ადმინისტრაციის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევას.

უზენაესი სასამართლოს ქვემდგომ ფუნქციონირებენ 93 კოლეგიალური საოლქო და 50 ე.წ. გაერთიანებული საოლქო სასამართლოები, რომლებიც სააპელაციო და ე.წ. „ამპაროს“ საქმეებს განიხილავენ, აგრეთვე, 185 რაიონის სასამართლო, რომლებიც პირველი ინსტანციით იხილავენ „ამპაროს“ საქმეებს. საოლქო სასამართლოები კოლეგიური წესით იხილავენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევის საქმეებს, ხოლო გაერთიანებული საოლქო სასამართლოები კი აპელაციებს.

აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეები რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ ინიშნებიან 4 წლის ვადით, რომელსაც აქვს, ასევე, სათადარიგო წევრების დანიშვნის უფლება. უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს, მოსამართლეები ერთი დონის სასამართლოდან მეორეში გადაიყვანოს ან სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეცვალოს სასამართლოთა ადგილმდებარეობა.

ფედერალური ოლქისა და ტერიტორიის უმაღლესი სასამართლო ორგანოს – უმაღლესი ტრიბუნალების წევრები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ, დეპუტატთა პალატის თანხმობით, 6 წლის ვადით. ხოლო ქვემდგომი სასამართლოს წევრებს უმაღლესი ტრიბუნალი ნიშნავს იმავე ვადით და ხელახლა არჩევის შესაძლებლობით.

კონსტიტუციით ცალკეა გამოყოფილი ფედერაციის სასამართლოების იურისდიქცია, რომლებიც იხილავენ ხელისუფლების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა საფუძველზე ადამიანის უფლებათა გარანტიების ფაქტებთან დაკავშირებულ საქმეებს; ანალოგიურ ქმედებებზე,

თუ ამით ირღვევა ან იზღუდება შტატების სუვერენიტეტი, სადაც დაინტერესებულ მხარედ გვევლინება ფედერაცია; საზღვაო სამართლის ყველა საქმეზე; შტატებსა და ფედერაციას, აგრეთვე, შტატებს შორის, ფედერალური ოლქის სასამართლოთა და შტატისა და ფედერაციის სასამართლოებს შორის წარმოშობილ დავებზე; შტატებსა და სხვა შტატის მოქალაქეს შორის არსებულ დავაზე; დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენელთა ყველა საქმეზე.

მექსიკაში მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომლებიც იმ ტერიტორიის მოსახლეობის წარმომადგენელთაგან შედგება, სადაც ჩადენილია დანაშაული. მსჯავრდადებულს აქვს მსაჯულის მოთხოვნის უფლება, როცა სასჯელად შეიძლება დაინიშნოს 1 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ან საკითხი ეხება საზოგადოებრივი წესის დარღვევას ბეჭდვითი სიტყვის საშუალებებით.

შტატების სასამართლო ორგანოთა ძირითად სტრუქტურას ფედერალური კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომლის საფუძველზეც შტატებში შემდეგი სასამართლოები ფუნქციონირებენ: უმაღლესი სააპელაციო იურისდიქციის მქონე უმაღლესი ტრიბუნალები, პირველი ინსტანციის სასამართლოები და სპეციალური იურისდიქციის ქვემდგომი, საოჯახო და საბანკროტო სასამართლოები.

სპეციალური იურისდიქციის ფედერალურ სასამართლოებს განეკუთვნება შემთანხმებელი და საარბიტრაჟო ფედერალური პალატა, რომელიც შრომის სამართლებრივ დავებს იხილავს, აგრარულ საქმეთა, სამხედრო საქმეთა, საარჩევნო პროცესის დავათა განმხილველი და სხვა სასამართლოები. სპეციალური იურისდიქციის ადგილობრივ სასამართლოებს კი წარმოადგენენ ადმინისტრაციული, მშვიდობის და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეთა განმხილველი სასამართლოები.

მექსიკის კონსტიტუციის ის თავი, სადაც სასამართლო ხელისუფლებაა განხილული, შეიცავს ნორმებს პროკურატურის ორგანიზაციის შესახებ, რომლის თანახმადაც, ფედერალური პროკურატურის თანამდებობის პირები ინიშნებიან და თავისუფლდებიან პრეზიდენტის მიერ. პროკურატურის ორგანოების სისტემას ხელმძღვანელობს მექსიკის გენერალური პროკურორი და ამ თანამდებობაზე მოხვედრის კანდიდატი იმავე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რასაც უმაღლესი სასამართლოს წევრი. გენერალური პროკურორი უშუალოდ ექვემდებარება პრეზიდენტს და იმავდროულად, არის მთავრობის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში.

ფედერალური პროკურატურის კომპეტენციას განეკუთვნება დაკავების შესახებ სანქციის გაცემა, დანაშაულის მტკიცებულებათა

შეგროვება და წარდგენა, სასამართლოში საქმის სწორად მიმდინარეობაზე ზედამხედველობა, რათა დაჩქარდეს საქმის წარმოება, ბრალდებისა და სასჯელის წარდგენა.

გენერალური პროკურორი პირადად მონაწილეობს იმ საქმეთა განხილვაში, სადაც დაინტერესებულ მხარედ ფედერაცია მონაწილეობს, კერძოდ, უმაღლესი სასამართლოს წევრთა, ელჩებისა და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენელთა საქმეებზე, ასევე შტატებს, შტატებსა და ფედერაციას, შტატების ხელისუფლების შტოთა დავის საქმეებზე. სხვა შემთხვევებში, სადაც აუცილებელია ფედერალური პროკურატურის ჩარევა, გენერალური პროკურორი თვითონ ან სხვა ფედერალური პროკურორის მეშვეობით მონაწილეობს. სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციას ფედერალურ ოლქსა და ტერიტორიებზე მეხიკოში მყოფი გენერალური პროკურორი და სხვა პროკურორები ასრულებენ.

მექსიკაში ცალკე არ არის გამოყოფილი საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო და მას საერთო იურისდიქციის ფედერალური და შტატის ყველა დონის სასამართლოები ახორციელებენ, თავად კონსტიტუციით განსაზღვრულ ჩარჩოებში, რომელსაც ფედერალური კონსტიტუცია მხოლოდ რამდენიმე ნორმის დონეზე ადგენს. კერძოდ, უზენაესი სასამართლო იხილავს საქმეებს, რომელიც წარმოიშობა ორ ან რამდენიმე შტატს შორის, ხელისუფლების შტოთა მოქმედებების კონსტიტუციურობის თაობაზე. ასევე, განსაზღვრავს რაიონის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებას, თუ საქმე ეხება კანონის კონსტიტუციურობას.

ლიტერატურა:

1. მექსიკის კონსტიტუცია (ინგლისურ ენაზე), ინტერნეტის საიტი <http://www.eur.nl.frg/iasl/armenia/constitu/constit/mexico-r.htm>;
2. გ. გოგიაშვილი, მექსიკა// შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ. 163-165;
3. Якушев А.В., Основы Конституционного Права Мексики// Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 1999, стр. 233-236;
4. Civil Law of Mexico. Internet. <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/muria.html>;
5. Criminal Law and Criminal Prosedure. Internet. <http://wings.buffalo.edu/law/bolo/resource.htm>;
6. Background of Mexico's Legal Sistem. Internet. <http://www.natlaw.com/database.htm>.

ნიდერლანდები

ნიდერლანდები ანუ ნიდერლანდების სამეფო, როგორც მას ოფიციალურ დოკუმენტებში უწოდებენ, დასავლეთ ევროპის ეკონომიკურად მძლავრი და სტაბილური ქვეყანაა. 15 მილიონზე მეტი მისი მრავალეროვანი მოსახლეობა 41,5 ათას კმ² ტერიტორიაზე ბინადრობს, მათ შორის, ანტილიის რიგ კუნძულებზეც. ნიდერლანდებს აღმოსავლეთით ესაზღვრება გერმანია, სამხრეთით ბელგია; ხოლო ჩრდილოეთითა და დასავლეთით — ჩრდილოეთის ზღვა. ქვეყნის დედაქალაქია ამსტერდამი, მაგრამ ადმინისტრაციული ცენტრი ჰააგაშია თავმოყრილი. ფულის ერთეულია ნიდერლანდური გულდენი. სახელმწიფო ენა არის ნიდერლანდური, რომელსაც ისტორიულად ფლამანდიური ეწოდება, მაგრამ იმის გამო, რომ უცხოელები ხშირად ხმარობენ ქვეყნის არაოფიციალურ სახელწოდებას — ჰოლანდიას, ენაც ჰოლანდიურად მოიხსენიება.

ნიდერლანდური სამართალი კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება. ნიდერლანდების სამეფოს მოქმედი, რიგით მეშვიდე კონსტიტუცია 1983 წლის 17 თებერვალს იქნა მიღებული. ნიდერლანდების სამეფო მმართველობის ფორმით დუალისტურ კონსტიტუციურ მონარქიას, ხოლო წყობილების ფორმით დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენს.

კონსტიტუციური სამართალი

ხელისუფლების ბალანსი ამგვარ სახეს ღებულობს: სახელმწიფოს მეთაურია მონარქი, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებას უმაღლეს საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოსთან — გენერალურ შტატებთან ერთად, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას — მთავრობასთან ერთად ახორციელებს; სასამართლო ხელისუფლებას ნიდერლანდების უზენაესი სასამართლო წარმართავს, საერთო და სპეციალური იურისდიქციის სასამართლოებთან ერთად.

მონარქი, დუალისტური მონარქიის მეფე — მეთაურია და მისი პიროვნება ხელშეუხებელია. იგი ერთგვარი მეწილის როლში გამოდის, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების საქმეში. მონარქი აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებით: გარდა იმისა, რომ იგი ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრს და დანარჩენ მინისტრებს,

თავადაც, კონსტიტუციაში „მთავრობის“ თავში განიხილება, ფუნქციურად კი მთავრობის შემადგენლობაშია გაერთიანებული და აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობს; მონარქის ბრძანებულებით იქმნება სამინისტროები; იგი ნიშნავს კომისრებს პროვინციებში; ამტკიცებს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებს; შეუძლია დაითხოვოს პარლამენტის პალატები; ხელმძღვანელობს საგარეო ურთიერთობებს; შეიწყალებს მსჯავრდადებულთ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მონარქის უფლებამოსილებები, ძირითადად, ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან უდიდესი ნაწილი უშუალოდ მთავრობის მიერ ხორციელდება.

ყოველწლიურად, სექტემბრის მესამე სამშაბათს, მონარქი პარლამენტის პალატების გაერთიანებულ სხდომას მოახსენებს ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. მონარქთან არსებობს სათათბირო ორგანო, სახელმწიფო საბჭო, რომლის მეშვეობით იგი პარლამენტთან ერთად საკანონმდებლო საქმიანობასაც ახორციელებს. სახელმწიფო საბჭოს წევრები, ყოფილი სახელმწიფო მოღვაწენი, მოსამართლენი, ბიზნესმენები, ინიშნებიან მონარქის მიერ. სახელმწიფო საბჭოს მეთაურობს მონარქი, რეალურად კი მის საქმიანობას უძღვება ვიცე-თავმჯდომარე. საბჭო ახორციელებს კანონპროექტების წინასწარი განხილვისა და ზოგადი ადმინისტრაციული წესების დადგენის ფუნქციას.

სამეფო ტახტის მემკვიდრედ ითვლება მონარქის უფროსი შვილი, ისე, რომ ვაჟიშვილების უპირატესობა ქალიშვილებთან გაუქმებულია. მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში, მონარქი შეიძლება დაინიშნოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება გენერალური შტატების ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე ხმების 2/3-ით. თუ არასრულწლოვანების გამო ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში მონარქს არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებამოსილება, პარლამენტის გადაწყვეტილებით ინიშნება რეგენტი, რომელიც ახორციელებს მონარქის უფლებამოსილებას განსაზღვრული ვადით. სამეფო ტახტის მემკვიდრეს არ შეუძლია დაქორწინდეს პარლამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი და მისი შთამომავლობა დაკარგავენ მემკვიდრეობის უფლებას.

პარლამენტი ანუ გენერალური შტატები შედგება ორი პალატისგან. ქვედა, ე. წ. მეორე პალატაში წარმოდგენილია 150, ხოლო ზედა — პირველ პალატაში 75 დეპუტატი, რომლებიც არჩეულნი არიან

პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით, 4 წლის ვადით. ქვედა პალატაში დეპუტატები აირჩევიან უშუალოდ მოქალაქეების მიერ, ხოლო ზედა პალატის დეპუტატებს ირჩევენ ირიბი წესით – პროვინციების წარმომადგენლობითი ორგანოების – საბჭოების წევრები.

გენერალური შტატების ძირითადი ფუნქციებია: კანონმდებლობა და კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე, რომელიც მინისტრებისადმი შეკითხვების, ინტერპელაციის ფორმით თუ საგამოძიებო კომისიების მეშვეობით ხორციელდება. საპარლამენტო უფლებამოსილებების განხორციელებისას, პარლამენტის პალატები არათანაბარძალოვანია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვედა პალატის პრეროგატივები. მხოლოდ მას აქვს საკანონმდებლო ინიციატივისა და ეროვნული ომბუდსმენის დანიშვნის უფლება, წარადგენს კანდიდატურებს უზენაეს სასამართლოსა და გენერალურ საანგარიშო პალატაში არსებულ ვაკანსიებზე. ასე რომ, პირველად წოდებული ზედა პალატა, კომპეტენციის თვალსაზრისით, ნამდვილად არ არის პირველი.

პარლამენტის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე ნიდერლანდების მოქალაქე 18 წლის ასაკიდან. გენერალური შტატების დეპუტატი იმავდროულად არ შეიძლება იყოს მინისტრი, სახელმწიფო მდივანი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, საანგარიშო პალატის წევრი, უზენაესი სასამართლოს წევრი, გენერალური პროკურორი. დეპუტატი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში, პარლამენტში მის მიერ გამოთქმული აზრისთვის.

პარლამენტის თითოეული პალატა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. ქვედა პალატის პრეზიდიუმი შედგება პალატის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეებისგან, ხოლო ზედა პალატის თავმჯდომარისა და ფრაქციების ლიდერებისგან. გენერალური შტატების პალატებში იქმნება მუდმივი და სპეციალური კომიტეტები, მაგრამ სხვა ქვეყნების პარლამენტებისგან განსხვავებით, ისინი საკანონმდებლო პროცესში როგორაღმე მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებენ. ყოველივე იმის შედეგი უნდა იყოს, რომ კომიტეტის წევრობა დიდ დატვირთვას არ უნდა ნიშნავდეს. თუნდაც იმიტომ, რომ დეპუტატი შეიძლება იყოს ერთდროულად რამდენიმე კომიტეტის წევრი.

კანონპროექტის წარდგენა ხდება მონარქის მიერ, მისი სახელით, ან გენერალური შტატების ქვედა პალატის მიერ, თუმცა კანონპროექტების 90%-ზე მეტს, სწორედ მონარქის სახელით მთავრობა წარად-

გენს. კანონპროექტი თავდაპირველად განიხილება ქვედა პალატაში, თუ იგი არ ექვემდებარება ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე განხილვას. ზედა პალატას არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და არ შეუძლია შეიტანოს შესწორება ან დამატება ქვედა პალატის მიერ მიღებულ კანონპროექტში, მას შეუძლია მიიღოს ან ვეტო დაადოს მას. ქვედა პალატა ვერ მიიღებს კანონპროექტს ზედა პალატის გვერდის ავლით. ნიდერლანდურ კონსტიტუციურ სამართალში ასეთი უთანხმოების გადაწყვეტის გზები განსაზღვრული არ არის. თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონპროექტი უნდა დამტკიცდეს მონარქის და კონტრასიგნირებულ იქნეს შესაბამისი მინისტრის მიერ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე შეიძლება აღნიშნული უხერხულობის მოხსნა.

მთავრობა შედგება მონარქის, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. მინისტრთა კაბინეტის ფორმირების პროცესი კონსტიტუციით არ რეგულირდება. ფორმალურად მინისტრებს ნიშნავს მონარქი, ფაქტობრივად კი, მთავრობის ფორმირება დამოკიდებულია ქვედა პალატაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზე. მინისტრების დანიშვნის დროს მონარქის პირადი მრჩეველი არის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარე. მონარქს შეუძლია კონსულტაციები აწარმოოს ზედა პალატის თავმჯდომარესა და ფრაქციების ლიდერებთან, თუმცა ზედა პალატას ნაკლებმნიშვნელოვანი როლი აკისრია კოალიციური მთავრობის ფორმირებაში.

მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს კაბინეტს ქვედა პალატის უმრავლესობასთან, რის გამოც ოპოზიციურ პარტიებს არ შეუძლიათ დაბლოკონ მთავრობის პოლიტიკა. მინისტრები და მათი მოადგილეები რეგულარულად ატარებენ კონსულტაციებს პალატების თავმჯდომარეებსა და ფრაქციების ლიდერებთან. მინისტრები ქმნიან მინისტრთა საბჭოს, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი, თუმცა მისი უფლებამოსილებები საკმაოდ შეზღუდულია. სუბორდინაცია პრემიერსა და მინისტრებს შორის არ არსებობს, მინისტრები ხელმძღვანელობენ სამინისტროებს, ცალკეული, სპეციალური ფუნქციების შესასრულებლად შეიძლება დაინიშნოს უპორტფელო მინისტრიც. მინისტრის მოადგილეების, ანუ სახელმწიფო მდივნების დანიშვნა და გათავისუფლება ხდება მონარქის ბრძანებულებით. ისინი, მინისტრის არყოფნის შემთხვევაში, ხელმძღვანელობენ სამინისტროს და პასუხს აგებენ მის საქმიანობაზე, თუმცა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში არ შედიან.

სახელმწიფო მინისტრის ტიტული ენიჭებათ წარსულში გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ისინი რჩევებს აძლევენ მთავრობასა და მონარქს გარკვეულ საკითხებზე, თუნდაც, მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით. კაბინეტის გადადგომის მიზეზი შეიძლება იყოს შინაგანი კონფლიქტი ან უთანხმოება მონარქთან, აგრეთვე, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება.

ნიდერლანდების სამეფო წარმოადგენს დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს. იგი დაყოფილია 12 პროვინციად, რომლებიც, თავის მხრივ, 62 მუნიციპალიტეტს აერთიანებენ. პროვინციებში ხელისუფლების ორგანიზაცია მნიშვნელოვანწილად ასახავს საერთო-სახელმწიფოებრივ მოდელს. პროვინციების წარმომადგენლობითი ორგანოა პროვინციული საბჭო ანუ შტატები, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოდგენილია პროვინციული მთავრობითა და მეფის წარმომადგენლით – კომისრით. პროვინციული შტატების წევრები აირჩევიან უშუალოდ მოქალაქეების მიერ, პროპორციული სისტემით, 4 წლის ვადით. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ამავე ვადით ირჩევს პროვინციულ მთავრობას 3-9 კაცის შემადგენლობით. კომისარი ინიშნება სამეფო დეკრეტით, 6 წლის ვადით და არის პროვინციული საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარე.

ანალოგიურად ხდება მმართველობის სისტემის ფორმირება მუნიციპალიტეტების დონეზეც. მუნიციპალური საბჭო ასევე აირჩევა 4 წლის ვადით და მას ხელმძღვანელობს ბურგომისტრი. საბჭოს წევრთა რაოდენობა მერყეობს 9-დან 45-მდე, შესაბამის ტერიტორიაზე მოსახლეობის რიცხოვნობიდან გამომდინარე. აღმასრულებელი ხელისუფლება მუნიციპალურ დონეზე ეკუთვნის ოლდერმენებსა და ბურგომისტრს. ოლდერმენები აირჩევიან მუნიციპალური საბჭოს მიერ თავისივე შემადგენლობიდან. მათი რაოდენობა ასევე დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე და მერყეობს 2-დან 6-მდე. ბურგომისტრი ინიშნება სამეფო დეკრეტით და სარგებლობს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის სტატუსით მუნიციპალიტეტში. კოლეგია, ბურგომისტრისა და ოლდერმენების შემადგენლობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთავრობას – მაგისტრატს, რომელსაც თავმჯდომარეობს ბურგომისტრი. იგი მთავრობის მიერ ინიშნება 6 წლით. მუნიციპალური საბჭოს ნებართვით დიდ ქალაქებში შეიძლება აირჩიონ 7 ან 8 ოლდერმენი. მაგისტრატი ანგარიშვალდებულია მუნიციპალური საბჭოს წინაშე. ბურგომისტრი იმავდროულად არის ადგილობრივი პოლიციის უფროსი და პასუხს

აგებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზეც. ამ მიზნით მას უფლება აქვს მასობრივი არეულობების ან უბედურების დროს გასცეს ბრძანება, რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს შესაბამის სამართლებრივ ნორმებს, მაგრამ არა კონსტიტუციას.

მუნიციპალური და პროვინციული საბჭოები აღჭურვილნი არიან ნორმაშემოქმედებითი და ადმინისტრაციული უფლებამოსილებებით. მთავრობა ასევე ახორციელებს ნორმაშემოქმედებით ფუნქციას, დელეგირებული კანონმდებლობის სახით. წარმომადგენლობით ორგანოებს როგორც პროვინციულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე შეუძლიათ უნდობლობის გამოცხადებით თანამდებობიდან გადააყენონ ადგილობრივი მთავრობა ან მისი წევრები.

ნიდერლანდების სამეფო, გარდა ევროპული ტერიტორიისა, მოიცავს ასევე ზღვისიქითა ტერიტორიებს: კუნძულ არუბას და ანტილიის სხვა კუნძულებს, რომლებიც კონტინენტური ტერიტორიის თანაბარი სტატუსით სარგებლობენ და მათი სახელისუფლო ორგანოების სტრუქტურა და კომპეტენციაც, მთლიანობაში, ანალოგიურია.

საარჩევნო სამართალი

ნიდერლანდების საარჩევნო სამართალი ერთსისტემიანია, ვინაიდან ყველა დონის წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემით. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებისთვის ასაკობრივი ცენზი 18 წელია. საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ ქმედუუნარო პირები და მსჯავრდადებულები, რომლებსაც სასამართლოს მიერ დანიშნული აქვთ სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ერთი წლის ვადით. პირებს, რომლებიც არ არიან ნიდერლანდების მოქალაქენი, მაგრამ არანაკლებ 5 წლისა მუდმივად ცხოვრობენ ამ ქვეყანაში, უფლება აქვთ აირჩიონ ან თვითონ იქნენ არჩეულნი მუნიციპალურ საბჭოში.

საარჩევნო კამპანიის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1989 წლის საარჩევნო კოდექსი და სხვა კანონები. არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭიროა პოლიტიკური პარტიის სახელწოდების რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში, 25 ამომრჩევლის ხელმოწერა და ფინანსური დეპოზიტი, პარტიული სიის საარჩევნო ოლქში წარსადგენად. კანონმდებლობა არ არეგულირებს კანდიდატების ნამოყენების შინაპარტიულ პროცესს.

პოლიტიკური პარტიები, რომელთა კანდიდატები მიიღებენ საარჩევნო კვოტის 3/4-ს, სარგებლობენ გარკვეული საგადასახადო

შელავათებით. კანონის თანახმად, პოლიტიკურმა პარტიამ, პარტიული სიის წარსადგენად უნდა გაიღოს საარჩევნო შენატანი 18 000 გულდენის ოდენობით, რომელიც უკან არ დაუბრუნდება, თუ შესაბამისი სია ვერ მიიღებს იმ ხმების 3/4-ს მაინც, რაც საჭიროა ერთი კანდიდატის ასარჩევად. საარჩევნო შენატანი არ შეაქვთ იმ პარტიებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან პარლამენტში. პარტიებს, რომლებმაც წარადგინეს კანდიდატები საარჩევნო ოლქების დადგენილ რაოდენობაში, გამოეყოფათ უფასო საეთერო დრო წინასაარჩევნო აგიტაციისთვის. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას დასაშვებია ხმის მიცემა მინდობილობით. ამომრჩეველი ხმას აძლევს მხოლოდ ერთ პარტიულ სიას. ადგილები კანდიდატებს შორის ნაწილდება კვოტის მეშვეობით.

არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს ორივე პალატის წევრი. პრეზიდენტის ბრძანებულება პალატის დათხოვის შესახებ უნდა ითვალისწინებდეს ახალი არჩევნების ჩატარებას. ახალარჩეული მეორე პალატის უფლებამოსილებას განსაზღვრავს პარლამენტის აქტი და არ შეიძლება აღემატებოდეს 5 წელს, ხოლო ახალარჩეული პირველი პალატის უფლებამოსილება დასრულდება დათხოვნილი პალატის უფლებამოსილების დარჩენილი ვადის ამონურვისთანავე.

ნიდერლანდები არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ამიტომ აქ ტარდება ევროპარლამენტის არჩევნებიც. ამ არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემა, აგრეთვე, განისაზღვრება აღნიშნული საარჩევნო კანონით. ევროპარლამენტის არჩევნებში ხმის უფლება აქვთ ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებსაც, რომლებიც ცხოვრობენ ნიდერლანდებში, ხოლო პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ნიდერლანდების მოქალაქენი.

სამოქალაქო სამართალი

ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი უახლესია დასავლეთ-ევროპული ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებს შორის. კოდექსი ეფუძნება კონტინენტური სამართლის სისტემის პრინციპებს და ასახავს თანამედროვე სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის განვითარების ტენდენციებს, ასევე, გარკვეულწილად ითვალისწინებს საერთო სამართლის სისტემის ინსტიტუტებსაც.

ჰოლანდიის სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის ერთი თავისებურება ის არის, რომ კოდექსი ცალკეული წიგნებისა და განყოფილებების მიხედვით შედის მოქმედებაში. სამოქალაქო კოდექსი ათ წიგნზეა გათვლილი, რომელთაგან მთლიანად ან ნაწილობრივ

მიღებულია 7 ნიგნი: პირველი ნიგნი ეხება ფიზიკურ პირებსა და საოჯახო ურთიერთობებს; მეორე ნიგნში იურიდიულ პირთა სამართლის ზოგადი ნაწილის გარდა, მოცემულია დებულებები ასოციაციების, ფონდების, შეზღუდული პასუხისმგებლობის კორპორაციების და სხვა იურიდიულ პირთა შესახებ; მესამე ნიგნი – მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი ნაწილის სახით მოიცავს ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების ზოგად წესებს. აქვე მოცემულია საკუთრებასთან დაკავშირებული ნორმები, საკუთრების ფლობა, გადაცემა და ა.შ.; მეხუთე ნიგნი შეიცავს სანივთო სამართლის ნორმებს და არეგულირებს ნივთებთან დაკავშირებულ იმ ურთიერთობებს, რომელსაც არ ითვალისწინებს მესამე ნიგნი; მეექვსე ნიგნი შეადგენს ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილს და სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს სახელშეკრულებო სამართალსაც; მეშვიდე ნიგნში განხილულია ხელშეკრულებათა ცალკეული სახეები, კერძოდ, ყიდვა-გაყიდვის, ნივთების სარგებლობაში გადაცემის, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული შრომისა და კოლექტიური ხელშეკრულებები და ა.შ., მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილობრივია მიღებული. მერვე ნიგნი განიხილავს ტრანსპორტირების სამართლის კონკრეტულ საკითხებს და არეგულირებს გადაზიდვა-გადაყვანასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კოდექსის ზოგიერთი თავის სრულყოფაზე მუშაობა მისი მიღების შემდეგაც გაგრძელდა. კვლავ დამუშავების პროცესშია კოდექსის მეოთხე ნიგნი, რომელიც განიხილავს მემკვიდრეობის სამართლის კონკრეტულ საკითხებს; მეცხრე ნიგნი, რომელიც მოიცავს სამრეწველო და ინტელექტუალური საკუთრების სამართალს და მეათე ნიგნი, რომელიც განიხილავს საერთაშორისო კერძო სამართალს.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ბევრი რამ შეცვალა, კერძოდ, სრულწლოვანების ასაკი შეამცირა 18 წლამდე, გაფართოვდა გათხოვილი ქალის უფლებები, კოდექსი ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, წვრილ მენარმეთა დაცვას მონოპოლისტებისგან. ნიდერლანდები არის ერთადერთი ქვეყანა ევროპაში, სადაც დაშვებულია ჰომოსექსუალური ქორწინება და ჰომოსექსუალურ წყვილს უფლება აქვს აღზარდოს ბავშვი.

ახალი სამოქალაქო კოდექსი არ გამოიყენება ნიდერლანდების ანტილიის კუნძულებსა და კუნძულ არუბაზე. აქ განაგრძობს მოქმედებას ძველი კანონმდებლობა. ნიდერლანდების უზენაესი სასამართლოს როლი, როგორც ანტილიის კუნძულების უმაღლესი

სასამართლოსი, შეზღუდულია, მას არა აქვს კომპეტენცია გადასახადებისა და გაკოტრების საქმეებზე.

სისხლის სამართალი

ნიდერლანდების სისხლის სამართალში იგრძნობა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და განსაკუთრებით, გერმანიის სამართლის გავლენა. 1811 წლიდან მოქმედებდა საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, ვიდრე ნიდერლანდელი კრიმინალისტების მიერ მომზადდა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 1881 წელს.

1881 წლის კოდექსში, ყველა სისხლის სამართალდარღვევა იყოფა ორ კატეგორიად: დანაშაულად და გადაცდომად. კოდექსის პირველ ნიგნში მოცემულია ზოგადი დებულებები, რომლებიც ვრცელდება ყველა დანაშაულზე. მეორე ნიგნი ეძღვნება კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობების განსაზღვრას, ხოლო მესამე ნიგნი — გადაცდომებს. გარდა კოდექსისა, ნიდერლანდების სისხლის სამართლის წყაროებია: 1950 წლის კანონი „ეკონომიკურ დანაშაულობათა შესახებ“, 1928 წლის კანონი „სამხედრო კორუფციის ორგანიზაციის შესახებ“, 1994 წლის კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ და 1989 წლის კანონი „შეიარაღების და უზრუნველყოფის შესახებ“.

სისხლის სამართლის კოდექსში დროთა განმავლობაში ასზე მეტი ცვლილება და დამატება შევიდა, რომლებიც, ძირითადად, სისხლის-სამართლებრივი სანქციების სისტემას, ასევე ზოგიერთი კატეგორიის სამართალდარღვევებს ეხება. მათგან აღსანიშნავია 1905 წლის კანონი „არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შესახებ“, 1915 წლის კანონი „პირობითი მსჯავრის შესახებ“, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი შეიქნა თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ჯარიმით, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით და სხვა სასჯელებით.

სრულწლოვანებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 18 წელია, ხოლო არასრულწლოვანთათვის 12 წელი. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ სანქციებს, იგი ფართო თავისუფლებას უტოვებს მოსამართლეს, განსაზღვროს სასჯელის ზომა და სახე. სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლენი შებოჭილნი არიან სასჯელის მხოლოდ მაქსიმალური ზომით, ვინაიდან კოდექსში მინიმალური ზომა მითითებული არ არის. სასჯელთა სისტემა ითვალისწინებს შემდეგ ძირითად სასჯელებს: ციხეში მოთავსებას, დაპატიმრებას, საზოგადოებრივ შრომას, ჯარიმას, პირობით მსჯავრს. ორი ძირითადი სასჯელის ერთდროულად დანიშვნა შეიძლება მხოლოდ გამონაკლის

შემთხვევებში. ციხეში მოთავსების მაქსიმალური ვადა არის 15 წელი ან 20 წელი დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისთვის. სამუდამო პატიმრობის დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი განზრახვით ან განზრახვის გარეშე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის დროს.

დაწყებული 70-იანი წლებით, ნიდერლანდებში ტარდებოდა ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის პოლიტიკა, რასაც ლობირებდნენ სოციალური მუშაკები, ექიმები, კრიმინოლოგები და სხვები. ამის შედეგად ჰოლანდიაში არ ისჯება მსუბუქი ნარკოტიკების მიღება ან ნვრილმანი ვაჭრობა და განსაზღვრულ შემთხვევებში ძლიერი ნარკოტიკებისაც, თუმცა ბოლო პერიოდში, ევროპის სახელმწიფოთა ზენოლის შედეგად, ნიდერლანდებშიც დაიწყო ამ მიმართულებით კანონის გამკაცრების ტენდენცია.

ადამიანის უფლებების დაცვის ბარანტიები

1983 წლის კონსტიტუციაში, განსხვავებით წინა კონსტიტუციებისგან, მოცემულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დეტალური რეგლამენტაცია. გარდა ტრადიციული უფლებებისა და თავისუფლებებისა, 1983 წლის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა სოციალურ უფლებათა მთელი ბლოკი, რაც მას ევროპაში ერთ-ერთ თანამედროვე და ჰუმანურ კონსტიტუციად წარმოაჩენს.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე, აგრეთვე, კანონიერების უზრუნველყოფასა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობაზე განხორციელებულ კონტროლში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეროვნული ომბუდსმენი. კანონი ეროვნული ომბუდსმენის შესახებ 1981 წლის 24 თებერვალს იქნა მიღებული. ნიდერლანდებში ეროვნული ომბუდსმენის ინსტიტუტი მიეკუთვნება უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა რიცხვს და გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობს. ეროვნული ომბუდსმენის კანდიდატურის შერჩევა ხდება ქვეყნის მაღალჩინოსანთა სპეციალური კომიტეტის რეკომენდაციით, ხოლო დანიშვნა ხორციელდება პარლამენტის ქვედა პალატის და არა მონარქის მიერ, ექვსი წლით.

ეროვნული ომბუდსმენის ფუნქციას წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ გამოცემული აქტებისა და განხორციელებული ქმედობის გამოძიება, რა თქმა უნდა, თუ ისინი ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ლახავს. ომბუდსმენი თითოეულ საჩივარზე პასუხის გაცემას, დაახლოებით, ორ-სამ კვირას ანდომებს. ყოველი განმცხადებელი იღებს დანვრილებით

ახსნა-განმარტებას საჩივრის თაობაზე, ზოგჯერ საქმე განსახილველად ეგზავნება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებს. მთავრობის მიერ სპეციალური დადგენილებების ფორმით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომლებიც რიგით მოქალაქეთა ინტერესებს ეხება, საქმეს იხილავს ადმინისტრაციული სასამართლო. ომბუდსმენის კომპეტენცია ამ მხრივ შეზღუდულია ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ.

ეროვნულ ომბუდსმენს შეუძლია დაიწყოს გამოძიება საკუთარი ინიციატივით. ამაში მას ეხმარებიან მოადგილეები და 70 კაციანი აპარატი. გამოძიების ჩატარებისას იგი ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს: ატარებს ინსპექციას, თავისთან მოიწვევს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს, განმცხადებელს, მონმეებსა და ექსპერტებს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ომბუდსმენს, მისი მოვალეობების განსახორციელებლად, წარუდგინოს საჭირო ინფორმაცია და შეფერხების გარეშე დაუშვას იგი ყველა ობიექტზე. ომბუდსმენის გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა არა აქვს და არც გასაჩივრებას ექვემდებარება. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ იმოქმედოს ომბუდსმენის მოხსენებისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

პარლამენტის ქვედა პალატაში, ეროვნული ომბუდსმენის საკითხებზე შექმნილია მუდმივმოქმედი კომიტეტი. ეროვნული ომბუდსმენი თანამშრომლობს მასთან, ყოველკვარტალურად საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს წარუდგენს მოხსენებას, განხილულ საქმეთა მოკლე აღწერითა და შესაბამისი რეკომენდაციებით. ამას გარდა, ომბუდსმენი თავის ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს ორივე პალატასა და მინისტრებს.

სასამართლო სისტემა

ნიდერლანდების თანამედროვე სასამართლო სისტემა ეფუძნება 1827 წლის კანონს „სასამართლო ორგანიზაციის შესახებ“, რომელმაც 1911 და 1971 წლებში გარკვეული ცვლილებები განიცადა. ამჟამად, ნიდერლანდებში მართლმსაჯულებას აღასრულებს საერთო და სპეციალური სასამართლოების სისტემა, რომელთა შორის აღსანიშნავია ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები.

სასამართლოთა სისტემას მკაცრად იერარქიული ხასიათი არა აქვს, მაგრამ უზენაესი სასამართლო, რომელიც შექმნილია 1838 წელს, კოორდინაციას უწევს და ამდენად, მეთაურობს მთელ სისტე-

ემას. იგი შედგება თავმჯდომარის, ორი-სამი მოადგილისა და 16 წევრისგან. მისი ძირითადი ფუნქციაა, როგორც უმაღლესმა და საბოლოო ინსტანციამ, განიხილოს, საკასაციო სარჩელი ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, სისხლისა და სამოქალაქო საქმეებზე, რამაც უნდა უზრუნველყოს კანონის ერთნაირი გაგება და შესრულება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საქმეს იხილავს კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციით, როდესაც ბრალი ედებათ პარლამენტის წევრებს, მინისტრებს ან სხვა მაღალი თანამდებობის პირებს.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებული ხუთი სააპელაციო სასამართლო განიხილავს სააპელაციო საჩივრებს, საოლქო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. სააპელაციო სასამართლოების შესაბამისი სექციები განიხილავენ საჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე, საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით.

19 საოლქო სასამართლო, პირველი ინსტანციით, ერთი მოსამართლის მიერ, განიხილავს სისხლისა და სამოქალაქო საქმეებს, ხოლო საჩივრები კანტონალური სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და ზოგიერთი რთული საქმე განიხილება კოლეგიის მიერ, სამი მოსამართლის შემადგენლობით. არასრულწლოვანთა საქმეებს იხილავს სპეციალური მოსამართლე.

უმდაბლესი სასამართლო ინსტანცია არის 62 კანტონალური სასამართლო, სადაც მოსამართლეები ერთპიროვნულად განიხილვენ მცირე მნიშვნელობის საქმეებს. ამ სასამართლოებს, როგორც წესი, არა აქვთ სექციები.

ნიდერლანდებში საკმაოდ განვითარებულია ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა სისტემა: შექმნილია სპეციალური სასამართლოები, რომლებიც იხილვენ სამოქალაქო მოხელეთა საჩივრებს მათი ხელმძღვანელობის ქმედებების მიმართ ან საჩივრებს სოციალური დაზღვევის ორგანოების გადაწყვეტილებებზე. უკანასკნელ შემთხვევაში ამ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ სააპელაციო საბჭოში – უტრეხტში. ამავე სისტემას განეკუთვნებიან სასამართლოები, რომლებიც იხილვენ დავებს სოციალურ-ეკონომიკური კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, მათ შორის კონფლიქტებს მენარმეებსა და დაქირავებულ მუშაკებს შორის.

სასამართლო დანესებულებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფო საბჭოს იურიდიულ განყოფილებას, რომელიც უმაღლესი ინსტანციით განიხილავს კერძო პირთა საჩივრებს, ხელისუფლების ორგანოთა ქმედებებსა და იმ დადგენილებებზე, რომლებიც გამოტანილია ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების მიერ.

მოსამართლებებს ნიშნავს მონარქი იმ პირთაგან, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ნიდერლანდების ერთ-ერთი უნივერსიტეტი. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს კი იმ სამი კანდიდატურიდან, რომლებსაც წარადგენს პარლამენტის მეორე პალატა.

სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ პროკურატურის ორგანოები, რომლებსაც ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი. გამონაკლისს წარმოადგენენ დამოუკიდებლად მოქმედი გენერალური პროკურორი უზენაეს სასამართლოში და მისი 4 თანაშემწე – გენერალური ადვოკატები. გენერალური პროკურორი თავისი ინიციატივით აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც შედის უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში. პროკურატურის სხვა ორგანოებზე ვრცელდება მკაცრი იერარქიული დაქვემდებარების პრინციპი. ესენია: 5 გენერალური პროკურორი თავიანთი თანაშემწეებით, სააპელაციო სასამართლოებში და 19 უფროსი პროკურორი საოლქო სასამართლოებში, მათდამი დაქვემდებარებული პროკურორებით, რომლებიც მხარს უჭერენ ბრალდებას შესაბამის სასამართლოებში. გამოძიებას, სისხლის სამართლის საქმეებზე აწარმოებს პოლიცია, პროკურატურის ზედამხედველობით ან მისი უშუალო მონაწილეობით. ფართოდ არის გავრცელებული კანონით გათვალისწინებული გარიგებების პრაქტიკა, ერთი მხრივ, პროკურატურას ან პოლიციას, ხოლო მეორე მხრივ, ბრალდებულს შორის, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე, მისი სასამართლოში გადაცემის გარეშე. სისხლის სამართლის საქმეების დაახლოებით ნახევარი ასე მთავრდება.

ნიდერლანდებში არ არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა და ის კი არა, კონსტიტუცია ცალსახად უკრძალავს სასამართლოებს საპარლამენტო აქტებისა და ხელშეკრულებების კონსტიტუციურობაზე კონტროლს (კონსტიტუციის მუხლი 120). და მხოლოდ 1953 წელს, როდესაც ნიდერლანდები შეუერთდა ევროპულ კონვენციას, სასამართლოებმა შეიძინეს კონტროლის გარკვეული უფლებამოსილებები, თუმცა თავდაპირველად მათ მეტისმეტი სიფრთხილით ახორციელებდნენ. 60-იანი წლების

ბოლოსაც კი, როდესაც მოქალაქეები სულ უფრო ხშირად მიმართავენ სასამართლოს სახელმწიფოს მხრიდან შელახული მათი უფლებების დასაცავად, მცდელობამ, დაემკვიდრებინათ საკონსტიტუციო კონტროლი, სათანადო მხარდაჭერა ვერ პოვა. მხოლოდ 1980 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ზეგავლენით, სასამართლოებმა პრიორიტეტი მიანიჭეს საერთაშორისო სტანდარტებს, ცნობდნენ რა კანონებს შეუსაბამოდ, კონვენციებში გათვალისწინებულ ადამიანის უფლებებთან მიმართებაში. ამჟამად, სასამართლო პრაქტიკის მიერ საერთაშორისო სამართლის პრიორიტეტი შინასახელმწიფოებრივ სამართალთან, ღიად არის აღიარებული. სასამართლოები განიხილავენ კანონებს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში და უარს აცხადებენ იმ კანონების გამოყენებაზე, რომლებიც ეწინააღმდეგება სახელშეკრულებო ნორმებს. ასეთი სახით ჰოლანდიურმა სასამართლოებმა დაიმკვიდრეს უფლება არა პარლამენტის აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების გზით, არამედ იმის საფუძველზე, რომ ეს კანონები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ხელშეკრულებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა რეზოლუციების დებულებებს, უარი თქვან მათ შესრულებაზე.

90-იან წლებში გაიზარდა ინტერესი კონსტიტუციური იუსტიციის პრობლემის მიმართ. იდეის დამცველები ეყრდნობიან იმ აზრს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობის შემთხვევაში, კონსტიტუცია კარგავს უზენაესობას. 1991-92 წლებში ამ თემაზე დიდი დისკუსიები გაიმართა, თუმცა ცვლილება კონსტიტუციაში შეტანილი არ იქნა, დისკუსია ამ თემაზე კვლავაც გრძელდება.

ლიტერატურა:

1. Конституция Королевства Нидерландов//Конституции государств Европейского Союза, Москва, „Инфра.М-Норма“, 1997, стр. 469-508;
2. გ. მიქანაძე, ნიდერლანდების ეროვნული ომბუდსმენი//ევროპის ომბუდსმენები, თბილისი, 1999, გვ. 208-234;
3. Правовая система Нидерландов, отв. редакторы Бойцова В.В., Бойцова В.Л., Москва, „Зерцало“, 1998;
4. Сольцев Н.Н., Государственный строй Нидерландов, Москва, 1960;
5. Якушев А.В., Основы Конституционного права Голландии (Нидерландов)//Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, стр. 138-142;
6. Система уголовного правосудия в Нидерландах в свете новой уголовной политики, Вестник МГУ, серия 11, Право №2-1997.

პოლონეთი

პოლონეთი ცენტრალურ ევროპაში მდებარე სახელმწიფოა, რომლის 40 მილიონიანი მოსახლეობა 312,7 ათას კმ² ტერიტორიაზე სახლობს. პოლონეთს დასავლეთით გერმანია ესაზღვრება, სამხრეთ – დასავლეთითა და სამხრეთით – ჩეხეთი და სლოვაკეთი, აღმოსავლეთით – ბელარუსია და უკრაინა, ჩრდილოეთით – ნაწილობრივ რუსეთი და უმეტესად ბალტიის ზღვა აკრავს. ქვეყნის დედაქალაქია ვარშავა, სახელმწიფო ენა – პოლონური, ფულის ერთეული – ზლოტი.

პოლონეთი, აშშ-ის შემდეგ მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველი დანერგილი კონსტიტუციის ქვეყანაა, რომელიც 1791 წლის 3 მაისს იქნა მიღებული. ამჟამად მოქმედი, რიგით მეექვსე კონსტიტუცია დროებითი „მცირე კონსტიტუციის“ სანაცვლოდ მოვიდა, 1997 წლის 25 მაისს მონონებულ იქნა საერთო-სახალხო რეფერენდუმის მიერ და ძალაში შევიდა.

პოლონური სამართალი რომანულ-გერმანული ანუ კონტინენტური სამართლის ოჯახს მიეკუთვნება. კონსტიტუციამ სახელმწიფოს დემოკრატიული და სამართლებრივი ბუნება დააფიქსირა, რომელიც შერეული, ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის ფორმით უნდა იყოს გარანტირებული პოლონეთის უნიტარული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

კონსტიტუციური სამართალი

პოლონეთში სახელისუფლო ბალანსი შემდეგნაირად ყალიბდება: სახელმწიფოს ჰყავს სრულძალოვანი მეთაური რესპუბლიკის პრეზიდენტის სახით; ორპალატიანი პარლამენტი – სეიმიტა და სენატი, განახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას; აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას პრეზიდენტთან ერთად; მართლმსაჯულებას აღასრულებს საერთო სასამართლოების სისტემა უზენაესი სასამართლოთი სათავეში; საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია აკისრიათ საკონსტიტუციო და სახელმწიფო ტრიბუნალებს.

პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და ამავდროულად, ფაქტობრივად, აღმასრულებელ ხელისუფლებასაც განაგებს, ვინაიდან მთავრობასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი. თუნდაც ის, რომ იგი განსაკუთრებულ საკითხებზე მოინვეს და თავმჯდომარეობს კაბინეტის საბჭოს, რომელიც

მინისტრთა საბჭოს საფუძველზე იქმნება. მართალია, კაბინეტის საბჭო მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას არ ფლობს, მაგრამ ფრანგული მოდელის ანალოგია და იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლის გამოც იკრიბება და მსჯელობს, საქმიანობის სტრატეგიასაც განსაზღვრავს. ამასთან, ამ ურთიერთობაში საინფორმაციო უკუკავშირის ფუნქცია აქვს მთავრობის თავმჯდომარის შეხვედრებს პრეზიდენტთან, როცა იგი ახსენებს ძირითად პრობლემებს, რომლებზეც მუშაობს მთავრობა. ამ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონტრასიგნატურის მექანიზმისადმი ახალი კონსტიტუციით გავრცობილი დამოუკიდებლობა, როცა პრეზიდენტის ოფიციალური აქტები მინისტრთა საბჭოს ხელმოწერის პირობებში ამოქმედდება და სრული პასუხისმგებლობა მათ შესრულებაზე მთავრობას ეკისრება.

პრეზიდენტს, პარლამენტზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ბერკეტები აქვს, მათ შორის, საკანონმდებლო ინიციატივისა და მიღებულ კანონებზე ვეტოს უფლების ჩათვლით. პრეზიდენტს შეუძლია მიმართვა გაუგზავნოს სეიმს და სენატს, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება, შეუძლია დაითხოვოს პარლამენტის პალატები, მათსავე მარშლებთან მოთათბირების შემდეგ, თავად კი არ ექვემდებარება საპარლამენტო კონტროლს, აქვს უფლება, სენატის თანხმობით, მიიღოს გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი წარმოადგენს პოლონეთის სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, განასახიერებს სახელმწიფო ხელისუფლების უწყვეტობას, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ნიშნავს პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთში, წყვეტს მოქალაქეობის საკითხს, აქვს შეწყალების უფლება, ასახელებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას და ნიშნავს მას, ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს, უმაღლესი თანამდებობის პირებს, სასამართლო ორგანოების ხელმძღვანელებსა და მოსამართლეებს.

პოლონეთის პრეზიდენტად, პირდაპირი, საყოველთაო არჩევნების გზით, შეიძლება არჩეულ იქნეს 35 წლის ასაკს მიღწეული პოლონეთის მოქალაქე. უფლებამოსილების ვადა 5 წელია, ერთი და იგივე პირი მხოლოდ ორჯერ შეიძლება აირჩეს ზედიზედ. პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება ეროვნული კრების წინაშე ფიცის დადებით.

პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია იმპიჩმენტის წესით, კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის ან დანაშ-

აულის ჩადენის შემთხვევაში. იმპიჩმენტის პროცესის აღძვრა ხდება ეროვნული კრების დადგენილებით, რომელიც 2/3-ის უმრავლესობით მიიღება. ამას მოჰყვება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერება, ხოლო მისი ბრალეულების საკითხს სახელმწიფო ტრიბუნალი განიხილავს.

პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას დროებით სეიმის მარშალი ან სენატის მარშალი ასრულებს. პრეზიდენტის მონაცვლე ფლობს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა მთელ კომპლექტს, გარდა სეიმის დათხოვნისა. თუ მონაცვლის საქმიანობის პროცესში რაიმე უთანხმოება წარმოიშვება, საკითხს საკონსტიტუციო ტრიბუნალი წყვეტს.

პარლამენტი, როგორც ასეთი, პოლონეთის კონსტიტუციაში არც მოიხსენიება და საკანონმდებლო ორგანოს ბიკამერალიზმი მარტივად ფიქსირდება „სეიმი და სენატი“, თუმცა, მათი ერთობლივი სხდომა, კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, ეროვნულ კრებად იწოდება. პარლამენტის ქვედა პალატა – სეიმი სახალხო წარმომადგენლობის ორგანოა, ხოლო ზედა პალატა – სენატი რეგიონულ პრინციპზე ყალიბდება.

პოლონეთის პარლამენტის პალატების უფლებამოსილებები მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული: ორივე პალატა აირჩევა ერთდროულად და 4 წლის ვადით, პრეზიდენტის მიერ სეიმის დათხოვნის შემთხვევაში, ავტომატურად წყვეტს უფლებამოსილებებს სენატიც. ანალოგიურად, თუ სეიმი დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმების 2/3-ით, შეამცირებს თავისი უფლებამოსილების ვადას, ერთდროულად მცირდება სენატის უფლებამოსილების ვადაც. მიუხედავად იმისა, რომ პალატების კომპეტენციის საგნობრივი სფერო, ძირითადად, ემთხვევა ერთმანეთს, ისინი განსხვავებული უფლებამოსილებებით მონაწილეობენ საკანონმდებლო პროცესში და კონსტიტუციურ ორგანოთა ფორმირების საქმეში. და მაინც, სეიმის უფლებამოსილებათა წრე გაცილებით ფართოა: მხოლოდ სეიმის კომპეტენციაში შედის მთავრობისადმი საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება და თავად მთავრობის, საკონსტიტუციო და სახელმწიფო ტრიბუნალების ფორმირება, საომარი მდგომარეობის შესახებ დადგენილების მიღება. ამასთან, სეიმი პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საპარლამენტო მუდმივი კომისიებისა და სპეციალური საგამოძიებო კომისიის მეშვეობით თუ პარლამენტარების შეკითხვების შემდეგ ინტერპელაციის მექანიზმის ამოქმედებით.

რაც შეეხება სენატის უფლებამოსილებებს, შეიძლება ითქვას, იგი მთლიანად მიბმულია სეიმზე, იქამდე, რომ კონსტიტუციაშიც კი მხოლოდ

საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებით მოიხსენიება ცალკე პუნქტით და ისიც, ფაქტობრივად, მეორე პირის როლში კონსტიტუციის თანახმად, სენატს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, როცა იგი ცალკეულ დეპუტატებსაც აქვთ. თავად საკანონმდებლო პროცესში სენატს ერთობ პასიური როლი განეკუთვნება. ჯერ ერთი, კონსტიტუცია სეიმის მიერ მიღებულ კანონპროექტს უკვე კანონად აცხადებს და მისი შემდგომი გაფორმების თვალსაზრისითაც სენატის მონაწილეობა ძალიან ფორმალურია: თუ სენატი, მისთვის კანონის გადაცემის მომენტიდან 30 დღის მანძილზე არ მიიღებს დადგენილებას კანონის მიღების ან უარყოფის თაობაზე, კანონი მიღებულად ითვლება, მაგრამ სენატის მიერ უარყოფილი კანონი ან მასში შეტანილი ცვლილებები მიღებულად ჩაითვლება, თუ სეიმი დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის ხმების უმრავლესობით არ უარყოფს მას.

დეპუტატისა და სენატორის სამართლებრივი სტატუსი რეგულირდება კონსტიტუციით, კანონმდებლობითა და პალატების რეგლამენტებით. ისინი გარანტირებულნი არიან იმუნიტეტით და ინდემნიტეტით, სარგებლობენ თავისუფალი მანდატით. დეპუტატისა და სენატორის მანდატები შეუთავსებელია ერთმანეთთან, აგრეთვე, ეროვნული ბანკის თავმჯდომარის, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარის, მოქალაქეთა უფლებების რწმუნებულის, ფინანსთა საბჭოს წევრისა და ელჩის ფუნქციებთან, დაუშვებელია სამენარშეო საქმიანობის შეთავსება. პალატებში იქმნება პოლიტიკური გაერთიანებები — კლუბები და ჯგუფები, სეიმში სულ ცოტა 15 დეპუტატისგან, ხოლო სენატში 3 სენატორისგან მაინც.

თითოეული პალატა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მარშალს, ვიცე-მარშალს, მუდმივ და დროებით კომისიებსა და მათ თავმჯდომარეებს. მარშალი ვიცე-მარშალთან ერთად ქმნის პალატის პრეზიდიუმს, რომელიც მოიწვევს და ხელმძღვანელობს სხდომებს, რომლებიც საჯარო ფორმით მიმდინარეობს, თუ საჭიროებისას უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ დაიხურა.

საკანონმდებლო პროცესი ოთხი სტადიისგან შედგება: პირველი — საკანონმდებლო ინიციატივა და ეს უფლება აქვთ დეპუტატებს, სენატს, პრეზიდენტს, მინისტრთა საბჭოს, 100 ათასიან ამომრჩეველთა ჯგუფს; მეორე სტადია საპარლამენტო განხილვებია, რომელიც შედგება სამი მოსმენისგან სეიმში. მის მიერ მიღებული კანონი გადადის სენატში და ამ უკანასკნელის პოზიციიდან გამომდინარე, ან პირდაპირ ან კვლავ სეიმის გავლით ხდება მისი მიღება და ეს არის მესამე სტადია; ბოლო — მეოთხე სტადია კანონის გამოქვეყნებაა, როცა პარლამენ-

ტის მიერ მიღებული კანონი გადადის პრეზიდენტთან და მისი ხელმოწერის შემდეგ გამოქვეყნდება ოფიციალურ ორგანოში. თუ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა არ გამოიყენა ვეტოს უფლება, რომლის დაძლევისაც სჭირდება სეიმის შემადგენლობის ხმების 2/3. არსებობს კიდევ ერთი გამონაკლისი, როდესაც მინისტრთა საბჭო, კანონით განსაზღვრულ სფეროებში, შესაბამისი არგუმენტებით, კანონპროექტის სასწრაფო განხილვას მოითხოვს და სეიმიც გამარტივებული წესით, ორი მოსმენით ღებულობს კანონს.

მთავრობა. აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო პოლონეთში მინისტრთა საბჭოა, რომელიც შედგება თავმჯდომარის, ვიცე-თავმჯდომარეებისა და მინისტრებისგან. პოლონეთში მოქმედებს მთავრობის უფლებამოსილებების პრეზუმფცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობა განაგებს ყველა საკითხს, რომელიც სხვა სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში არ არის ჩანერილი.

პრეზიდენტი, მის მიერ შერჩეული და დანიშნული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისგან შემოთავაზებულ მთავრობის შემადგენლობას ნიშნავს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დანიშნულიდან 14 დღის მანძილზე სეიმს წარუდგენს მთავრობის სამუშაო პროგრამას, რომლის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიღება მთავრობისადმი ნდობის ვოტუმის გამოცხადებას ნიშნავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სეიმმა შემდგომი 14 დღის მანძილზე, აგრეთვე, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, უნდა დაამტკიცოს მის მიერ შერჩეული მთავრობის შემადგენლობა. თუ სეიმი ამ შემთხვევაშიც ვერ შეძლებს მთავრობის დამტკიცებას, ისევ პრეზიდენტი განახორციელებს დანიშვნისა და წარმოდგენის პროცედურას, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ ამჯერად მთავრობის დასამტკიცებლად საკმარისია დეპუტატთა ხმების უბრალო უმრავლესობა. თანამდებობის დაკავებისთანავე მინისტრთა საბჭოს მთელი შემადგენლობა პრეზიდენტის წინაშე დებს ფიცს. მაგრამ თუ ვინიცობაა, მთავრობის ფორმირების ეს საბოლოო პროცედურაც უშედეგოდ დამთავრდა, პრეზიდენტი დაითხოვს სეიმს და ნიშნავს ახალ არჩევნებს.

აღმასრულებელი საქმიანობის განხორციელების მიზნით, მინისტრთა საბჭო უზრუნველყოფს კანონთა შესრულებას, ხელმძღვანელობს სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოთა მუშაობას და სეიმის წინაშე ღებულობს პასუხისმგებლობას მათ საქმიანობაზე, იცავს სახელმწიფო ხაზინის ინტერესებს, შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტსა და სხვა საფინანსო პროგრამებს, რომელთა დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს მათ შესრულებას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე წარმოადგენს რესპუბლიკის მთავრობას და ხელმძ-

ღვანელობს მის საქმიანობას, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ზედამხედველობს ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს და ხელმძღვანელობს სამთავრობო ადმინისტრაციას, მთავრობაზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოსცემს განკარგულებებს.

მინისტრები ხელმძღვანელობენ სამთავრობო ადმინისტრაციის ცალკეულ უბნებს, კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ განკარგულებებსა და ბრძანებებს, ასრულებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს. მინისტრთა საბჭო ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. სეიმს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მთლიანად მთავრობას ან ცალკეულ მინისტრებს. კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, ან თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისას, მთავრობის წევრები პასუხისმგებლობის გასარკვევად წარდგებიან სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე. კონსტიტუციით გათვალისწინებულია მინისტრთა საბჭოს გადადგომისა და გათავისუფლების პირობები.

სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონტროლის უმაღლეს პალატას, რომლის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტისა და მასთან დაკავშირებული კანონების შესრულების შემოწმება, კონტროლი სახელმწიფო ქონებისა და ფინანსების მართვაზე. აღნიშნული უფლებამოსილებების ფარგლებში, იგი აკონტროლებს პრეზიდენტის, სეიმისა და სენატის კანცელარიებს, საკონსტიტუციო ტრიბუნალს, ადამიანის უფლებათა დაცვის რწმუნებულს, უზენაეს სასამართლოს, უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოს და სახელმწიფო პრომის ინსპექციას. კონტროლის უმაღლესი პალატა ექვემდებარება სეიმს და ყოველწლიურად წარუდგენს მას ბიუჯეტის შესრულების თაობაზე ანალიტიკურ მოხსენებას და ანგარიშს განეული მუშაობის შესახებ.

პოლონეთი უნიტარული რესპუბლიკაა, ორდონიანი ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურით, რომლის ზედა დონე მოიცავს 49 საგოეოდოს (ოლქს), მათ შორის, ვარშავას. თვითმმართველობის პირველადი ერთეულია გმინად წოდებული თემი, რომელიც დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლებს აერთიანებს. თემის მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ: მოსახლეობისადმი კონტროლქვემდებარე წარმომადგენლობითი ორგანო – თემის საბჭო, რომელიც 15-დან 45-მდე წევრისგან შედგება, და თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს. აღმასრულებელი ორგანო – თემის მმართველი

ველობა თავისი ხელმძღვანელით, რომელსაც სოფლის თემში ვოიტი, ქალაქის თემში ბურმისტრი, ხოლო ქალაქებში 100 ათასზე მეტი მოსახლეობით – პრეზიდენტი ეწოდებათ.

თემის საბჭო და მისი სტრუქტურების შინაორგანიზაცია და საქმიანობის წესს განსაზღვრავს წესდება. საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებს, ხოლო მმართველები – განკარგულებებს, რომელთა სავალდებულო ძალა მხოლოდ შესაბამის ტერიტორიაზე ვრცელდება. ვოევოდას შეუძლია შეაჩეროს ამ აქტების მოქმედება.

სავოევოდობსაც აქვთ თავისი მმართველობის სისტემა: ეს არის მოსახლეობის კონტროლქვემდებარე წარმომადგენლობითი ორგანო – სეიმიკი, რომელიც თემთა საბჭოების დელეგატებისგან შედგება და აღმასრულებელი ორგანო – ადმინისტრაცია ვოევოდათი სათავეში, რომელსაც ნიშნავს ქვეყნის მთავრობა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია ოლქებში.

იმ შემთხვევაში, თუ თემის მმართველი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ მოვალეობათა შესრულებას, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ვოევოდას წინადადების საფუძველზე, შეუძლია შეაჩეროს თემის საბჭოს და მმართველების საქმიანობა, ორი წლით შემოიღოს, ე.წ. კომისიის მმართველობა, რომელიც შემდგომ განახორციელებს თემის ორგანოთა ფუნქციებს.

ვოევოდა ორჯერ წელიწადში წარუდგენს სეიმიკს ანგარიშს თავის საქმიანობაზე, მათ შორის თვითმმართველობის ორგანოებზე განხორციელებული ზედამხედველობის თაობაზე და მის მიერ მომზადებული აქტების პროექტებს, რომელიც მხოლოდ სეიმიკის მხარდაჭერის პირობებში შეიძლება მიღებულ იქნეს. ვოევოდასთან ურთიერთობაში სეიმიკს შეუძლია ამოქმედოს ინტერპელაციის მექანიზმი.

საარჩევნო სამართალი

პოლონეთში მოქმედებს კანონთა პაკეტი, რომელიც არეგულირებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წესს. კონსტიტუციის თანახმად, არჩევნები ტარდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი პრინციპების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სამივე საარჩევნო სისტემის ამოქმედებით: სეიმი აირჩევა პროპორციული, სენატი – მაჟორიტარული, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – შერეული

სისტემით. არჩევნებთან დაკავშირებული დავები განიხილება მხოლოდ უზენაეს სასამართლოში.

პოლონეთში აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობს 18 წელს მიღწეული პოლონელი მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირები, თუ ისინი 5 წელი მაინც ცხოვრობენ პოლონეთის ტერიტორიაზე. პასიური საარჩევნო უფლება ერთგვარად დიფერენცირებულია: სეიმში ასარჩევად განსაზღვრულია 21 წელი, სენატში – 30, ხოლო პრეზიდენტობის კანდიდატისთვის – 35 წელი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ პირებს, რომელთა მიმართაც კანონიერ ძალაშია შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება.

პოლონეთში საარჩევნო ადმინისტრაციის შერეული სისტემა მოქმედებს, როცა ცენტრალური საარჩევნო კომისია მუდმივმოქმედი და შედგება საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების სამსამი მოსამართლისგან, ხოლო საოლქო და საუბნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე, შესაბამისად, 52 და 21 დღით ადრე. საოლქო კომისიის შემადგენლობას სააპელაციო, საოლქო და რაიონის მოსამართლეთაგან განსაზღვრავს პრეზიდენტი, ხოლო საუბნო კომისია შედგება საბჭოს წევრებისა და ამომრჩევლებისგან. საარჩევნო სიების შედგენა მუნიციპალური ხელისუფლების საქმეა.

არჩევნებში კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ ამომრჩეველთა ჯგუფს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ერთობლივ საარჩევნო კომიტეტებს. პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც აქვს ფრაქცია პარლამენტში, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ ესაჭიროება მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიის წარდგენა.

სეიმში აირჩევა 460 დეპუტატი, მათგან 69 – პარტიული სიებით საქვეყნო საარჩევნო ოლქში, ხოლო 391 – მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, თითოეულში 3-დან 17 მანდატამდე. ორივე შემთხვევაში, პარტიამ 5 პროცენტიანი ზღუდე უნდა დაძლიოს. სენატში აირჩევა 100 სენატორი, იმის გათვალისწინებით, რომ ვარშავა და კატოვიცე ირჩევს 3-3 სენატორს, ხოლო დანარჩენი 47 ვოევოდობა თითოეული 2 სენატორს.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 4 თვით ადრე, საპრეზიდენტო არჩევნები ინიშნება სეიმის მარშლის განკარგულებით. კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად, პრეზიდენტობის კანდიდატს მოეთხოვება საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა 10 000 ხელმოწერის შეგროვება. არჩევნები მიმდინარეობს ორ ტურად,

პირველ ტურში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს საერთო ხმების ნახევარზე მეტს. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს საჭირო ხმების რაოდენობას, მაშინ პირველი კენჭისყრიდან 14 დღის შემდეგ, ორი უკეთესი შედეგის მფლობელი კანდიდატისთვის იმართება მეორე ტური, თუ ამათგან ერთ-ერთმა კანდიდატმა დაკარგა საარჩევნო უფლება ან მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ადგილს იკავებს პირველ ტურში მოპოვებული ხმების რაოდენობით შემდეგი კანდიდატი. ასეთ შემთხვევაში არჩევნების მეორე ტური გაიმართება ორი კვირის შემდეგ.

თემთა საბჭოების არჩევნები ინიშნება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ. ისეთ საკრებულოებში, სადაც არანაკლებ 40 000 მცხოვრებია, იქმნება უნიომინალური ანუ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები, რაც შეეხება მრავალმანდატიან ანუ პოლინომინალურ ოლქებს, ისინი იქმნებიან შედარებით მრავალრიცხოვან ოლქებში. აქაც, სენატის მსგავსად, არჩევნების შედეგების დადგენა ხორციელდება მაჟორიტარული სისტემის უბრალო უმრავლესობით.

სამოქალაქო სამართალი

პოლონეთის სამოქალაქო სამართალი დღიდან თავისი ამოქმედებისა, 1964 წელს, ერთთავად რაღაც ცვლილებების გაუთავებელი პროცესის საგანი გახდა, თანაც ისე, რომ სამოქალაქო კოდექსის რეგულირების ძირითადი სფეროების ნორმათა სისტემა დაუსრულებლად დაზუსტება-კორექტირების ობიექტი ხდება სამართლის სხვა ნყაროებში. მაგალითად, გირავნობის ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი აქტია სამოქალაქო კოდექსი, რომელიც აღნიშნულ საკითხს უძღვნის „ძირითადი დებულებების“ გარკვეულ ნორმებს, სპეციალურ თავს – „გირავნობა“ და კოდექსის სხვა თავებში აღნიშნულ ინსტიტუტს ცალკეულ ურთიერთობებთან დაკავშირებული დათქმების სახით. მას შემდეგ, გირავნობის ნორმები იხვენება. 1980 წლის კანონში საბეგარო ვალდებულებების შესახებ, 1982 წლის კანონებში იპოთეკის შესახებ და საბანკო სამართლის შესახებ.

პოლონეთის სამოქალაქო კოდექსი იპოთეკას შეზღუდულ სანივთო სამართალს განაკუთვნებს და აღნიშნავს, რომ ეს ურთიერთობა სპეციალური ნორმატიული აქტებით რეგულირდება. იპოთეკის საგანი, პოლონური სამართლის თანახმად, შეიძლება იყოს უძრავი ქონება, აგრეთვე, სანივთო სარგებლობის უფლება, რომელსაც გამოყენების შეზღუდული სფერო აქვს. სანივთო სარგებლობის უფლება დგინდება მინის ნაკვეთების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს საკ-

უთრებაში იმყოფება და მასთან ხელშეკრულებით გადაეცემა სანივ-
თო სარგებლობაში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. იპოთეკა უნდა
იყოს მკაფიოდ განსაზღვრული თანხის სახით გამოხატული და
უზრუნველყოფდეს მხოლოდ ფულად ვალს. თუ უზრუნველყოფელი
ვალის ოდენობა დადგენილი არ არის, მაშინ იპოთეკა უზრუნველყო-
ფს მას შეთანხმებული უმაღლესი თანხის დონემდე.

პოლონურ კანონმდებლობაში გათვალისწინებულია, ე.წ.
კანონიერი იპოთეკა, რომლის წარმოშობაც განპირობებულია
იურიდიული ფაქტებით, რომლებიც მითითებულია კანონით და არ
არის დამოკიდებული იმ ქონების მესაკუთრის ნება-სურვილზე,
რომელზეც დადგინდება იპოთეკა. რაც შეეხება იძულებით იპოთეკას,
იგი დგინდება კრედიტორის სურვილით, რომელიც სასამართლო გა-
დანყვეტილებით, ხოლო შესაბამის შემთხვევებში, ადმინისტრაციული
ორგანოების გადანყვეტილებით საჭიროებს დაკმაყოფილებას.

ძირითადი ნორმატიული აქტი, რომელიც საავტორო ურთიერთო-
ბებს არეგულირებს, ეს არის ახალი პოლონეთის 1994 წლის კანონი
საავტორო უფლების შესახებ, რომელიც ეყრდნობა შესაბამის საე-
რთაშორისო კონვენციებს და აღიარებს მისი ნორმების პრიმატს. აღ-
ნიშნული კანონი არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც დაკავში-
რებულია ნაწარმოების სახელშეკრულებო გამოყენებასთან და მასში
მოცემულია საერთო წესები, რომლებიც უნდა ამოქმედდეს ნებისმიერ
საავტორო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, კანონი ით-
ვალისწინებს საავტორო ხელშეკრულებების ორ სახეს, კერძოდ,
ხელშეკრულებას ქონებრივი საავტორო უფლებების გადაცემის შეს-
ახებ და სალიცენზიო ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულებები კი ვრცე-
ლდება ნაწარმოების ექსპლუატაციის იმ ველზე, რომელიც აღნიშნუ-
ლია ხელშეკრულების ტექსტში. კანონმა გაითვალისწინა სისხლის
სამართლის პასუხისმგებლობა საავტორო უფლებების დარღვევის
ფაქტთან დაკავშირებით: ორი წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯ-
ება სხვა პირის მიერ არა მარტო ავტორობის მითვისება, არამედ
საავტორო უფლების სხვაგვარი ხელყოფაც, იქნება ეს ნაწარმოების
გავრცელება ავტორის მითითების გარეშე, თუ მისი დამახინჯება გამ-
ოქვეყნებისას ან შეთანხმების პირობების დარღვევით.

სისხლის სამართალი

1998 წლის იანვრიდან ერთდროულად შევიდა ძალაში პოლონეთის
სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის საპროცესო კოდექსი. სი-
სხლის სამართლის კოდექსი იხსნება პოლონეთის კონსტიტუციაში

ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ფუძემდებლური დებულებით, რომელსაც კოდექსის პირველი მუხლის პირველი პარაგრაფი ასე ადასტურებს: სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ პირს, ვინც ჩაიდენს ქმედებას, რომელიც აკრძალულია მისი ჩადენის დროისთვის მოქმედი კანონით განსაზღვრული სასჯელის მუქარით. ამასთან, კონსტიტუციამ განსაზღვრა თანაფარდობა საერთაშორისო და ეროვნულ სისხლის სამართალს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი საერთაშორისო აქტი ეროვნული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია.

პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსი შედგება სამი ნაწილისგან, რომელიც 44 თავსა და 363 მუხლს მოიცავს. „საერთო ნაწილი“ კოდექსის პრინციპულ საფუძვლებს აყალიბებს, როგორცაა, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამორიცხვა. ამ პრინციპების ლოგიკით, განსაზღვრულია სისხლის სამართლის ფრონტალური დანიშნულების საგნები და მექანიზმები. ერთიანი სისტემის დონეზე დარეგულირებულია მათი ურთიერთმიმართება. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება თავები: „დანაშაულის ჩადენის ფორმები“ და „სისხლის სამართლებრივი ზომები“; „სასჯელი“ და „სასჯელისა და სისხლის სამართლებრივი ზომების განსაზღვრის პრინციპები“.

სისხლის სამართლის კოდექსის „განსაკუთრებულ ნაწილში“, საერთო ნაწილში მოცემული კონცეპტუალური ნორმების სისტემის საფუძველზე, დანაშაულის სახეების მიხედვით, დამნაშავის ქმედების შეფასება და შესაბამისი სანქციების განსაზღვრა ხდება. კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი 23 განყოფილებისგან შედგება და მასში სხვადასხვა ბუნებისა და სიმძიმის დანაშაულის 23 სახეა განხილული, დანყებული მშვიდობის, კაცობრიობის და სამხედრო დანაშაულით, ინფორმაციის დაცვის წინააღმდეგ მიმართული თუ ეკონომიკურ სფეროში დანაშაულით დამთავრებული. ყოველ განყოფილებაში დათქმითი და მოქმედებითი ნორმების მთელი სისტემაა ჩამოყალიბებული, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის ბუნებას წარმოაჩენს და ქმედითობასაც განაპირობებს.

პოლონეთის სამოქალაქო კოდექსი ცალკე გამოყოფს მესამე – „სამხედრო ნაწილს“, რომელიც გარდა იმისა, რომ აყალიბებს სამხედრო მოსამსახურეთა ქცევის საერთო წესებს, განიხილავს სამხედრო ვალდებულებასთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო დანაშაულს, განსაზღვრავს პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს.

ახალი კოდექსი მრავალი სიახლით ხასიათდება. პირველ რიგში, ეს შეეხება მის სტრუქტურას, რაც პირდაპირი შედეგია იმისა, რომ ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები მოხდა თავად დანაშაულის სტრუქტურაში, გაიზარდა ორგანიზებული დანაშაულის სახეები, გაჩნდა დანაშაულის ახალი სახეები. სერიოზული ცვლილებები შეეხო ეკონომიკური დანაშაულის კლასიფიკაციას, სისხლის სამართლის კოდექსმა აღიარა მათი ნაირსახეობები და თითოეული მათგანისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის მექანიზმიც შეიმუშავა. მაგალითად, სამეურნეო დანაშაულის განყოფილებაში 12 ახალი მუხლი გაჩნდა.

რიგი სისხლისსამართლებრივი პრინციპები კონსტიტუციური ნორმების სახით დამკვიდრდა კოდექსში, როგორცაა სიკვდილით დასჯის გაუქმება, რომელიც მუდმივი პატიმრობით შეიცვალა, ასევე, ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარების, დამამცირებელი და მკაცრი სასჯელების აკრძალვა. კოდექსში, პოლონური სისხლის სამართლისთვის დამახასიათებელი მრავალი ორიგინალური დებულებაა. მაგალითად, კვლავინდებურად, ხულიგნობა არ ითვლება დამოუკიდებელ დანაშაულად, ახლობელ პირებთან მიმართებაში დაფარვა და ზოგიერთი სხვა მსგავსი ქმედებები არ ითვლება დანაშაულად.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

პოლონეთის კონსტიტუციის მეორე განყოფილება სრული კომპლექსით წარმოადგენს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებს, უფლებებს და ვალდებულებებს. მათ შორის, უფლებებისა და თავისუფლებების სამი ჯგუფს: პირადი; პოლიტიკური; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლება-თავისუფლებების ნორმათა სისტემის სახით განიხილავს. ცალკე ბლოკშია ჩამოყალიბებული თავისუფლებებისა და უფლებების დაცვის საშუალებები, მათი ამოქმედების განმსაზღვრელი ნორმატიული ბაზა. პოლონეთის ახალი კონსტიტუცია, სწორედ აქვე ადასტურებს ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციური სისტემის განსაკუთრებულობას, როცა აღნიშნავს, რომ ყველას, ვისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვევა, აქვთ უფლება, მიმართონ საკონსტიტუციო ტრიბუნალს, კანონის თუ ნებისმიერი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლის თანახმად სასამართლომ ან საჯარო ადმინისტრაციის ორგანომ მიიღო მისი უფლებების შემლახავი გადაწყვეტილება. ეს ადამიანის უფლებათა დაცვის ერთი უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალებაა, პოლონეთში ჯერ კიდევ 1987 წლის 15 ივლისს იქნა მიღებული კანონი „მოქალაქეთა უფლებების რწმუნებუ-

ლის შესახებ" პოლონური ომბუდსმენის ინსტიტუტმა, კონსტიტუციური სტატუსი, 1989 წლის 7 აპრილს, კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შედეგად მიიღო. და ახლაც, ახალმა კონსტიტუციამ გახსნილი ფორმულით აღიარა ომბუდსმენის განსაკუთრებული ფუნქცია, როცა მე-80 მუხლში დააფიქსირა, რომ ყველას აქვს უფლება კანონში განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე მიმართოს მოქალაქეთა უფლებების რწმუნებულს თხოვნით, საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ შელახული მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თაობაზე.

„მოქალაქეთა უფლებების რწმუნებულის შესახებ“ კანონის თანახმად, რწმუნებული აირჩევა 4 წლის ვადით, მეორედ გადარჩევის უფლებით. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს სეიმის მარშალს და სეიმის 35 დეპუტატისგან შემდგარ ჯგუფს. სეიმის მიერ კანდიდატურის დამტკიცების შემდეგ, სენატმა, გადანყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში, მხარი უნდა დაუჭიროს მას. სანინაალმდეგო გადანყვეტილების შემთხვევაში, სეიმმა სხვა კანდიდატურა უნდა დანიშნოს. რწმუნებულის უფლებამოსილება იწყება ფიცის დადების მომენტიდან.

რწმუნებულის სამართლებრივი სტატუსი, გარკვეულწილად, პარლამენტის დეპუტატის სტატუსს ემთხვევა. იგი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, მისთვის შეუთავსებელია დეპუტატობა და სხვა პროფესიონალური ფუნქციები. უფლებამოსილების ვადის ამონურვის შემდეგ, ომბუდსმენს შეუძლია დაუბრუნდეს თავის ყოფილ სამუშაოს ან მიიღოს მისი ტოლფასი თანამდებობა.

ომბუდსმენის პოლონური ვარიანტი მნიშვნელოვნად განსხვავდება დედნისგან და სამართლებრივი ბუნებით საპროკურორო უფლებამოსილებებისკენ იხრება. რწმუნებულის უმთავრესი მისია მოსამსახურისა და ადმინისტრაციის ურთიერთობის გაუმჯობესებაა. ამასთან დაკავშირებით რწმუნებულის საქმიანობა ოთხ ფუნქციას მოიცავს: საგამოძიებოს, კორექტორულს, რეფორმატორულს და საინფორმაციო-აღმზრდელობითს.

რწმუნებული უფლებამოსილია შემოსული საჩივრის საფუძველზე განახორციელოს გამოკვლევა და ამ პროცესში მიმართვა გაუგზავნოს იმ ობიექტის ხელმძღვანელობას, რომლის საქმიანობაშიც დადგინდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტი, ხოლო შედეგებზე წარდგინება გაუკეთოს მის ზემდგომს, აუცილებელი ზომების მისაღებად. რწმუნებულს უფლება აქვს

ნებისმიერ პროცესში მონაწილეობა მიიღოს პროკურორის ანალოგიური უფლებებით, მოსთხოვოს პროკურორს წინასწარი გამოძიების ჩატარება, გააკეთოს წარდგინება საქმეზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყების შესახებ და გააპროტესტოს ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება.

რწმუნებულს შეუძლია თავისი ინიციატივით აწარმოოს გამოკვლევა და წარდგინებით მიმართოს პროკურატურის, ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანოებს, საქმის ან მისი ნაწილის შემომწების შესახებ, მიმართოს სეიმს, რათა ამ უკანასკნელმა ანალოგიური დავალება მისცეს კონტროლის უმაღლეს პალატას, შეიტანოს წინადადება საკონსტიტუციო ტრიბუნალში, რომელიც ეხება კანონთა კონსტიტუციურობის კონტროლს.

პოლონეთის მოქალაქეთა უფლებების რწმუნებული ერთგვარად საკანონმდებლო პროცესთანაც არის დაკავშირებული, ვინაიდან, შეუძლია, ერთი მხრივ, წარდგინებით მიმართოს კომპეტენციურ ორგანოებს, მათ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების გამოყენების ან ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტების გამოცემის ან შეცვლის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, წარუდგენს სეიმს საკუთარ მოსაზრებებსა და შენიშვნებს მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებების დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება სეიმის დაინტერესება გამოიწვიოს.

სასამართლო სისტემა

პოლონეთის სასამართლო სისტემა სამდონიანი სტრუქტურაა, თუმცა რაიონების, სავოევოდოების და უზენაესი სასამართლოების გარდა, ამ სახელისუფლო ორგანიზაციებში სააპელაციო და სპეციალური სასამართლოებიც არის ჩანერგილი.

რაიონის სასამართლოები პირველი ინსტანციით იხილავენ სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო და შრომით საქმეებს. იმავე საქმეებს, მეორე ინსტანციით, სავოევოდოების სასამართლოები იხილავენ. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებაზე აპელაცია შეიძლება წარიმართოს სააპელაციო სასამართლოში, რომლითაც გადაფარულია რამდენიმე საოლქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია. სავოევოდოების საოლქო სასამართლოების ჩარჩოებში შეიძლება შეიქმნეს სამეურნეო, შრომითი, საოჯახო სპეციალური სასამართლოები, ვარშავაში ფუნქციონირებს ანტიმონოპოლიური სასამართლო.

უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს პოლონეთის უზენაესი სასამართლო, რომლის ქვემდებარეა ყველა საქმე, გარდა

სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ განხილვადი საქმეებისა, ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა მიმართ.

სასამართლოთა ცალკე, დამოუკიდებელ სისტემას შეადგენენ ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები – ადმინისტრაციული სასამართლოები – უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოთი სისტემის სათავეში. ადმინისტრაციული სასამართლოები განიხილვენ დავას სახელმწიფო მმართველობის სფეროში, რომლის ერთ მხარეს წარმოადგენენ მომჩივანნი: მოქალაქე ან ორგანიზაცია, რომელთა უფლებები შელახულია საქმის მეორე მხარის – სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის „სადარაჯოზე“, როგორც კონსტიტუცია ადგენს, დგას სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო, რომელსაც შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს იმ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობას შეეხება.

სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო შედგება უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარის, იუსტიციის მინისტრის, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარის და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირისგან; უზენაესი, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოების მოსამართლეთაგან არჩეულ 15 წევრისგან; სეიმის მიერ დეპუტატთაგან 4 და სენატის მიერ სენატორთაგან არჩეული 2 წევრისგან. სასამართლო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და ორ ვიცე-თავმჯდომარეს, სასამართლო საბჭოს არჩევითი წევრების უფლებამოსილების ვადა 4 წელია.

სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭოს ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სასამართლო ორგანოების დაკომპლექტებაა. სწორედ მისი წინადადებით ნიშნავს პრეზიდენტი მოსამართლეებს უვადოდ, საპენსიო 65 წლის ასაკის მიღწევამდე.

მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს 26 წელს მიღწეული პოლონელი მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული განათლებით, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლის ან პროკურორის საკვალიფიკაციო გამოცდა. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს, მას, ამასთან, მოსამართლედ მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეს. კანონით აკრძალულია იმ პირის მოსამართლედ დანიშვნა, რომლის უახლოესი ნათესავი საადვოკატო საქმიანობას ეწევა.

კონსტიტუციის თანახმად მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონებს ემორჩილება, განმტკიცებულია მოსამართლის ხელშეუხებლობა და სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები. მოსამართლის დაკავება ან სამართალში მიცემა დაუშვებელია კომპეტენტური დისციპლინური სასამართლოს თანხმობის გარეშე, თუ არა მისი დანაშაულის ფაქტზე ნასწრების შემთხვევაში, თუმცა აქაც საქმის წარმოების გაგრძელებისთვის კომპეტენტური სასამართლოს თანხმობა აუცილებელია.

კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობას და სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პოლონეთის პროკურატურა, ცენტრალიზებული სისტემა, რომელსაც სათავეში გენერალური პროკურორი უდგას. პროკურატურის ორგანოები პოლონეთში აღმასრულებელ ორგანოებთან არიან მიბმულნი და იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შედიან, ხოლო გენერალური პროკურორის თანამდებობას იუსტიციის მინისტრი ითავსებს.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

პოლონელმა კანონმდებელმა, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია ერთდროულად ორ სპეციალიზებულ ორგანოს: საკონსტიტუციო ტრიბუნალს და სახელმწიფო ტრიბუნალს გაუნანილა, მათთვის გამიჯნული კომპეტენციის ფარგლებში.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი აქტებისა და ქმედებათა კონსტიტუციურობის დამცველი სასამართლო ორგანოა და იგი თავის წევრთა ხმების უმრავლესობით ლებულობს გადაწყვეტილებებს: კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობაზე; სახელმწიფო ორგანოების აქტების კონსტიტუციას და კანონებთან შესაბამისობის შესახებ; პოლიტიკური პარტიების საქმიანობის კონსტიტუციურობის თაობაზე; მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი შედგება 15 მოსამართლისგან, რომელთაც 9 წლიანი ვადით ინდივიდუალურად ირჩევს სეიმი, მაგრამ ეს არ არის მათი დამოკიდებულების დამახასიათებელი ერთადერთი ფაქტორი. პოლონეთში, სეიმს საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ მიღებული კანონის არაკონსტიტუციურობის აქტივ არაფრად უღირს, კანონისადმი დეპუტატთა კორპუსის აქტიური მხარდაჭერის პირობებში. საქმე ის არის, რომ საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას სეიმის მიერ მიღებული კანონის არაკონსტიტუციურობის შესახებ, ერთგვარი ვეტოს ბუნება აქვს, ვინაიდან სეიმს დეპუ-

ტატთა ხმების 2/3-ით შეუძლია უარყოს საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადანყვეტილება. ეს კი ხაზს უსვამს სეიმის გადანყვეტილების პრეზუმფციას საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადანყვეტილების მიმართ.

სახელმწიფო ტრიბუნალი კი ეს ის სპეციალური ორგანოა, რომლის წინაშე კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის გამო მოჰასუხეთა როლში შეიძლება აღმოჩნდნენ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირები: რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრები, ეროვნული ბანკის თავმჯდომარე, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარე, ტელევიზიისა და რადიომაუნყებლობის სრულიად პოლონეთის საბჭოს წევრები, შეიარაღებული ძალების სარდალი.

სახელმწიფო ტრიბუნალს, თანამდებობრივად, თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე, მას ჰყავს ორი მოადგილე, ხოლო სეიმი აირჩევს სახელმწიფო ტრიბუნალის წევრს.

ლიტერატურა:

1. Конституция Республики Польша // Конституции зарубежных стран, Москва, „Юрлитинформ“, 2000, стр. 290-326;
2. გ. მიქანაძე, პოლონეთის სამოქალაქო უფლებათა რწმუნებული // ევროპის ომბუდსმენები, თბილისი, 1999, გვ. 235-253;
3. Андреева И. А., Основы Конституционного права Польши // Конституционное (Государственное) право зарубежных стран, Т. 3, Страны Европы, Рук. Авт. коллектива т отв. редактор Б.А. Страшун, Москва, „Б Е К“, стр. 479-549;
4. Якушев А.В. , Основы Конституционного права Польши // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 2000, стр. 180-186;
5. Основные институты Гражданского права зарубежных стран, Сравнительно-правовое исследование, Москва, „Норма“, 1999;
6. Уголовный кодекс // Кодексы Польши, Москва, 1988, стр. 5-97.

პორტუგალია

პორტუგალიას ღირსეული ადგილი უკავია მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა შორის. იგი ევროპის უკიდურეს დასავლეთში – პირენეს ნახევარკუნძულზე მდებარეობს და სახმელეთო საზღვარი მხოლოდ ერთ მეზობელთან – ესპანეთთან აქვს. 10 მილიონიანი მოსახლეობა, აზორისა და მადეირას კუნძულების ტერიტორიის ჩათვლით, 92,1 ათას კმ²-ზეა განთავსებული. ქვეყნის დედაქალაქია ლისაბონი, სახელმწიფო ენა – პორტუგალიური, ფულის ერთეული – პორტუგალიური ესკუდო.

პორტუგალიური სამართალი მიეკუთვნება კონტინენტური, რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახს. დღეს მოქმედი, რიგით მეექვსე კონსტიტუცია მიღებულია 1976 წლის 2 აპრილს და 1982, 1989 და 1992 წლებში შეტანილი ცვლილებებით მოქმედებს. პორტუგალია მმართველობის ფორმით შერეულ, ნახევრადსაპრეზიდენტო, ხოლო სახელმწიფო-ტერიტორიული მონყობით უნიტარულ რესპუბლიკას წარმოადგენს.

კონსტიტუციური სამართალი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, პორტუგალიაში ხელისუფლების ბალანსი შემდეგ სახეს იღებს: სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან პარლამენტს – რესპუბლიკის ასამბლეას; აღმასრულებელი ხელისუფლება ბივალენტურია: მნიშვნელოვანი აღმასრულებელი ფუნქციების მატარებელია ძლიერი მთავრობა პრემიერ-მინისტრით სათავეში და პრეზიდენტი, რომელთანაც ფუნქციონირებს სპეციალური პოლიტიკური საკონსულტაციო ორგანო – სახელმწიფო საბჭო; მართლმსაჯულება ხორციელდება უზენაესი სასამართლოსა და მისი ქვემდგომი სასამართლოების მიერ; სახელმწიფო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის უმაღლეს ორგანოს.

პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი და ფარული არჩევნების გზით, 5 წლის ვადით. არ დაიშვება არც სამი ვადით ზედიზედ და არც მეორე ვადის გასვლის შემდგომი ხუთი წლის მანძილზე არჩევა. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს 35 წელს გადაცილებული, საარჩევნო უფლების მქონე, წარმოშობით პორტუგალიელი მოქალაქე.

პრეზიდენტის უფლებამოსილებანი იყოფა სამ ჯგუფად:

— უშუალო კომპეტენციას მიეკუთვნება: უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციათა შესრულება; კანონების, დეკრეტკანონების პრომულგაცია და გამოსაქვეყნებლად წარგზავნა, თუ არადა ვეტოს დადება; ხელმოწერა რესპუბლიკის ასამბლეის იმ რეზოლუციებისა, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებისა და მთავრობის დეკრეტების დამტკიცებას შეეხება; ისეთი საკითხების რეფერენდუმზე გატანა, რომლებიც განსაკუთრებული ეროვნული ინტერესის საგანს წარმოადგენს; საალყო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება კონსტიტუციით დადგენილი პროცედურების შესაბამისად; სასჯელის გაუქმება ან შემსუბუქება მთავრობის აზრის გათვალისწინებით; საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა იმ კონსტიტუციურ ნორმათა შემოწმებისთვის, რომელსაც კანონები, კანონის ძალის დეკრეტები და საერთაშორისო შეთანხმებანი შეიცავს, აგრეთვე, იურიდიულ ნორმათა არაკონსტიტუციურად ცნობისა და საკანონმდებლო სფეროში კონსტიტუციის შესრულებაზე კონტროლის განხორციელების თხოვნით; დაჯილდოება და პორტუგალიის ორდენთა დიდი მაგისტრის ფუნქციების შესრულება;

— კომპეტენცია სხვა ორგანოებთან მიმართებაში: მას უფლებას აძლევს, დაითხოვოს ქვეყნის პარლამენტი, დანიშნოს რესპუბლიკის ასამბლეის, ევროპარლამენტისა და საოლქო საკანონმდებლო ასამბლეების დეპუტატთა არჩევნები; მოიწვიოს რესპუბლიკის ასამბლეის რიგგარეშე სესია; თანამდებობაზე დანიშნოს და გაათავისუფლოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო მისი წარდგინებით დანარჩენი მინისტრები და მთავრობის სხვა წევრები; ავტონომიურ ოლქებში დანიშნოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები — რესპუბლიკის მინისტრები; მთავრობის წინადადებით დაითხოვოს ავტონომიური ოლქების ხელისუფლების ორგანოები; დანიშნოს სახელმწიფო საბჭოს 5 წევრი და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს 2 ხმოსანი, მთავრობის წინადადებით თანამდებობებზე დანიშნოს გენერალური პროკურორი და საანგარიშო პალატის თავმჯდომარე; უხელმძღვანელოს ეროვნული თავდაცვის უმაღლეს საბჭოს და მთავრობის რეკომენდაციით თანამდებობებზე დანიშნოს უმაღლესი სამხედრო მეთაურები;

პრეზიდენტის მიერ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხზე მიღებული აქტები ხელმოწერილ უნდა იქნენ მთავრობის მიერ, რათა შეიძინონ იურიდიული ძალა.

— პრეზიდენტი საერთაშორისო ურთიერთობებში უფლებამოსილია: მთავრობის წარდგინებით დანიშნოს ელჩები და საგანგებო დესპანები, ჩაიბაროს რწმუნებათა სიგელები უცხოელი დიპლომატების-

გან; მოახდინოს საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიკაცია მას შემდეგ, რაც ისინი დამტკიცებული იქნება კანონით დადგენილი წესით; მთავრობის წინადადებით ფაქტობრივი აგრესიის ან ასეთი საფრთხის დროს გამოაცხადოს ომი და დადოს ზავი სახელმწიფო საბჭოს აზრის მოსმენის შემდეგ და რესპუბლიკის ასამბლეის თანხმობით, თუ მისი შეკრება შეუძლებელია, თანხმობას იძლევა მუდმივმოქმედი კომისია, თუმცა შემდეგში ეს საკითხი აუცილებლად რატიფიცირებულ უნდა იქნეს რესპუბლიკის ასამბლეის პირველივე სხდომაზე.

სახელმწიფოს მეთაური სარგებლობს ხელშეუხებლობით და თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება პასუხი აგოს დანაშაულისთვის, რომლის ჩადენაც არ არის დაკავშირებული მის მიერ თავისი ფუნქციების განხორციელებასთან და პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ. თანამდებობაზე ყოფნისას, პრეზიდენტი პასუხისმგებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილი ისეთი დანაშაულებისთვის, როგორიცაა სამშობლოს ღალატი და სხვა ანტიკონსტიტუციური ქმედებები. ამისთვის იგი პასუხს აგებს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს წინაშე.

კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტის პოლიტიკური საკონსულტაციო ორგანოა სახელმწიფო საბჭო, რომელიც რჩევას აძლევს სახელმწიფოს მეთაურს მისთვის მინიჭებული, პრაქტიკულად, ყველა მნიშვნელოვანი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი ვალდებულია, მოისმინოს მისი აზრი ისეთ საკითხებზე როგორცაა: რესპუბლიკის ასამბლეისა და ავტონომიური ოლქების ხელისუფლების ორგანოთა დათხოვნა; მთავრობის გადაყენება; ავტონომიურ ოლქებში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების — რესპუბლიკის მინისტრების თანამდებობებზე დანიშვნა და გათავისუფლება; ომის გამოცხადება და ზავის დადება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, პრეზიდენტი კონსულტაციისთვის სახელმწიფო საბჭოს მიმართავს მხოლოდ თავისი სურვილით.

კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: რესპუბლიკის ასამბლეის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებული (პროვედორი), ოლქების მთავრობების თავმჯდომარეები, თავად პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 მოქალაქე და პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე, რესპუბლიკის ასამბლეის მიერ

არჩეული 5 წევრი. სახელმწიფო საბჭოს მონევეა და მისი თავმჯდომარეობა პრეზიდენტის პრეროგატივაა.

პარლამენტი. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან რესპუბლიკის ასამბლეას, რომელიც აირჩევა პროპორციული სისტემის საფუძველზე საყოველთაო, პირდაპირი და ფარული არჩევნებით 4 საპარლამენტო სესიის ვადით, ანუ ფაქტობრივად, ოთხი წლით. დეპუტატები ფლობენ თავისუფალ მანდატს. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს 18 წლის ასაკს მიღწეული, საარჩევნო უფლების მქონე ყველა პორტუგალიელი მოქალაქე. პარლამენტის შემადგენლობა 230-დან 235 წევრამდე მერყეობს. კანონით დეპუტატებს ეკრძალებათ სხვა სახელმწიფო პოსტის დაკავება და სახელმწიფო სანარმოებში საქმიანობა. პარლამენტის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით, თუმცა მათი დაკავება შეიძლება რესპუბლიკის ასამბლეის თანხმობის გარეშეც, დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში.

პარლამენტის მუშაობას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ასამბლეის თავმჯდომარე ოთხ მოადგილესთან, ოთხ მდივანსა და ორ ვიცე-მდივანთან ერთად. ყველა ეს პირი აირჩევა ერთი წლის ვადით. საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ორგანიზება და წარმართვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საპარლამენტო ჯგუფების (ფრაქციების) თავმჯდომარეთა კონფერენციაზე. რესპუბლიკის ასამბლეის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია საპარლამენტო ჯგუფები, რომლებიც არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით პარტიული ნიშნით იქმნება.

პორტუგალიის პარლამენტში ფუნქციონირებს 14 მუდმივი კომისია: ერთი სამანდატოა, ხოლო დანარჩენები სამთავრობო სტრუქტურების გათვალისწინებით კურირებენ კონკრეტულ დარგებს. მუდმივი კომისიების შემადგენლობა 10-დან 30 დეპუტატამდე მერყეობს. გარდა ამისა, შესაძლებელია საგამოძიებო და სხვა სახის დროებითი კომისიების შექმნა კონკრეტული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

პორტუგალიის პარლამენტის კომპეტენცია უფლებამოსილებათა ოთხ მნიშვნელოვან ჯგუფს აერთიანებს: ეს არის კანონმდებლობა, სხვა სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებაში მონაწილეობა, პრეზიდენტისა და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი და ცერემონიული ხასიათის რამდენიმე ფუნქცია, რაც პრეზიდენტის მიერ მის წინაშე ფიცის დადებასა და, ასევე, მის წინაშე უფლებამოსილების მოხსნით გამოიხატება.

პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ფუნქციის ფარგლებში მიღებული კანონის ხელმოწერისას, პორტუგალიის პრეზიდენტს აქვს შეყოვნებითი ვეტოს უფლება, რომელიც შეიძლება შეეხოს მთლიანად აქტს ან მის ცალკეულ მუხლებს თუ ნორმებს. პრეზიდენტი ვალდებულია, პარლამენტს წარუდგინოს წერილი, რომელშიც ჩამოაყალიბებს თავის მოსაზრებას ვეტოს საფუძველთან დაკავშირებით. ამასთან, იგი უფლებამოსილია, აქტის მიღებიდან 5 დღის მანძილზე მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პარლამენტის აქტის ან მისი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლო 20 დღის ვადაში, პრეზიდენტის მოთხოვნის შესაბამისად, მიიღებს გადაწყვეტილებას აქტის კონსტიტუციურობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აქტი ან მისი ნაწილი არაკონსტიტუციურად იქნება მიჩნეული, პრეზიდენტი მოვალეა ვეტო დაადოს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, მოახდინოს მოცემული დეკრეტის პრომულგაცია.

რესპუბლიკის ასამბლეას უფლება აქვს, აირჩიოს — საკონსტიტუციო სასამართლოს 10 მოსამართლე, მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებული, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს 7 ხმოსანი, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს თავმჯდომარე და დანიშნოს — სახელმწიფო საბჭოს 5 წევრი, სოციალურ კომუნიკაციათა უმაღლესი ხელმძღვანელობის 5 წევრი, პროკურატურის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარი.

საკანონმდებლო ორგანოს მიერ პრეზიდენტის გაკონტროლების ძირითად საშუალებას წარმოადგენს პარლამენტის მიერ მთელი რიგი საპრეზიდენტო აქტების რატიფიკაციის აუცილებლობა, მათთვის იურიდიული ძალის მისანიჭებლად და იმპიჩმენტის უფლება. რაც შეეხება კონტროლს მთავრობის საქმიანობაზე, ის უმთავრესად ხორციელდება სამთავრობო პროგრამებისა და გეგმების შეფასებით, ინტერპელაციისა და სადეპუტატო შეკითხვების მეშვეობით. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პარლამენტის ზემოქმედების უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს უნდობლობის ვოტუმი და „გაკიცხვის რეზოლუცია,“ რომლის მიღების შემდეგაც მთავრობა უნდა გადადგეს.

რესპუბლიკის ასამბლეასთან ფუნქციონირებს შვედური ომბუდსმენის წერგზე აღმოცენებული პორტუგალიური მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებულის ინსტიტუტი და სოციალური კომუნიკაციების უმაღლესი ხელმძღვანელობა. ამ უკანასკნელის უმთავრესი ფუნქციაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებლობის

უზრუნველყოფა და ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების, საზოგადოებრივი აზრის პლურალიზმის დაცვა.

მთავრობა ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის ხელმძღვანელი სახელმწიფო ადმინისტრაციის უმაღლესი კოლეგიური ორგანოა და ძირითადი აღმასრულებელი საქმიანობა, პრაქტიკულად, მის მიერ ხორციელდება. მთავრობის შემადგენლობაში შედიან: პრემიერ-მინისტრი, ერთი ან რამდენიმე ვიცე-პრემიერი, მინისტრები, სახელმწიფო მდივნები და მათი მოადგილეები. აღნიშნული პირები, სახელმწიფო მდივნებისა და მათი მოადგილეების გამოკლებით, წარმოადგენენ მინისტრთა საბჭოს, რომელიც პრემიერ-მინისტრის ან პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და კოორდინაციას უწევს მისი ორგანოების მუშაობას. შესაძლებელია მინისტრთა სპეციალური მცირე საბჭოების შექმნა კონკრეტული პრობლემების ან მთავრობის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულების მოსაგვარებლად.

მთავრობის ფორმირება იწყება პრეზიდენტის მიერ, საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილ პარტიებთან კონსულტაციის შემდეგ, მისი თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის დანიშვნით. პრემიერ-მინისტრი, უმეტეს შემთხვევებში, გამარჯვებული პარტიის ან პარტიათა კოალიციის ლიდერია და წარუდგენს სახელმწიფოს მეთაურს ყველა მინისტრისა თუ სახელმწიფო მდივნის კანდიდატურას, რომელთაც პრეზიდენტი ერთპიროვნულად ამტკიცებს. თუმცა მთავრობა თავისი ფუნქციების შესრულებას მხოლოდ პარლამენტის მიერ მისი პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში შეუდგება. მთავრობა პროგრამას წარუდგენს ახალი მოწვევის პარლამენტსაც თავისი ფუნქციონირების გასაგრძელებლად.

პორტუგალიის მთავრობა ფლობს გარკვეულ საკანონმდებლო პრეროგატივებს, უფლებამოსილია, მიიღოს სპეციალური დეკრეტ-კანონები, რომლებიც რესპუბლიკის ასამბლეის მიერ დამტკიცების შემდეგ იქცევა კანონის ძალის მქონე ნორმატიულ აქტად. კონსტიტუცია მკაცრად განსაზღვრავს, ძირითადად, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხთა წრეს, რომელზედაც რესპუბლიკის ასამბლეამ შეიძლება მოახდინოს მთავრობაზე საკანონმდებლო უფლებების დელეგირება.

მთავრობის კომპეტენციიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ე. წ. კონტრასიგნაციის უფლება, რომელიც, პრაქტიკულად, პრეზიდენტზე მისი ზემოქმედების მექანიზმია. ძირითად კანონში დეტალურადაა რეგლამენტირებული ავტონომიური ოლქების ორგანოთა დათხოვნის, სააღყო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და სხვა ამგვ-

არი საკითხები, რომელთა შესახებ საპრეზიდენტო აქტები საჭიროებს კონტრასიგნაციას.

თავად პრეზიდენტი გარკვეულ გავლენას ახდენს მთავრობის საქმიანობაზე, რადგან დიდ როლს თამაშობს აღმასრულებელი ორგანოების ფორმირებისას, რომლის წარმომადგენლები პასუხისმგებელი არიან უშუალოდ მის წინაშე. ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი — ეროვნული თავდაცვა მთლიანად მის კომპეტენციას წარმოადგენს. ამ სფეროში მთავრობის უფლებამოსილებანი არსებითად ნომინალურია და რეკომენდაციისა და „აზრის გამოთქმის“ იქით აღარ მიდის.

პორტუგალია დაყოფილია 22 ტერიტორიულ ერთეულად. აქედან 18 მის კონტინენტურ ნაწილზე მდებარეობს და ადმინისტრაციულ ოლქებს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი 4 აზორისა და მადეირას კუნძულებზეა განლაგებული, რომლებიც პოლიტიკური ავტონომიის მქონე ოლქების სტატუსით შედიან უნიტარული რესპუბლიკის შემადგენლობაში და თავისი უმაღლესი საკანონმდებლო აქტები — სტატუტები აქვთ. ყველა ეს ოლქი ქმნის ადგილობრივი მმართველობის უმაღლეს დონეს. ეროვნული ტერიტორიის კონტინენტურ ნაწილზე მდებარე ადმინისტრაციული ოლქები დაყოფილია 305 მუნიციპალიტეტად, რომლებიც, თავის მხრივ, აერთიანებენ 4209 ოკრუგს. ამგვარი დაყოფა მიღებულია ავტონომიურ ოლქებშიც.

ადგილობრივი ხელისუფლება დამყარებულია თვითმმართველობაზე და ეფუძნება ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის პრინციპს. ადმინისტრაციულ ოლქებში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საოლქო ასამბლეა, რომლის წევრთა დიდი ნაწილიც, აირჩევა ამ ოლქში მცხოვრები ამომრჩევლების მიერ პირდაპირი არჩევნებით, მცირე ნაწილი კი — პროპორციული წესით. საოლქო ასამბლეა ფარული კენჭისყრით თავის წევრთაგან ახდენს ოლქის მთავრობის — ჯუნტის ფორმირებას. ჯუნტა არის კოლეგიური ორგანო, რომელიც ოლქში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს. მასთან ფუნქციონირებს მინისტრთა საბჭოს მიერ დანიშნული ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელიც.

ავტონომიურ ოლქებში ხელისუფლების ორგანიზაციისა და მისი უფლებამოსილების საკითხები განისაზღვრება ამ ოლქების სტატუტებით, კონსტიტუციის მიერ დადგენილი ძირითადი პრინციპების საფუძველზე. სტატუტების პროექტებს შეიმუშავენ და რესპუბლიკის ასამბლეას დასამტკიცებლად წარუდგენენ ოლქის საკანონმდებლო ასამბლეები, რომლებიც წარმოადგენენ ოლქებში

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის ოლქის მთავრობას, რომელიც პოლიტიკურად პასუხისმგებელია ოლქის საკანონმდებლო ასამბლეის წინაშე. ავტონომიურ ოლქებში ცენტრალურ ხელისუფლებას წარმოადგენენ რესპუბლიკის მინისტრები, რომლებიც ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ ქვეყნის მთავრობის რეკომენდაციით. რესპუბლიკის მინისტრი უფლებამოსილია: დანიშნოს ოლქის მთავრობის თავმჯდომარე, მოახდინოს საოლქო საკანონმდებლო ასამბლეის დეკრეტების ხელმოწერა ან ვეტო დაადოს მას, აგრეთვე, კოორდინაცია გაუწიოს ადგილებზე სახელმწიფო ორგანოთა შეთანხმებულ ფუნქციონირებას.

მეორე და მესამე დონის თვითმმართველობის ორგანოთა სისტემა ც მხოლოდ არჩევითობას ეფუძნება. მუნიციპალიტეტის კოლეგიურ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს მუნიციპალური პალატა, რომელიც პირდაპირ აირჩევა შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ. კონსტიტუციის თანახმად, პალატის თავმჯდომარეობა ეკისრება არჩევნებში გამარჯვებული პარტიული სიის სათავეში წარმოდგენილ პირს. ადგილობრივ თვითმმართველობას ცენტრალური ხელისუფლებიდან კურირებს დაგეგმვისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის სამინისტრო.

ავტონომიური ოლქების ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, მთავრობის წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით დაითხოვოს ისინი რესპუბლიკის ასამბლეისა და სახელმწიფო საბჭოს აზრის მოსმენის შემდეგ. რაც შეეხება ადგილობრივ ორგანოებს მსგავსი მოტივაციის პირობებში, კანონმდებლობა ითვალისწინებს მათ დათხოვნასაც.

საარჩევნო სამართალი

პორტუგალიის საარჩევნო სამართალი საპარლამენტო არჩევნებში აღიარებს მხოლოდ პროპორციულ საარჩევნო სისტემას. საარჩევნო პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნენ როგორც პარტიის წევრები, ასევე უპარტიო პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ საარჩევნო კანონის მოთხოვნებს. როგორც აქტიური ასევე, პასიური საარჩევნო უფლებით მოქალაქენი 18 წლის ასაკიდან აღიჭურვებიან.

არჩევნების დღეს ნიშნავს პრეზიდენტი. ყოველი არჩევნების წინ, ამომრჩეველთა რაოდენობა დგინდება სავალდებულო რეგისტრაციით. თითოეული საარჩევნო ოლქიდან, რომლის საზღვრებიც, ჩვე-

ულებრივ, ემთხვევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა საზღვრებს, არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა პროპორციული უნდა იყოს იმ ოლქში მცხოვრები ამომრჩევლებისა. ყოველი არჩევნების წინ ოლქებიდან ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობას ადგენს ეროვნული საარჩევნო კომისია. პარლამენტის თითქმის მთელი შემადგენლობა წარმოადგენს ეროვნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩევლებს, ხოლო ოთხი დეპუტატი მის საზღვრებს გარეთ მყოფ პორტუგალიელ მოქალაქეებს, ორი – ევროპიდან, ორიც დაწარჩენი მსოფლიოდან.

ქვეყნის პრეზიდენტის კანდიდატურის ნამოყენების ინიციატივა ეკუთვნის 7500-დან 15000-მდე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც კანდიდატურას წარადგენს საკონსტიტუციო სასამართლოში, არჩევნების თარიღის დანიშვნამდე 30 დღით ადრე. თავად არჩევნების თარიღი უნდა განისაზღვროს წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, 30-დან 60 დღემდე შუალედში, ან 60-დან 90 დღემდე, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტით ამ პოსტზე წარმოიშობა ვაკანსია. ამასთან, კონსტიტუცია კრძალავს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას პარლამენტის არჩევის წინ ან შემდეგ 90 დღის მანძილზე.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამოიყენება მაჟორიტარული სისტემა აბსოლუტური უმრავლესობით, რომლის დროსაც პრეზიდენტი არჩეულად ჩაითვლება, თუ მოაგროვებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინიშნება მეორე ტური, რომელიც ტარდება 21 დღის შემდეგ და მასში მონაწილეობას იღებს უმეტესი ხმების მფლობელი ორი კანდიდატი. მეორე ტურში გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს.

პორტუგალიის საარჩევნო სამართლის თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული პროცენტული საარჩევნო ბარიერი, რათა არ მოხდეს საპარლამენტო არჩევნებისას მცირე პარტიათა დისკრიმინაცია. პორტუგალიის კონსტიტუცია იცავს საარჩევნო სამართალს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლო კორექტირებისგან. სწორედ ამ დატვირთვისაა ნორმა, რომლის თანახმად, საარჩევნო კანონი ან შესწორება მოქმედ კანონში მიღებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 5 თვისა არჩევნებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ამოქმედება მოხდება მხოლოდ შემდეგ არჩევნებზე.

არჩევნების დროს კანონიერებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სასამართლო.

სამოქალაქო სამართალი

პორტუგალიის სამოქალაქო სამართალი გერმანული სამართლის პრინციპულ საფუძვლებზეა ფორმირებული. მისთვის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ სამოქალაქო და სავაჭრო კანონმდებლობა ერთმანეთისგან განცალკევებით არის მოაზრებული, რაც განაპირობებს ქვეყნის ერთიან სამართლებრივ სივრცეში როგორც სამოქალაქო, ისე სავაჭრო კოდექსის ერთდროულ მოქმედებას.

დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი 1966 წელს ფაშისტური რეჟიმის დროს შეიქმნა და მრავალი ცვლილება განიცადა 1976 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ამ კოდექსის შექმნაზე დიდი გავლენა იქონია პორტუგალიის 1867 წლის სამოქალაქო კოდექსმა და შვეიცარიის კანონმდებლობამ.

1966 წლის სამოქალაქო კოდექსი შედგება 5 ნივნისგან. მის „ზოგად ნაწილში“ — განსაზღვრულია სამართლის წყაროები, რომელთა შორის სუბსიდიალურ წყაროდ „სამართლიანობაც“ არის მოხსენიებული, მოცემულია კანონთა გამოყენებისა და განმარტების წესები და სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი ცნებები. მეორე ნივნში — „ვალდებულებითი სამართალი“ ჩამოყალიბებულია ზოგადი ნორმები, რომლებიც შეადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, არეგულირებს გარიგებათა ისეთ კონკრეტულ სახეებს, როგორიცაა ჩუქება, ყიდვა-გაყიდვა, იჯარა და ა. შ. მესამე ნივნში — „სანივთო სამართალი“ — განხილულია საკუთრების, ფლობის, უზუფრუქტის, სერვიტუტისა და სხვა მსგავსი ინსტიტუტები. 1976 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ ყველაზე მეტი ცვლილება მეოთხე ნივნს — „საოჯახო სამართალს“ შეეხო, რომელიც აქამდე არ აღიარებდა ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. მეხუთე ნივნი — „მემკვიდრეობის სამართალი“ — ამ სფეროს მნიშვნელოვანი სიახლეებით არეგულირებს.

სავაჭრო კოდექსი ოთხ ნივნს აერთიანებს: პირველი ნივნი — „ზოგად დად ვაჭრობის შესახებ“ — შეიცავს სავაჭრო კოდექსის ზოგად წესებს, დებულებებს კომერსანტების, ფირმებისა და ბირჟების შესახებ; მეორე ნივნი — „სპეციალურ სავაჭრო გარიგებათა შესახებ“ — შეადგენენ სავაჭრო ამხანაგობების, სააქციო საზოგადოებისა და სხვა კომერციულ გაერთიანებათა შესახებ და მინდობილობის, გადაზიდვის და ა. შ. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები; მესამე ნივნი — „საზღვაო ვაჭრობის შესახებ“ — თავმოყრილია ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საზღვაო გემების სტატუსს, ტვირთის ფრახტისა და დაზღვევის პირობებს და

სხვა ამგვარ საკითხებს; მეოთხე წიგნი — „გაკოტრების შესახებ“ ამჟამად ძალადაკარგულადაა მიჩნეული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 4 წიგნისგან შედგება. იგი 1936 წელსაა მიღებული, მაგრამ მრავალი ცვლილებით დღესაც ფუნქციონირებს. გარდა ამისა, პორტუგალიის სამოქალაქო სამართლის იურიდიულ ბაზას ქმნიან რიგი კანონები და დეკრეტკანონები, რომელთა უმეტესობა მთავრობის მიერაა მიღებული მისთვის დელეგირებული საკანონმდებლო უფლების საფუძველზე. სამოქალაქო კანონმდებლობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, აგრეთვე, კოდექსს ნოტარიატის შესახებ.

სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის კანონმდებლობას პორტუგალიაში დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი კოდექსი 1852 წელს იქნა მიღებული, ხოლო მომდევნო კოდიფიკაცია 1886 წელს განხორციელდა და უდავოდ ლიბერალურ ხასიათს ატარებდა. მასში დეტალურადაა დამუშავებული სისხლის სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა ბრალი, თანამონანილეობა, ერთმანეთისგან გამიჯნულია დანაშაულის ჩადენის სტადიები. დადგენილია 34 დამამძიმებელი და 23 შემამსუბუქებელი გარემოება. კოდექსზე დიდი გავლენა იქონია სისხლის სამართლის ნეოკლასიკური სკოლის გამოცდილებამ.

ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება პორტუგალიის 1976 წლის კონსტიტუციისა ის არის, რომ ცალკე მუხლების სახით არის ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის ფუძემდებლური ნორმები, კერძოდ, სისხლის სამართლის გამოყენება, სისხლის სამართლის პროცესის გარანტიები. სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე, რომელმაც გააუქმა სიკვდილით დასჯა, მიღებულ იქნა დღეს მოქმედი 1982 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც მნიშვნელოვანი დეკრიმინალიზაცია მოახდინა. მთელ რიგ მცირე მნიშვნელობის დანაშაულებზე გაუქმდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ისინი ადმინისტრაციულ სფეროში იქნა გადატანილი, სადაც მოქმედებს ამავე წელს მიღებული №433 დეკრეტკანონი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ. 1982 წლის სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული სასჯელთა სისტემა მოიცავს თავისუფლების აღკვეთას, ჯარიმას, საზოგადოებრივ შრომას და რამდენიმე სხვა იძულებით ღონისძიებას. ამასთან, კოდექსში ჩადებულია მითითება, რათა თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს გამოსწორება სასჯელის სხვა სახით შეუძლებელია.

სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს 1987 წლის საპროცესო კოდექსი, თუმცა, უმნიშვნელო-ანესი პრინციპები: უდანაშაულობის პრეზუმფცია, დაცვის უფლება და ა. შ. განსაზღვრულია თავად ძირითადი კანონით. აღნიშნული კოდექსი დეტალურად აწესრიგებს საპროცესო ურთიერთობებს და მოიცავს ყველა წერილმანს, რაც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესთან, დანყებული წინასწარი გამოძიებითა და დამთავრებული განაჩენის გამოტანით. სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღნიშნული კოდექსების გარდა, აერთიანებს რამდენიმე კანონს, რომელთაგან აღსანიშნავია კანონი სასჯელაღსრულების შესახებ.

ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები

პორტუგალიის 1976 წლის კონსტიტუციამ უკლებლივ აღიარა საერთაშორისო აქტებში მანამდე გაცხადებული ადამიანის ყველა უფლება და თავისუფლება და განამტკიცა მათი პირდაპირი მოქმედება, სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებისთვის სავალდებულობა.

ძირითადი კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, იცოდეს თავისი უფლებები და მათი დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. სასამართლო ორგანოები ვალდებული არიან განიხილონ, ამგვარი სარჩელი და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება. ყველა საჯარო-სამართლებრივი დანესებულებისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებლობა, თუ ისინი მოქმედებით ან უმოქმედობით ხელს შეუშლიან ამ უფლებათა რეალიზაციას მათი მოვალეობის ფარგლებში.

სასამართლოების გარდა, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებული, რომელიც შვედური ომბუდსმენის პორტუგალიურ ანალოგს წარმოადგენს. ეს ორგანო ფუნქციონირებს რესპუბლიკის ასამბლეასთან, მას ნიშნავს პარლამენტი 4 წლის ვადით, ის სახელმწიფო საბჭოს წევრია და აღჭურვილია სადეპუტატო იმუნიტეტის ტოლფასი გარანტიებით, რაც უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას, ჰყავს მოადგილე, ფუნქციების შესრულებაში ეხმარება კოორდინატორებისა და ექსპერტების მთელი ჯგუფი.

მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებული (პროვედორი) მოქმედებს როგორც მოქალაქეთა საჩივრების, ასევე, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე. თუმცა მას ეკრძალება განიხილოს საქმე, რომლის გადაწყვეტაც შეიძლება სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით. მისი ქვემდებარეა სახელმწიფო ორგანოთა, მათ შორის, სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა ფაქტი,

როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო სფეროში. იგი უფლებამოსილია, აწარმოოს გამოკვლევა და ნებისმიერი საჯარო მოხელის ან სამხედრო პირისგან მიიღოს ინფორმაცია.

მართლმსაჯულების საქმეთა რწმუნებულის მიერ მიღებული აქტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და შესასრულებლად სავალდებულო არ არის, მაგრამ, როგორც წესი, მას დიდ ანგარიშს უწევენ. გარდა ამისა, სამართლიანობის დამცველს შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით, თუ მის მიერ გამოკვლეულ საქმეში დანაშაულის ნიშნებია. სახელმწიფო ორგანოებზე ზემოქმედება სამართლიანობის დამცველს შეუძლია პარლამენტის მეშვეობითაც, რომელსაც წელიწადში ერთხელ წარუდგენს სპეციალურ მოხსენებას. პროვედორი ზემოქმედების საკმაოდ მძლავრ ბერკეტს ფლობს სახელმწიფო საბჭოს – პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოს – წევრობის სახითაც.

სასამართლო სისტემა

პორტუგალიის სასამართლო ხელისუფლების სათავეში დგას უზენაესი სასამართლო – მართლმსაჯულების უმაღლესი ტრიბუნალი, უმაღლესი საკასაციო ინსტანცია. იგი შედგება პლენუმისა და ოთხი პალატისგან, რომელთაგან ორი იხილავს სამოქალაქო, ხოლო თითო სისხლის სამართლის საქმეებს და სოციალურ საკითხებს. გარდა საკასაციო წესისა, სასამართლომ საქმე შეიძლება განიხილოს პირველი ინსტანციითაც, როცა იგი პრეზიდენტისთვის წაყენებული ბრალდების განხილვას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა თავად მოსამართლეების მიერ.

საერთო სასამართლოების მეორე რგოლს ქმნიან სააპელაციო სასამართლოები. მათი რაოდენობა ოთხია და ქვეყანაც, შესაბამისად, ოთხ სასამართლო ოლქად არის დაყოფილი: ლისაბონი, პორტო, კოიმბრა და ევორა, რომლებიც, თავის მხრივ, 47 სასამართლო სექტორს აერთიანებენ. სააპელაციო სასამართლოები სამი – სამოქალაქო საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა და სოციალურ საკითხთა პალატებისგან შედგებიან და ისინი საქმეს მეორე ინსტანციით განიხილავენ.

საერთო სასამართლოების ქვედა რგოლს წარმოადგენს 232-მდე პირველი ინსტანციის სასამართლო, რომლებიც აღნიშნულ სექტორებში მოქმედებენ. აქ საქმეები განიხილება როგორც ერთპიროვნულად – ერთი მოსამართლის მიერ, ასევე, კოლევიალურად, სამი მოსამართლის მონაწილეობით. ამ სასამართლოების გარდა, პირველი ინსტანციით საქმეებს განიხილავენ, ასევე, მთელი რიგი სპეციალიზებული

სასამართლოები. მათგან 88 მუდმივად მოქმედია. ძირითადად, ესენია არასრულწლოვანთა და სისხლის სამართლის ტრიბუნალები.

სასამართლო სისტემაში ცალკე დგას უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო, რომელიც კოორდინაციას უწევს 27 ადმინისტრაციულ და ფისკალურ სასამართლოს. დამოუკიდებლად მოქმედებენ, ასევე, სამხედრო ტრიბუნალები, რომელთა იურისდიქცია მოიცავს სამხედრო სფეროსთან დაკავშირებულ ყველა დანაშაულს.

ერთი თავისებურება პორტუგალიის სასამართლო ხელისუფლებისა არის, რომ სწორედ მის შემადგენლობაში ფუნქციონირებს საანგარიშო პალატა, რომელიც თავის საოლქო განყოფილებებთან ერთად წარმოადგენს საჯარო ფინანსებზე კონტროლის უმაღლეს ორგანოს. მისი უმთავრესი ფუნქციაა სახელმწიფო ხარჯებზე ზედამხედველობა. საანგარიშო პალატა არის ერთიანი, ცენტრალიზებული ორგანო, რომლის სათავეში დგას, მთავრობის წარდგინების საფუძველზე, რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პალატის თავმჯდომარე.

მოსამართლეთა თანამდებობებზე დანიშნვა-გადაყენება, მათთვის დისციპლინარული თუ სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრება, სასამართლო სისტემის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაა. საბჭოს შემადგენლობაში შედის მოსამართლეთა კორპუსისგან არჩეული 7 წევრი, რესპუბლიკის ასამბლეის მიერ არჩეული 7 და პრეზიდენტის მიერ დანიშნული 2 ხმოსანი. მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ამ ორგანოს ფუნქციონირება უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის სრულ დამოუკიდებლობას. მოსამართლენი ინიშნებიან სამუდამოდ, დაუსვენებელია მათი თანამდებობიდან გადაყენება, ან საქმიდან ჩამოცილება და მათთვის პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პროკურატურა განიხილება, როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული ორგანო, რომლის ფუნქციებშიც შედის სასამართლოში სახელმწიფოს წარმომადგენლობა, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და დემოკრატიული კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა. პრეზიდენტის მიერ მთავრობის რეკომენდაციით დანიშნული გენერალური პროკურორი ხელმძღვანელობს სისტემას პროკურატურის უმაღლეს საბჭოსთან ერთად.

ამ ორგანოს წევრთა ნახევარს ირჩევს რესპუბლიკის ასამბლეა, ხოლო მეორე ნახევარს – თავად პროკურატურის მაგისტრატები თავისი შემადგენლობიდან.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

პორტუგალიაში საკონსტიტუციო იუსტიციის, ე. წ. შერეული მოდელი მოქმედებს, როცა მას ერთდროულად საერთო იურისდიქციისა და სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლოები ახორციელებენ.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 6 წლით არჩეული 13 მოსამართლისგან, რომელთაგან ათს ირჩევს რესპუბლიკის ასამბლეა, ხოლო ეს ათეული დანარჩენ სამს ირჩევს კოოპტაციის წესით, სხვა სასამართლოს მოსამართლეთაგან. მთლიანობაში, 13 მოსამართლიდან სხვა სასამართლოს მოსამართლე უნდა იყოს 6, რომელთაგან სამს პარლამენტი ირჩევს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 2 წლის ვადით აირჩევა თავად მოსამართლეების მიერ მათი შემადგენლობიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურული ერთეულებია პლენუმი და სექციები.

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განსაზღვროს ნებისმიერი ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, გადანყვიტოს პოლიტიკური პარტიის ან პარტიათა გაერთიანების კონსტიტუციურობის საკითხი, ძირითადი კანონით დადგენილ ფარგლებში მოახდინოს კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა რეფერენდუმსა და პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან (გარდაცვალება, გადაყენება) დაკავშირებულ საკითხებზე. საკონსტიტუციო სასამართლო გარკვეული ფორმით მონაწილეობს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ პროცესში, ახორციელებს საარჩევნო უფლების დაცვას. სახელმწიფოსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს შორის დავაც საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანია; ზედამხედველობა ახორციელებს ავტონომიური ფორმირებების კანონმდებლობის კონსტიტუციურობაზე.

საკონსტიტუციო ზედამხედველობას ექვემდებარება საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის, ძალაში შესულიც, თუმცა არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს მათ შეჩერებას, თუ მას იყენებს მეორე მხარე და ამასთან დაკავშირებით არ ირღვევა კონსტიტუციის პრინციპები. არის შემთხვევები, როდესაც გამოიყენება შეყოვნებითი ვეტო საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე, რომელიც შეიძლება დაძლეულ იქნეს რესპუბლიკის ასამბლეის მიერ ხმების 2/3ით.

ვრცელია სუბიექტთა წრე, რომელთაც საკონსტიტუციო სარჩელით მიმართვის უფლება აქვთ. ეს შეიძლება იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, რესპუბლიკის ასამბ-

ლის თავმჯდომარე, საპარლამენტო ფრაქციები თუ დეპუტატთა ჯგუფები, საოლქო საკანონმდებლო ორგანოები და მათი თავმჯდომარეები, დეპუტატთა ჯგუფები, მთავრობის თავმჯდომარეები; აგრეთვე, სასამართლოები, გენერალური პროკურორი და მისი ქვემდგომი პროკურორები, ფიზიკური და იურიდიული პირები.

საერთო იურისდიქციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს საერთო ისა აქვთ, რომ ორივე იყენებს შემდგომი კონტროლის ფორმას, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლო მთელ რიგ შემთხვევებში იყენებს პრევენტიული, წინასწარი კონტროლის საშუალებებს, იქამდე, რომ თავად ქვეყნის ძირითადი კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ნუსხაში (მუხლი 225, პუნქტი 2-f) პირდაპირ აფიქსირებს ადგილებზე ამომრჩევლებთან უშუალო კონსულტაციისა და რეფერენდუმების კანონიერებისა და კონსტიტუციურობის წინასწარ ზედამხედველობას და ამით წარმოაჩენს კონსტიტუციურ სამართალში წინასწარი კონტროლის პროფილაქტიკურ დანიშნულებას.

ლიტერატურა:

1. Португалия: Конституция и законодательные акты, Москва, „Прогресс“, 1979;
2. Якушев А.В. , Основы конституционного права Португалии // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 1999, стр. 148-154;
3. Автономов А.С. , Парламент Португалии // Парламенты мира, Москва, „Интерпракс“, 1991, стр.247-292;
4. Бойцова В.В., Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „БЕК“, 1997, стр 154;
5. Правительство в зарубежных государствах // Правительство, министерства и ведомства, Москва, „Юридическая литература“, 1994, стр. 34-38;
6. Касаткина Н. М., Правовой статус депутата Ассамблей Республики Португалии // Депутат парламента в зарубежных государствах, Москва, „Юридическая литература“, 1995, стр. 59-70.



რუსეთი

რუსეთის ფედერაცია უდიდესი სახელმწიფოა ევრაზიის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მას 17075,4 ათასი კმ² უკავია აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილო აზიაში. ქვეყნის მოსახლეობა 147 მილიონს სჭარბობს. რუსეთის ფედერაციის დედაქალაქია — მოსკოვი, სახელმწიფო ენა — რუსული, ფულის ერთეული — რუბლი.

თანამედროვე რუსეთის ისტორია 1990 წლის 12 ივნისიდან, მის მიერ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციის მიღებიდან იწყება. 1993 წლის 12 დეკემბერს, ამას მოჰყვა დამოუკიდებელი რუსეთის ძირითადი კანონის მიღება.

კონსტიტუციის თანახმად რუსეთი აღიარებულია, როგორც დემოკრატიული, ფედერაციული, სამართლებრივი, სოციალური, საერო სახელმწიფო, ხოლო მმართველობის ფორმით შერეული, ხოლო, ფაქტობრივად, ე. წ. სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოადგენს. რუსული სამართალი კი რომანულ-გერმანული ანუ კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება.

კონსტიტუციური სამართალი

რუსეთის ფედერაციის სახელისუფლო ბალანსი ასეთი სახით ყალიბდება: სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ფედერალურ კრებას, რომელიც ორი პალატისგან — სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოსგან შედგება; აღმასრულებელი ხელისუფლება ბივალენტურია: პრეზიდენტი, ძირითადად, მის მიერ ფორმირებულ მთავრობასთან ერთად, აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობითა არის დაკავებული. მთავრობის მეთაური — პრემიერ-მინისტრი ერთგვარად დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია პრეზიდენტთან ურთიერთობაში; სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ფედერალური უზენაესი სასამართლო, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო და ქვემდგომი და სპეციალური სასამართლოები.

პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და იგი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ახორციელებს წარმომადგენლობით ფუნქციას, ამასთან, კონსტიტუციის, ადამიანის და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტია. რუსეთის პრეზიდენტი, რომელიც ოთხი წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი და პირდაპირი არჩევნების

საფუძველზე ფარული კენჭისყრით აირჩევა, წარმართავს საგარეო პოლიტიკურ კურსს, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და კონსტიტუციით განსაზღვრულ ვითარებაში, შეუძლია გამოაცხადოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი რუსეთში მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია, „ფაქტობრივი“ კონსტიტუცია აღმასრულებელი ხელისუფლების ბიკეფალიზმზე მეტყველებს. პრეზიდენტი სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით ნიშნავს მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობის დანარჩენ შემადგენლობას კი იგი თავისი შეხედულებების და მთავრობის თავმჯდომარის წინადადებათა შეჯერების საფუძველზე აყალიბებს. შეუძლია გადააყენოს მთავრობა როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე სახელმწიფო სათათბიროს მოთხოვნის საფუძველზე. პრეზიდენტი უფლებამოსილია, თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომებს. მას უშუალოდ ექვემდებარებიან საგარეო საქმეთა, თავდაცვის და სამოქალაქო თავდაცვის, განსაკუთრებულ სიტუაციათა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის სამინისტროების ხელმძღვანელები, ათამდე სხვა აღმასრულებელი უწყება. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტს საკანონმდებლო პროცესზე ზემოქმედების ისეთი საშუალებები აქვს, როგორცაა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, სუსპენზიური ვეტო, კანონის პრომულგაცია, გარკვეული პირობების დაცვით შეუძლია დაითხოვოს სახელმწიფო სათათბირო.

რუსეთის პრეზიდენტი ხელშეუხებელია და მისი გადაყენება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ლალატის ან სხვა მძიმე დანაშაულისთვის, იმპიჩმენტის გზით.

პარლამენტი. ფედერალური კრება — რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო ორი პალატისგან შედგება: ქვედა პალატა — სახელმწიფო სათათბირო 450 დეპუტატს აერთიანებს, რომელიც საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი, პირდაპირი, ფარული წესით ოთხი წლით აირჩევა; ზედა პალატა — ფედერაციის საბჭო ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა 178 მეთაურს აერთიანებს და ამდენად, დინამიკურად ცვალებადი ორგანოა.

ფედერალური კრება მუდმივმოქმედი ორგანოა, სადაც რეალიზებულია პალატებს შორის შრომის დანაწილების პრინციპი კომპეტენციური ასიმეტრიულობის საფუძველზე. ფედერაციის საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება: რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება; რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სამხედრო მდგომარეობის ან საგანგებო მდგომარეობის შემოღე-

ბის შესახებ ბრძანებულებათა დამტკიცება; რუსეთის შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა; რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა, იმპიჩმენტის მექანიზმის შედეგიანი ამოქმედების პირობებში, რუსეთის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება; რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა; რუსეთის გენერალური პროკურორის დანიშვნა და გათავისუფლება; საანგარიშო პალატის თავმჯდომარის მოადგილის და აუდიტორთა ნახევრის თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება.

სახელმწიფო სათათბიროს გამგებლობას განეკუთვნება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნაზე თანხმობის მიცემა; რუსეთის მთავრობისთვის ნდობის საკითხის გადაწყვეტა; რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის, საანგარიშო პალატის თავმჯდომარის და აუდიტორთა ნახევრის, ადამიანის უფლებებზე რწმუნებულის თანამდებობებზე დანიშვნა და გათავისუფლება; ამნისტიის გამოცხადება. რუსეთის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადასაყენებლად, მისთვის ბრალდების წაყენება.

კანონშემოქმედებით საქმიანობაში ორივე პალატაა ჩართული. მართალია, ქვეყნის ძირითადი კანონის მიღება ფედერალური კრების უფლებამოსილება არაა, მაგრამ მას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციის III-VIII თავებში, ფედერალური კონსტიტუციური კანონის მიღებისთვის დადგენილი წესით, თუმცა დამატებით იგი მონონებულ უნდა იქნეს ფედერაციის სუბიექტების სულ ცოტა 2/3-ის საკანონმდებლო ორგანოების მიერაც. ფედერალური კონსტიტუციური კანონი მიიღება ფედერალური კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე, სახელმწიფო სათათბიროს სრული შემადგენლობის 2/3-ისა და ფედერაციის საბჭოს სრული შემადგენლობის 3/4-ის მიერ. ფედერალური კანონი მიიღება სახელმწიფო სათათბიროს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული რუსეთის კონსტიტუციით. ისინი მიღების შემდგომ 5 დღეში გადაეცემა ფედერაციის საბჭოს, რომელიც მოიწონებს მათ სრული შემადგენლობის უმრავლესობით, მოწონებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ზედა პალატამ განუხილველი დატოვა 14 დღის მანძილზე. ფედერაციის საბჭოს მიერ კანონის დანუწებისას, პალატებს უთანხმოებათა დასაძლევად შეუძლიათ შექმნან შემთანხმებელი კომისია. შემთანხმებელი კომისიის მიერ დამუშავებული კანონი ექვემდებარება სახელმწიფო სათათბიროს ხელახალ განხილვას. ქვედა პა-

ლატის ზედა პალატასთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო სათათბირომ კანონის მისაღებად კენჭი უნდა უყაროს მას ხელმეორედ და მიიღოს უკვე საერთო შემადგენლობის 2/3-ით. მიღებული ფედერალური კონსტიტუციური და ფედერალური კანონები საპრომულგაციოდ პრეზიდენტს ეგზავნება, რომელიც 14 დღის მანძილზე ხელს აწერს მათ და აქვეყნებს. ფედერალური კანონების მიმართ მას შეუძლია გამოიყენოს ვეტო, რომლის დაძლევაც ფედერალურ კრებას შეუძლია საერთო შემადგენლობის ხმების 2/3-ით.

ფედერალური მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ, საერთო კომპეტენციის კოლეგიალურ ორგანოს წარმოადგენს. რუსეთის ფედერაციის მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარის – პრემიერ-მინისტრის, მისი პირველი მოადგილეების, მოადგილეებისგან და ფედერალური მინისტრებისგან.

რუსეთის ფედერაციის მთავრობა ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას: შეიმუშავებს და წარუდგენს სახელმწიფო სათათბიროს ფედერალურ ბიუჯეტს, უზრუნველყოფს მის შესრულებას, წარუდგენს პარლამენტის ქვედა პალატას ფედერალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს; უზრუნველყოფს რუსეთის ფედერაციაში ერთიანი საფინანსო, საკრედიტო და ფულადი პოლიტიკის გატარებას, ერთიანი პოლიტიკის გატარებას კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ეკოლოგიის სფეროებში; მართავს ფედერალურ საკუთრებას; ახორციელებს ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების ღონისძიებებს, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკას; იღებს ზომებს კანონიერების უზრუნველყოფის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, ახორციელებს დამნაშავეობასთან ბრძოლას და სხვ.

ფედერალური მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის წინაშე, თუმცა მთავრობის მიმართ სახელმწიფო სათათბიროს მაკონტროლებელი უფლება მოსიღებანი მნიშვნელოვნად შეკვეცილია და ბალანსდება სწორედ პრეზიდენტის უფლებამოსილებით დაითხოვოს ქვედა პალატა, თუ იგი სამგზის უარყოფს პრემიერ-მინისტრის პოსტზე დასანიშნად პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებს ან თუ სამი თვის მანძილზე ხელმეორედ გამოუცხადებს უნდობლობას პრეზიდენტის მიერ თითქმის ერთპიროვნულად ჩამოყალიბებული მთავრობის შემადგენლობას. პრეზიდენტი ამას აკეთებს იმ შემთხვევაშიც, თუ ნდობის საკითხის ინიციატორად თვით მთავრობა გამოდის და ეს მაშინ,

როცა სახელმწიფო სათათბიროს „გარეკვა“ არ ავალდებულებს სახელმწიფოს მეთაურს გადააყენოს უნდობლობაგამოცხადებული მთავრობა.

რუსეთის კონსტიტუციური სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი და მოქმედი კონსტიტუციის ამოსავალი იდეა სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობაა. რუსეთის ფედერაციაში 89 სუბიექტია გაერთიანებული — 21 რესპუბლიკა, 49 ოლქი, 6 მხარე, ორი ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი, 1 ავტონომიური ოლქი და 10 ავტონომიური ოკრუგი. რუსეთი ამ თვალსაზრისით არა მხოლოდ მსოფლიოს ყველაზე დიდი, არამედ, ყველაზე ჭრელი ფედერაციული გაერთიანებაა. კონსტიტუციის თანახმად, რუსეთი სიმეტრიული, ცენტრალიზებული, ტერიტორიული ნიშნით განსაზღვრული ფედერაციაა. თუმცა „ფაქტობრივი კონსტიტუცია“ მის ასიმეტრიულობაზე, დეცენტრალიზმზე, ხელშეკრულებითობაზე, ე.ი. სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს და არც ეროვნული ნიშნებიდან გამომდინარე პრობლემები აკლია. და მაინც, კონსტიტუციის მე-5 მუხლის III ნაწილის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციული მოწყობა ეფუძნება მის სახელმწიფოებრივ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის ერთიანობას, რუსეთის ფედერაციისა და ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის გამგებლობის საკითხებისა და უფლებამოსილებების გამიჯვნის პრინციპს, რუსეთის ხალხთა თანასწორობასა და რუსეთის ფედერაციის ფარგლებში თვითგამორკვევის უფლებას.

საარჩევნო სამართალი

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო სათათბიროს 225 დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ტერიტორიულ ოლქებში მაჟორიტარული სისტემით, ამომრჩეველთა წარმომადგენლობის ერთიანი ნორმის საფუძველზე, გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 225 წევრი კი აირჩევა პროპორციული წარმომადგენლობის საერთო ფედერალურ ოლქში. აქტიური საარჩევნო უფლება ენიჭება რუსეთის მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, სასამართლოს მიერ არაა ცნობილი ქმედუუნაროდ და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არ იმყოფება სასჯელალსრულებით დაწესებულებაში. პასიური საარჩევნო უფლება ენიჭება აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირს 21 წლის ასაკიდან.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე სახელმწიფო სათათბიროს ფორმირებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ, ძირი-

თადად, პოლიტიკურ გაერთიანებებს, ყველა საერთო ფედერალურ საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომელთა წესდებაც ითვალისწინებს სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ფორმირებაში მონაწილეობის მიღებას. ფედერალური კრების ქვედა პალატის ფორმირებაში მონაწილეობის მისაღებად მათ კონსტიტუციით დადგენილი 5%-იანი ბარიერი უნდა გადალახონ. საპარლამენტო არჩევნებს ნიშნავს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, მათ შორის, ნატურალიზებული მოქალაქეც, 35 წლის ასაკიდან და, რომელიც მუდმივად ცხოვრობს რუსეთში არანაკლებ ათი წლისა. ერთი და იგივე პირი რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. კონსტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს ფედერალური კრების ზედა პალატა — ფედერაციის საბჭო. არჩევნები იმართება ერთიანი ფედერალური საარჩევნო ოლქის მასშტაბით. არჩევნების პირველი ტურის ლეგიტიმაციისთვის საჭიროა, რომ მასში მონაწილეობა მიიღოს აქტიური საარჩევნო უფლების მქონე რუსეთის მოქალაქეთა ნახევარზე მეტმა, ხოლო გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმათა ნახევარზე მეტს. არჩევნების მეორე ტური იმართება იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილ კანდიდატთაგან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა. უკეთესი შედეგების მქონე ორ კანდიდატს შორის განმეორებითი არჩევნები ტარდება პირველი ტურის შედეგების დადგენიდან არა უგვიანეს მე-15 დღისა. განმეორებითი არჩევნების სალეგიტიმაციო კვოტა დადგენილი არაა, ხოლო გამარჯვებულად ითვლება კანდიდატი, რომელიც უფრო მეტ ხმას მიიღებს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა ოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ორივეს წინააღმდეგ მიცემულ ხმათა ოდენობა.

სამოქალაქო სამართალი

ახალ რუსეთში ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სამოქალაქო კოდექსის მიღება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

1995 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს 1994 წლის 21 ოქტომბერს მიღებული სამოქალაქო კოდექსის 1 ნაწილი, რომელიც 453 მუხლის, 29 თავისა და 3 განყოფილებისგან შედგება. 1 განყოფილება — „ზოგადი დებულებები“ განსაზღვრავს ძირითად დებულებებს სამოქალაქო კანონმდებლობის, სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშო-

ბის, განხორციელებისა და დაცვის, ფიზიკური და იურიდიული პირების, სამოქალაქო უფლებათა ობიექტების, ვადებისა და სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხებს. II განყოფილება ეძღვნება საკუთრების უფლებასა და სხვა სანივთო უფლებებს, საცხოვრებელი შენობების საკუთრების უფლების და სხვა სანივთო უფლებების განხორციელების საკითხებს, შეიცავს საკუთრების უფლებისა და სხვა სანივთო უფლებების დაცვის შესახებ ნორმებს. III განყოფილება — ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს ზოგად დებულებებს ვალდებულებათა შესახებ — ვალდებულების ცნებას და მხარეებს, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას, პირთა შეცვლას ვალდებულებაში, ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, ვალდებულების შეწყვეტას; ზოგად დებულებებს ხელშეკრულების შესახებ — ხელშეკრულების ცნებას და პირობებს, ხელშეკრულების დადების, შეცვლისა და შეწყვეტის საკითხებს.

1996 წლის I მარტიდან მოქმედებაშია 1995 წლის 22 დეკემბერს მიღებული სამოქალაქო კოდექსის I ნაწილის გაგრძელება (მმ. 454-1109), რომელშიც ვალდებულებათა ცალკეული სახეებია განხილული. შემდეგ კოდიფიცირებულ ნორმატიულ აქტს 1964 წლის რსფსრ სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს, შემდგომი ცვლილებებითურთ, რომელიც მოქმედებს მხოლოდ იმ ნაწილში, რა ნაწილშიც არ ეწინააღმდეგება ახალი სამოქალაქო კოდექსის I და II ნაწილებს.

სამოქალაქო სამართალში შეიძლება გამოვყოთ 5 ქვედარგი:

— საკუთრების უფლებისა და სანივთო სამართლის ქვედარგი მოიცავს ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ სიკეთეთა მითვისების პროცესთან. საკუთრების უფლება, თავის მხრივ, წარმოადგენს ძირითად სანივთო უფლებას და სწორედ მას ეძღვნება სანივთო სამართლის ნორმათა ლომის წილი;

— ვალდებულებითი სამართლის საგანია ეკონომიკური ბრუნვის ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალური სიკეთების გადაადგილების პროცესთან. გადამწყვეტი პოზიცია ვალდებულებით სამართალში უკავია ვალდებულებას, ვალდებულების მხარეებად ითვლებიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულების ობიექტია — სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი შესაძლებელი ობიექტი. ვალდებულების წარმოშობის წინა პირობაა ხელშეკრულება, უსაფუძვლო გამდიდრება და კანონი;

— პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, წარმოიშვება პირად სულიერ სიკეთეთა გამო. ამ ურთიერთობათა ნორმალური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოღვაწეობის სფეროში.

როში უცხო პირთა ჩაურევლობის პირობით. ამიტომ ამ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებისას, გამოიყენება საყოველთაო აკრძალვის მეთოდი, თუმცა ამ დარგობრივი მეთოდის გამოყენება ხდება მხარეთა იურიდიული თანასწორობის საერთო დარგობრივი მეთოდის საფუძველზე;

— შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე უფლებების ქვედარგში გაერთიანებულია პირადი არაქონებრივი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ბრუნვის ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები. ქვედარგის ნორმები სრულ შესაბამისობაშია ისეთ საერთაშორისო კონვენციებთან, როგორცაა — ბერნისა და ჟენევის კონვენციები, საპატენტო სამართალთან დაკავშირებული პარიზის კონვენცია;

— მემკვიდრეობის სამართალი არეგულირებს გარდაცვლილი პირისგან მის მემკვიდრეებთან ქონების გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ცნობილია, აგრეთვე, უფლებების სინგულარული სამართალმემკვიდრეობა. ანდერძით მემკვიდრეობისგან განასხვავებენ კანონით მემკვიდრეობას.

საოჯახო სამართალი რუსეთის სამართლის სისტემის დამოუკიდებელი დარგია, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეგულირების საგანსაც ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები წარმოადგენენ. რუსულ ცივილისტიკაში ეს აიხსნება იმით, რომ ოჯახის წევრებს შორის წარმომობილ ქონებრივ ურთიერთობებს არა აქვთ ღირებულებითი ხასიათი, ხოლო პირადი არაქონებრივი ურთიერთობები წარმოიშვება კონკრეტულ, ოჯახის მკაცრად განსაზღვრულ წევრებს შორის. სწორედ ამ განსაკუთრებულობათა გამო, ისინი საოჯახო-საქორწინო კანონმდებლობით რეგულირდება და არა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით.

სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, არეგულირებს მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში წარმომობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. რეგულირების საგანს წარმოადგენს სამოქალაქო პროცესი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო სასამართლო წარმოება.

რუსულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის პარალელურად, მოქმედებს საარბიტრაჟო პროცესუალური კოდექსიც, რომელიც მიღებულია 1995 წლის 5 აპრილს და ძალაშია 1995 წლის 1 ივლისიდან.

სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის კანონმდებლობა რუსეთის ფედერაციაში კოდიფიცირებულია და წარმოდგენილია სისხლის სამართლის კოდექ-

სით, რომელიც ძალაშია 1997 წლის პირველი იანვრიდან. იგი ორი ნა-
ნილისგან, 12 განყოფილებისგან, 34 თავისა და 360 მუხლისგან შედგე-
ბა. ზოგად ნაწილში განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის
ამოცანები და პრინციპები, დანაშაულის და სასჯელის არსი, სასჯე-
ლისგან და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფ-
ლების, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობი-
სგან გათავისუფლების, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრი-
ვი პასუხისმგებლობის, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომების
გამოყენების თავისებურებანი. განსაკუთრებული ნაწილი კი ადგენს
პასუხისმგებლობის ზომებს ცალკეული სახის დანაშაულებრივი ქმე-
დებისთვის, რომლებიც უმთავრესად ხელყოფის ობიექტების მიხედ-
ვით ექვს ნაწილადაა დაყოფილი: პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ
დანაშაულებში გაერთიანებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობის,
პიროვნების თავისუფლების, ღირსებისა და პატივის, პიროვნების სქე-
სობრივი თავისუფლების და სქესობრივი ხელშეუხებლობის, ადამი-
ანის და მოქალაქის კონსტიტუციურ უფლება-თავისუფლებათა, არას-
რულწლოვანთა და ოჯახის წინააღმდეგ მიმართული ქმედებანი; ეკო-
ნომიკის სფეროში ჩადენილი დანაშაულებანი; საზოგადოებრივი წეს-
რიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართუ-
ლი დანაშაულებანი; სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმარ-
თული დანაშაულებანი; სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართუ-
ლი დანაშაულებანი; მშვიდობის და კაცობრიობის უსაფრთხოების წი-
ნააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველია
საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენა-დანაშაული. სისხლის სა-
მართლის კოდექსის მე-14 მუხლის ძალით, დანაშაულია ქმედება, იქნება
ეს მოქმედება ან უმოქმედება, ანუ პირის კონკრეტული ქცევა, რომე-
ლიც ჩადენილია როგორც ბრალეული, საზოგადოებრივად საშიში ქმე-
დება, სისხლის სამართლის კოდექსით, დასჯის მუქარით აკრძალული.

სსკ-ის შესაბამისად, სასჯელი არის სახელმწიფო იძულების ზომა,
რომელიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე ენიშნება დანაშაუ-
ლის ჩადენაში ბრალეულად მიჩნეულ პირს და მდგომარეობს პირის თა-
ვისუფლების ან უფლების აღკვეთასა თუ შეზღუდვაში. იგი გამოიყენე-
ბა სოციალური სამართლიანობის აღსადგენად, აგრეთვე, მსჯავრდადე-
ბულის გამოსწორებისა და ახალ დანაშაულებათა თავიდან აცილების
მიზნით. სასჯელის სახეებია: ჯარიმა; გარკვეული თანამდებობის და-
კავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; სპეციალუ-
რი, სამხედრო ან საპატიო წოდების, საკლასო ჩინის და სახელმწიფო

ჯილდოს ჩამორთმევა; სავალდებულო სამუშაოები; გამასწორებელი სამუშაოები; სამხედრო სამსახურში შეზღუდვა; ქონების კონფისკაცია; თავისუფლების შეზღუდვა; დაპატიმრება; დისციპლინურ სამხედრო ნაწილში წარგზავნა; განსაზღვრული ვადით თავისუფლების აღკვეთა; სამუდამო თავისუფლების აღკვეთა; სიკვდილით დასჯა. მათგან ნაწილი მხოლოდ დამატებითი, ნაწილი მხოლოდ ძირითადი, ნაწილი კი როგორც დამატებითი, ისე ძირითადი სასჯელის სახეა. თავისუფლების სამუდამოდ ჩამორთმევა ინიშნება მხოლოდ როგორც სიკვდილით დასჯის ალტერნატიული სასჯელი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული ზომაა, რომელიც გათვალისწინებულია მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის. იგი არ ენიშნება ქალებს, 18 წლამდე პირებს და მამაკაცებს 65 წლის ზემოთ.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ადამიანის და მოქალაქის უფლება-თავისუფლებათა დაცვა უმაღლეს სამართლებრივ პრიორიტეტადაა აღიარებული რუსეთში და გარანტირებულია შესაბამისი კონსტიტუციური ნორმებით, რომლებიც მის მეორე თავშია მოცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა განსაზღვრულია და გარანტირებულია „ყოველისთვის“, „ყველასთვის“, თუმცა, იმავდროულად არსებობს მეტწილად პოლიტიკურ უფლებამოვალეობათა სპექტრი, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს ეხება. თანასწორუფლებიანობასთან ერთად რუსეთის კონსტიტუცია თავის მე-19 მუხლში აფიქსირებს თანასწორობის პრინციპსაც: ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე. გამორიცხულია მოქალაქეთა ყოველგვარი სტრატეგიკაცია, მათ შორის, ეთნიკური ნიშნის მიხედვითაც. კონსტიტუციის 26-ე მუხლის შესაბამისად, თითოეულს შეუძლია განსაზღვროს და მიუთითოს თავისი ეროვნული კუთვნილება. არავინ არ შეიძლება იქნეს იძულებული თავისი ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისა და მითითებისთვის: ეთნიკური ნიშნით დიფერენცირების გარეშე, რუსეთის ყველა მოქალაქე თანასწორი და თანასწორუფლებიანია.

ადამიანის და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები უშუალოდ მოქმედებს კონსტიტუციის მე-18 მუხლის შესაბამისად, ისინი განსაზღვრავს კანონების არსს, შინაარსსა და გამოყენებას, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას, უზრუნველყოფილნი არიან მართლმსაჯულებით.

კონსტიტუციურ უფლება-თავისუფლებათა სპექტრი აერთიანებს სიცოცხლის უფლებას, პიროვნების ღირსებისა და პატივის უფლებას,

პირად თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, პირადი ცხოვრების და საცხოვრებლის ხელშეუხებლობას, თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას, რწმენისა და სინდისის თავისუფლებას, სიტყვისა და აზრის თავისუფლებას. სამოქალაქო უფლებათა პარალელურად, კონსტიტუცია ამკვიდრებს შემდეგ პოლიტიკურ უფლებებს: გაერთიანების უფლება, შეკრების თავისუფლება, სახელმწიფო საქმეთა მართვაში მონაწილეობისა და საარჩევნო უფლებებს, სახელისუფლო ორგანოებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის მიმართვის უფლებას. სოციალურ-ეკონომიკური უფლებებია: სამენარმეო და სხვა კანონიერი ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება, კერძო საკუთრების უფლება, შრომის თავისუფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, საცხოვრებლის უფლება, ჯანდაცვისა და სამედიცინო დახმარების უფასოდ მიღების უფლება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება, უფასო განათლების უფლება, ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება.

სამოქალაქო საზოგადოების პირობებში, ადამიანის თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფისა და მისი კონსტიტუციური უფლება-თავისუფლების გარანტირებულობის მნიშვნელოვანი ინსტიტუცია — ომბუდსმენი, რომლის რუსულ ვარიანტსაც ადამიანის უფლებებზე რწმუნებული ეწოდება. იგი პარლამენტის ქვემდებარეა, ინიშნება სახელმწიფო სათათბიროს მიერ და სწორედ ეს პალატაა უფლებამოსილი, გაათავისუფლოს კიდეც იგი. რუსეთის ომბუდსმენი აღჭურვილია ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლების დაცვის სპეციფიკური საშუალებებით, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების უფლებით ყველა თანამდებობის პირის მიმართ, თუმცაღა, მათ მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა დამრღვევი გადაწყვეტილებების შეცვლის უფლების გარეშე. უფლება-თავისუფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას რუსეთში სასამართლო დაცვა წარმოადგენს, რომლის უზრუნველსაყოფადაც ქვეყნის ძირითად კანონში დაცულია უფლება-გარანტიათა სპეციალური ჯგუფი (იურიდიული დახმარების მიღების უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, სასამართლო დაცვის უფლება და სხვ.).

სასამართლო სისტემა

რუსეთის ერთიანი სასამართლო სისტემა დადგენილია კონსტიტუციით და 1996 წლის 23 ოქტომბრის ფედერალური კონსტიტუციური კანონით სასამართლო სისტემის შესახებ. კონსტიტუცია გა-

მორიცხავს საგანგებო და სხვაგვარი სასამართლოების შექმნას. სასამართლოები ჯგუფდებიან ორ ნაწილად: ფედერალური სასამართლოები — რუსეთის უზენაესი სასამართლო, რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოები, სამხარეო და საოლქო სასამართლოები, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების სასამართლოები, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგების სასამართლოები, რაიონული სასამართლოები, სამხედრო და სპეციალური სასამართლოები — საერთო იურისდიქციის ფედერალური სასამართლოები; რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო; ფედერალური საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემა — უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო, ოკრუგების ფედერალური საარბიტრაჟო სასამართლოები, ფედერაციის სუბიექტების საარბიტრაჟო სასამართლოები; ფედერაციის სუბიექტების სასამართლოებს მიეკუთვნება — საკონსტიტუციო (სანესდებო) სასამართლოები და მომრიგებელი მოსამართლეები. ეს უკანასკნელი საერთო იურისდიქციის თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოები.

რუსეთის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო უმაღლესი სასამართლო ორგანოა, რომელიც მონოდებულია განიხილოს და გადაწყვიტოს ეკონომიკური დავები და მმართველობის სფეროში არსებული სამართალდარღვევები. იგი განიხილავს საქმეებს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, ზედამხედველობის წესით და ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო. უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო იძლევა სასამართლო პრაქტიკის შესახებ განმარტებებს. ოკრუგის საარბიტრაჟო სასამართლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს და გადაწყვეტს ეკონომიკურ და მმართველობით დავებს საკასაციო წესით და ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო, ხოლო ფედერაციის სუბიექტის საარბიტრაჟო სასამართლო — როგორც პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლო, ასევე, ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო.

რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ორგანო სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, რომლებიც ექვემდებარება საერთო იურისდიქციის სასამართლოების განსჯადობას. ამრიგად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოება ექვემდებარება როგორც საარბიტრაჟო, ისე საერთო იურისდიქციის სასამართლოებს და სწორედ ამ სფეროშია შესამჩნევი გარკვეული დუალიზმი. უზენაესი სასამართლო

ახორციელებს სასამართლო ზედამხედველობას საერთო იურისდიქციის სასამართლოთა საქმიანობაზე, სამხედრო და სპეციალიზებულ ფედერალური სასამართლოების ჩათვლით.

რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს საქმეებს როგორც მეორე ინსტანციის სასამართლო, ზედამხედველობის წესით და ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო, ხოლო ფედერალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო.

რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, სამხარეო (საოლქო) სასამართლო, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების სასამართლოები, ავტონომიური ოლქის სასამართლო და ავტონომიური ოკრუგის სასამართლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ საქმეებს, როგორც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლო, ზედამხედველობის წესით და ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო.

რაიონული სასამართლოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ საერთო იურისდიქციას დაქვემდებარებულ საქმეებს, როგორც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები და ახორციელებენ სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც მართლმსაჯულებასთან კავშირში არ არის, კერძოდ, ფაქტების დადასტურება და სხვა ამისთანა.

სამხედრო სასამართლოები ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე იქმნება ჯარებისა და ფლოტის დისლოკაციის ადგილას, რათა განახორციელონ სასამართლო ხელისუფლება ჯარებში, ორგანოებსა და ფორმირებებში, სადაც ფედერალური კანონითაა განსაზღვრული სამხედრო სამსახური.

თანამედროვე რუსეთის ნოვაციად უნდა ჩაითვალოს საქმეთა სასამართლო განხილვა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის მონაწილეობით იმ ტერიტორიებზე, რომელთაც განსაზღვრავს რუსეთის წარმომადგენლობითი ხელისუფლება.

მოსამართლეთა საერთო ინტერესების დაცვისა და გამოხატვისთვის ყალიბდება მოსამართლეთა გაერთიანებები. მოსამართლეთა გაერთიანების უმაღლესი ორგანოა მოსამართლეთა სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელიც აყალიბებს რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა საბჭოსა და მოსამართლეთა უმაღლეს საკვალიფიკაციო კოლეგიას.

რუსეთის ფედერაციაში მოსამართლე უნდა იყოს 25 წელს მიღწეული რუსეთის მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული განათლებითა და იურიდიული პროფესიით მუშაობის 5 წლიანი სტაჟით. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთათვის ფედერალური კანონით დადგენილია გაზრდილი ცენზები.

სახელმწიფო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პროკურატურას. იგი 1995 წლის 18 ოქტომბრის „პროკურატურის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ავტონომიურ დანესებულებას წარმოადგენს და მონოდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეების მიერ კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობა განახორციელოს. ამ სისტემას თაოსნობს გენერალური პროკურორი, რომელიც პრეზიდენტის წარდგინებით, ფედერაციის საბჭოს მიერ ინიშნება 5 წლის ვადით.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

რუსეთის ახალი კონსტიტუციის თანახმად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავად სასამართლო ხელისუფლების შემადგენელი ნაწილთაგანია. იგი 1994 წლის 24 ივნისს მიღებული ფედერალური კონსტიტუციური კანონის მესამე მუხლის შესაბამისად, კონსტიტუციური წყობის საფუძვლების, ადამიანის და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სრულიად რუსეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციის პირდაპირი და უზენაესი მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, წყვეტს რუსეთის კონსტიტუციასთან ფედერალური კანონების, პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს და მთავრობის ნორმატიული აქტების, რესპუბლიკების კონსტიტუციების, ფედერაციის სხვა სუბიექტების წესდებების, აგრეთვე, მათი კანონებისა და იმ ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებს, რომლებიც გამოცემულია რუსეთის განსაკუთრებული და ერთობლივი გამგებლობის საკითხებზე; ფედერალურ კონსტიტუციასთან შინასახელმწიფოებრივი ხელშეკრულებებისა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობის საკითხს, რომლებიც ძალაში არ არის შესული; კომპეტენციურ დავებს სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს შორის, ფედერალურ და ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის, ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის; მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის გამო საჩივრებისა და სასამართლოთა წარდგინების საფუძველზე, ამონებს იმ კანონის კონსტიტუციურობას, რომელიც გამოყენებულ იქნა ან უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ საქმეში; განმარტავს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას; იძლევა დასკვნას პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის დადგენილი წესის შესრულებაზე; თავისი კომპეტენციის სფეროში აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და სხვ.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 19 მოსამართლისგან. ისინი პრეზიდენტის წარდგინებით ინიშნებიან ფედერაციის საბჭოს მიერ 12 წლით. მის შემადგენლობაში იქმნება ორი პალატა 9 და 10 წევრის შემადგენლობით. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენარული სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს და გადანაყიტოს მის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხი, თუმცა მხოლოდ იგია უფლებამოსილი გადანაყიტოს კონსტიტუციასთან, რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და ფედერაციის სხვა სუბიექტების წესდებათა შესაბამისობის, კონსტიტუციური განმარტების, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურასთან დაკავშირებული დასკვნის, მიმართვის მიღების, საკანონმდებლო ინიციატივით გამოსვლის საკითხი.

ლიტერატურა:

1. Конституция Российской Федерации // Комментарий к Конституции Российской Федерации., Москва, „БЕК“, 1996;
2. ო. მელქაძე, ვ. ყურაშვილი, რუსეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, „უფლება“, 1997;
3. ო. მელქაძე, ვ. ყურაშვილი, რუსეთი // საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, „მერანი“, 1999, გვ. 272-307;
4. გ. გოგიაშვილი, რუსეთი // შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ 174-178;
5. Баглай М.В., Габричидзе Б. Н., Конституционное право Российской Федерации, Москва, „ИНФРА-М“, 1996;
6. Государственное право Российской Федерации, под ред. О. Е. Кутарина, Москва, „Юридическая литература“, 1996;
7. Курашвили К.Т., Федеративная организация Российского государства, Москва, „Спутник“, 2000;
8. Бойцова В.В., Омбудсмен в России // Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „БЕК“, 1997, стр. 2-16;
9. Уголовный кодекс Российской Федерации от 24 мая 1996 г. // Собрание законодательства Российской Федерации, 1996, №25;
10. Гражданский кодекс Российской Федерации от 22 декабря 1995 г. // Собрание законодательства Российской Федерации, 1996, №5;

საფრანგეთი

საფრანგეთი „დიდ რვიანში“ შემავალი მაღალგანვითარებული სახელმწიფოა. საფრანგეთს ჩრდილო-აღმოსავლეთით ბელგია და ლუქსემბურგი, აღმოსავლეთით – გერმანია, სამხრეთ-აღმოსავლეთით შვეიცარია, იტალია და ესპანეთი ესაზღვრება. საფრანგეთის საზღვრების დიდ ნაწილს ლა-მანშისა და შა-დე-კალეს სრუტეები, ბისკაის ყურე და ხმელთაშუა ზღვა ფარავს. კონტინენტური საფრანგეთი კუნძულ კორსიკას და ატლანტიკის ოკეანის რიგ კუნძულებს მიითვლის. მისი მთლიანი ტერიტორია 551 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობა 60 მილიონამდეა. დედაქალაქია – პარიზი, სახელმწიფო ენა – ფრანგული, ფულის ერთეული – ფრანკი.

საფრანგეთის აღმავლობას დასაბამი მისცა გენერალ შარლ დე გოლის ეპოქამ, კონკრეტულად კი 1958 წლის 4 ოქტომბერს მიღებულმა კონსტიტუციამ. აქედან იწყება მეხუთე რესპუბლიკის უამთა სვლაც. ფრანგული სამართალი კონტინენტურ სამართლებრივ ოჯახს განეკუთვნება. მისი კონსტიტუციური გამოცდილება მრავალი ქვეყნისთვის გახდა სამაგალითო: საფრანგეთში დამკვიდრებული მმართველობის შერეული, ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელი მსოფლიოს ოცდახუთ ქვეყანაში ფუნქციონირებს და თავად უნიტარული მონყობის საფრანგეთის სახელმწიფოც აღმავლობის გზით მიჰყავს.

კონსტიტუციური სამართალი

საფრანგეთის რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ძალთა ბალანსში პრეზიდენტი წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც სახელმწიფოს მეთაური, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების მონილევც, თუ ეროვნულ კრებაში უმრავლესობა პრეზიდენტის მხარდამჭერია, მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებანიც მთელი სისრულით მოქმედებს, თუ არადა, რეალური ძალაუფლება პრემიერ-მინისტრის ხელში გადადის. შერეული მმართველობის ამ ფრანგულ მოდელს ამიტომაც უწოდებენ ნახევრად-საპრეზიდენტოს. მართლმსაჯულებას განახორციელებს სასამართლო სისტემა, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლს საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო.

პრეზიდენტი, კონსტიტუციის თანახმად, არის „სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლება“, ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიუ-

ლი მთლიანობის, ქვეყნის ერთობის, კონსტიტუციის დაცვის გარანტი. პრეზიდენტი თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის შესრულებას და, როგორც პოლიტიკური და ინსტიტუციური კონფლიქტების არბიტრი, უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ნორმალურ ფუნქციონირებას. იგი ითვლება მთავრობის საქმიანობის ძირითად ორგანიზატორად. პრეზიდენტს არ ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა თავისი მოქმედებისთვის, დაცულია კონტრასიგნაციის მექანიზმით. შეიდნლიანი მანდატი პრეზიდენტისთვის სტაბილურ, მაგარ ზურგს ნიშნავს, მით უმეტეს, რომ თუ ადრე პრეზიდენტად არჩევის ორი ვადა იყო დაშვებული, მეხუთე რესპუბლიკაში ამგვარი შეზღუდვა აღარ არსებობს.

პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია, ფლობს გარკვეულ საკანონმდებლო უფლებებსაც და, ფაქტობრივად, ერთმმართველია. პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და იღებს მის გადადგომას, პრემიერ-მინისტრის წინადადებით ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის წევრებს, თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს სხდომებს, ხელს აწერს ამ სხდომებზე განხილულ ორდონანსებსა და დეკრეტებს, ნიშნავს საკონსტიტუციო საბჭოს 9 წევრიდან სამს, ხოლო საბჭოს ერთ-ერთ წევრს – თავმჯდომარის თანამდებობაზე. პრეზიდენტს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო საბჭოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ან საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის თაობაზე. პრეზიდენტის ტრადიციულ უფლებად ითვლება საზღვარგარეთის ქვეყნებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოს წარმოდგენა, ელჩების დანიშვნა, პარლამენტის თანხმობით ომის გამოცხადება, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება.

პრეზიდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს დაითხოვოს ქვედა პალატა. ერთადერთი შეზღუდვა ის არის, რომ ორ თანამომდევნო დათხოვნას შორის გასული უნდა იყოს არანაკლებ ერთი წლისა. ამასთან, პრეზიდენტი ვალდებულია ჩაატაროს წინასწარი კონსულტაციები პრემიერ-მინისტრსა და ორივე პალატის თავმჯდომარესთან.

პრეზიდენტი ახდენს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების პრომულგირებას. თუმცა პრეზიდენტს ოფიციალურად ვეტოს უფლება არა აქვს, მაგრამ მას შეუძლია პრომულგირებამდე პალატებს მოსთხოვოს კანონის ან მისი ცალკეული ნაწილების ხელახალი განხილვა, რაზეც მას არ შეიძლება უარი ეთქვას. პარლამენტთან ურთიერთობისას პრეზიდენტის უფლებამოსილებების განხორციელება ხდება ძირითადად კონტრასიგნაციის მექანიზმის გარეშე. ეს უფლებებია პარლამენტისთვის

მიმართვის გაგზავნა, პარლამენტის დათხოვნა და პარლამენტის მიერ მიღებული კანონების პრომულგირება. და მაინც, პარლამენტთან მიმართებაში არის ორი საკითხი, რომლებიც კონტრასიგნაციას ექვემდებარება. ეს არის პრეზიდენტის დეკრეტი პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ და პრეზიდენტის გადანყვეტილებები დიპლომატიურ სფეროში, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია, ელჩებისა და საგანგებო დესპანების აკრედიტაცია.

კონსტიტუციის მე-16 მუხლში კონკრეტულადაა მითითებული ის გარემოებები, რომლებიც პრეზიდენტს აკუთვნებს საგანგებო უფლებამოსილებებს. მათი გამოყენება ცვლის სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივ მდგომარეობას, იგი ლეგალურად ხდება უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც იღებს ყველა ზომას კრიზისის დასაძლევად, რაც ცვლის მთავრობისა და პარლამენტის როლს.

პარლამენტი ორპალატიანი სტრუქტურაა: ქვედა პალატა – ეროვნული კრება შედგება 577 დეპუტატისგან, ხოლო ზედა პალატა – სენატი 322 წევრისგან. საფრანგეთის კონსტიტუცია არ შეიცავს ბევრ მონაცემს პარლამენტის ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ. ეს საკითხები რეგულირდება კანონებითა და პალატების რეგლამენტებით. პალატებს აქვთ ბიუროები, რომელთა მოვალეობაა პალატების სამსახურების ხელმძღვანელობა და საკანონმდებლო პროცესის წარმართვა. მათ შემადგენლობაში შედიან პალატის თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარეები და მდივნები. პალატებში ყოველკვირეულად იკრიბება თავმჯდომარეთა კონფერენცია, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარეები, საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები, მუდმივი და დროებითი კომისიების თავმჯდომარეები. მას ესწრება მთავრობის წარმომადგენელი, რომელთან შეთანხმებითაც ხდება სესიის ძირითადი დღის წესრიგის შედგენა. პალატებში იქმნება პოლიტიკური ჯგუფები ან ფრაქციები, რომელთა შექმნისთვის წევრთა მინიმალური რაოდენობა ეროვნულ კრებაში ოცი, ხოლო სენატში – თხუთმეტი პარლამენტარია.

ფრანგულ საპარლამენტო ცხოვრებაში არსებობს კომისიათა ორი ძირითადი სახეობა – მუდმივი და სპეციალური, შესაძლებელია შეიქმნას შერეული საგამოძიებო, საკონტროლო და განსაკუთრებული კომისიები, აგრეთვე, სპეციალური კომისიები კანონპროექტისა თუ საკანონმდებლო წინადადების მომზადების მიზნით. გარდა მუდმივი და სპეციალური კომისიებისა, საფრანგეთის პარლამენტში პალატებს შორის უთანხმოებისას იქმნება დროებითი შერეული კომისიები პარიტეტულ საწყისებზე – თითოეული პალატიდან შვიდ-შვიდი წევრის შემადგენლობით.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ პარლამენტარებს და პრემიერ-მინისტრს. რესპუბლიკის პრეზიდენტი ფორმალურად ამგვარი უფლებით არ არის აღჭურვილი. საფრანგეთის პარლამენტი იღებს ჩვეულებრივ, ორგანულ და კონსტიტუციურ კანონებს. პარლამენტის მიერ კანონის მიღების შემდეგ, იგი ეგზავნება მთავრობას, რომელიც გადასცემს მას რესპუბლიკის პრეზიდენტს. პრეზიდენტი ახდენს კანონის პრომულგირებას და აქვეყნებს ორკვირიან ვადაში. მეხუთე რესპუბლიკის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს საკანონმდებლო სფეროში პარლამენტის კომპეტენციის შეზღუდვა. კონსტიტუციის 34-ე მუხლი ადგენს იმ საკითხთა ნუსხას, რომელთა საფუძველზე პარლამენტი უფლებამოსილია, აწარმოოს კანონმემოქმედებითი საქმიანობა. დანარჩენი საკითხები მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება. დავები ამა თუ იმ სფეროს რეგულირების კუთვნილების შესახებ წყდება საკონსტიტუციო საბჭოს მიერ.

მთავრობა კოლეგიალური ორგანოა. კონსტიტუციის შესაბამისად, განასხვავებენ მინისტრთა საბჭოს, რომლის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები და სახელმწიფო მდივნები, და რომელსაც პრეზიდენტი ან მისი დავალებით პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს, და მინისტრთა კაბინეტს – პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით და მინისტრების შემადგენლობით.

1958 წლის კონსტიტუცია მინისტრებს „მთავრობის წევრებს“ უწოდებს. მათ გარდა მთავრობაში შედიან სახელმწიფო მდივნები – სახელმწიფო მნიშვნელობის უწყებების ხელმძღვანელები და სახელმწიფო მინისტრები, რომლებიც მთავრობის კონკრეტულ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ. ფაქტობრივად, სახელმწიფო მინისტრის ნოდებით რესპუბლიკის პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირები სარგებლობენ, რომლებიც მის კონკრეტულ დავალებებს ასრულებენ. საფრანგეთის კაბინეტი პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპით მოქმედებს, მინისტრი ვალდებულია, დაემორჩილოს მთავრობის პოზიციას, არადა – გადადგეს.

მთავრობა ინიშნება პრეზიდენტის მიერ. იგი შეარჩევს და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში შეუზღუდავია. პრემიერ-მინისტრი შეარჩევს მინისტრებისა და სახელმწიფო მდივნების კანდიდატურებს და დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტს. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს შეითავსოს საპარლამენტო მანდატი, იყოს საკონსტიტუციო, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრი, ენეოდეს პროფესიულ საქმიანობას.

მთავრობის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. იგი პასუხს აგებს ეროვნული თავდაცვის საკითხებზე, ნიშნავს სამ-

ხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირებს, უზრუნველყოფს კანონების შესრულებას. პრემიერ-მინისტრს შეუძლია ზოგიერთი თავისი უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს მინისტრებზე. მათ ურთიერთობაში მოქმედებს კონტრასიგნაციის მექანიზმი, როცა პრემიერ-მინისტრის აქტებს, რა თქმა უნდა, საჭიროებისას, ხელს აწერენ მინისტრები, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა აღნიშნული აქტების შესრულებაზე.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, დაესწროს და გამოვიდეს პარლამენტის პალატების სხდომებზე. მას შეუძლია მოითხოვოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევა. ეროვნულ კრებასა და სენატს შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შერეული კომისიის შექმნის თაობაზე. მასვე შეუძლია პირადად მიმართოს სენატს და მოითხოვოს სამთავრობო პოლიტიკის შესახებ დეკლარაციაზე თანხმობის მიღება.

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპი დაკავშირებულია 1982 წლის რეფორმასთან. საფრანგეთის პარლამენტის მიერ მიღებული „კომუნების, დეპარტამენტებისა და რეგიონების უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ“ კანონით გაფართოვდა კომუნების ავტონომია და დაწესდა რეგიონული საბჭოების საყოველთაო არჩევითობა. აღნიშნულმა კანონმა გააუქმა დეპარტამენტის პრეფექტის თანამდებობა და მისი ფუნქციები გადასცა გენერალური საბჭოს თავმჯდომარეს. ცენტრის წარმომადგენლად ადგილებზე მოგვევლინა რესპუბლიკის კომისარი, რომელსაც დაეკისრა ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა.

საფრანგეთის ტერიტორია მოიცავს 101 დეპარტამენტს, რომელთაგან 96-ს ითვლის მეტროპოლია და გაერთიანებულია მის 22 რეგიონში, ხოლო 5 განთავსებულია ზღვისიქითა ტერიტორიებზე. ამას გარდა, საფრანგეთის გაბნეული გეოგრაფია მოიცავს კიდევ ერთ ტერიტორიას სპეციალური სტატუსით – მაიოტი და ოთხ ზღვისიქითა ტერიტორიას (ახალი კალედონია, პოლინეზია, ვალის ე ფიუტიუნა, სამხრეთი და არქტიკული ტერიტორიები).

1982 წლის რეფორმამ რეგიონს მიანიჭა ტერიტორიული კოლექტივის სტატუსი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის უფლებით. რეგიონს ხელმძღვანელობს საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით არჩეული რეგიონული საბჭო. რეგიონის კომპეტენციაში შევიდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სამეცნიერო განვითარების უზრუნველყოფა.

არჩევითი ორგანოები იქმნება კომუნებში, დეპარტამენტებსა და რეგიონებში. კომუნა ტერიტორიული ორგანიზაციის საფუძველს შეადგენს და დღეს საფრანგეთი 36 ათასამდე ერთეულს ითვლის, რომლებიც ერთიანდებიან დეპარტამენტებში და მათი საშუალებით – რეგიონებში.

დეპარტამენტის ხელმძღვანელი ორგანოა გენერალური საბჭო, რომელიც კანტონის მოსახლეობის მიერ 6 წლის ვადით აირჩევა. კანტონი აერთიანებს რამდენიმე კომუნას და წარმოადგენს არა თვითმმართველობის ერთეულს, არამედ სადეპარტამენტო ორგანოების საარჩევნო ოლქს. გენერალური საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს: აუცილებელი სადეპარტამენტო საჯარო სამსახურების შექმნა და მართვა; დეპარტამენტის ქონების მართვა; დეპარტამენტის ბიუჯეტის მიღება და კონტროლი მის შესრულებაზე.

კომუნის უმაღლესი ორგანო – მუნიციპალური საბჭო – აირჩევა 6 წლის ვადით, საარჩევნო ოლქში საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით. საარჩევნო ოლქი შეიძლება მოიცავდეს როგორც მთელ კომუნას, ისე მის ნაწილს – სექტორს. შემაკავშირებელ რგოლს მუნიციპალურ საბჭოებსა და მოსახლეობას შორის წარმოადგენენ მუნიციპალური კომისიები, რომლებსაც ირჩევენ პარტიული ჯგუფები პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე. მერი და მისი მოადგილეები აირჩევიან მუნიციპალური საბჭოს პირველ სესიაზე საბჭოს წევრთაგან ფარული კენჭისყრით 6 წლის ვადით. მერი წარმოადგენს კომუნის აღმასრულებელ ხელისუფლებას და გამოდის როგორც თვითმმართველობის წარმომადგენელი.

კომუნის მუნიციპალური საბჭოს უფლებამოსილებაში შედის კომუნის საჯარო სამსახურების ორგანიზაცია, მსგავსად დეპარტამენტისა: კომუნის ქონების მართვა, მუნიციპალური საკუთრების შექმნა ან გაყიდვა; წარმომადგენლობა კომუნის საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელ ორგანოებში; კომუნის ბიუჯეტის შემუშავება და მიღება.

საარჩევნო სამართალი

საარჩევნო სამართალი საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურებაა. საქმე ის არის, რომ საარჩევნო სამართლის ნორმატიული ბადის კოორდინატებად არაჯერადი ციფრებია აღებული და ქვეყანა არჩევნების შედეგებიდან არჩევნების სამზადისზე გადადის. ასეა განუწყვეტილად ვინაიდან ქვეყნის პრეზიდენტი 7 წლით, ეროვნული კრება 5 წლით, სენატი 9 წლით – 3 წელიწადში მესამედის განახლებით, ხოლო დეპარტამენტის

გენერალური საბჭო 6 წლით – 3 წელიწადში სანახევრო განახლებით აირჩევა.

აქტიური საარჩევნო უფლებით საფრანგეთის მოქალაქე სარგებლობს 18 წლის ასაკიდან, თუ იგი სრულად ფლობს პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს. ამომრჩეველი უნდა აკმაყოფილებდეს ოლქის ტერიტორიაზე 6 თვიან სავალდებულო ბინადრობის ცენზს. არჩევნებზე არ დაიშვებიან სულით ავადმყოფები და მსჯავრდებულები.

ეროვნული კრების წევრები აირჩევიან მაჟორიტარული სისტემით, პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით. კანდიდატი უნდა იყოს საფრანგეთის მოქალაქე, არანაკლებ 23 წლისა. კანდიდატთან ერთად ხდება მისი „დუბლიორის“ არჩევა, რომელიც ენაცვლება დეპუტატს გარდაცვალების, გადადგომის, დეპუტატისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ. ეროვნულ კრებაში კანდიდატის წამოყენებისას აუცილებელია საარჩევნო შენატანი, რომელიც დაუბრუნდება კანდიდატს, თუ იგი დააგროვებს საარჩევნო ხმების არანაკლებ ხუთ პროცენტს. ეროვნული კრება შეიძლება დათხოვნილ იქნეს პრეზიდენტის მიერ, კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვით. სენატი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს. სენატორები აირჩევიან ირიბი კენჭისყრით, სამსაფეხურიანი არჩევნებით, თითოეული დეპარტამენტის კოლეგიაში, დეპარტამენტის მთავარ ქალაქში, შერეული სისტემით. ცამეტ დეპარტამენტში, სადაც აირჩევა სენატის 5 და მეტი წევრი, არჩევნები ტარდება პროპორციული სისტემით, ხოლო სხვა დეპარტამენტებში – მაჟორიტარული სისტემით.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, პრეზიდენტი შეიძლება გახდეს 23 წლის ასაკს მიღწეული ფრანგი მამაკაცი ან ქალი. არჩევნები კი ინიშნება მთავრობის მიერ კონსტიტუციით გათვალისწინებული ვადების დაცვით. კონსტიტუციის თანახმად, ახალი პრეზიდენტის არჩევნები ტარდება თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე არა უადრეს 35 და არა უგვიანეს 20 დღისა. ვადამდელი არჩევნები ინიშნება არა უადრეს ოცი და არა უგვიანეს ოცდათხუთმეტი დღისა ვაკანსიის გახსნიდან. ეს ვადები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებით დადასტურდება პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობის განხორციელებისას დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე დაკვირვება ეკისრება ეროვნულ საკონტროლო კომისიას, რომელიც შედგება საფრანგეთის უმაღლესი სასამართლო ორგანოების ხუთი წევრისგან და მას ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე. კომისია აკონტრო-

ლებს თითოეული კანდიდატის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანაბრად გამოყენების პროექტს. არჩევნების მასალები იგზავნება საკონსტიტუციო საბჭოში, რომელიც ამონებს და აჯამებს მათ სისწორეს და ოფიციალურად აცხადებს საბოლოო შედეგებს.

სამოქალაქო სამართალი

ფრანგულ კანონმდებლობაში ნაპოლეონის ეპოქის ორი – სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის კოდექსი მოქმედებს. საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ნაპოლეონის დროინდელ კოდექსებს შორის, ვინაიდან სწორედ იგი არეგულირებს საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ ურთიერთობებს. კოდექსი იმთავითვე შესავლისა და სამი წიგნისაგან შედგებოდა და მთლიანობაში 2281 მუხლს შეიცავდა. შესავალში გადმოცემულია კანონის მოქმედება დროსა და სივრცეში, მისი ძალაში შესვლისა და ნორმების გამოყენების წესები. პირველი წიგნი – „პირების შესახებ“ – არეგულირებს ფრანგებისა და საფრანგეთში მცხოვრები უცხოელების სამართლებრივ სტატუსს; მეორე წიგნი – „საკუთრებისა და ქონების შესახებ“ – შეიცავს სახელმწიფო და კომუნალური საკუთრების, უძრავი და მოძრავი ქონების მომწესრიგებელ ნორმებს, ხოლო მესამე წიგნი – „საკუთრების მოპოვების ხერხები“ – აწესრიგებს ჩუქების, მემკვიდრეობის, ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობის, გირავნობის, ვალდებულების, მეურვეობის ხელშეკრულებებსა და ინსტიტუტებს. მას შემდეგ ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსმა მრავალი ქვეყნისათვის სანიმუშო აქტის როლი ითამაშა, თავადაც მრავალი ცვლილება განიცადა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დღესაც მოქმედებს და აწესრიგებს სამოქალაქო ურთიერთობისა და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებს.

სამოქალაქო სამართალთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის ისეთი დარგი, როგორცაა სავაჭრო სამართალი. საფრანგეთში მის ძირითად წყაროს წარმოადგენს 1807 წელს მიღებული სავაჭრო კოდექსი, რომელიც დღესაც სამართლის მნიშვნელოვანი აქტია და 648 მუხლიანი ოთხი წიგნისაგან შედგება. ეს წიგნებია: „ვაჭრობის შესახებ“, „საზღვაო ვაჭრობის შესახებ“, „გაკოტრების შესახებ“, და „სავაჭრო იურისდიქციის შესახებ“. მოგვიანებით, სავაჭრო სამართლის განვითარების კვალდაკვალ, კოდექსში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი, ხდებოდა დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც სავაჭრო სამართლის მნიშვნელოვან სფეროებს არეგულირებს, მაგალითად, 1966 წელს მიღებული კანონით სავაჭრო ამხანაგო-

ბების შესახებ, ფაქტობრივად, ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო წრე მონესრიგდა.

პირველი კოდექსი შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ მიღებულ იქნა 1910 წელს. რაც შეეხება დღეს მოქმედ შრომის კანონთა კოდექსს, მისი მიღება მოხდა 1973 წელს. იგი შედგება ცხრა ნიგნისაგან, რომლებიც არეგულირებს შრომის სამართლის მნიშვნელოვან ინსტიტუტებს: შრომით ხელშეკრულებას, კოლექტიურ ხელშეკრულებას, შრომის ანაზღაურებას, შრომით კონფლიქტებს, პროფკავშირების როლს და სხვ. 1982 წელს შეიქმნა შრომითი ხელშეკრულებების ნაციონალური კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს შრომის კანონმდებლობის დაცვას.

საფრანგეთში სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება 1956 წელს მიღებულ კოდექსს, რომელმაც 1983 წელს მნიშვნელოვანი რეფორმირება განიცადა და რომელიც აღნიშნული სფეროს სამართლებრივი რეგულირების ძირითადი დოკუმენტია. იგი აწესრიგებს პენსიების, შემწვობების გადახდის წესს, ფონდების შექმნის პირობებს, ყველა იმ საკითხს, რაც სოციალური უზრუნველყოფის სფეროს ეხება.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საფრანგეთში განვითარდა კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში, 1970 წელს მიღებულ იქნა სახელმწიფო პროგრამა, ხოლო 1976 წელს – კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მოგვიანებით დეკრეტები რადიოაქტიური ნარჩენების, ნაკრძალების, ჰაერის დაცვის შესახებ და სხვ.

სისხლის სამართალი

სისხლის სამართლისა და მართლმსაჯულების პრინციპები, რომლებიც გადმოცემული იყო ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაციაში, განვითარდა და კონკრეტიზებულ იქნა 1791 წლის პირველ ფრანგულ სისხლის სამართლის კოდექსში. აღნიშნული კოდექსით მნიშვნელოვნად შეიზღუდა დასჯადი ქმედებების წრე და სიკვდილით დასჯის გამოყენების შემთხვევები, უარყოფილ იქნა სამუდამო პატიმრობა. 1810 წელს გამოცემულ იქნა ნაპოლეონის ეპოქის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც კანონმდებლობაში სისხლის სამართლის „კლასიკური“ სკოლის დამკვიდრების მაგალითს წარმოადგენდა. კოდექსში, მიუხედავად რამდენიმე დემოკრატიული ნორმის დეკლარირებისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა დასჯად ქმედებათა ნუსხა, შემოღებულ იქნა უვადო კატორღა, გაფართოვდა იმ მუხლების რაოდენობა, რომლებიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. 1810 წლის კოდექსი თანდათანობით ცვლილებებს განიცდი-

და, ხოლო მისი მნიშვნელოვანი რეფორმა 1958 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, გენერალ შარლ დე გოლის მიერ 1958–1960 წლებში განხორციელდა. გადაისინჯა კოდექსის 100 მუხლზე მეტი, ხოლო 1981 წელს, როდესაც არჩევნებში მემარცხენეებმა გაიმარჯვეს, საფრანგეთში საბოლოოდ გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

1992 წლის ივლისში საფრანგეთში მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც შეცვალა ნაპოლეონის ეპოქის „კლასიკური“ კოდექსი და ძველი კოდექსით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსების რეფორმირებაზე. ამასთან, ახალმა კოდექსმა მანამდე არსებული ფრანგული კანონმდებლობის მრავალი ნიშან-თვისება შეინარჩუნა, მათ შორის, მისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებით, როგორცაა, დანაშაულის, ბრალის და მისი ფორმების, თანამონაწილეობის მივიწყებული განსაზღვრებები და სხვ. და მაინც კოდექსმა მთელი რიგი ინსტიტუტების ძირეული რეფორმატორული ცვლილებები განიცადა. ეს, ძირითადად, შეეხო ნორმებს თანამონაწილეობის, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ და სხვ. პირველად იქნა გათვალისწინებული იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობა. კოდექსით გათვალისწინებულ იქნა ჯარიმათა ოდენობა კონკრეტული ქმედებებისთვის, აგრეთვე, თავისუფლების აღკვეთის ვადები მძიმე დანაშაულთათვის. ამასთანავე, დაწესდა სამუდამო პატიმრობა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი ფორმა. სასჯელთა სისტემას შეემატა კონფისკაციის ინსტიტუტიც. კოდექსში შევიდა ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია სასჯელის აღსრულებასა და პირობითი სასჯელის დაკისრებასთან.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი რთული სტრუქტურით ხასიათდება, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი აქტები გამოიცემა არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელი ორგანოებიც. ამდენად, კოდექსი შედგება, საკანონმდებლო და სარეგლამენტაციო ნაწილებისგან. თავად სარეგლამენტაციო ნაწილი მოიცავს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებებს – საკუთარი თუ პარლამენტის მიერ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში.

საფრანგეთში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაც სათავეს იღებს ნაპოლეონის ეპოქიდან, 1808 წლიდან. მისი თანამედროვე სახით ტრანსფორმაცია მოხდა 1958 წელს, კონსტიტუციის მიღების შემდგომ. 1958 წლის კოდექსმა შეინარჩუნა სისხლის სამართლის პროცესის შერეული ფორმა, მაგრამ საგრძნობლად გააძლიერა სასამართლომდელ სტადიაზე და სამართალწარმოების

პროცესში კანონიერების დაცვის გარანტიები. კოდექსი დანვრილებით არეგულირებს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების უფლებამოსილებებს, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცედურებს, საკასაციო გასაჩივრების პირობებს და სამართალწარმოების განსაკუთრებულ სახეებს.

ახალი კოდექსის საკანონმდებლო დამატებების ამსახველი ძირითადი აქტები მიღებულ იქნა 1992 წლის 22 ივლისს. ეს არის ოთხი კანონი, რომელიც კოდექსის ოთხი შემადგენელი ნაწილის – „ნიგნების“ სახით მოიაზრება: I ნიგნი წარმოადგენს კოდექსის საერთო ნაწილს და მის საერთო დებულებებს მოიცავს; II ნიგნით იწყება კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი და ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ქმედობისათვის; III ნიგნში ჩამოყალიბებულია დებულებები საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ქმედობისათვის; IV ნიგნში დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ერის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი სიმშვიდის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულისა და ქმედობისათვის. მოგვიანებით, 1992 წლის 16 დეკემბერს კოდექსი, სენატის ინიციატივით, შეივსო V ნიგნით – „სხვა დანაშაული და ქმედობანი“.

რაც შეეხება კოდექსის სარეგლამენტაციო ნაწილს, იგი მიღებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 29 მარტის დეკრეტით, რომელშიც რიგი დამატებები იქნა შეტანილი 1994 წლის 25 თებერვლის დეკრეტით და შედგება საკანონმდებლო ნაწილის მსგავსი დასახელებისა და შინაარსის ხუთ ნიგნისა და კიდევ მეექვსე ნიგნისაგან „დარღვევები“.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

საფრანგეთის კონსტიტუციამ პრეამბულაში ძირითადი კანონის შემადგენელ ნაწილად სცნო ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაცია და 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა. მაგრამ კონსტიტუციურ ნორმათა სიხალვათე სულაც არ ნიშნავს ადამიანის უფლებათა დაცვის უფლებების დაცვის გარანტიების ნაკლებობას. სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მედიატორის ინსტიტუტი, რომელიც ევროპაში გავრცელებული ომბუდსმენის ნაირსახეობაა, მაგრამ მისგან განსხვავებით, საფრანგეთში იგი ექვსწლიანი ვადით მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ინიშნება და არა პარლამენტის მიერ.

საფრანგეთში მოქმედებს კანონი „მედიატორის შესახებ“, რომლის თანახმად ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ სამთავრობო და საზოგადოებრივი დანესებულებების თუ სხვა ორგანოების

მიერ დარღვეულ იქნა მათი უფლებები და თავისუფლებები, უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს რესპუბლიკის მედიატორს.

მედიატორი ხელშეუხებელია, არ შეიძლება მისი დაპატიმრება, დაკავება, მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა და გასამართლება იმ ქმედებისა თუ შეხედულებისთვის, რომელსაც ახორციელებს და გამოთქვამს თავისი მოვალეობის შესრულების პროცესში. მედიატორის გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ველარ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. რესპუბლიკის მედიატორი ყოველწლიურად ანგარიშვალდებულია პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. მისი საქმიანობის შესახებ მოხსენება საჯაროდ ქვეყნდება.

საკმაოდ შეზღუდულია მედიატორის კომპეტენცია საჩივრის საფუძველზე გამოვლენილი უფლება-თავისუფლებების დარღვევის აღმოფხვრის საქმეში. თუ იგი ჩათვლის, რომ საჩივარი დასაბუთებულია და ადგილი აქვს მოქალაქის უფლების დარღვევას, შეიმუშავებს რეკომენდაციას აღნიშნული დარღვევის აღმოფხვრის წინადადების თაობაზე და უგზავნის შესაბამის ორგანოს. კანონით დადგენილია მედიატორის რეკომენდაციების განხილვის კონკრეტული ვადები და ისიც, რომ განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს მედიატორს, ხოლო თუ ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ პასუხი დაუსაბუთებელია, უფლება აქვს საჯაროდ გამოაქვეყნოს თავისი რეკომენდაციები. ფაქტობრივად, ეს არის ის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მედიატორს შეუძლია დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში. მედიატორს არ შეუძლია ჩაერიოს სასამართლო პროცესში ან ისეთ საკითხებში, რომლებიც სასამართლოს პრეროგატივაა. იგი უფლებამოსილია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსთხოვოს შესაბამის ორგანოებს თუ ორგანიზაციებს, შეასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში.

სასამართლო სისტემა

1958 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების შემდგომ დაიწყო სამართალმონყობის რეფორმა, რომლის პირველი ეტაპი უკვე 1958 წელსვე გახდა სასამართლო სისტემის ორგანიზაციის შესახებ ორდონანსის ამოქმედება, ხოლო შემდგომ, უკვე 1978 წელს – სამართალმონყობის კოდექსის მიღება, რომელმაც დანვრილებით განსაზღვრა სასამართლო ინსტანციების შემადგენლობა, კომპეტენ-

ცია და საქმიანობის ფორმები, აგრეთვე, ზოგიერთი სპეციალიზებული სასამართლო დანესებულებების ფუნქციონირების პირობები.

ამჟამად, საფრანგეთის სასამართლო სისტემა შედგება საკასაციო, სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოებისგან. საკასაციო სასამართლო სისტემის ზედა რგოლს წარმოადგენს. იგი ექვსი პალატისგან შედგება, რომელთაგან ხუთი სამოქალაქო, ხოლო ერთი – სისხლის სამართლის საქმეებს იხილავს. საკასაციო სასამართლო განიხილავს ქვემდგომი ორგანოების დადგენილებებზე საკასაციო საჩივრებს, არა კონკრეტული ფაქტების მიმართ, არამედ პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევებზე. კონკრეტულ საქმეებზე მისი დადგენილებები დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე.

სააპელაციო სასამართლოთა სისტემა საფრანგეთში ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი შედგება 30 სააპელაციო სასამართლოსაგან, რომელთა იურისდიქცია ვრცელდება დეპარტამენტებზე. მეორე ჯგუფს შეადგენს 5 სააპელაციო სასამართლო, რომლებიც მოქმედებენ საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორიებზე. სააპელაციო სასამართლო შედგება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა სავაჭრო და სპეციალურ საკითხთა ქვედა პალატებად.

პირველი ინსტანციის სასამართლოები იყოფა ორ ჯგუფად: სამოქალაქო საქმეთა განხილვა ხდება დიდი პროცესის ტრიბუნალების და მცირე პროცესის ტრიბუნალების მიერ, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, გამასწორებელი ტრიბუნალები და საპოლიციო ტრიბუნალები. დიდი პროცესის ტრიბუნალები არსებობენ თითოეულ დეპარტამენტში და იხილავენ ქონებრივი ხასიათის სამოქალაქო დავებს 30 ათას ფრანკს ზევით, აგრეთვე, დავებს მოქალაქეობის, შვილად აყვანის, ქორწინებისა და განქორწინების საკითხებზე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების კომპეტენციაში შედის მძიმე სისხლის სამართლის საქმეები. პირველი ინსტანციის სხვა სასამართლოებისგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადწყვეტილება არ ექვემდებარება სააპელაციო წესით გასაჩივრებას.

პირველი ინსტანციით განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს გამასწორებელი ტრიბუნალები, ხოლო საპოლიციო ტრიბუნალები იხილავენ სისხლის სამართლის დანაშაულთა საქმეებს, რომელთა ჩადენისათვის ჯარიმა არ აღემატება 10 ათას ფრანკს.

საფრანგეთის სასამართლო სისტემის თავისებურებას წარმოადგენს სასჯელის აღმასრულებელი მოსამართლის ინსტიტუტი,

რომელიც ინიშნება ვნლის ვადით და ზედამხედველობს მსჯავრდადებულთა მიერ სასჯელის მოხდის პროცესში კანონიერების დაცვას. ამას გარდა, ქვეყნის სასამართლო სისტემაში გამოყოფილია გარკვეული კატეგორიის საქმეთა განხილვაზე სპეციალიზებული სასამართლო დაწესებულებები: სავაჭრო საქმეთა ტრიბუნალები, პროდიუმთა საბჭოები, სოციალური დაზღვევის საკითხთა კომისიები, საადგილმამულო დაგებთან დაკავშირებული ტრიბუნალები და სხვ.

საფრანგეთის სასამართლო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მართლმსაჯულების უზენაეს პალატას, რომელიც იქმნება პარლამენტის ორივე პალატის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელმწიფოს ლალატში ბრალდების, აგრეთვე, მინისტრთა მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენის საქმეთა განსახილველად.

რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც აღიარებულია „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიად“, ეხმარება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, ფრანგი მოსამართლეებისა და პროკურორების საქმეთა უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო, რომლის უმთავრესი ამოცანა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაა.

საფრანგეთის რესპუბლიკის ცენტრალიზებულ ორგანოს წარმოადგენს პროკურატურა, რომელსაც ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი. თითოეული სააპელაციო სასამართლოს გამგებლობაშია გენერალური პროკურორი და მისი თანაშემწეები. გენერალური პროკურორი იუსტიციის მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფება. გენერალური პროკურორი უშუალოდ ან მისი თანაშემწეების მეშვეობით გამოდის ბრალმდებლად სააპელაციო სასამართლოში და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში.

საკონსტიტუციო კონტროლი

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციამ დაამკვიდრა საკონსტიტუციო საბჭო, რომელიც გვევლინება არა მხოლოდ პარლამენტზე ზემდგომ ორგანოდ, არამედ იგი წყვეტს სადავო საკითხებს მთავრობასა და პალატებს შორის. იგი აერთიანებს ორი კატეგორიის წევრებს – უფლების მიხედვით და დანიშნით. პირველს განეკუთვნება ყველა ყოფილი პრეზიდენტი, რომელთაც საკუთარი სურვილისამებრ შეუძლიათ სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ საკონსტიტუციო საბჭოს შემადგენლობაში. მეორე კატეგორიას შეადგენს 9 არჩევითი წევრი, რომელთაგან სამ წევრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო სამსამს – პარლამენტის პალატების თავმჯდომარეები – პირადი უფლე-

ბით. საკონსტიტუციო საბჭოს ნევრები ინიშნებიან 9 წლით, ყოველ სამ წელიწადში შემადგენლობის ერთი მესამედის განახლებით.

საკონსტიტუციო საბჭო აღჭურვილია მრავალფეროვანი პრეროგატივებით. მათ შორის გამოირჩევა საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლი. ამ სფეროში კონტროლი შეიძლება იყოს სავალდებულო და ფაქულტატიური, პირდაპირი და არაპირდაპირი. სავალდებულოა კონტროლი ორგანულ კანონებზე, პარლამენტის პალატების რეგლამენტებსა და პარლამენტის იმ კანონებზე, რომლებიც ეხება მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებებს. ორგანული კანონები პრომულგირებამდე ექვემდებარება სავალდებულო კონტროლს საკონსტიტუციო საბჭოს მხრიდან. დადებითი გადაწყვეტილება იძლევა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის გამოქვეყნების უფლებას, უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, უარყოფილ იქნება სადავო დებულება, ნორმა, მუხლი ან მთლიანად კანონი. ამგვარად, საფრანგეთის კონსტიტუციამ დასაბამი მისცა პრევენტიული, წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის იდეას. სწორედ ამიტომ არის ფრანგული საკონსტიტუციო საბჭო კონტროლის ორგანო და არა მხოლოდ ზედამხედველი. საკონსტიტუციო საბჭო ახორციელებს კონტროლს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე, რეფერენდუმების სწორად ჩატარებაზე.

საკონსტიტუციო საბჭო უფლებამოსილია, პირდაპირ ჩაერიოს საკანონმდებლო პროცესში, შეუძლია აკრძალოს ან ნებადართულად გამოაცხადოს ამა თუ იმ საპარლამენტო აქტის მომზადებაზე მუშაობა, გარკვეულ შემთხვევებში, გადაწყვიტოს საკითხი უკვე პრომულგირებული კანონის კონსტიტუციურობის შესახებ. ამ დროს, მთავრობის სარეგლამენტო ფუნქციებში ჩარევა არაპირდაპირ ხასიათს ატარებს, რაც იმით მულავნდება, რომ ნებისმიერი სამთავრობო აქტი, რომელიც საკონსტიტუციო საბჭოს მიერ კანონისთვის მიკუთვნებულ სფეროში „შეიჭრა“, უკანონოა და თავად მთავრობის მიერ ანულირებული უნდა იქნეს.

პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის პალატების თავმჯდომარეების მოთხოვნით, საკონსტიტუციო საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კანონიერება, რომლებიც რატიფიკაციას საჭიროებს.

მთავრობის ინიციატივით, საკონსტიტუციო საბჭო ადასტურებს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში დაბრკოლების არსებობას. თუ საბჭო აცხადებს, რომ დაბრკოლება აღმოუფხვრელი და გამოუსწორებელია, 20-დან 35 დღის ვა-

დაში ინიშნება საპრეზიდენტო არჩევნები. საბჭო გამოთქვამს მოსაზრებებს სახელმწიფოს მეთაურის გადანიშნულებას, კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, დაამყაროს დროებითი საპრეზიდენტო დიქტატურა.

ლიტერატურა:

1. საფრანგეთის კონსტიტუცია // მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელი ა.დემეტრაშვილი, თბილისი, „იურიდიული ლიტერატურა“, 1992, გვ.131–157;
2. გ.კვერენჩილაძე, ო.მელქაძე, საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, „უფლება“, 1997;
3. ო.მელქაძე, გ.კვერენჩილაძე, საფრანგეთი//საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, „მერანი“, 1999, გვ. 308–343;
4. გ. მიქანაძე, საფრანგეთის რესპუბლიკის მედიატორი//ევროპის ომბუდსმენები, თბილისი, 1999, გვ. 155-178;
5. Французская Республика: Конституция и законодательные акты, Москва, „Прогресс“, 1989;
6. Ардан Филипп, Франция: Государственная система, Москва, „Юридическая литература“, 1994;
7. Деминшель А., Деминшель Ф., Пикемаль М., Институты и власть во Франции, Москва, „Прогресс“, 1977;
8. Боботов С. В., Правосудие во Франции, Москва, ЕАВ, 1994;
9. Брэнбан Г., Французское административное право, Москва, „Прогресс“, 1988;
10. Крылова Н., Серебrenникова А., Уголовное право современных зарубежных стран, Москва, „Зерцало“, 1977;
11. Козочкин И. Д., Уголовное право Франции // Уголовное законодательство зарубежных стран, Сборник законодательных материалов, Москва, „Зерцало“, 1999, стр 187-236.

სამართველო

საქართველო მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირებული განვითარებადი ქვეყანაა, რომლის 5 მილიონზე მეტი მრავალეროვანი მოსახლეობა ევრაზიის კონტინენტის 69,7 ათას კმ² ტერიტორიაზე ბინადრობს. სწორედ მისი გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს ევროპასა და აზიას შორის უმნიშვნელოვანესი შემაერთებელი არტერიის ფუნქციას, ხოლო მთლიანობაში მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა – წამყვან როლს კავკასიის რეგიონში. საქართველოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით აზერბაიჯანი ესაზღვრება; სამხრეთით – სომხეთი და თურქეთი; დასავლეთით – შავი ზღვა, ხოლო ჩრდილოეთით – რუსეთი. ქვეყნის დედაქალაქია თბილისი, სახელმწიფო ენა – ქართული, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე აფხაზური, ფულის ერთეული – ლარი.

საქართველოს სამართალი კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება. თუმცა ამერიკულ საპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე ორიენტირებული კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო ევროპაში ერთადერთი საპრეზიდენტო, ხოლო, ფაქტობრივად, სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკაა. ქვეყნის ძირითადი კანონი 1995 წლის 24 აგვისტოს იქნა მიღებული, რომლის სრული ამოქმედება პრობლემატურია, ვიდრე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არ აღდგება საქართველოს იურისდიქცია. ამასთან დაკავშირებით გადაწყდება ქვეყნის ტერიტორიულ-პოლიტიკური მონყობის საკითხიც.

კონსტიტუციური სამართალი

საქართველოს ხელისუფლების ბალანსი შემდეგ სახეს ღებულობს: სახელმწიფოს მეთაური – საქართველოს პრეზიდენტი, ამავდროულად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია და მასთან სათათბირო ორგანოს ფუნქციით მოქმედებს მთავრობა; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს; მართლმსაჯულებას ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლო; საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია აკისრია საკონსტიტუციო სასამართლოს.

პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე, დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან,

რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღესაც ცხოვრობს საქართველოში, ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, ეწოდეს სამენარმო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისთვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის წარმომადგენლობით ფუნქციას საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში; პარლამენტის თანხმობით იგი ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას, წყვეტს მოქალაქეობის და თავშესაფრის მიცემის საკითხებს, ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, შეინყალებს მსჯავრდადებულთ; აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან, ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

საქართველოს პრეზიდენტს, გარდა იმისა, რომ ერთდროულად სახელმწიფოსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას მეთაურობს, განსხვავებით კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკების პრეზიდენტთაგან, ფაქტობრივად, საკანონმდებლო ხელისუფლების სადავეებიც ხელთ უპყრია, ვინაიდან ფლობს საკანონმდებლო ტექნოლოგიის ისეთ უმთავრეს ბერკეტებს, როგორცაა საკანონმდებლო ინიციატივა, პრომულგაცია, ვეტოს უფლება – მისი დაძლევის მაღალი ნორმებით და, ასე განსაჯეთ, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა მის მიერვე პრომულგირებულ კანონზე. ყოველივე ამასთან ერთად, მას კანონის ძალის დეკრეტის გამოცემის უფლებაც აქვს. არც სასამართლო რჩება პრეზიდენტის მეთვალყურეობის მიღმა, ვინაიდან იგი საკმაოდ მრავალფუნქციურ იუსტიციის საბჭოსაც თავმჯდომარეობს.

პრეზიდენტი შეუვალაია, ე.ი. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატისა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, კონსტიტუცია ითვალისწინებს იმპიჩმენტის ინსტიტუტს. პრეზიდენტმა შეიძლება ვადამდე შეწყვიტოს უფლებამოსილებები გადადგომის, ჯანმრთელობის გაუარესების და თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გადაყენების მოტივით. ყველა შემთხვევაში, მისი მოვალეობის შესრულება დროებით პარლამენტის თავმჯდომარეს ეკისრება.

საქართველოს პრეზიდენტი მეთაურობს მის მიერვე შექმნილ საქართველოს მთავრობას, რომელიც აჭარის და აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, სამინისტროებსა და სხვა უწყებებთან ერთად ქმნის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიან სისტემას. პრეზიდენტის სათაბირო ორგანო — მთავრობა შედგება სახელმწიფო მინისტრის, სამინისტროს ხელმძღვანელი და უპორტფელო მინისტრებისგან, მინისტრებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით, ხოლო მინისტრები ნიშნავენ თავიანთ მოადგილეებს. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ორგანიზაციას უკეთებენ და უზრუნველყოფენ საქართველოს კონსტიტუციის ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების აქტების, პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების შესრულებას და ამ მიზნით მინისტრები გამოსცემენ ბრძანებებს.

პარლამენტი. ქვეყნის ძირითადი კანონით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: პროპორციული წესით არჩეული წევრებისგან შემდგარი რესპუბლიკის საბჭო და აფხაზეთში, აჭარაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული და პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისგან შემდგარი სენატი. 1995 წელს საქართველოში, კონსტიტუციის შესაბამისად, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, არჩეულ იქნა 235 წევრისგან შემდგარი ერთპალატიანი პარლამენტი.

დეპუტატი ფლობს თავისუფალ მანდატს, მას უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფოს სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. დეპუტატი ფლობს იმუნიტეტს, მაგრამ შეიძლება დაკავებულ იქნეს პარლამენტის თანხმობის გარეშე დანაშაულის ჩადენის ადგილზე. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში, რომლის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები.

საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის — თითო მოადგილეს აფხაზეთიდან და აჭარიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან, მათივე წარდგინებით. საქართველოს პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისთვის იქმნება საპარლამენტო ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: პარლამენტის

თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები, იქმნება მუდმივი კომიტეტები. მათ დასახელებას, მაშასადამე, ორიენტაციას, განსაზღვრავს პარლამენტის რეგლამენტი. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. კომიტეტებისა და კომისიების შემადგენლობის დაკომპლექტება ხდება საპარლამენტო ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპზე. გამონაკლისია დროებითი საგამოძიებო კომისია, რომლის შემადგენლობაში უმრავლესობის წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ ნახევარზე მეტი.

საქართველოს პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

საკანონმდებლო პროცესი 5 სტადიისგან შედგება. პირველი სტადიაა საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელება, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, საპარლამენტო ფრაქციის, პარლამენტის კომიტეტის, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, არანაკლებ 30 000 ამომრჩევლის მიერ. მეორე სტადიაა კანონპროექტის წინასწარი მოსმენა პარლამენტის შესაბამის კომიტეტში. მესამე სტადიაა კანონპროექტის განხილვა, რომელიც სამი მოსმენით ხორციელდება, თუ პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება გამარტივებული წესით — ერთი მოსმენით მიღების შესახებ. მეოთხე სტადიაა კანონპროექტის მიღება: ჩვეულებრივი კანონი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს უჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, ხოლო ორგანული კანონი მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. მეხუთე სტადიაზე ხდება კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ხუთი დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტი ათი დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს, რომელთა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც შვიდი დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას. თუ პარლამენტმა

არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას, იგი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედი, კონსტიტუციის შესწორება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. თუ პრეზიდენტმა დადგინილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე. კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ პარლამენტის მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

საქართველოს შემადგენლობაში შედის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები. ამ ავტონომიური რესპუბლიკების იურიდიული ბუნება გულისხმობს მათ სახელმწიფო სამართლებრივ სტატუსს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში. მათვე აქვთ სახელმწიფოებრიობის მთელი რიგი ნიშნები: თავისი სამართლებრივი სტატუსის ფარგლებში, ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას აღნიშნულ ტერიტორიაზე; აქვთ საკუთარი კონსტიტუცია და კანონმდებლობა, ტერიტორიული უმაღლესობა, რომლის მიხედვითაც ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ფარგლები არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე. საქართველოს ავტონომიური ერთეულები არ არიან სუვერენული სახელმწიფოები და სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებს წარმოადგენენ. მათ არა აქვთ უფლება გავიდნენ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობიდან, ისინი არ წარმოადგენენ საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტებს.

აფხაზეთის იურიდიული სტატუსის გათვალისწინებით, მისი ფაქტობრივი სტატუსი შეუთავსებელია საქართველოს ერთიან კონსტიტუციასთან. ეს გარემოება განპირობებულია აფხაზი სეპარატისტების მიერ დამოუკიდებლობის უსამართლო გამოცხადებით, რითაც უგულებელყოფილ იქნა საქართველოს მოსახლეობის, კერძოდ, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნება, რომელიც გამოვლინდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით და რაც აღნიშნულია საქართველოს კონსტიტუციის პირველ მუხლში. სწორედ ამან განაპირობა აფხაზეთის ფაქტობრივი მდგომარეობის შეუთავსებლობა, როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან, ისე თვით ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსთან.

ანალოგიურად, ოსმა სეპარატისტებმა 1990 წელს გამოაცხადეს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა“. იმავე წლის 9 დეკემბერს ჩაატარეს სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფოს“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. სამ-

ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების ამგვარ მოქმედებათა საპასუხოდ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1990 წლის 11 დეკემბერს, მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“, მაგრამ ფაქტობრივად, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემას ქმნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რაიონის, ქალაქის, თემის, დაბისა და სოფლის საკრებულოები. აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია არ არის აღდგენილი და სახელისუფლო ორგანოები დევნილობაში მოქმედებენ.

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ 1997 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. იმ სოფლებში, რომლებიც თემშია გაერთიანებული, აირჩევა მხოლოდ თემის თვითმმართველობის ორგანოები. ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება რაიონებსა და იმ ქალაქებში, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში. ასეთი ქალაქებია: ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი. დასახელებულ ტერიტორიულ ერთეულებში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოა საკრებულო, ხოლო მმართველობის ადგილობრივი ორგანოებია: გამგეობა, მერია, გამგებელი. სოფლის, თემის, დაბის და ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო შედგება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა მიერ პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისგან. ტერიტორიული ერთეულების საკრებულოების თანამდებობის პირებია: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს მდივანი, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები.

სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა იქმნება 3-7 წევრისგან. იმ სოფელსა და თემში, რომელშიც მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 3 000 კაცს, გამგეობის არჩევა არ ხდება და მის ფუნქციას უშუალოდ გამგებელი ახორციელებს. იმ ქალაქებში, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში, ასევე იქმნება საკრებულოებიც, ხოლო ამ ქალაქის აღმასრულებელი ორგანოა ქალაქის მერია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 7-15 წევრით. მერიის თანამდებობის პირებია: მერი, მერის მოადგილეები, ადგილობრივი სამსახურის ხელმძღვანელები, აპარატის უფროსი.

რაიონის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო. რაიონის გამგეობა, როგორც მისი აღმასრულებელი ორგანო, შედგება გამგე-

ობის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელებისგან.

თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოებია დედაქალაქის და რაიონების საკრებულოები. მმართველობის ორგანოა თბილისის მერია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 4 წლის ვადით დანიშნული ქალაქის მერი. მერიის კაბინეტი არის მერიის სათათბირო ორგანო. იგი შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს მერიაზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

საარჩევნო სამართალი

საქართველოს საარჩევნო სამართალში შერეული საარჩევნო სისტემა გამოიყენება და პარლამენტის 85 დეპუტატი ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით აირჩევა, ხოლო 150 – პროპორციული სისტემით. პროპორციული სისტემით არჩევნებისას დადგენილია 7%-იანი ბარიერი. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მაჟორიტარული სისტემით საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ კენჭისყრის მონაწილეთა ერთი მესამედისა. პირველ ტურში თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.

აქტიური საარჩევნო უფლება ენიჭებათ პირებს 18 წლის ასაკიდან. პასიური საარჩევნო უფლებისთვის კი გათვალისწინებულია უფრო მაღალი ასაკობრივი ცენზი, კერძოდ, პარლამენტში შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, ხოლო ავტონომიების პარლამენტებსა და ადგილობრივ საკრებულოებში 21 წლის ასაკიდან.

პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერით. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. თუ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური, პირველ ტურში უკეთესი შედეგების მქონე ორი კანდიდატს შორის. მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას

მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მეხუთედი მაინც. თუ არჩევნები ჩატარებულად არ გამოცხადდა, ან ჩატარდა, მაგრამ პირველ ტურში მონაწილე ერთადერთმა კანდიდატმა ხმების საჭირო რაოდენობა ვერ დააგროვა, ან მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი, მაშინ ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების კონსტიტუციური საფუძვლები მოცემულია კონსტიტუციის ზოგადი დებულებების მე-2 მუხლში. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი ორგანოების შექმნის ნესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“. აღნიშნული კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სოფელში, თემში, დაბასა და ქალაქში. ამ ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოებია შესაბამისი საკრებულოები, რომლებიც აირჩევიან მოსახლეობის მიერ პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

სამოქალაქო სამართალი

საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსი მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს და იგი კარგად ასახავს როგორც ქართული, ისე უცხოური ცივილისტური აზროვნების მიღწევებს. ახალი კოდექსით ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიხედვით, იურიდიულად მონესრიგებულია სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობანი. კოდექსი პანდექტური სამართლის სისტემითაა აგებული და 6 წიგნს აერთიანებს.

პირველი წიგნი ამკვიდრებს სამოქალაქო სამართლის ზოგად დებულებებს. გათვალისწინებულია ფიზიკური პირების სამართლებრივი მდგომარეობის ზოგადი ნიშნები, ზოგადი ნორმები იურიდიული პირების შესახებ და ნორმები კავშირებსა და ფონდებზე. საგანგებო კარით ნესრიგდება გარიგება, როგორც იურიდიული ფაქტი, ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა, წარმომადგ-

ენლობა გარიგებაში, ბათილი გარიგების სახეები და პირობითი გარიგებანი. ცალკე კარით გათვალისწინებულია უფლების განხორციელება სამოქალაქო სამართალში, მათ შორის ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია აუცილებელ მოგერიებასთან, უკიდურეს აუცილებლობასა და თვითდახმარებასთან.

მეორე წიგნი ეძღვნება სანივთო (ქონებრივ) სამართალს. ცალკე კარში საკუთრება დახასიათებულია, როგორც ყველაზე ფართო ქონებრივი უფლება, რომლის დროსაც მესაკუთრე უფლებამოსილია, კანონისმიერი ან სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს ან სარგებლობდეს ქონებით. ცალკე თავები არეგულირებს სამეზობლო სამართალს და ბინის საკუთრების საკითხს მრავალბინიან სახლში. სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა დადგენილია აღნაგობის, უზუფრუქტისა და სერვიტუტის სახით.

კოდექსის მესამე წიგნი აწესრიგებს ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლის ცენტრალური თემა სახელშეკრულებო სამართალია, რომელიც, თავის მხრივ, ორი – ზოგადი და კერძო ნაწილებისგან შედგება. ზოგადი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს კანონის ფარგლებში შეუძლიათ დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი. სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილი ეძღვნება ცალკეულ ხელშეკრულებებს. იგი იწყება ყველაზე გავრცელებული ბრუნვითი ხელშეკრულებებით, ნასყიდობით და მთავრდება თამაშობისა და სანაძლეო ხელშეკრულებით. ცალკე კარით მოწესრიგებულია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი, რომელიც ითვალისწინებს საზიარო უფლებებს, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას და უსაფუძვლო გამდიდრებას.

კოდექსის მეოთხე წიგნი განიხილავს ინტელექტუალურ საკუთრებას, რომლის საფუძველზე საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით.

მეხუთე წიგნი არეგულირებს საოჯახო სამართალს, რომლის ფარგლებში განსაზღვრულია დაქორწინების წესი და პირობები, ქორწინების შეწყვეტა და ბათილობა, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, ხოლო მეექვსე წიგნი ეძღვნება მემკვიდრეობის სამართალს, რომლის თანახმად მემკვიდრეობა ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ან ორივე საფუძველით ერთად. გათვალისწინებულია ანდერძი სანოტარო ფორმით ან მის გარეშე. ამასთან, კანონი ითვალისწინებს სანოტარო ფორმასთან გათანაბრებულ ანდერძის ფორმებსაც.

სისხლის სამართალი

1999 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. იგი შედგება – ზოგადი და კერძო ნაწილებიდან. მნიშვნელოვნად დაიხვეწა კოდექსის ზოგადი ნაწილი, მაგრამ განსაკუთრებული ცვლილებები სწორედ კერძო ნაწილმა განიცადა. თუ საბჭოური კოდექსი განსაკუთრებული დაცვის ობიექტად სახელმწიფოს მიიჩნევდა, ახალმა კოდექსმა წინა პლანზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის საკითხები წამოსწია. კოდექსი შედგება 15 კარისა და 49 თავისგან: – I კარი ეთმობა სისხლის სამართლის კანონს; II – დანაშაულს; III – სასჯელს; IV – სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და სასჯელისგან გათავისუფლებას; V – არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას; VI – სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახეებს, მათი გამოყენების საფუძველს და წესს; VII – დანაშაულს ადამიანის წინააღმდეგ; VIII – ეკონომიკურ დანაშაულს; IX – დანაშაულს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ; X – დანაშაულს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ; XI – დანაშაულს სახელმწიფოს წინააღმდეგ; XII – დანაშაულს სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ; XIII – დანაშაულს სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ; XIV – დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ; XV – გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.

ერთ-ერთი ნიშანი, რაც ამ კოდექსს მისი წინამორბედისგან განასხვავებს არის XIV კარში წარდგენილი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. აღნიშნული კარის დამატება განაპირობა დღევანდელ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა, კერძოდ, იმ ფეთქებადსაშიშმა სიტუაციამ, რომელმაც შეიძლება გლობალური სახე მიიღოს და საფრთხე შეუქმნას მრავალ სახელმწიფოს. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უპირობო დაცვას, რაც საერთაშორისო მშვიდობის დაცვის გარანტიაა.

ახალი კოდექსისთვის დამახასიათებელია საკმაოდ ფართო დეკრიმინალიზაცია, ანუ ის ქმედებები, რომლებიც წინამორბედ კოდექსში წარმოადგენდა დანაშაულს, დღევანდელი კოდექსის მიხედვით კი აღარ წარმოადგენს სამართლებრივად დასჯადს. მან შესაბამისი ასახვა პოვა ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში. მნიშვნელოვან სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების ცალ-ცალკე, ე.ი. დიფერენცირებულად წარმოდგენა მიზეზობრივი კავშირის, როგორც დანაშაულის ჩადენის აუცილებელი პირობის, საკანონმდებლო რეგლამენ-

ტირება, პრობაციის სამსახურის დამკვიდრება, როგორც ეს მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში. მისი დანიშნულებაა, განახორციელოს კონტროლი პირობით მსჯავრდადებულთა ქცევაზე.

მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა სასჯელთა სისტემამ. კერძოდ, შემოღებულ იქნა სასჯელის ახალი სახეები, როგორიცაა თავისუფლების შეზღუდვა, ტუსალობა. რაც შეეხება სასჯელთა სისტემის კიდევ ერთ სახეს — უვადო თავისუფლების აღკვეთას, იგი შემოღებულ იქნა სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ, რომელიც 1997 წლის ნოემბერიდან გაუქმდა. კოდექსმა უარი თქვა პასუხისმგებლობის დამამცირებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების ცალ-ცალკე ჩამონათვალზე და ზოგადად მიუთითა მათზე. ფართოდ იქნა დანერგილი ჯარიმის ინსტიტუტი.

ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები

საქართველოს მოქალაქეებს აქვთ კონსტიტუციური უფლებათავისუფლებები, რომლებიც სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები; სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები; პირადი უფლებები და თავისუფლებები. ადამიანის ყველა აღნიშნულ უფლებათა დაცვის გარანტიად გვევლინება საერთო სასამართლოების სისტემა, საკონსტიტუციო სასამართლო და სახალხო დამცველი.

სახალხო დამცველი ქვეყნის ტერიტორიაზე ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. ამ მიზნით, სახალხო დამცველი აფასებს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ აქტებს, თანამდებობის და იურიდიულ პირთა საქმიანობას, აძლევს მათ რეკომენდაციებსა და წინადადებებს. სახალხო დამცველი დამოუკიდებელია, ხელმძღვანელობს კონსტიტუციით, კანონით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით. სახალხო დამცველის საქმიანობისთვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

სახალხო დამცველი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, სრული შემადგენლობის უმრავლესობით. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ ქვეყნის პრეზიდენტს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაცნიან ჯგუფს, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში.

საქართველოს სახალხო დამცველი ხელშეუხებელია, საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. პარლამენტი შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვიდან არა უგვიანეს 14 დღისა.

სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის გარანტიის მიზნით, სახელმწიფო ვალდებულია, შეუქმნას მას მოღვაწეობის და ცხოვრების სათანადო პირობები, უზრუნველყოს მისი უფლება-მოვალეობების შეუფერხებელი განხორციელების პირობები. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადების საფუძველზე, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ სახალხო დამცველისა და მის ოჯახის უსაფრთხოებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციამ დაამკვიდრა სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად, ზედამხედველობას უწევს ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველი თანამდებობაზე აირჩევა უზენაესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ, 5 წლის ვადით, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის — ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წარდგინებით. აჭარის სახალხო დამცველი ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს.

სასამართლო სისტემა

კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, საოლქო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

1997 წლის 13 ივნისს საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ საომარი მდგომარეობის დროს, ითვალისწინებს სამხედრო სასამართლოების შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ

აუცილებლად საერთო სასამართლოების სისტემაში. საქართველოს კონსტიტუცია გამორიცხავს საგანგებო და სპეციალური სასამართლოების შექმნას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ზედამხედველობას უწევს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში, პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს, განიხილავს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით აღძრულ საკითხს საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და სხვა მოსამართლეებისგან. ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები საოლქო სასამართლოების ანალოგიური შემადგენლობისაა, იმ განსხვავებით, რომ აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს სასამართლოებში არსებობს პრეზიდიუმები. ამ სასამართლოების პალატები და საგამოძიებო კოლეგია საქმეებს განიხილავს სააპელაციო წესით, ხოლო კოლეგიები – პირველი ინსტანციით. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, კოლეგიების თავმჯდომარეთაგან 5 წლის ვადით ირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

რაიონული სასამართლო რაიონებსა და იმ ქალაქებში, რომლებიც არც ერთ რაიონში არ შედიან და არ გააჩნიათ რაიონული დაყოფა, აგრეთვე, ქალაქის რაიონში რაიონული (საქალაქო) სასამართლო წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს, სადაც მოსამართლე საქმეს განიხილავს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე განიხილება კოლეგიურად ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით. საქართველოს საოლქო სასამართლოები ფუნქციონირებენ თბილისსა და ქუთაისში და განიხილავენ საქმეებს, როგორც პირველი ინსტანციით, ისე საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე სააპელაციო წესით. საოლქო სასამართლოში სააპელა-

ციო წესით საქმე განიხილება პალატების, ხოლო პირველი ინსტანციის წესით — კოლეგიების მიერ.

სასამართლოს რეფორმის გასატარებლად წინადადების შემუშავების, მოსამართლეთა კანდიდატურების შერჩევის, წარდგენის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით, იქმნება პრეზიდენტის სათათბირო ორგანო — საქართველოს იუსტიციის საბჭო. საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოების შექმნას, შემადგენლობას, უფლებამოსილებებს, გადაწყვეტილებების მიღების წესსა და სხვა საკითხებს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის საბჭო შედგება თორმეტი წევრისგან, მის შემადგენლობაში, თანამდებობების მიხედვით შედიან: საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ოთხ წევრს, ასევე ოთხ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი და ერთ წევრს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მოსამართლე შეიძლება იყოს 30 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, იურიდიული განათლებით და სპეციალობით მუშაობის 5 წლიანი გამოცდილებით. მოსამართლედ გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. მოსამართლედ ინიშნება საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდაჩაბარებული პირი.

ქვეყნის ძირითადი კანონის თანახმად, საქართველოს პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დანესებულებად გამოცხადდა, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას და საქმიანობის ოთხი ძირითადი მიმართულება განესაზღვრა: სისხლისსამართლებრივი დევნა, ზედამხედველობა, მოკვლევა, სასჯელის მოხდა. საქართველოს გენერალურ პროკურორს, პრეზიდენტის წარდგინებით 5 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ქვემდგომი პროკურორების დანიშვნა ხდება გენერალური პროკურორის მიერ.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებლად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით ახორციელებს სასამა-

რთლო ხელისუფლებას, უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისგან. სამ წევრს ირჩევს პარლამენტი, სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს ნიშნავენ პრეზიდენტი და უზენაესი სასამართლო, 10 წლის ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე, 35 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქე.

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილევებს. ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა თავმჯდომარედ დაუშვებელია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით, ხოლო თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას ასახელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. დასახელებული კანდიდატები არჩეულად ჩაითვლებიან, თუ ფარული კენჭისყრის დროს თითოეულ მათგანს მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ ხუთმა წევრმა. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასა და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა.

სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისგან. პლენუმის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. თითოეული კოლეგიის შემადგენლობაში გაერთიანებულია საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი წევრი და სხდომებს უძღვება თავმჯდომარის მოადგილე. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარის დავალებებით ასრულებს მის ცალკეულ ფუნქციებს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე, ასეთი დავალების არარსებობის დროს კი უხუცესი მოადგილე.

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს: საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი; დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შესახებ; საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან დაკავშირებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი; საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი; საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი; საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა, მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით, ხოლო არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადანყვეტილების გამოქვეყნების დღიდან.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს, თბილისი, 1995;
2. ო. მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბილისი, „უფლება“, 1996;
3. ზ. რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999;
4. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, „მერიდიანი“, 1999;
5. სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1998;
6. სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2000.

უკრაინა

უკრაინა აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა, რომლის ტერიტორია 603.700 კმ² შეადგენს, მოსახლეობა 50 მილიონს სჭარბობს. უკრაინას აღმოსავლეთით რუსეთის ფედერაცია, ჩრდილოეთით – ბელორუსია, დასავლეთით მოლდოვა, რუმინეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და პოლონეთი ესაზღვრება, ხოლო სამხრეთით შავი და აზოვის ზღვები აკრავს. უკრაინის დედაქალაქია კიევი, სახელმწიფო ენა – უკრაინული, ფულის ერთეული – გრივნა.

1996 წლის მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, უკრაინა სუვერენული, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი, მმართველობის ფორმით – შერეული, ე.წ. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ხოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმით უნიტარული სახელმწიფოა. უკრაინის სამართლებრივი სისტემა კონტინენტური, ანუ რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახს განეკუთვნება.

კონსტიტუციური სამართალი

უკრაინაში სახელისუფლო ბალანსი შემდეგნაირად გამოიყურება: სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის უზენაეს რადას; აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კაბინეტი; მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო იურისდიქციის სასამართლოები, ქვეყანაში მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლო.

პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების შედეგად, 5 წლის ვადით, ერთჯერადი გადარჩევის უფლებით. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე 35 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე, რომელიც არჩევნების დღემდე 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდა უკრაინაში და ფლობს უკრაინულ ენას. პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს რომელიმე წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ენეოდეს სხვა ანაზღაურებად ან სამენარმეო საქმიანობას. პრეზიდენტი სარგებლობს ხელშეუხებლობის უფლებით და პრეზიდენტის ნოდება უნარჩუნდება ცხოვრების ბოლომდე.

პრეზიდენტი მიმართავს ხალხს, ყოველწლიურად და რიგგარეშედ პარლამენტს; კონტრასიგნების საფუძველზე დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევაში, ვადამდე წყვეტს უზენაესი რადის უფლებამოსილებას, იღებს გადა-

წყვეტილებას ქვეყანაში ან მის ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების თაობაზე, ანიჭებს უმაღლეს სამხედრო ნოდებებს, დიპლომატიურ რანგებს, სპეციალურ ნოდებებს და საკლასო ჩინებს; ნიშნავს დიპლომატიურ წარმომადგენლებს, პრემიერ-მინისტრს, გენერალურ პროკურორს, ანტიმონოპოლიური კომიტეტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო ქონების ფონდის თავმჯდომარეს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს – პარლამენტის თანხმობით; მინისტრთა კაბინეტის წევრებს, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური უწყებების, ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციების ხელმძღვანელებს – პრემიერ-მინისტრის წარდგინებით; ეროვნული ბანკის საბჭოს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკითხების ეროვნული საბჭოს შემადგენლობის ნახევარს; ასრულებს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობებს, ხელმძღვანელობს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის სფეროებს, ახორციელებს შეწყალებას, იღებს გადაწყვეტილებებს უკრაინის მოქალაქედ მიღების, უკრაინის მოქალაქეობის შეწყვეტისა და უკრაინაში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის თაობაზე, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

პრეზიდენტთან ფუნქციონირებს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობრივად შედიან პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი. საბჭოს დანარჩენ პერსონალურ შემადგენლობას ადგენს პრეზიდენტი, საბჭოს სხდომებს შეიძლება ესწრებოდეს უზენაესი რადის თავმჯდომარეც. საბჭოს გადაწყვეტილებები ძალას იძენენ პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებებით.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის, სახელმწიფოს ღალატის ან სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებისა თუ გარდაცვალების შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობებს, ახალი პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებამდე, ასრულებს პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტის კომპეტენციის შეზღუდული უფლებებით.

პარლამენტი. უზენაესი რადა ერთპალატიანი ორგანოა, რომელიც 4 წლის ვადით აირჩევა. საპარლამენტო არჩევნები ტარდება შერეული სისტემით. პარლამენტში აირჩევა 450 დეპუტატი, უკრაინის მოქალაქე, რომელმაც არჩევნებისთვის 21 წლის ასაკს მიაღწია, აქვს არჩევნებში

მონაწილეობის უფლება და უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ცხოვრობს უკრაინაში. დეპუტატი არ შეიძლება იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, მუშაობდეს რაიმე თანამდებობაზე სახელმწიფო სამსახურში, სარგებლობს სადეპუტატო იმუნიტეტით, თუმცა პასუხს აგებს საპარლამენტო გამოსვლაში შეურაცხყოფის მიყენებისა და ცილისწამებისთვის.

პარლამენტი ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც წარმართავს პარლამენტის სხდომებს, წარმოადგენს უზენაეს რადას ხელისუფლების სხვა ორგანოებსა და უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, ორგანიზაციულად წარმართავს პარლამენტის აპარატის მუშაობას. მუდმივ კომიტეტებს ეკისრებათ საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობისა და პარლამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების წინასწარი განხილვის ფუნქციები. პარლამენტის სტრუქტურაში შეიძლება შეიქმნას დროებითი სპეციალური და საგამოძიებო კომისიები. უზენაეს რადაში არსებობს პარტიული და სხვაგვარი პრინციპით შექმნილი დეპუტატთა ფრაქციები.

რადას კომპეტენციას განეკუთვნება შესწორებების შეტანა კონსტიტუციაში, რეფერენდუმის დანიშვნა, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძვლების განსაზღვრა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამების დამტკიცება, პრეზიდენტის წარდგინებით ომის გამოცხადება და ზავის დადება, იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება, მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, საანგარიშო პალატის თავმჯდომარისა და წევრების, ადამიანის უფლებათა სფეროში რწმუნებულის და სხვათა დანიშვნები, ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში, უკრაინის შეიარაღებული ძალების გამოყენების თაობაზე პრეზიდენტის გადაწყვეტილების მოწონება, უცხო სახელმწიფოთა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი სესხების მიღების თაობაზე გადაწყვეტილებების დამტკიცება და მათ გამოყენებაზე კონტროლი.

დეპუტატების სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის წინადადებით, პარლამენტი უფლებამოსილია, განიხილოს მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის საკითხი და რადის სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუცია, რაც იწვევს მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას. თუ რადა უნდობლობას გამოუცხადებს უკრაინის გენერალურ პროკურორს, იგი უნდა გადადგეს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება უკრაინაში აქვს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, მინისტრთა კაბინეტს და ეროვნულ ბანკს. პრეზიდენტის კანონპროექტები განიხილება რიგგარეშე. მიღებულ კანონს ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე და უგზავნის პრეზიდენტს. კანონის მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში პრეზიდენტი ხელს აწერს, იღებს აღსასრულებლად და აქვეყნებს მას ან მოტივირებული წინადადებებით აბრუნებს რადაში განმეორებითი განხილვისთვის. პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა არანაკლებ 2/3.

პრეზიდენტი უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს პარლამენტის უფლებამოსილება, თუ ერთი მორიგი სესიის 30 დღის მანძილზე არ შედგა პლენარული სხდომა, მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.

მთავრობა უკრაინაში წარმოდგენილია მინისტრთა კაბინეტით, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრის, ვიცე-პრემიერებისა და მინისტრებისგან. პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით, თანამდებობაზე ნიშნავს პრეზიდენტი; მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ნიშნავს პრეზიდენტი. მათ ეკრძალებათ ნებისმიერი შეთავსება, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მინისტრთა კაბინეტი უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, კონსტიტუციის, კანონებისა და პრეზიდენტის აქტების შესრულებას, შეიმუშავებს და ახორციელებს საერთო-სახელმწიფოებრივ პროგრამებს, შეიმუშავებს უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს და უზრუნველყოფს პარლამენტის მიერ მიღებული ბიუჯეტის შესრულებას, წარმართავს და კოორდინაციას უწევს სამინისტროების, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების მუშაობას და ა.შ., რისთვისაც გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს. მინისტრთა კაბინეტი იხსნის უფლებამოსილებას ახალარჩეული პრეზიდენტის წინაშე და გადადგება პარლამენტის მიერ უნდობლობის რეზოლუციის გამოცხადების ან პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

უკრაინის აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სისტემაში მოქმედებენ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და სპეციალური სტატუსის მქონე ცენტრალური

ორგანოები. აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს ქმნის და ლიკვიდაციას ახდენს პრეზიდენტი. აღნიშნული ორგანოს ხელმძღვანელს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი პირველი მოადგილე და არა უმეტეს სამი მოადგილისა. ეს უკანასკნელი წესი არ ვრცელდება თავდაცვის სამინისტროზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურზე.

მინისტრთა კაბინეტი უფლებამოსილია, შესაბამისი ცენტრალური ორგანოს შემადგენლობაში დამატებით შექმნას სახელმწიფო მმართველობის სამთავრობო ორგანოები: დეპარტამენტები, სამსახურები, ინსპექციები, რომლებიც ახორციელებენ ცალკეული ქვედარგების მართვას, საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციებს, ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ რეგულაციურ და სანებართვო-სარეგისტრაციო ფუნქციებს. სახელმწიფო მმართველობის სამთავრობო ორგანოების ხელმძღვანელებს შესაბამისი ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრთა კაბინეტი.

უკრაინა შედგება ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის, 24 ოლქისა და 2 სპეციალური სტატუსის მქონე ქალაქისგან, რაც შეადგენს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ზედა დონეს. თავის მხრივ, მოცემული მსხვილი ერთეულები შესაბამისად იყოფიან რაიონებად, ქალაქებად, ქალაქის რაიონებად, დაბეებად და სოფლებად.

ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა უკრაინის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი რადის მიერ მიღებულია 1998 წლის 21 ოქტომბერს და დამტკიცებულია უკრაინის კანონით 1998 წლის 23 დეკემბერს. უკრაინის კონსტიტუცია განსაზღვრავს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობის სფეროს და ცალკე ადგენს იმ საკითხების კონკრეტულ ჩამონათვალს, რომლებიც ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის რეგულირებას ექვემდებარება. ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიეკუთვნება ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი რადის არჩევნების დანიშვნა, ადგილობრივი რეფერენდუმის ჩატარება, ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი ქონების მართვა, ბიუჯეტის შემუშავება, დამტკიცება და შესრულება.

ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი რადა ნორმატიულ-სამართლებრივ საკითხებზე იღებს დადგენილებებს, ხოლო ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო საკითხებზე – გადაწყვეტილებებს, ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს,

რადის თავმჯდომარის წარდგინებით და უკრაინის პრეზიდენტთან შეთანხმებით ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

უკრაინის სპეციალური სტატუსის მქონე ქალაქების – კიევისა და სევასტოპოლის სტატუსი და მართვის თავისებურებები განისაზღვრება უკრაინის შესაბამისი კანონებით. კიევი იყოფა რაიონებად და როგორც ქალაქს, ისე მის რაიონებს აქვთ არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები – საბჭოები. კიევს ჰყავს არჩევითი ქალაქის თავი.

უკრაინის ოლქებში, რაიონებში, აგრეთვე, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებში ერთდროულად ხორციელდება სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა. ოლქებსა და რაიონებში არჩევნების შედეგად, 4 წლის ვადით – იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები – საოლქო, რაიონული საბჭოები. საოლქო, რაიონული საბჭოები ქვედა დონის საბჭოებისგან განსხვავებით წარმოადგენენ შესაბამისად ოლქში ან რაიონში შემავალი სოფლების, დაბებისა და ქალაქების „ტერიტორიული კოლექტივების“ საერთო ინტერესებს. ოლქის, რაიონის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. ოლქისა და რაიონის საბჭოებთან იქმნება აღმასრულებელი აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი საბჭოს მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას.

საარჩევნო სამართალი

პარლამენტის, პრეზიდენტის, ადგილობრივი საბჭოების, სოფლის, დაბისა და ქალაქის თავების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ უკრაინის მოქალაქეებს, რომლებმაც არჩევნების დღისთვის 18 წლის ასაკს მიაღწიეს. საარჩევნო უფლება არ აქვთ სასამართლო წესით ქმედუვნაროდ ცნობილ მოქალაქეებს, ხოლო ადგილობრივ არჩევნებში საარჩევნო უფლების განხორციელება შეუწერდებათ სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირებს.

უზენაესი რადის არჩევნები ტარდება შერეული სისტემით: 225 დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ფარდობითი უმრავლესობის საფუძველზე, მაჟორიტარული სისტემით, ხოლო 225 დეპუტატი აირჩევა საარჩევნო პარტიული სიების მიხედვით მრავალმანდატიან საერთო-სახელმწიფოებრივ საარჩევნო ოლქში, პროპორციული სისტემით 4%-იანი ბარიერის პირობებში.

უკრაინის უზენაესი რადის არჩევნების დროს მრავალმანდატიან საერთო-სახელმწიფოებრივ საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრ-

ობის კანდიდატთა ერთიანი სიით წამოყენების უფლება აქვთ პოლიტიკურ პარტიებსა და პარტიების საარჩევნო ბლოკებს. სიის რეგისტრაციისთვის აუცილებელია შესაბამისი პარტიის (ბლოკის) მხარდამჭერი არანაკლებ 200.000 ამომრჩევლის, ხოლო ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ყოველ ოლქში, კიევსა და სევასტოპოლში არანაკლებ 10.000 ამომრჩევლის მიერ ხელმონერილი სათანადო ფორმის ბლანკების წარდგენა. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში რადის წევრობის კანდიდატთა წამოყენების უფლება ეკუთვნით პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ქვედანაყოფებს შესაბამის რეგიონებში, აგრეთვე, უკრაინის არანაკლებ 500 მოქალაქეს.

პრეზიდენტის არჩევნები ტარდება მაჟორიტარული სისტემით შესაბამის საერთო-სახელმწიფოებრივ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს. პრეზიდენტის არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატის წამოყენების უფლება ეკუთვნით პარტიებს, პარტიების ბლოკებს, აგრეთვე, საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 500 ამომრჩევლის შეკრებას. პრეზიდენტობის კანდიდატს საარჩევნო რეგისტრაციისთვის სჭირდება საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ მილიონი მხარდამჭერი მოქალაქის ხელმონერა.

სოფლის, დაბის, ქალაქისა და ქალაქის რაიონის საბჭოების არჩევნები ტარდება ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით შესაბამის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში. რაიონის საბჭოს არჩევნები ტარდება ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, რომლებიც იქმნება რაიონში შემავალ სოფლებში, დაბებსა და ქალაქებში. საოლქო საბჭოს არჩევნები ტარდება ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, რომლებიც იქმნება ოლქში შემავალ რაიონებსა და საოლქო მნიშვნელობის ქალაქებში. სოფლის, დაბის, ქალაქის თავების არჩევნები ტარდება ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით ერთიან ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, რომლის საზღვრები ემთხვევა შესაბამისად სოფლის, დაბის, ქალაქის საზღვრებს.

უკრაინის პარლამენტის არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატთა სიის რეგისტრაციისთვის პოლიტიკური პარტია (საარჩევნო ბლოკი) ვალდებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე შეიტანოს ფულადი შენატანი მოქალაქის 1.000 დაუბეგრავი სამემოსავლო მინიმუმის ოდენობით. აღნიშნული თანხა უბრუნდება მხოლოდ

იმ პარტიებსა და ბლოკებს, რომლებიც სადეპუტატო მანდატებს მიიღებენ. პარლამენტის, პრეზიდენტისა და ადგილობრივი არჩევნების ჩატარების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტისა და საარჩევნო ფონდების სახსრებიდან. დადგენილი ლიმიტების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფენ პარტიების, ბლოკების, მოქალაქეთა საარჩევნო გაერთიანებების, კანდიდატების საარჩევნო კამპანიის თანაბარ ზომიერ დაფინანსებას.

სამოქალაქო სამართალი

უკრაინაში მოქმედებს 1963 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსი, რომელიც შედგებოდა 8 კარის, 42 თავისა და 572 მუხლისგან. მას შემდეგ კოდექსიდან ამოღებულია ზოგიერთი თავი და მრავალი მუხლი, ვინაიდან მათი სამართლებრივი დატვირთვა არ შეესაბამებოდა დამოუკიდებელი უკრაინის ახალი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემის პრინციპებს.

სამოქალაქო კოდექსის I კარში – „ზოგადი დებულებები“, მონესრულებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა სამოქალაქო კოდექსის ამოცანები და რეგულირების სფერო, უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობა, გარდაცვლილად გამოცხადება, იურიდიული პირის ცნება, სტატუსი, ორგანიზაცია და სახეობები, გარიგების ცნება და სახეობები, გარიგების ბათილობა, წარმომადგენლობა და რწმუნებულება, სასარჩელო ხანდაზმულობა.

სამოქალაქო კოდექსის II კარში – „საკუთრების უფლება“, განისაზღვრება საკუთრების ცნება, დგინდება საკუთრების სხვადასხვა ფორმა, სანივთო სამართლის ცენტრალური ცნებები და ნორმები, საკუთრების უფლების დაცვის პირობები.

სამოქალაქო კოდექსის III კარში – „ვალდებულებითი სამართალი“, განისაზღვრება ვალდებულების ზოგადი ცნება, ხელშეკრულების დადების პირობები, ხელშეკრულების ფორმა. ცალკე თავები ეძღვნება ვალდებულებათა შესრულებას და ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფას. აქ განიხილება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთი საშუალებები, როგორიცაა თავდებობა, ბე, გარანტია, დადგენილია მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაყვანის წესები და პირობები, რეკლამენტირებულია ვალდებულებათა დარღვევისთვის პასუხისმგებლობისა და ვალდებულებათა შეწყვეტის პირობები.

სამოქალაქო კოდექსის IV, V და VI კარები, შესაბამისად, ადგენენ საავტორო სამართლის, აღმოჩენაზე უფლების, გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშზე, სავაჭრო და მომსახურების ნიშანზე, რაციონალიზატორულ ნინადადებაზე უფლებების მიკუთვნებისა და განხორციელების წესებს. ხსენებული კარებიდან მუხლების უდიდესი ნაწილი ამოღებულია და ზემოთ მოყვანილ საკითხთა დეტალურ რეგლამენტაციას ახდენენ კანონები „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, „გამოგონებებსა და სასარგებლო მოდელებზე უფლებების დაცვის შესახებ“, „სამრეწველო ნიმუშებზე უფლებათა დაცვის შესახებ“ და „სავაჭრო და მომსახურების ნიშნებზე უფლებათა დაცვის შესახებ“.

სამოქალაქო კოდექსის VII კარი – „მემკვიდრეობის სამართალი“, აწესრიგებს მემკვიდრეობის საფუძვლებთან, სამკვიდროს გახსნასთან, მემკვიდრეობის რიგითობასთან, მემკვიდრეობის სხვადასხვა ფორმასთან, სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სამოქალაქო კოდექსის VIII კარი მთლიანად ეძღვნება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებაუნარიანობის პრობლემატიკას.

სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებსა და მათთან დაკავშირებულ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს უკრაინაში აწესრიგებს მთელი რიგი კოდექსებისა. 1993 წელს მიღებულია უკრაინის საჰაერო კოდექსი, რომელიც აცხადებს სრულ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს უკრაინის საჰაერო სივრცეზე, ადგენს სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების პირობებს, საჰაერო სივრცის მომხმარებელთა საქმიანობას. 1995 წლის სავაჭრო ნაოსნობის კოდექსი აწესრიგებს ტვირთის, მგზავრთა, ბარგისა და ფოსტის გადასაზიდად და სხვა სამეურნეო, სამეცნიერო-კულტურული მიზნების მისაღწევად ხომალდების გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

უკრაინის 1990 წლის მიწის კოდექსი არეგულირებს მიწის ფლობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან, აგრეთვე, მიწის სხვაგვარ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. 1994 წელს მიღებულია უკრაინის ტყის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს სატყეო ფონდის შემადგენლობას, ტყეების კლასიფიკაციასა და ტყით სარგებლობის პირობებს. 1995 წლის უკრაინის წყლის კოდექსი და 1994 წლის კოდექსი წიაღის შესახებ, ქვეყნის წყლებს და წიაღს უკრაინის ეროვნულ სიმდიდრედ აცხადებს, რაც განაპირობებს მათი მხოლოდ სარგებლობაში გაცემის შესაძლებლობას.

სისხლის სამართალი

უკრაინაში მოქმედებს 1960 წლის 28 დეკემბერს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც განვილილ პერიოდში შეტანილია მრავალი შესწორება. კოდექსში გაერთიანებულია ორი ნაწილი: ზოგადი ნაწილი შედგება ხუთი თავისგან, ხოლო განსაკუთრებული ნაწილი – ათი თავისგან.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის I თავი – „ზოგადი დებულებები“, შეიცავს ზოგად დებულებებს კოდექსის ამოცანებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ. კოდექსის მიზნად მიიჩნევა უკრაინის საზოგადოებრივი წესწყობილების, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე, მთლიანად მართლწესრიგის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. II თავი – „სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები“, განსაზღვრავს კოდექსის მოქმედების ფარგლებს დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ. III თავი – „დანაშაულის შესახებ“, ადგენს დანაშაულის ცნებას, დანაშაულის ზოგად კლასიფიკაციას და იმ ქმედებებს, რომლებიც არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად. IV თავი – „სასჯელის შესახებ“, განსაზღვრავს სასჯელის ცნებასა და მიზნებს, სასჯელთა სახეობებს. V თავი – „სასჯელის დანიშვნისა და სასჯელისგან განთავისუფლების შესახებ“, შეეხება სასჯელის დანიშვნისა და სასჯელისგან განთავისუფლების პროცედურას.

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი ადგენს კონკრეტულ სასჯელებს დანაშაულის ცალკეული სახეების მიხედვით და შესაბამისი თავებიც ასეთი თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი: სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულები; სახელმწიფოსა და კოლექტიური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; მოქალაქეთა ინდივიდუალური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; სამეურნეო დანაშაულები; თანამდებობრივი დანაშაულები; მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახალხო ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია თავის უფლებებში. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები განუსხვისებელი და ხელშეუხებელია. კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების სფერო გარანტირებულია, უფლება-თავისუფლებანი არ შეიძლება გაუქმდეს, აგრეთვე, დაუშვებლად მიიჩნევა არსებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსისა და მოცულობის შეზღუდვა ახალი კანონების მიღებისას.

საპარლამენტო კონტროლს ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დაცვაზე ახორციელებს უზენაესი რადის რწმუნებული ადამიანის უფლებების სფეროში, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირებისგან დამოუკიდებლად.

ადამიანის უფლებების სფეროში რწმუნებულს უზენაესი რადის თავმჯდომარის ან რადის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/4-ის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურათაგან, 5 წლის ვადით ნიშნავს უკრაინის პარლამენტი. რწმუნებულად დანიშნული შეიძლება იქნეს 40 წლის ასაკს მიღწეული უკრაინის მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს მაღალი მორალური ჩვევები, უფლებადაცვითი საქმიანობის გამოცდილება და უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ცხოვრობს უკრაინაში. ამ თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლობის მქონე პიროვნება, თუ ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი არა აქვს კანონით დადგენილი წესით. იგი არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი. რწმუნებული სარგებლობს ხელშეუხებლობის უფლებით და სხვა შესაბამისი გარანტიებით. უზენაესი რადა უფლებამოსილია თანამდებობიდან ვადამდე გაათავისუფლოს რწმუნებული ადამიანის უფლებების სფეროში, თუ იგი დაარღვევს ფიცს, საქმიანობის შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მას შეუწყდება უკრაინის მოქალაქეობა, აგრეთვე, თუ 4 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში ჯანმრთელობის არაადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს ან დაკარგა შრომისუნარიანობა.

რწმუნებული უფლებამოსილია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადამიანის უფლება-თავისუფლებების სფეროში მოქმედი სხვადასხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის ან კონსტიტუციისა და კანონების ოფიციალური განმარტების თაობაზე, გაეცნოს ნებისმიერ საბუთს და მიიღოს მათი ასლი, მოითხოვოს სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოების თანამდე-

ბობის პირებისა და მოხელეებისგან მათი კონტროლქვემდებარე უწყებების საქმიანობის შემოწმების ჩატარება და სათანადო დასკვნების წარდგენა, საქმეზე შესამოწმებელ გარემოებებთან დაკავშირებით მიიწვიოს თანამდებობის პირები და მოხელეები, მოქალაქეები და სხვა ფიზიკური პირები ზეპირი ან წერილობითი განმარტებების მისაღებად, ნებისმიერ დროს ეწვიოს წინასწარი პატიმრობის, დაკავების ადგილებს, სასჯელალსრულების, იძულებითი მკურნალობისა და ხელახალი აღზრდის დაწესებულებებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს, გააგზავნოს შესაბამის ორგანოებში რწმუნებულის რეაგირების აქტები ადამიანისა და მოქალაქის უფლება-თავისუფლებების დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, შეამოწმოს სახელმწიფო ორგანოების მიერ ადამიანის დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობა.

ადამიანის უფლებების სფეროში რწმუნებულს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით ან უკრაინის მოქალაქის, მოქალაქეობის არმქონე პირის, უცხოელის ან მათი წარმომადგენლების მიმართებისა და უკრაინის სახალხო დეპუტატის მიმართვის საფუძველზე.

ყოველი წლის შედეგებით რწმუნებული უზენაეს რადას წარუდგენს მოხსენებას უკრაინაში ადამიანისა და მოქალაქის უფლება-თავისუფლებების დაცვის მდგომარეობისა და მოქმედ კანონმდებლობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების თაობაზე. აუცილებლობის შემთხვევაში, უზენაეს რადაში რწმუნებულის მიერ შეიძლება წარდგენილ იქნეს სპეციალური მოხსენებები უფლება-თავისუფლებების დაცვის ცალკეულ საკითხებზე.

სასამართლო სისტემა

სასამართლო სისტემის შემადგენლობაში მოქმედებენ უზენაესი, საოლქო, საქალაქო, რაიონული და სპეციალიზებული სასამართლოები. საარბიტრაჟო სასამართლოები განიხილავენ იურიდიულ პირებს, სახელმწიფო და სხვა ორგანოებს შორის წამოჭრილ სამეურნეო დავებს, აგრეთვე, გაკოტრების საქმეებს. საარბიტრაჟო სასამართლოთა სტრუქტურაშია უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის, საოლქო, კიევისა და სევასტოპოლის საარბიტრაჟო სასამართლოები. უკრაინაში საგანგებო და განსაკუთრებულ საქმეთა სასამართლოების შექმნა აკრძალულია.

მართლმსაჯულებას ახორციელებენ პროფესიული მოსამართლეები, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში, აგრეთვე,

სახალხო და ნაფიცი მსაჯულები. პროფესიული მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის და პროფკავშირის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში, ჰქონდეს წარმომადგენლობითი მანდატი, ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მოსამართლის თანამდებობაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს 25 წლის ასაკს მიღწეული უკრაინის მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული განათლებით, სამართლის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟით, რომელიც უკრაინაში ცხოვრობს არანაკლებ 10 წლისა და ფლობს სახელმწიფო ენას. მოსამართლეთა გარკვეული კატეგორიების მიმართ კანონით შეიძლება დაწესებულ იქნეს დამატებითი მოთხოვნები სტაჟთან, ასაკთან და პროფესიული მომზადების დონესთან დაკავშირებით.

მოსამართლის თანამდებობაზე პირველად გამწესებისას მოსამართლეს 5 წლის ვადით ნიშნავს პრეზიდენტი. ყველა დანარჩენ მოსამართლეს უვადოდ, 6 წლის ასაკის მიღწევამდე, ირჩევს უკრაინის უზენაესი რადა, ხოლო უკრაინის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

საერთო სასამართლოების შინასაქმიანობის საკითხთა გადასაწყვეტად გამოიყენება სასამართლო თვითმმართველობის ინსტიტუტი. სასამართლო თვითმმართველობას ახორციელებენ საერთო, მათ შორის, სპეციალიზებული სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციები, უკრაინის უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეთა კრებები, უკრაინის მოსამართლეთა ყრილობა.

უკრაინაში მოქმედებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც შედგება 20 წევრისგან. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სამ-სამ წევრს ნიშნავს უზენაესი რადა, პრეზიდენტი, უკრაინის მოსამართლეთა ყრილობა, უკრაინის ადვოკატთა ყრილობა, იურიდიული პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლთა ყრილობა, ორ წევრს ნიშნავს პროკურატურის მუშაკთა სრულიად უკრაინის კონფერენცია, ხოლო უკრაინის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი საბჭოს შემადგენლობაში შედიან თანამდებობრივად. იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარადგენს კანდიდატურას მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად, შეაქვს წარდგინება მოსამართლის თანამდებობიდან გასათავისუფლებლად, იღებს გადაწყვეტილებებს მოსამართლეთა და პროკურორთა მიერ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნათა დარღვევებზე, ახორციელებს დისციპლინურ წარმოებას უკრაინის უზენაესი სასამართლოს და უმაღ-

ლესი სპეციალიზებული სასამართლოების მოსამართლეთა, აგრეთვე, პროკურორების მიმართ.

უკრაინის პროკურატურის სისტემა შედგება გენერალური პროკურატურის, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, ოლქების, ქალაქების კიევისა და სევასტოპოლის პროკურატურების, საქალაქო, რაიონული, რაიონთაშორისი პროკურატურების, ტრანსპორტის და სხვა პროკურატურებისგან. სამხედრო პროკურატურის სტრუქტურაშია რეგიონების სამხედრო პროკურატურები, შავი ზღვის ფლოტისა და უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების პროკურატურა, რომლებიც სარგებლობენ საოლქო პროკურატურის სტატუსით, და გარნიზონების სამხედრო პროკურატურები, რომლებიც უთანაბრდებიან საქალაქო პროკურატურებს. უკრაინის გენერალურ პროკურორს უზენაესი რადის თანხმობით თანამდებობაზე 5 წლით ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი. მას შეიძლება უნდობლობა გამოუცხადოს უზენაესმა რადამ.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 18 მოსამართლისგან. მოსამართლედ შეიძლება გამწესებულ იქნეს 40 წლის ასაკს მიღწეული უკრაინის მოქალაქე, იურიდიული განათლებით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟით, რომელიც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ცხოვრობს უკრაინაში და ფლობს სახელმწიფო ენას.

საკონსტიტუციო სასამართლოს 6 წევრს პრემიერ-მინისტრსა და იუსტიციის მინისტრთან კონსულტაციების შედეგად, ნიშნავს პრეზიდენტი, 6 წევრს – უზენაესი რადა და 6 წევრს – უკრაინის მოსამართლეთა ყრილობა. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ინიშნება მხოლოდ ერთი 9 წლიანი ვადით. უფლებამოსილების ვადის ამონურვის, 6 წლის ასაკის მიღწევის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, საბრალდებო განაჩენის ძალაში შესვლის, მოქალაქეობის შეწყვეტის, გარდაცვალების, გადადგომის შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადანყვეტილებას იღებს საკუთრივ საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო ფიცის ან თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებში – პარლამენტი. მოსამართლე დამოუკიდებელი და ხელშეუხებელია, სარგებლობს იმუნიტეტით. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან სამი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის წარდგინებით მის ორ მოადგილეს.

უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს და გასცემს დასკვნებს უკრაინის კანონებისა და პარლამენტის სხვა სამართლებრივი აქტების, პრეზიდენტის, მინისტრთა კაბინეტისა და ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი რაღის სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის, უკრაინის მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და პარლამენტში შესათანხმებლად შეტანილი საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის, იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საქმის გამოძიებისა და განხილვის კონსტიტუციური პროცედურის დაცვის, უკრაინის კონსტიტუციისა და კანონების ოფიციალური განმარტების საკითხებზე.

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის სუბიექტები შეიძლება იყვნენ პრეზიდენტი, უკრაინის უზენაესი რადა, უკრაინის პარლამენტის არანაკლებ 45 დეპუტატი, უკრაინის მინისტრთა კაბინეტი, უკრაინის უზენაესი სასამართლო, უკრაინის უზენაესი რაღის რწმუნებული ადამიანის უფლებების სფეროში, სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი რადა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. კონსტიტუციური მიმართვის შეტანის სუბიექტებია უკრაინის მოქალაქეები, უცხოელები, მოქალაქეობის არმქონე პირები და იურიდიული პირები. კონსტიტუციური მიმართვა საკონსტიტუციო სასამართლოში წარედგინება მხოლოდ ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლება-თავისუფლებების, აგრეთვე, იურიდიული პირის უფლებების დაცვისა და რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, უკრაინის კონსტიტუციისა და კანონების ოფიციალური განმარტების მისაღებად.

ლიტერატურა:

1. Конституция Украины, „Независимая газета“ (приложение НГ-сценарии), 29.08.96 г.;
2. Чиркин В.Е., Основы конституционного права Украины//Конституционное право зарубежных стран; Москва, „Юристъ“, 1997, стр. 420-446;
3. Якушев А.В., Основы конституционного права Украины//Конституционное право зарубежных стран, Москва, „ПРИОР“, 1999, стр. 274-284;
4. უკრაინის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე) ინტერნეტის საიტი, <http://info.resourcecorp.net/>;
5. უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი (რუსულ ენაზე) ინტერნეტის საიტი, <http://info.resourcecorp.net/>.

უნგრეთი

უნგრეთის რესპუბლიკა ცენტრალურ ევროპაში მდებარეობს. მისი 11 მილიონამდე მოსახლეობა 93 ათას კმ² ტერიტორიაზე სახლობს. უნგრეთს დასავლეთით ავსტრია ესაზღვრება, სამხრეთით – იუგოსლავია, აღმოსავლეთით – რუმინეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით უკრაინა, ხოლო ჩრდილოეთით – სლოვაკეთი. ქვეყნის დედაქალაქია ბუდაპეშტი, სახელმწიფო ენა – უნგრული, ფულის ერთეული – ფორინტი.

მეორე მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა მძიმე კვალი დაატყო ქვეყნის ისტორიულ განვითარებას. 1989 წლის ოქტომბერში პოლიტიკური ძალების „მრგვალმა მაგიდამ“ ნერტილი დაუსვა კომუნისტური რეჟიმის ბატონობას. 1949 წლის კონსტიტუცია, როგორც ამბობენ, 1990 წლის სერიოზული „კაპიტალური რემონტის“ შემდეგ, დღესაც ძალაშია და მასში შეტანილი ცვლილება-დამატებების მეშვეობით, დასაბამი მისცა ახალი უნგრეთის არსებობას, რომელიც დამოუკიდებელ დემოკრატიულ სამართლებრივ რესპუბლიკად გამოცხადდა. უნგრული სამართალი ე.წ. სოციალისტური სამართლებრივი ოჯახიდან რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახს დაუბრუნდა. უნგრეთი უნიტარული საპარლამენტო რესპუბლიკაა.

კონსტიტუციური სამართალი

ხელისუფლების შტოთა ბალანსი ამგვარად ჩამოყალიბდა: ქვეყანას ჰყავს ერთპიროვნული მეთაური პრეზიდენტის სახით; საკანონმდებლო ხელისუფლებას განახორციელებს ერთპალატიანი პარლამენტი; აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას; მართლმსაჯულებას აღასრულებს საერთო სასამართლოების სისტემა; ქვეყანაში მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლო.

პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, კონსტიტუციის თანახმად, ერის ერთიანობისა და ძლიერების სახეა და სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების სადარაჯოზე დგას. იგი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, წარმოადგენს ქვეყანას საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლებების მქონე, 35 წლის ასაკს მიღწეული უნგრელი მოქალაქე, 5 წლის ვადით, ერთჯერადი გადარჩევის უფლებით. პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან ან მანდატთან.

პრეზიდენტი ნიშნავს სახელმწიფო კრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებს, უფლება აქვს მონაწილეობა

მიიღოს სახელმწიფო კრების და მისი კომიტეტების მუშაობაში, სახელმწიფო კრებას შესთავაზოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება, გამოვიდეს ინიციატივით საერთო-ეროვნული რეფერენდუმის მოწვევის შესახებ. მისი წარდგინებით სახელმწიფო კრება ირჩევს მინისტრ-თავმჯდომარეს, პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს, სახელმწიფო მდივნებს და ომბუდსმენებს, უნგრეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, უნივერსიტეტის რექტორებს და პროფესორებს, უფლებამოსილია თანამდებობაზე დაამტკიცოს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მიანიჭოს სამხედრო ნოდებები და ჯილდოები, განხორციელოს ინდივიდუალური შეწყალება, იღებს გადაწყვეტილებებს მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით საგანგებო მდგომარეობის შემოღების დროს. თუ სახელმწიფო კრებას არა აქვს მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ. იგი ატარებს სპეციალური კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ ზომებს და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ სახელმწიფო კრების თავმჯდომარეს. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სახელმწიფო კრება, ხოლო თუ ეს შესაძლებელია, სახელმწიფო კრების თავდაცვის საკითხთა კომიტეტი მუშაობას არ წყვეტს. მას შეუძლია შეაჩეროს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მიღებული საგანგებო ზომების გატარება. მიღებული ზომები ძალაშია 30 დღის მანძილზე, თუ არ გაგრძელდა სახელმწიფო კრების ან თავდაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ.

პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს სახელმწიფო კრება და დანიშნოს ახალი არჩევნები, თუ სახელმწიფო კრება ერთი მოწვევის 12 თვის შუალედში ოთხჯერ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას ან მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, 40 დღის ვადაში არ აირჩევს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ მინისტრ-თავმჯდომარეს.

პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პირობებში, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე, მის მოვალეობას დროებით ასრულებს სახელმწიფო კრების თავმჯდომარე, გარკვეულად შეზღუდული უფლებებით. კონსტიტუციით განსაზღვრულია პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგი პირობები: უფლებამოსილების ვადის გასვლა, გარდაცვალება, 90 დღეზე მეტი დროის განმავლობაში მოვალეობის შეუსრულებლობა, თანამდებობის შეუთავსებლ-

ობა, გადადგომა, კონსტიტუცია ცალკე განსაზღვრავს იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის გათავისუფლების მექანიზმს.

პარლამენტი უნგრეთში, ოთხნობიანი ვადით არჩეული, ერთპალატიანი სახელმწიფო კრების სახით ფუნქციონირებს, იგი ამუშავებს კონსტიტუციას და იღებს კანონებს, განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გეგმებს და სახელმწიფოს აუცილებელ ხარჯებს, ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და მისი შესრულების შესახებ ანგარიშს, იღებს გადანყვეტილებას მთავრობის პროგრამის შესახებ, ნიშნავს საერთო-ეროვნულ რეფერენდუმს და დებს საერთაშორისო შეთანხმებებს, აცხადებს ამნისტიას, წყვეტს საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და ზავის დადების საკითხებს, საომარი მდგომარეობის ან ასეთის საშიშროების დროს აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და ქმნის თავდაცვის საბჭოს, იღებს გადანყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ. სახელმწიფო კრება ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მინისტრ-თავმჯდომარეს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, სახელმწიფო საანგარიშო პალატის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და გენერალურ პროკურორს, მთავრობის წინადადებით და საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე, სახელმწიფო კრება დაითხოვს ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, პარლამენტს შეუძლია გამოაცხადოს ვადამდელი თვითდათხოვნა.

დეპუტატები სარგებლობენ იმუნიტეტით და ინდემნიტეტით. დეპუტატის მანდატი შეუთავსებელია პრეზიდენტის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საანგარიშო პალატის თავმჯდომარის, მოსამართლის, პროკურორის, შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის თანამდებობებთან, აგრეთვე, საჯარო ადმინისტრაციის თანამშრომლობასთან, რომელთაგან გამონაკლისია მთავრობის წევრი და სახელმწიფო პოლიტიკური მდივანი.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მთავრობას, სახელმწიფო კრების კომიტეტს და თითოეულ დეპუტატს. კანონებს იღებს სახელმწიფო კრება დამსწრე დეპუტატთა ხმების უმრავლესობით, კონსტიტუციაში ცვლილებადამატებების ან კონსტიტუციით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი გადანყვეტილებების და კანონების მიღებისთვის აუცილებელია დეპუტატთა ხმების 2/3. მიღებული კანონი გადაეგზავნება რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც ხელს აწერს მას და აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ პრეზიდენტი არ ეთანხმება კანონს ან

მის რომელიმე ნაწილს, უფლება აქვს შენიშვნებით დაუბრუნოს იგი სახელმწიფო კრებას, რომელიც დაეთანხმება ან არ დაეთანხმება პრეზიდენტის შენიშვნებს და ამის გათვალისწინებით თავიდან გამოიტანს დადგენილებას მისი მიღების შესახებ. სახელმწიფო კრების თავმჯდომარე ხელახლა მიღებულ კანონს უგზავნის პრეზიდენტს, რომელიც ვალდებულია, ხელი მოაწეროს მას და 5 დღეში გამოაქვეყნოს. კანონის პირველი მიღების შემდეგ, თუ პრეზიდენტი მას არაკონსტიტუციურად ჩათვლის, უფლება აქვს, გადაუგზავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ კანონი არ შეესაბამება კონსტიტუციას, რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონს სახელმწიფო კრებას უბრუნებს, სხვა შემთხვევაში კი ვალდებულია ხელი მოაწეროს მას და გამოაქვეყნოს.

სახელმწიფო კრების მიერ საბიუჯეტო ფუნქციის განხორციელების საქმეში აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო საანგარიშო პალატა. იგი ქვეყნის სახელმწიფო საფინანსო-სამეურნეო კონტროლის უმთავრესი ორგანოა. საანგარიშო პალატა ამონმებს მთავრობის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საფუძვლიანობას, სახელმწიფო ხარჯების აუცილებლობას და მიზნობრიობას, ახორციელებს საბიუჯეტო სახსრების კანონიერად გამოყენებაზე წინასწარ კონტროლს, ამონმებს მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. პალატა აკონტროლებს სახელმწიფო ქონების გამოყენებას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა ეკონომიკურ საქმიანობას და შედეგებზე მოახსენებს სახელმწიფო კრებას. პარლამენტი თანამოხსენების სახით განიხილავს საანგარიშო პალატის დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის შემონმების თაობაზე.

1994 წლის არჩევნებში გამარჯვებულმა მმართველმა კოალიციამ, ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის ინტერესების სასარგებლოდ, შექმნა არჩევნების შედეგად პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების ექვსთა კომიტეტი და მოახდინა რა მისი საქმიანობის რეგლამენტირება, დაადგინა მექანიზმი, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს უმცირესობის პოზიციის დაცვა. კონსტიტუციაში ცვლილებების კენჭისყრაზე დასაყენებლად საჭიროა კომიტეტის მხარდაჭერა და აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული მისი 5 წევრის თანხმობა.

მთავრობა. უნგრეთის კონსტიტუციით მთავრობა შედგება მინისტრ-თავმჯდომარედ წოდებული პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. მინისტრ-თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მას ცვლის მის მიერვე დანიშნული მინისტრი.

მინისტრ-თავმჯდომარეს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით, დეპუტატთა ხმების უმრავლესობით ირჩევეს სახელმწიფო კრება, რაც იმავდროულად მთავრობის პროგრამის მხარდაჭერასაც ნიშნავს. მინისტრებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრ-თავმჯდომარის წარდგინებით.

მთავრობა დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების სახით ლებულობს კანონქვემდებარე აქტებს, რომლებსაც ხელს აწერს მინისტრ-თავმჯდომარე. მთავრობისადმი მუქარის გამოყენების შემთხვევაში, ამ უკანასკნელს, სახელმწიფო კრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, შეუძლია დადგენილებები გამოიტანოს კანონის ზოგიერთი პუნქტის გვერდის ავლით. მთავრობა უფლებამოსილია შეცვალოს ან შეწყვიტოს ქვემდებარე ორგანოების გადაწყვეტილების შესრულება, თუ ისინი კანონს ეწინააღმდეგება.

კონსტიტუცია ითვალისწინებს მთავრობის მანდატის შეწყვეტის შემდეგ ოთხ შემთხვევას: ახალარჩეული სახელმწიფო კრების მიერ ახალი მთავრობის ფორმირება; მინისტრ-თავმჯდომარის ან მთელი მთავრობის გადადგომა; მინისტრ-თავმჯდომარის გარდაცვალება; სახელმწიფო კრების მიერ, კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმის მეშვეობით, ახალი მინისტრ-თავმჯდომარის არჩევით მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება.

მთავრობის მიერ სახელმწიფო კრებისთვის წარდგენილი რაიმე პროექტის განუხილველობასთან თუ მიუღებლობასთან დაკავშირებით, მინისტრ-თავმჯდომარეს შეუძლია სახელმწიფო კრების წინაშე თვითონ დააყენოს ნდობის საკითხი. თუ სახელმწიფო კრება ნდობას გამოუცხადებს მთავრობას, ამით მხარს დაუჭერს მის მიერ წარდგენილ პროექტს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობა გადადგება, მაგრამ აგრძელებს მუშაობას ახალი მთავრობის ფორმირებამდე. თუმცა არა აქვს უფლება დადოს საერთაშორისო შეთანხმებები, ხოლო დადგენილებების მიღება შეუძლია კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

უნგრეთი სახელმწიფო წყობილების ფორმით უნიტარული ქვეყანაა, ცენტრალიზაციის გარკვეული ხარისხით, ქვეყანა 19 ოლქისგან შედგება, მათ შორისაა ბუდაპეშტი. ადგილობრივი თვითმმართველობის დონე მოიცავს 2924 სასოფლო მუნიციპალიტეტს, პატარა ქალაქებისა და დაბების 163 მუნიციპალიტეტს, დედაქალაქის 22 ოკრუგს, 20 საოლქო მნიშვნელობის ქალაქის მუნიციპალიტეტს.

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე არის ბურგომისტრი, დედაქალაქში მთავარი ბურგომისტრი. წარმო-

მადგენლობით ორგანოს შეუძლია აირჩიოს კომიტეტი და დააფუძნოს გამგეობა. ბურგომისტრი ახორციელებს სახელმწიფო ადმინისტრაციის კომპეტენციის ამოცანებს, თუ იგი საამისოდ უფლებამოსილია კანონით ან კანონიერ საფუძველზე გამოცემული მთავრობის დადგენილებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის თანახმად, ოლქების, ოლქების უფლების მქონე ქალაქების და დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოები იწოდება „საერთო კრებად“. ოლქებში ეს ორგანოები, თავისი უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევენ თავმჯდომარეებს.

დედაქალაქსა და ყველა ოლქში იქმნება საჯარო ადმინისტრაციის ბიურო, რომლის ხელმძღვანელს ნიშნავს შინაგან საქმეთა მინისტრი. ბიურო აკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედებათა კანონიერებას შესაბამის ტერიტორიაზე, ადმინისტრაციული წარმოების წესით, პირველი ინსტანციით წყვეტს კანონით ან მთავრობის დადგენილებით მის ქვემდებარედ განსაზღვრულ საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით განიხილავს საჩივრებს ბურგომისტრის, საოლქო საერთო კრების თავმჯდომარის ან საჯარო ადმინისტრაციის ბიუროს ხელმძღვანელის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შესახებ. თვითმმართველობის ორგანოების კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების შემთხვევაში, იგი ლებულობს ზომებს მათ გასაუქმებლად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს სასამართლოს, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოსაც.

საოლქო ბიუროს ხელმძღვანელს ევალება არა მარტო კანონით განსაზღვრული ან კანონის საფუძველზე მთავრობის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულება, არამედ ოლქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საჯარო ადმინისტრაციის სხვა ორგანოთა მოღვაწეობის კოორდინირება. თუ ასეთი ორგანოების მოღვაწეობა ვრცელდება რამდენიმე ოლქის ტერიტორიაზე, კოორდინაციას ახორციელებს იმ ოლქის ბიუროს ხელმძღვანელი, რომელ ოლქშიც არის ამ ორგანოს ადგილსამყოფელი.

საარჩევნო სამართალი

ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ უნგრეთის ყოველ მოქალაქეს სრულწლოვანება აკუთვნებს როგორც პასიურ, ისე აქტიურ საარჩევნო უფლებას. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს როგორც სახელმწიფო კრების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არჩევნების ან რეფერენდუმის

დღისთვის არ იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე. არჩევნებში არ მონა-
წილეობენ ქმედუნარო, თავისუფლებაალკვეთილი და იძულებით
მკურნალობაზე მყოფი პირები.

ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება უნგრული საარჩევნო სისტე-
მისა ის არის, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების
დეპუტატებისა და ბურგომისტრების არჩევისას, აგრეთვე, ადგილო-
ბრივი რეფერენდუმისა და ადგილობრივი სახალხო ინიციატივისას
საარჩევნო უფლება ენიჭებათ უნგრეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ
უცხოეთის მოქალაქეებს.

სახელმწიფო კრების მიერ პრეზიდენტის არჩევისთვის კანდიდატ-
ურის კენჭისყრაზე გატანა ხდება სახელმწიფო კრების თავმჯდომარი-
სადმი 50 დეპუტატის თანხმობის წარდგენით, თანაც ისე, რომ თი-
თოეულ მათგანს მხოლოდ ერთი კანდიდატურის წარდგენაში შე-
უძლია მონაწილეობა. თუ პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი
ვერ მოიპოვებს არჩევისთვის საჭირო დეპუტატთა ხმების 2/3-ს, იმა-
ვე წესით ხდება კანდიდატთა ხელახალი წამოყენება და კენჭისყრა,
მაგრამ თუ ამჯერადაც არავინ იქნა არჩეული, ტარდება მესამე ტური,
მეორე ტურში ორი უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატებს შორის, ამ-
ჯერად არჩევისთვის საკმარისია დეპუტატთა ხმების უბრალო უმრავ-
ლესობა.

პარლამენტის არჩევნებს არეგულირებს კანონი „სახელმწიფო
კრების დეპუტატთა არჩევის შესახებ“, რომლის თანახმად, სახელმწიფო
კრება შედგება 38 დეპუტატისგან. სახელმწიფო კრების ფორმირება
ხდება სამი წყაროს მეშვეობით, მაგრამ ისე, რომ ცალკე არც ერთი მათ-
განი არ იძლევა უმრავლესობის მოპოვების საშუალებას. 176 აირჩევა
ინდივიდუალურ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, 152 — პარტიული
სიებით საოლქო და დედაქალაქის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში,
50 — აგრეთვე პარტიული სიებით საერთო-ეროვნულ საარჩევნო ოლქში.
ინდივიდუალურ ოლქებში კანდიდატების წამოყენების უფლება აქვს 750
ამომრჩეველს და რეგისტრირებულ პარტიას, კანდიდატს შეუძლია
კენჭი იყაროს სამივე ფორმით, მაგრამ თუ ის არჩეული იქნება ინდივი-
დუალურად, სხვა სიებიდან ამოირიცხება.

ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში კანდიდატთა სიების წარდგე-
ნის უფლება ეძლევა პარტიას, რომელმაც თავისი კანდიდატები წამ-
ოაყენა მოცემული ტერიტორიული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე
არსებულ ინდივიდუალური საარჩევნო ოლქების მეოთხედში მაინც,
ხოლო საერთო ეროვნულ საარჩევნო ოლქში იმ პარტიას, რომელმაც
კანდიდატთა სიები შვიდ ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში წარადგე-

ნა. ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში მანდატები ნაწილდება პარტიულ სიებზე მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად.

პარტიებს, რომლებსაც ერთობლივად წარადგენენ კანდიდატებს ინდივიდუალურ საარჩევნო ოლქებში, შეუძლიათ ტერიტორიულ და საერთო-ეროვნულ ოლქებში სიებიც ერთობლივად წარადგინონ და ამ შემთხვევაში შესაძლებელია კანდიდატთა რაოდენობა სამჯერ აღემატებოდეს ერთი პარტიისთვის დადგენილ რაოდენობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებს აწესრიგებს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატებისა და ბურგომისტრების არჩევის შესახებ“. საარჩევნო სისტემა აქ რამდენადმე შეცვლილია. ხმის მიცემა ხორციელდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუმცა დაიშვება ხმის მიცემა დროებითი ადგილსამყოფლის მიხედვითაც. პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მხოლოდ უნგრეთის მოქალაქეები. დასახლებებში, 10 ათასზე ნაკლები მცხოვრებით, იქმნება ერთი საარჩევნო ოლქი, რომელშიც, მოსახლეობის რიცხოვნობიდან გამომდინარე, აირჩევა 3-დან 13 დეპუტატამდე. არჩევნები ტარდება ე.წ. მცირე სიებით, რომლებშიც ანბანის მიხედვითაა დეპუტატობის ყველა კანდიდატი წარმოდგენილი. თუ წამოყენებულ კანდიდატთა რიცხვი ნაკლები აღმოჩნდება ასარჩევ დეპუტატთა რიცხვზე, ინიშნება დამატებითი არჩევნები. ასეთივე წესით აირჩევიან ბურგომისტრებიც, რა თქმა უნდა, უკანასკნელი დათქმის გარეშე.

დასახლებებსა და დედაქალაქის ოკრუგებში, სადაც 10 ათასზე მეტი მაცხოვრებელია, დეპუტატების არჩევნებისთვის გამოიყენება შერეული საარჩევნო სისტემა. დასახლებებში 10 ათასიდან 70 ათასამდე მცხოვრებით, 10-დან 16 დეპუტატამდე აირჩევა ინდივიდუალურ საარჩევნო ოლქებში, ხოლო 7-დან 11 დეპუტატამდე კი – კანდიდატთა სიებით. ამ სიებს ისეთივე საკომპენსაციო როლი ენიჭება, როგორც საერთო-ეროვნულ სიებს სახელმწიფო კრების არჩევნებთან დაკავშირებით. ყოველ შემდგომ 10 ათას მცხოვრებზე ემატება ერთი ინდივიდუალური საარჩევნო ოლქი, ყოველ 15 ათას მცხოვრებზე კი – ერთი მანდატი.

ბუდაპეშტში დედაქალაქის საერთო კრების 88 დეპუტატიდან 66 აირჩევა მოსახლეობის მიერ პარტიული სიებით დედაქალაქში შექმნილ ერთიან საარჩევნო ოლქში, ხოლო 22 დეპუტატი დელეგირებულია ქალაქის ოკრუგების მიერ. საოლქო საერთო კრების არჩევნების დროს ყოველ რაიონში თითოეულ ოლქში იქმნება ორი საარჩევნო ოლქი, ერთი დასახლებისთვის – 10 ათასი და ნაკლები მაცხოვრებლით და მეორე – დასახლებებისთვის 10 ათასზე მეტი მცხოვრებით.

ბურგომისტრები და დედაქალაქში – მთავარი ბურგომისტრი აირჩევიან პირდაპირი არჩევნებით. არჩევნებისთვის აუცილებელია ხმების უმრავლესობის მიღება. ხმების ერთნაირად გაყოფის შემთხვევაში ტარდება განმეორებითი არჩევნები.

სამოქალაქო სამართალი

ზოგიერთი პოტსოციალისტური ქვეყნისგან განსხვავებით, სადაც კანონმდებლებმა იჩქარეს, უარი ეთქვათ სოციალიზმის პერიოდის ცალკეული მიღწევების კონსტიტუციურ განმტკიცებაზე, უნგრეთის 1949 წლის კონსტიტუციამ, მართალია, 1990 წელს, ქვეყნის კურსის შეცვლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მაგრამ სოციალური სამართლიანობა და მოსახლეობის სოციალური დაცვა სახელმწიფო ზრუნვის უმთავრეს მიმართულებად რჩება. ამასთან, ქვეყნის კანონმდებლობა, ითვალისწინებს რა საბაზრო ეკონომიკის პერსპექტივას, სამოქალაქო სამართლის კოდექსში, რომელიც 1959 წელს იქნა მიღებული, არსებითი ცვლილება-დამატებებიც შეაქვს და ახალ კანონებსაც გამოსცემს, მთლიანობაში კი ამკვიდრებს ისეთ სამართლებრივ სივრცეს, რომელიც მენარმეთათვის ხელშემწყობ პირობებს ქმნის.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბრძოლა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ კანონმდებლის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. 1997 წლიდან ამოქმედდა კანონი „არაკეთილსინდისიერი საბაზრო ქმედებების და კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვის შესახებ“, რომელიც შეიცავს აკრძალული ქმედებების და შეთანხმებების ჩამონათვალს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, აგრეთვე, სამეურნეო ამხანაგობებისთვის, რომელთაც იურიდიული პირის უფლება არ გააჩნიათ. კანონი ითვალისწინებს სამოქალაქო-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სანქციებს არაკეთილსინდისიერ კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

1988 წელს მიღებულმა კანონმა „სამეურნეო საზოგადოებების შესახებ“ დაამკვიდრა სამეურნეო საზოგადოებების ისეთი ფორმები, როგორცაა შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა და სააქციო საზოგადოება და დაარეგულირა სამართლებრივი ურთიერთობები ამ ინსტიტუტებსა და მის წევრებს შორის. მაგრამ კანონი ორგანიზაციული საკითხების ნაწილში ზედმინევენითი რეგლამენტაციით გამოირჩეოდა და ერთგვარად ბოჭავდა მენარმეთა ინიციატივას. ქვეყნის ახალ კონსტიტუციურ ორიენტირებში მენარმეობისადმი მკვეთრად გამოხატული ხელშეწყობის აქცენტები ახლებურად მიდგომას ითხოვდა და 1991 წელს კანო-

ნმდებელმა რეჟიმის ლიბერალიზაციის მიზნით თხუთმეტამდე მუხლი გააუქმა და გარკვეული ცვლილებებიც შეიტანა კანონში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა სამოქალაქო სამართლის კოდექსმა იმ ნაწილში, სადაც სავაჭრო სამართლისთვის მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, კერძოდ, სავაჭრო წარმომადგენლობებს. უნგრეთში წარმომადგენლობებისადმი დამოკიდებულება სამოქალაქო კოდექსის საერთო ნორმებით რეგულირდება, რომლის თანახმად, ყველა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებები, გარდა იმისა, რომლებიც პირადად ფორმდება, შეიძლება გაფორმდეს წარმომადგენლის მეშვეობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი როლი აკისრიათ სავაჭრო წარმომადგენლობებს. უნგრეთის სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს სავაჭრო წარმომადგენლის უფლებამოსილებებს, ხოლო მისი პასუხისმგებლობის საკითხი, ძირითადად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო ნორმების საფუძველზე წყდება.

სისხლის სამართალი

უნგრეთის კონსტიტუციამ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დამცავი ნორმების სისტემაში 57-ე პარაგრაფის მე-4 პუნქტში, ქვეყნის სისხლის სამართალს ძირითადი კონცეფციის სახით განუსაზღვრა ფორმულა იმის თაობაზე, რომ არავინ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრალეულად და დასჯილ იქნეს ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტისთვის უნგრეთის სამართლის მიერ არ მიიჩნევა დანაშაულად.

ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში ჩადებული ნორმის სრულფასოვანი ამოქმედების პრობლემა, ქვეყანაში მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსთან არის დაკავშირებული, რომელიც ჯერ კიდევ 1978 წელს იქნა მიღებული და, ამდენად, ახალი კონსტიტუციის სულისკვეთების გათვალისწინებით ცვლილება-დამატებების მთელი კასკადის გადატანა მოუხდა.

სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების ბუნებასა და მის ქმედითობაზე, უდავოდ დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს გადანაცვტილებამ, რომლის თანახმად, საერთაშორისო სამართალი აღიარებულ იქნა, როგორც ქვეყნის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ერთ-ერთი წყარო.

უნგრეთის სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემა დუალისტურია და ორგვარი სამართლებრივი შედეგით ხასიათდება. სამართალს შეუძლია გამოიყენოს ზომები სასჯელის შესაბამისად. სასჯელთა სისტემა შედარებით განსაზღვრულია და კანონი აღწერს სასჯელის სახ-

ეს, მის მაქსიმალურ და მინიმალურ ზღვარს თითოეულ დანაშაულთან მიმართებაში. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს ზოგადად მაქსიმუმსა და მინიმუმს, ხოლო სასჯელთა შკალა, რომელიც დადგენილია განსაკუთრებული ნაწილით, მოიცავს სპეციალურ მინიმუმსა და მაქსიმუმს. გამოსაყენებელ საკანონმდებლო ჩარჩოებში სასამართლო უფლებამოსილია კონკრეტული დანაშაულის შედეგების შესატყვისი სასჯელი დააკისროს ბრალდებულს. დუალისტურ სასჯელთა სისტემაში დასჯა პირველადი სამართლებრივი შედეგია, მაშინ, როცა დამატებითი და დამხმარე ბუნების ზომები ჩაფიქრებულია, რათა მათი დამატებით სპეციალურ პრევენციას მეტი წონა მიეცეს. დამატებითი სასჯელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ცალკე, ისე ძირითად სასჯელთან ერთად. მისი არსი დამნაშავისთვის რაიმე უფლებების მოპოვების ან აკრძალვის განხორციელებაში მდგომარეობს.

ამჟამად, 1993 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით დადგენილია სასჯელთა წესრიგი, რომელიც გამოიყენება ინდივიდუალურად. ეს არის თავისუფლების აღკვეთა, საზოგადოებრივი სამსახური ანაზღაურების გარეშე და ჯარიმა. თავისუფლების აღკვეთა არის უფადო და გარკვეული ვადით. რაც შეეხება საზოგადოებრივ სამსახურს მსჯავრდადებულმა კვირაში ერთი სამუშაო დღე მაინც უნდა გაატაროს საზოგადოებრივ სამუშაოდ მისთვის განსაზღვრულ უბანზე. ასეთი სასჯელი განისაზღვრება ერთიდან 100 დღემდე. თუ მსჯავრდადებული უარყოფს ნებაყოფლობით საზოგადოებრივ სამსახურს, სასჯელი შეეცვლება თავისუფლების აღკვეთით.

არ ისჯებიან, პირველ რიგში, პირები, რომელთაც დანაშაულის ჩადენის დროისთვის არ შესრულებიათ 14 წელი, პირი, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს პათოლოგიურ გონებრივ მდგომარეობაში, რაც არ აძლევს მას საშუალებას გააცნობიეროს თავისი ქმედების შედეგი. მაგრამ ეს დებულება არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც დანაშაულს ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ჩაიდენს. ასევე არ ისჯება პირი, რომელიც ჩაიდენს ქმედებას იძულების ან მუქარის ქვეშ, რაც მას არ აძლევს საშუალებას იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

უნგრეთის კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის ხელშეუხებელ და შეუზღუდავ უფლებებს, მათი დაცვა და პატივისცემა კი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს მოვალეობას წარმოადგენს. ძირითადი

უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელ ნორმებს ადგენს მხოლოდ კანონი. ისეთი ძირითადი კონსტიტუციური უფლებები, როგორცაა სიცოცხლის უფლება, უფლებაუნარიანობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, დაცვის უფლება, ქმედითუნარიანობა, აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლების უფლება, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, დედათა, ქალთა და ახალგაზრდათა დაცვა, მშობელთა და შვილთა უფლებები, ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები, უნგრეთის მოქალაქეობიდან გამომდინარე უფლებები, სოციალური დაცვის უფლება არ ექვემდებარება შეწყვეტას ან შეზღუდვას არც ერთ შემთხვევაში.

უნგრეთის კონსტიტუციური სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობას სახელმწიფო მმართველობის განხორციელებაში. რესპუბლიკა უზრუნველყოფს მათ დაცვას და კოლექტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი კულტურის განვითარებას, ენის გამოყენების შესაძლებლობის რეალიზაციას, ტერიტორიაზე უმცირესობათა წარმომადგენლების არსებობას. მათ შეუძლიათ დააარსონ თავისი მმართველობა როგორც ადგილობრივი, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, მთავრობასთან შექმნილია ეროვნულ უმცირესობათა საბჭო.

ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ კონსტიტუციის კარის უკანასკნელი პარაგრაფი ადგენს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლოს მიერ გარანტიას. ამასთან, კონსტიტუციაში, 1989 წლის 23 ოქტომბრის კანონით შეტანილი დამატების მეშვეობით, დამკვიდრდა სამოქალაქო უფლებათა სახელმწიფო კრების რწმუნებულის ინსტიტუტი, ამგვარად შეიქმნა უნგრეთში შვედური ომბუდსმენის მონათესავე პარლამენტის სამოქალაქო უფლებათა რწმუნებული, რომელიც ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის თაობაზე მიღებული კანონების დარღვევების შემოწმებას და ღებულობს ზოგად თუ კონკრეტულ ზომებს მათ გამოსასწორებლად.

უნგრეთის ომბუდსმენს პრეზიდენტის წარდგინებით, აირჩიეს სახელმწიფო კრება დეპუტატთა ხმების 2/3-ით. რწმუნებულად შეიძლება არჩეულ იქნეს უნგრეთის მოქალაქე, რომელსაც უნდა ჰქონდეს უმაღლესი აკადემიური განათლება და პროფესიული საქმიანობის სულ ცოტა 10 წლიანი სტაჟი. ომბუდსმენისთვის მიმართვა და საქმის წარმოების აღძვრა შეუძლია ნებისმიერ პირს.

თავად ის ფაქტი, რომ უნგრეთის კონსტიტუციაში ომბუდსმენი სახელმწიფო კრების რწმუნებულად იწოდება, მისი რანგირება უმაღ-

ლეს დონეზე ხდება და უფლებამოსილებებიც მნიშვნელოვანი აქვს, თუნდაც უფლება საკუთარი ინიციატივით გააკონტროლოს ესა თუ ის ობიექტი ან სამართლის წყაროს შესრულების მდგომარეობა.

1992 წლის კანონმა „ეროვნული ინტერესის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პირადი მონაცემებისა და გამოვლენილი მონაცემების დაცვის შესახებ“, დასაბამი მისცა ომბუდსმენის ინსტიტუტის სპეციალიზაციას, ვინაიდან ახალი პროფილის ომბუდსმენი დააკანონა, კერძოდ, პირადი მონაცემებისა და ინფორმაციაზე უფლების დაცვის სახელმწიფო კრების რწმუნებული. უნგრეთში, სახალხო დამცველის ინსტიტუტის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, განსაკუთრებული გამოდგა 1993 წელი, 1 ივნისს მიღებულ იქნა ახალი კანონი „სამოქალაქო უფლებებში სახელმწიფო კრების რწმუნებულის შესახებ“, რომელმაც დამატებით განსაზღვრა რწმუნებულის მოადგილის თანამდებობა, რწმუნებულის ბიუროს შექმნისა და საქმიანობის წესი, დაარეგულირა შინაორგანიზაციული და სახელმწიფო კრების წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხები. უკვე 1993 წლის 7 ივლისს მიღებული კანონით, „ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებების შესახებ“, შეიქმნა კიდევ ერთი სპეციალური ომბუდსმენი – ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა სახელმწიფო კრების რწმუნებული. ამას გარდა, კონკრეტული კონსტიტუციური უფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფო კრებას შეუძლია აირჩიოს სპეციალური ომბუდსმენი.

სასამართლო სისტემა

უნგრეთის სასამართლო სისტემა სამსაფეხურიანია: უზენაესი სასამართლოს, დედაქალაქის და საოლქო სასამართლოები, ადგილობრივი სასამართლოები. ბუდაპეშტში, საოლქო სასამართლოს უფლებამოსილებით მოქმედებს დედაქალაქის სასამართლო, ხოლო ადგილობრივი სასამართლოს კომპეტენციით – საოლქო სასამართლოები. ქალაქებში ადგილობრივ სასამართლოებს წარმოადგენენ ქალაქის სასამართლოები. სახელმწიფო კრების გადაწყვეტილებით, გარკვეული კატეგორიების საქმეებზე, შესაძლებელია სპეციალური სასამართლოების შექმნა.

უზენაესი სასამართლო განსაზღვრავს ყველა სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპულ მიმართულებებს. მისი დირექტივები და პრინციპული გადაწყვეტილებები ქვემდგომი სასამართლოებისთვის სავალდებულოა. კანონი „სასამართლოების შესახებ“ უზენაეს სასამართლოს უფლებამოსილს ხდის მეორე ინსტა-

ნციით განიხილოს საოლქო სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე საჩივრები. უზენაესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის, კოლეგიათა ხელმძღვანელების, საბჭოს თავმჯდომარეებისა და პროფესიონალი მოსამართლეებისგან. უზენაეს სასამართლოში იქმნება სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, სამეურნეო, შრომითი და ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი კოლეგიები. უზენაესი სასამართლოს სხდომები ტარდება პლენუმის სახით, მოსამართლეთა 2/3-ის მონაწილეობით მაინც. პლენუმი იღებს სახელმძღვანელო პრინციპებს და წყვეტს ზოგიერთ ორგანიზაციულ საკითხს.

საოლქო სასამართლოების შემადგენლობაში შედიან: სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიების ხელმძღვანელები, საბჭოს თავმჯდომარეები, პროფესიონალი მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები, ასევე, ჯგუფების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები. დედაქალაქის სასამართლოში გათვალისწინებულია კოლეგიათა ხელმძღვანელების მოადგილეები, საოლქო სასამართლოებში მოქმედებენ სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიები. სახელმწიფო კრების მიერ დადგენილ ცალკეულ საოლქო სასამართლოებში კი ასევე სამხედრო საქმეთა საბჭოები. კოლეგიების შემადგენლობაში შედიან მოცემული კატეგორიის საქმეებზე სპეციალიზებული საოლქო სასამართლოს მოსამართლეები, ასევე კოლეგიაში ხუთი წლის ვადით არჩეული ოლქის სხვა სასამართლოს მოსამართლეები. სამხედრო საქმეთა საბჭოს თავმჯდომარეობს პროფესიონალი სამხედრო მოსამართლე.

ადგილობრივი სასამართლოების შემადგენლობაში შედიან სასამართლოს თავმჯდომარე, პროფესიონალი მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები. მათ შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ თავმჯდომარის მოადგილე, ჯგუფების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები. ეს სასამართლოები განიხილავენ მხოლოდ პირველი ინსტანციის იურისდიქციის საქმეებს.

საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ზედამხედველობს ადგილობრივ სასამართლოებსა და შრომით საქმეთა სასამართლოებს, რომლებიც მოქმედებენ დედაქალაქსა და ოლქებში. მათ იურისდიქციას ექვემდებარება არა მარტო კონკრეტული შრომითი დავები, არამედ კოოპერატივების ნევრობასთან დაკავშირებული დავებიც. თითოეული ამ სასამართლოს შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე

მარე, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი მოადგილე, მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები.

მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება პრეზიდენტს სასამართლო ორგანოთა ფორმირების საქმეში: მისი წარდგინებით, სახელმწიფო კრება საერთო რაოდენობის 2/3-ით ირჩევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის მოადგილებს თავად თავმჯდომარის წარდგინებით და საერთოდ, ყველა მოსამართლეს ნიშნავს პრეზიდენტი. მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება კანონით დადგენილი წესითა და საფუძვლებით. მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან და ექვემდებარებიან მხოლოდ კანონს, მათ არა აქვთ რომელიმე პარტიის წევრობის ან პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება. „სასამართლოების შესახებ“ კანონის თანახმად, სახალხო მსაჯულები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებული არიან, თავი შეიკავონ პოლიტიკური მოღვაწეობისგან. მართლმსაჯულების განხორციელებისას ჩადენილი ქმედებების გამო, პროფესიონალი მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები არ შეიძლება მიეცნენ სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობის გარეშე. ეს თანხმობა კი გაიცემა გენერალური პროკურორის ინიციატივით, მხედველობაში მიიღება იუსტიციის მინისტრის აზრი, ხოლო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის აზრი.

მოსამართლე და სახალხო მსაჯული შეიძლება იყოს 24 წლის ასაკს მიღწეული ნასამართლობის არმქონე, საარჩევნო უფლების მქონე უნგრეთის მოქალაქე. მოსამართლეობის კანდიდატებისთვის, აგრეთვე, სავალდებულოა საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება.

სახალხო მსაჯულები აირჩევიან თვითმმართველობის ორგანოების მიერ 4 წლით, კანდიდატურების წამოყენების უფლება აქვთ ამომრჩევლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, პოლიტიკური პარტიების გარდა.

უნგრეთში სასამართლო სისტემის თვითმმართველობას ახორციელებენ მოსამართლეთა საოლქო საბჭოები და სრულიად უნგრეთის მოსამართლეთა საბჭო, რომელთა წევრები აირჩევიან მოსამართლეთა საოლქო შეკრებებზე.

გენერალური პროკურორისა და პროკურატურის ორგანოების ამოცანებში შედის მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, კონსტიტუციური წყობის, ქვეყნის უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისთვის საზიანო ნებისმიერი ქმედების ან მუქარის განუხრელი

დევნა. პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას კანონით დადგენილ საქმეებზე, ახორციელებს ზედამხედველობას გამოძიების კანონიერებაზე, გამოდის ბრალმდებლად სასამართლო პროცესზე, ასევე, ახორციელებს განაჩენის აღსრულების კანონიერებაზე ზედამხედველობას.

გენერალური პროკურორი აირჩევა სახელმწიფო კრების მიერ პრეზიდენტის წარდგინებით. გენერალური პროკურორის მოადგილეებს გენერალური პროკურორის წარდგინებით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. გენერალური პროკურორი პასუხისმგებელია სახელმწიფო კრების წინაშე და ვალდებულია, თავისი მოღვაწეობის შესახებ ანგარიში ჩააბაროს მას.

საკონსტიტუციო კონტროლი

უნგრეთში, 1983 წლიდან მოქმედებდა საკონსტიტუციო-სამართლებრივი საბჭო, რომელიც საკონსტიტუციო ზედამხედველობის ერთგვარ იმიტაციას ახდენდა. 1989 წელს დაფუძნდა საკონსტიტუციო კონტროლის სრულფასოვანი ინსტიტუტი საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, რომელსაც ფუნქციონირების პირველმა ათწლეულმა საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი მოუპოვა ქვეყნის გარეთაც.

საკონსტიტუციო კონტროლის კომპეტენციაში შედის სამართლებრივი ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმება და არაკონსტიტუციურობის საფუძველზე მათი გაუქმება. იგი ფლობს წინასწარი კონტროლის ფუნქციასაც, ვინაიდან შესაძლებელია შეკითხვა კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდეს კანონპროექტთან დაკავშირებით, საბოლოო კენჭისყრის წინ. ამას გარდა, იგი ახორციელებს მიღებული, მაგრამ გამოუქვეყნებელი კანონის, სახელმწიფოების რეგლამენტის, საერთაშორისო შეთანხმებების წინასწარ კონტროლს, განიხილავს კონსტიტუციის გარანტირებულ უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებს, საჯარო ხელისუფლების ორგანოებს შორის კონფლიქტებს, აქვს უფლება განმარტებები მისცეს კონსტიტუციის დებულებებთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 11 წევრიგან, რომლებიც აირჩევა სახელმწიფო კრების მიერ, დეპუტატთა ხმების 2/3-ით. კანდიდატებს წარმოადგენს სპეციალურად შექმნილი საპარლამენტო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ყველა პარტიულ დეპუტატთა ჯგუფის თითო წევრი. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები არ შეიძლება იყვნენ რომელიმე პარტიის წევრები და მოღვა-

წობდნენ პოლიტიკაში, გარდა ამ ორგანოს კომპეტენციით გათვალისწინებული საზღვრებისა. საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი შემადგენლობიდან, 3 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარესა და მოადგილეს, რომლებიც თავიანთი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეიძლება გადარჩეულ იქნენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს უმაღლესი იურიდიული განათლების, სასამართლობის არმქონე, უნგრეთის მოქალაქე 45 წლის ასაკიდან, სამართლებრივი ცოდნით გამორჩეული პირი, უნივერსიტეტის პროფესორი, პროფესიით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟის მქონე მოსამართლე და ადვოკატი. არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩეულ იქნეს პირი, რომელიც უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე იყო მთავრობის წევრი ან პარტიული ფუნქციონერი, ან ეკავა ხელმძღვანელი თანამდებობა სახელმწიფო ადმინისტრაციაში. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 9 წელია და მეორე ვადით არჩევა არ დაიშვება. ზღვრული ასაკი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისთვის 70 წელია.

ლიტერატურა:

1. Конституция Венгерской республики, Конституции зарубежных стран, Москва, „Юристинформ“, 2000, стр. 290-326;
2. ო.მელქაძე, ნ.შიოშვილი, უნგრეთი // საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი, „მერანი“, 1999, გვ. 344-379;
3. Страшун Б.А., Основы конституционного права Венгрии//Конституционное (государственное) право зарубежных стран, Особенная часть, Страны Европы, Москва, „Б Е К“, 1997, стр. 550 - 605;
4. Бойцова В.В., Уполномоченный Государственного собрания по правам граждан Венгрии// Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „БЕК“, 1997, стр. 35-38;
5. Якушев А.В., Основы конституционного права Венгрии//Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 1999, стр. 170 -180;
6. Основные институты гражданского права зарубежных стран, Сравнительно - правовое исследование, Москва, „Норма“, 1999;
7. Закон о хозяйственных обществах Венгрии // Акционерное общество и товарищество с ограниченной ответственностью, Сборник зарубежного законодательства, Москва, „БЕК“, 1995, стр. 46-62; 221-246.

შპედეტი

შვედეთის სამეფო ევროპის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა, მდებარეობს ჩრდილო ევროპაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. დასავლეთითა და ჩრდილოეთით მას ნორვეგია ესაზღვრება, ჩრდილო-აღმოსავლეთით ფინეთი, სამხრეთითა და აღმოსავლეთით აკრავს ბალტიის ზღვა. შვედეთის კონტინენტური ნაწილის, კუნძულების გოტლანდისა და ელანდის ჩათვლით, მთლიანი ტერიტორია 450 კმ²-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 9 მილიონს სჭარბობს. ქვეყნის დედაქალაქია სტოკჰოლმი, სახელმწიფო ენა - შვედური, ფულის ერთეული - შვედური კრონა.

შვედური სამართალი, ზოგადად, კონტინენტური და საერთო-სამართლებრივი სისტემების შერეული მოდელია, მაგრამ დღეს უკვე აღიარებულ სკანდინავიურ, ანუ ე.წ. „ჩრდილოეთის“ სამართლებრივ ოჯახს განეკუთვნება. ამასთან, შვედურ სამართალსა და სახელმწიფო სისტემაზე უდიდეს გავლენას ახდენს მმართველი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შვედური სოციალიზმის იდეოლოგია. 1809 წლიდან მოყოლებული საკონსტიტუციო რეფორმების 4 ეტაპის შედეგად ჩამოყალიბებული შვედეთის კონსტიტუცია დაწერილი არაკოდიფიცირებული ძირითადი კანონის კლასიკური ნიმუშია და ოთხი კანონის ერთობლიობას წარმოადგენს: 1974 წლის აქტი „მმართველობის ფორმა“, 1810 წლის აქტი „ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“ – 1979 წლის რედაქციით, 1949 წლის აქტი „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ“, 1979 წლის რედაქციით და 1991 წლის აქტი „აზრის გამოხატვის შესახებ“ სხვათა შორის, შვედეთში, კონსტიტუციური კანონის ქვეშ მოიაზრება არა მხოლოდ კანონი, რომელსაც შესწორება შეაქვს კონსტიტუციაში, არამედ კანონიც, რომელიც ავსებს მას, მაგრამ რჩება დამოუკიდებელ კანონად.

შვედეთი მმართველობის ფორმით პარლამენტური მონარქია, ხოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით უნიტარული ცენტრალიზებული სახელმწიფოა.

კონსტიტუციური სამართალი

შვედეთში ხელისუფლების შტოთა შორის ბალანსი შემდეგი თანაფარდობით გამოისახება: სახელმწიფოს ჰყავს მეთაური „სუსტი“ მონარქის სახით, საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს „ძლიერი“ პარლამენტი – რიქსდაგი და აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის „გაცილებით ძლიერ“ მთავრობას. სასამართლო სისტე-

მას ხელმძღვანელობენ უზენაესი სასამართლო და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო.

მონარქი შვედეთში ქვეყნის სიმბოლური, უფრო სწორად, ცერემონიული მეთაურია. თუ ევროპული მონარქიების უმრავლესობა გვირგვინის ხელისუფლებას ფორმალურად მაინც უტოვებს გარკვეულ პოლიტიკურ უფლებებს, შვედეთში მონარქის ნომინალური სახელმწიფოებრივი სტატუსი კონსტიტუციურად არის დადგენილი, როცა „მმართველობის ფორმა“ პირველივე წინადადების სახით აღიარებს, რომ „მთელი სახელმწიფო ხელისუფლების წყარო შვედეთში არის ხალხი“ და არა მონარქი. მონარქი ფორმალურადაც არ ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას და არ მონაწილეობს მთავრობის ფორმირებაში, ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარე რიქსდაგის ტალმანის აქტით ინიშნება. მონარქი არ მონაწილეობს მინისტრების დანიშვნაშიც და არ შეუძლია მათი გათავისუფლება, არ ახდენს სამხედრო, დიპლომატიურ მაღალჩინოსანთა დანიშვნებს. მიუხედავად აღნიშნულისა, მთავრობა ვალდებულია პერიოდულად მიანოდოს მეფეს ინფორმაცია ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების თაობაზე, ხოლო ყოველკვარტალურად მონარქი თავმჯდომარეობს სახელმწიფო საბჭოს სხდომებს. ამას გარდა, სახელმწიფო მეთაურის ფუნქცია შვედეთში ითვალისწინებს მთავარსარდლის უფლებამოსილებას, რომელსაც მეფე მთავრობის მეშვეობით ახორციელებს, აგრეთვე, უცხოელი ელჩების აკრედიტაციას.

მონარქი სრულიად არის გამიჯნული საკანონმდებლო საქმიანობისგან, არც ვეტოს უფლება აქვს და არც პარლამენტის დათხოვნა შეუძლია. უფრო მეტიც, არც ქვეყნის დატოვება შეუძლია შვედეთის სახელმწიფო ორგანოების ნებართვის გარეშე.

და მაინც, შვედეთის მეფეს, რომელსაც პოლიტიკური ინტერესები არ ამოძრავებს, აქვს უდიდესი ძალა და არის ეროვნული ერთიანობის არა უბრალოდ სიმბოლო, არამედ ქვეყნის სტაბილურობისა და პროგრესის გარანტი. კონსტიტუციური ნორმები იცავს მონარქის ხელშეუხებლობას, კერძოდ, „მმართველობის ფორმის“ მიხედვით, მეფე პასუხს არ აგებს თავისი მოქმედებებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ მეფეს ავადმყოფობის, მოგზაურობის ან სხვა მიზეზით არ ძალუძს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობების შესრულება, ამ ფუნქციების განსახორციელებლად, კანონით დადგენილი რიგითობით, მეფეს მონაცვლეობენ რეგენტები, მაგრამ კანონიერი რეგენტის არარსებობის პირობებში, მთავრობას შეუძლია რეგენტის მოვალეობათა შესრულება დროებით დააკისროს ტალმანს, თუ მასაც არ შეუძლია – ვიცე-

ტალმანს. საერთოდ კი, ტახტის მემკვიდრეობის წესი შვედეთში განისაზღვრება 1810 წლის კონსტიტუციური აქტით „ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“, რომელშიც 1979 წელს შეტანილი ცვლილებებით, ტახტის მემკვიდრეობის უფლება მონარქის მდედრობითი ხაზის შთამომავლობასაც მიაკუთვნა.

პარლამენტი. შვედეთის უმაღლესი საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი – რიქსდაგი. იგი აირჩევა 4 წლით, მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, პროპორციული საარჩევნო სისტემით და შედგება 349 დეპუტატისგან.

რიქსდაგი აბსოლუტურად განუსაზღვრელი კომპეტენციის პარლამენტი და მხოლოდ მის მიერ მიღებული კანონებით ხდება სახელმწიფო მონყობასთან, შეიარაღებულ ძალებთან, გადასახადებსა და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება. მხოლოდ რიქსდაგია უფლებამოსილი, მიიღოს ბიუჯეტი, დაანესოს გადასახდელები, მოსაკრებლები და ბიუჯეტის შევსების სხვა წყაროები.

ერთობ მდიდარია რიქსდაგის მიერ სამთავრობო კონტროლის საპარლამენტო საშუალებათა არსენალი. საპარლამენტო კონტროლის ყველაზე ქმედითი ფორმაა მთავრობის წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობა, რომელიც, მისი საფუძვლიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს იმპიჩმენტი ან ინტერპელაცია. აღმასრულებელი ხელისუფლების საპარლამენტო კონტროლის ფორმაა საბიუჯეტო კონტროლი, სწორედ ბიუჯეტის ზედმინევერითი დეტალიზაცია იძლევა საშუალებას, ეფექტური კონტროლი დაწესდეს არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მისი ქვემდებარე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე.

რიქსდაგის საკონტროლო ფუნქციებს ახორციელებს 16 მუდმივი კომიტეტი, რომელთა სტრუქტურირება, სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებისა და სფეროების გათვალისწინებით ხდება. მუდმივი კომიტეტების გარდა, რიქსდაგში, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება საგამოძიებო ფუნქციების მატარებელი დროებითი კომიტეტები. რიქსდაგთან ფუნქციონირებს ფინანსური კონტროლის სპეციალური ორგანო – ეროვნული სესხის სამმართველოს სახით, რომელიც აქტიურად არის ჩართული საბიუჯეტო კონტროლის სისტემაში და რომელსაც პარლამენტის მიერ დანიშნული კომისრები ხელმძღვანელობენ.

პარლამენტის საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს თავმჯდომარე - ტალმანი და მისი სამი მოადგილე. ტალმანი ხელმძღვანელობს სხდომებს და წარმოადგენს რიქსდაგს ქვეყნის შიგნით და გარ-

ეთ ურთიერთობებში. ტალმანი დგას პოლიტიკის მიღმა, ვინაიდან არ მონაწილეობს არც დებატებსა და არც კენჭისყრაში. ამ დროს, პარტი-
ამ, რომლის დეპუტატიც ტალმანია, ხმები რომ არ დაკარგოს, მისი
სადეპუტატო ფუნქციების განხორციელებას დეპუტატის მოადგილე-
ს აკისრებს. რიქსდაგის ხელმძღვანელ კოლეგიურ ორგანოს წარმ-
ოადგენს ტალმანის კონფერენცია, რომელშიც გაერთიანებული არი-
ან ვიცე-ტალმანები, ფრაქციების წარმომადგენლები, მუდმივი
კომიტეტების თავმჯდომარეები და ადმინისტრაციული კანტორის
ვიცე-თავმჯდომარე, ვინაიდან თავად კანტორას ტალმანი ხელმძღ-
ვანელობს.

პარლამენტის სხდომები იმართება საშემოდგომო და საგა-
ზაფხულო სესიების ფარგლებში, ხოლო საგანგებო სესია შეიძლება
მოიწვიოს ტალმანმა საკუთარი ინიციატივით, მთავრობის ან 150 რიქს-
დაგმენის მოთხოვნით, 20 დღის მანძილზე.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნის პარლამენტს და
მთავრობას. საპარლამენტო ინიციატივა მეტი აქტიურობით გამოირჩე-
ვა, იგი შეიძლება გამოიხატოს დეპუტატის, ფრაქციის ან მუდმივი
კომიტეტის წინადადებით და სამთავრობო ბილესიგან განსხვავებით,
აუცილებელი არ არის ჩამოყალიბდეს კანონპროექტის სახით, შეიძლ-
ება წარმოადგენდეს შენიშვნას რიქსდაგში წარმოდგენილ
კანონპროექტზე.

საკანონმდებლო პროცესი რეგულირდება რიქსდაგის რეგლამენ-
ტით. სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკასთან საერთო
პროცედურული მსგავსების პირობებში, შვედური ტექნოლოგია მრავ-
ალი თავისებურებით გამოირჩევა. რიქსდაგში არ არის დადგენილი
არც სხდომების უფლებამოსილების და არც გადანყვეტილების მის-
აღები საჭირო კვორუმი. თუ რომელიმე ფრაქციას დეპუტატთა მნიშ-
ვნელოვანი რაოდენობა აკლია იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი კანონ-
ების მიღებისას პარლამენტში არ დაირღვეს პოლიტიკურ ძალთა
ბალანსი, სხვა ფრაქციებიც ისეთივე პროპორციებით მონაწილეობენ
კენჭისყრაში. კონსტიტუციური კანონის მიღებას სჭირდება ე.წ.
ორმაგი ვოტუმის დასტური, ანუ დეპუტატთა კვალიფიციური უმრავ-
ლესობის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი ძალაში მას შემდეგ
შევა, თუ იგი ასეთივე მხარდაჭერას მოიპოვებს მომდევნო რიქსდაგის
შემადგენლობისგან.

ორიგინალური ინსტიტუტი გამოიყენება რიქსდაგში ხმების გაყოფ-
ფასთან დაკავშირებით. თავდაპირველად, კანონპროექტი უბრუნდება
შესაბამის მუდმივ კომიტეტს, მაგრამ მეორე კენჭისყრის დროსაც,

ხმების თანაბრად გაყოფისას, კანონის საბოლოო მიღების საკითხი წყდება წილისყრით, რომელიც იმართება დაუყოვნებლივ. რიქსდაგის მიერ მიღებულ კანონს ხელს აწერს ტალმანი და ამის თაობაზე წერილობით აცნობებს მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია მის განხორციელებაზე და კანონსაც შვედეთის ოფიციალური სტატუსების სერიით გამოსცემს.

ასე რომ, ტალმანი, ფაქტობრივად, საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ან პარლამენტური მონარქიის მონარქის ტოლფასოვანი კომპეტენციით არის აღჭურვილი. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ შვედეთის მეფემ რიგი თავისი უფლებამოსილებები სწორედ ტალმანის სასარგებლოდ დათმო.

მთავრობა შვედეთის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი რგოლია, შესაბამისი პოლიტიკური კომპეტენციით. „მმართველობის ფორმა“ აღიარებს, რომ „მთავრობა მართავს სახელმწიფოს“ და ეს სრული ჭეშმარიტებაა, ვინაიდან მთავრობა ხელმძღვანელობს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და რეალიზაციას.

ერთობ ორიგინალურია მთავრობის ფორმირების წესი. ტალმანის მიერ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენიდან ოთხი დღის მანძილზე იმართება ღია კენჭისყრა. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა ხმას მისცემს წარმოდგენილი კანდიდატის წინააღმდეგ, იგი უარყოფითად ითვლება, ყველა დანარჩენ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი არჩეულად ჩაითვლება, თუნდაც იგი კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობამ უარყოს. მთავრობის დანარჩენ წევრებს ერთპიროვნულად ნიშნავს თავად პრემიერი და შემდეგ აცნობებს რიქსდაგს. ამიტომ შვედეთში, არცთუ იშვიათად, ხელისუფლებაში მოდის ე.წ. უმცირესობის მთავრობა. ეს მაშინ ხდება, როცა საპარლამენტო უმრავლესობაზე დაყრდნობით არ ხერხდება კოალიციური მთავრობის ფორმირება და უმცირესობის პარტია, სხვა პარტიების მხარდაჭერით, რომლებიც არ შედიან მთავრობის შემადგენლობაში, ახდენს მთავრობის ფორმირებას.

პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის უარყოფის შემთხვევაში, ტალმანი ახალ კანდიდატურას წარადგენს, მაგრამ თუ რიქსდაგი ზედიზედ ოთხ კანდიდატურას ჩააგდებს, იგი უფლებამოსილია დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები და პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა ახლარჩეულ რიქსდაგს წარუდგინოს. პრემიერის გადადგომა იწვევს მთლიანად მთავრობის გადადგომას.

ახალი მთავრობის პირველ ღია სხდომაზე, რომელსაც მონარქიც ესწრება, სახელმწიფოს მეთაური ცნობად ლებულობს ტალმანის გა-

ნცხადებას პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე. პრემიერი, პირველ რიგში, რიქსდაგში წარადგენს მოხსენებას მთავრობის პოლიტიკური კურსის შესახებ და აქვე აღინიშნება კაბინეტის შემადგენლობის თაობაზე, მოხსენების ირგვლივ გაიმართება დებატები.

მთავრობა საერთო ხელმძღვანელობას უწევს შეიარაღებულ ძალებს, ზედამხედველობს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და მათი საქმიანობის კოორდინაციას ახდენს, უფლებამოსილია განახორციელოს მსჯავრდადებულთა შეწყალება, ხოლო განსაკუთრებული მიზეზების პირობებში შეწყვიტოს საქმის გამოძიება ან სასამართლო განხილვა. საომარ პირობებში მთავრობას შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის გადაწყვეტილებები, მაგრამ ისინი არ უნდა იწვევდნენ ცვლილებებს კონსტიტუციაში, აქტში რიქსდაგის შესახებ და საარჩევნო კანონში.

მთავრობა პასუხისმგებელია რიქსდაგის წინაშე. ამ უკანასკნელის მიერ მნიშვნელოვნად იზღუდება მთავრობის კომპეტენცია, რომელიც მკაცრი კონტროლის ქვეშაა მოქცეული და მისი ნებართვის გარეშე მთავრობას სესხის აღებაც არ შეუძლია. ამ დროს მაშინაც კი, თუ რიქსდაგი უნდობლობას უცხადებს მთავრობას, ამ უკანასკნელს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. ახალი პარლამენტი, დათხოვნილის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით აირჩევა. მაგრამ ამ მექანიზმთან დაკავშირებით, ისევე როგორც პრემიერის დაუმტკიცებლობის და ბევრ სხვა შემთხვევაში, პარლამენტის მიერ ისეთი კონსტიტუციური შეთანხმება დამკვიდრდა, რომ აღნიშნული ნორმები უმოქმედოა.

მთავრობის ფუნქციებს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ორგანო — მინისტრთა კაბინეტი და სახელმწიფო საბჭო ასრულებს. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო საბჭო, ე.წ. კონსტიტუციური გამომონაშთია. ადრე იგი ასრულებდა მთავრობის ფუნქციებს, მაგრამ 1974 წლის „მმართველობის ფორმით“ მოხდა მათი უფლებრივი გამიჯვნა და მეფე, ტალმანი და მინისტრთა კაბინეტის წევრები, იკრიბებიან კვარტალში ერთხელ და ცნობად ლებულობენ ინფორმაციას კაბინეტის საქმიანობაზე.

პრემიერ-მინისტრი, მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ თავად არ დანიშნავს შემცვლელს, მისი უფლებამოსილება გადაეცემა მთავრობის ყველაზე სტაჟიან წევრთაგან უხუცესს. პრემიერს შეუძლია უშუალოდ უხელმძღვანელოს რომელიმე სამინისტროს. საერთოდ, მინისტრი არა მთლიანად დარგს, არამედ სამინისტროს სტრუქტურას განაგებს, ხოლო იმავე დარგის

სააგენტოები თუ ბიუროები დამოუკიდებელი არიან და უშუალოდ, მთავრობას ექვემდებარებიან. შვედეთში, ე.წ. უპორტფელო მინისტრი, დარგის მინისტრს ეხმარება და სამინისტროში კონკრეტულ უბანზე აგებს პასუხს.

შვედეთი ცენტრალიზებული, უნიტარული სახელმწიფოა, რომლის მმართველობის სისტემა, სამი დონის: სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ინტიტუტებს შორის ერთობ მოწესრიგებულია. ქვეყანა შედგება 24 ლენისგან, რომლებიც, არაოფიციალურად, გეოგრაფიული ნიშნით სამ მხარეში, კერძოდ, ჩრდილოეთის, სამხრეთის და ცენტრალური შვედეთის ტერიტორიებში ერთიანდებიან და, შესაბამისად, ინოვაციებიან ნორლანდი, გეტალანდი და სვეალანდი. ლენების დონეზე ხელისუფლებას ახორციელებენ მოსახლეობის მიერ არჩეული ლანდსტინგი, ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული გუბერნატორი და ადმინისტრაციული ბიურო. მაგრამ, არსებითად, ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის პრეროგატივა ლანდსტინგის წინაშე პასუხისმგებელი ორგანოს - გამგეობის ხელთ არის მოქცეული.

ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შორის ფუნქციების განაწილება დარეგულირებულია 1992 წლის კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომლის მიხედვით შვედეთში ფართო გავრცელება პოვა მუნიციპალური მმართველების, ანუ მენეჯერების სკოლამ. ლენები იყოფა კომუნებად, რომელთა რიცხვი 288-ს შეადგენს. ამასთან, ქალაქები გეტებორგი და მალმე არც ერთი რეგიონის დაქვემდებარებაში არ შედიან. კომუნის წარმომადგენლობითი ორგანო – რწმუნებულთა კრება, ისევე როგორც ლანდსტინგები, აირჩევა 4 წლის ვადით, რიქსდაგთან ერთდროულად.

ლენებისა და კომუნების სახელმწიფო ორგანოების კონსტრუქცია და კომპეტენცია მეტწილად ერთგვაროვანია. ორივე შემთხვევაში, აღმასრულებელ ორგანოს წარმომადგენენ გამგეობები, რომლებსაც არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით, საკუთარი უფლებამოსილების ვადით ირჩევენ შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოები. სტოკჰოლმის კომუნაში გამგეობას ყოველწლიურად ირჩევენ. ამავე ორგანოების დელეგატებს შეუძლიათ ინტერპელაციის წესით მიმართონ გამგეობის და მისი კომიტეტების თავმჯდომარეებსა და წევრებს, ხოლო სტოკჰოლმში, აგრეთვე, საქალაქო მრჩევლებს.

შვედეთში ეროვნულ უმცირესობათათვის იქმნება ე.წ. პერსონალური ავტონომია, როცა ისინი კომპაქტურად არ არიან დასახლებულნი და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური

მონაწილეობის მიზნით ქმნიან თავის ორგანიზაციებს კლუბებისა თუ სხვა გაერთიანებათა სახით. ასეთია საამთა 25 კაციანი, არასახელმწიფო პარლამენტი, ე.წ. საამიტინგი. სხვათა შორის, თავად შვედებსაც აქვთ პერსონალური ავტონომია შვედური ასამბლეის სახით ფინეთში.

საარჩევნო სამართალი

შვედეთში მრავალი განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა. ერთი უმთავრესი ის გახლავთ, რომ არჩევნებში მოქალაქეების მონაწილეობის ერთადერთი შემზღუდავი ასაკობრივი ცენზია, მაგრამ ისიც ერთობ შელავათიანი, ვინაიდან აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება შვედეთის მოქალაქეებს თვრამეტი წლის ასაკიდან ეძლევათ. ამასთან, საქვეყნოდ დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავებით, როცა საარჩევნო სიების შედგენა მუნიციპალიტეტებს ევალებათ, შვედეთში ეს საქმე საგადასახადო სამმართველოებს აკისრიათ და ქვეყანაში მოქმედებს ამომრჩეველთა რეგისტრაციის პერიოდული სისტემა, სიების განახლებით. რიქსდაგის მორიგი არჩევნები ტარდება ყოველი მეოთხე წლის სექტემბრის მესამე კვირა დღეს, უფლებამოსილების ვადების დამთხვევის პირობებში, ერთდროულად ტარდება ადგილობრივი ორგანოების არჩევნებიც. ქვეყანა, ძირითადად, ლენების საზღვრების ფარგლებში, 29 საარჩევნო ოლქად იყოფა, მათ შორის — ქალაქები სტოკჰოლმი, გეტებორგი და მალმე ცალკე ოლქებს შეადგენენ. რიქსდაგში 310 დეპუტატი აირჩევა და ყოველი საარჩევნო წლის აპრილის თვეში, ცენტრალური საარჩევნო ორგანო ამომრჩეველთა რიცხოვნობის მიხედვით ახდენს საარჩევნო ოლქებზე კუთვნილი მანდატების რაოდენობის განსაზღვრას.

საარჩევნო კამპანიის წარმმართველი ორგანოს ფორმირებას ახდენს მთავრობა, რომელსაც ექვემდებარებიან ადგილობრივი საარჩევნო კომისიები და რომელთა რწმუნებულები ხელმძღვანელობენ საარჩევნო უბნებში არჩევნების ჩატარებას. რიქსდაგში არჩევნები 4%-იანი ბარიერის დონეზე, პროპორციული სისტემით ტარდება. ცენტრალური საარჩევნო ორგანო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, რეგისტრაციაში ატარებს იმ პარტიებს, რომლებიც 1500 ამომრჩეველის ხელმოწერას წარმოადგენენ ან ჰყავთ წარმომადგენელი რიქსდაგში. პოლიტიკური პარტია, რომელიც რიქსდაგის ორ მომდევნო არჩევნებში არ წარადგენს კანდიდატებს, ამოირიცხება რეგისტრაციის რეესტრიდან. სხვათა შორის, ბიულეტენებს ცენტრალური საარჩევნო ორგან-

ოს სპეციალურ ბლანკებზე თავად პარტიები ბეჭდავენ და ერთ საარჩევნო ოლქში უნდა წარადგინონ არანაკლებ ოთხი და არა უმეტეს ოთხ-უთმეტი დეპუტატობის კანდიდატი.

შვედეთის საარჩევნო სამართლის მრავალი თავისებურება დაკავშირებულია კენჭისყრის პროცესთან. არჩევნების დღეს საარჩევნო უბანში მისული ამომრჩეველი კონვერტში დებს იმ პარტიის საარჩევნო ბიულეტენს, რომელსაც მხარს უჭერს. მაგრამ არჩევნები დროში განელილი პროცესია, იმათ გამო, ვინაც უშუალოდ საარჩევნო უბანში არ აძლევს ხმას. ჯერ ერთი, კენჭისყრაში მონაწილეობა დასაშვებია საფოსტო გზავნილების მეშვეობით, არჩევნების დღემდე 24 დღით ადრე, რისთვისაც დროებითი საფოსტო გადანყვებილები იხსნება საავადმყოფოებში, მოხუცებულთა სახლებსა და შრომა-გასწორების დაწესებულებებში. ამომრჩეველი, საფოსტო უწყების მიერ სპეციალურად დანიშნულ პირს გადასცემს კონვერტში მოთავსებულ საარჩევნო ბიულეტენს და საარჩევნო უფლების დამადასტურებელ მონაწილას, რომელიც შემდგომ შესაბამის საარჩევნო კომისიაში იგზავნება. ანალოგიურად ტარდება არჩევნები საელჩოებში, საკონსულოებსა და ზღვაში გასულ გემებზე. ბიულეტენების მიმღებებს ნიშნავენ ელჩი, კონსული და გემის კაპიტანი. გემებზე კენჭისყრა ტარდება არჩევნების დღემდე 50 დღით ადრე. შვედეთში დაიშვება ხმის მიცემა მინდობილობით, როდესაც რწმუნებულად საარჩევნო ხმისუფლებიანი ოჯახის წევრები გამოდიან. რწმუნებული, კონვერტში ჩადებულ ბიულეტენს კიდევ ერთ კონვერტში დალუქავს, მასზე, სრულწლოვანი მონაწილის თანდასწრებით, აღნიშნავს თავის ვინაობას და ასეთნაირად გადასცემს საარჩევნო კომისიის რწმუნებულს ან ბიულეტენების მიმღებებს ფოსტაში თუ სხვა აღნიშნულ ადგილებში.

შვედეთში დეპუტატის შეუთავსებლობის საკითხი საერთოდ არ დგება, მაგრამ იმ შემთხვევისთვის, თუ დეპუტატი თავად გადადგება, ცენტრალური საარჩევნო ორგანო, ყოველი დეპუტატისთვის, იმავე პარტიული სიიდან განსაზღვრავს მისი შემცვლელის, არანაკლებ სამი მოადგილის ვინაობას.

შვედეთის საარჩევნო სამართალი ცნობს რეფერენდუმის ორ ძირითად სახეს, კერძოდ, კონსტიტუციურს და საკონსტიტუციოს. პირველ შემთხვევაში, რეფერენდუმის შედეგს იმპერატიული დატვირთვა აქვს და ხმების უმრავლესობა წყვეტს რეფერენდუმზე დაყენებული საკითხის ბედს. იქნება ეს კონსტიტუციური ცვლილება თუ კანონის მიღება ან უარყოფა. საკონსტიტუციო რეფერენდუმს საზოგადოებრივი აზრის გამოვლინების ფუნქცია აკისრია და პრაქტიკაში იგი აქტიურად გამოიყენება.

სამოქალაქო სამართალი

შვედურ კანონმდებლობაში არასდროს ყოფილა ერთიანი სამოქალაქო კოდექსი, ამ დატვირთვას ყოველთვის კანონთა პაკეტი ასრულებდა. სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის სფეროში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საუკუნის დასაწყისში მიღებულ კანონებს, კერძოდ, 1905 წლის კანონს საქონლის გაყიდვის შესახებ და 1915 წლის კანონს ხელშეკრულებებისა და სხვა იურიდიული გარიგებების შესახებ. აღნიშნულ სფეროში, 1971 წელს სერიოზული შევსების სახით იქნა მიღებული კანონები შესაბამისი პირობების გარეშე ხელშეკრულებების აკრძალვის შესახებ.

საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების მარეგულირებელ კანონთა პაკეტში, მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილება-დამატებებისა, დღესაც ძალაშია 1920 წლის კანონი ქორწინების შესახებ და 1949 წლის კანონი მშობლებისა და ბავშვების შესახებ. შვედური სამართალი თანაბრად აღიარებს ქორწინების იურიდიულ შედეგებს, იქნება იგი გაფორმებული სამოქალაქო თუ რელიგიური ფორმით. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები 1978 წლიდან იმდაგვარად რეგულირდება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი გარკვეული დამოუკიდებლობა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, განქორწინების შემდეგ, ითვალისწინებს მეტად უზრუნველყოფილი მეუღლის მიერ მეორის მიმართ მატერიალურ დახმარებას. კანონში მშობლებისა და ბავშვების შესახებ, 1976 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად, ერთმანეთს გაუთანაბრდა კანონიერი ქორწინების შედეგად თუ მის გარეშე დაბადებულ ბავშვთა სტატუსი და, პრაქტიკულად, მოიხსნა სხვაობა მათ მემკვიდრეობით უფლებებში.

მინის საკუთრების საკითხები რეგულირდება 1970 წლის კანონით უძრავი ქონების შესახებ, რომელიც უშვებს მესაკუთრეთა უფლებების ცნობილ შეზღუდვებს გარემოს დაცვისა და ტერიტორიული დაგეგმარების ინტერესების გათვალისწინებით. სხვათა შორის, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე კანონმდებელი დიდ ყურადღებას აქცევს გარემოს დაცვის კანონმდებლობის სრულყოფას. კანონთა ამ პაკეტში აღსანიშნავია 1979 წლის კანონი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალური გამოყენების შესახებ, რომლის 1984 წლის დამატებები მიზნად ისახავს გარემოს დაცვისა და სასოფლო სავარგულების გამოყენების რაციონალიზაციას. აღნიშნულ კანონთან ერთად სამართლებრივ სივრცეს ავსებს 1979 წლის კანონი ტყეების შესახებ, სამონადირეო კოდექსი და 1938 წლის კანონი მონადირეობის შესახებ, 1982 წლის დეკრეტი მეთევზეობის შესახებ. ბუნებრივი რესურსე-

ბის დაცვის გარანტიის ფუნქცია აკისრია 1986 წლის კანონს გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ზიანის სხვადასხვა კატეგორიას და ადგენს მათ მიმართ სანქციებს.

ქვეყანაში ეკონომიკური პროცესებისა და სამეწარმეო საქმიანობის დარეგულირების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1975 წლის კანონს სააქციო საზოგადოების შესახებ და 1980 წლის კანონს სავაჭრო კომპანიებისა და პარტნიორობის შესახებ. შვედურ სამართალში, გაკოტრებისა და მატერიალური არაუზრუნველყოფილობის სამართლებრივი რეგულირების ძირითად ნყაროს 1987 წლის 11 ივნისის საკონკურსო კანონი წარმოადგენს.

კიდევ ერთი სფერო შვედი კანონმდებლების განსაკუთრებული მზრუნველობისა არის შრომითი ურთიერთობები და, საერთოდ, სოციალური სფერო. 1976 წლის კანონი შრომითი ურთიერთობების ერთობლივი რეგულირების შესახებ, ისევე როგორც ბევრი სხვა საკანონმდებლო აქტი, ამკვიდრებს დამქირავებლებსა და მუშებს შორის შრომითი კონფლიქტების იძულებითი მშვიდობიანი გზით მოგვარების პრაქტიკას. შვედური კანონმდებლობა აღიარებს მშრომელთა უფლებას გაფიცვაზე, თუმცა ითვალისწინებს რიქსდაგის მიერ ამა თუ იმ გაფიცვის აკრძალვას. 1962 წლის კანონი საყოველთაო დაზღვევის შესახებ და სხვა აქტები ითვალისწინებს მოხუცებულობის, ე.წ. „სახალხო პენსიებს“ და წინათ მიღებული ხელფასების გადაანგარიშებიდან გამომდინარე დამატებით პენსიებს, დახმარებებს სანარმოო ტრავმის შემთხვევაში, ავადმყოფობისა და ორსულობის დროს დახმარებები ბავშვებზე, „ქერივობის პენსიები“ და სხვა.

სისხლის სამართალი

1734 წელს მიღებული კანონის შემდეგ, რომელიც სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავდა, დღეს მოქმედი 1962 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, ფაქტობრივად, რიგით მესამე აქტია. იგი ძალაში 1965 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ასახვა პოვა „ახალი სოციალური დაცვის“ იდეებმა, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკაში ბურჟუაზიულ-ლიბერალური მოძრაობის შეჭრის შედეგია და რაც იმან განაპირობა, რომ კოდექსის მომზადების სამი ათეული წლის მანძილზე სახელისუფლო სადავეებს შვედი სოციალ-დემოკრატები ფლობდნენ და კოდექსიც მათი რეფორმატორული კონცეფციების ნაყოფია.

სწორედ ამიტომ კოდექსი ორიგინალურ სამართლებრივ აქტად არის მიჩნეული და მისი სტრუქტურაც არასტანდარტულია. მოკლე

საერთო დებულებებს მოსდევს განყოფილება „დანაშაულებების შესახებ“, სადაც აღწერილია მათი შემადგენლობა და იქვე განხილულია პასუხისმგებლობის საკითხები და შემდეგ, დასკვნით განყოფილებაში დანაშაულის სახეების მიხედვით მოცემულია სანქციები და მათი განსაზღვრის პრინციპები. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი უმრავლეს დანაშაულზე ითვალისწინებს შედარებით მცირე სანქციებს, ხოლო ახალგაზრდებისა და არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. კოდექსის თანახმად, სასჯელის ზომა გამოყენებულ უნდა იქნეს, პირველ რიგში, დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით. საშიში რეციდივისტების მიმართ კოდექსი ითვალისწინებს მათ ინტერნირებას სპეციალურ დაწესებულებებში, საიდანაც ისინი შეიძლება გამოშვებულ იქნენ მხოლოდ სპეციალური სამეთვალყურეო კომისიის გადაწყვეტილებით. სისხლის სამართლის კოდექსმა შემდგომ წლებში მრავალი ცვლილება და დამატება განიცადა, გარკვეული ნაწილი სასჯელთა ლიბერალიზაციას, უმეტესობა კი პირობით სასჯელთა ინსტიტუტს ითვალისწინებდა.

სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ დანაშაულთა ძირითად კატეგორიებს მოიცავს, ხოლო პასუხისმგებლობა ისეთი სახის დანაშაულებზე, როგორცაა ავტოსატრანსპორტო დანაშაული, კონტრაბანდა, ნარკოტიკების გავრცელება, საბეგარო კანონმდებლობის დარღვევა და უცხოეთის ქვეყნების ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, რეგულირდება საერთო ხასიათის ან დამატებითი სისხლის სამართლის კანონებით. რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, იგი კარგა ხანია ისტორიული თარიღების დონეზე მოიხსენიება. მშვიდობიან დროს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯა 1921 წელს იქნა გაუქმებული, ხოლო საბოლოოდ, როგორც სასჯელის სახე - 1972 წელს, მაშინ, როცა სიკვდილით დასჯა უკანასკნელად 1910 წელს იქნა სისრულეში მოყვანილი.

შვედურ სამართალში, ტრადიციულად, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის საკითხები გაერთიანებულია ერთ ნყაროში და არცთუ იშვიათად ერთი და იმავე ნორმებით რეგულირდება. 1942 წელს მიღებული კანონი სასამართლო პროცედურის შესახებ, თავისი შინაარსით არის, ერთი მხრივ, კანონი სასამართლო მონყობის შესახებ და, მეორე მხრივ, საპროცესო კოდექსი, რომელშიც სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესი აღნიშნულია ყოველ სასამართლო ინსტანციაში მოქმედი საერთო ნორმების აღწერის შემდეგ. აღნიშნულ კანონში აღიარებულია შეჯი-

ბრებითობის, საჯაროობის, სასამართლო განხილვის უშუალოების და ყველა სახის მტკიცებულებათა სასამართლოს მიერ თავისუფალი შეფასების დაშვების პრინციპი. მას შემდეგ, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოს გადანყვეტილებების აღსრულების ნაწილში მრავალი ცვლილება-დამატება იქნა შეტანილი 1981 წელს მიღებული შესაბამისი კანონით.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

თანამედროვე ევროპაში შვედეთი ადამიანის უფლებათა დაცვის კლასიკურ ქვეყნად არის მიჩნეული. აქ, კანონით გამოცხადებული უფლებები და თავისუფლებები თანაბრად ეხება ყველას, ეთნიკური, რასობრივი თუ სქესობრივი კუთვნილების მიუხედავად. შვედეთის კანონმდებლობა საკმაოდ მრავალფეროვანია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. აქ სასამართლო ორგანოებთან ერთად, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებში უზრუნველყოფენ ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენას, ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიის ფუნქცია აკისრია რიქსდაგის საკონსტიტუციო კომიტეტს.

საგანგებოდ უნდა ითქვას შვედეთის კონსტიტუციური სამართლის „საავტორო უფლებით“ შექმნილი სპეციალური ორგანოს – ომბუდსმენის შესახებ, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოს მოედო პირდაპირი ასლისა თუ მოდიფიცირებული ინსტიტუტის სახით. ასეთი დამოკიდებულება შვედური ომბუდსმენის მიმართ შემთხვევითი არ არის, ვინაიდან მის სამშობლოში ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციამ მრავალსაუკუნოვანი გამოცდა გაიარა და სწორედ ამიტომ არის შვედეთი ადამიანის უფლებათა დაცვის კლასიკურ ქვეყნად აღიარებული. ჯერ კიდევ 1713 წელს შეიქმნა დღევანდელი ომბუდსმენის წინამორბედი თანამდებობა, მეფის მიერ დანიშნული იუსტიციის კანცლერი, რომელიც მოსამართლეთა და სამოქალაქო მოხელეთა საქმიანობაზე ზედამხედველობის ფორმით იცავდა მოქალაქეთა უფლებებს მათი არამართალზომიერი ქმედებებისგან. როგორც ჩანს, ექსპერიმენტმა გაამართლა და 1809 წლის შვედურმა კონსტიტუციამ იუსტიციის ომბუდსმენის ინსტიტუტი დაამკვიდრა. კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის მიერ დანიშნულ ომბუდსმენს დაეკისრა ზედამხედველობა სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებზე.

მას შემდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ბევრი რამ შეიცვალა, სწორედ დაცვის პრობლემატიკის თვალსაზრისით და ამან, პირველ რიგში, ასახვა შვედურ სამართალში პოვა. 1915 წელს დაფუძნდა სამხედრო ომბუდსმენი. 1971 წელს – მომხმარებელთა ომბუდსმენი,

ხოლო 1986 წელს – ეთნიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა ომბუდსმენი. მათივე დასახელება თავად მიანიშნებს აღნიშნული ომბუდსმენების თემატურ კომპეტენციას, როგორც ჩანს, სფეროები მკაცრად გამიჯნულია. ამ დროს, საერთოც ბევრი აქვთ: ომბუდსმენებს ოთხი წლის ვადით ირჩევს პარლამენტი, ძირითადად, მაღალი კვალიფიკაციის იურისტთაგან. ომბუდსმენებს ფუნქციების განხორციელებაში ექვს ათეულამდე თანამშემე ეხმარება.

იუსტიციის ომბუდსმენსა და სხვა ომბუდსმენებს შორის ურთიერთობა აქტიური თანამშრომლობით ხასიათდება, ვინაიდან თითოეული მათგანის ზედამხედველობის თვალსაწიერი, მკაცრი გამიჯვნის მიუხედავად, არცთუ იშვიათად შეხებაშია ან გადაიფარება კიდევ.

შვედეთის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიმართოს ომბუდსმენს და საჩივარში დააფიქსიროს კანონის დარღვევის არსი და დამრღვევი სუბიექტი. ომბუდსმენთან შესული ნებისმიერი საჩივარი საჯარო დოკუმენტად ითვლება და ყოველ მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს მას. საჩივარში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ომბუდსმენი ინყებს გამოძიებას და შედეგებს აცნობებს მომჩივანს და საქმესთან დაკავშირებულ თანამდებობის პირს. ომბუდსმენი დამოუკიდებელია და მისი გადაწყვეტილება საქმეზე არ შეიძლება გასაჩივრდეს რომელიმე ინსტანციაში. ომბუდსმენი, როგორც წესი, არ ერევა სასამართლო განხილვაში, მაგრამ მას შეუძლია აღძრას დისციპლინური წარმოება.

ყოველი წლის შემოდგომაზე ომბუდსმენი აქვეყნებს მოხსენებას შვედურ და ინგლისურ ენებზე, რომელშიც წარმოდგენილია მისი საქმიანობის შედეგები. მოხსენება ეგზავნება ყველა სახელისუფლო ორგანოს და ზოგიერთ საზოგადოებრივ ბიბლიოთეკას.

სასამართლო სისტემა

შვედეთის სასამართლო სისტემის სათავეში დგას უზენაესი სასამართლო და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო. უზენაესი სასამართლო 1789 წლიდან თაოსნობს საერთო სასამართლოების სისტემას და შედგება 22 მოსამართლისგან, რომელთაგან ერთ-ერთს მთავრობა თავმჯდომარედ ნიშნავს.

უზენაესი სასამართლო შედგება სამი განყოფილებისგან, რომლებიც ხუთიდან-შვიდამდე მოსამართლის შემადგენლობით განიხილვენ სააპელაციო სასამართლოების განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე საჩივრებს, ხოლო პირველი ინსტანციით მინისტრებისა

და სხვა მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხს თანამდებობრივ დარღვევებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სამართლის პრინციპებს ან კანონის განმარტებას, ცალკეული განყოფილების წარდგინებით, საკითხი განიხილება პლენარულ სხდომაზე. მიღებული გადაწყვეტილებები გარკვეულ გავლენას ახდენს სასამართლოებისა და სახელმწიფო ორგანოების ნორმა-შეფარდებით საქმიანობაზე.

სასამართლო სისტემის შემდეგი რგოლი შეედეთის ტერიტორიაზე განლაგებული 6 სააპელაციო სასამართლოა, რომლებიც 4 ან 5 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავენ საჩივრებს ქვემდგომი სასამართლოების განაჩენებსა და გადაწყვეტილებებზე და არსებითად, ახალი მტკიცებულებებით ხდება საქმის ხელახალი განხილვა. სააპელაციო სასამართლოები პირველი ინსტანციით განიხილავენ ზოგიერთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეს. მოსალოდნელი მკაცრი სანქციის შემთხვევაში, საქმის განხილვაში მონაწილეობს 3 ან 4 მოსამართლე და 2 ან 3 მსაჯული.

საერთო სასამართლო სისტემის ძირითად რგოლს წარმოადგენს ასამდე საოლქო სასამართლო, რომლებიც პირველი ინსტანციით განიხილავენ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობას. სისხლის და საქორწინო-საოჯახო სამართლის საქმეებს განიხილავენ ერთი მოსამართლე და 5 მსაჯული, სამოქალაქო საქმებს - 3 მოსამართლე. თითოეული მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საქმეებს მცირე მნიშვნელობის დანაშაულობებზე, რომლებიც ისჯება ჯარიმით და წარმართავს სამოქალაქო საქმეების მოსამზადებელ განხილვას. საოლქო სასამართლოების კომპეტენციაში და სხვა ფუნქციებთან ერთად შედის მიწის ნაკვეთების ნასყიდობის და დაგირავების შესახებ გარიგებათა და ანდერძების რეგისტრაცია, ზედამხედველობა არასრულწლოვანთა მეურვეობასა და მათი ქონების მართვაზე.

ადმინისტრაციული იუსტიციის საქმიანობას არეგულირებს 1971 წლის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, თავად სისტემას სათავეში უდგას უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო. იგი შედგება 21 მოსამართლისგან და თავისი სტრუქტურით, ფორმირების წესით და პროცედურებით ახლოს დგას უზენაეს სასამართლოსთან. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო, ძირითადად, განიხილავს საჩივრებს სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. საჩივრების ზოგიერთ კატეგორიას უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს.

შვედეთში 4 სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოა. რომლებიც განიხილავენ საჩივრებს ადმინისტრაციული იუსტიციის ძირეული რგოლის გადაწყვეტილებებზე და პირველი ინსტანციით - საჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოების აქტებზე ხელფასისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე. პროცესში მონაწილეობს 3-4 მოსამართლე, ზოგიერთ შემთხვევაში, 3 მოსამართლე და 2 მსაჯული. ამ სისტემის ძირეულ რგოლს წარმოადგენს ლენის ადმინისტრაციული სასამართლო, სადაც საქმეებს განიხილავს ერთი მოსამართლე და 3 მსაჯული. მათ კომპეტენციაში შედის მართვის უფლების ჩამორთმევასთან, ყადაღის დადებასთან, ბავშვის ერთი მშობლისგან მეორე მშობლისთვის იძულებით გადაცემასთან დაკავშირებული საქმეები, ასევე, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები და იძულებითი ღონისძიებების მიღება ნარკომანებისა და ალკოჰოლიკების მიმართ.

აღნიშნული ორი სასამართლო სისტემის გარდა, შვედეთში არსებობს სპეციალური სასამართლოები: სამხედრო, საგადასახადო, მინის, კომერციული, სოციალური დაზღვევის, შრომითი დავების. ეს უკანასკნელი პირველი და საბოლოო ინსტანციით განიხილავს შრომით დავებს, რომლებიც დაკავშირებულია კოლექტიური ხელშეკრულების განმარტებასა და მენარმესა და მშრომელს შორის წარმოდგენილ სხვა ურთიერთობებთან.

მოსამართლედ, ქვეყნის მთავრობის მიერ, ინიშნება შვედეთის მოქალაქე, იურიდიული განათლებით, რომელსაც ჩაბარებული აქვს კანონით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო გამოცდა, მაგრამ მოსამართლის კარიერა, როგორც წესი, სასამართლოს კლერკის პოსტიდან იწყება.

შვედეთის სასამართლო ორგანოთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იუსტიციის კანცლერს, რომელიც იუსტიციის მინისტრისგან განსხვავებით, არ შედის მთავრობაში, მაგრამ ექვემდებარება მას, აღძრავს საქმეებს მოსამართლეებზე, თანამდებობრივი დანაშაულის ბრალდებით, მეთვალყურეობს პრესის თავისუფლების დაცვას, ზედამხედველობს ადვოკატებს და ასე შემდეგ.

ცალკე უნდა ითქვას სასამართლო სისტემის არასამართლებრივ ურთიერთობაზე სამართლის წყაროებთან. სამართლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სასამართლო პრეცედენტები, რომლებიც, ძირითადად, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სახით შემოდის, თუმცა შვედურ კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც პრეცედენტს იურიდიულ ძალას ანიჭებს, მაგრამ ეს საერთო სამა-

რთლის შვედურ სამართალზე გავლენის ერთადერთი გამოვლინება არ არის.

მიმდინარე კანონმდებლობის განმარტების საქმეში განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია უზენაესი სასამართლოს და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს წევრებისგან შემდგარ საკანონმდებლო საბჭოს, რომელსაც, ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი ფუნქცია აკისრია, კერძოდ, ის, რომ აღნიშნული საბჭო ახორციელებს კანონპროექტების წინასწარ კონსტიტუციურ კონტროლს.

მართალია, შვედეთში, სასამართლოს უფლებაზე, განახორციელოს საკონსტიტუციო კონტროლი, კონსტიტუციური აქტები არაფერს ამბობენ, მაგრამ აქ საკონსტიტუციო იუსტიციის ამერიკული მოდელია დანერგილი, როცა ნებისმიერი სასამართლო ადგენს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, მაგრამ პრიორიტეტი უმაღლეს სასამართლო ინსტანციას აქვს. სწორედ მისი გადაწყვეტილებაა სავალდებულო ყველა სასამართლოსთვის და მხოლოდ უმაღლესი სასამართლოს მიერ ცნობილი არაკონსტიტუციური აქტი, ფაქტობრივად, ნყვეტს მოქმედებას.

ლიტერატურა:

1. Конституция Швеции // Конституции государств Европейского Союза, Москва, „Инфра. М-Норма“, 1997, стр. 689-802;
2. გ. მიქანაძე, შვედეთის საპარლამენტო (იუსტიციის) ომბუდსმენი // ევროპის ომბუდსმენები, თბილისი, 1999, გვ 16-57;
3. Швеция: Конституция и законодательные акты, ред. М.А.Могунова, Москва, „Прогресс“, 1983;
4. Малонин С.А., Государственный строй Швеции, Москва, 1958;
5. Якушев А.В., Основы Конституционного права Швеции // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 1999, стр. 164-169;
6. Могунова М.А., Парламент Швеции // Парламенты мира, Москва, „Интерпракс“ 1991, стр. 483-530.

შვეიცარია

შვეიცარია, დასავლეთ ევროპის ცენტრში მდებარე, მაღალგანვითარებული სახელმწიფოა. ქვეყნის ტერიტორია 41,29 ათას კმ²-ს მოიცავს, ხოლო მოსახლეობა 6,7 მილიონს აღემატება. შვეიცარიას აღმოსავლეთით ესაზღვრება ავსტრია, ჩრდილოეთით – გერმანია, სამხრეთით – იტალია, ხოლო დასავლეთით – საფრანგეთი. ქვეყნის დედაქალაქია ბერნი, ფულის ერთეულია შვეიცარიული ფრანკი. კონსტიტუცია ერთმანეთისგან განასხვავებს ოფიციალურ ენებს, როგორადაც აღიარებულია გერმანული, იტალიური, ფრანგული, სახელმწიფო ენებისგან, როდესაც მათ რეტორომანული ენაც ემატება.

შვეიცარიული სამართალი კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება, მაგრამ საერთო სამართლის მნიშვნელოვანი გავლენაც იგრძნობა. მოქმედი, რიგით მეოთხე, 1874 წლის კონსტიტუციის ძალით, შვეიცარია ფედერალური მონეობის, ერთობ ორიგინალური საპარლამენტო რესპუბლიკაა.

კონსტიტუციური სამართალი

ხელისუფლების შტოთა ბალანსში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორპალატიან ფედერალურ კრებას, სახელმწიფოს მეთაური და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია კოლეგიური ორგანო – ფედერალური საბჭო, მართლმსაჯულებას ახორციელებენ ფედერალური და კანტონალური სასამართლოები.

პარლამენტი ანუ ფედერალური კრება შედგება 2 პალატისგან: ქვედა პალატის – ეროვნული საბჭოს ფორმირება ხდება 4 წლით პროპორციული სისტემით, საერთო-საყოველთაო არჩევნების გზით, ხოლო ზედა პალატა – კანტონთა საბჭო ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლობითი ორგანოა. ეროვნულ საბჭოში დეპუტატთა რაოდენობა 200-ს შეადგენს, ხოლო კანტონთა საბჭოში – 46-ს. კანტონთა საბჭოს დეპუტატები შესაბამისი კანტონის უფლებამოსილების ვადით აირჩევიან და ამდენად, იგი სრულ განახლებას არ ექვემდებარება. ფედერალური კრების დეპუტატები ფლობენ თავისუფალ მანდატს, აქვთ იმუნიტეტი, დაუშვებელია მათი დევნა და დაკავება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა სადეპუტატო მოვალეობის შესრულებისას, თუ არ იქნება თავად დეპუტატის წერილობითი თანხმობა ან იმ პალატის თანხმობა, რომლის წევრიც ის არის. დეპუტატის დაკავება შეიძლება, თუ

არსებობს მისი საზღვარგარეთ გაქცევის საფრთხე ან მას წაუსწრეს დანაშაულის ჩადენისას.

პალატათა საქმიანობას წარმართავენ ბიუროები, რომლებიც შედგებიან: თავმჯდომარის, მისი მოადგილის და ხმის მთვლელებისგან, რომელთა რაოდენობა ეროვნული საბჭოს ბიუროში 8-ს შეადგენს, ხოლო კანტონთა საბჭოში – ორს პლიუს ერთი შემცველი. ბიუროს თავმჯდომარე და მოადგილე აირჩევიან ერთი წლით, ხოლო სხვა წევრები ლეგისლატურის ვადით. ბიუროთა ფორმირების დროს აუცილებლად ხდება პარტიული ფრაქციების და ოფიციალური ენობრივი წარმომადგენლობის გათვალისწინება. პალატებში იქმნება მუდმივი კომისიები, რომელთა რაოდენობა 10-12-ს შეადგენს და ცალკეული ლეგისლატურის მიერ იცვლება რაოდენობრივად და მიზნობრივად. საჭიროების შემთხვევაში, იქმნება ორივე პალატის წევრთაგან შემდგარი, ე.წ. შერეული კომისიები ან დროებითი ერთობლივი კომისიები. საპარლამენტო ფრაქციები მხოლოდ ეროვნულ საბჭოში იქმნება. ამისთვის საჭიროა ხუთი დეპუტატის ერთობლივი ნება. კანტონთა საბჭოს დეპუტატებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ქვედა პალატაში შექმნილ მათ პარტიულ ფრაქციასთან.

პალატების საკუთარი რეგლამენტების გარდა, არსებობს პალატების ერთობლივი სხდომების რეგლამენტი. ამ შემთხვევაში, პალატები ქმნიან გაერთიანებულ ბიუროს, ხოლო სხდომებს თავმჯდომარეობს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. ასეთი სხდომები იმართება ფედერალური კრების წევრების, ფედერალური სასამართლოს წევრების, თავმჯდომარის და მისი მოადგილის, ფედერალური კრების და ფედერალური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელის – კონფედერაციის კანცლერის დანიშვნასთან დაკავშირებით და ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად.

კონფედერაციის კანცლერი განაგებს ფედერალური კრებისა და ფედერალური საბჭოს სამდივნოს. ასეთი თანამდებობის არსებობა ხაზს უსვამს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გარკვეულ თანამშრომლობას და იგი ერთგვარი ხიდის როლს ასრულებს. ასეთივე ფუნქცია აკისრია ფედერალური კრების შიგნით მოქმედ ორივე პალატის საერთო გენერალურ სამდივნოს, რომელსაც გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. სამდივნო თავის საქმიანობაში იყენებს ფედერალური კანცლერის სამსახურებს, ხოლო გენერალური მდივანი ექვემდებარება ორივე პალატის თავმჯდომარეებს.

ფედერალური კრების მუშაობის ორგანიზაციულ ფორმას სასესიო სხდომები წარმოადგენს. იგი არის მუდმივმოქმედი ორგანო, იკრიბება ჩვეულებრივ და საგანგებო სხდომებზე. ჩვეულებრივი, დაახლოებით

სამკვირიანი სხდომები წლის ოთხივე დროს მოიწვევა. საგანგებო სხდომების მოწვევის ინიციატორი შეიძლება იყოს ფედერალური საბჭო, ეროვნული საბჭოს წევრების მეოთხედი ან ხუთი კანტონი. სხდომები პალატებში ერთდროულად ტარდება. დღის წესრიგს ეროვნული საბჭოსთვის განსაზღვრავს პარტიული ფრაქციების თავმჯდომარეთა კონფერენცია, ხოლო კანტონთა საბჭოში პალატის ბიურო. ფედერალურ კრებას ფართო კომპეტენცია აქვს, იგი მოიცავს საკანონმდებლო საქმიანობას, მთავრობასთან მიმართებაში საკადრო, საფინანსო, აგრეთვე ინტერპელაციის მექანიზმით გამაგრებულ საკონტროლო და საერთოდ, ადმინისტრაციულ-მმართველობით და სასამართლო უფლებამოსილებებს. ზოგიერთ ფუნქციას იგი ამომრჩევლებთან ურთიერთობის ფორმით ახორციელებს, კერძოდ, იქნება ეს რეფერენდუმთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროცესი თუ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ მთავრობასა და დეპუტატებს. პარლამენტის პალატები თანასწორძალოვანი სტრუქტურებია, კანონპროექტი შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერ პალატაში, ყოველი გადაწყვეტილება მათი ერთგვაროვანი პოზიციის პირობებშია მისაღები, თუ რომელიმე პალატა არ ღებულობს პროექტს, იგი უარყოფილად ითვლება. ასეთი მდგომარეობიდან გამოსავლის სახით ორი მექანიზმი ჩამოყალიბდა: პირველი, ე.წ. „ქანქარას“ მეთოდია, როდესაც კანონპროექტი პალატიდან პალატაში გადადის, ან ორივე პალატის მოდავე წარმომადგენლებისგან იქმნება შემთხვევითი კონფერენცია და ორივე შემთხვევაში პროცესი გრძელდება, ვიდრე კომპრომისი არ იქნება მიღებული.

შვეიცარიის პარლამენტის საქმიანობის არსენალში არსებობს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება, რომლებიც ცალკეულ დეპუტატების აქტივობასთან არის დაკავშირებული, კერძოდ, პარლამენტი ღებულობს ერთი ან რამდენიმე დეპუტატის მიერ ხელმოწერილ იმპერატიულ წინადადება-რეზოლუციას, რომელიც ფედერალურ საბჭოს ავალებს შემოიტანოს პარლამენტში კანონის ან დადგენილების პროექტი და მიიღოს რაიმე ზომები. არსებობს ანალოგიური ინიციატივის კიდევ ერთი, ე.წ. პოსტულატების წარდგენის ფორმა. ინიციატივის სუბიექტები და მთავრობისადმი მოთხოვნები მთავრობისადმი რეზოლუციის იდენტურია.

ფედერალური საბჭო შვეიცარიული კონსტიტუციონალიზმის ერთობ ორიგინალური გამოგონებაა. ეს არის კოლეგიური ორგანო, რომელიც საერთოდ უარყოფს ლიდერობის პერსონიფიცირებას, არც

თავის შემადგენლობაში ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი. ეს არის მთავრობა პრემიერ-მინისტრის, ანუ მეთაურის გარეშე, ორგანო, რომელიც იმავდროულად სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციასაც ითავსებს და კონსტიტუციურ სამართალში, როგორც ერთადერთი მაგალითი, კოლეგიური სახელმწიფო მეთაურის სახით შემოდის.

ფედერალური საბჭო შედგება 7 ნევრისგან, რომლებიც პარლამენტის მიერ ინდივიდუალურად და არა გუნდური პრინციპით 4 წლის ვადით აირჩევიან. კანონმდებლობის თანახმად, ამ ორგანოში შეიძლება არჩეულ იქნეს შვეიცარიის მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს ფედერალურ კრებაში არჩევითვის წაყენებულ მოთხოვნებს. ეს უკანასკნელი დათქმა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში მთავრობის დაკომპლექტება დეპუტატთაგან ხდება, რის შემდეგაც ისინი უარს აცხადებენ დეპუტატის მანდატზე, ვინაიდან კონსტიტუციის თანახმად, ფედერალურ საბჭოში არჩეული პირი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ფედერალურ ადმინისტრაციაში. ფედერალურ მთავრობაში ადგილები ფორმულით 2:2:2:1 ნაწილდება ქვეყნის ოთხ უმთავრეს პოლიტიკურ ძალას შორის, თანაც ისე, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მთავრობაში რეგიონების წარმომადგენლობის პრინციპიც, კერძოდ, მთავრობაში მუდმივად არის წარმოდგენილი 2 უმსხვილესი კანტონი ბერნი და ციურიხი და თითო-თითო ფრანგულენოვანი და იტალიურენოვანი კანტონები.

ფედერალური საბჭო არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს ლეგისლაციურის პერიოდში, უნდობლობის ვოტუმი მთავრობას შეიძლება გამოეცხადოს მხოლოდ 4 წლის პერიოდის დასრულების შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობის ყოფილი წევრები აღარ აირჩევიან მეორე ვადით.

ფედერალურ საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელიც ვიცე-პრეზიდენტთან ერთად, ყოველი წლის დეკემბერში, ფედერალური კრების პალატების ერთობლივ სხდომაზე აირჩევიან ფედერალური საბჭოს შვიდეულიდან. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნეს იმავე თანამდებობაზე შემდგომ წელსაც. კონფედერაციის დროებითი პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს სახელმწიფო მეთაური, ამ ტერმინის სრული გაგებით. პრეზიდენტი მხოლოდ წარმომადგენლობითი ფიგურაა და არავითარ განსაკუთრებულ პრეროგატივებს არ ფლობს, მისი რეალური სტატუსი არაფრით განსხვავდება საბჭოს სხვა რიგითი წევრების სტატუსისგან და პრეზიდენტობის დროს იგი კვლავ განაგრძობს დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. მთავრობის შვიდი წევრი, შვიდი მინისტრი და

შვიდი დეპარტამენტი – ასეთია შვეიცარიის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა, რომლის აპარატს სწორედ პოლიტიკური; შინაგან საქმეთა; იუსტიციის და პოლიციის; სამხედრო; ფინანსებისა და საბაჟოს; სახალხო მეურნეობის; ტრანსპორტის, კომუნიკაციისა და ენერგეტიკის დეპარტამენტები შეადგენენ.

ფედერალური საბჭოს კომპეტენციაში შედის კონსტიტუციის, კანონებისა და დადგენილებების შესრულებაზე მიმართული საქმიანობის ორგანიზაცია. იგი ჩართულია საკანონმდებლო საქმიანობაში, ფედერალური კრებას წარუდგენს კანონებისა და დადგენილებების პროექტებს, თავადაც გამოსცემს კანონის ძალის მქონე ორდონანსებს, აგრეთვე, კანონების შესრულების მარეგულირებელ, ადმინისტრაციულ და სხვა დანიშნულების ორდონანსებს.

პოლიტიკის სფეროში ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს ქვეყნის საგარეო უსაფრთხოებას და სტაბილურად ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს, ფედერალური კრების არდადეგების შუალედში, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს სამხედრო ძალების მობილიზებას და მათ ხელმძღვანელობას. იგი აკონტროლებს ფედერალური ადმინისტრაციის საქმიანობას, მთავრობასვე ეკისრება ქვეყნის შინაგანი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, აქვს მსჯავრდადებულთა შეწყალების უფლება. მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის განხორციელება და საბიუჯეტო რეჟიმის წარმართვა. საბჭოს ფართო უფლებამოსილებები აქვს კანტონების მმართველობის ორგანოების საქმიანობის კონტროლის სფეროში, აუქმებს კანტონების მმართველობის ორგანოთა იმ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ფედერალურ კანონმდებლობას. ამასთან, მის თანხმობას საჭიროებს ცალკეული კანტონალური კანონები, დადგენილებები და შეთანხმებები.

კონსტიტუციით აღიარებულმა შვეიცარიის კონფედერაციამ სახე იცვალა და დღეს იგი მხოლოდ ოფიციალური სახელწოდებითაა კონფედერაცია, თორემ კარგა ხანია ფედერალურ რესპუბლიკას წარმოადგენს. მოქმედი კონსტიტუციის ძალით, შვეიცარია 23 კანტონისგან შედგება, რომელთაგან სამი ნახევარკანტონებად იყოფა. ძირითადად, ისინი აბსოლუტურად თანასწორნი არიან. თითოეულ მათგანს აქვს თავისი მოქალაქეობა, თანაბარი წარმომადგენლობა ფედერალური კრების ზედა პალატაში, კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციას და საქმიანობის ძირითად პრინციპებს. კანტონების კონსტიტუციები საჭიროებს ფედერალური კრების მოწონებას, წინა-

აღმდეგ შემთხვევაში, მისთვის „მიუღებელი“ კონსტიტუციის გარანტიებზე ფედერალური ხელისუფლება უარს ეტყვის. კანტონები ახორციელებენ ყველა იმ უფლებამოსილებას, რომლებიც არ არის გადაცემული ფედერალური ხელისუფლებისთვის. ამდენად, კანტონების კომპეტენცია ვრცელდება ჯანმრთელობის დაცვაზე, კომუნალურ მეურნეობაზე, წესრიგის დაცვაზე და ა.შ. ამასთან, ფედერაციას შეუძლია გადასცეს კანტონებს ზოგიერთი სხვა უფლებამოსილებაც.

კანტონებში ხელისუფლების უმაღლესი სტრუქტურის ორგანიზაცია არაერთგვაროვანია. მათ უმრავლესობაში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ პარლამენტი გვევლინება. ისინი იღებენ კანონებს მათთვის განსაზღვრულ განსაკუთრებულ სფეროებში, განსაზღვრავენ გადასახადებს, ამტკიცებენ ბიუჯეტს და იღებენ ანგარიშს მისი შესრულების შედეგებზე, აკონტროლებენ ადგილობრივი მთავრობის საქმიანობას.

კანტონების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა, რომელიც მართავს და ზედამხედველობს კანტონალურ ადმინისტრაციას, ნიშნავს ჩინოვნიკებს, ახორციელებს კავშირს ფედერალურ ორგანოებსა და სხვა კანტონებთან. თითქმის ყველა კანტონში მთავრობის წევრები აირჩევიან ხალხის მიერ, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. კანტონები კომუნებად იყოფიან. ამჟამად შვეიცარიაში სამი ათასზე მეტი კომუნა – ტერიტორიული საჯარო კოლექტივია, რომელიც ადგილობრივ დონეზე ახორციელებს დეცენტრალიზებულ საჯარო ხელისუფლებას. კანტონების უმრავლესობაში ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადანყვეტა ხდება კომუნის ამომრჩეველთა საერთო კრებაზე. მხოლოდ სამ ფრანგულენოვან კანტონში კომუნის ხელისუფლების ორგანოდ ადგილობრივი პარლამენტი გვევლინება.

კომუნებში აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის 5-7 წევრი-სგან შემდგარ კოლეგიურ ორგანოს, რომელსაც ადგილობრივი ამომრჩეველი ირჩევს ადგილზე დადგენილი ვადით. ამგვარად, კომუნას გარკვეული ავტონომია აქვს, მაგრამ მათი საქმიანობა ფედერალური და კანტონალური სახელისუფლო ორგანოების ზედამხედველობით მიმდინარეობს.

საარჩევნო სამართალი

შვეიცარიაში, საარჩევნო სამართლის საკითხებს არეგულირებს კონსტიტუცია, ფედერალური და კანტონების კანონმდებლობა. ფედერალური კრების ეროვნულ საბჭოში არჩევნები რეგულირდება

ფედერალური კანონით, ხოლო კანტონთა საბჭოში – ადგილობრივი კანონმდებლობით. ამ უკანასკნელში ყოველი კანტონი ფლობს ორ მანდატს. მაგრამ, სადაც იგი ორ ნახევარკანტონად იყოფა, დაცულია მათი თანასწორუფლებიანობა და თითოეული მათგანი თითო მანდატს ფლობს. ჩვეულებრივ, კანტონთა საბჭოს დეპუტატების არჩევნები პირდაპირი, მაჟორიტარული წესით ტარდება, თუმცა სამი კანტონი დეპუტატებს ირიბი წესით ირჩევს, მთავრობის წარდგენით კანტონალური პარლამენტის სხდომებზე კენჭისყრის ფორმით.

ეროვნულ საბჭოში არჩევნების დროს საარჩევნო ოლქს კანტონი წარმოადგენს, მაგრამ იმის გამო, რომ კანტონებში მოსახლეობა და, მაშასადამე, ამომრჩეველთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად განსხვავდება, შერეული საარჩევნო სისტემა გამოიყენება. ეროვნული საბჭოს ერთი სადეპუტატო მანდატი დაახლოებით 25 ათასი ამომრჩევლის ხმას საჭიროებს, 10 წელიწადში მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით იცვლება საბაზისო პარამეტრები და დგინდება ქვედა პალატის დეპუტატთა მანდატების რაოდენობა, რომელიც კანტონებში ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით 20 კანტონსა და 6 ნახევარკანტონზე გადანაწილდება, ვინაიდან თითოეული ნახევარკანტონი ცალკე საარჩევნო ოლქია. არჩევნები, ძირითადად, პროპორციული სისტემით ტარდება. ყველაზე მცირერიცხოვანი ოლქები, მიუხედავად იმისა, რომ მათში დემოგრაფიული გაანგარიშება თითო მანდატისთვის საჭირო პარამეტრებსაც ვერ აკმაყოფილებს, თითო დეპუტატს ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით.

კანტონალურ პარლამენტებში დეპუტატთა რაოდენობა 52-დან 200-მდე მერყეობს. არჩევნები აქ პროპორციული სისტემით ტარდება, უფლებამოსილების ვადა მეტწილად 4 წლით შემოიფარგლება, ცალკეულ შემთხვევებში სამი, ხუთი, ან ორი წლითაც. კომუნებში ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები შესაბამისი კანტონის მიერ მიღებული კანონითა და დადგენილი წესებით ტარდება, მაგრამ აღნიშნული კანონები აუცილებლად საჭიროებს ფედერალური მთავრობის – ფედერალური საბჭოს მიერ დამტკიცებას.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 1991 წელს: გაიზარდა საარჩევნო კორპუსი უცხოეთში მცხოვრები შვეიცარიელების ხარჯზე, რომლებიც საფოსტო კავშირის მეშვეობით მონაწილეობენ კენჭისყრაში; ფოსტით კენჭისყრაში მონაწილეობა დაშვებულია ქვეყნის შიგნითაც; შემცირდა ასაკობრივი ცენზი, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს 18 წელს მიღწეულ პირს, თუ მას კანონმდებლო-

ბით სულიერი ან გონებრივი არასრულფასოვნების, შეუფერებელი ქცევის გამო ჩამორთმეული არა აქვს საარჩევნო უფლება; ეროვნულ საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი საერო, მაგრამ არა სასულიერო პირი; კანტონებში მუდმივად მცხოვრებ თხუთმეტ მოქალაქეს უფლება აქვს წარადგინოს საარჩევნო სია, მაგრამ პრაქტიკულად დეპუტატობის კანდიდატებს, ძირითადად, პარტიები წარადგენენ. თითოეული ბიულეტენი შეიცავს კანდიდატთა პარტიულ სიებს. ამომრჩეველს აქვს პანაშირების უფლება, ანუ შეუძლია სხვადასხვა პარტიის მიერ წარმოდგენილ კანდიდატებს დაუჭიროს მხარი.

შვეიცარიის კონსტიტუცია და კანონმდებლობა ფართო შესაძლებლობას ანიჭებს მოსახლეობას, რათა თავისი საარჩევნო ხმის უფლება აქტიურად გამოიყენოს უშუალო დემოკრატიის სხვა ინსტიტუტების შესაძლებლობათა გამოსაყენებლად. პირველ რიგში, ეს შეეხება „სახალხო ინიციატივის“ ინსტიტუტს, რომლის მეშვეობით საუკუნის მანძილზე, ამომრჩეველმა 179 კანონპროექტი წარადგინა პარლამენტში.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია რეფერენდუმების გამოყენების პრაქტიკა. შვეიცარიაში იგი შეიძლება სხვადასხვა დონეზე ჩატარდეს, იქნება ეს ცენტრალური რეფერენდუმი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონული – კანტონის დონეზე და ადგილობრივი – კომუნალურ ერთეულში. ტერიტორიული მასშტაბების გარდა, მნიშვნელოვანია მათი მიზნობრივი ორიენტაციის ფარგლები: შვეიცარიაში ტარდება საკონსტიტუციო – საკანონმდებლო, სარატიფიკაციო და ადმინისტრაციული რეფერენდუმები. მას აქვს სავალდებულო და ფაკულტატური ხასიათის „სახალხო ვეტოს“ დატვირთვა.

სამოქალაქო სამართალი

შვეიცარიაში დღესაც 1907 წელს დამტკიცებული სამოქალაქო კოდექსი მოქმედებს და მას შემდეგ მიღებულ, ე.წ. შემავსებელ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებთან ერთად არეგულირებს სამოქალაქო და სავაჭრო-სამართლებრივ ურთიერთობებს. სამოქალაქო კოდექსი შედგება შესავალი თავისა და 4 განყოფილებისგან. შესავლის 10 მუხლში ძირითადი პრინციპები და ცნებებია განმარტებული, პირველი ნაწილი კი იურიდიული და ფიზიკური პირების სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს.

მეორე ნაწილი საოჯახო სამართლის საკითხებს არეგულირებს, აქ განსაზღვრულია ქორწინებისა და განქორწინების პირობები ჩამოყალიბებულია წესების სისტემა, რომლებიც საოჯახო სამართლის ინსტიტუტებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს.

მესამე ნაწილი სამემკვიდრეო სამართლის საკითხებს ეხება. ბოლო ხანებში აქტიურად მიმდინარეობს საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის მარეგულირებელ ნორმათა სისტემის სრულყოფა. ფაქტობრივად, ეს საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი გამოდგა, ცვლილებები ეტაპობრივად ფორმდებოდა 1940, 1972, 1976, 1984 წლებში მიღებული ფედერალური კანონების მეშვეობით.

მეოთხე ნაწილი სანივთო სამართლის საკითხებს მოიცავს, როგორცაა საკუთრება, ფლობა-გირავნობა, ქონებრივი უფლებების შეზღუდვა და სხვ. შვეიცარიის სამოქალაქო სამართლში არსებობს ერთი თავისებურება, 1881 წლის ვალდებულებითი კოდექსი, 1911 და 1936 წლებში შეტანილი ცვლილებებით, ფაქტობრივად, ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მეხუთე ნაწილის სახით მოიაზრება.

სამოქალაქო კოდექსი ფართო უფლებებს ანიჭებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს და ამ უფლებათა შეზღუდვა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე დაიშვება. სამოქალაქო და, განსაკუთრებით, ვალდებულებითი სამართლის კოდექსის ნორმები არეგულირებს სავაჭრო სამართალსა და კომპანიათა საქმიანობას, თუმცა ამ სფეროში მოქმედებს ფედერალური კანონი ბანკების შესახებ, რომელიც 1934 წელს იქნა მიღებული, 1986 წლის კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ და სხვ.

შვეიცარიაში კეთილსინდისიერი კონკურენციის სამართლებრივი რეჟიმის საფუძველს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ეფექტურად მოქმედი ნორმატიული აქტების სისტემა შეადგენს. მათი ქმედითობა, მნიშვნელოვნად, აღნიშნულ ღერძულა კანონზეა დამოკიდებული, რომელმაც გააფართოა კონკურენციული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების სფერო. მის გარშემო შეიქმნა სხვადასხვა მიმართულების მარეგულირებელი აქტების სიმრავლე, ხოლო თავად კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ამ აქტების პაკეტის მიმართ სისტემური ორგანიზაციის ფუნქციას ასრულებს. აღნიშნული კანონის ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ის გახლავთ, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განმარტებაში გაიგივებულია უკანონო კონკურენცია. შვეიცარიული სამართალი კეთილსინდისიერი კონკურენციის წესების დარღვევისთვის სამოქალაქო-სამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ სანქციებს ითვალისწინებს. ვინაიდან შვეიცარიის კონსტიტუციის თანახმად, კანტონები უფლებამოსილი არიან განახორციელონ მართლმსაჯულება, ქვეყანაში ფუნქციონირებს 26 კანტონალური სამოქალაქო

საპროცესო კოდექსი და შესაბამისი ფედერალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს ფედერალურ სასამართლოში საქმის განხილვის წესს.

სისხლის სამართალი

სისხლის სამართალი შვეიცარიული სამართლის ერთი ყველაზე რთულად მოსაგვარებელი სფერო აღმოჩნდა. ჯერ იყო და, კონსტიტუციის მიღებამდე ნახევარი საუკუნე კანტონების უმრავლესობაში სისხლის სამართლის საკუთარი კოდექსების შექმნას დასჭირდა. კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ერთი ამდენი დრო, საერთო შვეიცარიული სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებამ წაიღო. მერე, 1928 წელს დაწყებული კოდექსის პროექტის განხილვა 1937 წელს დამთავრდა, მოგვიანებით იყო ფედერალური კრებისა და რეფერენდუმის მხარდაჭერა და სამოქალაქო სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა 1942 წლის იანვრიდან. ასე უნოდებენ მას იმ მიზეზით, რომ ქვეყანაში არსებობს, აგრეთვე, სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსი.

კოდექსის ძალაში შესვლასთან არის დაკავშირებული მთელი რიგი ლიბერალური რეფორმების განხორციელება, როგორიცაა სიკვდილით დასჯის გაუქმება, პირობითი სასჯელების გამოყენების სფეროს გაფართოება, მათ შორის, პირობითი ვადამდელი გათავისუფლების შემოღებით. შვეიცარიული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჩამოყალიბების რთულ პროცესს გარკვეული წინააღმდეგობრივი ტენდენციებიც დაჰყვა და ეს, პირველ რიგში, კოდექსში შეტანილი ცვლილებების ხასიათშიც ჩანს. 1950 წელს გამკაცრებულ იქნა სასჯელთა სისტემა პოლიტიკური დანაშაულებისთვის, მეორე მხრივ, ამ დროს კიდევ უფრო გაფართოვდა პირობითი სასჯელების გამოყენების არეალი. 1966 წელს კოდექსის ტექსტში გამოჩნდა ნორმები, რომლებიც არასრულწლოვანთა და 25 წლამდე ახალგაზრდების მიმართ თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებებში აღმზრდელითი ზემოქმედების გაძლიერებაზეა მიმართული.

1971 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა სასჯელალსრულებითი რეჟიმის სფეროში; ერთი მხრივ, გაქრა განსხვავება კატორღული ტიპის და ჩვეულებრივ ციხეებში სასჯელის მოხდის პირობებს შორის, მეორე მხრივ, გაფართოებულ იქნა პატიმრობის, ე.წ. ნახევრად თავისუფალი რეჟიმის გამოყენება მსჯავრდადებულთათვის და სასჯელის ცალკე მოხდა იმ პირთა მიერ, რომელთაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა. შემდეგი რეფორმები, ძირი-

თადად, კოდექსის კერძო ნაწილს უკავშირდება და მათი მეშვეობით გაძლიერებულ იქნა სასჯელი შეიარაღებული ძარცვის და ძალადობრივი ხასიათის დანაშაულებისთვის.

ოთხასმუხლიანი სამოქალაქო სისხლის სამართლის კოდექსი სამ წიგნად იყოფა; წიგნი პირველი ანუ ზოგადი დადგენილებები, 2 ნაწილისა და ხუთი თავისგან შედგება. მასში განმარტებულია ბრალის, შერაცხადობის და თანამონაწილეობის ცნებები, განსაზღვრულია კოდექსის მოქმედების ფარგლები. წიგნი მეორე – განსაკუთრებული დადგენილებები – მოიცავს 19 თავს. თითოეული მათგანი ეთმობა ამა თუ იმ ობიექტის ხელმყოფ ცალკეული სახის დანაშაულს, დანყებული პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით და დამთავრებული საკავშირო სამართლის დადგენილებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით. წიგნი მესამე 11 თავისგან შედგება და განსაზღვრავს კოდექსის ამოქმედებას და მის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, კოდექსისა და კანტონალური კანონმდებლობის ურთიერთდამოკიდებულებას, საკავშირო იურისდიქციას და კანტონალურ იურისდიქციას, სასჯელთა აღსრულებას და ა.შ.

საპროცესო სამართლის საკითხების რეგულირება კანტონალურ საკანონმდებლო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება. კანტონებში მოქმედებს საკუთარი კანონები სასამართლო წარმოების შესახებ, საპროცესო კოდექსები. რეფორმების შედეგად გაფართოებულ იქნა ბრალდებულის ზოგიერთი უფლება, გამარტივებულ იქნა მცირე მნიშვნელობის დანაშაულებათა განხილვის პროცედურა, სასამართლოში საქმის გადაცემის გარეშე, პოლიციისთვის საჯარიმო სანქციების გამოყენების უფლების მინიჭებით.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ერთი თავისებურება შვეიცარიული კონსტიტუციონალიზმისა ის გახლავთ, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები განსაზღვრულია, როგორც შვეიცარიის კონფედერაციის, ასევე კანტონების კონსტიტუციებითა და კანონმდებლობით, რა თქმა უნდა, მეორე ჩანერილია პირველის პრინციპული კონტურების ფარგლებში. ამავე დონეებზე ხდება მათი რეგულირებაც.

შვეიცარიის ძირითად კანონში აღიარებულია თანაბრობის პრინციპი, რელიგიური თავისუფლება, ეკონომიკური თავისუფლება, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, საკუთრების თავისუფლება. და მაინც, ძირითადი კანონი არ ითვალისწინებს მთელ რიგ მნიშვნელოვ-

ან უფლებებსა და თავისუფლებებს და 60-იანი წლების დასაწყისში ფედერალურმა სასამართლომაც დაადასტურა ისეთი დაუნერვლი უფლება-თავისუფლებების არსებობა, როგორცაა პირადი თავისუფლების უფლება, აზრის გამოთქმის თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება. აღნიშნული ხარვეზი შეავსო ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ 1950 წლის ევროპული კონვენციისადმი 1974 წლის რეფერენდუმით მიერთებამ და კონვენცია ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ იქცა.

კონსტიტუციის მეოთხე მუხლის ძალით შვეიცარიის მოქალაქეები თანასწორნი არიან იქამდე, რომ აქვე ხაზგასმულია — „მამაკაცები და ქალები თანასწორნი არიან უფლებებში“ თუმცა მოცემული ფორმულის სრულფასოვნება მოგვიანებით იქნა დადასტურებული, როცა 1971 წლის თებერვლის რეფერენდუმმა დაადგინა ქალთა თანასწორუფლებიანობა საარჩევნო სამართალში.

კონსტიტუცია, ცალკე ნორმებისა თუ უფლებრივ მუხლებთან დათქმების სახით, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს მოქალაქეთა ვალდებულებას. კონსტიტუცია აღიარებს რწმენისა და სინდისის თავისუფლებას და იქვე ადგენს, რომ რელიგიური შეხედულებები არ ათავისუფლებს პირს მოქალაქეობრივი მოვალეობებისგან. მოქალაქეებს აქვთ კავშირების შექმნის უფლება, თუმცა კონსტიტუციური დათქმის თანახმად, მათი შექმნის მიზნები და საქმიანობა არ უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს სახელმწიფოს. მოქალაქეთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს სამხედრო სამსახური, თუმცა კანონითვე გათვალისწინებულია ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურიც. პირები, რომლებიც თავისუფლდებიან ამ მოვალეობისგან, იხდიან განსაზღვრულ თანხას გადასახადის სახით.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტიების შესახებ კონსტიტუცია მეტად მწირ ინფორმაციას შეიცავს. აქ მხოლოდ ორი საშუალება იკითხება: ერთი კოლექტიური ინტერესების დაცვასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული და აქ პეტიციების უფლება იგულისხმება; მეორე — ინდივიდუალური ინტერესების დაცვასაც ითვალისწინებს და აქ ნავარაუდევია სასამართლო ორგანოში, მათ შორის, ფედერალურ სასამართლოში მიმართვის უფლება. არადა, საზოგადოებრიობა მეტ ყურადღებას ითხოვდა ადამიანის უფლება-თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით. ჯერ იყო და, შვეიცარიის უფლებათა დაცვის და ინდივიდუალური თავისუფლებების საზოგადოება შეიქმნა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიჩინა დანიური ომბუდსმენის საქმიანობისადმი.

აღნიშნული საზოგადოება დაბეჭდვით ითხოვდა ომბუდსმენის ინსტიტუტის დამკვიდრებას და იმის გათვალისწინებით, რომ შვეიცარიაში ორი – სამოქალაქო და სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსები მოქმედებს, ითხოვდნენ სამოქალაქო და სამხედრო ომბუდსმენების დანიშვნას. საქმე კი სხვაგვარად განვითარდა. ციურისის წესდებაში, რომელიც 1970 წელს იქნა მიღებული, ომბუდსმენის შესახებ დებულება იყო გათვალისწინებული. საქალაქო საბჭომ პირველ ომბუდსმენად გამოიჩინა მოსამართლე, დოქტორი იაკვის ვინტობელა დანიშნა. ეს იყო ევროპაში პირველი საქალაქო ომბუდსმენი. 1971 წელს შეიქმნა საჩივრების სამსახური თავდაცვის დეპარტამენტში. ამჟამად შვეიცარიაში ომბუდსმენების ინსტიტუტი აქტიურად მოქმედებს როგორც ადგილობრივ, ისე მმართველობის უფრო მაღალ დონეებზე.

სასამართლო სისტემა

შვეიცარიის სასამართლო სისტემა შედგება ფედერალური სასამართლოსა და კანტონალური სასამართლოებისგან, რომლებსაც უფლება აქვთ, გამოიყენონ როგორც საერთო შვეიცარიული, ისე ცალკეული კანტონების სამართალი. ფედერალურ სასამართლოს 30 მოსამართლისა და 15 მოადგილის შემადგენლობით, 6 წლის ვადით ნიშნავს ფედერალური კრება, პალატების გაერთიანებულ სხდომაზე. მოსამართლედ და მოადგილედ შეიძლება არჩეულ იქნეს შვეიცარიის მოქალაქე, რომელსაც აქვს ეროვნულ საბჭოში არჩევის უფლება და იურიდიული განათლება. ფედერალურ სასამართლოებში, ძირითადად, ინიშნებიან გამოცდილი ადვოკატები, კანტონების უზენაესი სასამართლოს წევრები, უნივერსიტეტის პროფესორა სამართლის სფეროში. ფედერალურ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს მოსამართლეთა მოადგილეები. ფედერალური კრება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და ვიცე-თავმჯდომარეს, მეორე ვადით მათი გადარჩევა დაუშვებელია.

ფედერალურ სასამართლოში 2 პალატა საჯარო სამართლის სასამართლოს წარმოადგენს, 2 პალატა სამოქალაქო სამართლის საქმეებს იხილავს, ერთი კასაციის წესით იხილავს სისხლისსამართლებრივი სფეროს საქმეებს, და კიდევ ერთი პალატა განიხილავს საჩივრებს კანტონთა სასამართლოების მიერ პენსიების გადახდის საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. პალატები ყალიბდება ორი წლით, თუმცა მათი შემადგენლობა იშვიათად იცვლება, ყოველ მათგანს უზუცესი მოსამართლე ხელმძღვანელობს. ფედერალური კრება პალა-

ტათა ამ თავმჯდომარეთაგან ირჩევს ფედერალური სასამართლოს თავმჯდომარეს. პალატები მუშაობენ, ძირითადად, 5-დან 7-მდე მოსამართლის შემადგენლობით.

ფედერალური სასამართლო განიხილავს კონსტიტუციურ დავებს ფედერალური ხელისუფლების ორგანოებსა და კანტონებს შორის; აგრეთვე, საკუთრივ კანტონებს შორის; მოქალაქეთა სარჩელებს მათი კონსტიტუციური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით; სამოქალაქო-სამართლებრივ დავებს ფედერაციასა და კანტონებს, გაერთიანებებსა და მოქალაქეებს შორის, სხვა სამოქალაქო დავებს, თუ ამას მოითხოვს ორივე მხარე და სარჩელის თანხა, მოცემული მომენტიისთვის დადგენილ თანხაზე ნაკლები არ არის. სისხლის სამართლის საქმეთაგან, ფედერალური სასამართლო, პირველი ინსტანციით, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილავს სამშობლოს ღალატის, პოლიტიკური ხასიათის, საერთაშორისო სამართლოს ნორმების წინააღმდეგ მიმართულ და ფედერალური თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებს.

ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო ხელმძღვანელობს ფედერალური კანონმდებლობითა და ფედერალური კრების მიერ მიღებული ხელშეკრულებებით და განიხილავს ადმინისტრაციულ დავებს და ფედერალური ორგანოების თანამშრომელთა საქმეებს. კანტონები, ფედერალური კრების მხარდაჭერის პირობებში, უფლებამოსილნი არიან, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს ქვემდებარებას განაკუთვნონ მათი კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დავები.

კანტონები მათივე კონსტიტუციებით განსაზღვრავენ სასამართლო სისტემის ორგანიზაციას, ამიტომ ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა საერთო სქემა ერთგვაროვანია: მომრიგებელი მოსამართლე, საოლქო სასამართლო ან პირველი ინსტანციის სასამართლო, კანტონის უმაღლესი სასამართლო ან სააპელაციო სასამართლო. უმეტეს კანტონებში შექმნილია სპეციალური სასამართლოები: სავაჭრო სასამართლოები, შრომითი დავების სასამართლოები, ადმინისტრაციული იუსტიციის კომისიები.

შვეიცარიაში პროკურორების ინსტიტუტი დაფუძნდა, როგორც ფედერალურ, ისე კანტონალურ დონეზე, ერთი კანტონის გარდა, სადაც პროკურორის უფლებამოსილებას კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელი ახორციელებს. კანტონებში არაერთგვაროვანია პროკურატურის საქმიანობის ორგანიზაცია, დანიშვნის წესი, შემადგენლობა და იურისდიქცია. ზოგიერთი კანტონის კანონმდებლობა დანიშვნის

უფლებამოსილებას აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასცემს, ზოგიერთი კი საკანონმდებლოს. ფედერალურ სასამართლოში და ზოგიერთ მნიშვნელოვან საქმეზე კანტონის სასამართლოშიც, სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს კანტონის ხელისუფლების მიერ დანიშნული პროკურორი ან მისი წარმომადგენელი.

საკონსტიტუციო ზედამხედველობა, შვეიცარიის კონსტიტუციის მიერ დაფიქსირებული არც არის, უბრალოდ მისი საჭიროება კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებშია აქცენტირებული. სწორედ 113-ე მუხლის მე-3 პუნქტმა, ფედერალური სასამართლოს ქვემდებარედ განსაზღვრა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევის თაობაზე საჯარო-სამართლებრივი საჩივრების განხილვა და ამით დასაბამი მისცა ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში საკონსტიტუციო სარჩელის პროცედურის დამკვიდრებას. თუმცა იგი არ შეიძლება ეხებოდეს ფედერალური ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს და დასაშვებია მხოლოდ კანტონების ადმინისტრაციული, სასამართლო და საკანონმდებლო აქტების მიმართ. სასამართლო ზედამხედველობას არ ექვემდებარება, ასევე, კანტონების კონსტიტუციები, იმ მოტივით, რომ ისინი თავის დროზე მონონებულ იქნა ფედერალური კრების მიერ. თუმცა დაშვებულია გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, ფედერალური სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს კანტონების კონსტიტუციებით განსაზღვრული პირადი უფლებების, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით და ფედერალური სამართლის სხვა ნორმებით დეკლარირებულ პირად უფლებებთან შესაბამისობის საკითხი, თუ ეს აქტები არ მოქმედებდნენ იმ მომენტისთვის, როდესაც კანტონის კონსტიტუცია მონონებულ იქნა ფედერალური კრების მიერ.

საჯარო-სამართლებრივი საჩივარი კონსტიტუციური უფლების დარღვევის თაობაზე, შეუძლია განიხილოს ფედერალური სასამართლოს ნებისმიერმა პალატამ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თუმცა კონსტიტუციურ ზედამხედველობას საჯარო სამართლის ორი პალატა ახორციელებს: პირველი პალატა განიხილავს საჩივრებს მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების, პირადი თავისუფლებების, აზრის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების უფლების თაობაზე, ხოლო მეორე პალატა განიხილავს საჩივრებს სინდისის თავისუფლების, მშობლიური ენის გამოყენების უფლების, ვაჭრობისა და მენარმეობის თავისუფლების ხელყოფის შესახებ. საჩივარი კონსტიტუციური უფლების დარღვევის თაობაზე შეიძლება შეიტანოს მთავრობამ, კერძო, იურიდიულმა თუ ფიზიკურმა პირმა, რომელსაც აქვს

პირადი, იურიდიულად დასაბუთებული ინტერესი სადავო აქტის მიმართ კანტონების კანონების და აქტების მიერ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ფედერალური კანონმდებლობისა და ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის თაობაზე.

საკონსტიტუციო იუსტიცია ძალიან მკრთალად და გარკვეული თავისებურებებით პროულობს ადგილს კანტონალურ მართლმსაჯულებაში. მაგალითად, ნახევარკანტონში ბაზელი – სასოფლო, საკონსტიტუციო იუსტიცია დაქვემდებარებული აქვს ადმინისტრაციულ სასამართლოს, ხოლო ნახევარკანტონ ნიდვადლენდში – უმაღლეს სასამართლოს. მხოლოდ ერთადერთ ჟიურას კანტონში 1978 წელს შეიქმნა სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც კანტონის კანონმდებლობის კონსტიტუციურობის შემოწმება ეკისრება და მთავრობის მოთხოვნით შეუძლია კანტონის პარლამენტით მიერ მიღებული აქტი ბათილად სცნოს.

ლიტერატურა:

1. Конституция Швейцарской конфедерации// Современные зарубежные конституции, Москва, 1992, стр. 208-263;
2. გ. გოგიაშვილი, შვეიცარია// შედარებითი ფედერალიზმი, თბილისი, 2000, გვ. 145-151;
3. Маклаков В. В., Основы государственного (конституционного) права Швейцарии// Конституционное (государственное) право зарубежных стран, т.3, Особенная часть, Страны Европы, рук. авт. колл., отв. ред. Б. А. Страшун, Москва, „Бек“, 1997, стр. 418-477;
4. Маклаков В. В., Политические институты и конституционное право Швейцарии // Иностранное Конституционное право, под ред. В.В Маклакова. Москва, „Юристъ“, 1997, стр. 221-255;
5. Лейбо Ю.И., Маклаков В.В., Парламент Швейцарии // Парламенты мира. Москва, „Интерпракс“, 1991, стр. 422-482;
6. Якушев А.В., Основы конституционного права Швейцарии // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 2000, стр. 158-163;
7. Руйке К., Швейцарский федеральный суд и надзор за конституционностью законов, „Государство и право“, 1995, №12, стр. 84-94;
8. Бойцова В. В., Швейцария // Служба защиты прав человека и гражданина, Москва, „БЕК“, 1997, стр. 113;
9. Швейцарский уголовный кодекс, 21 декабря 1937, Москва, 1948.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მდებარეობს ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება რუსეთი და მონღოლეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით – სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეა, აღმოსავლეთით – ყვითელი ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ნყნარი ოკეანის ზღვები, სამხრეთით – ვიეტნამი, ლაოსი, ბირმა, ინდოეთი, ნეპალი და ბუტანი, დასავლეთით – ავღანეთი და ტაჯიკეთი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით – ყირგიზეთი და ყაზახეთი. სანაპირო ზოლის გასწვრივ არის უამრავი კუნძული, მათ შორის უდიდესი ტაივანი და ხაინანია. ჩინეთის 1 მლრდ 256 მილიონი მოსახლეობა 9,6 მლ. კმ² ფართობზე სახლობს. ქვეყნის დედაქალაქია პეკინი, სახელმწიფო ენა – ჩინური, ფულის ერთეული – იენი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „მოდერნიზებული სოციალიზმის“ რიგით მეოთხე მოქმედი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1982 წლის 4 დეკემბერს. ჩინეთი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმით ცენტრალიზებული უნიტარული, ხოლო მმართველობის ფორმით სოციალისტური რესპუბლიკაა, რომელიც კონსტიტუციის პირველივე მუხლის თანახმად, სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: ჩინეთი სოციალისტური სახელმწიფოა, ხალხის დემოკრატიული დიქტატურით, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და დამყარებულია მუშათა და გლეხთა კავშირზე. ამდენად, ჩინეთის სამართალი „ჩინურივე სპეციფიკით“ სოციალისტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება.

კონსტიტუციური სამართალი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კლასიკური გაგების უარყოფა. სახელმწიფო ორგანოების სისტემა, რომლის საქმიანობის ძირითადი პრინციპი დემოკრატიული ცენტრალიზმია, შემდეგნაირად არის წარმოჩენილი: სახელმწიფო მეთაურის ფუნქცია აკისრია სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას და მის მუდმივ კომიტეტს; აღმასრულებელი ხელისუფლება – სახელმწიფო საბჭოს და რესპუბლიკის თავმჯდომარეს; მართლმსაჯულებას ახორციელებენ უმაღლესი სახალხო სასამართლო, სამსაფეხურიანი საერთო სასამართლოების სისტემა და სპეციალური სამხედრო სასამართლოები.

სახელმწიფოს მეთაური, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ იწოდება, არჩევა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მიერ, 5 წლის ვადით. რესპუბლიკის თავმჯდომარე შეიძლება გახდეს ჩინეთის მოქალაქე, რომელიც ფლობს პოლიტიკურ უფლებებს და მიაღწია 45 წლიან ასაკს. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. სხვათა შორის, ასეთი შეზღუდვა ჩინეთის კონსტიტუციის ერთი განსაკუთრებული თავისებურებაა. უმაღლესი თანამდებობის პირების უფლებამოსილების ორი ვადით შემოსაზღვრა ვრცელდება, აგრეთვე, მთავრობის მეთაურზე, გენერალურ პროკურორზე, უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარესა და, საერთოდ, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მიერ არჩევით სხვა თანამდებობებზეც.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე „სუსტ პრეზიდენტად“ ითვლება, ვინაიდან სახელმწიფო მეთაურის ძირითად უფლებამოსილებებს მხოლოდ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და მისი მუდმივი კომიტეტის მითითებებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად ახორციელებს. რესპუბლიკის თავმჯდომარის უფლებამოსილებები, ძირითადად, სამართლებრივი აქტების გამოცემით გამოიხატება, რაც უპირატესად ცერემონიული ხასიათისაა და თავისი ძალით სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების, მისი მუდმივი კომიტეტის და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს აფორმებს. უფრო სწორად კი, ატარებს კომუნისტური პარტიის კურსს, ვინაიდან ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ გადაწყვეტილებას ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოები ღებულობენ.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და მისი მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს: აქვეყნებს კანონებს; ნიშნავს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს – პრემიერ-მინისტრს, მის მოადგილეს, მინისტრებს და სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირებს; ნიშნავს და გამოიწვევს ჩინეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს; აჯილდოებს სახელმწიფო ჯილდოებით; ანიჭებს საპატიო ნოდებებს; რატიფიკაციისა და დენონსირებისთვის სახალხო წარმომადგენელთა კრებას წარუდგენს საერთაშორისო შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს; აქვეყნებს ბრძანებულებებს ნაწილობრივი და სრული მობილიზაციის

შესახებ; აცხადებს საგანგებო მდგომარეობისა და საომარი ვითარებას შემოღებას; გამოსცემს შეწყალების აქტებს.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარესთან ერთად, ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელსაც თავმჯდომარის იდენტური მოთხოვნები წაეყენება. მას რაიმე განსაკუთრებული უფლებამოსილება არ გააჩნია. ის ეხმარება რესპუბლიკის თავმჯდომარეს მუშაობაში და მისი დავალებით შეუძლია შეასრულოს თავმჯდომარის მოვალეობა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

პარლამენტი. კონსტიტუციის თანახმად, ჩინეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი, ე. წ. „დიდი პარლამენტი“ – სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, რომლის სამართლებრივი სტატუსი, ასევე, განმტკიცებულია „სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ორგანიზაციის შესახებ“ კანონით. სახალხო წარმომადგენელთა კრებას სამსაფეხუროვანი არჩევნებით, ირიბი წესით, 5 წლის ვადით ირჩევენ ავტონომიური რაიონების, პროვინციების, ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქების სახალხო წარმომადგენელთა კრებები და არმიის უმაღლესი ხელმძღვანელობა. დეპუტატების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3000-ს. წარმომადგენელთა კრებას არ ჰყავს მუდმივი თავმჯდომარე და მუდმივი ხელმძღვანელი ორგანო. სახალხო წარმომადგენელთა კრება მუშაობს სესიების ფორმით, რომელიც წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე მოიწვევა მუდმივი კომიტეტის მიერ და გრძელდება 2-3 კვირა. ყოველ სესიას წინ უსწრებს მოსამზადებელი სხდომა, რომელზეც ირჩევენ სესიის პრეზიდიუმს, სესიის სამდივნოს უფროსს და წყვეტენ პროცედურულ და ორგანიზაციულ საკითხებს. პრეზიდიუმი 16 დეპუტატს აერთიანებს და თავისი შემადგენლობიდან აყალიბებს 20 კაციან ბიუროს.

პრეზიდიუმის წევრები რიგითობით ხელმძღვანელობენ სხდომებს. წარმომადგენელთა კრება ქმნის 9 დარგობრივ მუდმივ კომისიას, რომლებიც კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის მიზნით, წინასწარ განიხილავენ კანონპროექტებს და ამავე პოზიციიდან აფასებენ სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების და ადგილობრივი სახალხო წარმომადგენლობითი კრებების სამართლებრივ აქტებს.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატები, იმის გათვალისწინებით, თუ საიდან არიან არჩეულნი, პროვინციების, ავტონომიების, დიდი ქალაქებისა და შეიარაღებული

ძალების დელეგაციებში ერთიანდებიან. ამასთან, დელეგაციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 30-ზე ნაკლები.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პრეზიდიუმს და მუდმივ კომიტეტს, დარგობრივ მუდმივ კომისიებს, სახელმწიფო საბჭოს, ცენტრალურ სამხედრო საბჭოს, უმაღლეს სახალხო სასამართლოს, უმაღლეს სახალხო პროკურატურას, დელეგაციებს, აგრეთვე, დეპუტატთა ჯგუფს არანაკლებ 30 კაცის შემადგენლობით. კონსტიტუციაში ცვლილებებისა და წარმომადგენელთა კრების რიგგარეშე სესიის მოწვევის ინიციატორი შეიძლება იყოს მუდმივი კომიტეტი და კრების დეპუტატთა მეხუთედი, ხოლო ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ესაჭიროება დეპუტატთა 2/3-ის მხარდაჭერა.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების უფლებამოსილებები შეუზღუდავია: აქვს უფლება მიიღოს კონსტიტუცია და შეიტანოს ცვლილებები მასში; ახორციელებს კონტროლს კონსტიტუციის შესრულებაზე, ლეზულობს კანონებს, ამტკიცებს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს გეგმებს, ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ისმენს მოხსენებასა და ანგარიშს პასუხისმგებელი პირებისგან. ქმნის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ორგანოებს და ათავისუფლებს უმაღლესი თანამდებობის პირებს, ირჩევს რესპუბლიკის თავმჯდომარეს, ცენტრალური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს, ნიშნავს და ამტკიცებს მის წევრებს, ირჩევს და დაითხოვს მუდმივი კომიტეტის მთელ შემადგენლობას, უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს და უმაღლესი სახალხო პროკურატურის გენერალურ პროკურორს, წყვეტს ომისა და მშვიდობის საკითხებს, შეუძლია განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რომლებიც დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისთვის. საზოგადოდ კი, მისი საქმიანობა წარიმართება ჩინეთის კომპარტიის უმაღლესი ორგანოების მიერ, მისი ხელმძღვანელი როლის პრინციპის შესაბამისად.

დეპუტატის სამართლებრივი სტატუსი რეგულირდება კონსტიტუციის მუხლებით, რომლის თანახმად, დეპუტატი სარგებლობს იმპერატიული მანდატით, საქმიანობს არაპროფესიულ საფუძველზე, სადეპუტატო საქმიანობას უთავსებს ძირითად საქმიანობას, ვინაიდან, როგორც კონსტიტუციაშია აღნიშნული „შემთავსებელი დეპუტატის“ სტატუსი იძლევა საშუალებას, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ხალხის მასებთან, იზრომოს მათთან ერთად და უკეთ იცოდეს მათი მოთხოვნილებები. დეპუტატს უფლება აქვს, მიმართოს შე-

კითხვებით სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფო კომიტეტებს და სამინისტროებს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვებს. დეპუტატის უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ მოვალეობად მიიჩნევა – მჭიდრო კავშირის დამყარება ხალხსა და მის ამომრჩეველ ორგანოსთან. დეპუტატი განთავისუფლებულია იურიდიული პასუხისმგებლობისგან მისი გამოსვლებისა და ხმის მიცემისთვის სესიაზე, იგი არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პრეზიდიუმის, ხოლო სესიებს შორის პერიოდში – მუდმივი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

მუდმივი კომიტეტი განსაკუთრებული სტრუქტურაა სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში. ერთი მხრივ, ის ექვემდებარება წარმომადგენლობით ორგანოს და როგორც „მცირე პარლამენტი“ ასრულებს მის ფუნქციებს სესიებს შორის პერიოდში, მეორე მხრივ, აქვს ყველასგან დამოუკიდებელი უფლებამოსილება და, ფაქტობრივად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარესთან ერთად წყვეტს სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მიერ არჩეული მუდმივი კომიტეტი შედგება 400 დეპუტატისგან და თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, სამდივნოს ხელმძღვანელს. მუდმივი კომიტეტი სხდომებს ატარებს 2 თვეში ერთხელ. მისი წევრები ფლობენ ინდემნიტიტს.

მუდმივი კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება: კონსტიტუციის განმარტება და მის შესრულებაზე ზედამხედველობა; კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე, სახელმწიფო საბჭოს მინისტრების შეცვლის უფლებით; კონტროლი ცენტრალური სამხედრო საბჭოს, უმაღლესი სახალხო სასამართლოს და უმაღლესი სახალხო პროკურატურის საქმიანობაზე; სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული აქტების გაუქმების უფლება; ქვეყანაში სრული და ნაწილობრივი მობილიზაციის შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციასა და დენონსაციაზე გადაწყვეტილების მიღება; უფლება აქვს ცალკეულ საკითხებზე გამოსცეს კანონები და ცვლილებები შეიტანოს კანონებში, გარდა ორგანული კანონებისა.

მუდმივი კომიტეტი ახორციელებს ისეთ სოციალურ უფლებამოსილებებს, როგორცაა სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმები, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა; მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით მინისტრების, მთავარი რევიზორისა და მთავრობის სამდივნოს ხელმძღვანელის დანიშე-

ნა და გათავისუფლება, ცენტრალური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს წევრების დანიშვნა და გათავისუფლება; ომის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

მთავრობა ჩინეთში, კონსტიტუციის თანახმად, არის „უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო, ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო“ და სახელმწიფო საბჭოდ იწოდება. მისი სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია კონსტიტუციითა და „სახელმწიფო საბჭოს ორგანიზაციის შესახებ“ კანონით. იგი, ერთი მხრივ, არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანო, მეორე მხრივ, საერთო კომპეტენციის სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს სახელმწიფო ადმინისტრაციის ყველა ორგანოს და სახელმწიფო მმართველობის ყველა დარგს.

ახალარჩეულ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე, სახელმწიფო საბჭოს მეთაურს – პრემიერ-მინისტრს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის წარდგინებით, ამტკიცებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, პრემიერის მოადგილეს, სახელმწიფო საბჭოს წევრებს, მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, მთავარ რევიზორს, კანცელარიის სამდივნოს ხელმძღვანელს, პრემიერის წარდგინებით ამტკიცებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება. სესიებს შორის პერიოდში ცვლილებებს სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში, ახორციელებს მუდმივი კომიტეტი და ფორმდება რესპუბლიკის თავმჯდომარის ბრძანებულებით. პრემიერ-მინისტრის შეცვლა შეუძლია მხოლოდ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას. სახელმწიფო საბჭოს ყველა წევრი უნდა იყოს კომუნისტური პარტიის წევრი. ასეთია საკადრო პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნა.

სახელმწიფო საბჭოს სტატუსის განსაკუთრებული თავისებურება ის არის, რომ უმნიშვნელოვანეს აქტებს იგი ღებულობს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთობლივად. ამასთან, სწორედ იგი უზრუნველყოფს პარტიულ და სახელმწიფო დონის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ რეალიზაციას. ახორციელებს უფლებამოსილებათა გამიჯვნას ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოებსა და პროვინციების, ავტონომიების, ქალაქების აღმასრულებელ ორგანოებს შორის.

სახელმწიფო საბჭოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება: სახელმწიფო ბიუჯეტის, სამეურნეო და სოციალური განვითარების გეგმის შედგენა და მათი რეალიზაცია; თავდაცვითი და

ეკონომიკური მშენებლობის, საგარეო ურთიერთობების, განათლების მეცნიერებისა და კულტურის საკითხების მართვა; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა; უცხოეთში მაცხოვრებელი ჩინელებისა და რეიმიგრანტების უფლებების დაცვა; პროვინციების, ავტონომიური რაიონებისა და ცენტრალური დანიშნულების ქალაქების ტერიტორიული დანაწილება, სამინისტროების, კომიტეტების და ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ მიღებული აქტების შეცვლა ან გაუქმება და სხვ.

ცენტრალურ სამხედრო საბჭოს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩინეთის სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. კონსტიტუციის თანახმად, ეს არის ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას. მას ექვემდებარება ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შეიარაღებული ძალები, სახალხო ლაშქარი და შეიარაღებული სახალხო მილიცია. ცენტრალური სამხედრო საბჭო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და სხვა წევრებისგან, საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი უფლებამოსილების ვადით ნიშნავს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება. სამხედრო საბჭო ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და მისი მუდმივი კომიტეტის წინაშე. თუმცა გაუგებარია ასეთი დაქვემდებარებულობა, ვინაიდან ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო საბჭოს პერსონალური შემადგენლობა მთლიანად ემთხვევა ცენტრალურ სამხედრო საბჭოს და ამ ორ კომისიას, როგორც ერთიან პარტიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოა, რომელიც სამი დონის ერთეულებისგან შედგება: უმაღლეს დონეს ქმნიან 6 ავტონომიური რაიონი, 23 პროვინცია და 4 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი; თავის მხრივ, პროვინციები და ავტონომიური რაიონები იყოფა ავტონომიურ ოლქებად, ქალაქებად, უეზდებად, ვოლოსტებად, ეროვნულ ვოლოსტებად და დაბეებად. სამუშალო დონეა 30 ავტონომიური ოკრუგი და უეზდი, ხოლო ქვედა დონე 124 ავტონომიური უეზდი. კონსტიტუციის თანახმად, შეიძლება შეიქმნას „განსაკუთრებული ადმინისტრაციული რაიონები“, რომელთა სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია სპეციალური კანონით. ეროვნული ავტონომია ხასიათდება, როგორც უნიტარული

სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი. ავტონომიური ერთეულების გვერდით ჩინეთში არსებობს ეროვნული ვოლოსტი, რომელიც არ წარმოადგენს ავტონომიურ ფორმირებას და არ სარგებლობს ავტონომიური ერთეულისთვის დამახასიათებელი უფლებამოსილებებით. ეროვნული ვოლოსტები დასახლებულია შედარებით მცირერიცხოვანი ხალხებით, რომელთა მმართველობის პროცესში ყურადღება ექცევა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციებსა და ჩვეულებებს. აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სახალხო წარმომადგენელთა კრებები და ადგილობრივი სახალხო მთავრობები. მთლიანად სახელმწიფო მმართველობის სისტემა სახალხო მთავრობათა და სახალხო წარმომადგენელთა კრებების ჩინური მოდელის პირამიდის კონსტრუქციას ქმნის, რომელიც იერარქიული ქვემდებარების პრინციპზეა აგებული და ყველა დონის ადგილობრივ სახალხო მთავრობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფო საბჭო.

საზოგადოებრივი თვითმმართველობა ჩინეთში, ის კონსტიტუციური ინსტიტუტია, რომლის ანალოგი ძნელად თუ მოიძიება სხვა ქვეყნებში. კონსტიტუციის 111-ე მუხლი ახასიათებს მას როგორც მასების თვითმმართველობას და ადგენს, რომ მისი ორგანოები არიან ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კომიტეტები, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იქმნებიან. კომიტეტები შედგებიან თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და 3-7 წევრისგან, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევს სამი წლის ვადით. მათი ფუნქციური ტრიადა გულისხმობს „თვითმმართველობას, თვითაღზრდას და თვითმომსახურებას“. კომიტეტები ქმნიან საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, სახალხო შემრიგებლობის კომისიებს და ეხმარებიან ადგილობრივ ხელისუფლებას აღნიშნული ფუნქციების განხორციელებაში.

საარჩევნო სამართალი

ჩინეთის საარჩევნო სისტემა პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევნების კომპლექსია. ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სამდონიანი სისტემის გათვალისწინებით, ჩინეთში არჩევნებიც სამსაფეხურიანია. მოსახლეობა პირდაპირი არჩევნების გზით ირჩევს ყველაზე დაბალი საფეხურის წარმომადგენლობით ორგანოს, ეს უკანასკნელი ზემდგომ წარმომადგენლობით ორგანოს, ხოლო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას ირჩევს ყველა დანარჩენი ქვემდგომი წარმომადგენლობითი ორგანო.

არჩევნები ტარდება მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, რომელიც შეიძლება შეიქმნას საცხოვრებელი ადგილისა და წარმოების პრინციპის მიხედვით. კანდიდატების წამოყენების უფლება აქვს პოლიტიკურ პარტიას და ამომრჩეველთა არანაკლებ 100 კაციან ჯგუფს. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონი „არჩევნების შესახებ“ აღიარებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 18 წელს, უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ამომრჩეველთა სიებში არ შეიძლება შეყვანილ იქნენ სულიერი ავადმყოფები და პირები, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ პოლიტიკური უფლებები. ჩინეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საარჩევნო უფლება ჩამოერთმევა პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს კონტრრევოლუციური დანაშაული. საარჩევნო უფლება არა აქვთ, ასევე, სიკვდილმისჯილებს, პირებს, რომელთაც მისჯილი აქვთ სამუდამო პატიმრობა და „სერიოზულად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს“.

ყოველ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება. ყველა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა საკრებულოს არჩევნებისას, გათვალისწინებულია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რაოდენობისა და მათი განსახლების თავისებურებებით. და მაინც, საარჩევნო თანასწორობის პრინციპი სრულად არ არის დაცული: ავტონომიური ოლქებისა და უზბეების ფორმირებისას, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლობა ოთხი – ერთთანაა, პროვინციების რაიონებსა და ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქებში ხუთი – ერთთან. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატი სოფლიდან წარმოადგენს რვაჯერ მეტ ამომრჩეველს, ვიდრე ქალაქიდან არჩეული დეპუტატი.

სხვადასხვა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა კრების ფორმირებისას, განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას, რაც დაკავშირებულია ჩინეთის პოლიტიკურ ისტორიაში არმიის განსაკუთრებულ როლთან. ათეულებისა და ოცეულების სამხედრო მოსამსახურეები ირჩევენ ზემდგომ სამხედრო მოსამსახურეთა კრების დელეგატებს, ხოლო ეს უკანასკნელი ირჩევს სხვადასხვა საფეხურის სახალხო წარმომადგენელთა საკრებულოს დეპუტატებს. სრულიად ჩინეთის სამხედრო მოსამსახურეთა კრების დელეგატები, რომელთა შემადგენლობაში შედი-

ან შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბების, დიდი სამხედრო ოლქების, ჯარების სხვადასხვა სახეობის, თავდაცვის სამხედრო-ტექნიკური კომიტეტის, თავდაცვითი მრეწველობის სახელმწიფო სამმართველოს და სამხედრო აკადემიის წარმომადგენლები, ირჩევენ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატებს. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებაში სამხედროების და ეროვნული უმცირესობების რაოდენობრივ წარმომადგენლობას ადგენს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტი.

სამოქალაქო სამართალი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ მიღებულ იქნა მთელი რიგი სამოქალაქო-სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებდა ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. ჩინეთში არ არსებობს ერთიანი კოდიფიცირებული ნორმატიული აქტი, რომელიც მოაწესრიგებდა ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ არ ჩავთვლით 1987 წლის 1 იანვარს ამოქმედებულ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონს „სამოქალაქო სამართლის ძირითადი დებულებები (პრინციპები)“.

აღნიშნული კანონი არსებითად განსხვავდება სხვა ქვეყნების სამოქალაქო-სამართლებრივი აქტებისგან თავისი შინაარსით და მოცულობით, ვინაიდან ის არ აწესრიგებს კონკრეტულ სამოქალაქო ურთიერთობებს, თუმცა შედგება 9 თავისგან, 15 სექციისა და 156 მუხლისგან. პირველ თავში მოცემულია „ძირითადი დებულებები (პრინციპები)“, რომელიც აერთიანებს 8 მუხლს. კანონის მეორე თავი დათმობილი აქვს „მოქალაქეს“ და მასში მოცემულია სამი სექცია; „სამოქალაქო უფლებები და სამოქალაქო უფლებების განხორციელება“, „მზრუნველობა“, „დეკლარაცია გარდაცვლილი ადამიანის შესახებ“. ამავე თავში განსაზღვრულია ისეთი ცნებები, როგორცაა „ინდივიდუალური ბიზნესი და ოჯახური ფერმის იჯარა“, „ინდივიდუალური პარტნიორი“ და სხვ.

მესამე თავი ეხება „იურიდიულ პირებს“ და მასში გაერთიანებულია 4 სექცია, რომლებიც განსაზღვრავს: იურიდიული პირის ზოგად ცნებას და ძირითად დებულებებს, განიხილება „საწარმო, როგორც იურიდიული პირი“, „ოფიციალური ორგანო, დანესებულება და სოციალური ორგანიზაცია იურიდიული პირებისა“, „ეკონომიკური ასოციაცია“

მეოთხე თავი ეძღვნება „სამოქალაქო იურისტიკისა და სამოქალაქო სააგენტოს“ განსაზღვრებებს, ხოლო მეხუთე თავი დათმობილი აქვს „სამოქალაქო უფლებებს“, რომელიც აერთიანებს 4 სექციას. აღნიშნული თავი განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორცაა მესაკუთრის ცნება და საკუთრების მართვის უფლებები, კრედიტორის უფლებები, ინტელექტუალური საკუთრება და პირადი უფლებები.

მეექვსე თავში მოცემულია „სამოქალაქო პასუხისმგებლობის“ განმარტება, რომელიც მოიცავს 3 სექციას და განმარტავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძირითად პირობებს, სამოქალაქო პასუხისმგებლობას ხელშეკრულების დარღვევისთვის, სამოქალაქო პასუხისმგებლობას სხვა უფლებების დარღვევისთვის და პასუხისმგებლობის მეთოდებს.

მეშვიდე თავი განმარტავს „სამოქალაქო მოქმედების შეზღუდვას“ მერვე თავი მოიცავს „კანონის შენიშვნებს უცხოელებთან სამოქალაქო ურთიერთობისას“, ხოლო მეცხრე თავში გაერთიანებულია „დამატებითი პირობები“

კანონი „სამოქალაქო სამართლის ძირითადი დებულებები (პრინციპები)“ აერთიანებს, ძირითადად, დეკლარაციული ხასიათის სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებს, ხოლო კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ჩინეთის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებით, რომლებიც მიიღება კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახელმწიფო საბჭოს ერთობლივ სხდომაზე.

სისხლის სამართალი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი მიღებულ იქნა 1979 წლის პირველ ივლისს, რომელშიც გამკაცრების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები შევიდა 1997 წლის 14 მარტს. ამასთან, კოდექსს დაემატა ახალი 452-ე მუხლი და დასჯადად გამოცხადდა დამატებით 23 დანაშაული, რომელთა მიმართ სასჯელის კონკრეტული ზომა არ არის გათვალისწინებული. ამჟამად, მოქმედი კოდექსი შედგება ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისგან, მთლიანად კი 15 თავის, 37 ქვეთავის და 452 მუხლისგან.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი არ არის ქვეყნის სისხლის სამართლის ერთადერთი წყარო. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილებით იურიდიული ძალა შეუნარჩუნდა, პრაქტიკულად, ყველა სისხლისსამართლებრივ ნორმატიულ აქტს, რომლებიც

მოქმედებდა სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე. ჩინელი კანონმდებელი არ გამოორიცხავს იმ ნორმების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც კოდექსის ჩარჩოს მიღმა არსებობს.

ჩინეთის სისხლის სამართლის კოდექსისთვის დამახასიათებელია, როგორც საერთო სოციალისტური, ისე წმინდა ჩინური წარმოშობის პრინციპები. სისხლის სამართლის კოდექსის პირველ მუხლში ნათქვამია: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი შემუშავებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ხელმძღვანელი კურსისა და მათი ძედუნის იდეების, კონსტიტუციის, დასჯადობისა და დიდსულოვნების საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ხალხის კონკრეტული გამოცდილების განხორციელების გათვალისწინებითა და პროლეტარიატის დიქტატურით...“.

ჩინეთის სისხლის სამართლის კოდექსმა პირველად განმარტა დანაშაულის ცნება, რომელშიც მოცემულია დანაშაულის კლასობრივ-მატერიალური შინაარსი. კოდექსში მოცემულია ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გარკვეული შეხედულებების გამოთქმისთვის, რაც გულისხმობს „მასების ნაქეზებას ხელისუფლების წინააღმდეგ და სახელმწიფო კანონებისადმი დაუმორჩილებლობას კონტრრევოლუციური მიზნით“. მთლიანად, ჩინელმა კანონმდებელმა კონტრრევოლუციურ დანაშაულთა თავში მოათავსა 100-მდე მუხლი, რომლებშიც კაზუისტურ ფორმაში მოცემულია კონკრეტული ქმედებები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ჩადენილ იქნეს კონტრრევოლუციური დანაშაული.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების 86% შეიცავს ისეთ დანაშაულებს, რომლებიც გამოწვეულია აქტიური მოქმედებით, ხოლო დანარჩენი ნორმები შეიცავს ისეთ დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილია, როგორც მოქმედებით, ასევე, უმოქმედობით. კოდექსი არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთ დანაშაულებებზე, რომლებიც ჩადენილია უმოქმედობის კლასიკური ფორმით, როგორცაა, მაგალითად, დანაშაულის განუცხადებლობა.

ჩინელი კანონმდებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ანალოგიის საკითხს და აღიქვამს მას, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის დამატებას. საქმე ის არის, რომ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი არ არის ბოლომდე სრულყოფილი და მთელი რიგი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირებას არ ექვემდებარება, აუცილებლად საჭიროებს ანალოგიის გამოყენებას. სისხლის სამართლის კოდექსში ასევე არ არის ცალკე ნორმა, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის ცნებასა

და მიზნებს და კოდექსი შემოიფარგლება მხოლოდ ძირითადი და დამატებითი სასჯელების ჩამონათვალით.

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

ჩინეთში მიღებულია ადამიანის უფლებების სოციალისტური დოქტრინა და ასახულია ადამიანისა და საზოგადოების ჩინური ტრადიციები. სწორედ სოციალისტური დოქტრინის თავისებურებები გარკვეულ დაღს ასვამს მთელ ამ სისტემას, რამდენადაც ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ადამიანისა და მოქალაქის უფლებები. ამ დროს, გამოკვეთილია მოქალაქეთა განსაკუთრებული კატეგორიის მშრომელთა უფლებები, ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა სოციალისტური მიმართულება, რაც ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებისა და მიზნებისადმი მათ დაქვემდებარებულობას აკანონებს და აქედან გამომდინარე, ჩინეთის მოქალაქეს უამრავი ვალდებულებით ტვირთავს.

სოციალისტური დოქტრინის ზეგავლენით, ჩინურმა სამართლებრივმა სისტემამ, პიროვნების სამართლებრივი სტატუსისთვის დამახასიათებელი საავტორო უფლების პრეტენზიით, რამდენიმე წმინდა ჩინური ნოვაცია დაამკვიდრა:

– ეს არის „ბუნებითი უფლებების“ კონცეფციის უარყოფა და მტკიცება იმისა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლებებსა და თავისუფლებებს ანიჭებს სოციალისტური სახელმწიფო და მხოლოდ ის განსაზღვრავს უფლებებისა და თავისუფლებების მოცულობას;

– კონსტიტუციურ ნორმათა სისტემაში პიროვნების უმნიშვნელოვანესი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, სიცოცხლის უფლების, აზროვნების თავისუფლების, გადაადგილების თავისუფლების, საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის და სხვა უფლებათა არა მხოლოდ იგნორირება, არამედ ხელყოფაც. მაგალითად, ჩინეთში დღესაც ხშირად გამოიყენება სიკვდილით დასჯა პოლიტიკური თუ უმნიშვნელო სისხლის სამართლის დანაშაულისთვის;

– არ არსებობს მთელი რიგი უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციური დაცვის მატერიალური გარანტიები. უფრო მეტიც, კონსტიტუცია ავალდებულებს მეუღლეებს, განახორციელონ შობადობის დაგეგმვა, რაც გაიგივებულია ნორმასთან, „ერთი ოჯახი – ერთი შვილი.“

ჩინეთის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვის სპეციალური ორგანოების არსებობას. სახელმწიფო ორგანოების მიერ პიროვნების უფლებათა ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, ჩინეთის მოქალაქე უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს. ჩინეთში კანონმდებლობით გარანტირებულია ნებისმიერი მოქალაქის უფლება დაცვა სასამართლო წესით.

საზოგადოდ კი, ადამიანის უფლებების კონსტიტუციური რეგულირების ჩინური ვარიანტი, როგორც მოცულობით, ისე იურიდიული ტექნიკით მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს. და მაინც, აღნიშნულ სფეროში, 1982 წლის კონსტიტუცია წინ გადადგმული ნაბიჯია ყველა ადრინდელი კონსტიტუციის მიმართ.

სასამართლო სისტემა

კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება უმაღლესი სახალხო სასამართლოს, სამსაფეხურიანი ადგილობრივი სახალხო სასამართლოებისა და სპეციალური სასამართლოების მეშვეობით. სპეციალურ სასამართლოებს განეკუთვნებიან სამხედრო სასამართლოები, მაგრამ ასევე შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა სახის სპეციალური სასამართლო. ჩინური ტრადიციიდან გამომდინარე, მოსახლეობა იშვიათად მიმართავს სასამართლოს დარღვეული უფლების აღსადგენად, ვინაიდან დავის გადანყვეტისას უპირატესობას ანიჭებს არასახელმწიფო, არაფორმალური მეთოდების გამოყენებას. სასამართლო ორგანოები, ძირითადად, ასრულებენ სადამსჯელო ფუნქციას და მოწოდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ დანაშაულის ჩამდენი პირის აღზრდა-გამოსწორებაში.

უმაღლეს სახალხო სასამართლოს ქმნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომლის თავმჯდომარეს ირჩევს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, ხოლო უმაღლესი სახალხო სასამართლოს წევრებს წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტი. უმაღლესი და საშუალო დონის ადგილობრივი სასამართლოები აირჩევა შესაბამისი დონის სახალხო წარმომადგენელთა კრების, ხოლო დაბალი სასამართლოები კი უშუალოდ მოსახლეობის მიერ.

უმაღლესი სახალხო სასამართლო ახორციელებს სასამართლო კონტროლს საერთო და სპეციალური სასამართლოს საქმიანობაზე. ის იშვიათად განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით და ისიც მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის სისხლისა და სამოქალაქო

საქმეებზე. ძირითადად, ეს არის საბოლოო ინსტანცია, რომელიც განიხილავს საჩივრებს ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და ამტკიცებს სიკედილით დასჯაზე მათ განაჩენებს.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უარყოფიდან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლება არ სარგებლობს დამოუკიდებლობით. ის ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და მუდმივი კომიტეტის წინაშე, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეცვალონ სასამართლოს შემადგენლობა. ადგილობრივი სახალხო სასამართლოს მოსამართლეები, ისევე როგორც უმაღლესი სახალხო სასამართლოს მოსამართლეები, არ სარგებლობენ დამოუკიდებლობის უფლებით. ისინი პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და მათი მუდმივი კომიტეტების წინაშე.

ჩინეთში არ არსებობს სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლო, რომელიც განსაკუთრებული წესით განიხილავდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებს. ამ მიზნით საერთო სასამართლოებში ფუნქციონირებენ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატები, რომლებიც ლებულობენ და განიხილავენ საჩივრებს, ადმინისტრაციის მიერ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის თაობაზე. სოფლებში ანალოგიური სახის საჩივრებს განიხილავენ სოფლის მოსახლეობის კომიტეტები, რომელთა გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო სასამართლოში.

1993 წელს შრომითი დავების გადასაწყვეტად შეიქმნა საარბიტრაჟო კომისია და საარბიტრაჟო სასამართლო, რომელთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო სასამართლოში.

კანონიერებაზე ზედამხედველობა ეკისრება ჩინეთის პროკურატურის ორგანოებს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო პროკურატურით სათავეში, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი. გენერალურ პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, ხოლო უმაღლესი სახალხო პროკურატურის სხვა წევრებს – შესაბამისი მუდმივი კომიტეტი. ადგილობრივ პროკურორს, ზემდგომი პროკურორის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

პროკურატურა იქმნება მკაცრი იერარქიული ცენტრალიზაციის საწყისებზე და ორგანიზაციულად გამიჯნულია სასამართლოებისგან.

ადგილებზე იქმნება ადგილობრივი სახალხო პროკურატურები, არ-
მიაში – სამხედრო პროკურატურები, სატრანსპორტო და სხვა სახის
პროკურატურები. ადგილობრივ პროკურატურას სატყეო რაიონებში
შეუძლია შექმნას სპეციალური პროკურატურის განყოფილებები.

ჩინეთში არ არსებობს სპეციალური საკონსტიტუციო ზედამხედვე-
ლობის განმახორციელებელი ორგანო და ასეთი ფუნქცია არც სასამა-
რთლო ორგანოებს აკისრიათ. საქმე ის არის, რომ სახელმწიფო ორგანო-
თა შორის უმაღლესი მდგომარეობა სრულიად ჩინეთის სახალხო
წარმომადგენელთა კრებას უკავია, აქაც მოქმედებს დემოკრატიული
ცენტრალიზმის პრინციპი, რომლის თანახმად, არც ერთი სხვა ორგანო-
ს გადაწყვეტილებამ არ შეიძლება ცნოს უმაღლესი წარმომადგენლ-
ობითი ორგანოს მიერ მიღებული კანონები არაკონსტიტუციურად და
ჩამოართვას მას იურიდიული ძალა. ჩინეთში მიღებულია, რომ სახელ-
მწიფო ორგანოები, რომლებიც გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს,
თავადვე ახორციელებენ კონტროლს ამ აქტების კონსტიტუციასთან
შესაბამისობაზე.

ლიტერატურა:

1. Конституция Китайской Народной Республики, Москва, „Юрлитинформ“, 2000, стр. 338-359;
2. Албастрова И.А., Основы государственного права КНР // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Юриспруденция“, 2000, стр. 154-165;
3. Гуреева Н.П., Основы конституционного права Китайской Народной Республики // Конституционное право зарубежных стран, под общ. редакцией М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина, Москва, „Норма-Инфра. М“, 1999, стр. 607-643;
4. Чиркин В.Е., основы конституционного права Китая // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Юристъ“, 1997, стр. 447-473;
5. Якушев А.В., Основы конституционного права Китая // Конституционное право зарубежных стран, Москва, „Приор“, 1999, стр. 246-254;
6. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (ინგლისურ ენაზე). ინტერნეტის საიტი: chinalaw@qis.net;
7. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „სამოქალაქო სამართლის ძირითადი დებულებები (პრინციპები)“ (ინგლისურ ენაზე). ინტერნეტის საიტი: chinalaw@qis.net.

აკტორთა შესახებ

აბულაძე კობა – დაიბადა 1977 წლის 9 ივნისს. 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად. 2000 წლიდან მუშაობს ფინანსთა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში. გამოქვეყნებული აქვს საჟურნალო სტატია.

გაბეხაძე დავითი – დაიბადა 1979 წლის 28 აპრილს. 1996 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსზე. მესამე კურსზე დაამუშავა საკურსო ნაშრომი „შვეიცარიის სამართლებრივი სისტემა“.

გამეზარდაშვილი მირიანი – დაიბადა 1978 წლის 8 მარტს. 2000 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად.

გოგიაშვილი გიორგი – დაიბადა 1971 წლის 5 დეკემბერს. 1994 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. 1999 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ფედერალიზმის ცნება და არსი“. ამჟამად მოღვაწეობს თსუ-ს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე. სტაჟირება გაიარა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში, არის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს იურიდიული ექსპერტი, ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები. გამოქვეყნებული აქვს 13 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, მონოგრაფია – „შედარებითი ფედერალიზმი“

გონაშვილი ვასილი – დაიბადა 1978 წლის 26 ივლისს. 2000 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად. ამჟვე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს პარლამენტის აპარატში. არის საჟურნალო პუბლიკაციების ავტორი, „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ კრებულში – „სახლვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, თანავტორობით გამოაქვეყნა ნაშრომი აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალზე.

დეალი ბექა – დაიბადა 1977 წლის 31 ივლისს. 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს საგარეო სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოში. არის თსუ-ს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის მადიებელი. თანაავტორობით გამოქვეყნებული აქვს საყურნალო სტატიები, ხოლო „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ ლიტერატურის სერიაში მონოგრაფია „სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში“.

ეზუბაია ზურაბი – დაიბადა 1975 წლის 16 დეკემბერს. 1997 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად. წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში და მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში. ამჟამად მუშაობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობრივი მდგომარეობისა და იმიგრაციის დეპარტამენტის უფროსად.

თევდორაშვილი გიორგი – დაიბადა 1977 წლის 28 სექტემბერს. 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად. არის საყურნალო სტატიების ავტორი, „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ კრებულში – „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ თანაავტორობით გამოაქვეყნა ნაშრომი ესპანეთის კონსტიტუციურ სამართალზე.

კვერენჩილაძე გიორგი – დაიბადა 1972 წლის 21 ოქტომბერს. 1994 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად. 1998 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საფრანგეთის პარლამენტის საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები“ და ამჟამად მოღვაწეობს თსუ-ს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე. გამოქვეყნებული აქვს საყურნალო სტატიები „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემული ლიტერატურის სერიაში – თანაავტორობით, მონოგრაფია – „საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა“ და კრებულში „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ – ნაშრომი საფრანგეთის კონსტიტუციურ სამართალზე.

ლონდარიძე დავითი – დაიბადა 1979 წლის 30 აგვისტოს, 1996 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსზე. მესამე კურსზე დაამუშავა საკურსო ნაშრომი დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციური სამართალზე, რომელიც შემდეგ ხელმძღვანელთან ერთად თანაავტორობით გამოქვეყნდა „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ კრებულში – „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“. „ავსტრიის სახელმწიფო სისტემა“ მისი სადიპლომო ნაშრომის თემაა.

მახარაძე ომარი – დაიბადა 1973 წლის 1 იანვარს. 1996 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა თსუ-ს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად. მოღვაწეობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ კრებულში – „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ თანაავტორობით გამოაქვეყნა ნაშრომი იაპონიის კონსტიტუციური სამართალზე.

მელაძე გიორგი – დაიბადა 1980 წლის 10 იანვარს. 1997 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსზე. არის ფაკულტეტის გაზეთის „ახალგაზრდა იურისტის“ ერთ-ერთი რედაქტორი. მესამე კურსზე დაამუშავა საკურსო ნაშრომი – „ინდოეთის სამართლებრივი სისტემა“.

მელქაძე ოთარი – დაიბადა 1938 წლის 8 აპრილს. არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მოღვაწეობს თსუ-ს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე, ხელმძღვანელობს მის მიერ დაფუძნებულ „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევით ცენტრს“. გამოცემული აქვს 16 მონოგრაფია (5 თანაავტორობით), მისი ხელმძღვანელობით შედგენილია 2 კრებული, გამოაქვეყნა 70-ზე მეტი ნერილი საქართველოს, რუსეთის, ჩეხეთის და უნგრეთის, აგრეთვე, „ტასისის“ ინგლისურენოვან იურიდიულ ჟურნალებში.

მერაბიშვილი ლაშა – დაიბადა 1981 წლის 12 ივლისს. 1997 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსზე. მესამე კურსზე დაამუშავა საკურსო ნაშრომი – „ბულგარეთის სამართლებრივი სისტემა“.

ნატროშვილი იოსები – დაიბადა 1979 წლის 26 ნოემბერს. 1997 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსზე. მესამე კურსზე დაამუშავა საკურსო ნაშრომი – „დანის სამართლებრივი სისტემა“.

პაპუკაშვილი ნოდარი – დაიბადა 1975 წლის 29 ნოემბერს. 1998 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად. მუშაობს საქართველოს პარლამენტის აპარატში. არის საჟურნალო პუბლიკაციების ავტორი. „მსოფლიოს პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემულ კრებულში – „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ თანაავტორობით გამოაქვეყნა ნაშრომი კანადის კონსტიტუციურ სამართალზე.

რამიშვილი ნუცა – დაიბადა 1980 წლის 30 აგვისტოს. 1997 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსზე. 1996 წელს მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონკურსზე წარადგინა ნაშრომი თემაზე – „საუბრები გერმანიის კონსტიტუციაზე“, რომელიც აღინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიპლომით. მეოთხე კურსზე, კონკურსში გამარჯვების შედეგად, მივლინებულ იქნა სასწავლებლად ბრემენის უნივერსიტეტში. „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ ლიტერატურის სერიაში თანაავტორობით გამოცემული აქვს მონოგრაფია – „გერმანიის კონსტიტუციური სამართალი“ და მისი შემცირებული ვარიანტი კრებულში – „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“

ყურაშვილი კახი – დაიბადა 1973 წლის 24 დეკემბერს. 1996 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად. 1999 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ფედერაცია სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა რუსეთში“ და ამჟამად მოღვაწეობს თსუ-ს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე. გამოქვეყნებული აქვს საჟურნალო სტატიები, მოსკოვში, რუსულ ენაზე მონოგრაფია „რუსეთის სახელმწიფოს ფედერაციული ორგანიზაცია“, „მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოცემული ლიტერატურის სერიაში – თანაავტორობით, მონოგრაფია – „რუსეთის სახელმწიფო სისტემა“ და კრებულში „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ – ნაშრომი რუსეთის კონსტიტუციურ სამართალზე.

ჩხეტიანი ნიკოლოზი – დაიბადა 1978 წლის 20 ივლისს. 1996 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსზე. მესამე კურსზე დაამუშავა საკურსო ნაშრომი – „ლუქსემბურგის სახელმწიფო ორგანოთა სისტემა“, რომელიც შემდგომ წარადგინა საუნივერსიტეტო კონფერენციაზე. მეხუთე კურსზე, კონკურსში გამარჯვების შედეგად, მივლინებულ იქნა სასწავლებლად ბრემენის უნივერსიტეტში.

ცხვედიანი როსტომი – დაიბადა 1974 წლის 30 ივნისს. 1996 წელს დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო 1998 წელს ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად. ამჟამად მუშაობს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში. გამოქვეყნებული აქვს საჟურნალო სტატია.

წითლიძე დავითი – დაიბადა 1977 წლის 28 მარტს. 2000 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და ჩაირიცხა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე ასპირანტად.

ხუციშვილი შალვა – დაიბადა 1980 წლის 19 აგვისტოს. 1997 წელს ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსზე. მესამე კურსზე დაამუშავა საკურსო ნაშრომი – „პორტუგალიის სამართლებრივი სისტემა“, რომელიც წარდგენილ და აღნიშნულ იქნა საუნივერსიტეტო კონფერენციაზე.

„მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი“ რომელსაც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ მელქაძე თაოსნობს, გამოსცემს პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერიას.

წინამდებარე ცნობარი ამ სერიის მეთორმეტე ნიშნია

უკვე გამოიცა:

ო. მელქაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი; უცხოელ ავტორთა კრებული – რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო;

შემდგენელი და რედაქტორი ო. მელქაძე

ო. მელქაძე. საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე;

ო. მელქაძე. სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა;

გ. კვერენჩილაძე, ო. მელქაძე. საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა;

ო. ბეუიტაშვილი, ო. მელქაძე. იტალიის სახელმწიფო სისტემა;

ო. მელქაძე, კ. ყურაშვილი. რუსეთის სახელმწიფო სისტემა;

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I – აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, იტალია, კანადა, რუსეთი, საფრანგეთი, უნგრეთი;

ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ო. მელქაძე

ო. მელქაძე, ნ. რამიშვილი. გერმანიის კონსტიტუციური სამართალი;

ო. მელქაძე, საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში;

ო. მელქაძე, ბ. დვალი. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მზადდება გამოსაცემად:

ო. მელქაძე. შედარებითი კონსტიტუციური სამართალი.